ჯიკია ჯილაგიანი

ლია საფლავები

/ თმა ავსაზეთში /

ნაამბობი ამბავი

გამომცემლობა „საქართველო“
ქუთაისის ფილიალი
1994

ბიძინა გოლეთიანი ავტორია წიგნებისა „დუელი სიკეთისა და ბოროტისა“, „ტიკი“, „პელაგიას ძოწი“, „მიწის ვედრება“, „ორპირი“ და სხვ.

აფხაზეთის ომის დაწყებიდან მის გოლო დღემდე ერთ-ერთ ფრონტს (არადუ-მერკულა-ცაგერა) არ მოშორებია და იარაღით ხელში იცავდა ქართულ მიწას, ამასთანავე კალმით აღნუსხავდა ყოველივე იმას, რაც ხდებოდა აფხაზეთში.

ამ ავბედით ომში დაილუპა მისი ერთადერთი ვაჟი ბადრი, გადაუწვეს სახლ-კარი, ოჯახის სხვა წევრები გაურკვეველი მიმართულებით მიმოიფანტნენ.

ბიძინა გოლეთიანმა მხოლოდ იმ ჩანაწერების გადარჩენა შეძლო, რომლებსაც იარაღთან ერთად ატარებდა. ამ ჩანაწერებმა კი სქელტანიანი წიგნი „ღია საფლავები“ შეადგინა. ავტორმა მას ნამდვილი ამგავი უწოდა.

წიგნი მკითხველს დაინტერესებს დოკუმენტური თხრობით, ამ ომის უშუალო მონაწილის ცხოვრებისეული ხედვითა და ტკივილიანი განცდებით. ავტორი მოგვითხრობს მას, რაც თავზე გადახდა და საკუთარი თვალით ნახა აფხაზეთის ომში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ი: ვალერიან გენიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წიგნის სპონსორია ფირმა „ოქროს საწმისი“
(პრეზიდენტი თ. ლოგოთაძე)

8 4702170201 — 010 / M 601 (08) 94 94

© გამომცემლობა „საქართველო“,
ქუთაისის ფილიალი, 1994

ავტორისაგან

მე არ მქონდა განზრახული ამ წიგნის დაწერა. ამის გაკეთება ჩემმა ერთადერთმა ვაუიშვილმა ბადრიმ ამიჩემა. „მამა, ხედავ?! ომი ჭიანურდება. დაწერე რამე, იქნებ ისტორიას გამოადგეს მომავალშიო...“

დავუჯერე.

ყველამ იცოდა, რომ აფხაზეთში დიდი ხანია ემზადებოდნენ საომრად. როცა 1992 წლის 14 აგვისტოს ჩვენი ნაწილები შევიდნენ აფხაზეთში, ჩვენ არ გვეგონა, რომ ეს ომის დასაწყისი იქნებოდა, თუმცა არძინბამ მაშინვე გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია, მთელს მსოფლიოს ამცნო, რომ „თავისუფალ, სუვერენულ სახელმწიფოს „აბხაზიას“ (მისი სიტყვებია) თავს დაესხა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს(!) ჯარები და მოახდინეს ანექსია. მოუწოდა ყოველი ჯურის ავანტიურისტს, რათა დაუყოვნებლივ ჩამოვიდნენ აფხაზეთში და მოეხმარონ „აბხაზიას“. ქართველების განდევნაში. მანვე მაშინვე შექმნა თავდაცვის საბჭო, თავდაცვის სამინისტრო, გენშტაბი, დაზვერვა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ყველა ატრიბუტი, რაც დამახასიათებელია მართლაც და სუვერენული სახელმწიფოსათვის. უხვად მიიღო დაფინანსება. ჩვენი თავდაცვის თავკაცები იფიცებოდნენ, რომ ომი რაღაც 2-3 დღეში დამთავრდებაო...

ჩემთვის დღესაც გაუგებარია, რატომ შეჩერდნენ ჩვენი ნაწილები ჯერ სოხუმის მისადგომებთან, მერე კი გუმისთასთან? რატომ მაშინვე არ ჩაკეტეს ბზიფის ხეობა? რატომ განსაკუთრებით არ გააძლიერეს გაგრა-განთიადი-ლესელიძის ხაზი? რატომ და რატომ? ბევრი ასეთი კითხვა იბადება, რაზედაც პასუხს ელის ხალხი. ავტორი არ აპირებს პასუხის გაცემას ამ კითხვებზე. ჩემი მიზანია,

ყოველგვარი კომენტარების გარეშე, მემატიანის გულმოდგინებით გადმოვცე, (ნაწილობრივ მაინც), რაც ამ ერთი წლის განმავლობაში მოხდა აფხაზეთში და არა მარტო აფხაზეთში.

წიგნი დღიურებზეა აგებული. დღიურების წერა 1992 წლის 17 ოქტომბერს დავიწყე, ისიც ბადრის წყალობით. იქამდე კი დასაწყისიდან ნამდვილი ამბავი მოთხრობის სახით მაქვს ნაამბობი.

ბევრი დაუმარხავი ქართველი დარჩა აფხაზეთში. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი ადამიანი. არა მგონია ომების ისტორიას ახსოვდეს ანალოგი ამისა.

მე ამ წიგნს „ღია საფლავები" დავარქვი. მასში მოთხრობილი ამბავი ნამდვილია და მისი განსჯა ჩემი ძვირფასი მკითხველისათვის მიმინდვია.

ბიძინა გოლეთიანი

ოჩამჩირე. გაპარტახებული რკინიგზის სადგური. ორმოებით დასერილი, ნაგვით საცსე მოედანი. ადამიანების მაგივრად აქ ახლა ხერხემალზე მუცელმიმხმარი ძაღლები დაბორიალებენ... თუმცა გასაყოფი აღარაფერი აქვთ, მაინც ნაგვისაკენ უპირავთ თვალი, ღრენით ერთმანეთზე მიიწევენ. ავტომობილთა სადგომზე იშვიათად თუ შემოივლიან გალის მიმართულებით მიმავალი თავზეხელაღებული მძღოლები. სოხუმისკენ კი მოძრაობა შეჩერებულია. ტამიში-კინდღის გზის მონაკვეთი პარალიზებულია აფხაზთა მიერ. ბევრი ადამიანი შეეწირა ამ გზას. აფხაზები გზად გამვლელებს არ ინდობენ... ქართველი თუა, გათავებულია მისი საქმე, ან ადგილზე დახვრეტა, ან უკეთეს შემთხვევაში, ტყვედ აყვანა და გაურკვეველი მიმართულებით წაყვანა ელის. სადგურში ხანდახან პატრული შემოშლიგინდება. „ვილისის“ სარკმლებიდან ავად გამოუყვია თავი „კალაშნიკოვის“ ლულებს, მანქანაში ჭრელ მაისურებიანი ზორბა ტანის წვეროსანი ახალგაზრდები სხედან. ისინი უშალ ქუჩას გაუყვებიან, აყროლებულ სადგურის მოედანს უკან მოიტოვებენ.

საავადმყოფოს (რომელიც ახლა ლაზარეთად გადაუკეთებიათ) რკინის მესრის ერთ კუთხეში გვარიანად მოზრდილ ნაგვით საცსე ოჩოფეხა ყუთზე ერთი ახალგაზრდა ჩამომჯდარა, ასე 18-20 წლისა. ტანთ ეცვა გახუნებული ჯინსის შარვალი, ცალ ფეხზე ბოლოამოკეცილი, ჰუჭყიანი, ფეხთ კი — ასევე ტალახში ამოსვრილი ძველი სპორტული ფეხსაცმელი. ზედა ტანზე შავი ფერის გახუნებული პერანგი, წვერმოშვებული, ქერა თმა — მამაკაცისათვის ძალიან გრძელი, დაუვარცხნელი, ბეჭებზე ცადაფენილი, მეტი მოშავო ფერისა, ვიდრე წვერ-ულვაში. მხარზე გადაკიდებულ გაცვეთილ ჩანთაში ორიოდე წიგნი ედო ქრისტიანული სახარებისა, რუსულ ენაზე, ევანგელიკური მიმართულებისა. ვინ იცის რომელ რელიგიურ კასტას ეკუთვნოდა პატრონი მისი. იგი ახლა მხო-

ლოდ სანაცვლო ყუთში იქექებოდა და მასში ოდესღაც ჩაყრილ მზესუმზირას ნაჩიჩქნებს სინჯავდა, იქნებ სადმე მთელი მარცვალი გადარჩაო. როცა საკმარისი ვერაფერი იშოვა, ჩანთიდან წიგნი ამოიღო, პირჯვარი გადაისახა, რომელიღაც გვერდი გადაშალა და შიგ თავი ჩაყო. კითხულობდა და ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო...

მის გარშემო კი ავი რამ მზადდებოდა, რომლის შესახებაც მან არაფერი იცოდა. საავადმყოფოს იმავე შესრის მეორე კუთხეში სავალ ბილიკზე შეგორებულ, ტალახში ამოგანგლულ „ჟიგულის“ მარკის მანქანაში ოთხი ახალგაზრდა შეყუჟულიყო. ოთხივე შეიარაღებული იყო და ავერ დილიდანვე უთვალთვალებენ, აბა მოედანზე თუ ვინმე გამოჩნდებაო. როცა არავინ გამოჩნდა და იმედი გადაიწურეს, ერთმა მათგანმა ჩაილაპარაკა: მოდი, ის წვეროსანი „გავაპრავერკოთ“, იქნებ ჩვენთვის საინტერესო ვინმე აღმოჩნდესო. ორი მათგანი მანქანიდან გადმოვიდა. მათ მოედანი გადაჭრეს და წვეროსან ახალგაზრდას თავს წაადგნენ. წვეროსანი ახლა შოულობდა. ჯერ წიგნი შეინახა, მერე თავი მაღლა ასწია და თავზე წამდვარ ასევე წვეროსან ახალგაზრდებს ცისფერი თვალები მიაპყრო. როცა იარაღი დაინახა მათ ხელში, ქვედა ყბა აუთამაშდა.

— სადაური ხარ? — ჰკითხა ერთმა ქართულად.

— ნე პონიალ! — იყო შეშინებული ადამიანის პასუხი.

— კაკ ნე პონიალ, სვოლოჩ! ოტკუდა ტი?

— აა, სეიჩას პონიალ, ია იზ ტკვარჩელი.

— კაკ ფამილია?

— ფილია, ფილია, აფხაზეც... — სახედამანჭვით წარმოთქვა მან.

— აჰა, ესეც ასეო,—თქვა ერთმა და ქვედა ტუჩზე იკბინა, თან მეორეს თვალით რაღაც ანიშნა. მეტი არაფერი უთქვამთ, წამსვე ხელები გადაუგრიხეს, პირში რაღაც ჩასჩარეს და მანქანასთან მიათრიეს.

— ისეთია, ჩვენ რომ გვინდოდა. — მოისმა ხმა მანქანიდან.

— ისეთია თუ ასეთი, რაც მთავარია, აფხაზია, წავიყვანოთ და ვაჩვენოთ, მერე თავისიანებს ამბავი მოუყვეს. — უპასუხა გარედან ერთმა და „მსხვერპლი“ კინწისკვრით შეაგდეს მანქანაში.

— აბა, ჩქარა, გასვენება არ მოგვასწრონ! — თქვა მეთაურმა და

„ქიგული“ გასახედნი კვიცივით გაახტუნა, და მანქანამ გეზი არადუსაკენ აიღო.

სოფელი არადუ სოლივითაა შეჭრილი აფხაზთა დასახლებაში. იგი ოჩამჩირიდან სულ რაღაც სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული. თუ მდინარე მოქვის ხიდიდან ისტორიულ მოქვის მონასტრისაკენ ვიმოგზაურებთ, მარჯვენა მხარეს არადუს მერკულა ესაზღვრება, „სოლის“ თავში სოფელი მოქვით, ხოლო მარცხნივ — ჩაის საბჭოთა მეურნეობა, „მაზანკად“ წოდებული. „მაზანკის“ ბოლოს (ზღვის მიმართულებით) არადუს ებმის სოფელი ცაგერა. ასე, რომ არადუ სამი მხრიდან გარშემორტყმულია მოწინააღმდეგით და მხოლოდ ოჩამჩირისაკენ და სოხუმისაკენ მიმავალი ავტოტრასისკენ აქვს გასასვლელი. თავად არადუზე გამავალი გზა გადაკვეთს მოქვს, მდინარე მოქვის გასწვრივ, გზატკეცილი განიტოტება მოქვის ცენტრში, მარჯვენა მხრივ გზა გაივლის მოქვის მონასტერს, სოფელ ჯალს, გადადის მერკულის თავში, ქართულ და აფხაზურ აქვასკაში, ბესლახუბში, გაივლის გუფს და უერთდება ტყვარჩელს, იქიდან კი ბედიასა და რომელიც გნებავთ გალის რაიონის სოფლებს. მოქვიდან გზის მარცხენა განტოტება არის დასახლება ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც თავის მხრივ ესაზღვრება სოფელ კოჩარას. მოქვიდან პირდაპირ თუ გავაგრძელებთ გზას, შევდივართ სოფელ ჭლოუში, სადაც განლაგებულია აფხაზური მხარის „აღმოსავლეთის ფრონტის“ შტაბი, თავის მხრივ ჭლოუში თავს იყრიან ტყვარჩელი, არასაძიხი, თხინა, ოტაფი, გვადა, კოჩარიდან და თავისთავად არადუდან წასული გზები. ასე რომ ქალაქ ტყვარჩელიდან და მთელი მთის წინეთის აფხაზური დასახლებებიდან წამოსული ტრანსპორტი არადუს გავლით მოხვდება მოქვის ხიდზე და იქიდან კი ოჩამჩირის სამხედრო პორტამდე ერთიოდე კილომეტრია, ხოლო კოჩარის გავლით გადაკვეთს გვადას, ქერექენს, ქეთევანას, კუტოლს, ლაბრას და კუტოლისა და ლაბრის გზით თავს იყრის ტამიში-ძველი (პატარა) კინდღის მონაკვეთზე, სადაც ჰკეტავს ოჩამჩირე-სოხუმის გზატკეცილს და მის პარალელურად გამავალ სარკინიგზო ხაზს. ამგვარად, არადუ-ცაგერა-მერკულა ისეთი სტრატეგიული სოფლებია, რომელთა აღებით მოწინააღმდეგე ადვილად ახერხებს ოჩამჩირის ხელში ჩაგდებას და მეორე მხრივ, ალყაში აქცევს სოხუმს.

სოფელი მერკულა განაშენიანებულია საკმაოდ ამაღლებულ ადგილას მდინარე მოქვის მარცხენა ნაპირის ციცაბო მდებარე ჭალების თავზე. საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი ოჩამჩირის რაიონი, ხოლო არადუს. როგორც იტყვიან ქორივით დასდგომია თაქს. მერკულას შუაზე მოუყვება ავტოტრასა, რომელიც თავის მხრივ ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა დასახლებიდან წამოსულ მავანს ზედ ოჩამჩირესთან მიიყვანს...

აქ, მერკულაში ორიოდე კვირის წინათ მოხდა შეტაკება აფხაზებსა (მათ დაქირავებულებს) და ქართველებს შორის. პირობითად ამ წიგნში ჩვენ მას დავარქმევთ მეორე შეტაკებას (პირველ შეტაკებაზე კი ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი).

იმ დღეს აფხაზებმა მერკულაში შეტევა წამოიწყეს. შეტევა ისე მძაფრი იყო, რომ ოჩამჩირეს რეალური საფრთხე დაემუქრა. ბრძოლაში ჩაება ქუთაისის ბატალიონი, რომლის რიგებში აღმოჩნდნენ არადუელი რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც ახლად ჩამოყალიბებულ ოჩამჩირის ბატალიონში შედიოდნენ, მათ შორის იყო იური შალვას ძე ყურაშვილი. ბრძოლა მთელი დღე მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, იყო მომენტი, როცა აფხაზებს რამდენიმე კილომეტრით დაახევინეს უკან, მაგრამ საღამო ჟამს მათ ბოუეიდათ მაშველი ძალები, — ბრძოლაში გაწვრთნილი დაქირავებულები და ქართველები აიძულეს საწყის პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. გაგრაში ადვილი წარმატებებით გათამამებული მოწინააღმდეგე თავისუფლად გადმოდიოდა კონტრიერიშზე და აღწევდა კიდეც წარმატებებს, ასე იყო ამჯერადაც. ქართველებმა საკმაოდ წაიწიეს წინ, მაგრამ სისუსტით თუ ვიღაცის ბრძანებით ორი ტანკი დაუტოვეს მტერს, კვლავ უკან დაიხიეს და მერკულის „ალაშარის" დასახლებაში გამაგრდნენ. ბევრი იყო ორივე მხრიდან დახოცილები და დაჭრილები. სხვებთან ერთად ვაჟკაცურად იბრძოდა იური ყურაშვილი. მას ბრძოლა არ მიუტოვებია. დაჭრილის ევამოყვანისას, თვითონ წამოეწია მტრის ტყვია, დაიჭრა და იგი ტყვედ აიყვანეს.

შალვა ყურაშვილის ოჯახმა ეს არ იცოდა. იცოდა მხოლოდ ერთი რამ, რომ დილით ადრე მისი შვილი სადღაც გაემგზავრა და საღამოს ვეღარ დაბრუნდა. ვერ დაბრუნდა ახალგაზრდა კაცი, 1960 წელს დაბადებული, ოთხი შვილის მამა, მას სახლში ელოდნენ

წვრილი ცოლ-შვილი და მშობლები, ძმა ბელოკრი და მ-ლიანები. იური კი არ ჩანდა. იგი არ გამოჩენილა არც მეორე, არც მესამე და არც მომდევნო დღეებში. თუ რა დღეში იქნებოდნენ ჩაკარდნილი მისი მშობლები და ცოლ-შვილი თავად განსაჯეთ. რამდენიმე დღის შემდეგ გამოჟონა ცნობამ, რომ იური მერკულაში იმ დღის ბრძოლაში მოხვდა. გაირკვა ისიც, რომ აფხაზებმა იგი უსაშველო წამებით მოკლეს და მერკულის რომელიღაც ჭაობში მიაგდეს, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები იურის იცნობდნენ მაინც არ დაინდეს. იქნებ, იმიტომ არ დაინდეს, რომ იცნობდნენ. ეს მხოლოდ ღმერთმა მაღალმა იცის, თუ რატომ არ დაინდეს...

ახლა მთავარი იყო მკვდარი მაინც გადაეცათ პატრონისათვის, რათა შიწისთვის მიებარებინათ უბედური, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა. ცხედრის სანაცვლოდ აფხაზებმა ავტომატური იარაღის რამდენიმე ერთეული მოითხოვეს. ბაბა იარაღს სად იშოვიდა იურის შშობლები, არც სოფელს გააჩნდა ამის საშუალება და რომც ჰქონოდა, მტრის ხელში იარაღის გადაცემა შეიძლებოდა? იყო წაყენებული სხვა პირობებიც, რომელთა შესრულება შეუძლებელი იყო, არადა, ამასობაში უკვე ორი კვირა გავიდა.

მაშინ არადუელებმა გადაწყვიტეს ვინმე გავლენიანი აფხაზი შეეპყროთ და იგი მიცვალებულზე გადაეცვალათ. ასეთიც მონახეს — იანკო კვეკვესკირი. იგი დიდხანს მუშაობდა მოქვის საშუალო სკოლის დირექტორად. ოჩამჩირის რაიონის საყოფაცხოვრებო სამსახურის უფროსად, შემდეგ ჩაის ფაბრიკის დირექტორად... ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, იანკოს გარეშე ოჩამჩირეში „ქათამი არ დაიკვლებოდა“. კვეკვესკირები ნამდვილი ქართველები არიან (მეგრელები). ამაში, ალბათ, ბატონი მწერალი ინდიკო კვეკვესკირიც დაგვეთანხმება, ხოლო, თუ როგორ გახდა ბატონი იანკო და მისი ახლობლები აფხაზები, ეს, ალბათ, ყველაზე უკეთ იანკომ უწყის, ჩვენ ეს იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც გააფხაზებულმა ქართველებმა სულ აიშვეს თავი ქართველთა წინააღმდეგ, ვიდრე ნამდვილმა აფხაზებმა. გამონაკლისი არც იანკო იყო, ამიტომ იგი დიდი გავლენით სარგებლობდა აფხაზთა შორის, თუმცა არანაკლებად შესაცინებდნენ მას თვალებში კუდლაქუცა, ეშმაკზე სულმიყიდული ქართველებიც, ასე იყო თუ ისე, გასაცვლელი „საქონელი“ გვარიანი ფასდებული იყო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წარმოშობით იანკო მერკულიდან გახლავთ.

და ერთ მშვენიერ დღეს იანკო კვეკვესკირი თავის სახლში, ოჩამჩირეში გაბაწრეს არადუელმა ბიჭებმა, თან დაამშვიდეს: „ნუ გეშინია, შენი მოკვლა კი არ გვაინტერესებს, ჩვენი მოკლულის უკან დაბრუნება გვინდა შენი მეშვეობითო“. ამით იანკოს გახეთქამდე მისული ტული ცოტათი დაუმშვიდდა და მისი თხოვნით, შოციქულად აფხაზებთან მოსალაპარაკებლად ნელი ფაჩულია გააგზავნეს, ყოფილი განათლების განყოფილების ვამგე. (აქვე შეგახსენებთ, რომ ყველა თანამდებობა, ყველა დაწესებულებაში მხოლოდ აფხაზებს ეკავათ. ქართველები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ აფხაზეთში, როგორც სამხრეთ აფრიკაში ზანგები არიან, შეიძლება უარესადაც). ნელი ფაჩულიას შუამავლობით იანკო ჩააბარეს მერკულელ აფხაზებს, ხოლო სადღაც, ჭაობიდან ამოათრიეს იური ყურაშვილის თითქმის მიხრწნილი ცხედარი და გადასცეს ქართველებს...

არადუდან მოქვისაკენ ვაჭიმულ გზატკეცილის პირას, სოფლის თავში, იქ, სადაც სამანქანო გზა სოფელ მოქვის საზღვართან განტოტება, კუთხეში მდგარ სახლში სამარისებური სიჩუმე ჩამდგარა. იმიტომ კი არა, რომ აქ ხალხი ჭაჭანება სრაა, პირიქით, ასეთ უჩვეულო პირობებში, როცა მერკულის გორიდან აფხაზთა სნაიპერები ჩასაფრებულან სულ რაღაც ნახევარი კილომეტრის მანძილზე, ხოლო მოქვის საზღვრიდან, რაღაც ასიოდე მეტრის დაშორებით აფხაზთა საგუშაგოებია, ამ სახლში ხალხმრავლობაა. განაკიდეში რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდა ჩასაფრებულა უშუალო თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. ირგვლივ ჰაერი უჩვეულო სუნითაა გაჟღენთილი, — გახრწნილი ადამიანის სუნით. ეს ადამიანი, ეს ახალგაზრდა კაცი იური ახლა თავის სახლში წევს და უკანასკნელ გზაზე დადგომას ელოდება. სახედაკაწრული და თშებჩამოგლეჯილი დედამისი ხმაჩახლეჩილი რაღაცას ბუტბუტებს, იგი თითქმის შეშლილია შვილის ტრაგიკული დაკარგვით. მამა უფრო იკავებს თავს და სადღაც სივრცეს მისჩერებია — „ეს რა მომესწროო“ ბუტბუტებს თავისთვის. ოთხი შვილი, ერთიმეორეზე პატარები და შეუღლე შავ ძაძებში შემოსილნი უხმოდ, უაზროდ დამდგარან ცხედართან.

ახლა ცხედარს დავაკვირდეთ, კაციჭამიებს (სხვას ვერაფერს უწოდებ ამის ჩამდენს) დაჭრილისათვის ჯერ ხელის თითებზი

ფრჩხილები დაუძვრიათ, შემდეგ ცხვირი მოჭრეს, ყურები ჩამოათალეს, ბოლოს თვალები დასთხარეს და ყელში ბასრი დანა გამოუსვეს. ამის შემდეგ კი ჭაობში მიაგდეს. კიდევ კარგი ულვაში შერჩა უბედურს და ხელზე რაღაც წარწერა, რომელიც მხოლოდ მშობლებმა იცოდნენ, თორემ თავიანთ მიცვალებულს ვერც კი ამოიცნობდნენ მისიანები. სიკვდილია და სიკვდილიც, თუ კაცი თავის ბედისწერისა გამო თავისსავე ლოგინში მოკვდება, ეს სავსებით ბუნებრივი ამბავია და ჭირისუფალიც უნებლიედ ეგუება იმას, რაც უფალმა ინება, მაგრამ ასეთი თავზარდამცემი ვითარება ჭირისუფალსაც ნახევრად მაინც შეშლის ჭკუიდან და არც მნახველსაც დააყრის კარგ დღეს. ასე იყო ახლაც. მოდიოდნენ და მოდიოდნენ შნახველები, დახედავდნენ ცხედარს და უხმოდ ზარდაცემულნი იბრუნებდნენ პირს...

შუადღემ მოატანა. ირგვლივ ისეთი სუნი დატრიალდა, რომ მიცვალებულის გაჩერება აღარ შეიძლებოდა. სამასიოდე მეტრის დაშორებით სასაფლაოა. ის-ის იყო მიცვალებულის გასვენების სამზადისს შეუდგნენ, რომ ჭიშკართან დაფეთებული „ჟიგული“ შოვარდა და თან მტვრის კორიანტელი დააყენა, ადამიანებში ჩოჩქოლი ატყდა...

დამხვდურთა ყურადღება მანქანამ მაშინ მიიპყრო, როცა მანქანის კარები გაიღო, იქიდან ოთხი გაფითრებული, შეიარაღებული ახალგაზრდა გადმოვიდა და მანქანიდან რაღაც ცოცხალი ტვირთი გადმოათრიეს, აი ის წვეროსანი ახალგაზრდა, ნაგვის ყუთზე ჩამომჯდარი რომ იყო ვაგზალში და მოულოდნელად გაბაწრეს. ჩანთა ისევ ისე ეკიდა ზურგზე. მხოლოდ სახარება ჩაებღუჯა ორივე ხელით და უაზროდ თავისთვის ბუტბუტებდა: „Боже упаси! боже, упаси“.

გაავებულ ახალგაზრდებს საერთოდ არაფერი ესმოდათ ღმერთისა, წიხლისკვრით წინ გაუგდეს და მიცვალებულის ჭირისუფალს მიჰგვარეს. ჭირისუფლისათვის არც უკითხავთ, ისე გადახადეს ზეწარი ცხედარს და წვეროსანს აჩვენეს, — აბა, კარგად დააკვირდი! აი რას სჩადიან თქვენები, აფხაზები. რაში დასჭირდათ ამ კაცის ცხვირი და ყურები? — დაუყვირა ერთმა.

ტყვეს ქვედა ყბა ბოლოქანქალა ჩიტის კუდივით უთამაშებდა და განაგრძობდა უაზრო ბუტბუტს...

ასეთი მოულოდნელი მოქმედებით არანაკლებ შეწუხებული გახდა ჭირისუფალი, დამატებითი საზრუნავი გაუჩინეს მოკლულის ძმას ბელორის, რომ შას შესთავაზეს რომ ტყვე მიცვალებულთან ერთად წაეყვანათ და მსხვერპლად დაეკლათ მის საფლავზე.

ერთი ჭირისუფალი, რომელიც შორიდან იყო ჩამოსული, საშინელი ღრიალით მივარდა წვეროსანს და ყურის მოგლეჯა დაუპირა, მაგრამ იმარჯვა მიცვალებულის მამამ, უხმოდ ხელი ჩაავლო იმ ჭირისუფალს და გვერდით მოისვა.

წვეროსანი თითქოს ვერაფერს ვრძნობდა, მხოლოდ ძაგძაგებდა, შველას ისევ ღმერთს ეხვეწებოდა და სახარებას ხელიდან არ უშვებდა.

ცოტაოდენი განსჯის შემდეგ სასაფლაოზე კაცის დაკვლის გადაწყვეტილება შეცვალეს და იმან, რომელიც წვეროსნის „აყვანას“ ხელმძღვანელობდა, მიცვალებულის უფროს ძმას ბელორის ავტომატი შეაჩეჩა ხელში და ბრძანებას კილოთი უთხრა:

— აჰა, აიღე ავტომატი, ჩადაიყვანე ტყეში, მდინარის პირას და იქ ჩააძაღლეო.

ბელორიმ უხმოდ ჩამოართვა იარაღი. ორიოდე ახალგაზრდამ იღლიებში ამოსდო ხელი ტყვეს და გარეთ გამოიყვანეს. ბელორი ავტომატით ხელში უკან გამოუდგა მათ.

ჰიშკრამდე არც კი იყვნენ მისულნი, რომ ვიღაცის ღონიერმა ხელმა ბელორის უკნიდან პერანგის საყელოში ჩაავლო ხელი და შემოატრიალა.

— ბელორი! — გაისმა მისი მკაცრი ხმა. — კარგად მისმინე, ეშმაკმა არ შეგაცდინოს, შენ შენს მიცვალებულ ძმას მიხედე, დღეს თოფის ხელში აღება შენი საქმე არ არის. ერთ ცოდვას მეორეს ნუ დაამატებთ. შომეცი იარაღი, შენ კი წადი და ცხედარს მიხედე. ბელორიმ რჩევა უსიტყვოდ შეასრულა.

მკაცრმა ახალგაზრდამ, რომელიც თვალებით ხვრეტდა ყველას, იარაღი პატრონს დაუბრუნა და ახლა მათ მიუბრუნდა:

— ბიჭებო, ის, რაც თქვენ გააკეთეთ დიდი შეცდომაა კაცისა და ღმერთის წინაშე. თუ ამ საწყალის სიკვდილი გინდოდათ, სად შოათრევდით ამ საცოდავს, იქვე მოგეკლათ და ის იქნებოდა, რად ვინდა დაადოთ ოჯახს და მთელს სოფელს ცოდვა უდანაშაულო ადამიანისა? განა ქრისტიანობა იმას ქადაგებს, რომ სხვისი ჩადე-

ნილი დანაშაულისათვის უდანაშაულო ადამიანები დაეხოცოთ? დაფიქრდით და თვითონ განსაჯეთ, თუ ასეთი გზით ვიცლით, მაშინ ყოველი ჩვენთაგანი შეიძლება დაგვხოცონ, ან ჩვენ დავხოცოთ სხვები. ასე არ არის?

ხალხი ჯერ გონზეც არ იყო მოსული, არ ეგონათ, თუ ამის თქმას ასეთ სიტუაციაში ვინმე გაბედავდა. მოწონების ნიშნად ბევრმა თავი დააქნია, ჭირისუფალი ორჭოფობდა. ერთმა ვიღაცამ იარაღიც კი გააჩხაკუნა, დამცველი ჩასწია და ავტომატს პირში ვაზნა მისცა, ალბათ იმისთვის, ვინც იმ წვეროსანი აფხაზის გადარჩენას ცდილობდა.

მკაცრ ახალგაზრდას მისთვის ყურადღება არც მიუქცევია, ისე მშვიდად უთხრა: ვაზნა შეინახე და შური გადამთიელებზე და იმათზე ვიძიოთ, ვინც თავს დაგვესხმება, მხოლოდ არა დღეს, ჯერ ცხედარი მივაბარებთ მიწას ქრისტიანული წესითო.

შემდეგ ივი ჭირისუფალს მიუბრუნდა და თხოვნით მიმართა, — ნუ დაიდებთ სამუდამო ცოდვას, ნუ გახდით სალაპარაკოდ იმას, რომ ასეთი რამ მოხდა ამ სოფელში და ამ ოჯახში. გახსოვდეთ, თქვენს შვილს ოთხი პატარა დარჩა, ბელორისაც ჰყავს პატარები და თუ სადმე განგება და სამართალია, ამ პატიების სანაცვლოდ, უფალი იქნება თქვენი პატარების მფარველი...

ჭირისუფალმა გონიერება გამოიჩინა და დათანხმდა პატიებას.

შეცბუნებულებმა, ვინც წვეროსანი დაიჭირეს და მოიყვანეს, ისღა მოახერხეს, რომ ტყვე იმ ახალგაზრდას შეაჩეჩეს ხელში, რომელმაც ეს ცოდვის კითხვა ჩაშალა.

— აჰა, რაკი ასეა, შენ ჩაიბარე და რაც გინდა ის უყავიო!..

ის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ასე გონივრულად და გაბედულად იმოქმედა, იმავე სოფლის, არადუს მაცხოვრებელი ბადრი გოლეთიანი გახლდათ...

— ეკვრე იყოს! — თქვა ბადრიმ ამაყად — მომეცით და ამ საცოდავს იქ ჩავაბარებთ, სადაც მიხედავენ.

შემდეგ წამსვე მოტრიალდა, წვეროსანს ხელი დააკლო, ბორის ლეთოდიანთან ერთად მანქანაში ჩასვა და შტაბს ჩააბარა. თან შტაბის წევრები გააფრთხილა, რომ იმის მეტი, რაც არადუში მოუვიდა წვეროსანს, არაფერი დამართნოდა და სთხოვა მათ ყოველი ღონე ეხმარათ, რათა ტყვე თავის ოჯახს ცოცხალი დაბრუნებოდა. ასე გადარჩა აფხაზი ფილია (სახელი არ ვიცით) წამებით სიკვდილს არადუში.

ყველაფერი ის, რაზედაც ზემოთ მოგითხრეთ, ცოტა მოგვიანებით მოხდა. დაახლოებით 1992 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში. ომი აფხაზეთში კი ამავე წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

საქართველოს საჯარისო ნაწილები (მცირერიცხოვანი), სარკინიგზო და საავტომობილო ტრასებზე წესრიგის დამყარების მიზნით (რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია), შეიდნენ საქართველოს, ამჯერად აფხაზეთის ტერიტორიაზე, მათ უვნებლად გაიარეს გალი. ოჩამჩირის მისადგომებთან კი მათ ცეცხლი გაუხსნა ე. წ. აფხაზურმა გვარდიამ, რომელიც უშუალოდ არძინბას დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. არძინბამ ჩანგაში ატეხა, საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. მთელს მსოფლიოს მოჰფინა ამბავი იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო ჯარებმა დაარღვიეს სუვერენული სახელმწიფოს (მისი სიტყვებია) აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვრები, თავს დაესხნენ მას და მოახდინეს მისი ოკუპაცია. არძინბამ ყოველი ჯურის გადამთიელს მოუწოდა ჩამოსულიყვნენ აფხაზეთში და დახმარებოდნენ ოკუპანტების გასარეკად. მინდა მკითხველმა იცოდეს ამთავითვე, რომ ჩემი მოთხრობის მიზანს არ შეადგენს იმის გარჩევა, თუ რა მოვლენებმა მიიყვანა აწ მდგომარეობამდე აფხაზეთი. ამის ჩარჩევა მომავლისათვის და ნამდვილი ისტორიკოსებისათვის (და არა ვაიისტორიკოსებისათვის) მიგვიჩნდვია, ხოლო ჩვენი მოთხრობის მიზანია მემატიანის გულმოდგინებით დავაფიქსიროთ მხოლოდ ფაქტები, ნამდვილი ამბები და მოვლენები, რის გადმოცემასაც შევეცდებით ომიხ დაწყებიდან, ვიდრე მის დამთავრებამდე. მერე კი მკითხველმა განსაჯოს, თუ რა მოხდა...

დღიურების წერას მხოლოდ 1992 წ. 17 ოქტომბრიდან შევუდექი. საერთოდ წიგნის დაწერა იმ აფხაზის გადარჩენამ მაფიქრებინა, კინაღამ რომ დააკლეს მიცვალებულს და მასთან დაკავშირებულმა იმ ქართველის ვაჟკაცობამ, რომელმაც თავი გამოიჩინა მის გადასარჩენად. თუ რა მოხდება შემდეგ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში, ამას დრო გვიჩვენებს.

ომის დაწყებიდან 17 ოქტომბრამდე ბევრი რამ მოხდა აფხაზეთში: უფრო მეტი სამარცხვინო და გულსატკენი, ვიდრე სასიქადულო. ქართველთა ნაწილებმა სოხუმი დაიკავეს, არძინბამ მოასწრო თითქმის მთელი აფხაზეთის მოძრავი ქონება გუდაუთაში

გადაეზიდა. ქართული ნაწილები ფუმისთასთან შეჩერდნენ. ქართველების ხელში აღმოჩნდა აგრეთვე გაგრა, განთიადი, ლესელიძე, 3 სექტემბერს სამმხრივი ხელშეკრულება დაიდო მოსკოვში — ქართულ-რუსულ-აფხაზური. ამ ხელშეკრულებით მოხერხებულად ისარგებლა არძინბამ და პირველ და ორ ოქტომბერს ტრაგედია დაატრიალა გაგრაში, განთიადში, ლესელიძეში. აფხაზებმა საზღვარი დაიკავეს მდინარე ფსოუზე; ეს მოხდა იმ დროს, როცა გაგრისა და განთიადის ქართულ სკოლებში პირველ ოქტომბერს სწავლა დაიწყო. ამ დღეს დაიწყო ქართველთა გენოციდიც. მოწინააღმდეგე გააქტიურდა გუმისთის ფრონტზე, მან საზღვარი გახსნა რუსეთთან და დაუბრკოლებლად შემოზიდა ნაირ-ნაირი მძიმე ტექნიკა, გამოჩნდა აფხაზური ავიაცია, სამხედრო ფლოტი, დაიწყო სოხუმის ბარბაროსული დაბომბვა.

ოჩამჩირის შიმდებარე ფრონტებზე ჯერ პარტიზანული ბრძოლები გაჩადა, შემდეგ კი უკვე გამოჩნდნენ ნამდვილი აფხაზური გადამთიელური საჯარისო შენაერთები და მათი მოქმედება თანდათან ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა თავდაპირველად მოთხრობილ ამბავში ჩვენ მოვლენებს ცოტა წინ გავუსწარით და ვახსენეთ მეორე შეტაკება, რომელიც მერკულაში მოხდა, რამაც საკმაოდ დაძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა ამ ადგილებში. ახლა კი მინდა მოგითხროთ პირველ შეტაკებაზე, რომელმაც საბოლოოდ გააფუჭა ეს ურთიერთობა და ქართველები და აფხაზები ერთმანეთს მტრად გადაეკიდნენ და გადაეკიდნენ ისე, რომლის მსგავსი მათი მრავალსაუკუნოვანი ერთად ცხოვრების ისტორიას არ ახსოვს.

სოფელ არადუს მიმდებარე რამდენიმე ძირძველი აფხაზური სოფელია, — ვინ იცის, როდის დასახლებული და გაშენებული. მეათე საუკუნეში აშენებული განთქმული მოქვის მონასტერი (აფხაზებს საკუთარი მონასტერი არასოდეს ჰქონიათ) დარაჯად ედგათ თავს ქართულ-აფხაზურ მეგობრობას. თვითონ სოფელი არადუ განაშენიანდა ერთ უსიერ ჭაობიან ტყეში 1949-50 წლებში, სადაც მთიდან გადმოსახლებული ხალხის არაერთი სიცოცხლე შეიწირა ახალმოსახლეობის სიდუხჭირემ და მალარიამ. ბევრი მათგანი უკანვე დაბრუნდა, უმრავლესობამ კი აუტანელი შრომის ფასად ჭაობიანი და კოლოებით სავსე ტყე ხეხილის ბაღებად და წალკო-

ტად აქცია, აუტანელი შრომისა და გარჯის ფასად შეიქმნა დაბის ტიპის მშვენიერი დასახლება ორსართულიანი სახლებითა და მოწყობილი საკარმიდამოებით, თუმცა, როგორც ვთქვი, ყოველივე ამან უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენლის სიცოცხლე შეიწირა. წამოვიდა ახალი თაობა თავისი ინტელიგენციით, შრომისმოყვარე ადამიანებით და მის პარალელურად სოფლის ბევრი წურბელათი და თალღითით. რაც ჩვეულებრივი სენია ხოლმე ჩვენებურ ქართულ ყოფა-ცხოვრებაში (ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახეო).

სახელი არადუ კი აფხაზურია, დიდ კაკლის ხეს ნიშნავს, იყო მართლაც მდინარე მოქვის ჭალებში საუკუნოვანი კაკლის ხეები. ახლა კი ერთ ძირსაც კი ვერ დაინახავთ სადმე. ძალიანაც კი მოსწონდათ აფხაზებს, რომ სახელი არადუ არ შეცვლილა, სამაგიეროდ გულზე არ ეხატებოდათ (ალბათ) სოფელი ცაგერა, მხოლოდ იმის გამო (და არა მარტო ამისათვის), რომ ცაგერა ერქვა. ცაგერაც არადუს მიმდებარე ქართული სოფელია, იგი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე განაშენიანდა 1940-41 წლებში.

სოფელ არადუში არიან მალარიისაგან დახოცილი მარშანიები და სხვა გვარის აფხაზები. ერთ უბანს თათრის ნამოსახლარიც კი ჰქვია. ისინიც ამოწყვეტილან ციებ-ცხელებით. არადუში ჩასახლებულ ქართველებს ამ სოფელში (უფრო სწორად უსიერ ტევრში) რამდენიმე აფხაზი მოსახლე დახვდა: სოფლის თავში ძმები შალოდია და სერაპიონ შადანიები და სოფლის ბოლოში ერთი ვანიჩქა ინაფშბა, კაკალიების სამიოდე ოჯახი, გიგავები და სოფლის შუაგულში ბეგანია იასონი. ეს იყო და ეს, სულ რაღაც ხუთი თუ ექვსიოდე ოჯახი. ისინი ერთმანეთს მუხის ტევრში გამავალი საცალფერო გზებით უკავშირდებოდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოქვის მონასტრისაკენ მიმავალ ერთადერთ საურმე გზას, რომელიც მრავალ ადგილას განიტოტებოდა. ეს ყველაფერი იყო თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, სოფლის განაშენიანების შემდეგ მოქველი აფხაზი ბავშვები არადუს ქართულ სკოლაში სწავლობდნენ, მაშინდელმა აფხაზებმა, თითქმის ყველამ იცის ქართული და მშვენივრად ითვისებდნენ ქართულ ენას.

მერე ზემოდან ვიღაცამ აურია, რუსული ანბანი შემოიღეს, რა კუდები არ მოაბეს რუსულ ასოებს, მაგრამ, ისე მოხდენილად მაინც ვერ ლაპარაკობდნენ რუსულად, როგორც ქართულად,

რადგან რუსულს არ აქვს ასობგერები: ბ, წ, ღ, ჰ, ძ, ყ, ურომლისოდაც არც ქართული ვარგა და არც აფხაზური. მათ რატომღაც მაინც რუსული ირჩიეს, ის კი არა, ზოგმა, თითქმის 40-მა პროცენტმა სულ დაივიწყა თავისი მშობლიური სალაპარაკო აფხაზური ენა. ამჟამად ოთხკლასამდე აფხაზურ-რუსულად სწავლობენ, მეოთხე კლასიდან კი აფხაზური სახელმძღვანელოები არ აქვთ და მთლიანად რუსულზე გადადიან. საკითხავია, ვის უნდა შეედგინა სახელმძღვანელოები აფხაზური საშუალო სკოლისათვის?

დაბეჯითებით მინდა დავარწმუნოთ, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა იყო უკანასკნელ დრომდე ქართველებსა და აფხაზებს შორის, ჭირსა თუ ლხინში მისვლა-მოსვლა, ურთიერთ პატივისცემა, თხოვება და გათხოვება და ათასი სხვა რამ. მერე საიდანღაც გამოჩნდა „შავი კატა“, ალბათ, ორივე მხრიდან და ამ შავი კატების კნავილმა დიდი უბედურება და ტრაგედიები დაატრიალა აფხაზეთში.

ჩვენო ძვირფასო მკითხველო, რაკი შევთანხმდით, რომ ჩვენ თავს ვარიდებთ ყოველგვარ ისტორიულ მიმოხილვებს და კომენტარებს და როგორც შეგპირდით, მოგითხრობთ ფაქტებზე, ნამდვილად მომხდარ ამბებზე, თან იმასაც შევეცდები, რომ მოგითხროთ არა მარტო არადუზე და ცაგერაზე, არამედ კონკრეტულად მოცემულ მომენტში, თუ რა ხდებოდა სხვა ფრონტებზე—ოჩამჩირეში, სოხუმში, რა ინფორმაცია იყო თბილისიდან, მოსკოვიდან, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ვიდრე ომის დამთავრებამდე...

ახლა კი ვაგრძელებ თხრობას და მინდა გიამბოთ პირველ შეტაკებაზე, რომელმაც არადუს მთელი აფსაზობა სამტროდ გადაჰკიდა...

ოჩამჩირეში განლაგებულ შტაბს ცნობა მიუვიდა, რომ სოფელ მოქვის იმ ნაწილში, სადაც იგი არადუს ესაზღვრება, დგანან ავტობუსები, რომლებიც სავსეა აფხაზი და მათი დაქირავებული „ბოევიკებით“ და ემზადებიან იერიშისათვისო. შტაბმა დაზვერვაზე რამდენიმე მებრძოლი გაგზავნა, რომელსაც თან ახლდა რომელიღაც არადუელი მეგზურად. როცა მოქვის დასახლება აჯაჯვუს მიუახლოვდნენ, მათ მართლაც შენიშნეს რამდენიმე

ავტობუსი და ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი. ვერტმფრენით აქ იარაღი და ტყვია-წამალი გადმოჰქონდათ გუდაუთიდან, ქართველ მზვერავებს ავტობუსებიდან ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნეს და ერთი მათგანი მოჰკლეს, ორიოდე კი დაჭრეს. მცირერიცხოვნობის გამო მათთან შებრძოლებას აზრი არ ჰქონდა. ამ მომენტში არადუსკენ მომავალი წითელი ფერის „ჟიგული“ გამოჩნდა, მისი პატრონი ვალერა აშუა აღმოჩნდა, არადუელების სიძე. ქართველებმა მანქანა გაჩხრიკეს. ვალერას მანქანაში ხელყუმბარა „ფ-1“ აღმოჩნდა, მიზეზად ესეც კმაროდა და ერთმა ქართველმა ავტომატი მოიმარჯვა მის მოსაკლავად, მაშინ იმარჯვა არადუელმა მეგზურმა და ბიჭებს უთხრა, რომ ეს კაცი ჩვენი სიძეა და ნუ მოკლავთო; მათაც ისმინეს და ასე გადაარჩინა. კიდევ ერთი აფხაზი ერთმა ქართველმა თუმცა შემდგომში აფხაზებმა არადუელს მეგზურობა დასწამეს, ხოლო ვალერა მთელი ომის განმავლობაში არადუში არ გაჰსჭანებულა. იმ მანქანით ბიჭებმა მოკლულის ცხედარი და დაჭრილები ჩაიყვანეს ოჩამჩირეში (ცნობისათვის ის მანქანა ბადრიმ მეორე თუ მესამე დღეს დაუბრუნა პატრონს). დაზვერვის მიერ შტაბში მოტანილ ამბავს მთელი ტრაგედია მოჰყვა. ერთი საათის შემდეგ ოჩამჩირიდან ამოვიდა ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი ქვეგანაყოფი. მოდგნენ აჯაჯვეს დასახლებას და პირწმინდად გადაწვეს ოცამდე სახლი. თუმცა, როგორც გამოირკვა, იქ თავს იყრიდნენ მთელი იმ არემარის აფხაზი „ბოევიკები“ და ამზადებდნენ საბრძოლო ოპერაციებს. გადამწვარი სახლებიდან კვამლის ბუღი ადიოდა ჰაერში, სადამო ხანს ამ ადგილებს ორმა ვერტმფრენმა შემოუფრინა. ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს ვერტმფრენები. ერთი რამ კი დაბეჯითებით ვიცით — აფხაზებისა და ქართველების მეზობლობისა და მეკობრობის მაგივრად დაიწყო სისხლისმღვრელი და სისხლისმსმელი მტრობა და დაპირისპირება.

არადუს ჭაობიან ტევრში დღისით შმორის სუნით იყო გაგუდული გარემო, ღამით კი უთვალავი მალარიის კოღოს წივილისა და ტურების კივილის მეტი არაფერი ისმოდა. ბლომად იყო ტყეში ნადირი — მგელი, ფოცხვერი, გარეული კატა, კურდღელი, შველი. ფრინველთაგან მრავლობდა უმშვენიერესი კოლხეთის ხოხობი. აღარაფერს ვამბობ დანარჩენ სახეობებზე, არანაკლებ მომ-

რავლებულზე. მდინარე მოქვი სავსე იყო ნაირგვარი თევზით..:

ყველაფერი ეს ამჟამად გამქრალია ამ ეგზოტიკურ ადგილას. მუხისა და წიფლის ტყერის ნაცვლად ნაირგვარი ხილეულობა და ჩაისა და ტუნგის პლანტაციებია გაშენებული. ნადირ-ფრინველმა, რომელიც კი გადარჩა, მთიან წინეთს შეაფარა თავი.

მართალია ჭაობიანი ტყერის ნაცვლად მშვენიერი სოფელი გაშენდა თავისი დიდი საბაფლაოთი. სასაფლაოზე საფლავების სიმრავლე მეტყველებს იმაზე, თუ ამ მოკლე ხანში რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ამ ადგილის შეჩვიდებას და გაშენებას, მაგრამ, ვაი რომ უაზრო ხოცვა-ჟლეტით, განსაკუთრებით დღეს, სასაფლაოს მუდმივი წევრთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება...

სოფლის თავში, როგორც გიამბეთ, იქ, სადაც მოქვსა და არადუს შორის შემაერთებელი ადგილია, აფხაზი შადანიები ცხოვრობენ, ძმები შალოდია და სერაპიონი. ორთავე არადუს ეკუთვნის და მდიდრულად მოწყობილი ცალ-ცალკე ოჯახები აქვთ. შალოდია თბილისის უნივერსიტეტში ჩარიცხეს უგამოცდოდ, კონკურსს გარეშე, როგორც აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზებისათვის კონკურსგარეშე, უგამოცდოდ ასი ადგილი იყო გამოყოფილი. მგონი, მსოფლიოში ასეთი პრეცენდენტი არ არსებობს, რომ ასეთ პატარა ერს ამდენი ყურადღება ეთმობოდეს. შალოდიამ დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი და მის შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობდა სკოლების დირექტორად აფხაზურ სოფლებში, უკანასკნელ დროს კი სოფელ მოქვში. მოქვის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა მისი უფროსი ძმა სერაპიონიც, ისიც მაღალ თანამდებობაზე. ამრიგად, ისინი ცხოვრობდნენ ქართულ სოფელ არადუში და მუშაობდნენ აფხაზურ სოფელ მოქვში. არადუში მათ კარგი ურთიერთობა და მეზობლობა ჰქონდათ (და აქვთ) არადუს მაცხოვრებლებთან. საფიქრებელია, რომ ბრძინბას მიერ აფხაზებზე მოფრქვეული საწამლავის ზუნმა შადანიებზეც მოახდინა გავლენა, და ეს არცაა გასაკვირი, თუმცა არადუს მოსახლეობა ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო და არის არადუში მცხოვრები აფხაზების მიმართ. გამონაკლისი არც შადანიები არიან...

ბევრ რამდენიმე წელია დადის ხმები (და დადიოდა ადრე), რომ აფხაზები მოსახლეობაში ბეროვებენ თანხებს იარაღის შესა-

ძენადო (ქართველებს სანადირო თოფებიც კი ჩამოართვეს). დაზვერვით ცნობილი გახდა, რომ სოფელ მოქვში იარაღის შესაძენი თანხების შეგროვებაში სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა განსაკუთრებით სერაპიონი, რომელიც ბუხჰალტერი და პროფკავშირის თავმჯდომარე იყო მოქვის მეურნეობაში. რამდენად მართალია ეს ბრალდება, ამისგან ავტორი შორს იჭერს თავს, მაგრამ ქართული სამხედრო ნაწილისათვის კი ეს ცნობილი გახდა, გახდა საფუძველი იმისა, რაც იმ ღამეს მოხდა...

გვიან ღამით შადანიების ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. იქიდან სასწრაფოდ გადმოვიდა ოთხი შეიარაღებული ახალგაზრდა და შადანიების სახლს ალყა შემოარტყეს. შემდეგ ორი მათგანი სახლში შევიდა. ძმები დასაწოლად ემზადებოდნენ და გასაკვირი არ უნდა იყოს მათი გაოცება დაუპატიჟებელი სტუმრების გამოჩენაზე.

— რომელია თქვენს შორის სერაპიონი? — მკაცრად იკითხა ერთმა.

გაფითრებულმა სერაპიონმა ხელი ასწია.

მას წინადადება მისცეს უკვე გახდილი პერანგი ჩაეცვა და უკან გაჰყოლოდა. ბრძანება შესრულებულ იქნა. სერაპიონ შადანია წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. ოჯახმა გლოვა გამოაცხადა. არავინ იცოდა, მოკლავდნენ თუ გადარჩებოდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ სოფლის მცხოვრებთაგან ვერავინ დაესწრო მის წაყვანას, ანდა რომც დასწრებოდა, რას გახდებოდა შეიარაღებულ ხალხთან...

მეორე დღეს ამბავი მოვიდა, რომ სერაპიონის გამოსახსნელად გამტაცებლები თხოულობდნენ ასი ათას მანეთს და დათქმული იყო დროც. თუ ამ დროს შესრულებული არ იქნებოდა პირობა, სერაპიონი დარჩებოდა უთავოდ. დასახელებული იყო მისამართიც — სერაპიონი წაეყვანათ ბესლახუბაში და ერთ-ერთი ოჯახისათვის ჩაებარებინათ.

ბუნებრივია, არადუს მოსახლეობამ და განსაკუთრებით კუთხემ (ამ კუთხეში კი ოთხმოცამდე კომლი ცხოვრობს) ასეთი აქტის ჩადენა ქართველების მიერ შეურაცხყოფად მიიღეს. შალდიას მხოლოდ ათი ათასი მანეთი აღმოაჩნდა. ეს საკმარისი არ იყო. მაშინ დატრიალდა მიმდებარე მთელი ქუჩის მოსახლეობა (ქართველები) და რამდენიმე საათში მოუგროვეს აფხაზ სერაპიონს თა-

ვის გამოსახსნელად ასი ათასი მანეთი. ახლა მთავარი იყო, თუ ვინ წაიღებდა ამ თანხას და ვინ გამართავდა მოლაპარაკებას. მის შემდეგ, რაც იური ყურაშვილის გასვენებაზე აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის დასაცავად თავი ბადრიმ გამოიჩინა, სოფელში მისი ავტორიტეტი (და არა მარტო სოფელში) დიდად გაიზარდა და სოფლის ახალგაზრდობამ სერაპიონის გამოხსნა ბადრის მიანდო. ბადრის გურგენ ახვლედიანიც გაჰყვა თან და მოსალაპარაკებლად წავიდნენ... როგორც იყო, ბადრიმ გამტაცებლებთან საერთო ენა მონახა და ში'შით დაპატარავებული სერაპიონი რამდენიმე საათის შემდეგ იმავე მანქანით შალოდიას ჩააბარეს, თან მისი ათი ათასი მანეთიც დაუბრუნა უკან ბადრიმ შალოდიას და უთხრა: — რაკი ქართველებმა მოიტაცეს, სამართლიანი იქნება ქართველებმა გამოიხსნასო, მაგრამ გახსოვდეს, ცოტა არ იყოს აფხაზებიც შეგონე ისე ვაჟკაცურად მოიქცნენ, როგორც ჩვენ ვიქცევითო...

ბადრისა და მისი ამხანაგების ასეთი ქცევა როდი სიამოვნებდა ზოგიერთ წინდაუხედავ ქართველს, რომლებიც აფხაზების დახვრეტას და აწიოკებას მოითხოვდნენ. რა იცოდნენ, რომ ბადრის წინდახედული მოქმედება სოფლისა და მომავალი ურთიერთობის გადარჩენას უწყობდა ხელს. ჯერჯერობით ბადრი უფრო ტაქტიკურად, დარწმუნების ხერხით მოქმედებდა და რაღაც შედეგს ყოველთვის აღწევდა...

მაგრამ მოხდა ერთი ისეთი ფაქტი, სადაც ძალის გამოყენებაც გახდა საჭირო. ამის შესახებ მინდა ბარემ აქ მოგითხროთ, რათა გამოიკვეთოს, თუ რა იყო ბადრისა და მისი მეგობრების მოქმედების საბოლოო მიზანი.

იმხანად არადუში ქართველ მოხალისეთა ნაწილი იდგა. ვერ გაიგებდით, თუ ვის ემორჩილებოდა ეს ნაწილი, ვინ იყო მათი მეთაური და წინამძღოლი. ეს, ალბათ, იმის შედეგიც იყო, რომ, როცა გამოცხადდა, რაც შეიძლება მეტი მოხალისეები შეგროვებულიყვნენ, ისეც ხდებოდა, რომ თვითონ მოხალისეები შეიკრიბებოდნენ და გამოემგზავრებოდნენ აფხაზეთში სამრად. რა დასამალია და ბევრი საშოვარზედაც კი მიდიოდა, ხოლო ჩააღწევდნენ რა აფხაზეთს, იქ ყოველგვარი ორგანიზებულობის გარეშე, ხან ბტერს შეებმებოდნენ და ხანაც მოყვარეს. ეს, რა თქმა უნდა, ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. მოდიოდნენ ისე, რომ არავი-

თარი ორგანიზებულობა, ამუნიცია, საკვები თუ სხვა საჭირო რამ მათ არ მოჰქონდათ. იკვებებოდნენ მით, „რასაც იშოვიდნენ“ და, რასაკვირველია, „საშოვარზე“ გასული ჯარისკაცი (თუ იმათ ჯარისკაცები ერქვათ) არც ზოგავდა, რაც წინ დახვდებოდა. მით უმეტეს, რომ ამ ნაწილებში ბევრნი იყვნენ გზასაცდენილი თუ ციხიდან ამნისტიით გამოშვებული ადამიანები, ვიმეორებ, მათი ნაწილი, მხოლოდ ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. იმასაც ვიმეორებ მრავალგზის, რომ ათასჯერ უმჯობესი იყო იარაღი მიეცათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ადგილობრივი კაცი მტერს უფრო შეუპოვრად დაუხვდებოდა, ვიდრე მოსული და შედეგიც სავალალო არ იქნებოდა. ხშირად ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვის ემორჩილებოდნენ ისინი, მოხალისეები პასუხობდნენ — „ვემორჩილებით ჩვენს თავსო“, ან ვიღაც „კლიჩკებს“, რომელნიც შეკითხვებზე პასუხებს არც კი ცდილობდნენ, არ ამბობდნენ, ვის ემორჩილებოდნენ ისინი. ასეთი ნაწილები შემოდიოდნენ სოფლებში; სოფელი მათ აჭმევდა, ასმევდა, ისინიც მაგრად გამოთვრებოდნენ და მერე თუ როგორ დაუხვდებოდნენ მტერს, თავად განსაჯეთ, ასე იღუპებოდა ბევრი მათგანი და ღუპავდნენ სხვასაც. რასაკვირველია, მათ შორის იყვნენ წესიერებიცა და მხდალებიც, მაგრამ ერთ მხდალსა და პროვოკატორს შეუძლია მთელი ნაწილი ან დაღუპოს ანდა სახელი გაუტეხოს მას.

იმხანად არადუში შემოსულ ასეთ ნაწილს შეტყობინება მიუვიდა (ალბათ ადგილობრივი დამსმენისავან), რომ სოფლის ბოლოს მცხოვრებ კაკალიებში ერთ ახალგაზრდას, რაჟიკო კაკალიას თითქოსდა კავშირი ჰქონდა აფხაზ „ბოევიკებთან“. მოსულთაგან, რომლებიც გვარიანი გალეშილი იყვნენ, შუაღამისას რაჟიკოს სახლს მიაკითხეს, თუმცა ისინი რაჟიკოს კი არ ეძებდნენ, არამედ უნდოდათ გაეგოთ, ამ სახლს ვინმე „ბოევიკი“ ხომ არ აფარებდა თავს. სახლში დედა და რაჟიკო დახვდნენ. რაჟიკოს შეეშინდა და ფანჯარაში გადახტა (თუმცა მას არავინ ერჩოდა). სახლში შესულმა მებრძოლმა იფიქრა, აქ ალბათ ვინმე თავშეფარებული იმალებოდაო და ფანჯრიდან გადამხტარს ავტომატის ჯერი დააყარა. რაჟიკო თავის ბოსტანში დაიცხრილა.

მოსულები წავიდნენ. მოკლული ორ დღეში უხმოდ დაკრძალეს იქვე, თავის ეზოში. იგი ნათესავი აღმოჩნდა არადუელი ქართ-

ველი ინჟინრის ემზარ ლეთოდიანის ცოლისა. რამდენადაც ემზარის სიდედრი კაკალიაა, გამოთხოვილი ქართველ ჩაკვეტაძეებში.

ემზარისა და ბადრის კარგი მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან და ერთი კვირის შემდეგ ე. წ. „ხელის გახსნაზე" მოკლულის ოჯახში მოხვდნენ, როგორც ნათესავების თანამგრძნობელები. აქ იყო აგრეთვე ვალოდია კაკალია, რაჟიკოს ნათესავი...

გვიანი ღამეა და ეს ახალგაზრდები სუფრას უსხედან, მათ არ იციან, თუ რა ხდება მეზობელ სახლებში. იმ სახლებს კი თურმე ამოწმებს სამი კაცისაგან შემდგარი „პატრული" (არავინ იცის ვისი დავალებით). იმ სახლის შემოწმების ჯერიც დადგა, სადაც ბადრი, ემზარი და ვალოდია სუფრას უსხდნენ. ესენი უიარაღონი არიან. უეცრად კარი გაიღო და ავტომატებით შეირაღებული სამი ახალგაზრდა („პატრული") დაუკითხავად შემოვიდა სახლში. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ ვალოდიასათვის ორმოცდაათი ათასი მანეთის გადახდა (რისთვის?!) „შეუწერიათ", ალბათ, ესეც ვიღაცის დასმენით და მითითებებით. ბადრიმ მოსულები თავაზიანად მიიწვია სუფრასთან და სთხოვა თითო სასმისი აეღოთ. ბადრისთვის არავის მოუსმენია, განსაკუთრებით ერთი წითური აქტიურობდა. მან ვალოდიას ხელი გამოსდო და მეზობელ ოთახში გაიყვანა, ორნი კი სუფრასთან დარჩნენ, რომლებიც ძალიან გულმოსულები ჩანდნენ. მათ არ ეგონათ, თუ აფხაზებთან ქართველებს გადაეყრებოდნენ და ისიც სუფრასთან.

მეორე ოთახში საუბარს დასასრული არ უჩანდა. მაშინ ბადრი ადგა და მათთან შევიდა, მან მოიბოდიშა და კიდევ ერთხელ სთხოვა წითურს, გამოსულიყო და სადღეგრძელო აეღო.

წითურმა ბადრის გულმოკლულად უთხრა, შენ შენს ადგილას დაეტიე, ჩვენ აქ სალაპარაკო გვაქვსო.

ბადრიმ თავაზიანად მიმართა:

— თუ თქვენ სალაპარაკო გაქვთ, შეგიძლიათ სხვა დროს ილაპარაკოთ. ეს კაცი ახლა ჩვენი სუფრის წევრია და იმის ნებას არავის ვაძლევთ, იგი ვიღაცამ გაიყვანოს და გამოიყვანოს წარამარა! — ეს თქვა ბადრიმ, ვალოდიას ხელი მოჰკიდა და თავის ადგილას დასვა. გაბრაზებული წითური ზანტად ადგა და უხმოდ დაჯდა სუფრასთან...

ბადრიმ იმ ბიჭების შესანდობარი ასწია, რომლებიც ამ უაზ-

რო ომში დაიღუპნენ ორთავე მხარეზე, მათ შორის რაჟიკოც მოიხსენია. ამ დროს რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა. ეტყობოდა წითური უზომოდ მთვრალი იყო და „შეწერილ“ ფულს მოითხოვდა. იგი ისე აუხირდა ბადრის, ბადრიმაც რაღაც უთხრა პასუხად: წითურმა მუჯში დაჰმუჯნილი ხელის ნაწმენდი ქაღალდი ბადრის ზედ სახეში სთხლიშა.

ბადრის ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია, ისევ ისე ეჭირა ხელში არყით სავსე ჭიქა. მერე ანაზდად კბილებში გამოსცრა: — აი, ხეთქვაც ასეთი უნდაო! უცბად მოტრიალდა და მთელი ჭიქა არაყი სახეში შეასხა წითურს და ცარიელი ჭიქაც ჯაგარაშლილ თავზე დაახალა. ყველა ერთად წამოიშალა. ატყდა ჩოჩქოლი. წითურმა ავტომატი დააძრო და ბადრის მიუღირა. ბადრის იარაღი არ ჰქონდა და ისევ ისე იდგა, ისინი იმდენად ახლოს იყვნენ, რომ მხოლოდ ვინმეს საზრიანობა თუ გადაარჩენდა მდგომარეობას. ბადრიმ თვალის დახამხამებაში აცურა ხელი ავტომატის ლულას. საბედნიეროდ დამცველი ბოლომდე ჩაწეული აღმოჩნდა და იარაღი ავტომატური სროლის რეჟიმზე არ იყო დაყენებული, სამამდე გასროლა მაინც მოასწრო წითურმა, ტყვიები მხოლოდ ჭერს ხვდებოდა. როგორც იყო ვონს მოეკვნენ წითურის თანმხლები ბიჭები, ეძგერნენ მას და იარაღი აართვეს. ბადრი კაცურად მოიქცა, ემზარის სთხოვა, მანქანაზე შეეგდოთ წითური და მის ამხანაგებთან ერთად მათ მიერვე გაპარტახებულ სკოლაში წაეყვანა, სადაც მათი ნაწილი იყო დაბანაკებული...

. ემზარი მალე დაბრუნდა — მათ მეთაურს ჩავაბარეო, თქვა და სუფრაზე ლაპარაკი ვაგრძელეს. აქ კი გადაჭრით თქვა ბადრიმ, „ასეთი ადამიანები სოფელს უნდა მოვაშოროთ“ და სამოქმედო გეგმაზე დაიწყო ფიქრი.

ბადრიმ მთელი ღამე თეთრად გაათენა. წუხანდელი კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს არჩევდა. ვარიანტები გამოთვალა:

პირველი ვარიანტი: ხომ ფაქტია — ჯაბა იოსელიანმა თავისი ბიჭები აქ იმისთვის გამოგზავნა, რომ სოფელი დაიცვას აფხაზებისა და მათი დაქირავებულებისაგან. დაიცვას თავდასხმებისაგან და გადაარჩინოს ქართველები დარბევისაგან (ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობს), მაგრამ თავაშვებული ბიჭების ნაწილი (ბიჭებს ვამბობ, თორემ მათ შორის ბევრი ხანში შესულიც ურევია)

არ ემორჩილებიან არავის და თვითონ არბევენ სოფელს, მერედა, რა გამოვა აქედან? დღეს თუ ხვალ ისინი, როგორც მოვიდნენ, ისე წავლენ და დარჩება უკმაყოფილო, დარბეული, გაძარცული სოფელი (ლაპარაკია არა მარტო არადუზე) და ქართველ-აფხაზთა საშვილიშვილო მტრობა. არა, ამის დაშვება არ შეიძლება! იცის კი ჯაბამ ეს ამბავი? რომ იცოდეს, ალბათ, ჩამოახრჩობდა მის შემარცხვენელ მარადიორებს, იქნებ არ იცის? არადა, საქმე ისეა, რომ საკმარისია ხალხში თუნდაც ერთმა მხედრიონელმა, თუნდაც ერთი უკულტურო სიტყვა თქვას და ეს ხალხი ამას გადააბრალებს არა იმ ვიგინდარას, არამედ ჯაბას. კაცს, რომელიც ფანატიკურად შეყვარებულია საქართველოზე და ეაქკაცურად იბრძვის მისი მთლიანობის, სახელმწიფოებრობის შენარჩუნებისათვის. მას სახელს უტეხს იმ წითურების მსგავსი ვიგინდარები, წუხელ რომ ლამის უბედურება დაატრიალეს. „ჰო, ეს ჯაბამ არ იცის, ფიქრობს ბადრი, — მაშ რა გააკეთოს? წავიდეს ჯაბასთან და აცნობოს რაც ხდება?..“ ცოტა ფიქრის შემდეგ ეს აზრი უარყო, იმ მოსაზრებით, რომ, ჯერ ერთი, ეს გამოვა დასმენა, რაც მისი აზრით ვაჟკაცობად ვერ ჩაითვლება; მეორეც, იქნებ ზემო ეშელონებში ეს ბადრის მხოლოდ პროვოკაციად ჩაუთვალონ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. მათ შეიძლება იფიქრონ: ჩვენ ვიცავთ ჩვენს მოსახლეობას და ჩვენი მოსახლეობა კი ჩვენვე გვიშლის ხელსო. „წითურები“ ასეც იქადრებენ თავის გამართლებას.

მეორე ვარიანტი: კავშირი დაამყაროს იმ ბიჭებთან, რომელთაც ნამდვილად სურთ ბრძოლა მტრისა და არა შინაურების წინააღმდეგ და მათი დახმარებით თავიდან მოიშორონ ჯაბასა და ხალხს შემარცხვენლები.

ეს ვარიანტი მისაღები აღმოჩნდა. რა არხებით, არ ვიცი, მაგრამ მთელი დღის ცქნმაევლობაში გამართული მოლაპარაკების შედეგად ადვილად გამოინახა საერთო ენა მოხალისეთა ჯანსაღ ნაწილთან (ისინი კი უმრავლესობა იყვნენ).

ამგვარად გამოიკვეთა მიზანი: არავის დაუთმონარცარადუ დაარც ცაგერა, არც მტერსა და მით უმეტეს, არც ავ მოყვარეს. უვნებლად შეინახონ ორთავე სოფელში მაცხოვრებელი აფხაზები. განუწყვეტლივ იფიქრონ ქართულ-აფხაზური ტრადიციების შენარჩუნებაზე. ისტორიას შემოუნა-

ხონ ფაქტები მხოლოდ ისე, როგორც მოხდა. აღ-
ქვეთონ ამ სოფლებში მარადიორობა, როგორც
მოხალისეთაგან, ისე ადგილობრივი მაცხოვ-
რებლებისაგან (განსაკუთრებით). ყველაფერი
იღონონ საქართველოს მთლიანობის შესანარ-
ჩუნებლად.

ბადრიმ თავისი ბიჭები შეკრიბა. მათ მიზანი გააცნო, თან მკაც-
რად გააფრთხილა ისინი: „არადუსა და ცაგერას (ისე როგორც აფ-
ხაზეთში მთელი ქართველობის) ყოფნა-არყოფნის ჟამი დადგა. მი-
მაჩნია, რომ ჩვენ მხოლოდ სრული წესრიგი გადაგვარჩენს, ვინც ამ
აზრს არ ეთანხმება ახლავე განაცხადოს და ჩამოგვშორდეს, უმჯობე-
სია ფიცის მიღებაში არ მიიღოს მონაწილეობა, რომ შემდეგ არ და-
ისაჯოს". ცოტაოდენი დუმილის შემდეგ ერთმა იკითხა მხოლოდ:
„ხომ შეიძლება ჩვენი რიგების გაზრდა, უმეტესად ცაგერელი
ახალგაზრდებისაგანო". ბადრი დაეთანხმა: „მხოლოდ იმათგან,
რომლებიც ფიცს მკაცრად შეასრულებენო". ფიცი კი მოკლე და გა-
საგები იყო:

„მე არადუსა და ცაგერას მცხოვრები ვკისრულობ ვალდებუ-
ლებას, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცვა ამ სოფლების
ტერიტორიული მთლიანობა ყოველგვარი ხელყოფისაგან, ეს იქ-
ნება შინაური თუ გარეშე მტერი. დავიცვა მოსახლეობა ძარცვისა
და მარადიორობისაგან, მოქალაქეთა ღირსება და პატიოსნება შეუ-
რაცხყოფისაგან, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. მთე-
ლი ჩემი შოქმედება საბოლოო შედეგებით ემსახურებოდეს საქარ-
თველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და აფხაზებთან ძვე-
ლი კეთილმეზობლური ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას,
თუ ეს ფიცი დავარღვიო, დავისაჯო შთელი სისასტიკით!"

ფიცი ერთხმად იქნა მიღებული, დადგა დრო მისი შესრულე-
ბისა.

საღაამო ჟამს ბადრიმ თორმეტიოდე ახალგაზრდა შეკრიბა, ია-
რაღიც იშოვეს შესაფერისი და სკოლის მისასვლელთან განალაგა.
სკოლაში დაბანაკებული მოხალისეთა რაზმის მეთაურობა გამოიხმეს.
ზემოთ აღნიშნული ფიცის ტექსტი გააცნეს და განუმარტეს, რომ
ფიცი მტკიცედ იქნება დაცული და თუ ადგილი ექნება წუხანდელი
კონფლიქტის მსგავს მოვლენებს, ეს იქნება არა მარტო ჩვენი, არა-

მედ მთელი საქართველოს სირცხვილიო. ბადრიმ თან დასძინა, რომ ახლა მოგვეცით ის წითური და მისი მომხრენი გვინდა ჩადენილისათვის პასუხი მოვთხოვოთო.

საღამო ჟამს ბადრიმ თორმეტიოდე ახალგაზრდა შეკრიბა, იარაღიც იშოვეს შესაფერისი და სკოლის მისასვლელთან განალაგა. სკოლაში დაბანაკებული მოხალისეთა რაზმის მეთაურობა გამოიხმეს. ზემოთ აღნიშნული ფიცის ტექსტი გააცნეს და განუმარტეს, რომ ფიცი მტკიცედ იქნება დაცული და თუ ადგილი ექნება წუხანდელი კონფლიქტს მსგავს მოვლენებს, ეს იქნება არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი საქართველოს სირცხვილიო. ბადრიმ თან დასძინა, რომ ახლა მოგვეცით ის წითური და მისი მომხრენი, გვინდა ჩადენილისათვის პასუხი მოვთხოვოთო.

რაზმის მეთაურმა კატეგორიულად დაარწმუნა ბადრი და მისი ამხანაგები, რომ „ჩვენ თქვენს ფიცს ვეთანხმებით, ჩვენც გვაქვს დადებული ფიცი ჯაბასთან და ჩვენი რიგებიდან არავის მივცემთ უფლებას დაარღვიოს არც ჩვენი და არც თქვენი ფიცი, ისინი თითქმის ემთხვევა ერთმანეთსო. ამიტომ წითურის და მისი ამხანაგების დასჯა ჩვენ მოგვანდეთო". ბადრიმ დაიჯერა ნათქვამი და ამხანაგებთან ერთად სკოლას გაეცალა.

დილით გაირკვა, რომ მხედრიონის რაზმის რიგები მათივე მეთაურობას გაეწმინდათ იმ ღამესვე. წითური და მისი ოცამდე თანამზრახველი ცაგერას მისდგომოდა, ისინი იქაურ შტაბსაც არ მიეღო და ცაგერასა და არადუს საზღვარზე, ე. წ. ტუნგის დასახლებაში დაედოთ ბინა. (რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი როგორც არაფრის ჭამკეთებელნი, აქედანაც მოიშორეს).

ამ ფაქტების მცირეოდენი მიმოხილვის შემდეგ გადავდივარ დღიურების წერაზე, რითაც შევეცდები აღვწერო ის, თუ რა მოხდა მთელი ომის მანძილზე...

1992 წ.

17 ოქტომბერი.

მზიანი დღე გათენდა. მეტად ლამაზი, არაჩვეულებრივად მშვიდი. არ ისმის სროლის ხმა. ჩიტებიც არ ჟღურტულებენ.

პირუტყვი დავანაყრე, ძალიან მიყვარს ცალიასთან ტრიალი, სადაც ჩემი საყვარელი კურდღლები შეგულება. ერთ ბაჭიას თვალების ახელაში შეცეშველე და როცა თავისი სამყარო დაინახა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ვენახში ყურძენი ქარვისფერი ხდება; აივანზე დანაბადებული ტალავრები კრეფის დაწყებას მოითხოვენ. ვარდისფერი დასდებია დახუნძლულ ვაშლებს. კარგი პირი უჩანს მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს, ნაყოფის სიმძიმით ტოტები მიწაზე განურთხამს ბრაზილიურ ქლიავს — ფეიხოას. რიყის ლოდებივით მოფენილან ყვითელი, ნაცრისფერი და ნაირფერი გოგრები. ზოგი მათგანი ხეებზედაც ჩამოკიდულა. აი, ის ორი კი, რომლებიც სასიმინდეს თავზე მოკალათებულან, თითო ფუთს მაინც აიწონიან. ტონანახევრამდე და კიდევ მეტი სიმინდი მოვიწიე და უკვე დავაბინავე. ლობიოც ბლომად მოვკრიფე. ბოსტნეულიც საკმარისია. ხუთ ტონამდე ციტრუსის მოსავალს ველოდები. და ყველაფერი ეს მოვიწიე საკარმიდამო ნაკვეთზე, სულ რაღაც ნახევარ ჰექტარზე.

აივნიდან მერკულისა და ტყავარჩელის ჰორიზონტს გავყურებ და იქაური ასეთი სიწყნარე ქვეცნობიერად არ მაძლევს მოსვენებას. ქვევით საწოლ ოთახში ბადრისა და რუსლანს ძინავთ. ისინი გვიან ღამით დაბრუნდნენ მორიგეობიდან. ძინავთ ბავშვური ძილით. მოულოდნელად რეაქტიული თვითმფრინავის გრუხუნმა დაარღვია სიმყუდროვე. თვითმფრინავმა სახლების თავზე გადაიფრინა და შემზარავი ხმაურით გაუჩინარდა. ახალგაზრდები თვალების ფშვნეტით წამოცვივდნენ და გარშემოერტყნენ. „რა იყო?!“ — კითხულობს ბადრი, „თვითმფრინავი!“—ვპასუხობ მე, „ჩვენია თუ აფხაზების?“ „აფხაზებიც ჩვენი არაა?“ — ვპასუხობ მე. „ჩვენია, კი

'არა!" — უკმაყოფილოდ ჩაიქნია რუსლანმა ხელი და ყურძნის მტევანს წაეტანა.

ამასობაში მდინარე მოქვის ნაპირს თავქვე ორი ვერტმფრენი დაუყვა. ისინი საეჭვოდ მანევრირებდნენ. მალე ზღვის მიმართულებით გაუჩინარდნენ. მერკულის მხრიდან ისევ რეაქტიული თვითმფრინავი გამოჩნდა. ისევ გაუჩინარდა... ბიჭები საუზმის თადარიგს შეუდგნენ.

გადაშლილი ორი ხატი და წმინდა წიგნი ბიბლია გამოვიტანე და თავის მიჩენილ ადგილზე მოვათავსე, ჩემს სამუშაო ოთახში...

მოგვიანებით ბადრი სამორიგეოდ წავიდა და თაისი სანჩოც (რუსლანი) გაიყოლა. თუმცა რუსლანი სიმაღლით სადაცაა გაუსწრებს ბადრის, მაგრამ ერთგულებაში და მორჩილებაში ნამდვილად სერვანტესის გმირები არიან. ბადრი ნამდვილი დონ კიხოტია. რა ქნას, იარაღს არავინ აძლევს, რომ ნამდვილი მეომარი გახდეს. მხოლოდ ქამარში გარჭობილი ერთი თვითნაკეთი პისტოლეტით უნდა წესრიგი დაამყაროს ამ ქვეყანაზე. თუმცა რუსლანისათვის ნამდვილი კერპია. თუ ოდნავ რაიმე საფრთხეა ჰოსალოდნელი, რუსლანს დაუცაცხანებს სახლისკენ მოუსვიო, ბაბუაშენს არ მოშორდეო. თვითონ კი ცხელი წერტილისაკენ გარბის დამდუღრულივით, იმედი აქვს, რომ ვინმე გამოქცეულს აართმევს ავტომატურ იარაღს და უშიშრად ჩაერთვება ბრძოლაში.

მიმწუხრის ჟამს ტყვიების სეტყვა წამოვიდა მოწინააღმდეგე მხრიდან. რუსლანს ფერი აღარ ადევს სახეზე. შეშფოთებული მეუღლის დაწუნარება ვერ მოვახერხე და მეტს რომ ვერას გავხდი, ვურჩიე მეზობლის ქალთან ლიანასთან გადადი-მეთქი. იგი აფხაზია. შეიძ აფხაზი ხარ წარმოშობით. ვარაუდი ასეთია — თუ აფხაზები შემოვლენ ალბათ თქვენც ჩამოუაფხაზურებთ და თუ გადამთიელები იქნებიან, მაშინ მე მოგეშველებით-მეთქი; დაიჯერა და მეზობელთან გაუჩინარდა. საიდან იყო და სად არა ცხენის ფლოქვების ხმა შემომესმა, გარეთ გავიხედე და თვალი შევავლე ჭიშკარში წელს ზევით შიშველი ახალგაზრდა შემოვარდა მოშვებული წ.ერებით, გადმოკარკლული თვალებით, საშინლად დამფრთხალი. მას კვალდაკვალ მეორე ახალგაზრდა მოჰყვა. სროლის ხმაზე სახლები მიეტოვებინათ და აქეთ გამოქცეულიყვნენ. ორივე მათგანი წინადღით ვნახე ავტომატებით დადიოდნენ. მე დანა ვიშიშვლე და გარეთ გავვარდი. სხვა იარაღი არაფერი მქონდა. ქუჩა-

ში არავინ ჩანდა. ახალგაზრდები დავამშვიდე, მერე საიდანაც მოვიდნენ, იქით მივაბრძანე, როგორც მერე შევიტყვე, მათივე ტოლი სოზარ უგულავა აქტიურად შებრძოლებია მომხვდურებს და ძალიანაც კი მიუბეგვია ისინი. ამათ რა მოუვიდათ? მე ჩემი ბადრი გამაჯსენდა. გავიგე, რომ ვიღაცისათვის ავტომატი აერთვა და წინა ხაზზე გაქცეულიყო. ასე რომ, ჩემი დონ კიხოტისა კიდევაც მეამაყება და შიშის გრძნობაც მაქვს... მე მის ცარდა ვაჟი არა მყავს. შის სანჩო კი ჩემთანაა საიმედოდ. ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი, სიმარტოვეში თაგვიც კი იმედის მომცემია, შენთან დაფუსფუსებს.

ერთი საათის განმავლობაში ორი მხრიდან ნაღმები სკდებოდნენ უწესრიგოდ. საბედნიეროდ სახლებს არ მოხვედრია და არც არავინ დაშავებულა.

სალამო ხანს ორმხრივი სროლა მიწყნარდა. ჩვენ მეზობლებს ყანა გვაქვს მოსაწევი ხვალისათვის. ლობიო უნდა ავიღოთ. ყანაში შესვლა სარისკოა. ჩასაფრებულები ისვრიან. ვინ? არ ვიცით, აფხაზები, ჩეჩნები თუ რუსები.

მთელი ღამე შფოთიანად გავატარე. ბადრი გვიან დაბრუნდა ამხანაგებთან ერთად და დაგვაიმედა. ქვეყანა რომ იქცეოდეს, არ იტყვის ვიღუპებითო. ეს კი ნამდვილად მომწონს ჩემი ბიჭისაგან.

18 ოქტომბერი.

უკვე ჩამოყალიბდა რეფლექსი იმისა, რომ ყველანაირი ხმაური სროლად გვეჩვენება. ავტომატი და ავტომატი ახლა ყველას პირზე აკერია ეს იარაღი და მის ხელში ჩაგდებაც ნატრობს. მართალი გითხრათ ურიგო არ იქნებოდა, ომის პირობებში თითოეულ ოჯახს შეეძლოს თავის დაცვა! არადა, რამდენი ახალგაზრდა თუ გამოუცდელი მამაკაცი დაბორიალობს უიარაღოდ, რა ვქნა? მადლობა ღმერთს არჩევნები აღმავლობით ჩატარდა და ზვიადისტებიც მიყუჩდნენ, მაგრამ მაინც შემაშფოთებელი ამბავი მოდის ზუგდიდიდან. ქობალიები და მათი ხალხი არ ისვენებენ.

კარგად გათენებული არ იყო, ყანაში წასვლის თადარიგს შევუდექით მე და ჩემი მეუღლე. გივიმ თავის სატვირთო მანქანა გამოაგორა და ჩვენი ბარგი-ბარხანით მოვკალათდით. გზადაგზა მეზობლები შემოგვიერთდნენ და მანქანაც აივსო. სოფლის ბოლოს ადა-

მიანთა ერთი ჯგუფი შეკრებილიყო. შეგვაჩერეს და გვაცნობეს, რომ ყანაში წასვლა საშიშია. წუხელ ტამიშის ბრძოლებში ცაგერადან ორი ახალგაზრდა მოუკლავთ. ორივე მოკლული იმათი ნათესავები აღმოჩნდნენ, ვინც ჩვენთან იყვნენ მანქანაზე. ამბავი ასე გადმოიცა ოჩამჩირე სოხუმის გზის მონაკვეთზე, სოფელ ტამიშთან გზის გასაწმენდად ორასი მხედრიონელი წასულიყო ღამით. მათ ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა. ამ ნაწილს ალყა შემოარტყა აფხაზთა და გადამთიელთა ბანდებმა და ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი სად გაიფანტა, არავინ იცის. აი, იქ დახოცილან ის ცაგერელი ბიჭებიც. ამბავი მართლაც შემაშფოთებელი იყო. რაღას ვიზამდით, მანქანა მოვაბრუნეთ და ყანაში წასვლაზე ხელი ავიღეთ. დაღუპულების ნათესავებს მივუსამძიმრეთ, სახელდახელოდ ავტობუსი „პაზიკი“ ვიშოვნეთ და დაღუპულთა ოჯახებისაკენ გავემგზავრეთ. მართლაც შემაძრწუნებელი ამბავი გავიგეთ. ვნახეთ დაგლეჯილ-დასახიჩრებული გვამები ისე, რომ ვერ გაარჩევდით სხეულის ნაწილებს. ბატონ იოსელიანის მეთაურობით მხედრიონის შენაერთი ნაღმებისაგან გზას წმენდდა. ცაგერადან საწყალი ბიჭები მოხალისეებად გაჰყოლოდნენ მხედრიონს დაუკითხავად. როცა ისინი მხედრიონელთა მოთხოვნით, უკან შემობრუნდნენ თავიანთი მანქანით, მაშინ ნარჩენ ნაღმზე წამოუგო მანქანა, რამაც იმსხვერპლა ოთხი ახალგაზრდა. რაც შეეხება თავდასხმას და ალყაში მოქცევას, ამის მსგავსი არაფერი იქ არ მომხდარა.

ნაშუადღევს მდინარე მოქვს ორი ვერტმფრენი აუყვა. მათ თავს დასტრიალებდა ის თვითმფრინავი, გუშინ რომ კეკლუცობდა ოჩამჩირის ცაში. შემდეგ ისინი იმავე გზით უკან დაბრუნდნენ, ქუჩაში ისმის კამათი. ნამდვილად დაგვჯაბნეს! ჟორა და ჰიჰიკო არწმუნებს, ახლა მაინც დაიჯეროს, რომ ეს მფრინავები ჩვენი არაა. ჰიჰიკო მეკითხება: „მართალი არიო?“ მე კი ვეუბნები ჰიჰიკოს, რომ ისინი ჩვენები იყვნენ, აფხაზებს პროდუქტები აუზიდეს. ჰიჰიკომ თითქოსდა დაიჯერა, მაგრამ, როცა ჩემთანაა, ჩემი სჯერა, როცა ჟორასთანაა — მისი. დათიკოს საღამოს ქუჩაში ჰიშკართან შუქი აუნთია შუქურასავით. „დათიკო, ომია და შუქი უნდა გამორთო-მეთქი“. მან ჰიშკარი გააღო იქვე ტოტებჩამოცლილ მსხალს მოევლო კენწეროში და იქიდან გადმოგვძახა: „აი, შეხედეთ, ოჩამჩირეში და ტუნგოში სინათლეები ანთია, თქვენ კი, აქ მიშლით შუქის ანთებასო!“ „ბიჭო, — ეუბნება გივი, — დაიჯერე კა-

ცისს ჩვენ აქ წინახაზზე ვიმყოფებით და ჩვენსა და მტერს შორის მანძილი ორასიოდე მეტრია. ხუთჯერ მაინც გაიმეორა თავისი სათქმელი დათიკომ, ბოლოს გულიც მოუვიდა. მერე შეწუხებულად თქვა: „უკვე ორი კვირაა ისე ვწევარ, ტანზე არ გამიხდიაო, გახდილი რომ დავწვე, თავდასხმის დროს სად ვეძიო ტანსაცმელი. მანქანა სტარტზე მყავს დაყენებულიო“.

გული მეტკინა, ყველა გაქცევაზე ფიქრობს. რამ წაახდინა ასე ეს ხალხი? გამოვჩნდები თუ არა მათთან, ბევრ რამეს მეკითხებიან: „რა მოისმინე, რა გაიგონე“. მგონია ჩემი ნათქვამისა რაღაც სჯერათ. ზოგი კი თავისებურად ხტის განზე, განზე. მე კი ვცდილობ, ისეთი არაფერი ვთქვა, რაც ეჭვს შეიტანს ჩემს ნათქვამში. თუმცა, მართალი გითხრათ, მეც ეჭვის ჭია მიღრღნის გულს. ბევრი, ძალიან ბევრი კითხვები არ მასვენებს, რომლებზეც პასუხის გაცემა არც ისე ადვილი უნდა იყოს. აი, თუნდაც ასეთი კითხვები: რატომ დაუმტკიცეს აფხაზებს ისეთი საარჩევნო კანონი, რომელიც აპარტეიდის მშგომარეობაში აყენებდა ქართველებს? აბა, წარმოიდგინეთ მოსახლეობის 17 პროცენტს პარლამენტში ჰყავდეს ოცდარვა დეპუტატი, ხოლო მოსახლეობის ორმოცდაექვს პროცენტს ოცდაექვსი დეპუტატი? ვინ გააკეთა ეს?

19 ოქტომბერი.

სანჩო, ჩემი დისშვილი, სახლში წავიდა. მისი სახლი ერთი კილომეტრითაა დაშორებული ჩემი სახლიდან. სახლში დაეძებენ. ის კი აქ აფარებს თავს. არადა, სადაცაა ოცი წელი შეუსრულდება. „ბიჭო, რატომ არ იბრძვი-მეთქი, რომ ვეტყვი, იჭვნეულად დაიკრიჭება და იტყვის: „ავტომატი არა მაქვსო“. ბადრის ვეხმარები იარაღის ტარებაშიო“.

დილით ადრე გავემგზავრეთ ყანაში ლობიოს ასაღებად. გვიმ თავისი „გრუზავიკი“ გამოაგორა და ლამის მთელი სოფელი მოკალათდა ზედ. ვინ რას ლაპარაკობდა ძნელი გასაგები იყო, მაგრამ, ნათელი იყო მხოლოდ ერთი, სოფელი დაუცველია. ფული შეგროვდა იარაღის შესაძენად და იარაღი არა ჩანს. ხალხი პანიკაშია. ასეთ ორომტრიალში ყანებამდე მივაღწიეთ და ჩვენ-ჩვენს საქმეზე დავნაწილდით. ყანები მშვენიერია, სიმინდიც კარგია და ლობი-

ოს მოსავალი უხვია, მაგრამ მოწევა და დაბინავება არ გინდა? ერთი საათიც არ იყო გასული მუშაობის დაწყებიდან, რომ ჩვენი სოფლის მხრიდან გაისმა ავტომატებისა და ტყვიამფრქვეველების კაკანი, რომელსაც დროდადრო ნაღმების აფეთქების ხმა უერთდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ შეგვატყობინეს, რომ სოფელს თავს დაესხნენ...

ისევ პანიკა, მუშაობის მიტოვება და საჩქაროდ „გრუზავიკზე“ თავმოყრა. გივი შეშფოთებულია, რომ პატარა შვილიშვილები ელისო და ემზარი შეზობელთან დატოვა, ლადიასთან. ლადიას თვითონ ერთი პამალავი აქვს ეზოში და შეიძლება ბავშვებიც იქ შეაფაროს, ანდა თავისი „გაზიკით“ სადმე „დაგაზოს“. მოვდივართ შეშფოთებულნი, მაგრამ როცა სოფელში მივაღწიეთ ცოტათი იმან დაგვამშვიდა, რომ გვითხრეს უკვე მოიგერიეს თავდამსხმელიო. ასე შეფოთებულებს დაგვარიგა ჩვენ ჩვენს სახლებში კეთილმა გივიმ. როცა ამბავი გამოვიკითხეთ, გაირკვა რომ სოფლის განაკიდეს შცხოვრებ მეზობელს უნდოდა თავის ეზოში სიმინდის მოტეხვა. დაეწყო კიდეც მუშაობა. თანაც სამი ახალგაზრდა ეხმარებოდა, ამ დროს, მოულოდნელად, დაესხნენ აფხაზები თუ ჩეჩნები და გახსნეს ცეცხლი. როცა ჩვენ დავბრუნდით, ყველაფერი დამთავრებული იყო. მსხვერპლი არც ერთ მხარეს არ ყოფილა.

ბადრიმ ამხანაგები მოიპატიჟა. საიდანღაც არაყი გამოაჩოჩეს.

20 ოქტომბერი.

წუხანდელი ღამე შფოთიანად გავატარე. გამუდმებით ისმის სროლის ხმა. ამას ისიც დაემატა, რომ ბადრი ღამით აღარ გამოჩენილა. ვჯავრობდი, საკმაოდ ნასვამი იყო.

ბადრის ამხანაგებს მივაშურე ამბის გასაგებად, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მითხრა თუ სად გაქრა ჩემი დონ კიხოტი. დილით ადრე გავიგე, რომ წინა ხაზზე იყო თურმე და მერე ერთ ამხანაგთან მოიკალათა. ცოტათი გულზე შომეშვა, მაგრამ შეშფოთების გამო აწეული არტერიული წნევა მაინც ვერაგულად მიტევს. მეუღლისათვის არაფერი მითქვამს. მას შშვიდად ეძინა და დილით რომ გაიღვიძა, სამუშაოზე მიმიწვია. მე ცოტა გამოვიძინე. ძლიერი აფეთქების ხმამ გამაღვიძა. მეგობარს დავურეკე, გიგლას: „გიგლა, ბიჭო, შენ ძველი არტილერისტი ხარ, რა ფეთქდება თქვენს მხა-

რეს?“ „ტანკი ისვრისო“, — მიპასუხა. თან შემომჩივლა: — „ეს რა დროს მოვესწარითო“. ტელევიზორთან ვზივარ და ინფორმაციაც ველოდები. მოსკოვი აცხადებს, რომ სოხუმში დახურულ კარებში შეხვდნენ ერთმანეთს აფხაზური და ქართველი მხარეებიო. შეხვედრა კვლავ გაგრძელდებაო. აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარებს ევროპის უშიშროების თათბირის სტატუსი უნდა მიენიჭოსო. ეს რაღაც დამაიმედებელია. კაცი იმედით ცხოვრობს. აბა, რუსების გენერლებმა თავი შეირცხვინეს, რომ არ შეასრულეს მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულება. გადამთიელებს საშუალება მისცა მშვიდობიანი მოსახლეობა გაეყვანა გაგრასა, განთიადსა და ლესელიძეში. აფსუს რა დოყლაპიობით ჩაუგდეს ხელში ეს ძირძველი ქართული მიწა გადამთიელებს!

ხათუნა მოგვენატრა, შვილიშვილი, იგი ლტოლვილებს გაჰყვა ლეჩხუმში. ასე, რომ აფხაზეთის ტრაგედია მთელ საქართველოს გადაწვდა. გუშინ სალამოს თბილისსა და ოსტანკინოს ტელეხიდს ვუსმენდი. ბატონი შევარდნაძე მოსკოველი ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდა. რასაკვირველია, ჟურნალისტები რუსულ ყაიდაზე ეკითხებოდნენ, მაგრამ რაში ჩაჭრიდნენ.

როგორც შემდეგ გაირკვა, ამ პასუხებმა საკმაოდ ჩააფიქრა რუსი და მსოფლიო მაყურებელი, იმის შემდეგ, რაც დეზინფორმაციის ნიაღვრის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. გაეროს მაღალი ტრიბუნიდან შევარდნაძემ გააფრთხილა მსოფლიო, რომ პლანეტას ემუქრება უდიდესი საშიშროება ეთნოკონფლიქტების სახით. შევარდნაძემ პირველმა შესთავაზა მსოფლიო ფორუმს, რომ გაერომ დაუყოვნებლივ შეიმუშაოს ამ საკითხის თავიდან აცილების მექანიზმები, სანამ გვიან არ არის. ჩვენი ქუჩა მინიატურაა სახელმწიფო ბუმბისა, ვინ რას ამბობს და ვინ რას. ერთი კია, რომ ზვიადისტები გვარიანად მიყუჩდნენ, თუმცა მაინც ჯიუტობს ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გალი.

სალამო ხანს ბადრიც მოვიდა. ცაგერაში იმ ორი ახალგაზრდის დასაფლავებას დასწრებოდა, რომლებიც სამიოდე დღის წინ ტამიშის გზაზე ნაღმზე აფეთქდნენ და დაიღუპნენ. ოჩამჩირე-სოხუმის გზის ტკმიშის მონაკვეთი ნამდვილი სასაკლაო გახდა.

მოვიდა გატანჯული ჩემი მეუღლეც, ზურგზე ტომარა მოკიდებული. მადლობა ღმერთს დღევანდელმა დღემ მშვიდად ჩაიარა, თუმცა ყური უკვე შეჩვეულია კანტიკუნტ სროლებს.

21 ოქტომბერი.

ამ ღამითაც ცუდად მეძინა. ხშირად მიტევს ეს ოხერი ჰიპერტონია. სიკვდილის მოგზავნილი ელჩი ხომ არაა? სიკვდილი ხომ შიშის ზარს სცემს კაცობრიობას. კაცობრიობა კი იმის მაგიერად რომ ებრძოლოს და უკან დაახევინოს მას, აახლოებს მის მოსვლას. რატომ? ვითომ ბედისწერაა? ალბათ ადძიანს მისი შეჩერება არ შეუძლია. ბოროტება ზეიმობს ხან აქ, ხან იქ, მაგრამ მისი ზეიმიც არ არის უსაზრულო. ალბათ, შემდეგ სიკეთის ჯერიც დადგება, მაშინ, როცა ყველა ვირწმუნებთ ღმერთს და შინაგანად განვიწმინდებით...

საცოდავი ჩემი მეუღლე უთენიაზე გარბის ლობიოს საკრეფად. ამჯერად ფეხით, გივიმ თავისი „ვრუზავიკი" ალარ გამოიყვანა. გუშინ იმდენი ხალხი შედგა ზედ იატაკი ჩაუმტვრიეს.

წამლების მიღების შემდეგ (თუმცა, წამლებიც სადღაა) ცოტა მოვკეთდი და ხილის დაბინავებას შევუდექი. ნახევრად მოხრილი დავდივარ. შეშინია, მერკულიდან გამოსროლილმა ტყვიამ არ შემაკითხოს. გალმა გორაკიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი სოფელი. წინა დღეებში სნაიპერის ტყვიამ ხანშიშესული ქალი მარუსია ბენდელიანი იმსხვერპლა. ის ქალი თავის კარმიდამოში საქმიანობდა. მეორე სნაიპერის ტყვიამ ნოდარის მაშინ შეუმტვრია ფანჯარა, როცა იგი ქვედა სართულზე ჩამოდიოდა და შეშინებულმა ისეთი ნახტომი გააკეთა, კარგ სპორტსმენს შეშურდებოდა. თუმცა, მუხლის სახსარი კი დაიბეგვა გვარიანად. რისთვის ისვრიან სნაიპერები? ისინი დაქირავებულნი არიან, აფხაზი ექსტრემისტები ფულს უხდიან.

ბადრიმ თავისი დამბაჩა გატენა და შეიარაღდა. „საით ბადრი?" — ვეკითხები. „იქით! — ხელი მოწინააღმდეგე ბანაკისაკენ გაიშვირა. გუშინწინ მათი ბანდის მეთაურს შევხვდიო", — მითხრა. ქიშმარია ყოფილა გვარად, მერაბი ჰქვია. ჯერ აგრესიულად შემხვდა, მაგრამ როცა ველაპარაკე გავუგეთ ერთმანეთს. გულმოსულია გვარდიელებმა (თუ მხედრიონელებმა) სახლები დაგვიწვესო. მათ ავუხსენი, რომ ის მხედრიონელები თვითნებურად წამოსულიყვნენ და როცა თქვენ, რამდენიმე მათგანი დახოცეთ, მათაც შური იძიეს მეთქი. ისე კი, ბატონო ქიშმარია, სანამ ერთიანი ქართული ჯარი არ შექმნილა მანამდე ვინ ვის ემორჩილება არავინ არ იცის თქო, რაც მთავარია ჩვენ მოსაზღვრე სოფლები ნუ გავაფუჭებთ

ერთმანეთთან ურთიერთობას, ნათესაობას, ეს არის მთავარიო. თუ ჩვენ ვართ ბრალში იმ დამწვარი სახლების მაგივრად ახალს აგიშენებთ, ოღონდ მტრად ნუ გადაეკიდებით ერთმანეთს-მეთქი. „მერე რა გითხრა?“, — ვკითხე. „მოვიფიქრებთ, მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ბევრი გადამთიელი გვყავს გამოსაკვებიო“. როგორც შემდეგ გაირკვა, დაქირავებულთათვის ჩაწერებიც კი გაუკეთებიათ წინასწარ ქართველების ბინებში. ბადრის შუამავლობა მომეწონა მაგრამ შიშმა გამკენწლა. „არ გეშინოდა? — ვკითხე, — მძევლად რომ აეყვანე?“ „უჰ — რის შიში, რა შიშიო!“ და გაუჩინარდა. ამჯერადაც რუსლანის გარეშე. სანჩო აგერ ორი დღეა აღარ გამოჩენილა ჩვენთან. ალბათ მამამისმა „გამოიქირა“ და მოსავლის აღებაზე ამუშავებს.

დღეს შედარებით სიწყნარეა. შუადღისას მოტორების გუგუნი მომესმა. ვერაზედან გავხედე, ორი ვერტმფრენი სულ ოციოდე მეტრის სიმაღლეზე მიიპარებოდა სოფელ მოქვისაკენ. რა მიჰქონდათ მათ? ვინ იცის?!.

ხდება ისე, რომ ასეთი გადაფრენის შემდეგ აფხაზები და ძმანი მათნი უფრო გულდაჯერებით გვიტევენ. ერთი საათის შემდეგ ისინი იმავე გზით დაბრუნდნენ უკან. სად აქვთ ბაზა? რას ეზიდებიან? ნუთუ ეს ჩვენმა ე. წ. შტაბმა არ უნდა იცოდეს? მეზობელ სოფელში ჭლოუში ცხოვრობს ხანდაზმული ცნობილი აფხაზი მწერალი ბაგრატ შინკუბა, მოქვის მკვიდრია მწერალი ივანე თარბა. სოფელ არადუში მწერალი მე გახლავართ. გადავწყვიტე წერილი გამეგზავნა მათთვის. ტექსტიც შევადგინე, მაგრამ გაგზავნა ვერ მოვახერხე. შინკუბა სადღაც გაუჩინარდა, ივანე ვერ გავიგე, სად იმყოფება, ადრე მათ თითიც არ გაუნძრევიათ იმისათვის, რომ ეს კონფლიქტი არ მომხდარიყო... პირიქით კი იყო, ცნობილ „ლიხნის წერილზე“ ორთავემ პირველებმა მოაწერეს ხელი.

22 ოქტომბერი.

დღეს კარგი დარი დადგა. ვინც სოფელში დარჩა, ყველანი მოსავლის ასაღებად იყრიან თავს. მეუღლემ დილით ადრე ისე შემომიტია, რომ ჩეჩნების შემოტევა მიმიქარავს. მიუხედავად იმისა, რომ თავს ცუდად ვგრძნობ, მაინც წამოვდექი და დავემორჩილე ბრძანებას. ნაშგალი, ცული, ტომარა, კალათა, ჯიბეში

წამლები და კარგი მგზავრობა. მეუღლეს დარჩენა უნდოდა, მაგ
თავი ისე მოვისაწყლე, რომ შევეცოდე და თან გამომყვა. თუმ
ზევრი არაფერი გაუკეთებია და შუადღისას მიმატოვა (მეტი აღა
შემიძლიაო). არადა გულს ახარებს მოსავალი. თუ გლეხკაცს ჰა-
დი და ლობიო აქვს, თან ახალი და დამწნილებული ბოსტნეული,
ზედ ღორის შაშხი და ყველი, ნაირნაირი ხილი, ვამოტენილი ბე-
ლელი, სავსე ჰურ-მარანი, მეტი რაღა უნდა? მოგეცა ლხენა,
სტუმარ-მასპინძლობასაც მოევლება. მაგრამ ეგ ოხერი სტუმარ-
მასპინძლობაც რომ გადაგვარდა? მტერ-მოყვრობა რომ სულ
სხვანაირი გახდა?!, ეჰ, სიტყვა განზე გამექცა ამდენ ფიქრებში...

ჰოდა იმას ვამბობდი, ჩამოვერიე სიმინდის ყანას, დავიწყე
სიმინდის მოჭრა; მეუღლე კვალში მედგა და ტაროს აცლიდა მოჭ-
რილ სიმინდს. დღის 12 საათამდე ისე გართული ვიყავით შრომით,
რომ საუზმე არც კი გაგვხსენებია. მერე კი, როცა მოვიძიე საჭ-
მელი, მეუღლემ აქეთ დამადანაშაულა — შენი ბრალია, რომ დაგ-
ვაგვიწყდა წამოღებაო. ჩვენს გვერდით (მეზობლად) ჰიჰიკო ჭრიდა
სიმინდს. „ბიჭო, პურის ნატები არ წამოგიღია?“ — ვკითხე ჰიჰი-
კოს. კიო, ჰადი მაქვსო, მითხრა, გასაკვირი არაფერი იყო. კარგა
ხანია პურის ფქვილი გასაყიდად არ იშოვება. გამომცხვარიც არაა,
ასე გატანჯულია ხალხი და ყველაფერი ეს ხდება იმის გამო, რომ
უკვე შვიდი თვეა ზვიადისტები თუ ძმანი მათნი აფეთქებენ რკი-
ნიგზისა და საავტომობილო გზის ხიდებს, ყრიან ლიანდაგს, ბლო-
კადას უწყობენ საკუთარ ხალხს. რას აკეთებს მთავრობა? რა-
ტომ არ სრულდება კანონები და დეკრეტები? მადლობა ღმერთს,
რომ არჩევნები წარმატებით ჩატარდა, ახლა მაინც ვერავინ გვეტ-
ყვის, რომ არ გყავთ კანონიერი მთავრობაო. მაშ, რაღა უნდათ
ზვიადისტებს? მიდიც ბრძოლა ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის გაუ-
კუღმართებულ გონებაში. ჩვენი სოფლიდანაც დააპატიმრეს ტე-
რორისტობაში ეჭვმიტანილი ერთი კაცი. ტერორიზმი?! ვის წი-
ნააღმდეგ! დივერსია?! ვის წინააღმდეგ!

წუხელ სატელევიზიო გადაცემას ვუსმენდი ტყვარჩელიდან.
ტყვარჩელის ქალაქის თავი ინტერვიუს აძლევდა ვიღაც კორეს-
პონდენტს. ინტერვიუს შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: იგი
(ქალაქის თავი) ვიზიტად იმყოფებოდა გუდაუთაში. იქ შეხვდა
მაღალი რანგის ხელმძღვანელებს, მათ შორის არძინბას. მთავარი
საკითხი იყო ტყვარჩელის მომარაგება პროდუქტებით. მან თქვა,

ომ ტყვარჩელელი მეშახტეები გაემგზავრნენ როსტოვში. იქაური მეშახტეები თითქოს შეპირდნენ დახმარებას და გამოუყვეს რვასი ტონა პურის ფქვილი. პრობლემაა, როგორ შემოვიტანოთო. მერე ჩამოთვალა შემოტანის გზები: უნდა აღვადგინოთ გუდაუთა-ტყვარჩელის საჰაერო გზაო, უნდა გაიხსნას ადლერი-ტყვარჩელის საჰაერო გზაო და ბოლოს შევიტანოთ გროზნოში და გროზნოდან ვერტმფრენებით გადმოვზიდავთ ტყვარჩელშიო. მერე მოჰყვა ამბავს, რომ მოინახულა გაგრა, განთიადი, ლესელიძე, თქვა, რომ იქ ომმა თავისი კვალი დასტოვა, შაგრამ ცხოვრება თანდათან დგება კალაპოტშიო. და ბოლოს დაიტრაბახა: ის რაც ვნახე ამ რაიონებში და გუდაუთაში სრულ იმედს გვაძლევს, რომ „ოკუპანტები“ მალე იქნებიან გარეკილი ჩვენი „სახელმწიფოს“ ტერიტორიიდან და ხუნტის თარეშს საბოლოოდ მოეღება ბოლო აფხაზეთის „გოსუდარსტვაშიო“.

გუშინვე მოსკოვში კოზირევმა მიიღო არძინბა (დიდის ამბით?!), რის შემდეგაც „გასპადინ“ არძინბა ჩხუბში გამარჯვებული მამალივით კეკლუცობდა და აფხაზეთში ე. წ. ესენგეს ჯარებს უპატაკებდა, აქებდა რა აფხაზეთში დისლოცირებული რუსის ჯარის „კეთილშობილებას“. როგორც ჩანს, არც კოზირევს და არც არძინბას არ ეჭაშნიკება საერთაშორისო ინსტიტუტების ჩარევა აფხაზურ კონფლიქტში. არძინბა გამალებით აშენებს აეროდრომს გუდაუთაში დუდაევის ნაჩუქარი თვითმფრინავების მისაღებად; გაგრისა და განთიადის ხელში ჩაყუდებით ხელ-ფეხი გაეხსნა ყოველი ჯურის გარეწარს შემოაღწიოს საქართველოში და შემოიტანოს ნარ-ნარი იარაღი. სწორედ ამით კეკლუცობს არძინბა. შევარდნაძე კი ყოველივე ამას მოთმინებით უყურებს. თანდათან აგროვებს პოლიტიკურ ქულებს და ალბათ დადგება დრო, როცა ეს დროებითი სამხედრო გამარჯვება ძვირად დაუჯდება არძინბას. მან, როგორც ჩანს, რუსეთიც ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში. ელცინს ოპოზიცია უტევს, მის რეფორმებს საფრთხე ემუქრება. თუ ელცინი დაემხობა და ხელისუფლებაში ჟირინოვსკები მოვლენ, ეს მსოფლიოს შეშფოთებას გამოიწვევს. ამდენად, მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოება იძულებული ხდება მხარი დაუჭიროს ელცინს და როგორმე ხელი შეუწყოს მის რეფორმებს, არ დაუშვას ხელისუფლებაში გადატრიალება, რითაც იმუქრებიან მემარჯვენე ოპოზიციონერები და გაგულისებული გენერლები, რომელ-

თაც მხარს უჭერენ რუსეთის პარლამენტის უპასუხისმგებლო, თავაწყვეტილი დეპუტატები, მათ შორის პარლამენტის სპიკერი ხაზბულატოვიც (ისიც ხომ ჩეჩენია?) რაღაც შეთქმულებას ხომ არ აქვს ადგილი? ამგვარად რუსეთი ვულკანზე ზის. მთიელთა კონფედერაციამ თავი აიწყვიტა. რამდენადაც ვიცი, ასეთ გამოხტომებს ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში 1939-43 წლებშიც, მაგრამ მაშინ სტალინმა ჩეჩენ-ინგუშები ასეთი გამცემლობისათვის (ისინი უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ გერმანიის აგენტურასთან) ერთიანად აჰყარა და შუა აზიაში გადაასახლა. ისინი უკან ხრუშჩოვმა დააბრუნა და ახლაც ამოქმედდა იგივე დაყოვნებული მოქმედების ნაღმი...

მაშ ასე, არძინბა მამლაყინწობს და ქართული მიწიდან ქართველების განდევნით იმუქრება. ჩვენ ველოდებით რას მოიმოქმედებს ახლად შექმნილი საქართველოს თავდაცვის საბჭო შევარდნაძის თავმჯდომარეობით და ახლად არჩეული პარლამენტი, რომლის პირველი სესია მალე უნდა ჩატარდეს. (ცნობილი გახდა არჩევნებში გამარჯვებული პარტიებისა და ბლოკების კენჭისყრის შედეგები. ყველაზე მეტი მანდატი მიიღო ბლოკმა „მშვიდობამ“, შემდეგ მოდის ბლოკი „11 ოქტომბერი“, შემდეგ „ქარტია 91“, შემდეგ „მწვანეები“, შემდეგ „ედპ“ და ა. შ. როგორც ხედავთ, პარლამენტი საკმაოდ მოზაიკურია და ალბათ აზრთა ჭიდილი ჩვეულებრივი ამბავი იქნება, რამეთუ კამათში იბადება ჭეშმარიტება. ერთი კი ცნობილია, რომ მტრის წინაღმდეგ ბრძოლის შეფასებაში ყველა პარტია და უპარტიო ერთი აზრისაა: გადამთიელებს — ომი!

23 ოქტომბერი.

ჩემი მოსავლის აღებაზე საუბრით ალბათ თავი მოვაწყინეთ, მაგრამ, გთხოვთ ნუ მოგბეზრდებათ საუბარი მოსავალზე, მის დაბინავებაზე, რამეთუ ჩვენი არსებობა, მომავალი, და თითქმის ყველაფერი, დამოკიდებულია ეკონომიურ სიძლიერეზე.

ჰოდა, მეც ინსტინქტურად წამოვდგები ლოგინიდან თუ არა, იმ წამსვე მოსავალი მახსენდება, არ მინდა დავკარგო არც ერთი ტარო, არც ერთი მარცვალი ლობიოსი. სიმინდში ცოცხიც მითესია, ისიც უნდა მოვაგროვო.

ალიონია. მანქანას აღარ დავლოდებივარ. მეუღლეს დავუბარე, რომ გვიან წამოვიდეს, როგორც მოუხერხდება. მარტო-მარტო დავადექი გზას ფეხით. ყანამდე კაი ხუთი კილომეტრია. მაგრამ არა უშავს (66 წლის ასაკში ვარ), ადვილად გავივლი. თუმცა მოქვის ხიდზე გადასვლისას სნაიპერები ნადირობენ მერკულის გორიდან. თუ ჩემზეც ინადირეს ამ დილით, ისა თქვი შენ! ამ ფიქრებში გართულს შუა გზაზე მანქანა წამომეწია. მანქანაში მამა-შვილი ისხდა—როზალი და გია. გამიჩერეს, ორივეს ხელში ავტომატებით არიან შეიარაღებულნი, ორივეს გვარდიელთა ფორმები აცვიათ.

— ისინი ჩემი მეზობლები არიან. მამა — როზალი ორმოცდაათამდე წლის იქნება, გიამ ახლახანს დაამთავრა სპეცტექნიკური და სამუშაოდ თუ სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა, მაგრამ... როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, გიამ არ მოისვენა, გვარდიაში სულდა შევიდეო. მშობლებმა ვერა და ვერ გადაათქმევინეს. მამამ იფიქრა, — რაკი აღარ ისვენებს, მეც გვარდიაში შევალ და იქნებ ორივე ერთად მოვხვდეთო. მართლაც, როზალიც ჩაება სამხედრო სამსახურში და ახლა ჯერჯერობით ერთად მსახურობენ გვარდიაში. მე რომ მკითხოს კაცმა მათი გადაწყვეტილება სწორი და მოსაწონია. გიას ტოლი და უფროსებიც კი ბევრი მშიშარა და ლაჩარია და სად შეაფარონ თავი, არ იციან. ნამდვილად საამაყოა ოჯახისათვის ასეთი საქციელი. სასურველია, თუ სხვა ოჯახებიც მიბაძავენ მათ. ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი გიაზე და როზალიზე. ხიდზე გადასვლისას გიამ ავტომატის დამცველი გადასწია და ლულას საქარე მინაში გააყოფინა თავი. „რამე საშიშია?!" — ვიკითხე შიშნარევად, ყოველ შემთხვევისათვის. „ანდახან სიმინდებიდან ისვრიან!" თქვა როზალიმ.

მე ყანის გზისაკენ გავუყევი ფეხით, მათ კი მშვიდობით მგზავრობა ვუსურვე...

ყანაში ადრე მისვლამ გვარიანი მოგება მომცა. ვიმუშავე და ვიმუშავე, რაც შემეძლო. მოგვიანებით ჩემი მეუღლეც მოჩანჩალდა და რაც შეეძლო მომეხმარა. საღამოთი კი ნახევარი მოსავალი (მეტის აღება ვერ მოვასწარი) ბადრიმ წამიღო შინ. ამხანაგები დაეხმარნენ, ავთო თავისი „მაზით", მელიტონი, ტარიელი, ელგუჯა თავისი ავტომატით, ჭიჭიკოც მოგვეხმარა.

საღამო ხანს სუფრას შემოვუსხედით, ორიოდე სადღეგრძელო

ვთქვით მშვიდობისა, გონს მოსვლისა და ა. შ. ჩვენს სუფრას მხედრიონელები შემოუერთდნენ. ისინი იცავენ ჩვენთან ერთად ჩვენს სოფელს გადამთიელებისაგან. მათ ერთი ქალიშვილიც მოჰყვათ. თავი ტელევიზიის კორესპონდენტად გაგვაცნო. ჯერჯერობით არ მილაპარაკია მასთან. შემდეგში გავიგეთ თუ რა „მისიითაა“ მოსული.

დღეს ჩემი და არა მარტო ჩემი ყურადღების ცენტრშია საკითხი, როგორ დამთავრდება მოლაპარაკება თბილისში ანდრეი კოზირევსა და (იგი გუშინწინ მოსკოვში არძიბნას ეკეკლუცებოდა) ჩიქვაიძეს შორის. მოეწყობა თუ არა შეხვედრა უმაღლეს დონეზე ელცინსა და შევარდნაძეს შორის? ალბათ საინფორმაციო საშუალებები გვამცნობენ შედეგებს. თუმცა, ასეთი მოლაპარაკებებით უსირცხვილოდ სარგებლობს არძინბა და ძალთა გადაჯგუფებას აწარმოებს. გუდაუთაში „ჩამობრძანებული“ ვინმე შანიბოვი, რომელიც ე. წ. მთიელთა კონფედერაციის თვითმარქვია პრეზიდენტია, აცხადებს, რომ „მე ახლა ვსუნთქავ ჩემს სახლში „აფხაზეთშიო“. მოდი და დაინდე ასეთი გარეწრები. იმის შემდეგ, რაც გაგრაში მოხდა, კაცმა რომ თქვას, არც ინდობენ.

საღამოხანს ბადრი გაცხარებული მეუბნებოდა: დღეს დილით ორი გადამთიელი დაუჭერიათ, ერთი რუსი და ერთი ჩეჩენი. მოქვის ხიდთან მოუყვანიათ (ეს ხიდი არადუს, ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე გადის), დაუხოციათ და ძაღლებივით დაუყრიათო. ახია მათზეო! ჩაილაპარაკა ტარიელმა, რისთვის მოდიან აქ, ვერ დაეტევიან თავიანთ სამშობლოშო?! კი, ახია მაგათზე — კვლავ ვაცხარდა ბადრი — მაგრამ რომ მოჰყავთ და მაინცდამაინც ჩვენს სოფელში კლავენ, ჩვენი სოფელი სანაგვე ყუთი ხომ არაა, რატომ ადებენ ცოდვას მაინცდამაინც ჩვენს სოფელსო.

სწორად მსჯელობს ბადრი, ის ნამდვილი ქრისტიანია. „აბა, ბიჭო, თუ ვინმე დაგესხათ თავს, შენს ფინთიხოს არ აახმაურებ?“ — ჩაუქილიკა ავთომ. ბადრის არაფერი უთქვამს, ღრმად ამოისუნთქა და ქამარში ჩარჭობილი პისტოლეტი შეისწორა.

მომრავლდნენ გადამთიელები და გადმომთიელები, ჩვენს მხარეში და ჩვენს სახლებში ჩასახლების ათასი ჯურის მსურველი. წუხელ „მაცნეში“ გამოდიოდა პოლიტიკური მიმომხილველი ცინცაძე. ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა ნათქვამმა, იმის შესახებ, რომ ვაი თუ შეიცვალოს დემოგრაფიული მდგომარეობა აფხაზეთ-

ში. დაბრუნდება კი ყველა ლტოლვილი იქ? ეს ხომ დამღუპველ გაელენას მოახდენს მოვლენების შემდგომ განვითარებაზეო. მან ცხინვალის მაგალითი მოიყვანა. ცხინვალი თითქმის სტერილური გახდა, მხოლოდ ოსებით დასახლებული, მაშინ, როცა იქ გასაბჭოებამდე ოსების მხოლოდ ორად ორი ოჯახი ცხოვრობდა. ახლა იქ ქართველი ლტოლვილები აღარ ბრუნდებიან. ეშინიათ. მთავრობამ სასწრაფო ზომები თუ არ მიიღო, შეიჭამა, გამოიხრა საცოდავი საქართველო...

24 ოქტომბერი.

დღეს წვიმიანი ამინდია, მოტეხილი სიმინდის ნახევარი და მოუტეხავი (მოჭრილი) ჩალა, ყანაში მიყრია. მთელი ღამე გოდებაში გავატარე. ისე დაღლილი ვარ, რომ იტყვიან ძვალი და რბილი გამიერთიანდა. მაინც ავდექი, ცოტაოდენი ხილი და საჭმელი ჩავალაგე ჩანთაში და გამვლელ მანქანას შემოვახტი. (შემოვახტი კი სარა, ძლივს შემათრიეს მეზობლებმა). რა ვქნა, შეტი გამოსავალი არ მაქვს, მეკარგება ოფლითა და ვაებით ნაჯაფი. ყანაში მარტოკა ვმუშაობ, წვიმა თანდათან ძლიერდება. გადავწყვიტე, მოუტეხლად მოვკონო ჩალა. ოღონდაც სახლამდე მივიტანო, როგორმე, მერე ყველაფერი ეშველება.

ირკვლივ სროლა გახშირდა. დაიწყო ნამდვილი საარტილერიო დუელი. მე აქ სიმინდის ტაროებს ვაგროვებ, ისინი კი ერთმანეთს ხოცავენ, ანგრევენ გაკეთებულს, არ მოძრაობს ტრანსპორტი, ჩაკვდა ცხოვრება. რისთვის? ვისი ამბიციებისათვის? რა ვერ გაიყვეს ადამიანებმა? ვინ დაუწესათ მათ ასეთი ბედისწერა, ასეთი უკუნურება? დასანანია, რომ „მწვანეებმა“ უფრო მეტი ხმები ვერ მიიღეს პარლამენტის არჩევნებში. აქედანაც კი ნათლად ჩანს ადამიანთა გონების მოუმზადებლობა პლანეტისა და თავის გადარჩენისათვის...

შემოდგომის ვერაგი წვიმით გაწუწული ვდგავარ და ველოდები, იქნებ ვინმე ვამოჩნდეს, რომ სახლამდე წამიყვანოს, მუშაობა მეტი აღარ შემიძლია. ვნანობ, რატომ წამოვედი; სად იყო და სად არა, ბადრი გამოჩნდა, „გრუზავიკი“ ეშოვნა და მოგრიალებდა. ძალიან გამიხარდა. ბიჭები დაერივნენ და აკონილი ჩალა მანქანაზე შეყარეს, მე ავტომატი მომიგდეს და მითხრეს, მუშაობის

სერიოზში შენ დაგვცაცაო. ოღონდ არ დაგეკარგოსო, მომაძახა ბადრიმ. „უხ, თქვე პარაზიტებო! — გავიფიქრე, — ჯერ კიდევ შემრჩენია ჯანი, მიზანში მოვარტყა. საქმე ისაა რა არის სამიზნე. ადამიანს რომ ვესროლო, არ შემიძლია. თუ ნადირს გადავეყრები, მაშ დღეს დავაყრი. ერთ აფრენილ ფრინველს არ გავუშვებდი ცოცხალს, ისე მიყვარდა ნადირობა. ახლა სადღაა ნადირ-ფრინველი. მდინარეში გაქრა თევზი, მოწამლულია ყველაფერი".

ეი სწორედ ეს მოუღებს ბოლოს კაცობრიობას, ზარბაზნებისა და ათასი ჯურის ომების გარეშე.

სახლამდე მოვაღწიე. ტანსაცმელი გამოვიცვალე და ძილად მივეგდე. მეუღლისათვის რომ დამეჯერებინა, კიდევ უნდოდა, რაღაც სამუშაო რომ შემესრულებინა, მაგრამ იმაზე მეტად მოვიმკვდარუნე თავი, ვიდრე მეკუთვნოდა. ოთხი საათი ვიძინე და ცოტათი დაღლილობა მოვხსენი. მაგრამ ჩემს გამოჯანმრთელებას ალბათ ერთი თვე მაინც უნდა სანატორიუმში მკურნალობით, მაგრამ სადღაა სანატორიუმი? ჩემი საყვარელი კურორტი ვაკრა ბარბაროსთა თარეშის ეპიცენტრი გახდა...

მეტად არასასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ დღეს. წუხელ თბილისში ხუთი ბალის სიმძლავრის მიწისძვრის ბიძგებმა მოსახლეობა გარეთ გამოყარა. როგორც გაირკვა, მიწისძვრის ეპიცენტრი სადღაც დაბა ყაზბეგის მახლობლად ყოფილა. არის ნგრევა და მსხვერპლი დუშეთში, ბარისახოსა და შატილში. ყაზბეგთან კავშირი გაწყვეტილია. უფრო გადაღმით რა მოხდა, ვინ იცის? ვაი, საცოდავო საქართველოვ! ვაი, საცოდავო კავკასიავ! შენ ისიც ეყოფა სადარდოდ, რომ მუდმივ სეისმურად სახიფათო ზონაში ხარ, ჭეოპოლიტიკურადაც ყველაზე საშიშ ზონაში მოხვდი და შენს მაცხოვრებელ ადამიანებს ღმერთმა არ მისცა ისეთი ჭკუა და გონება, რომ მშვიდობით მაინც იცხოვრონ.

ტყუილა ველოდით გუშინ რუსეთისა და საქართველოს შოლაპარაკებას. კოზირევი არ ჩამობრძანდა თბილისში. თბილისის გაზეთებმა კი (როგორც ვგრძნობ სულწასულობა) მთელ ქვეყანას აუწყეს კოზირევის ვიზიტი საქართველოში. მისი ბიოგრაფია და სურათიც კი დაბეჭდეს თვალსაჩინო ადგილზე. რა არის ეს, რად გვინდა ასეთი იაფფასიანი აგიტაცია? ყველაფერი ეს კეთდება მტრის სასარგებლოდ. საღამოთი (გუშინ) ბატონი ჩიკვაიძე იძულებული გახდა, დაეშოშმინებინა პირში ჩალაგამოვლებული ხალ-

ხი, რუსეთმა ზონდაჟი გაგვიკეთაო. დიახ, დიახ, ბატონო მინისტრო, დიპლომატიურ პრაქტიკაში ზონდაჟები ნაცადი, ნშირი ფანდებია, მაგრამ ისინი ხომ უნდა ვიყოთ მზად, გავაკეთოთ რაღაც ანტიზონდაჟი? მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი დაუდევრობისა და ენაჭარტალობით ჰიტლერს საშუალებას ვაძლევთ, გაიგოს ჩვენი ყველა საიდუმლოება, მათ შორის სამხედროც.

საღამოხანს ჩვენსა და აფხაზებს შორის გვარიანი შეტაკება მოხდა, ჩვენი მეზობლის ბიჭი მურმანი წვრილი ცოლ-შვილის სატრონი, მუშა კაცი, ნაღმს წამოედო და ფეხი დაკარგა. გადარჩება კი? რისი იმედი უნდა ვიქონიოთ? სამედიცინო მომსახურებაც მოშლილია.

გუშინ მოგახსენებდით, ვიღაც კორესპონდენტზე, მხედრიონის ბიჭებს რომ დაყვებოდა. ლაპარაკში ემჩნეოდა, ძალზე ზვიადისტობდა. ხუნტამ გაიმარჯვაო, ხშირად ამბობდა. მე მინდოდა დღეისათვის მასთან გამოლაპარაკება, მაგრამ სადღაც გაქრა. ასეთმა ქალებმა ხომ არ დაღუპეს ზვიადიც და საქართველოც.

25 ოქტომბერი.

მზიანი დილა გათენდა, თუმცა იგრძნობა შემოდგომის სუსხი. სიყვითლეშეპარულ ფოთლებზე უხვად დადებულა ნამი. ზოგ ფოთოლსაც თავისი დრო მოუჭამია. და ახლა ჰაერში ფარფატით ეშვება დედილო მიწაზე, ეჰ, ბუნებავ, ჩემო ოცნებავ, მაინც რამ გაგაჩინა ასე ლამაზი?!

საკვების მარაგის მომზადებაში ლამის სული ამომხდეს. გუშინ ძლივს მოტანილ ტაროებიან ჩალას ჩავუჯექი და ტაროების მოშორება დავიწყე. ტაროს ნაქურჩალს კი ღეროებზე ვტოვებ, საქონლის საკვები უფრო ბარაქიანი იქნება. ასე ვფიქრობ შე. კიდევ რას რას ვფიქრობ მუშაობის დროს? (რაზედაც ხშირად მიფიქრია) ქვეყანას მაშინ ეშველება, როცა ჩემსავით მაინც იმუშავებს ყველა, ამ ზაფხულს სოფლის მეურნეობის დარგის ამერიკულ ჟურნალს ვკითხულობდი. ჩემი ყურადღება მიიქცია ჰაერი ფერმერების საქმიანობამ. ერთ-ერთი ოჯახი, სადაც ცხოვრობდა ცოლ-ქმარი და მათი თოთხმეტი წლის გოგონა, ამუშავებდა და უვლიდა ორმოცდათექვსმეტ ჰექტარ მიწას. თურმე იქ მანქანებით აკეთებენ ყველა სამუშაოს, უკლებლივ. თოთხმეტი წლის გოგონამაც

ხსე იცის მანქანა-იარაღების მართვა, როგორც უფროსებმა (ბილებში ოფლი ხომ არ მოუდინდება ჩვენებურ უსაქმურობას ამის შემდეგ?) ჰოდა, სად მიაქვთ ამდენი მოსავალი? რაც საჭიროა, თავისთვის დაიტოვებენ, დანარჩენს კი აბარებენ შეკვეთებით. და ხურმე, ის ფერმერი (ვლეხი), რომელიც თავის თავის გარდა დამატებით ვერ გამოკვებავს ორმოც სულ ამერიკელს, იღვლება გაკოტრებულად.

ჩვენო ძვირფასო ხელისუფლებავ, მოგვეცით ჩვენც მანქანა-იარაღები, საწვავი და იქნებ იმ გაკოტრებულ ამერიკელ ფერმერებს მაინც ცავუტოლდეთ. თუ არ ვცდები მენდელეევის სისტემაში დასახელებული ყველა ელემენტი მოიპოვება საქართველოში. მაშ რა გვიშლის ხელს? ნუთუ ვეღარ გავიგეთ უბრალო ფორმულა: მოპოვება-დამუშავება-წარმოება-რეალიზაცია. ასეთი ინტელექტის მქონე ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება გამოიგონონ, გაბატონებულია სიზარმაცე, განა იაპონია მთავორიანი ქვეყანა არაა? მაგრამ, ნახეთ, როგორი მოსავალი მოჰყავთ. ისეთი ჯიშები გამოჰყავთ ხორბლისა, რომელიც ჰექტარზე 135 ცენტნერ მოსავალს იძლევა. ისლანდია თავისი გეიზერებზე მოყვანილი ბოსტნეულით ევროპასაც კი ამარაგებს. საქართველო ცაცელ წყლებზე სცურავს, მაგრამ ვინაა გამკითხავი?

ჰო, ასეა ძმაო, ასე! როდესაც ჩემს დაჩეჩქვილ თითებს დავხედავ ხშირ-ხშირად, გული ბოღმით მევსება, ასე პრიმიტიულად, პირველყოფილი ადამიანის მეთოდებით რომ ვასრულებ ყველაფერს. აბა რა ვქნა, თუ ასე არ გავაკეთებ, შიმშილით სული ამოძვრება.

ჩემს ასეთ მუშაობას ხანდახან მიმსუბუქებს ჩემი განუყრელი მეუღლის ბრძანებები. არ შეიძლება, ურთი და იმავე სამუშაოზე რომ დამადებინოს გული. თუ კი ახლოს გავუვლი, აუცილებლად შემომინახავს რაღაც საქმეს, ამიტომ, მართალი გითხრათ, ვერიდები კიდეც მასთან ხშირად ახლოს ყოფნას.

26 ოქტომბერი.

გუშინდელი მზიანი დღე ავისმომასწავებელი გამოდგა. შუაღამით კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. წვიმის ხმაურს საარტილერიო დუელი და თოფის სროლის ექო უერთდებოდა. ძილი ცამიტყდა. ხან აქეთ მივაყურადებ, ხან

იქით, რომ გავიგო თუ საიდან ისვრიან. არადა ისვრიან ყოველი მხრიდან. როგორც დილით გავიგეთ, გადამთიელებს ღამით უცდიათ ოჩამჩირის აღება.

ჩემი პატარა (არც თუ ისე პატარა) სოფელი არადუ ნამდვილი ფრონტისპირა ადგილი გახდა. აქ ისეთი შამბნარი იყო, ორმოციან წლებში, ადამიანს კი არა ნადირსაც კი უჭირდა გზის გაკვლევა. მალარია ხოცავდა ახალმოსახლეებს. ახლა კი არადუ ღონიერი სოფელია, შეძლებულად ცხოვრობს ყველა. სოფელს სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს. იგი ჩრდილოეთიდან იცავს მაგისტრალურ მოქვის ხიდს. საკმარისია მტერმა ხელთ ჩაიგდოს არადუ და ეს მავისტრალიც მის ხელში გადავა. ფაქტიურად ოჩამჩირე ჩიხში მოემწყვდევა, რამდენადაც მოქვის ხიდიდან სამხედრო პორტამდე ერთიოდე კილომეტრიც არ იქნება. მე ის მაკვირვებს, რომ ასეთი სტრატეგიული ადგილის დაცვას, როგორც არადუს, ნაკლები ყურადღება ექცევა, ეშიშობ, აქ არ განმეორდეს ავადსახსენებელი ჯგრის ვარიანტი. არადუს ვითომ იცავს მხედრიონის რამდენიმე ათეული მებრძოლი. ადგილობრივი გვარდიელები სხვაგან მიჰყავთ, ხომ არ ჯობდა სოფელში მაცხოვრებელთაგან დაეკომპლექტებინათ მებრძოლი რაზმები თვით ამ სოფლის დასაცავად. დანარჩენი ძალა თუ მოემატებოდა, ეს საქმეს წაადგებოდა. არადა ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცები (ისინი ბევრნი არიან სოფელში) ხელებჩაშვებული დგანან და წუხან უიარაღოდ. ვერა და ვერ მოხერხდა, ოჯახებს მისცენ იარაღი, რომ დაიცვან საკუთარი თავი. ის კი არა, შარშან თუ შარშანწინ აფხაზეთის ხელისუფლებამ მოსახლეობას (ქართველებს) უბრძანა ჩაებარებინათ სანადირო თოფები. მარტო არადუდან ერთ ასეულამდე თოფი აკრიფეს და წაიღეს. სოფელი კი ჯანიარაღებული დატოვეს. თუ დროზე და ძალიან მალე არ შეიქმნება ერთიანი ჯარი და არ დამყარდება რკინისებური წესრიგი, ოჩამჩირესაც გაგრის ბედი ეწევა და მერე სოხუმის აღებაც აღარ გაჭირდება.

ველოდებით ახლად არჩეული პარლამენტის სესიას. შეგვპირდნენ, რომ ამ კვირაში გაიმართება პირველი სხდომა, რაღას უცდიან? ნუთუ ამდენხანს კელარ გაირკვა, ვინაა არჩეული იმ დაღლილ პარლამენტში, რატომ ჟგვიანებს ბრძანებებისა და დებულებების გამოცემას თავდაცვის საბჭო? ცოტაოდენი მაგალითი მაინც გადაიღონ იმ თავდაცვის საბჭოს მუშაობიდან, რომელ-

საც სტალინი ხელმძღვანელობდა. ომი თუ არის, ომს თავისი კანონები აქვს. დროა, ამუშავდეს უმკაცრესი რეჟიმი, ყველაფერი გადავიდეს სამხედრო საიდაზე. რატომ ვაგვიანებთ რუსეთთან ხელშეკრულების მომზადებას და დადებას? რაო, ელცინის დამხობას რომ არ ველოდებით? არა და ელცინს შავი დღე ადგას ყოველი ჯურის მემარჯვენეებისაგან თუ მემარცხენეებისაგან. თუ კვლავ დიქტატურა დამყარდება, მერე ხელშეკრულებას დაგვიდებენ, თუ გუბერნიად გამოგვაცხადებენ?

დღეს ნამდვილი შავი დღე გვადგას. მუშაობას არ გვანებებენ. ძალიან გააქტიურდნენ სეპარატისტები და მათი დამხმარე გადამთიელები. ნაშუადღევს სოფელი ნაღმის რამდენიმე ბათქმა შეაზანზარა. მერკულის გორიდან და მოქვის მხრიდან ნაღმები დაუშინეს სკოლის შენობას, სადაც მხედრიონის ნაწილი იდგა. ორიოდე ნაღმმა სკოლის კედლები შეანგრია. ერთიც სკოლასთან ახლოს მდგომ სახლს დაეცა და მოხუცი ქალი იმსხვერპლა (ნუცა სალინაძე). ხალხი თავშეყრას კი არა, სამძიმარზე მისვლასაც ვერ ბედავს. ამ ადგილს მერკულის გორა თავს დაჰყურებს. იქიდან კი სნაიპერი ნადირობს აქ გამვლელებზე. ვერა და ვერ დაადგა საშველი იმ გორის გაწმენდას და იმ სნაიპერის აყვანას. სკოლასთან ჩვენი ერთი მსუბუქი ტანკი დგას. (ალბათ მისი მოსპობა უნდოდათ). ქვის ქვეშეხს საჭიროებისას ყუმბარებიც კი არ აღმოაჩნდა.

ბადრი მთელი დღე არ გამოჩენილა, აი ეს წუთია შემოვიდა ავტომატგადაკიდებული. ახლა კი დაიწყო ნამდვილი ომიო, შოთხრა და საჭმელს დაეძგერა, ბიჭო, მთელი დღე სადა ხარ-მეთქი? შენ იცი, ომი რა არისო? ღიმილი მომერია და ის ძველი ომი გამახსენდა, ომი გერმანიასთან. თუმცა როგორც ჩანს, სამოქალაქო ომი უფრო ვერაგი უნდა იყოს.

სალამო ხანს შევიტყვეთ, რომ წუხელ პირველ ბრძოლაში ჩაება გალის ბატალიონი „სამურზაყანო“ (გალს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ქობალიების შიშით). ეს კი მართლაც გაგვეხარდა ყველას, თუ სამეგრელომ ზვიადისტობა ჩამოიშორა და მხარი დაგვიჭირა, გადამთიელებს სულ დედას უტირებენ ჩვენი „ჯიმამარგალები“. აფხაზებს მარტო ზუგდიდი ეყოფა. აბა, ჰე, ბიჭებო, მევრელებო! თავი არ შეირცხვინოთ, თქვენი ჭირიმე!

ამ დილით (თურმე წუხელ გვიანაც) მოსკოვიდან ტელევიზიით შემაშფოთებელი ცნობა გადმოსცეს: „დღეს დილით აფხაზმა „ბოევიკებმა“ დაიკავეს ქალაქი ოჩამჩირეო. ჯერ იყო და შევშფოთდით, ჩემმა მეუღლემ კინაღამ გრძნობა დაჰკარგა. ბადრის არხეინად სძინავდა. საიდან, სადაო? ქალაქი ოჩამჩირე ჩვენგან, სულ რაღაც ექვს კილომეტრზეა, ცოლისდაც იქ ცხოვრობს. სასწრაფოდ დავრეკე მასთან. ვუთხარი, მართლა ასეა საქმე-მეთქი? საიდან, სადაო? გაიკვირვა მანაც, ახლა კი ნამდვილად ვირწმუნე რუსების მაუწყებლობის მორიგი ცრუპენტელობა. არადა ხომ დააჯერა მილიონობით მაყურებელი, ხომ წააქეზა ჩეჩნები თუ ათასი ჯურის გადამთიელი — აქაო და აფხაზებს არაფერი უმაგრდებათ აუღებელიო, თქვენც რაღას უყურებთ, მიდით და მიდითო! ბევრი ფული, ქართველთა სასახლეები თქვენი იქნებაო. ამ პროვოკაციულმა ცნობამ ბევრი საჯავრო მოგვიმატა. სოხუმში, ფოთში, მერხეულში, ლეჩხუმში ცხოვრობენ შვილები, სიძეები, ნათესავები. რამდენს იჯავრებდნენ ისინი, როცა ამ ცნობას შეიტყობდნენ და ჩვენისთანა რამდენია ასეთი?

სინამდვილეში, გუშინ დილით მართლაც იყო მცდელობა ოჩამჩირეზე შეტევისა. აფხაზებმა და გადამთიელებმა ყოველი მხრიდან შეუტიეს ოჩამჩირეს, გადმოსხეს ასკაციანი დესანტი, მაგრამ დესანტის უმრავლესობა ადგილზე გაანადგურეს, გადარჩენილებს კვალში ჩაუდგა ახლად შექმნილი ბატალიონი თამაზ შონიას ხელმძღვანელობით და დღეისათვის უკვე ყველა ლიკვიდირებულია. გაირკვა, რომ დესანტში იყვნენ აფხაზებიც, უმრავლესობა ჩეჩნები და კაზაკები, ერთი რუსი და ერთი თურქიც. სხვა მხრიდანაც გარეკილ იქნა მტერი. საგულისხმოა, რომ გვარდიისა და მხედრიონის ნაწილებს გვერდში ამოუდგა გალის ბატალიონი, რომელიც მანამდე ზვიადისტების მომხრე იყო. ეს უკვე კარგი შემობრუნებაა, სასიკეთო. მეგრელებმა იარაღი აისხეს მტრის წინააღმდეგ და თავიანთ გალის ბატალიონს ისტორიული „სამურზაყანო“ უწოდეს. ამას გარდა, შეიქმნა სახალხო ლაშქარი. რაიონში მდგომარეობა სტაბილური გახდა და ლტოლვილებს მოუწოდეს უკან დაბრუნება. აი, ეს კი მესმის! იმედია, გალის მაგალითს მალე მიბაძავს ზუგდიდი და მთელი სამეგრელო. მაშინ იკითხონ გადამთიელებმა, თუ როგორი ბრძოლა იციან ქართველებმა...

გუშინდელი მწარე ლუკმის გადაყლაპვის შემდეგ, დღეს მტერი გაჩერებულია. გუშინ მერკულის გორიდან ნაღმები დაუშინეს არადუს საცხოვრებელ სახლებს. ერთ სახლს სამი ნაღმი მოხვდა. საცოდავი მოხუცი ქალი ლობიოს არჩევდა თავის სამზად ოთახში. იგი ნაღმმა ნაკუწებად აქცია. ბარაქალა იმ უსინდისო ბიჭებს, რომლებიც ასეთ საძაგლობას ჩადიან. დღეს ის ქალი მაშინ დაასაფლავეს, როცა შეღამდა, თორემ მტრის სნაიპერი კიდევ სხვას იმსხვერპლებდა.

დღეს ცეცხლის გაჩაღება გამიჭირდა. არ იშოვება ასანთი. ისევ პირველყოფილი ადამიანივით დარაჯ-დ უნდა დავუდგე ცეცხლს, რომ არ ჩამიქრეს. მუგუზალს გულდაგულ ვახვევ ნაცარში ღადართან ერთად. ერთ დღე-ღამეში არ ჩაქრება. არ გვაქვს საპონი, ისევ ნაცრიდან უნდა გამოვხადო სარეცხი სითხე.

კვლავ აგვიანებენ სესიის მოწვევას. ჩვენ კი ძალიან გვეჩქარება თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ. მტერი აქტიურად სარგებლობს ჩვენი ბუტუტურით. გუშინწინ ეშერაში გადამთიელებმა თუ აფხაზებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს. შვიდი გვარდიელი მოიწამლა. ღმერთო ჩემო, რას ბედავენ?! მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერმა ვერ გაბედა ქიმიური იარაღის გამოყენება. აქეთ, ეშერაში დისლოცირებული რუსეთის სადესანტო ნაწილი იმუქრება ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ ცეცხლის გახსნით. შევარდნაძე ამბობს, რომ რუსეთის ჯარები მთლიანად უნდა გავიდნენ საქართველოდან, მაგრამ ჯერ ამის დრო არ დამდგარაო. საქართველოს ჯერჯერობით საჰაერო დაცვა სჭირდებაო. იქნებ ასე სჯობს, უკეთ იცის შევარდნაძემ, რა გააკეთოს.

ბევრი ვიმუშავეთ დღესაც მე და ჩემმა მეუღლემ. შევპირდი, რომ დღეიდან ვათავისუფლებ მოსავლის დაბინავების სამუშაოსაგან და იმოქმედოს თავისი შეხედულებით (ასე რომ ვეტყვი, მაშინ სულ არ იკლავს თავს მუშაობით). ბადრი გვარდიელებს ჩაუჯდა მანქანაში და ჯერაც არ ჩანს. ხშირად პიკეტზე დადის და გვიან ღამით მოდის.

28 ოქტომბერი.

დადაუღებლად წვიმს, მოსავალი ფუჭდება. საწყალი ჰიჰიკოს მოჰრილი, ნახევრად ტარომოცლილი სიმინდი წყალში ცურავს. იქვე ცურავს ჩემი ასი კონა ჩალაც. მიწა დაფარულია ჩამოყრილი

ხილით. ვინაა გამკითხავი! რამდენ ავადმყოფს თუ კარგადმყოფს ენატრება ლოყადაწითლებული ვაშლი, ოქროსფერი მანდარინი. მარტო ჩემს ეზოში რომ ხილი ყრია, ის ეყოფოდა ერთ ბატალიონს...

სადღაც გადაგდებული ნახმარი ელემენტები მოვიძიე და რადიო ავაჩურჩულე. პიკის საათის ინფორმაცია არ მინდა ხელიდან უკვეშვა, თუმცა ვერც ის გადმოსცემს მთლად მართალ ინფორმაციას. როცა ზალპებით ყურები გამოგვიჭედეს, რადიო გადმოსცემდა თბილისიდან, რომ ოჩამჩირეში სიმშვიდეაო. როგორც იქნა ოსტანკინომ გამოასწორა თავისი ექსტრადეზინფორმაცია — ოჩამჩირე აფხაზმა „ბოევიკებმა“ აიღესო. თბილისმა და სოხუმმაც მეტად სასიამოვნო ინფორმაცია მოგვაწოდა. სენაკში ჩატარდა სამეგრელოს ყველა რაიონის გამგებლისა და თანამდებობის პირთა თათბირი, რომელსაც ჯემალ ქობალიაც დასწრებია. შეთანხმდნენ თურმე, რომ დამთავრდა შინაომლილობა და გადაწყვიტეს გვერდში ამოუდგნენ ახალ ხელისუფლებას შინაური და გარეშე პრობლემების მოსაგვარებლად. ჯემალ ქობალიამ კორესპონდენტს განუცხადა, ორ დღეში თავისი რაზმით მზად იქნება გვარდიასა და მხედრიონთან ერთად შეებრძოლოს გადამთიელებს და თავისი შენაერთით შევიდეს საქართველოს ერთიანი ჯარის შემადგენლობაში. მეუღლეს მივაძახე ეს ამბავი, მეუღლე ჭიშკარში ისე გავარდა, თითქოს ცოფიანი ძაღლი გამოკიდებოდეს და მთელ მეზობლებს გააგებინა ეს ამბავი. ყველამ როდი დაიჯერა: კი, თქვეს, მაგრამ სიტყვას შეასრულებენო?! მე კი ნამდვილად მჯერა, რომ სამეგრელოს ვაჟკაცები სიტყვას არ გატეხენ და მაშინ იკითხოს აფსუა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა ბანდებმა... ტელევიზიაში თავი გამოჰყო ვინმე ტყვარჩელელმა კვეკვესკირმა, რომელიც ცოფს ანთხევდა და თათხავდა ქართველობას: თითქოსდა ქართველები გენოციდს უწყობენ აფხაზებს, თითქოსდა ქართველებმა მოახდინეს აფხაზეთის „გოსუდარსტვას“ (როგორც თვითონ ამბობდა) ოკუპაცია და სახელმწიფო საბჭოს ჯარები ეწევიან აფხაზეთის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას. ჩვენ კი ვიცით, ვინ რას ეწევა და რას აკეთებს, მაგრამ ამ ვაიდიქტორების მიერ გადმონთხეულ სიცრუეს ხომ დაიჯერებს უცხო მაყურებელი? თუმცა ტყვარჩელს რა გაეწბილება, როცა მოსკოვის „ვესტი“ და „ნოვოსტი“ მთელ მსოფლიოს ამცნობენ ათასნაირ სიცრუეს. მადლო-

ზა ღმერთს, შევარდნაძის წყალობით ბევრი საზღვარგარეთის ქვეყანა დავიმეგობრეთ, რომელთა წარმომადგენლობანი იმყოფებიან საქართველოში და ისინი მაინც დაგვეხმარებიან ფაქტის დადგენაში...

ხათუნა მომენატრა, ჩემი პირველი შვილიშვილი. ივი ლტოლვილია აფხაზეთიდან. ჩემს მშობლიურ მხარეში, ლეჩხუმში გადავაგზავნე. რომ მიდიოდა, მითხრა, არჩევნები რომ დამთავრდება, ჩამოვალო. ასე თქვა ყველამ, ვინც მასთან ერთად გაემგზავრა. სესიის მოწვევა კი კვლავ გაჭიანურდა. მადლობა ღმერთს, როგორც იქნა დღესათვის გამოაცალეს იმათი გვარები, რომლებიც არჩეულნი იქნენ პროპორციული და მაჟორიტარული წესით ხმის მიცემით. ხვალისათვის კი დანიშნულია მათი შეკრება და ალბათ გადაწყვეტენ, როდის მოიწვიონ პარლამენტის სესია.

გაცხარებული კამათი არ წყდება იმის თაობაზე, რომ უშუალოდ პირდაპირი კენჭისყრით აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, მსოფლიო პრაქტიკაში ასეთ არჩევნებს პრეცედენტი არ მოეპოვებათ. მე კი მგონია, თუ მსოფლიო პრაქტიკაში ჩვენ პირველებმა გადავდგით ასეთი ნაბიჯი, ეს უფრო საამაყოც კი უნდა იყოს, როცა პარლამენტის თავმჯდომარეს ირჩევს უშუალოდ ხალხი და ისიც 95 პროცენტით.

ქართველები აბა რისი ქართველები არიან, თუ ახალი რამ არ გამოიგონეს. დეე, ჩვენგან გადაიღონ სხვა ქვეყნებმა ასეთი წესი არჩევნებისა. ჩვენ კი ასე ნამდვილად გვაწყობს.

20 ოქტომბერი.

მთელი ღამე არ შეწყვეტილა სროლა. იქით და აქეთ, აქეთ და იქით, საბედნიეროდ არავინ არ კვდება. საკითხავია, ათიათასობით გასროლას რამდენი ვაზნა, ასაფეთქებელი მასალა, ფერადი ლითონი, სპეციალური რკინა ლულისათვის სჭირდება? და ბოლოს, რამდენი ნერვების ცვეთა! ვის სჭირდება ეს უაზრო ომი? ანდა არსებობს კი (ან ოდესმე არსებობდა) ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის? არა ძმაო, არ დაიჯერო! ქართველები და აფხაზები ერთად ცხოვრობდნენ და ერთად უნდა იცხოვრონ. აბა, რა დაემართათ? ვის აწყობს ეს ომი? აწყობს რუსეთის რეაქციულ ძალებს, აწყობს ისლამურ ფუნდამენტალიზმს. რუსეთი, თუ მას ჭკუა ეკითხება, და-

ინტერესებული უნდა იყოს არა დაშეცმაცებული, არამედ ძლიერი საქართველოს სახელმწიფოთი, რომელსაც ყოველთვის შეჰქონდა სტაბილიზაციის ფაქტორი კავკასიაში. არძინბა რუსეთის რეაქციული ძალების აგენტია, იგი თვითონ წევრია „სოიუზის“, რომელიც ძველი დიქტატურის აღდგენას მოითხოვს. არძინბამ ფაშიზმი შეიტანა აფხაზეთში. იგი თვითონ ფაშისტია და იმდენად ფანატიკოსი ფაშისტი, რომ თავისი მცირერიცხოვანი ხალხი არ ენანება დასაღუპავად. მაგრამ, მადლობა ღმერთს, გამოჩნდა რამდენიმე ათეული ისეთი აფხაზიც (ინტელიგენციის წარმომადგენლები), რომლებიც არ ეთანხმებიან არძინბას კურსს და თანამშრომლობენ ფრაქცია „დემოკრატიულ აფხაზეთთან“. რაც შეეხება ავტონომიას, ნამდვილად ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა ოსეთსა და აფხაზეთში, საქართველოში არ უნდა არსებობდეს არავითარი ავტონომია, გარდა იმისა, რაც საერთაშორისო ნორმებითაა მიღებული. კი, ბატონო, ექნებათ მათ კულტურული ავტონომია, თავიანთი სკოლები, ენა და ლიტერატურა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო სახელმწიფოში (ისიც ერთ ციცქნა სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა). ავტონომიები ნაბიჯვარი ორჯონიკიძეების შექმნილია და ბოლშევიზმის გაუქმებასთან ერთად უნდა გაუქმდეს ერთხელ და სამუდამოდ, უნდა იყოს მხოლოდ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, სადაც თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ ყველა ეროვნების ადამიანები...

როგორც იყო დადგინდა ახალი პარლამენტის პირველი სესიის მოწვევის თარიღი — 2 ნოემბერი. ხალხი ძალიან ბევრს ელოდება ამ სესიისაგან, მთავარი და მთავარი უნდა იყოს საკითხი ხელისუფლების შესახებ, რეგლამენტის შესახებ, ერთიანი ჯარის შექმნის შესახებ. თავდაცვაზე დებულებათა დამტკიცება და სხვ. მე რომ მკითხოთ, დროებით უნდა გადავდოთ ყოველგვარი „დემოკრატიულობა“ და უთავბოლო კამათი და სანამ ომის მდგომარეობაში ვართ, ვიმოქმედოთ მხოლოდ ომის კანონებით. განმტკიცდეს მართლწესრიგი და ყველამ აკეთოს თავისი საქმე. უამისოდ არაფერი არ მოგვარდება. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, როგორც იტყვიან.

ამ დილით რუსლანი მესტუმრა, კარგა ხანია არ მინახავს სანჩო. მას მაშინვე შევთავაზე ჩალის დაზვინვაზე მომხმარებოდა. შევთანხმდით, რომ მე ყველაფერს მოვამარაგებდი და საღამოს ოთხ საათზე მოვიდოდა ჩემთან. მადრი და მისი სანჩო სადღაც გაუჩინარდნენ... ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც რუსლანი გამოცხად-

და და დიდი დახმარება გამიწია. სამაგიეროდ, შევპირდი, რომ მის საეჭირო საქმეებს ამ წიგნში შევიტანდი.

საღამო ხანს ისევ ატყდა სროლა და კაკანი. მოწინააღმდეგე მხრიდან ისროდნენ „მოხეტიალე ნაღმებს“. მანამ არ გაჩერდნენ, სანამ ჩვენი ჯავშანტრანსპორტიორი არ გამოჩნდა და ცოფიანი ძაღლივით არ შეუღრინა მათ.

ბადრი გვიან მოვიდა. ნასვამი იყო. მაშინ არაფერი მითქვამს, რადგან ჩავთვალე, რომ მაინც ფერაფერს გაიგებდა. საყვედურის თქმა ხვალისათვის გადავდე. ისე კი, ძალიან მეჯავრება მთვრალი ადამიანი, ასეთ პირობებში სიმთვრალე ნამდვილად დამღუპველია. მე მგონი, საჭირო იქნება გადამჭრელი ზომების მიღება ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ. ზემოთ ვთქვი კიდეც, რომ ადამიანებს უკმრად და უეპიდემიოდ ემუქრება ეს ორი სენი.

მუშაობაში ვიყავი გართული, როცა დაფეთებული შემოვარდა ჩემი მეუღლე და მითხრა, დაანებე თავი ყველაფერს, მეგრელები არ გვეხმარებიანო, ეგერ იასონმა თქვაო (ტელევიზორში ვუყურეო). ზუგდიდელები ამბობდნენ ღეიზოცონ იქანე ის ქართველებიო, გაგრაში რომ მოუვიდათ უარესი მოუვიდეთო, ახია მათზეო. აბა, ჩვენი შვილები გავაგზავნოთ და დავწყვიტოთ იქაო?.

გულზე შემომეყარა. გუშინ მოვისვინე, რომ ჯემალ ქობალიამ განაცხადა, ორ დღეში ჩვენ მზად ვიქნებით საბრძოლველადო. რაშია საქმე? ქუჩაში გავედი, რამდენიმე ჩასუქებული მამაკაცი და მანდილოსანი ათას რამეს ჰორაობდნენ ისე, რომ ერთმანეთს არ აცლიდნენ. ზოგ მათგანს ტანისამოსში გამოკერილი ჯიბეები ფულით აევსო და მზად იყო გასაქცევად. არც ახალგაზრდები ჩამორჩებოდნენ ჰორების გავრცელებაში. იასონს გავძახე: ბიჭო, იასონ, რა გადმოსცა ტელევიზორმა-მეთქი. ცუდად ღამით იყო გადმოცემა, ზუგდიდიდანო. ერთი ათი კაცი მაინც იყო შეკრებილიო. ქობალია თუ იყო-მეთქი? არაო! უარს ამბობენ წამოსვლაზეო. სულ მუშტებს უბრაგუნებდნენ მაგიდაზე. ერთი გამოვიდა ბოლოს და იმან თქვა, თუ არ წავედით და არ ვიბრძოლეთ გადამთიელების წინააღმდეგ, ჩვენს შვილებსაც ისე მოუვათ, როგორც გაგრაში მოუვიდათო.

აი, როგორ შეუცვლია იასონის ნათქვამი ჩემს მეუღლეს, როგორ სულ თავდაყირა დაუყენებია და გაუგია. თუ ქუჩიდან რაღაც ოც მეტრში ჩემს სახლამდე ჰორი ასეთ ცვლილებას განიცდის, მაშინ ვილას დაეჯერება? ახლა კი მომიხდა მეზობლების შეფურცხუ-

ნება. ბატონებო, ვისაც ეშინია და პანიკიორობს, იგი უფრო მეტად სხვას აცდებს განსაცდელში და სჯობს დროზე გაეცალოს სოფელს. დარჩეს მხოლოდ ის, ვინც უშიშარია, იარაღსაც იხმარს და სოფელსაც დაიცავს. დროა თავი დაანებოთ ათასნაირ მითქმა-მოთქმას და ჰორიკანობას-მეთქი.

ეს საკმაოდ მკაცრად იყო ნათქვამი, ვიღაც-ვიღაცეებს არ მოეწონა, ჩემი ასეთი მოულოდნელი მოწოდება, რომელიღაცამ წაიბუტბუტა კიდეც: შენი საქმე არ არისო. ამაზე კი ნამდვილად გავბრაზდი და ყველას ერთად შევუტიე. დღეის იქით, ვინც ასეთ ჰორს დაარსებს, იმას საველე სასამართლოს გადავცემ-მეთქი. არ ვიცი, რამდენად დაიჯერეს ეს ნათქვამი, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ყველა თავთავიანთ ეზოში მუშაობდა, რაღაცას აკეთებდა. სანაქებო არიან ჩემი მეზობლები ბუჭუ და მისი მეუღლე ლიანა (ის აფხაზია). მათ არ სცალიათ ქუჩაში გასაჩერებლად და ჰორების დასაარხევად. ქალებს კიდევ ეპატიებათ, ცოტა რომ წაიჰორაონ, მაგრამ, როცა ჩასუქებული ვაჟკაცები და, მით უმეტეს, ახალგაზრდები ასეთ საქმიანობას ეწევიან, დაიღუპება სოფელი და ისაა...

საღამოს ჩალის ზვინზა მოვამთავრე და დავწექი. ძალიან დაღლილი ვიყავი. რუსლანი ბაღდრისთან იყო წასული. სადღაც მოკლე ჩართვამ შუქი გამომრთო და გადმოცემას ვეღარ ვუყურე. ის დრო იყო ძილი შემეკრიდა. რომ მეუღლე შემოვარდა და იყვირა, ადექი ჩქარა და ჩაიცვი, ჯოკეი დადის და გაგვაფრთხილა, გორაზე რაღაც განათებული არის და რუსები მოდიანო. (ქალი ნამდვილად შეშინებული იყო). მე მას დავუტატანე და ჩამომშორდა. ადგომის თავი აღარ მქონდა, თორემ კარგად კი გამოვლანძღავდი იმ ჯოკიასაც.

30 ოქტომბერი.

დილით ადრე ავდექი (თუმცა მეუღლე მაინც მასწრებს ადგომას) და ტატიანას ვეკითხები, სადაა ჯოკიას დესანტი-მეთქი? ჯოკიას ჰორებით უკმაყოფილომ ხელი ჩაიქნია და არაფერი უპასუხნია. ცოლი მკაცრად და სერიოზულად გავაფრთხილე, თუ ქუჩიდან კიდევ მოიტან ასეთ ჰორებს, სახლში აღარ შემოგიშვებ-მეთქი. ჯერ იყო და იგი თავგადადებული ზვიადისტი იყო, ახლა ზვიადი მხოლოდ ებრალება, ცოდვა არისო. ასე რომ, გვარიანი დილეტენტი მეუღლე მყავს. ასეა თუ ისე, მაინც მისით მიდგას სული.

სასიმინდეში ტაროებს ვაბინავებ და სხვა მოსაცალსაც თავთავიანთ ადგილს ვუჩენ. ბადრის გაელვება და მოულოდნელად წამომადგა თავს. კაი გამარჯობა, შენიო, მითხრა; კაი გაგიმარჯოს-მეთქი და თვალებში ჩავხედე. გუშინ ხომ არაფერი გაწყენინეო. თქმა ისეთი იცის, რომ შეგებრალება. რატომ დათვერი-მეთქი. ვუსაყვედურე. ასეთ პირობებში უზომოდ დალევა უბედურებას გადაგყრის-მეთქი. მერე მომიყვა, თუ რა მოხდა გუშინ: სოფლის თავში ცხოვრობს ორი მოსახლე შადანიები, რომელთა გადარჩენაზე ბადრიმ თავი გამოიჩინა. ამათ გარდა ცხოვრობს ხუთიოდე ოჯახი — კაკალიები. ერთ-ერთი მათგანის შვილი თურმე გუდაუთაში იყო აფხაზურ გვარდიაში და სადღაც გაგრაში „საქმიანობდა“, მეორე კი აქ რას აკეთებდა კაცმა არ იცის. მათი ვინაობით ჩვენი გვარდიელები დაინტერესებულან. ღამით მათ კაკალიას ოჯახს მიაკითხეს. ბიჭი ცარაღიანად ფანჯარაში გადამხტარა. გვარდიელებმა იფიქრეს აქ ვიღაც ჩეჩენი იყო უთუოდო და უკან ავტომატს ჯერი დააღევნეს. საუბედუროდ ბიჭი ხელში შემოაკვდათ. ასე მოკლეს ჩვენი სოფლის მკვიდრი აფხაზი. მერე თურმე მათ ოჯახებსაც ემუქრებოდნენ. ასე რომ, სოფლისათვის სახეირო საქმე არ კეთდებოდა ისე, როგორც ეს გაკეთდა წინა შემთხვევებში. ბადრიმ იკისრა მომრიგებელი მოსამართლის როლი. ამის შესახებ მე ზემოთ მოგითხრეთ. ცოტაოდენი აჭაც მინდა დავუმატო ამ ამბავს. რომ ეს ცოტა არ იყოს, ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ბადრი აფხაზებს უდგება, როგორც ეს მოხდა ვალერას ეპიზოდში და მაშინ სოფელში აღარ დაედგომება. გააგებინებ კი ზოგიერთ რეგვენს, რა სჯობს საქმისათვის? შეიძლება აფხაზებმა იფიქრონ, რომ ქართველების აგენტია იგი, სომ ქრისტარიასთანაც იყო კონტაქტში, ან პირიქით. ასე რომ, ძალიან რთული მდგომარეობა იყო. ბოლოს ძნელია დაარწმუნო მოსული მხედრიონელი, რომ შენ თუ გვიცავ, ძმაო, ისეთ რამეს ნუ ჩაიდენ, რაც შენი წასვლის შემდეგ ჩვენ დაგვაწვება ტვირთად. მაგრამ ამ რთულ და სოფლისათვის ფასდაუდებელ თამაშში გაბედულად ჩაება ბადრი. ამიტომ შევარქვი მას დონ კიხოტი. მან მოახერხა მოთავე მხედრიონელების დარწმუნება იმაში, რომ არ შეიძლება ერთმანეთს გადაკიდო ქართველი და აფხაზი. რომ ეს, როგორც ზემოთ ვთქვი, არ არის ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის. რაკი მათი დარწმუნება მოხერხდა, ბადრიმ მხედრიონელები შეახვედრა აფხაზ ოჯახებს და მოხდა მათი დიალოგი. ბადრის წყალობით კარგად გაუვეს ერთმანეთს და ამ ოჯახებმა პურ-მარილიც კი გააწყვეს სტუმრების

საპატივცემულოდ (კარგი სტუმარმასპინძლობა იციან აფხაზებმა). აი, იქ საშვილიშვილო საქმის გაკეთების აღსანიშნავად შეზარხოშებულა ჩემი დონ კიხოტი, რისთვისაც ამ დილით ბოდიშს მიხდიდა, მაგრამ იმდენად კმაყოფილი დავრჩი მისი მოქმედებით, რომ ლამის გულში ჩავიკარი ჩემი ვაჟკაცი, ალბათ, მოვა დრო და როცა ისტორია დაიწერება ამ უაზრო ომისა, იქ ჩემი დონ კიხოტი და მისი ერთგული სანჩოც საპატიო ადგილს დაიკავებენ. ამ დღიურს საღამო ხანს ვწერ. ჩემს მეზობელს ბუჭუს სიმინდი მოუტანია ტრაქტორით ყანიდან და ის და მისი მეუღლე ძარას ცლიან. დროდადრო არ გვასვენებს ტყვიამფრქვევის კაკანი. მერკულის გორიდან ოდინდელი ზარბაზანი უბათქუნებს. შეღამდება თუ არა, იმის შიში გვიპყრობს, რომ დაიწყება ტყვარჩელის ქარხანა „ზარიაში“ გაკეთებული ნაღმების დაშენა. ღმერთო, შენ დაგვიფარე წარღვნის დაწყებიდან!...

31 ოქტომბერი.

ადრე დილით ჩემი „ფოსტალიონი“ (მეუღლე) შემოვარდა და მომაძახა, გძინავსო? ჰო, მძინავს-მეთქი. ადექი და გაიხედე ქუჩაში, ტანკი და ქვემეხები მიგრიალებენ, ფეხითაც მიდიანო. მაგარი სროლა იქნება, ფანჯრები დააღეთ, თორემ შუშებს ჩაამტვრევსო. მაინცადამაინც დილით (როცა წნევისაგან გაწამებული ძლივს ვიღვიძებ) მომახლოს ეს დალოცვილი „ახალ ამბებს“.

გარეთ მოტორების გრუხუნი ისმოდა. ვიკადრე ადგომა და ჩემს შინაურ საქმიანობას შევუდექი. გაჩერდიო! — მიცაცხანებს მეუღლე, — ვის უტოვებ ამდენ ნამუშევარს, ჩეჩნებს თუ კაზაკებსო. ერთი კი შევუღრინე, ნუ ჭორიკნობ-მეთქი და ბაზრისაკენ გავისტუმრე, თან დავაბარე, რომ ცოლისდასთან დარჩეს ოჩამჩირეში, ოორემ აქ გამუდმებული სროლები ალბათ გააგიჟებს ამ უბედურს.

ჩვენმა ბიჭებმა მერკულის გორას დაუშინეს ყუმბარები. სახლებს ზანზარი გაჰქონდა, ფანჯრის შუშები ბევრ ადგილას ჩამოცვივდა. სროლა მიწყდა და შვებით ამოვისუნთქეთ. იქ, ალბათ, აღარც სნაიპერი დარჩა ცოცხალი და აღარც ის მენაღმე, სული ღმერთმა გაუმწარა მთელ სოფელს...

არ გასულა ნახევარი საათი და იმავე გორიდან იგივე ნაღმსატყორცნი ამუშავდა. ამუშავდა და კარგადაც იმუშავა, რამდენიმე სახლის კედელიც გახვრიტა. ჩვენ კი გვეგონა, რომ იმ გორაზე

ჭიანჭველაც კი აღარ გადარჩა დაუსჯელი. ცუდად ისვრიან ჩვენი ბიჭები. ისვრიან და ისვრიან გამუდმებით, მაგრამ არა დანიშნულებით. ჯარს გაწვრთნა სჭირდება, სპეციალისტები. ომში მარტო ენთუზიაზმით ვერას გახდები. როგორც ჩანს, მტერი ღრმად ჩასულა შიწაში და კარგადაც გამაგრებულა. რა დასამალია და ჩვენს ბიჭებს სანგრის გათხრაც კი ეზარებათ. რა გვესანგრება, წინ უნდა წავიწიოთო! ასე უწესრიგოდ არც წინ წაწევა ივარგებს და არც უკან დახევა. საღამო ხანს კაი შაგრად მოგვაყარეს ტყვიები მოქვის მხრიდან. ზაირა და მისი ბავშვები გადმოიყვანა ლადიამ, ზაირა აფხაზებშია გათხოვილი. ქმარი მისი ქართველია — ბრუნჯაძე, წარმოშობით აჭარიდან, მაჰმადიანი, ახლა იგი აფხაზობს და ქართველობის არაფერი აცხია. ასეთი „აფხაზები“ არიან საშიში და არა ნამდვილი აფხაზები. ვის გაუგონია აფხაზი ჩაკვეტაძე, ახვლედიანი, ლორთქიფანიძე, წერეთელი, ჭავჭავაძე და ათასი სხვა. ზაირამ თქვა, თქვენგან ნასროლი ზარბაზანი ჩემს სახლს მოხვდაო. აქ ბევრია თავმოყრილი შერკულიდან, ტყვარჩელიდან. აქ არიან ჩეჩნები, ოსები, თათრები და თქვენ წარმოიდგინეთ არაბებიც, კბილებამდე შეიარაღებული არიან და ამბობენ, რომ ერთ კვირაში სოფელ არადუში ერთი სახლიც არ დარჩება დაუნგრეველიო. ესღა გვაკლდა ახლა. პირდაპირ ნავთი გადაგვასხა ცეცხლიან გულზე. საღამოს მეუღლემ დამირეკა: საშველი გააკეთე და გამომიგზავნეო. მეგონა, მოვიშორე და ამოვისუნთქე-მეთქი და ახლა ოჩამჩირიდანაც კი აღარ მასვენებს...

ნაშუადღევს ბადრი მოვიდა. მას ოთხი მხედრიონელი მოჰყვა. შენი ნახვა გვაინტერესებდაო, მითხრეს ახალგაზრდებმა. ერთმანეთი გავიცანით. ერთმა მითხრა, თუში ვარო, „თუში მეცხვარე“ თუ გაგიგონიაო. ჯიხვებივით სისხლსავსე ბიჭები იყვნენ. ვაი თუ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლოს რომელიმე მათგანი?! ისინი მალე წავიდნენ. ერთი კი, მაღალ-მაღალი ქერა ყმაწვილი, ასე ოცდახუთ წლამდე ასაკისა, ბადრისთან დარჩა. იგი ჩემს სამუშაო ოთახში მოგიპატიჟე, ახალგაზრდა მორიდებით შემომყვა. მითხრა, რომ ფრონტულ დღიურებს ვწერ და მსურსო, როგორ მოვიქცეო, მეც სიამოვნებით ვაჩვენე ჩემი დღიურები.

ახალგაზრდა ტყიბულელია, ოკრიბიდან, მამუკა კაკუშაძე, ჰყავს დედ-მამა და უმცროსი ძმა, სწავლობს თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიის ფაკულტეტის მეხუთე კურსზე. ომი რომ დაიწყო, მოხალისედ წამოვიდა აფხაზეთში და დღეს ჩვენს სოფელს

იცავს გადამთიელებისაგან. მითხრა, რომ წერს დღიურებს, როცა თბილისში დაბრუნდება სისტემაში მოიყვანს თავის ნააზრევს და მოამზადებს გამოსაქვეყნებლად. ჩემი წიგნი „დუელი სიკეთისა და ბოროტებისა“ ვუსახსოვრე. წიგნის ბოლო აბზაცი მოეწონა, სადაც სწერია: „დუელი გრძელდება, მას, ალბათ, დასასრული არ უწერია!“ მერე ეს აბზაცი გავშიფრეთ. მე ვთქვი: თუ ბოროტისა და სიკეთის ბრძოლა დასრულდა, ეს სამყაროს დასასრულსაც ნიშნავს. ბოროტება მუდამ ებრძვის სიკეთეს და სიკეთეც ოსტატურად უწდა იცავდეს თავს ბოროტებისაგან. ამის ბევრი მაგალითია მოცემული ამ წიგნში. ვთქვი, რომ ახლა ურთულესი დროა საქართველოს ისტორიაში, მაკრამ შეტად საინტერესო დრო, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის. აქამდე ახალგაზრდობა ინერტულად, უღიმღამო ცხოვრებით ცხოვრობდა. ახლა კი შესაფერი დრო დადგა თავი გამოიჩინოს. რასაკვირველია, ლაჩრებიც მოიძებნებიან და მოღალატენიც. ჩვენ მათზე საუბარი არ გვაქვს. მამუკა დამეთანხმა და მითხრა, რო მას იარაღი ხელში ააღებინა სამშობლოს სიყვარულმა და გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე იბრძოლოს ამისათვის. სამახსოვრო სურათი გადავიღეთ. მითხრა, ხანდახან შეიძლება შეგაწუხოთ და რამდენიმე კითხვა დამისვა თავის დღიურში შესატანად. მე მოკლედ მოვუყევი მამუკას ჩემი ბიოგრაფია. ვაჩვენე ჩემი წიგნები. მოსკოვში გამოცემული საჟურნალო ვარიანტები, სხვადასხვა დროს დაწერილი საგაზეთო სტატიები. ვუთხარი, რომ გამოსაცემად მზად მაქვს „სასწაულის გამოცდა“, რამდენიმე ნოველა. კულტურის სამინისტრომ (საქართველოსა და მოლდავეთისა) შეისყიდა ორი პიესა სახალხო თეატრებისათვის. მზად მაქვს სცენარი ორსერიანი კინოფილმისათვის, როგორც ქართულად, ისე რუსულად. ასევე მზადაა „დუელის“ რუსული თარგმანი და ბოლოს კვალში ვუდგევარ მოვლენებს აფხაზეთში. ღმერთმა ინებოს, რომ კეთილად დამთავრდეს ყველაფერი... მამუკა დამემშვიდობა გულში ჩახუტებული წიგნით, რომელიც მე ვუსახსოვრე ავტორისეული წარწერით... ღმერთმა მშვიდობით დააბრუნოს ეს ბიჭი თავის ოჯახში!...

მაშ, ასე, როდის შეწყდება სროლა? ზეგისათვის ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სესიაა. მოუთმენლად ველით ორშაბათის გათენებას. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია ბევრი დილეტანტური თავის ერთბაშად გარდაქმნა. პარლამენტი ძალიან ჭრელია

და ყველა შეეცდება თავისი ამბიციები დაახვავოს პარლამენტის სცენაზე. ასე იყო წინა პარლამენტშიც: დაიწყეს „მტრების ძებნა“, რას არ უწოდებდნენ მათ — „სუკის აგენტები“, „კრიმინალური „ინტელიგენცია“ (ესეც ახალი ტერმინი), „კრემლის აგენტები“, „რენეგატი ქართველები“ და მრავალი სხვა. ახლა კი პრესაში გაისმის ზვიადისა და ზვიადისტების ლანძღვა-გინება. არა მგონია რაიმე სარგებლობა მოუტანოს საქმეს ძმუდამ წარსულის ლანძღვამ. ეს უნდა შეწყდეს ერთხელ და სამუდამოდ. რამდენიმე ასიოდე თახმოაზრე პარტიად აცხადებს თავს და ხალხის სახელით პარლამენტში პრეტენზიებიც აქვს. ეს უნდა მოიშალოს. ყველა აკრიტიკებს ყველას და თავის თავს კი არავინ.

საქართველოში შეიქმნა უძლიერესი კონოსურათი, რომელსაც ჰქვია „მონანიება“. ეს სურათი უაღრესად ქრისტიანულია. იგი ესადაგება ქრისტიანულ მოძღვრებას, რომლის იდეალებს ბადალი არ მოეძებნება კაცობრიობის ისტორიაში. იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ფილმი შეიქმნა, ადამიანთა უმრავლესობას არ აქვს მონანიების გრძნობა — არ აქვს ეს გრძნობა პარტიებს, დაჯგუფებებს, განსაკუთრებით, მათ ლიდერებს. ასკი ამას წინათ გიორგი ჭანტურია კვეხნით აცხადებდა, რომ მისმა პარტიამ ტრიუმფალური (ხაზს ეუსვამ ტრიუმფალური) გამარჯვებები მოიპოვა პარლამენტის არჩევნებში. იგი კარგად ითანამშრომლებს“ ქარტია 91“-თან და დედას უტირებს სხვა დაჯგუფებებსო. არ ვარჩევ ასეთი მამლაყინწობა, დაე „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოს“, ბატონო გიორგი, თქვენი საქმიანობა, უნდა ემსახურებოდეს არა მუქარას, არამედ თანამშრომლობას, კომპრომისს. მხოლოდ კომპრომისია ყველაფრის მომწესრიგებელი საშუალება. ბუნება, მთელი სამყარო და ასე განსაჯეთ, თვით ადამიანებიც კი ასრის კომპრომისი, რაღაც გაწონასწორებული სიკეთე და ბოროტება. როცა კომპრომისი ირღვევა (და არ არის ცდა მისი მიღწევისა), მაშინ იმარჯვებს ერთ-ერთი მხარე და დღუპება მეორე. პარლამენტის მუშაობაც აგებული უნდა იყოს კომპრომისებზე. პარტიების თუ ბლოკების ლიდერებო, ნუ შეეცდებით ახალი პარლამენტის დახლეჩას ისე, როგორც წინანდელ პარლამენტს მოექეცით.

1 ნოემბერი.

თითქოს ეუცხოვა კიდეც ყურს, დღეს სროლის ხმა რომ არ ისმოდა. ჯერ არ ვიცით, რას ნიშნავს ეს მოჩვენებითი სიწყნარე, ავისმომასწავებელი ხომ არ არის? ღმერთმა ინებოს მშვიდი ცხოვრება დაგვიდგეს. ხალხი დილაადრიან აიშალა და ყანებს მიაშურა. ჭიშკართან მაშინ გამოვედი, როცა ბეჭზე ნაჯახგადებულმა ჟორამ ფორანში შებმული ცხენით ჩაიარა, მას მიჰყვნენ ავტომატგადაკიდებული დიანოზას ბიჭები, რომლებიც გვარდიაში არიან. როგორც კი ცოტა სროლა მიწყნარდა, მაშინვე ყანებს მიაშურეს. მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდათ მათი დედა ციალა. ნამდვილად შესაშური ბიჭები არიან, კარგი ვაჟკაცები. მათი მამა დიანოზა ომის ვეტერანია. არტილერისტი იყო. სტავროპოლში ბრძოლისას ფეხი დასტოვა, ე. წ. სამამულო ომში. ვის ვიცავდით იმ ომში, როცა 50 ათასი ვაჟკაცი დავკარგეთ? გვიფასებს კი ახლა რუსეთი ამას? /

ინფორმაციებიდან ჩვენი, მთელი საქართველოს ყურადღება მიიქცია წუხელ „ქვიშის საათში“ გადმოცემულმა ცნობამ, სადაც ნათქვამი იყო შემდეგი: დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთში გიორგი ხაინდრავა და აფხაზეთში სტაბილიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი გივი ლომინაძე ოდიშს ჩავიდნენ, სადაც ესაუბრნენ ექსპრეზიდენტის მომხრეებს ლოთი (ვახტანგ) ჭობალიას და სხვებს. დღესვე გვენცაძე, ხაინდრავა, ლომინაძე და მათთან ერთად ლოთი ჭობალია სოხუმს ჩავიდნენ. ლოთი ჭობალიამ თავის მოკლე ინტერვიუში ასე განაცხადა: „მე ჩამოვედი სოხუმს, რომ სიტუაციას გავეცნოო. ჩემამდე მოაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ აფხაზებში ქართველებს გენოციდს უწყობენ და თუ ეს მართალი გამოდგა, ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოს მთლიანობისათვისო. ჯერ შეიძლება ყველაფერი მშვიდობიანად მოვაგვაროთ და თუ ასე არ მოხერხდა, მაშინ სხვა გზით ვიბრძოლებთო. დღესვე რადიომ გვამცნო და ტელევიზორმა, რომ ლოთი და ჯემალ ჭობალიები ზუგდიდში რაზმებს ამზადებენ აფხაზეთში გასამგზავრებლად. დღევანდელი სიწყნარე ქვეცნობიერად ოდიშის შემობრუნებას მივაწერე. ღმერთმა ინებოს გამართლდეს ჩემი წინასწარმეტყველება.

ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ თუ სამეგრელო მხარში ამოუდგება მთელ საქართველოს აფხაზეთი კი არადა, მაშინ ყველა გადამთიელი ამოიძუებს კუდს.

დღეს ყურძნის კრეფას შევუდექი. სახლის უკან აივანზე კარგი ტალავერი მაქვს, მაგრამ ვერ მომეცა საშუალება დამეწყო კრეფა. მერკულის გორიდან ჩემი აივანი სარკესავით მოჩანს და ის გარეწარი სნაიპერი ჩასაფრებულია ყოველწუთს. არადა მილპება ყურძენი, ძლივს გამოზრდილი და ბავშვივით ნალოლიავები. როგორც კი სიწყნარე მოვიხელთე, კალათს ხელი დავსტაცე და კრეფას შევუდექი.

ძეუღლე ბაზარში წალასლასდა, გუშინ და წუხელ არ გამოჩენილა. ძროხაც მე გამიხდა მოსაწველი და დონ კიხოტი და მისი სანჩო დასაპურებელი. ძალზე რთულია ოჯახი. თუ ყველა ოჯახი მოწყობილია, რაღა უჭირს. რამდენი წლის მუხლჩაუღლელი შრომა უნდა ყველაფერ ამას და მერე ხომ უცბად შეიძლება დანგრევა, რაღაც უაზრო მიზეზით, თუნდაც ვიღაც ვიგინდარას გამოსროლილი ნაღმით. მე ყურძნის მოსავლის აღება მინდა, შრომა მინდა და იქიდან ვიღაც ვარეწარი თოფს მიმიზნებს. ქრისტეს შეჩვენებაა? ბუდის შეჩვენებაა? ისლამის შეჩვენებაა? არც ერთის. ამას ითვალიწინებს მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმი, ჰომეინის პირმშო, რომელიც საშიშ ჭირად მოევლო კაცობრიობას. რა იქნება ამ საუკუნის დასასრულამდე?

ჩვენთან მყოფი გვარდიელები და მხედრიონელები თითქმის მთიმინებიდან გამოდიან. ძალიან დიდხანს ვტკეპნით ერთ ადგილსო. მე და ბადრი დავჯექით და ვკამათობთ. ბადრი ამბობს (და ჯოხით მიწაზე ხაზებს ავლებს):

„აი, ჩვენი სოფელი, აქვეა მოსაზღვრე სოფელი მოქვი. ვთქვათ, გადვედით შეტევაზე და დავიკავეთ მოქვი, ან მათ დაიკავეს არადუ, მერედა, რამდენ ხანს უნდა გვქონდეს დაკავებული სხვისი სოფელი? არა, აქ იარაღით არაფერი გამოვა, უნდა მშვიდობა დამყარდეს“.

„რომ არ ისვენებენ და ბომბებს გვაყრიან? ანდა, ჩეჩნები და სხვა დაქირავებულები რომ ჩაუსაფრებიათ ჩვენთვის?“ — ვეუბნები მე.

„ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან და კეთილი ინებოს რუსეთმა გაიყვანოს თავისი მოქალაქეები“, — არ ისვენებს ბადრი.

„გაგრაში, ლესელიძეშიც, განთიადშიც რა მოხდა ხომ იცი?

ვეუბნები, — დღეს გავიგე, რომ თურმე ლესელიძეში ქართველები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გასვლა საზღვარზე, შერეცხეს ქორწინების სახლში, და იქიდან დღისით გაჰყავთ მოსაელის ასაღებად, ამუშავებენ და საღამოს ისევ შერეკავენ იქ.

აი, ასე სრულდება გაეროს დეკლარაცია ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ.

ბევრი ვიკამათეთ. ბადრი დილეტანტია, თუმცა ანალიზის უნარი აქვს და მშვენიერ ქველმოქმედებას ეწევა აფხაზებისა და ქართველების შესარიგებლად. ბოლოს და ბოლოს ორივენი იმ დასკვნამდე მივედით, რომ დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. ხვალ იხსნება ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სესია...

დღეს კიდევ ერთი ცხელი წერტილის გამოჩენის შესახებ გავიგეთ. ინგუშებმა დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა ოსების წინააღმდეგ. საქმე ის გახლავთ, რომ ინგუშებს აქვთ ოსების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები. მერე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს მთავრობამ ინგუშები და ჩეჩნები გადაასახლა ყაზახეთში. ინგუშების ტერიტორია და მათ შორის მათი დედაქალაქი ვლადიკავკაზი ოსებმა და ქართველებმა დაიკავეს. 1957 წელს ჩეჩნები და ინგუშები დააბრუნეს თავიანთ სამშობლოში. ქართველებმა მათ უსიტყვოდ დაუთმეს თავიანთი სახლები და საქონელიც კი. ისინი ქართველების ახლაც დიდად კმაყოფილნი არიან. ოსებმა კი, ნურას უკაცრავად, არაფერიც არ მისცეს და ვლადიკავკაზი თავიანთ დედაქალაქად გაიხადეს. ამიტომ, აქამდე დაგროვილმა ბოლმამ ინგუშებისა ოსების წინააღმდეგ და მათი კუთვნილი ტერიტორიის დაბრუნების სურვილმა ახალი ძალით იფეთქა. ამდენად რუსეთს, რომელიც აქამდე იმით ამაყობდა, რომ მის ტერიტორიაზე არც ერთი ცხელი წერტილი არ ჰქონდა, ახლა თავის ტკივილი გაუჩნდა. დღეს გაიდარმა სპეციალურად მოიწვია ამ საკითხზე მთავრობის სხდომა, ხოლო მისი პირველი მოადგილე ხიჯა ოსეთში ჩავიდა. მოდის ცნობები, რომ რუსეთს ოსეთში შეჰყავს დამატებითი ძალები.

ვლადიკავკაზში საგანგებო წესები გამოცხადდა. ყოველი ახალი მოვლენა, რომელიც ჩანს საზღვრებზე იჩენს თავს, თქმა არ უნდა, გავლენას ახდენს ჩვენში მიმდინარე მოვლენებზეც. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მას ძლიერ უჭირს ეკონომიურად და ყოველმხრივ, ნამდვილი ნებაყოფლობითი მობილიზაცია გამოცხადდა. თუმცა, ბევრი დოყლაპიაც გვყავს, რომელნიც მხოლოდ სუფრაზე

ჰიქების ჰახუნით ეხმარება საქართველოს, ანდა ქუჩაში რეზინის ღეჭვით იქცევს თავს. ზოგსაც ავტომატი გადაუკიდებია და ათასნაირ დანაშაულს ჩადის, ნამდვილად დადგა დრო, როცა დარიგებებით ვერას გახდები.

2 ნოემბერი.

მართლაც ავისმომასწავებელი გამოდგა გუშინდელი სიწყნარე, საღამოს ათი საათიდან დღეს დილამდე მოსვენება აღარ მოგვცეს. ნაღმსატყორცნის ბათქები იღებდა ყურთასმენას. ჩაბნელებულ სოფელში ურტყამდნენ ორივე მხრიდან—მერკულის გორიდან და მოქვიდან. ტყუილა დაიღალნენ გუშინწინ ჩვენი ბიჭები—აქაურობა აიკლეს ზარმაზნის ბათქებით, მაგრამ იქაურობას ერთი ჭიანჭველაც კი არ მოკლებია. ეს დალოცვილები მაშინ კი არ დაუდარაჯდებიან, როცა ისინი ისვრიან, რათა გაიგონ მათი ადგილსამყოფელი. ჩემი სახლის ზემო სართულის აივნიდან უკუნეთ ღამეში მშვენიერად მოჩანდა, საიდან ამოვარდებოდა ნაღმები და მოექანებოდა ჩვენკენ. ზარბაზანი რომ მჭრონოდა, მე გავაჩუმებდი იმ შობელძაღლს. მხოლოდ დღის თორმეტ საათზე მოაგორეს ბიჭებმა მათი ფინთიხო და სოფლის შუაგულიდან აპირებდნენ ჯურვების დაცლას, მაგრამ ქუჩაში ხალხი შეგროვდა და გადაათქმევინეს დუელის გამართვა. დუელი თუ გინდათ, როცა ისვრიან, თქვენც მაშინ გაისროლეთ, ასე უთხრეს.

წინადღეებში ამაზრზენი ფაქტი მოხდა ოჩამჩირეში. მარადიორები ღამით შეიჭრნენ ჭართველის ოჯახში, მანდილოსანი ქმრის თანდასწრებით გააუპატიურეს, მერე კი ორთავენი დახოცეს და სახლიც გადაუწვეს. ვინ არიან ისინი? ჩვენ არ გვინდა ასეთი ხალხისაგან დაცვა. მოგვეცით იარაღი და ჩვენ თვითონ ვიცით, ვისგან როგორ დავიცავთ თავს. მადლობა ღმერთს, საველე სასამართლო ამუშავდა, რაც იქნა და სამივენი დახვრიტეს, მაგრამ სირცხვილი ხომ დარჩა სირცხვილად?.. ჰოდა, ახლა შუა სახლებიდან ზარბაზანს ისვრიან. მტერი იმ ზარბაზანს დაეძებს და უნდა თუ არა, სახლებს უფრო კარგად ახვედრებს. ლუპება უდანაშაულო ხალხი, ზოგს გული უსკდება და ზოგიც ტყვიის მსხვერპლი ხდება. სად არის ადამიანის უფლებების დაცვა? რატომ არ ჩაერევა ვინმე ამ საქმეში? მარტო ენის ტარტალი კმარა? ოჩამჩირეში დილამდე არ გაუგიათ, თუ რა გადაგვხდა თავს ამ ღამეს. ვინ არის კომენდან-

ტი? სარდალი? ასე უნდა ომი? მარტო ნაღმებს ვინ დაგაჯერა, ტყვიის წვიმა მოდიოდა სამი მხრიდან და მთელი ღამე სად არ ვიმალებოდით. ბადრის ეძინა, როცა სროლა ატყდა. ხუთ წუთში იგი მზად იყო და სადღაც გარბის. სად მიდიხარ ბიჭო-მეთქი? პოსტზე მივდივარო! აბა, მეც მოვდივარ-მეთქი და ჭიშკრამდე გავყევი. წადი, ახლა არ გადამრიოო! დამიღრინა ავად და როცა აღარ მოვეშვი, ფინთიხო იძრო და ჰაერში გაისროლა. ვიყადრე უკან მობრუნება. მოქვის მხრიდან ტყვიის წვიმა მოდიოდა, დროდადრო ნაღმებითაც სკდებოდა. ის კი მაინცადამაინც იქით გარბოდა. მოვბრუნდი. დედამისმა მკითხა, სადაა ბადრიო? აგერ, ჟორასთან შევიდა-მეთქი. მოვერიდე ისედაც გულმტკივანია და რომანოზასავით არ მოუვიდეს. (რომანოზ მამარდაშვილს გული გაუსკდა გუშინ დილით). მე ისევ აივანზე ავედი და ჰორიზონტს ვაკვირდებოდი, რომელზეც ხშირად ამოვარდებოდა ხოლმე ცეცხლის ენები...

დღეს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სესია უნდა შემდგარიყო, მაგრამ ისევ გადადეს. სულ არ ჩქარობენ ეს დალოცვილები, მათი ამბავი რომ ვიცი, დაიწყებენ ახლა პაექრობას უმნიშვნელო საკითხებზე და პირველხარისხოვანს გვერდზე გადადებენ. კანონი, კანონი გვჭირდება პირველყოვლისა ხელისუფლების შესახებ. თორემ, რაც ხდება, ყველაფერი ახლანდელი ხელისუფლების უუნაროებით ხდება.

დღეს როგორც იყო ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სესია შედგება ზეგისათვის ოთხი ნოემბერს დილის ათ საათზე...

მოსასვენებლად მივწექი. რაღაცის გრუხუნმა გამაღვიძა. აივანზე გამოვვარდი. მდინარე მოქვს აღმა სამხედრო ვერტმფრენი მიუყვებოდა და მერკულის გორას გვარიანად ასწორებდა. ერთი ორი მობრუნება და ისევ ბათქები. მაგრამ რა? რომ გაფრინდა, სადღაც ქვესკნელში ჩამალული ის გაქვეწარმავლებული სნაიპერი მაინც ისროდა.

თბილისიდან გადმოსცეს რომ წუხელ ღამის ოთხ საათზე ოჩამჩირეს ყოველი მხრიდან შეუტიეს აფხაზებმა და კონფედერანტებმა, მაგრამ საკადრისი პასუხი მიიღესო. მოკლულია ერთი გვარდიელი, დაჭრილია რამდენიმე. მტრის ზარალი გაცილებით მეტია. ოთხზე კი არა, შეტევა უფრო ადრე დაიწყო და მართლაც ჯოჯოხეთურად აყრიდნენ ტყვიას არამარტო ოჩამჩირეს, მძინარე არადუს

კი შავი დღე დაადგა წუხელ. ვინ არიან ისინი, რომლებიც მძინარე მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებენ? მათ არც შვილი ჰყავთ, არც მშობლები და არც ძრავინ? უთვისტომოები არიან? რატომ უნდა ილახებოდეს ასე უმოწყალოდ ადამიანის უფლებები მეოცე საუკუნის მიწურულს. მტერმა თავისი ბარბაროსული სახე მთლიანად გამოაჩინა...

გვიგეთ, რომ ინგუშები და ოსები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე გუშინ ცხრამეტი საათიდან, მაგრამ შეთანხმება არ სრულდება. რა შეთანხმების შესრულებაზე უნდა ილაპარაკო მას შემდეგ, რაც გაგრაში მოხდა, როცა მოსკოვის 3 სექტემბრის შეთანხმება ფარატინა ქაღალდად აქციეს...

8 ნოემბერი.

ამ ღამით მთელი ათი საათი ვიძინე. არც თოფის, არც ნაღმის გასროლა არ გამიგონია. დღესაც საღამომდე სიწყნარეა. ჩვენი არტილერისტები დაეძებენ იმ უსირცხვილო „ნაღმოსანს" გაეროს დეკლარაცია რომ დახია და სახლები დაგვიხეთქა იმ ღამეს.

არძინბამ და მისმა ხროვამ მისი ხალხი ამოსაწყვეტად გაიმეტა. ამ ჰიბრიდმა (დედა რუსი ჰყავს) მისი ენა არც კი იცის წესიერად. რა უნდა ქოკითხო ასეთ ადამიანს? ეფიქრობ გამოჩნდებიან აფხაზთა შორის ისეთი ადამიანები, რომლებიც გონს მოეკებიან.

გუშინწინ სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოს დაუშინეს ჭურვები. ავადმყოფებს, ექიმებს ხოცავენ. ჩვენმა მხარემ პროტესტი განაცხადა და გააფრთხილა მეორე, თუ კიდევ მოხდება ასეთი რამ, ათონსა და გუდაუთას დაბომბავენ. ვნახოთ, თუ გაჩერის მათზე ასეთი შეგონება.

გუშინ სოხუმის რაიონის სოფელ ახალშენთან დაიწყო ბრძოლა. მტერი არ ისვენებს, უნდა როგორმე სოხუმი ჩაიგდოს ხელში. აქეთ ოჩამჩირე უნდათ გადაყლაპონ, იქით — გალი, მაგრამ ამას მეგრელები აპატიებენ? მოვიდა ცნობა, რომ ძმებმა ლოთი და ჯემალ ქობალიებმა ზუგდიდიდან მათი რაზმები აფხაზეთს ჩაიყვანეს და ერთიან ქართულ ჯარს შეუერთდნენ. ღმერთი იყოს მათი მფარველი. სამეგრელო მძიმედ, მაგრამ მაინც წელ-ნელა თავისუფლდება ბოროტი ხალხის დაწოლისაგან, მარტვილის რაიონში ერთობლივი ოპერაციების შედეგად აყვანილი იქნა ვინმე ზაურ ჯეჯელავას ბანდა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ რაიონს (და სა-

მეგრელოს). ბანდის მეთაური მოკლული იქნა. ამოღებულია დიდძალი იარაღი, დაპატიმრებულია ბანდის დანარჩენი წევრები...

საინტერესო ამბები მოდის თბილისიდანაც. პირველ ნოემბერს ჩვენმა თავდაცვის ნაწილებმა დაიკავეს რუსის ჯარის იარაღის საწყობები თბილისსა და ახალციხეში. რუსის ჯარის სარდალმა ულტიმატუმი წაუყენა ქართველებს. შევარდნაძემ არ მოიწონა ძალადობით დაკავება საწყობებისა, მაგრამ ნებით რომ არ გვაძლევენ, ის იძრაღი ხომ საქართველოს ეკუთვნის? მის იურისდიქციაში არაა? ნამეტანს ხომ არ ეფერებით რუსებს? მე ვიცი მათი ამბავი — ძალიან რომ მოეფერები, მაშინ მთლად მაგრად გაგიტყლაშუნებს., ერთ მოსკოველ მწერალს თან გადაჰყვნენ პატივისცემით, მაგრამ, რა? მოსკოვში რომ ჩავიდა, ცეკაში საჩივარი შეიტანა: საიდან აქვთ ქართველებს ამდენი პურმარილიო. განა სამოცდაათი წლის მანძილზე მაგ იარაღის ფასი არ გაუკეთებია ჩვენს ხალხს? მთელი საქართველო გაძარცული არაა? და ვინ გაძარცვა? იმპერიამ, ბატონო, იმპერიამ! დროა ახლად არჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე დაისვას საკითხი რუსის ჯარის სტატუსის შესახებ საქართველოში. არ უნდა ამას ბევრი გაჭიანურება. რუსეთში ისეა არეული ყველაფერი, რომ იქნებ მთავრობის სათავეში ჟირინოვსკები გამოჩნდნენ და საქართველო ერთ-ერთ გუბერნიად გამოაცხადონ. დროზე, ბაბა, დროზე ყველაფერი, თორემ. ნათქვამია, მეხვალიას უგვიანდებაო...

პარლამენტის სხდომაც ხვალაა დანიშნული და იქნებ გამოჩნდეს ვინმე ჭკუათმყოფელი, რომ ეს საკითხი დასვას. გავიგე, ახალციხეში ქართველები მათ მიერ დაკავებულ საწყობს უკან აბრუნებენო.

ზიწუნარებულ დღეს ყველა მოსავლის აღებას ანდომებს. დონ კიხოტი მარტო დარჩა. მის სანჩოს გამოუძახეს და სადღაც ლტოლვილად გაამწესეს მშობლებმა. ჩემი მეუღლეც ბაზარში წავიდა და ალბათ მის დასთან დაჰიდებს ბინას. დავრჩით მარტო მე და ბაღრი. ორივემ გავიპარსეთ, გავლამაზდით. მე დღიურის წერას შევუდექი, მან კი ფინთიხო მოიმარჯვა და ამხანაგებისაკენ გასწია.

4 ნოემბერი.

ორიოდე დღეა, რაც სატელევიზიო გადაცემები შეწყდა. დაჟანგული რადიოს საშუალებით თუ გავიგებთ რაიმეს ყურმოკრულად. ბევრს ლაპარაკობენ შეტევაზე, რომელიც გუშინ წამოიწყეს

გადამთიელებმა სოხუმის რაიონში; სოფელ შრომასთან. იუწყებიან, რომ ჩვენებმა გაანადგურეს ორი ჯავშანტრანსპორტიორი, სამიც უვნებლად ჩაიგდეს ხელში. ბევრია მტრის დანაკლისი, არიან ტყვეებიც. არც ჩვენებს დასდგომია კარგი დღე. რა ტიპის იარაღი არ გამოიყენეს გადამთელებმა — „გრადები, „სტინგერები" და კიდევ უარესი რაღაცეები. დაიღუპა ჩვენი რამდენიმე მეომარი, მათ შორის ხუთი ავღანეთში ნაბრძოლი ახალგაზრდა. აფსუს?! ავღანეთს გადაურჩნენ და აფხაზეთს შეეწირნენ.

მთელი ღამე ცუდად ვგრძნობდი თავს. ძილში ჰიპერტონიამ შემომიტია.შინ მარტო ვიყავი და სასოწარკვეთას კინაღამ მივეცი. ბადრი პოსტზეა, მეუღლე—ოჩამჩირეში. შუქი გამორთული მაქვს. ჩრომ გამეღვიძა, პულსი ძაფივით სუსტი მქონდა. გული მიღონდებოდა. ძლივს ავბანცალდი და შუქი ჩავრთე. საწოლამდე როგორღაც მივედი. წნევა გავიზომე. ქვედა — დაბალი, ზედა—მაღალი. გული ციმციმებს. რა მოხდა? რას დავაბრალო? ახლა მთავარია, არ შევშინდე, მაგრამ ძნელია მარტოკა ადამიანმა მოისაზროს ყველაფერი. სადღაც გადანახული „სიბაზონის" აბი მოვძებნე და გაუღეჭე თანაც გულში გავიცინე, ეს აუცილებლად დამამშვიდებს-მეთქი. მერე ენის ქვეშ რამდენიმე წლის უკან გამოშვებული კორვატონი ამოვიდე და ზედ რამდენიმე წვეთი კორვალოლი მივატანე. დაველოდე, რა მოხდებოდა. თან თითებზე ჩინური მედიცინიდან ნასწავლი წერტილები მოვძებნე და სისხლის მიმოქცევა გავააქტიურე.

ნახევარი საათის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი. წნევა ნორმამდე ჩამოვიდა და პულსიც აღსდგა. სულის ამოხდას ბევრი არაფერი მიკლდა. ყველაზე მეტად ის მაწუხებდა, ეს დღიურები დამრჩებოდა დაუმთავრებელი. ძილად მივეგდე. ათასნაირი კოშმარები დამათრევენ ჯოჯოხეთში. ხანაც ხელ-ფეხის ქნევით ვფრინავ მთებისა და უფსკრულების თავზე. უფრო მეტად, იმ გზაზე, საიდანაც სახლისკენ მივდივარ, მაგრამ ხან აქ, ხან იქ აღიმართება ათასნაირი დაბრკოლება. ჰო, სახლისაკენ, ვთქვი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, იმ სახლისაკენ, რომელიც მქონდა ჩემს ლეჩხუმში, ჩემს ლუხვანოში, სადაც გავატარე ბავშვობა და ჭაბუკობა. მართლაც საოცარია სიზმრები და სასწაულია თვითონ ადამიანი, ცოდვილი ადამიანი...

დილის 5 საათზე გამეღვიძა. მეგონა, ლოგინიდან ვეღარ ავდგებოდი, მაგრამ ექვსი საათისათვის უკვე ეზოში ვსაქმიანობდი. აქა-იქ შერჩენილ ლობიოს პარკებს ვაგროვებდი.

რვა საათისათვის აფხაზებმა შემოგვიტიეს. ატყდა ისევ ავტომატების კაკანი. ისინი მალე გაჩუმეს ჩვენმა ჯავშანტრანსპორტიორებმა.

10 საათისათვის ახლად არჩეული პარლამენტის სესიის სხდომა დაიწყება. გამოცხადებულია, რომ იწარმოებს რადიოთი და ტელევიზიით პირდაპირი ტრანსლიაცია. ჟორა ყანაში წავიდა და მისი მიღები დავითოე. ტელევიზორს ვუკირკიტე, მაგრამ ვერაფერი ვიღაცეებზე, ხმას ვერც გავიგონებ-ვეთქი, ისევ რადიომიღებს მივუბრუნდი, საწოლზე მოვკალათდი და, როგორც იქნა ვეღირსე პარლამენტის მუშაობის დაწყებას.

სხდომა გახსნა უხუცესთა საბჭოს მიერ წინასწარ არჩეულმა თავმჯდომარემ ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ. ნიკო მამაა იმ ზურაბ ჭავჭავაძისა, მერაბ კოსტავასთან ერთად ავტოავარიაში რომ დაიღუპა. ბატონმა ნიკომ ხუმრობაც ვაუარია თავის გამოსვლას: თუ არ დაბიჯერებთ, რომ უხუცესი ვარ, ქალებს შეეკითხეთო. მან თქვა, რომ მისი თავმჯდომარეობა ერთჯერად სიმბოლური იყო.

ქართველ ერს ორმოცი კი არა, ოთხმოცი წელი დასჭირდა გაეგო და გაეშიფრა ის იდეალები, რომლებიც დიდმა ილიამ დაუტოვა: ენა, ქრისტიანული სარწმუნოება! ილიას მიერ შემოთავაზებული ეს სამი ატრიბუტი გადაარჩენს საქართველოს. მაშინ ილიას ამისათვის ტყვია დაასალეს შუბლზე და მხოლოდ ახლა გაიგო ხალხმა ამ ნათქვამის სიღრმე.

სხდომას ესწრებოდა გაეროს წარმომადგენელი, სომხეთის პარლამენტის დელეგაცია.

თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. დაწყო კამათი რეგლამენტის დამტკიცებაზე. ძალიან ბევრ დროს ანდომებენ მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვას.

პირველი სიტყვა მისცეს მის უწმინდესობას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა უწმინდესმა... ბოლოს მან პარლამენტს გადასცა წმინდა მარიამის ჯვარი და ბიბლია...

ნაშუადღევს ბადრი მოვიდა თავისი ამხანაგებით, რამდენადაც შეეძლო გაეუმასპინძლდი მათ და ისევ თავიანთ საქმეს მიჰყვნენ. ამასობაში მეუღლეც მოლაშქრად ბაზრიდან. შაქარი ვერ ვიშოვეო, შემომჩივლა. დავაიმედე: თუ საკვებიდან გამორიცხავ შაქარს,

მარილს და ცხიმს, დილჩანს იცოცხლებ-მეთქი. ნუ გეშინია, ყველა გამორიცხული გაქვსო, მომახალა და თავისებურ ფუსფუსს შეუდგა. ცოტა არ იყოს, გულს მომეშვა მისი მოსვლის შემდეგ. ვაი თუ ამაღამაც შემომიტიოს იმ ეშმაკისაგან დაწყეველილმა ჰიპერტონიამ!

ახლა ვზივარ და ვუსმენ რადიოს. ცხარე კამათი მიდის ღრმა-ციების სტატუსის განსაზღვრაზე, ქართველები განა ასე მალე მოიშლიან ფრაქციობასა და კინკლაობას?..

5 ნოემბერი.

დილით ჩვენი სოფლის დამცველები, ხუთი ბიჭი ნაღმზე აფეთქდნენ. სამი მათგანი გარდაიცვალა. ორიც მძიმედ დაჭრილია. დაღუპულთა შორის ერთი მე ობელი აღმოჩნდა. ნელ-ნელა ღრმისით, მცირეთი ხელიდან გვეცლებიან ახლობლები. ომი ჭიანურდება, დასასრული არ უჩანს. აგვერ ოთხი დღეა სრულიად არ ვიღებ ელექტროშუქი. ამა, რა დღეში იქნებიან ჩავარდნილი იქაური მაცხოვრებლები?! ჩემი ნათესაობის უმრავლესობა იქ ცხოვრობს— ქალიშვილები, სიძეები, შვილიშვილები. ქალიშვილი ნანა სტომატოლოგიური მეურნეობის ინსტიტუტში მუშაობს. აგვისტოს შემდეგ არ მინახავს. არ ვიცი, სად ახრის ჩემი ექიმი შვილიშვილი ძარღვი (მარიკა), რომელიც დედამისს ლეილას რვა წლის ლოდინს შემდეგ შეეძინა. და წმინდა მარიამის საპატივცემულო სახელი შეარქვეს. ქარები მოყვრები მყავს სიხუმში.

დღეს ძალიან აქტიურობას იჩენენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. არადუ თოთქოს ალყაშია მოქცეული საბი მხრიდან ვერა და ვერ ეწველა მერკულის გორის აღებას რაიმე. მგონი მილიონი ვაზნა დაიცალა, დღიათ და ღამით იქ ჩაბუდებული სნაიპერებისა და მენაღმეების პოსაპობად. მაკრამ ამაოდ, ახლა ცხელი წერტილი გაჩნდა მოქვის ჩაის მეურნეობის მხრიდან. ეს მეურნეობა მაღლობზე მდებარეობს და არადუს ზევიდან ქოროთი დასცქერის. აი, იქ მოუტანეს ოერიში მხედრიონელებმა, დაჯავეს კიდეც ხელსაყრელი პოზიციები, მაგრამ შემდეგ დამხმარე ძალა აღარ მოვიდა და მტერმა ცხვრებივით გაფანტა ისინი. ზოგი დაიჭრა, ზოგმაც ადგილები უშველა თავს. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც მარიონეტობისაგან გაეცალათ ხელი. ვერა და ვერ მოიშალეს მზედრონის მიტმასნილებმა ეს ხელობა. არა და ეს ბიჭები ბევრ სასარგებლო საქ-

ზეს აკეთებენ. საღამოს გვაცნობეს, რომ გალიდან მოვიდა დამხმარე ძალა ორმოცდაათ კაცამდე.

საღამოს ჰიჰიკო მოვიდა აცრემლებული. გაეგო, რომ წალენჯიხაში მისი დისშვილი მომკვდარა. რა პირობებში, არ იციან. დავაიმედეთ, ცოდვაა, საწყალი ჰიჰიკო. მისმა მეუღლემ თბილისში ქალიშვილებს მიაშურა და მთელი ოჯახი მისი და მისი ძმისაც ჰიჰიკოს დარჩა საპატრონოდ. ასე გაიფანტა ხალხი იქით-აქეთ.

მხედრიონის ათამდე ნაომარი ბიჭი ბადრიმ შემოიპატიჟა სახლში. სუფრას მიუსხდნენ. ვინ რას ამბობდა და ვინ რას, დღევანდელი ბრძოლის ამბებს ჰყვებოდნენ, უწმაწურად იგინებოდნენ. აგინებდნენ იმათ, ვინც ლაჩრობა გამოიჩინა. რამდენადაც მე გავიგე. ყველა მათგანს ეჯავრება უფროსები. ყველა იჩემებს, რომ თვითონ არის თავის თავის უფროსი. ერთი ამბობს, ოჩამჩირიდან გვაძლევენ ბრძანებებს და ადგილზე დახმარებას არ გვიწევენო. მეთაური რად გვინდაო, გვინდა ვინმე ორგანიზატორიო,—ამბობდა მესამე. ერთი დაუფარავად იმუქრებოდა: თუ ასე ვიქნებით, ჯერ ამ სოფელს ავიკლებთ და აქედანაც წავალთო. იგი ბადრიმ დააწყნარა: ეს სოფელი რა შუაშიაო და იქვე მორიგდნენ. რომ მეტს აღარ ახსენებდა სოფელს. ისე კი, უმჯობესია, თვითონ სოფელი შეიარაღდეს და იგი თვითონ მოახერხებს თავის დაცვას და მეზობელ სოფლებსაც არ გადაიკიდებს.

ბატონ შევარდნაძეს, როგორც იქნა მიანიშნეს სახელმწიფოს მეთაურის უფლებები. მთელი დღე ვუსმენდი პარლამენტის მუშაობის მიმდინარეობას, და ბოლოს და ბოლოს იპოვეს კომპრომისი. თუ ძლიერი ხელისუფლება გვეყოლება, იქნებ ეშველოს რამეს.

დღეს ნაღმების სროლისაგან აკობიძის სახლი დაიწვა. პირდაპირ შემზარავი სურათია.

აფხაზებმა ნაღმით დახოცილი ჩვენი ბიჭების გვამები სადღაც გადამალეს და აღარ გვაძლევენ... შურისგების ბოლმა თანდათან იზრდება, ორთავე მხარეს. რა მოგველის ხვალ?

6 ნოემბერი.

გადაუღებლად წვიმს. წუხანდელმა ღამემ მშვიდად ჩაიარა, თუ ამას სიმშვიდე ჰქვია. კანტიკუნტად მაინც ისმოდა ერთეული გასროლების ხმა. დღის განმავლობაშიც არ მომხდარა თავდასხმები.

შეიძლება, ამას ხელი შეუწყო გუშინდელმა განუწყვეტელმა სროლამ და დღევანდელმა გადაუღებელმა წვიმამ.

დღის თერთმეტ საათამდე ერთ საწოლში მშვიდად ეძინათ დონ კიხოტსა და სანჩოს. მათი „ზარბაზანი" — თვითნაკეთი ნაგანი მე მჭონდა თავქვეშ ამოდებული. ჰა, ეს შენ გქონდესო, მითხრა ბადრიმ. ერთ დღეს მაჩუქებს, მეორე დღეს წამართმევს, ასე იყო ახლაც. დილით ადრე ბორისმა დაუძახა.—სძინავს-მეთქი. რაღაც დავალება არის და უნდა შევატყობინოო. დავინტერესდი და მითხრა: წუხელ დათომ და ბადრიმ მოილაპარაკეს გატაცებული მანქანა „ნივა" პატრონისთვის დაებრუნებიათ და ეს საქმე ბადრის გარეშე არ გამოვაო. ჯერ ერთი, გამოძიებას აცალეთ და მეორეც— ასეთ რამეებს ნუ დაავალებთ-მეთქი.გაეცინა, თვითონ გვავალებს უველაფერს და ჩვენ რას გვსაყვედურობო.

ბორისი წავიდა და მთელი დღე აღარ მინახავს.

ეზოში ლაპარაკი გავიგონე, გავიხედე: ორი მხედრიონელი შემოსულიყო დაუკითხავად და ხილს მიირთმევდნენ. ერთი ის სომეხი იყო — გრიშა, ავტომატის დაკარგვით რომ შამათში ჩაგვაგდო. ცოტა არ იყოს, უსიამოვნება მოგვივიდა, მაგრამ მაინც ხშირი სტუმარი გახდა ჩვენი ოჯახისა. ბადრი ხშირად ექომაგებოდა მას. გრიშას მეორე მოჰყვა. რუსთავიდან ვარო, თქვა. შენც სომეხი ხომ არ ხარ-მეთქი? (ცოტა არ იყოს ჩამოჰგავდა სომეხს). ღმერთმა დაშიფაროსო, — ხელები გაასავსავა. ამაზე ბადრის ხარხარი აუტყდა. ამით ემზარიმ ისარგებლა და ნარდის თამაშში ბადრის რაღაც უეშმაკა. მერე სომხებზე ჩამოვარდა ლაპარაკი და გულსატკენად ვთქვი, რომ ზოგიერთმა აფხაზეთში მაცხოვრებელმა სომეხმა ქართველების ღალატით თავი შეირცხვინა.

ისაუზმეს. ცოტა მაგარიც მიაყოლეს და შემდეგ თქვეს, რომ სასაფლაოს ზარბაზანი უნდა მოვაშოროთო, ვთხოვოთ, სხვა ადგილი აირჩიონ სასროლად, რადგანაც მას მოწინააღმდეგე მხრიდან როცა ესვრიან, ჭურვები ზოგი საფლავებს ხვდება და ზოგიც სახლებს. მე არ ვიცი, როგორ მოაგვარეს ეს, მაგრამ ის ზარბაზანი სასაფლაოს ახლოს აღარ დამინახავს.

ბიჭები წავიდნენ, სანჩო ჩემთან დავიტოვე. მალე რუსლანის მამა, ჩემი დისშვილი შოთა გვეწვია. ახალი ბორშჩი მოიტანა, თან ჯიბიდან სამახსოვროდ შენახული მხვილი კალიბრის ტყვია-მფრქვევის გასროლილი ტყვია ამოიღო. ამ ტყვიამ მანდარინებს წვეროები წააცალა, კედელი გახვრიტა და ჩემს ბალიშს ეძგერა

კიდევ კარგი, რომ იმ ბალიშზე თავი არ მქონდა დადებული). შოთა და შისი ამხანაგები უფრო ახლოს არიან წინა პოზიციებთან. ტყვიების წვიმაში გაჭოუტანიათ მოტეხილი სიმინდის მესამედი. დანარჩენის გამოტანის საშუალება კი აღარ მომცეს იმ ნაძრალებმაო. ნათესავები მოვიკითხეთ, ზოგი წყალტუბოშია და ზოგიც ქუთაისში, ლეჩხუმში და სხვაგან.

შოთა მალე წავიდა, საქმეს უნდა შევხედოო.

ჟორას რადიო საგანგებოდ შევარემონტე და საღამომდე აღარ მოვშორებივარ. ბევრი შეხლა-შემოხლის შემდეგ - როგორც იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს ბატონი ეჯუარდ შევარდნაძე. მწვავე კამათი გაიმართა აფხაზეთის გარშემო და გადაწყდა, რომ სერიოზულად მომზადდეს ყველა საკითხი. ახლა ამ დღიურს რომ ვწერ, მომდინარეობს პარლამენტის სპიკერის არჩევნები.

ჩვიან დაჟით ცნობილი გახდა, რომ ბატონი ვახტანგ გოგუაძე აირჩიეს პარლამენტის სპიკერად. მან ელდარ შენგელაიაზე ორჯერ მეტი ხმა მიიღო. რამდენადაც ვიცი ვახტანგ გოგუაძე შევარდნაძის მარჯვენა ხელია და ალბათ ჩხირკედელაობის ადგილი აღარ ექნება. ამან გამახსენა და ზოგიერთი პირდაპირ სასაცილოდ იქცევა თავის ცამოსვლებში. ვთქვათ, პრემიერი სიგუა ტრიბუნაზე დგას და ყველა ელოდება მის ინფორმაციას აფხაზეთის საკითხზე. ამ დროს ვიღაც მიკროფონთან გამოხტება და აცხადებს, რომ მე პარლამენტის პირველი სხდომის თავმჯდომარედ დამასახელა არა მარტო ჰავჰავაძის საზოგადოებამო. ძალიან უტაქტოდ იქცევა ზოგ-ზოგი. სამაგიეროდ. უყურადღებოდ კინაღამ დატოვეს ისეთი საკითხი, როგორიც აფხაზეთის საკითხია, და მანამ იჭიდავეს, სანამ სახელმწიფოს მეთაურმა არ შეიტანა სიცხადე ამ საკითხში. კერძოდ, გადაწყდა: სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტის სესიას წარუდგინოს ამომწურავი მოხსენება აფხაზეთის შესახებ, სადაც მოცემული იქნება, თუ რა მოხდა, რა ხდება, და რა გაკეთდება უახლოეს ხანებში. შეიქმნას (და შეიქმნა კიდეც) ყველა პარტიისა და ბლოკის წარმომადგენელთაგან კომისია აფხაზეთის საკითხზე დოკუმენტების შესამუშავებლად. დაევალა საგარეო საქმეთა სამინისტროს, დააჩქაროს რუსეთთან ხელშეკრულების დადების მომზადება, სადაც განხილული იქნება რუსეთის ჯარის ყოფნა-არყოფნის საკითხი საქართველოში. თბილისში ნაკლებად იციან, ვიდრე ჩვენ, ფრონ-

ტისპირა მცხოვრებლებმა, რუსეთის რაღაც ობიექტებს ამოფარებული მოწინააღმდეგენი რა დიდ გულზე ატიან და როგორ პოპულარობით სარგებლობენ (ჯუდაუთა) აეროპორტიდან აფრენილი თვითმფრინავები სოხუმსა და სხვა ადგილებს. სოხუმზე არასწორებ ცხელა წვრილია ოჩამჩირის რაიონი. აქედან ერთი კვირაა სოხუმს საქმე არ აქვს მთელი თავისი შედეგებით. მაღალი ძაბვის ხაზი, რომელიც ოჩამჩირეზე გადის (ბესლახუფა-მერკულა, არადე, ცაგერა) დაზიანებულია. როგორც კი დაიწყება შესაკეთებელი სამუშაოები, მაშინვე ტყვიას უშენენ გადამთიელები თუ გადმომთიელები. კაცმა არ იცის მერამდენედ დაანგრიეს რკინიგზები, ხიდები, საავტომობილო გზები, ძაბვის ხაზები. ქვეყანა საფრთხეშია ჩავარდნილი. ეს ყველას რიდი აქვს გათვალისწინებული. აი, ეს დაღუპავს ქვეყანას, თუ დაღუპავს. ჩვენ ვთამაშობთ ომობანას, ბავშვი, რიცა მტერი ნამდვილ ორგანიზებულ და წინგახედულ ომს ეწევა ჩვენს წინააღმდეგ. დაველოდოთ. თუმცა, დავილიეთ ამ ლოდინით. იქნებ ახალმა კანონიერმა ხელისუფლებამ მოაბას თავი ამ უთავო ქვეყანას, თორემ ლოთი ქობალიას მოივედე ჩემი მტერი იქნა. გაირკვა, რომ იხს და მისი „პრეზიდენტი“ ჯიუტად დვანან ძველ პოზიციებზე. ნუთუ კაცმა ვერ უნდა გაიგოს, რა ხდება ამ ქვეყანაზე?

7 ნოემბერი.

სამოცდათორმეტი წლის განმავლობაში ეს დღე თავზარს სცემდა მთელს მსოფლიოს. ერთის მხრივ მილიონობით მოტყუებული ადამიანი, ღატაკი და არაფრის მქონე, პროლეტარი და ლუმპენ-პროლეტარი გაერთიანებული ერთი უბადრუკი ლოზუნგის გარშემო „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“-ო წვავდა და ანადგურებდა ათობით საუკუნის განმავლობაში დიდი წვალებით შექმნილ ფასეულობებს, ანგრევდა ეკლესიებს და ყველაფერს იმას, რასაც ძველი ერქვა, შეურაცხყოფდა სარწმუნოებას, კომუნიზმის ეიფორიით ასაზრდოებდა საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, ეღვეწლივე ეს უაღრესად თავზარდამცემი იყო. მეორეს მხრივ კაპიტალიზმი და კაპიტალისტური ქვეყნები ეყრდნობოდნენ რა საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ კანონზომიერებებს, კერძო საკუთრებას და „თავისუფალი კონკურენციის“ კანონს, განუწყვეტლივ ეხანგრძლივებენ ბრძოლას „შვიდი ნოემბრის“, როგორც ბოროტების სათავის წინააღმდეგ და ამიტომაც „შვიდი ნოემბერი“

თავზარს სცემდა მთელს მსოფლიოს იმდენად, რამდენადაც მან მთელი თავისი შესაძლებლობა მოახმარა სამხედრო კომპლექსის განვითარებას, მეორე, თუ შეათე რიგზე გადაიტანა ხალხის გამაჯირხე ზრუნვა. სწორედ მან, „შვიდმა ნოემბერმა“ ჩამოაყალიბა საქართველოში ავტონომიები. შექმნა ამ პატარა სახელმწიფოში მინისახელმწიფოები და ამით ჩადო ეთნოკონფლიქტების დაყოვნებული ბომბი, რომელიც ახლა აფეთქდა და მშვიდობას ურღვევს არამარტო საქართველოს, არამედ მთელს მსოფლიოსაც.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს ამ დღეს დიდი ზარ-ზეიმით ვეგებებოდით. ახლა დეკრეტებით შეჩერებულია კომპარტიის საქმიანობა, მაგრამ იატაკქვეშეთიდან და ლეგალურადაც რიდი ყრიან ფარ-ხმალს კომუნისტები. წითლებმა ფერი იცვალეს, ზოგი გავარდისფერდა, ზოგიც გაყავისფერდა, ზოგიც გამწვანდა, ყოფილი ტოტალიტარები გადემოკრატდნენ და მრავალი დაპირებანი შესთავაზეს ხალხს. თუმცა, ყველაფერი რიდი ჰქონდათ კომუნისტებს დასაწუნი. მათ უდიდესი გამოცდილება აქვთ ავისაც და კარგისაც. ამდენად მათ, უფრო ადვილად შეუძლიათ აუღონ ალღო მოვლენებს, ვიდრე ზოგიერთმა ახლადგამომცხვარმა „დემოკრატმა“.

განა კომუნისტი არ იყო კრავჩუკი, რომელმაც უკრაინელი ხალხი რაინდული გზით წაიყვანა დამოუკიდებლობისაკენ. თუნდაც ყაზახეთის მაგალითი. ჩვენც ასეთ მოქმედებას ველით საქართველოს ბეთაურისგანაც...

დღეს დილით წვიმდა, შემდეგ გადაიდარა, მერკულის გორამ ნისლი გადაიყარა, მაგრამ ვერა და ვერ გაიწმინდა იმ უწმინდურებისაგან, რომლებიც დღედაღამე მოსვენებას არ გვაძლევენ.

საღამოს ჟამს გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა მერკულის გორაზე, როგორ დამთავრდება ეს ბრძოლა, ვნახოთ...

დღევანდელი ჩემი ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იყო სასაფლაოსაკენ, რომელიც ესაზღვრება ჩემს ეზოს. დღე არ გავა, რომ აქ ვინმე არ დაასაფლაონ. გაიაფდა სიკვდილიც. ზოგს გული უსკდება, ზოგსაც ნერვები აწყდება. რომ დავაკვირდი ადამიანთა ქცევას, ყველა მათი მოქმედება, ლაპარაკიც კი, არანორმალურად მეჩვენება. არ ვიცი, ეს მოვლენა ადამიანთა საერთო ფსიქოლოგი-

ურ გამოფიტვას მიეწერება, თუ იქნებ, ცოტა პირადად მე „გავაფრინე“ და ასე მეჩვენება?!

ნაღმებზე აფეთქებით წინადღით დახოცილი ხუთი ახალგაზრდა აფხაზებმა, თუ ჩეჩნებმა მხოლოდ მას შემდეგ გადმოცვცეს, რაც მათი ცოცხალი ადამიანი დავუბრუნეთ. ასე, რომ მკვდრებსაც კი აღარ გვაძლევენ. ახლა თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ არაჩვეულებრივ ბარბაროსულ მოქმედებას, რომლის მსგავსიც არ ვიცი, არსებობდა თუ არა ცივილიზაციის განვითარების რომელიმე საფეხურზე. ყველა მოკლულს მოჭრილი ჰქონდა მარჯვენა ყური, ცხვირი და მოთხრილი — მარჯვენა თვალი. რომელიმე რელიგია ხომ არ ითვალისწინებს ქრისტიანებისადმი ასეთ ვანდალურ მოქმედებას? ამბობენ, გაგრაში, სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენო. ქართველებო, კიდევ აღარ გამოვფხიზლდებით?! კიდევ დიდხანს გააგრძელებთ ერთმანეთთან კინკლაობას? ერთმანეთის დახოცვას თუ დაჭრას? დღეს ორმა ნათესავმა ძველი შელაპარაკების ნიადაგზე იარაღი აღმართეს ერთმანეთზე, ერთი მათგანი მძიმედ დაიჭრა...

ეზოში მუშაობისას თან დავატარებ დათიკოს დაჟანგულ რადიოს, რამდენჯერ მომაკითხა, ჩემი რადიო მომეცია. შევეცდები, ცოტა ხანს მაცალე-მეთქი. ვმუშაობ და ვუსმენ სესიის სხდომის ტრანსლაციას. ძალიან კარგი კამათი გაჩაღდა სხვადასხვა საკითხებზე — აირჩიეს სპიკერი, სპიკერის ორი მოადგილე. ნელ-ნელა ეჩვევიან კულტურულ კამათს. ბატონმა ნოდარ ნათაძემ მოითხოვა, საქართველოში საომარი მდგომარეობის გამოცხადება. სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ თერთმეტ ნოემბერს ჩამოდის რუსეთის ლეგაცია ხელშეკრულების დადების საკითხებზე მოსალაპარაკებლად, ხოლო ცამეტ ნოემბერს — სამხედრო კომისია.

ბადრი და მისი სანჩო ჩვეულებრივ გაქრნენ თვალსა და ხელს შუა—პოსტებზე მივალთო. მათი ჯავრი კი მაქვს, მაგრამ ის მაიმედებს, დილით ადრე რომ ავდგები, ორთავეს მაგრად სძინავთ გვერდი-გვერდ. დღესაც ისე ეძინათ, ახლოს ზარბაზანი ბორგავდა, მაგრამ არაფერი გაუგიათ. მეუღლემ ბაზარს მიაშურა და დამიბარა, ამაღამ შეიძლება ვერ მოვიდეო. და აღარც მოსულა. ახლა ეზივარ მარტო და ათას რამეს ვფიქრობ. მართალი გითხრათ! ძალიან გაოგნებული კი ვარ, არ მეგონა, ასეთ დროს თუ მოვესწრებოდი...

8 ნოემბერი.

კვირა დღეა. ბედნიერი ადრე ადგა. სანჩოს ისევ სძინავს. წუხელ გვიან მოვიდნენ და ამხანაგებს გაედევნენ. მე დილით ადრე საუზმე მოვამზადე, მაგრამ ღარიბი თქვა, ჩვენ ერთად ვჭამთ და ვსვამთო. მათი ერთად ყოფნა კი მოგწყინს, მაგრამ ვაჩინევ, ამ ბოლო დროს ახალგაზრდები სმას მიეძალნენ. შემოდგომაა და მაჭარიცაა და შინნახადიც. ქიშვარდი დღეგამოშვებით ისე სვამს, რომ გრძნობაზე ველარ მოდის, დასანანია, რომ ყველაფერი ეს ხდება მისი ამხანაგების თვალწინ. შეგვპირდება მეტს აღარ დავლევო და მეორე დღეს გალეშილია. არადა, ცოდვაა, ახალგაზრდაა.

სანჩოს დღის სამ საათამდე ეძინა. ხელი არ შემიშლია, რომ ადგა, მოხარშული ლობიოს შეკმაზვა დავიწყე, შევექე, მზარეულობას რომ სწავლობდი ექვსი თვე, ლობიოს ველარ შეკმაზავ-მეთქი? რა უნდა ლობიოს გაკეთებაო, დატრიალდა, გემრიელი ლობიო გამოვიდა, ლობიო გვარიანი გავაკეთე. მაგრამ პური რომ არ გვაქვსო? პური მართლაც პრობლემად გაგვიხდა, ან ღომს ვაკეთებთ, ხანაც ჭადს ვაცხობთ გაწვალებულად. სხვადასხვა ხარისხის პურზე შეჩვეულები, ვერ ვეგუებით ახალ „დიეტას“.

დღეს შედარებით სიწყნარეა, შუადღისას მერკულის მხრიდან ატყდა ავტომატების გნიასი, რაც ვიღაცას სიცოცხლეს მოუსწრაფებდა. რისთვის?..

გუშინ სესიის სხდომაზე ვერ მოხერხდა პრემიერის არჩევა. ვიღაცამ დღესაც აურია: კენჭისყრაში არ მივიღებთ მონაწილეობასო. როგორც ეტყობა, ახალ პარლამენტშიაც გაძვრენ შარისთავები და ჩვეულის საქმის ფეხებზე დამკიდებლები. აბა რით აიხსნას ის ამბავი, რომ მთავრობის მეთაურის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას ბლოკირებას უკეთებენ. ნამეტანი „გადემოკრატება“ ხომ არ დაწყეს. ომისა და საგანგებო ქდგომარეობის პირობებში მთავრობის მეთაურს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, მაგრამ მას უნდა ყველაფერი სტანდარტების დონეზე აიყვანოს, ზედმეტი მოკრძალებით მოქმედებს. ამასობაში კი მტერი თავისას აკეთებს. თქვე დალოცვილო, სადაა პარლამენტში „ლაბლანდარობის“ დრო! ვფიქრობ, საზოგადოებას რაღაც პერიოდში აუცილებლად სჭირდება დიქტატურა. განა წესრიგი და კანონის დაცვა დიქტატურაა? კანონის დიქტატურა უნდა ქვეყანას.

ჩვენს პარლამენტში სჭარბობს ეჭვები ერთმანეთის მიმართ, ეგოისტური გრძნობები. ბოლმა და შური პირველი და მეორეხარისხოვანი საკითხების ალრევით.

ბევრი საღამოს მოვისმინე აფხაზეთში საგანგებო მინისტრის ხაინდრავას სატელეფონო საუბარი. მან თქვა, რომ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა ლოთი ქობალიას შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს; იცნობდნენ, თითქოს ლოთი ქობალია კარგად გროზნოს და როცა იქიდან დაბრუნდა, იმოგზაურა გუდაუთაში, სადაც განაცხადა, რომ განსრახული აქვს ჩამოიყვანოს ექსპრეზიდენტი და იგი მონაწილეობას არ ღებულობს ამ თავისმომჭრელ ომში და მოითხოვს სახელმწიფო საბჭოს ჯარების გაყვანას აფხაზეთიდან. ამის შემდეგ მოლაპარაკებას დაიწყებს სამეულე: პრძინბა, ჩეჩნების მსარე და ექსპრეზიდენტი, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. გროზნოდან წამოსულებს თვითონ დახვდა სოხუმის აეროპორტში. პოლკოვნიკ ქობალიას თან ახლდნენ სამი წარმომადგენელი ჩეჩნეთიდან, ორი მათგანი ე. წ. კონფედერაციისა და ერთიც პირადად დუდაევისა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთი მოითხოვს საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებას და მხარს არ უჭერს აფხაზ სეპარატისტებს აფხაზეთის გამოყოფაზე. გენერალ დუდაევის დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები თითქოს არ მონაწილეობენ ამ ომში, თუმცა ყველაფერ ამაში ბატონ ხაინდრავას უჭვი ეპარება და განაცხადა: რასაც ისინი ამბობენ, ჩვენთვის არამარტო მისაღებია, არამედ მისასალმებელია, თუ ნათქვამი სწორმდვილეს შეეფერება, ბატონი ლოთი ქობალია ეძებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებს საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის. შემდეგ ხაინდრავამ თქვა, რომ გუდაუთაში ქობალიასთან ერთად იყვნენ ჩვენი წარმომადგენლებიც. ხაინდრავას ნათქვამი დამაიმედებელია, მაგრამ აღმაშფოთებელი ის ჭრის, რომ პრესა ჯერ კიდევ საქმეში ჩაუხედავად გადასცემს ინფორმაციას. თუმცა, პრესას რა მოვთხოვოთ, როცა გუშინ ბატონმა სიგუამაც თავის გამოსვლაში დაადასტურა ლოთი ქობალიას »უკულმართი« მოქმედება, როგორც ჩანს, კანონის დიქტატურა, ყველას და ყველა რანგის ადამიანს უნდა ეხებოდეს და პასუხს აგებდეს ყოყელგვარ მოქმედებაზე. გადმოსცეს სასიხარულო ცნობაც, რომ მალე განთავისუფლდებიან ტყვეები ორივე მხრიდან.

გადმოცემული იქნა ბრძანება საქართველოს თავდაცვის მინისტრისა (ცატოვანი), რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საბჭედრო სი-

ტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყველა შენაერთსა თუ ქვეგამყოფს დაევალა გადავიდეს ყაზარმულ მდგომარეობაზე და იყოს სრულ საბრძოლო წესრიგში. ყველა, ვინც იმყოფება მივლინებაში (სამხედროები) ან შვებულებებში ვალდებულნი არიან სასწრაფოდ დაუბრუნდნენ თავიანთ ნაწილებს.

კანონიერი პარლამენტი და მთავრობა იწყებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, ქვეყნისა და ერის წინაშე...

დღეს საღამოს ამერან ჭიღვარია ჩამოვიდა ზესტაფონიდან. იგი პირველი იბრძოდა მერკულის გორაზე გადამთიელების წინააღმდეგ, მაგრამ ავადმყოფობის გამო ავტომატი მის ძმას ედემის გადაბარა და ზესტაფონში გასწია. როგორც ჩანს, ისევ ბრძოლა მოენატრა და გვარდიელის ახალი ფორმით გამოჩვეცხადა.

საღამოს ჩემი მეუღლე მოლასლასდა ბაზრიდან და საპონი და რაღაცეები მოგვიტანა. პური ვერ ვიშოვეთ და მშიერი მგელივით ეძგერა ჩემს მიერ გაკეთებულ ღომსა და რუსლახის აშოქნილ ლობიოს...

9 ნოემბერი

ღამე ჯავრით გავათენე, 3 საათის შემდეგ არც კი დამიძინია, ბადრი არ მოვიდა. მის სანაცვლოდ სძინავს და სულაც არ აქვს თავისი პატრონის ჯავრი. რომ ვკითხე, ბიჭო, რატომ არ მოვიდა შენი დონ კიხოტი-მეთქი, მანაც ირონიულად მიპასუხა, ალბათ დულცინეასთან ატარებს დროსო. როსინანტი სად ჰყავს-მეთქი. მისი როსინანტი ნაირგვარი მანქანებია, რომელშიც უნდა, იმაში ამოყოფს თავსო და ისევ ძილს მისცა თავი. მე კი რა დამაძინებდა, ვაი თუ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლოს სადმე, ვაი თუ ვინმემ უღალატოს და სასიკვდილოდ გაიმეტოს, ან მტერმა და ან მოყვარემ, რადგან იგი ხშირად ცდილობს მტრებისა და მოყვრების შერიგებას გაჰოუვა კი?

დილის ექვს საათზე მოვიდა ემზარის მანქანით. ემზარიც ენათესავება აფხაზებს და ორივე რაღაცას ცდილობს. ტყვარჩელში ყოფილან მერაბ ჭიშმარიასთან შესარიგებლად. იქით-აქეთ ბათქიბეთქი უნდა ჩავაჩუმოთო. ცოტა ნასვამი იყო და ხუმრობაში ჩაუთვალე, ვესაუვედურე, ღამით რომ არ მოდიხარ, ჯავრით ალარა ვარ-მეთქი. შენ არ იცი, რა საქმეებს ვაკეთებ და მერე გაიგებო.

ღმერთმა ინებოს! აღარ ჩავყოლილვარ საუბარში. დილით ბევრმა მოაკითხა, მაგრამ თუ სძინავს არ გაალვიძოთ, მეუბნებოდა ყველა.

ჩვენმა საინფორმაციო წყაროებმა განმეორებით გადასცეს გიორგი ხაინდრავას გუშინდელი სატელეფონო საუბარი, სადაც დადასტურა, რომ „ქობალია და გადელია მუშაობენ საქართველოსათვის და იმ ისტორიულ საქმეს აკეთებენ, რასაც ისტორიულად აკეთებდა სამეგრელო და ყოველგვარი მოუფიქრებელი ნათქვამი, თუ ინფორმაცია ზიანს მიაყენებს დაწყებულ საქმესო. ღმერთმა ქნას, თუ ასეა ეს!..

პიკის საათში გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა დადებითად შეაფასა პარლამენტის მუშაობა და განაცხადა, რომ დღიდან იგი მუშაობას იწყებს, როგორც მთავრობის მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

ეზოში სამუშაოდ ჩავედი, ხილი დამრჩა მოსაგროვებელი. რამდენიმე ტონა მანდარინს მოვკრეფ. რა უნდა ვუყოთ? ჩაიბარებს, თუ არა სახელმწიფო ამ ოქრო ხილს. ხომ შეუძლია ბარტერულად გადაცვალოს იგი სურსათზე, ან სხვა რამეზე? ყურძენიც კარგია წელს, მაგრამ ალებას არ ჰგვაცლიან.

10 ნოემბერი.

მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა, მხოლოდ ნაშუადღევს გადაიღო. ისე აცივდა, ძვალსა და რბილში ატანს. არა მაქვს შეშა, ნახშირი უნდა მიმეღო, რომ მშვიდობა ყოფილიყო, მაგრამ მისი მოიმედე, უშეშოდაც დავრჩი. ფიჩხებს მაინც მოვაგროვებდი ახლომახლო, მაგრამ ტყვიების შიშით ვერსად გახვალ. სწორედ იმ ადგილებში გადააწყდნენ ნაღმებს მხედრიონის ბიჭები. ოთხი მათგანი და ერთი ადგილობრივი ქანთაბაძე დაიღუპა.

ამ დილით შემაშფოთებელი ამბავი გავიგეთ. მოსული ბიჭებიდან, რომელთაც სოფლის დაცვა აქვთ დავალებული, ოთხ მათგანს წუხელ ღამით აეღოთ ტყვიამფრქვევი, რაცია და სადღაც გაპარულიყვნენ. მოდი და დაიძინე ახლა მათი იმედით. ჩვენი სოფლის ახალგაზრდებს მათთან უკმაყოფილება მოსვლია. აი იმ მოსულებს ჩვენს სოფელში მცხოვრებ აფხაზების ხუთ ოჯახზე თურმე ფული შეუწერიათ და ემუქრებოდნენ, თუ არ მოგვცემ, შავი დღე დაგადგებათო. ეს ბადრომ ვეღარ მოითმინა და მარადიორებს შეუტია. ისინიც ადგნენ და გაიპარნენ.

მხედრიონზე მიტმასნებულმა ბევრმა ბოროტმა გაუტეხა სახელი ამ კეთილშობილი მიზნებით ჩამოყალიბებულ შენაერთს. მას სომ მაშველთა კორპუსი ჰქვია. რატომ აგვიანებს მთავრობა ერთიანი ჯარის შექმნას?!.

თავდაცვის საბჭოს პირველ სხდომაზე საფუძვლიანად იმსჯელეს ამ საკითხებზე. პარლამენტარები თავიანთ სხდომაზე ისევ ბევრ დროს ანდომებენ ერთმანეთში არეულ დებატებსა და ვერა და ვერ გაეჩინეს აფხაზეთის საკითხი. არადა, ერთი კვირაა სოხუმს არ აქვს შუქი, არ აქვს წყალი, არ ცხვება პური. დღეს მთავრობის მეთაურმა გადაწყვიტა ოავად ეწვიოს სოხუმსა და გააკეთოს ყველაფერი, რაც გაძლია დამოკიდებული. ისე კი, თურმე აქამდე ძალიან თვლემდნენ შესაბამისი სამინისტროები და მათი მეთაურები.

დღეს, როგორც იყო, ბადრი მოვიხელთე სალაპარაკოდ, ორკულიანი თოფი მომიტანა, თუ ვინმემ შემოგიტიოს, დაუშინეო. თოფი გატეხილი აღმოჩნდა, თან არც ვაზნები მოუტანია. მერე სიცილით მიპასუხა: მივდა კონფლიქტი პოლიტიკური გზით მოვაგვარო და თოფების ლაწა-ლუწი საქმეს ვერ უშველისო. ყოველ შემთხვევაში ჩვენი სოფლები მე უნდა დავაყავშირო ერთმანეთთან. ღმერთმა გაძლიერინოს, ჩემო დონ ჟუანო, მაგრამ ძალიან ფრთხილად იმოქმედე. თავს გაუფრთხილდი-მეთქი! დედამისს მიეხმარა, ბაღიდან გამგზავრა, მერე კი ვახოსთან ერთად ორღობეში მიიწვია. ჩემთან დარჩა სანჩო. სანჩომ მშვენიერი საუზმე მოამზადა. შემდეგ ჩემი წიგნით დაინტერესდა და მთელი დღის განმავლობაში კითხულობდა. მე კი ქალისა და კაცის საქმეს ყველას ერთად ვაკეთებდი. საღამოს ეამს რუსლანი და მე დავრჩით მარტო, ღუმელი ავანთეთ და საუბარი გავმართეთ. მე შორიდან დავიწყე.

მინდოდა სანჩოს აზრი ეამეგო თავისი პატრონის შესახებ. ჩვენი დიალოგი ასე წარიმართა:

„მე უკვე დავკარგე წონა 15 კილოგრამი (ტახტზე წამოწოლილა ვარ და მუცელზე ვაფათურებ ხელს).

რუსლანი ინტერესით მაკვირდება:

„რამდენი კილოგრამი იყავი?" — მეკითხება.

„უჰ, ბევრი, ოთხმოცდათუთხმეტი. ჩემი სიმაღლე ას სამოცდათი სანტიმეტრია, კიდევ ხუთ კილოგრამს თუ დავიკლებ, ჩემს ჰიპერტონიასაც მოვუღებ ბოლოს".

„როგორ მოიკელი?"

„რეჟიმით კვირაში ერთი დღე განტვირთვას ვაკეთებ, ფიზიკურად ვმუშაობ განუწყვეტლივ და ვმოძრაობ. ესაა მთავარი! ამით თავიდან ვიცილებ ავადმყოფობას, თორემ უკვე სამოცდაშვიდი წლისა ვარ“. — ეს რომ ვთქვი, საგანგებოდ გადავიგრიხე ულვაშები.

რუსლანი ძალიან დაინტერესდა და მეკითხება:

„რა უნდა აკეთო?“

„აი, რაც გითხარი, უნდა იმოძრაო ბევრი. ავიღოთ წყალი (მაგალითი მომყავს) და დავაგუბოთ, რამდენიმე დღეში გაჩერებული წყალი დამყაყდება, აყროლდება და გაფუჭდება, მაგრამ იგივე წყალს თუ ვამოძრავებთ განუწყვეტლივ, მუდამ ანკარა იქნება წყაროსავით“. მგონი, ჭკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი.

შენც ბევრი უნდა იმოძრაო. კიდევ რა? უფრო მეტი უნდა ისარგებლო სუფთა ჰაერით, სუფთა წყლით, მზის სხივებით და საკვებიდან არ უნდა დაეძალო მარილს, შაქარსა და ცხიმს, მეტი უნდა მოისმარო მცენარეული საკვები, თესლეული, ხილი. ისინი მდიდარია ვიტამინებით და ჰამო, რაც შეიძლება მხოლოდ უმად“

სანჩო ჩაფიქრდა. მერე უკმაყოფილოდ თქვა:

„რაღა ასე მომკვდარვარ და რაღა—ისე. თუ ყველაფერი გემრიელი მიატოვე, რად გინდა ასეთი ცხოვრება!..

„როცა შეეჩვევი, შენთვის ახლანდელი გემრიელი უგემურად მოგეჩვენება. შაქარი სულ გადაგავიწყდება, ხოლო სიმლაშეს ვეღარ აიტან, ცხიმიანი კი შეგეზარება. სამაგიეროდ, კარგად მოგიხდება მცენარეული ზეთი და საერთოდ მცენარეული საკვები. ახლა, ხშირად რომ დაძიხართ შენ და შენი პატრონი (შევაპარე) და სახლში იშვიათად შოდიხართ, რას ჭამთ? — ვკითხე.

„სად — რას და სად — რას, რასაც ვიშოვით“.

„ბადრი სახლში ცუდი მჭამელია, სხვაგან?“

„ალბათ, ჭამს, ყურადღებას არ ვაქცევ ასეთ რამეებს“.

„აბა, რას აქცევ ყურადღებას?“

„ყველაფერს“.

„როგორი ურთიერთობა აქვს ბადრის ამხანაგებთან, ან როგორ ექცევიან მას? ჩემთვის რომ დაეჯერა, ახლა პროფესორი იქნებოდა. ბევრი დრო დაკარგა უქმად“.

რუსლანი ჩაფიქრდა, მერე თავდაჯერებით თქვა:

„იგი ბევრ პროფესორს ახლაც ჯობს ჭკუით“.

„ამხანაგები აფასებენ? ენდობიან? ხომ არ ჩხუბობს?“

„რაც საჭიროა, იმას აკეთებს, ჩვენს სოფელში იგი ბელადია. ბევრ ისეთ საქმის აკეთებს, რის გაკეთებასაც ეგრეთწოდებული თავკაცები ვერ ახერხებენ. ყველა მასთან მიდის რაიმეს საკითხავად, ან გასაკეთებლად“.

„მე ვიცი, რომ მას სოფლისათვის კარგი უნდა, სურს შეარიგოს აფხაზები და ქართველები, მაგრამ არის საშიშროება: თვითონ სოფელში უღალატებს ვინმე აფხაზი კი არა, ქართველი, აქაური“.

„ამას ვერ ბედავენ და ვერ გაბედავენ ვერასდროს“.

„რატომ გგონია ასე?“

„იმიტომ, რომ იმდენი კარგი აქვს გაკეთებული ყველასათვის, თუ ვინმემ გაბედა ღალატი, მის საქმეს გაარჩევენ და დასჯიან. ამიტომ ღალატს არავინ იკისრებს“.

ასე მსჯელობს სანჩო თავისი პატრონის შესახებ. როცა ნამდვილმა დონ კიხოტმა ღვინით სავსე უზარმაზარ ტიკს დანა გაუყარა და ღვინომ ტიკიდან გამოასხა, სანჩო პანჩომ სიხარულის ყვირილი ატეხა — „ჩემმა ბატონმა დევი მოკლაო!“ შეიძლება ასე ემართება რუსლანს, როცა ბადრის საქმიანობაზე აფასებს. თუმცა, იგი უფრო ლოგიკურად მსჯელობს, მაგრამ მე მაინც მლრღნის ეჭვის პია, — ვაი თუ ბადრის ვინმემ უღალატოს! ღალატი და შურიანობა ხომ ჩვენი მოგონილია, ისე, როგორც ზედმეტი მიამიტობა.

ამაზე გამახსენდა და ყურადღება მივაქციე პარლამენტის სესიის დღევანდელ სხდომაზე აფხაზეთის შესახებ საკითხის განხილვისას დეპუტატების დაჟინებულ ძებნას პასუხისას იმის თაობაზე, თუ რა მოხდა გაგრაში, რატომ შეჩერდა ჩვენი ჯარები სოხუმთან და ვინ გასცა ამის ბრძანება; გამოირკვა, რომ თოთხმეტ აგვისტოს ოთხი დღით ვიღაცის განკარგულებით ჯარები შეჩერდა სოხუმთან (წითელ ხიდთან). ამით ისარგებლა ე. წ. აფხაზურმა გვარდიამ და ერთიანად გაძარცვა ქალაქი. გუდაუთაში გადაიყვანა მთელი ტრანსპორტი და წაიღო ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა. ამის შემდეგ ზარ-ზეიმით შევიდა ჩვენი „ჯარები“ ქალაქში და ისევ გაჩერდნენ გუმისთასთან: იქით გზა აღარ გაუგრძელებიათ, რომ კარგად მოეთქვა სული მტერს? გაგრიდან კი გამოიყვანეს მძიმე ტექნიკა, ფაქტიურად ქალაქს მოხსნეს დაცვა, არ დაიკავეს ბზიფის ხეობა, საიდანაც საშუალება მისცეს გადამთიელებს უწყვეტ წაკადად შემოსულიყვნენ მთებიდან და ბიჭ-

ვინთის კორპუსებში მოკალათებულიყვნენ აფხაზი „ბოევიკები“ და უფრო მეტი მთებიდან და ზღვიდან შემოსული გადამთიელები: ჩეჩნები, ყაბარდოელები, რუსები, სნაიპერი ქალებიც კი სანკტ-პეტერბურგიდან(?!). რუსის ჯარმა მიაშველა უახლესი ტექნიკა-შეიარაღება. ამას დაემატა შინაური ღალატი და გაგრის დამცველებს კუდით ჭვა ასროლინეს. პირველ ოქტომბერს დაწყებული შეტევით, სამ ოქტომბერს, უკვე მოსკოვის სამი სექტემბრის ხელშეკრულების ერთი თვის თავზე, აფხაზი მხარე ლესელიძეში გავიდა და საზღვარი დაიკავა. ამაოდ კი არ აცხადებდა სიხარულის დაუფარავად „ოსტანკინო“, რომ აფხაზებმა, მისმა გვარდიამ გამანადგურებელი (მიაქციეთ ყურადღება „საკრუშიტელნი“) დარტყმა მიაყენა საქართველოს სახელმწიფოს საბჭოს ჯარებს და დაიკავა გაგრა, ეანთიადი, ლესელიძე და გავიდა საზღვართანო. საზღვრის გარეთ გაქცეული ქართველი ჯარისკაცები დეპორტირებული იქნენ და გაიგზავნენ თბილისში (ვაი სირცხვილო?). აი, რა გვიქნა ზედმეტმა მიამიტობამ, რომელიც ზევით ვახსენე.

ეს კიდევ არაფერი, აღმოშფოთებელი და შემზარავი ის არის, რომ ეძდამთიელი ბარბაროსები გაგრასა და განთიადში დაერივნენ მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას და ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს იმათთვის, ვინც ვერ მოასწრო გაქცევა, გაქცევას კი ვინ აპირებდა. პირველ ოქტომბერს ქართულ სკოლებში მეცადინეობაც კი დაიწყეს. ახლა სპეციალური კომისია იკვლევს მომხდარ ფაქტებს და ამაზე გზადაგზა მოგახსენებთ, მაგრამ აქ ვახსენებ ვანდალების მიერ გაგრაში ჩადენილ იმ რამდენიმე საშინელ ფაქტს, რომელიც სესიაზე მოიტანა თამაზ ნადარეიშვილმა. 2 ოქტომბერს ორსულ ქართველ ქალს საჯაროდ გაუპრეს მუცელი, გამოიყვანეს ბიჭი და დახვრიტეს. ქართველ ახალგაზრდას სტადიონზე მოაპრეს თავი და მით ფეხბურთს თამაშობდნენ.

არ ვიცი, კაცობრიობის ისტორიაში თუ მოიძებნება მსგავსი მაგალითები. არასრული მონაცემებით დაუტირებელი დარჩა ორი ათასზე მეტი ქართველი, რომლებიც ვინ იცის, სად ჩაყარეს ორმოებში. საქართველოში ათასობით ლტოლვილი გახდა თვითონ ქართველი.

11 ნოემბერი.

დარიანი დღეა. გასროლაც იშვიათად ისმის. მერკულის გორაზეც სიწყნარეა. მხოლოდ ავად აუბზეკავს ფუტები მაღალი ძაბვის ბოძს, რომლის წაქცევით დიდად იშალა სოხუმის მოსახლეობამ და რომლის წამოყენებას თავი ვერ მოაბა მთავრობამ.

ტამიშის მხრიდან ნაღმის აფეთქების ხმა აღწევს ჩვენამდე. ვერა და ვერ მოხერხდა ოჩამჩირე-სოხუმის გზის ამ მონაკვეთის გაწმენდა. აგერ მეორამდენედ ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი წყურგილაში. არადა, უკვე გახსნილი იყო თბილისი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლა. ვიფიქრე, ახლა კი გვეშველა-მეთქი და ვიღაც გარეწარმა ისევ ააფეთქა ხიდი. ტყუილა არ მოითხოვს ბატონი ნოდარ ნათაძე პარლამენტში ასე დაჟინებით საგანგებო წესების შემოღებას და საომარი მდგომარეობის გამოცხადებას. რატომ უშლიან ხელს ამ აქტის მიღებას? ახლა მაინც ხომ კანონიერი მთავრობაა? მოვიცადოთ და მოვიცადოთ? ისევ გადადების და გაჭიანურების პრაქტიკა? ამან რა დღეში ჩაგვაგდო, ხომ ცნობილია?!

გუშინ ქართული ჯარების სარდლად დანიშნა (მოწვეული იქნა) უკრაინაში მყოფი ქართველი გენერალი ანატოლ კამკამიძე, რომელიც უახლოეს დროში ჩამოვაო. ეს უახლოესი დრო აღარ მთავრდება საუბედუროდ.

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს მუდამ იმას ვფიქრობ, თუ რა იქნება დღეს, რა იქნება ხვალ, დაადგება თუ არა საშველი ქვეყანას.

ხალხი ათენებს და აღამებს პურის რიგებში, ვერა და ვერ გადაუწყვეტია და მოუგვარებია მთავრობას ის საქმე, რომ პროდუქტი გაიცეს ბარათებით. მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი საათივით იყო აწყობილი პროდუქტების გაცემის საქმე და არავის არ დაუკარგებოდა კუთვნილი პროდუქტის არც ერთი გრამი. ფული ისე გაუფასურდა, რომ მაშინდელ დონეს ფასებმა ხუთჯერ და მეტად გადააჭარბა. საით მიდის ქვეყანა?..

ბიჭებს საქმლის დამზადებაში მივეხმარე. მეზობელი ახალგაზრდები ერთად თავშეყრილიყვნენ ჩემს ფარდულში. ემზარიმ საიდანღაც ძროხის ხორცი მოიტანა, ლევანმა არაყი და მისი განთქმული კარალიოკი, სანჩომ — ლობიო ამოლესა, ბადრიმ ქვევრი მოხადა, მათ სოფლის დამცველი რამდენიმე თბილისელი ახალგაზრდაც შეუერთდა და ცოტათი წაიქეიფეს. საღამო ხანს

ერთად წავიდნენ დათქმულ ადგილას, ბადრის თავისი ერთგული სანჩოც აყოლებია უკან...

ამასობაში ჩემი მეუღლეც მოლასლასდა ბაზრიდან, ტრაქტორზე შემჯდარიყო. ავტობუსს მაკვირად ხანდახან ტრაქტორი თუ წატაკტაკებდა ბაზარში. მოვიდა დამშეული, არიქა, რამე მაჭამეო. მეც შეუსტვლელი ღომი შევთავაზე. მან ცხვირი აბზიკა, ამას რა მაჭმევსო. მე შევახსენე, რომ ხალხი შიმშილობს და შენ ღომსა და ლობიოს არ კადრულობ-მეთქი? მეზობლებში გამექცა, იქაც ვერაფერი გაახერხა უკეთესი და ისევ ჩემს მოცოდვილებულ ღომს და ლობიოს დაეძგერა.

საღამო ხანს გავიგე, რომ სოხუმში ჩამობრძანდა სახელმწიფოს მეთაური ბატონი შევარდნაძე. ახლა კი ნამდვილად იმედი უნდა ქონეს სოხუმელებს და არამარტო სოხუმელებს, რომ რაღაც გარდატეხა მოხდება მოვლენათა განვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, ბატონი შევარდნაძის სახელთან დაკავშირებულია ძალიან დიდი იმედები. ამიტომ დაუჭირა მას მხარი ამომრჩეველთა 96 პროცენტრზე მეტმა, არაფერს ამბობენ, ჩამოვიდა თუ არა რუსეთის დელეგაცია თბილისში, ისევ ხომ არ აკეთებენ ზონდაჟს, როგორც ეს გააკეთეს კოზირევის ვიზიტთან დაკავშირებით (რომელიც არ შედგა)?!

მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ დღეს ბატონი შევარდნაძე ეწვია სოფელ შრომას (ფრონტის წინა ხაზია), შემდეგ კი ოჩამჩირეს და დახვედა იმ ბოძსაც, რომელიც მერკულის გორაზე წამოშვერილია სოხუმელთა გულის გასახარად. ასევე გვიან შევიტყვეთ, რომ საბედნიეროდ, ჩემი ეჭვები არ გამართლდა და თბილისს ჩამობრძანდა რუსეთის დელეგაცია საგანგებო დანიშნულების ელჩის კოვალიოვის მეთაურობით. ღმერთმა ქნას, ნაყოფიერად ემუშაოთ საქართველოს სასარგებლოდ.

12 ნოემბერი.

ღამით ტემპერატურა ნულ გრადუსამდე დაეცა, თუმცა დარი დადგა, მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს, არაჩვეულებრივად ახსნია ციტრუსს. თითოეულ გლეხს შეუძლია რამდენიმე ტონა მანდარინი ჩააბაროს, მაგრამ ვინაა გამკითხავი. ჩვენ არც კი ვიცით, საერთოდ ჩაიბარებენ კი? ბაზარშიც ვერ გააქვთ გასასყიდად. მყი-

დველი სადღაა? რამდენიმე თვეა პენსია და ხელფასები არ მიგვილია. არადა, დღეიდან უკვე გაძვირდა პური და სხვა პროდუქტები. ისევ მკაცრი ხელის იმედი გვაქვს. სხვაგვარად არ გამოვა. არ მომწონს, რომ მოსული ბიჭები—მხედრიონელები, გვარდიელები და მათთან ერთად ადგილობრივი ხალხიც სმას ეძალება. ბევრს წნერევებმა უღალატა და როგორც ჩვეულებრივ ამბავს, ბახუსს დაუმეგობრდა, ამით გულს გადავაყვავილებო. მოგეხსენებათ, მთვრალი კაცი ყველაფერში უკონტროლობას იჩენს და საკვლოდ გამოიყურება, რაც თვითონ ჰგონია, რომ საგმირო საქმეებს სჩადის. ასე ემართებათ ამ ბიჭებსაც. რაღაც ერთი საცოდავი ნიკოლოზის დროინდელი ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი ზარბაზანიც უშოვიათ და სოფლის შარებზე ისე დააშლიგინებენ, მათ ადგილსამყოფელს მოსაზღვრე მტერი კი არა, ცხრა მთას გადაღმა გაიგებს კაცი. ამას კი მეტად ძრასასიამოვნო ამბავი მოჰყვა დღეს: ჩვენი სოფლის საბრძოლო პოსტიდან დაუკითხავად მოეხსნათ ჯავშანტრანსპორტიორი და ხუთ მათგანს ღვი წაეყვანათ კოჩარასკენ; სადაც ქეიფობას აპირებდნენ ნათესავთან. როგორც კი გასცდნენ ცაგერას და მოუხვიეს კოჩარასაკენ, სოფელ ცხენისწყლის მიდამოში მებრძოლებს რომ არ მიესწრო და არ მიხმარებოდნენ, ყველა მათგანს ამოწყვეტდნენ და მანქანასაც წაართმევდნენ. დაიჭრა სამი მათგანი. ერთმა ხელი დაჰკარგა. ასე დაუკითხავად მოქმედებენ ეს დალოცვილები. ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვთქვა, რომ ამას წინათ ხუთ დაღუპულ მეომარზე რომ ვიგაგხსენებდით, ისინიც დაუკითხავად იყვნენ წასული. ადრე სახლები რომ გადაუწვეს ჩვენს მეზობელ აფხაზებს და კიდევ უფრო გადაგვამტერეს, მათაც არ უკითხავთ ვინმესთვის ამის გაკეთება. როგორც გამოირკვა, ზოგი მათგანი მარადიორობდა კიდეც. მათ მეთაური არა ჰყავთ და არ ემორჩილებიან არავის. ასე ბრძოლა არ შეიძლება! ასე მათ შეუძლიათ დაცვის მაგივრად სოფელს დიდი ტვირთი აჰკიდონ. ჩვენ გვინდა იარაღი, მეტი არაფერი და სოფელი თავის თავს მშვენივრად დაიცავს.

სოფელში ჩამოსვლას აპირებენ აფხაზების წარმომადგენლები და შერიგებას ითხოვენ. ცუდია, როცა ხალხის სახელით მათ ვილაც ახალგამომცხვარი ელაპარაკება, ანდა ადგილობრივი ხალხის სახელით ვილაც მოსული ხვდება.

გუშინ ვახომ მითხრა, როცა გაიგო საქმე მოლაპარაკებაზე მიდგა, „პიცუნდა“ გადაირიაო. „პიცუნდა“ ვინაა, ბიჭო-მეთქი? ერთი მხედრიონელია პიცუნდიდან და „პიცუნდას“ მიტომ ეძახიანო. მას უთქვამს, ვინ ჰკითხავს სოფელს მოლაპარაკებასო. ამაზე მე გადავირიე — საიდან მოვიდა ის გადარეული-მეთქი. მას თავისი ბიჭვინთა ვერ დაუცვია და აქ ჩვენ დაგვცავს? მერე ბადრის ვუთხარი, თუ მოსალაპარაკებლად ჩამოვიდეს ვინმე, შემახვედრეთ-მეთქი. ისევ ჩემი დონ კიხოტის იმედი მაქვს.

სანჩომ და მისმა პატრონმა კარგად გამოიძინეს, ისაუზმეს და საღლაც წავიდნენ: მერე გავიგე, ბადრი დაჭრილებს სანახავად გაქცეულა, ხოლო რუსლანი თავის მამიკოსთან და დედიკოსთან წასულიყო შინ, ალბათ, მამამისის იმ ბალიშის ნახვა მოუნდა, სნაიპერის ტყვიამ რომ გახვრიტა და ააბოლა.

ტელევიზია არ მუშაობს. დაჟანგულ რადიოს ყურს არ ვაშორებ. საღამოს ბატონ შევარდნაძის პარლამენტში გამოსვლა მოვისმინე, სადაც შეეხო აფხაზეთში გუშინდელ მოგზაურობას. ბევრ სამინისტროს და მის ხელმძღვანელს გააძრო ტყავი და ბევრსაც ამავეს. შეჰპირდა.

შვილები და შვილიშვილები დაფანტული მყავს. ვინ სად არის, არ ვიცი და როგორც იქნა, დღეს გავიგე, რომ მერხეულიდან მანანა თავისი ბავშვებით — სერგოთი და გელათი, სოხუმიდან ლეილა თავისი პირმშო მარიკათი ფოთს ჩასულიყვნენ ქეთოსთან. გვარიანად კი მომეშვა გულზე, ჯავრი მაწუხებდა.

13 ნოემბერი.

დარები გრძელდება, გვიანი შემოდგომისათვის დამახასიათებელი ბოლო დარები. მალე დეკემბერი ჩამოდგება, ზამთრის პირველი თვე, თავისი მოკლე დღეებით, სუსხითა და მრავალი მოულოდნელობით სავსე. ასტროლოგები და ნათელმხილველები წლევანდელი წლის დეკემბერს მრავალ არეულობებისა და კატაკლიზმების თვედ მიიჩნევენ. თუმცა, ბევრი ჰკუა-გონების მოხმობა არაა საჭირო იმის დასადგენად, რომ ეს ასე იქნება; ამაზე აფრთხილებს მთელ მსოფლიოს ჩვენი სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

ქრისტეს და ბარაბას ამბავი კარგად მოგეხსენებათ. ქრისტე

ხალხმა მოსაკლავად გაიმეტა და ბარაბა ყაჩაღი გადაარჩინა. ასეა ახლაც. კაცობრიობა ბარაბას გზით მიდის.

ბატონი შევარდნაძე წუხელის ესაუბრა ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ქლინტონს. მან გადასცა პრეზიდენტს თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კავკასიაში გაჩაღებული ეთნიკონფლიქტები მეტად საშიში მოვლენაა. მათ შორისაა აფხაზეთის კონფლიქტიც და რომ საჭირო იქნება ისეთი სახელმწიფოს მხარდაჭერა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს შეუძლია მსოფლიოს მისცეს დემოკრატიის ნიმუში, თუ მხარდაჭერა იქნება. ქლინტონმა აღუთქვა შევარდნაძეს, რომ იგი თვალს ადევნებს საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებს და განსაკუთრებით საქართველოს ამბებს და როცა იგი ეკურთხება პრეზიდენტად, გააკეთებს ყველაფერს, რათა ხელი შეუწყოს დემოკრატიულ გარდაქმნებს ამ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში. მან შესთავაზა შევარდნაძეს, რომ მას (შევარდნაძეს) შეუძლია გაუფრთხილებლად დაამყაროს კავშირი პრეზიდენტთან, როცა ეს საჭირო იქნება.

ფრიად სასიამოვნო ცნობაა ჩვენი ხალხისათვის მეორე ღირსშესანიშნავი ამბავი, რომელიც ჩვენთვის გახდა ცნობილი. გუშინ ბატონ შევარდნაძეს რწმუნების სიგელი გადასცა რუსეთის ელჩმა საქართველოში და პირველად ორი საუკუნის მანძილზე რუსეთმა ფაქტიურად სცნო საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ჩამოსულია დელეგაცია დიდი ხელშეკრულების მოსამზადებლად რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა საკითხების მოსაგვარებლად. ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის თანაბარუფლებიანობის საფუძველზე. თუმცა, ბევრი მოკლე ჭკუის მქონე პოლიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს რუსეთიდან უპირატესობის საქმეს და მოითხოვს მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. სახელმწიფოს მეთაური კი უფრო შორს იხედება: მან იცის, რომ არ შეიძლება კავშირი გაწყვიტო ისეთ მეზობელთან, როგორიც რუსეთია. რუსეთს ახლა იქით სჭირდება დახმარება, რათა მოხდეს დემოკრატიული ძალების გაერთიანება რეაქციის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოც მხოლოდ მაშინ დაუჭერს მხარს რუსეთს. თუ გაძლიერდება ელცინის მოწინააღმდეგე ძალები, ისინი ყოველნაი-

რად შეეცდებიან დაამხონ იგი და მისი რეფორმები, მოსპონ დემოკრატიული მონაპოვრები, აღადგინონ უწინდელი ტოტალიტარიზმი და კვლავწინდებურად საფრთხე შეუქმნან მთელ მსოფლიოს. შევარდნაძე თავგამოდებით ეხმარება და იცავს დემოკრატიის საქმეს რუსეთში.

აფხაზეთის კონფლიქტი აჩანაგებს მრავალ ფასეულობებს. გუშინ საღამოს სოხუმში დაიწვა სატუმრო „რიცა“ და რუსული თეატრი, ვინ გაიმეტა? გასაკვირია, თუ რატომ დაწვეს — იქ გვარდიელები იყვნენ დაბანაკებულნი.

დღეს დილით ოჩამჩირის მახლობლად გამოჩნდა ორი ვერტმფრენი. გააკეთეს ცრუ დაჯდომა, მერე აიკრნენ სიმაღლეზე და მიიმალნენ, შემდეგ ოჩამჩირეს და ქართული ჯარის პოზიციებს შემოუფრინა „სუ-25“ ტიპის ორმა თვითმფრინავმა. იმავე თვითმფრინავებმა შემოუფრინეს სოხუმსაც. ისინი რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავები არიან. როგორც იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვი.

საღამო ხანს ვრადუ-მოქვი-მერკულის გორა სამკუთხედში გააფთრებული სროლა ატყდა. ისროდნენ ყველაფერს, რაც კი ვააჩნდათ. სროლა გვიან ღამემდე გაგრძელდა. როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ დღეში? თვალ და ხელშუა გვეცლებიან ადამიანები. დღეს გარდაიცვალა ასკალო მამარდაშვილი და გარდაიცვალა, თავის სახლში კი არა, საღღაც ხონში ლტოლვილობაში...

საღამო ხანს, როცა ამ დღიურს ვწერდი, განუწყვეტლად ისროდნენ. ბადრი და მისი განუყრელი მეგობარი თამაზი მოვიდნენ. მომიკითხეს, როგორ ვარო, ხომ არ გეშინია სროლისო, თან ეამაყრთხილეს, აივანზე ნუ ავდიხარ, თორემ მერკულის გორიდან ტყვიებს პირდაპირ აქეთ ისვრიანო. მეც დავუყვავე, კარგი-მეთქი. ვისაუბრეთ, მერე ნარდს თამაშს შევეცნენ. მე კი წერა გავაგრძელე.

ჩემ მოუსვენარ მეუღლეს ვერ მოეთმინა და ბაზარში გაპარულიყო. დილით ადრე მეზობელს გაჰყოლია და შუადღისას ნავაჭრი მოვიდა — ორი კოლოფი ასანთი და ორი ცალი ცოცხი მოიტანა. ერთი კოლოფი ასანთი 60 მანეთი და ეროი ცოცხი 100 მანეთი ღირს. საღამო ხანს წისქვილში საფქვავი წაიღო. სროლაც მაშინ ატყდა. მე შეშფოთებული გამოვეკიდე მის მოსაძებნად, წისქვილი სკოლის გვერდითაა ფრონტის ხაზის შუა გულში. სასაფლაოდან ზარბაზანი უშენდა მერკულის გორას, მაგრამ იქიდა-

ნაც არ გვაკლებდნენ ხელს. ვეძებე მეუღლე, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე. ვიფიქრე, ალბათ ცოცხალია, თორემ მკვდარს უფრო მიკაგნებდი-მეთქი. როცა ჩემი გადამხდა, მერე მითხრეს, შენი მეუღლე, სროლა რომ ატყდა, ლიანასთან შევარდა სახლშიო. ისინი ჩემი კარის მეზობლები არიან. გულზე მომეშვა და გულიც მოვიდა, მაგრამ კი ვუსაყვედურე, რატომ არ იტყვი, სად დადიხარ-მეთქი. ლაპარაკის დრო იყოვო? სროლა რომ ატყდა, საფქვავი მივატოვე და თავი შევაფარეო. მეც დავუწყე იმის სწავლება, თუ როგორ შეიფაროს თავი სროლის დროს. იაროს შუა გზაზე, გაჩერდეს გამოსაჩენ ადგილას, მტერმა რომ კარგად შეამჩნიოს. ეს, რასაკვირველია, უკუღმა ვუთხარი, რადგან კარგად ვიცი მისი ამბავი, რასაც წაღმა ვეტყვი, იმას უკუღმა აკეთებს...

14 ნოემბერი.

დილით მოიღრუბლა და ცოტაოდენი წვიმა წამოვიდა, თუმცა მალე გადაიდარა და სუსხი სითბომ შეცვალა. შუადღიდან დილის ჩვეული სიწყნარე დაირღვა. ქვემეხის ბათქები გაისმა ბესლახუბისა და ტამიშის მხრიდან. ჩვენმა ბიჭებმაც არ დაახანეს, სასაფლაოს გვერდით ტალახში ჩაფლული ქვემეხი სამიზნეზე გამოაგორეს და ყუმბარები გაუჭოლოკეს მერკულის გორისაკენ. მე აივანზე გავედი. იქიდან სარკესავით მოჩანს ყველაფერი. თუმცა, მეც ალბათ ასევე კარგად მოვჩანვარ გაღმიდან. ძალიან ბევრს კი წვალობენ „არტილერისტი“ ბიჭები. ისინი ხუთნი არიან. ოთხი მოსულია და ერთი — ჩემი მეზობელი მურთაზია (მუთია). მუთიამ მითხრა, მათი „კამანდირი“ მე ვარო. გაირკვა, რომ კოორდინატების გამოსათვლელი არავითარი ხელსაწყო არა აქვთ, ისე, ძველრაჟულად ეახლოვებენ ლულას და ალალბედზე გაისროლიან. ხუთიოდე გასროლის შემდეგ მერკულის გორიდან, სნაიპერული სიზუსტით დააყარეს ქვემეხს მსხვილი კალიბრის ტყვია. ბიჭებმა ძლივს მოასწრეს თავის შეფარება სასაფლაოზე. და მერე, როცა სცადეს თავების წამოწევა, ისევ დააყარეს ტყვია. ეს ამბავი ჩემგან სულ რაღაც ორმოცდაათი მეტრის დაშორებით ხდებოდა. ტყვიებს ჩემგან ირიბად ისროდნენ და ქვემეხზე აცილებული (რამდენიმე ქვემეხს მოხვდა), ჩემი მეზობლის, ბახვას ეზოს ესტუმრა. იქ მისი ერთადერთი ძროხა ბალახობდა და ის იმსხვერპლა. კიდევ კარგი რომ „არტილერისტები“ გადარჩნენ. მე ვგრძნობ, ამ ქვემეხს

ასეთ ადგილას დგომა და საერთოდ მისი ყოფნა სოფელში კარგს არაფერს მოგვიტანს.

საღამო ჟამს ტყვარჩელის მხრიდან ვერტმფრენი გამოჩნდა და ქვემეხს შემოუფრინა. ვისი იყო ვერტმფრენი, არ ვიცი. თქ. მტრისაა, მტრისას, შავ დღეს დაგვაყრის ხვალისათვის.

ვატყობ, ნერვები უკვე თანდათან ღალატობს ხალხს. ჩემი ძეულლე ამ დილით ადრე ბაზარში გაჭცეულიყო და გუშინდელი საფქვავის მოსატანად ისევ მე მომიხდა წასვლა. გუშინ სროლის დროს სკოლის ეზოში მიტოვებული ურიკა მოვიძიე, მაგრამ მეწისქვილე ჯიმშერი არ დამხვდა, პოსტზე წაყულიყო სამორიგეოდ. ერთი საათის შემდეგ მოვიდა და დავაფქვევინე სიმინდი...

საღამო ჟამს ბადრი მოვიდა თავისი თბილისელი სომეხით, გრიშა რომ ჰქვია.

თითქმის ერთი თვეა, რაც ასამდე კაცი ჩამოვიდა ჩვენთან. ამჟამად მხოლოდ ხუთმეტიღა შემორჩა სოფელს. მათ არ ჰყავთ მეთაური და ამიტომ დანარჩენები თვითნებურად გაიპარნენ. მიმაჩნია, რომ ასეთი ნაწილების ყოფნა სოფელში თუ ქალაქში, სარგებლობის მაგიერ მხოლოდ მავნებლობას მოუტანს ხალხს. ყველაზე უკეთესი გამოსავალია, ადგილობრივ ხალხს მისცენ საბრძოლო იარაღი. განა აფხაზეთში მცხოვრებ ორას ორმოცდაათი ათას ქართველს არ შეუძლია დაიცვას აფხაზეთი ყოველგვარი შემოტევისაგან და ყოველგვარი მტრისაგან, თუ მას ექნება საჭირო შეიარაღება? იქნებ სჯობს, თვითონ სოფლებმა მოილაპარაკონ, როგორ გადაწყვიტონ თავიანთი საკითხი. სოფელს უნდა ჰყავდეს შესატყვისი ხელმძღვანელობა, რომ შესძლოს განჭვრიტოს მომავალი და იმის შესაბამისად მოიქცეს. ბადრი ამ საქმის შუაში ტრიალებს. მაგრამ რა ქნას? ამ დილით საყვედურობდა, ჩვენიანების მხარდაჭერა მაკლია, მაგრამ მე მაინც ჩემსას გავაკეთებო. მისი მოქმედება მისასალმებელია, მაგრამ ჩვენი ხალხის ერთი აწრით მოქმედება ნამეტანი ძნელია.

დღეს მოსმენილ ინფორმაციათა შორის ჩემი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში ამ დღეებში მოწყობილმა სემინარმა, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო სოციალისტური კვლევის ცენტრმა და ერთმანეთს შეახვედრა აფხაზებისა და ქართველების წარმომადგენლები. რომელსაც ექსპერტად ესწრებოდნენ რუსეთის ცენტრის დირექტორი და მისი მოადგილე. გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს აფხაზებსა და ქართველებს გაჩა-

ყოფი არაფერი აქვთ და კონფლიქტი უნდა გადაწყვიტონ მშვიდობიანი გზით. ვნახოთ, მოიყვანს თუ არა გაზაფხულს ამ პირველი მერცხლის პიკჩიკი. გადმოსცეს, რომ ფოთში თავხედობენ რუსი სამხედროები. ისევე იქცევიან ისინი სოხუმში.

ჩვენმა თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მაშინ, როცა მზადდება დიდი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის, გაუგებრობას იწვევს რუსი სამხედროების ასეთი მოქმედება და პროტესტი განაცხადა ამის თაობაზე. დღეს, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მოწყენილი ვარ, სანჩოს ვერ ვხედავ. იგი უკვე მეორე დღეა მშობლებთან ჩავიდა და აღარ მობრუნდა. ძალიან კი მართობდა ჩემში სანჩო — რუსლანი. უკვე მეორე დღეა, არ მიჭამია მისი ამოლესილი ლობიო.

15 ნოემბერი.

დღეს დილით არაჩვეულებრივი სითბო იყო. ნაშუადღევს მოულოდნელად ძლიერი ქარი ამოვარდა დასავლეთიდან, მას ცივი წვიმა მოჰყვა და ქვეყანა გათოშა. ყანებში მოსავალი თითქმის სანახევროდ აუღებელია. შეწუხებული არიან, როგორც ქართველები, ისე აფხაზები. აგერ, უკვე ორი კვირაა არ გვაქვს შუქი. მერკულის გორაზე კი ისევ ისე არხეინად წევს მხარეძოზე მალილი ძაბვის ბოძი. კაციშვილი არ ფიქრობს ჩამოწყვეტილი სადენების აღდგენაზე. არადა, იქ გადის ფრონტის ხაზი. შეწუხებული არიან სოფლის უბრალო გლეხები, მსვნელ-მთესველები, რომელთაც ასე უმოწყალოდ ეკარგებათ ნაშრომ-ნაჯაფი. ექსტრემისტებს კი ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის გასაჭირი. ვიღაც-ვიღაცეები ამ პრეულობით ხელს ითბობენ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ ჩაკვდა ცხოვრება, ხალხი გახიზნულია, გლეხი მოსაფალს ვერ აბინავებს, მოსწავლე სკოლაში ვერ დადის, ხელფასსა და პენსიას ვეღარავინ ღებულობს. ერთი ტომარა პურის ფქვილის ფასი სამი ათას მანეთამდე ავიდა. მგონი, აფხაზები ნელ-ნელა ხვდებიან, თუ როგორ მოატყუა ისინი არძინბამ და მისმა გუნდმა. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ მათ მიმართ. ცნობილი გახდა, რომ გუდაუთაში, კერძოდ, ლიხნში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც მოითხოვეს არძინბას და მისი მომხრეების გადადგომა. მიტინგი თურმე დაშალეს აფხაზმა მოიერიშეებმა.

დღეს ალბათ პირველი შემთხვევაა, რომ სროლის ხმა არ გამიგონია. გუშინდელი აურზაურის შემდეგ დილით ბახვამ (ის სოფლის თავმჯდომარეა), მაჩვენა ტყვია, რომელიც გუშინ მოკლული მისი ძროხის გვერდებიდან გამოიღეს. მართალი გითხრათ, ასეთი ტყვია არ მინახავს. სიგრძით დაახლოებით შვიდი სანტიმეტრი და სიგანით სანტიმეტრნახევარი იყო. რა იარაღით გამოისროლეს ამ სიშორეს მერკულის გორიდან, აზრზე არა ვარ. ერთი, ქვემეხს მოხვდა, ბიჭებს კი, რომლებიც ქვემეხის გარშემო ტრიალებდნენ, სეტყვასავით დაატყდათ თავს, მავრამ მათ ბედხე არავინ დაშავებულა. ვერტმფრენი, რომელმაც გუშინ საღამოს კამარა გააკეთა ქვემეხის თავზე, ალბათ, ჩვენი გამოდგა, თორემ მტრისა რომ ყოფილიყო, დღეს იმ ქვემეხს მიწასთან გაასწორებდა. ბახვას ვთხოვე, რომ ეს ისტორიული ტყვია კარგად შეინახოს, იქნებ საშვილიშვილო თვალსაჩინოებად გამოდგეს. შემპირდა, ასე კავაკეთებო. შემდეგ ვისაუბრეთ და ერთხელ კიდევ აღვნიშნეთ, რომ საჭიროა ამ ქვემეხს შევურჩიოთ სხვა ადგილი, უფრო შენიღბული და უფრო დაშორებული მოსახლეობიდან, თორემ, ნათქვამია, რაღა მგელს შეუკამიხარ და რაღა მგლისფერ ძაღლსო. საუბარი მეზობელ სოფელ კოჩარაზე ჩამოვარდა. ითქვა, რომ იქაურმა ხელმძღვანელობამ და მცხოვრებლებმა (ქართული სოფელია) უარი განაცხადეს მათ სოფელში ქვემეხის, ჯავშანტრანსპორტიორის და საერთოდ მოსული გვარდიელების თუ მხედრიონის განლაგებაზე. სკოლის შენობა არ დაუთმეს მათ. ჩვენს სკოლას მათ გამო მტერმა შავი დღე დააყენა და არც მათ დაუკლიათ ხელი. კოჩარლებმა განაცხადეს, რომ შეუძლიათ შექმნან საკუთარი ბატალიონი, თუ კი იარაღს მისცემენ და მტერსაც ადვილად გაუსწორდებიან. ამასვე მოითხოვენ ჩვენი სოფელი და საერთოდ ყველა ქართული სოფლები აფხაზეთში. ჯერჯერობით ყურადღებას არავინ გვაქცევს. ვისაუბრეთ იმაზეც, რომ იქნებ მოვძებნოთ დაპირისპირებულ სოფლებს შორის რაღაც საერთო ენა. ბახვა პრინციპულად დაეთანხმა ამ აზრს. მოსულები გვიშლიან ხელსო. მე ერთი მაგალითი მოვიტანე ზემოთ ვიღაც „პიცუნდას“ გამოხტომის შესახებ. ამ კონფლიქტის მოგვარების ორი გზა არსებობს: ან უნდა ავისხათ იარაღი ყველამ, ვისაც ტარება და ხმარება შეგვიძლია და მტერს დედა ვუტიროთ. ამ გზით ეს უბედური აფხაზები შეიძლება ამოწყდნენ კიდეც მთლიანად. ანდა ვეძიოთ მოლაპარაკების გზები, თუმცა გაგრის ამბების შემდეგ

მათ მოლიანად დაჰკარგეს ნდობა. მე, მაინც რატომღაც მოლაპარაკებას ვირჩევდი, რადგან მომავალში ხომ უნდა ვიცხოვროთ ერთად? თუმცა ბატონი ნადარეიშვილი თვლის, რომ გაგრის ამბების შემდეგ ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რას ფიქრობს ამაზე ბატონი შევარდნაძე, რომელიც ამ დღეებისათვის ამზადებს ფართო მოხსენებას აფხაზეთის საკითხზე. ეს საკითხი განხილული იქნება პარლამენტის სხდომაზე სამშაბათს. ზეგისათვის და ვნახოთ, რა გახდება ჩვენთვის ცნობილი.

დღეს საღამოს თბილისიდან გადმოსცეს, რომ სოხუმში შედგა საველე სასამართლოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ვიღაც რუსი დაქირავებულის საქმე. ამ რუსმა თურმე, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა ჩაუწერლად, ზედმიწევნით შეისწავლა მთებზე გადმოსასვლელები და ა/წ სექტემბრის ბოლოს აფხაზეთში გადმოიყვანა დაქირავებულ გადამთიელთა ორი დიდი ჯგუფი. რუსს დაუდასტურდა ბრალდება—ღალატი და მიესაჯა დახვრეტა, გადმოსცეს ავრეთვე, რომ ცდილობენ ფოთის სამხედრო პორტიდან ქონების გატანას...

საკმაო სიცივეები დაიჭირა, პროდუქტი თითქმის მოვიმარაგეთ, მაგრამ არ მაქვს შეშა, ნახშირი, ნავთი. არ ვიცი, როგორ გადავიტანთ წლევანდელ ზამთარს.

ბადრისა და თამაზის წუხელ ერთად ეძინათ. რუსლანის მაგივრად ბადრიმ ახალი სანჩო გაიჩინა. ისინი ძალიან კარგად მეზობლობენ და მეგობრობენ. სანჩო, რაც მშობლებთან გაიქცა, მერე აღარ გამოჩენილა, არ ვიცი, რას აკეთებს.

16 ნოემბერი.

მოვლენები თითქოსდა სიმბოლურად ემთხვევა ერთმანეთს. გუშინ გადაუღებლად წვიმდა, სამაგიეროდ მთელი დღე სიწყნარე იყო, დღეს მშვენიერი დარი დადგა, მაგრამ სამაგიეროდ არ მიწყნარებულა სროლა ყოველი კალიბრის იარაღიდან. ცნობა მოვიდა, ოჩამჩირის კომენდანტი გამოცვალესო. ყოფილმა კომენდანტმა თურმე თაღლითობითა და ქრთამების აღებით მილიონები დააგროვა და წავიდა. როგორც ჩანს, გასვრილი კაცი ყოფილა. მე ის მიკვირს, რატომ აცალეს მოღალატე კაცს ბოლომდე მისვლა და დროზე არ გაჰაძევეს. არა მგონია, თუ ეს ყველაფერი მართა-

ლია, კომენდანტი მარტო ყოფილიყოს თავისი „საგმირო“ საქმეების შესრულებაში. ისიც დროულად მისაგნებია, რატომ ასე მორცხვად მოქმედებენ საველე სასამართლოები, თუ რკინისებური წესრიგი არ დამყარდა, ვერაფერსაც ვერ გავაკეთებთ...

ძალიან ბევრი ტყვია-წამალი კი იხარჯება უმიზნოდ, მოდიან ბიჭები, კვლავ ატეხავენ სროლას, დაუშენენ მერკულის გორაზე აპლაკულ ბოძს. უშედეგოდ. დღესაც საღამოს ტყვიის ნიაღვარი მოგვაყარეს მოქვის მხრიდან და ჩვენგან ქვემეხის ერთი გასროლაც კი არ გამიგონია, ასე უწესრიგო სროლა ვის გაუგონია?! ახლა ვზივარ ჩემთვის და ვანგარიშობ: ქვემეხის ერთი მასრა, იგი ზოგიერთ ტანკსაც არგია, იმოდენაა, ამ ფერადი ლითონისაგან ერთი ვენახის შესაწამლი მანქანა ვერმოლერი დამზადდება. გაისვრიან, ცარიელ მასრებს ხალხს ურიგებენ, უთებსაც ქუჩებში ყრიან და მორჩა! ყველა მასრა, ყველა უმბარა აღრიცხული უნდა იყოს და დაცლილი მასრები უკანვე ჩაბარდეს სახელმწიფოს. ფინეთში, თურმე, ნახმარ პირის გასაპარს „ბრიტვებს“ არავითარ შემთხვევაში არ გადააგდებენ, მას აგროვებენ და სახელმწიფოს აბარებენ. ასევე აგროვებენ კონსერვების თუნუქის ქილებს. ჩვენ კი ასე უყაირათოდ როგორ უნდა ვიცხოვროთ!..

დღეს შუქრი მეწვია, ჩემი ძმისშვილი. იგი ჩვენი სოფლის საბჭოთა მეურნეობის (ასე შემორჩა ჯერჯერობით ეს სახელი) დირექტორია. ხალხმა აირჩია, ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ხშირად ავადმყოფობს. ექიმებმა თამბაქოს წევა აუკრძალეს, მაგრამ მაინც ბევრს ეწევა. ვერ მივატოვებინე, არადა იკლავს თავს ეს დალოცვილი. ამ საქმეში მას არც ბადრი ჩამორჩება, ყველა ჯიბე გამოტენილი აქვს სხვადასხვა თამბაქოთი. ძნელია, ახალგაზრდის ნების დაყოლიება. ეს თვითონ მან თუ არ მოინდომა და არ გააკეთა, შენ არაფერი გამოგივა. მეც ვხედავ, რომ მათთან საუბრით წყალს ვნაყავ. მაგრამ, რჩევა რომ არ მივცე, არ შემიძლია.

შუქრიმ შემოგვჩივლა (ის მერკულის გორასთან ახლოს ცხოვრობს), გარეთ ვეღარ გამოვსულვარ, რამე რომ გაეკეთო ეზოშიო. გუშინწინ საღამოს სამხედრო ვერტმფრენმა გადმომიფრინა, მე სიხარულით ხელი დავუქნიე, მან კი ტყვიამფრქვევი მომაყარა, სახლში შესვლა ძლივს მოვასწარიო. ფუი, შეარცხვინა ღმერთმა ბაგის სინდისი-მეთქი!

საუზმეზე მივიპატიჟე, ახალი დაყენებული იზაბელას ნატურა-

ლური ღვინო ჩამოვუსხი ბიჭებს, ცხელი მჭადი და ახალი ხორცით გავუმასპინძლდი, თანაც ხილი მივართვი და ვუთხარი: დაჯექით და იჭუკჭუკეთ, რამდენ ხანსაც გინდოდეთ, მე კი ცოტას წავიმუშავებ-მეთქი. რომ მოვბრუნდი, არც ერთი აღარ დამხვდა.

მეუღლემ ქვემეხის პურვებიც ცარიელი ყუთი მოათრია ჭაპანწყვეტით. სად იშოვე-მეთქი? — შევეკითხე. აბა, შენ არ დატრიალდე ერთბაშად რამეზეო, — წამეჩხუბა. მერე მომიყვა, როგორ იშოვა ის ყუთი. როცა გვარდიელებმა ქვემეხის გასროლები დაამთავრეს, თურმე იგი მათთან მივიდა და შეეხვეწა: დედაშვილობას ერთი ცარიელი ყუთი მომეციოთო. ბიჭებს ერთადერთი გაუსროლელი პურვი დარჩენოდათ ყუთში, აბა, დეიდა ეს ერთი ყუმბარა დაგვრჩა და ამას შენს სახელზე გავისვრით, ყუთი კი შენ გქონდესო. მართლაც გაისროლეს, ყუთი კი ჩემმა მეუღლემ წამოიღო. ამაზე მე გავცხარდი, შენს სახელზე რომ გაისროლეს პურვი, ხომ აფეთქდა სადღაც, ჰოდა, იქ, სადღაც შენს სახელზე ხომ დაიღუპა ვილაც? კარგია ეს-მეთქი? რატომ მოკალი ის ვილაც, შეიძლება უდანაშაულო იყო. კაცი ან ქალი, ან ბავშვი? მაშინ კი მიხვდა საწყალი, რა შეცდომაც ჩაიდინა ღვთის წინაშე. მაგრამ რას იზამდა. ასე რომ მეფიქრა, არ მივიდოდიო, მაგრამ ჯურვია, თუ რაღაც ეშმაკი, უჩემოდაც ხომ გაისროდნენო? უშენოდ კი გაისროდნენ, მაგრამ შენს სახელზე გაგზავნილი შენ გეთვლება ცოდვაში-მეთქი.

ბევრს ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ დავაკავშირო ერთმანეთთან მეზობელი სოფლები. ჩემმა წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია. აფხაზურმა ინტელიგენციამ ფული და ქონება მოიხვეჭა და მოსკოვს თუ სხვაგან გადაიხვეწა, ზოგმაც გუდაუთაში მოიკალათა. იქიდან ყვირიან, ტყვარჩელს შუქი არა აქვს და შიმშილობსო. იმას კი არ ჩიოდნენ, თუ ვინ გამოურთო შუქი სოხუმს და მოსვენებას რომ არ აძლევენ ქართულ სოფლებს და ოჩამჩირეს.

17 ნოემბერი.

მეუღლეს ბაზარში მიეჩქარებოდა, მაგრამ რა ხანია ავტობუსი აღარ დადის სოფელში, არადა, ოჩამჩირის ბაზარს არადუს მაცხოვრებლები ამარაგებენ ხილბოსტნეულით, ნაირ-ნაირი სოფლის მეურნეობის ზროდუქტებით. ბაზარში მიდიან ყველაზე მეტად „გამრისკავები", მათ შორის პირველ რიგში ჩემი მოუსვენარი მე-

უღლე. იგი ისე შეეჩვია ბაზარს, ძილში რომ გააღვიძო და რაიმე შეეკითხო სხვა თემაზე, ოცდახუთი მანეთიო, იტყვის. ალბათ, ჰგონია, ფეიხოიას აფასებს, ან ციტრუსს. ოცდახუთმანეთიანები მოსწონს ჯერჯერობით, მერე დიდ პატრუს სცემს ორმოცდაათიანებს და ა. შ. უფრო ზევით.

ბადრი გვიან მოვიდა და ძილზე იყო თავმიცემული, მაგრამ დედამისმა იმდენი უკურინა, სადღაც მანქანა აშოვნინა და ბაზარში ჩოკურცხლა. როცა მარტო დავრჩით, ბადრიმ მითხრა, დღეს სოფლის კრებაა, ახალი შტაბი უნდა ავირჩიოთ, ძველები ისე დაძველდნენ, რომ ახალ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენო.

დღის თორმეტ საათზე სოფლის საბჭოს შენობაში გახსნეს კრება. სოფლის მკვიდრნი ყველა დაინტერესებული იყო, თუ რა ითქმებოდა ამ კრებაზე და რა დადგინდებოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები არა მარტო არადუში, არამედ მთელს აფხაზეთში, რამდენადაც სოფელი არადუ იმ ავტომაგისტრალზეა განაშენიანებული, რომელი მაგისტრალიც აკავშირებს ერთმანეთთან (საავტომობილო და სარკინიგზო) არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს, არამედ ევროპასა და აზიას. ამდენად სოფელ არადუს აქვს დიდი სტრატეგიული ადგილმდებარეობა, საკმარისია მტერმა არადუ გადაკვეთოს მოქვის ხიდთან და იგი თავისუფლად გავა საზღვაო-სამხედრო პორტთან და პარალიზებას გაუკეთებს მთელ ძალისხმევას აფხაზეთში. საუბედუროდ, როგორც ჩანს, არადუს დაცვა კარგად ვერ გაისიგრძეგანა იმან, ვისაც საერთოდ ეკისრება ოჩამჩირისა და მისი მაგისტრალების დაცვა. თვით სოფელში კი ხალხი დეზორიენტირებულია, ამიტომ ახალგაზრდობამ იკისრა ხელში აიღოს არადუს დაცვა.

კრებაზე გამოწვლილვით გაარჩიეს ის უზომო ხარვეზები, რაც ქმნის არეულ-დარეულობას სოფელში და ამით ნოყიერ ნიადაგს ქმნის ამ სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლის დაცვის საქმეში. ბევრი რამ ითქვა ნაკლოვანებებზე, იმაზე, რომ მოსულები თვითნებობენ. ააოხრეს სკოლის შენობა. მოხდა აფხაზი ოჯახების აწიოკება, იმათი, რომლებიც ქართველებთან ცხოვრობენ და რომელთაც ქართველები თავიანთ თავზე მეტად უფრთხილდებოდნენ. ზოგი გაიტაცეს, ზოგი მოკლეს, ზოგს ფული შეაწერეს და სხვ. ასეთი რამ სოფლის მცხოვრებლებმა თავიანთ შეურაცხყოფად მიიღეს და

კინაღამ მოსულ და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის კონფლიქტი ჩამოვარდა. ცუდად იქცევიან ჩამოსულები სოფელში, აოხრებენ ყველაფერს, მაროდიორობენ. ასეთი რამის უფლება მათ არ მისცეს ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, ამიტომ იყო, რომ უმრავლესობა სოფლიდან აითესა თვითნებურად. მოვიდნენ მხოლოდ ახლები. სოფლის კრებაზე ბევრ საკითხზე იმსჯელეს, მათ შორის შეიძლება ყურადღება შევაჩეროთ ზოგიერთ მათგანზე. დაწესდა ჯარიმა ათასი მანეთის რაოდენობით იმაზე, ვინც პოსტზე მთვრალ მდგომარეობაში გამოცხადდება. დაისჯება მთელი სიმკაცრით პანიკიორები და შემოღებული იქნება მათ მიმართ ადგილობრივი ტრიბუნალი; დასჯილნი უნდა იქნენ ისინი, ვინც არ დაუჯერებს უფროსებისა და შტაბის განკარგულებას, ვინც თვითნებურად წავა, ან წამოვა სადმე. დადგინდა, რომ გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები რომლებიც წასულნი არიან სოფლიდან, უნდა დაბრუნდნენ. სამი-ხუთი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრად დაისჯებიან. გამოცხადდეს სოფლის საყოველთაო მობილიზაცია 18-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებისა. უკმაყოფილება გამოითქვა იმის თაობაზე, რომ, ამას წინათ შეგროვებული იქნა ფული და სად გაიხარჯა არ იციან, უკმაყოფილება გამოითქვა აგრეთვე სოფლის მომარაგებაზე პურის ფქვილით და სხვა პროდუქტებით. შთავრობა ვერ ითვალისწინებს, რომ ეს სოფელი საფრონტო სოფელია და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იარაღიც კი არაა საკმარისი სოფელში. ვიმეორებ, სოფელს აქვს სტრატეგიული მნიშვნელობის მდებარეობა და მისი ჩაბარება მტრის გამარჯვებას ნიშნავს (საკმარისია გავიხსენოთ, რომ სოფელი არადუ კეტავს შემდეგ სოფლებს თანმიმდევრულად: მოქვი, ჭლოუ, ოტაფი, თხინა, არასაძიხი, ჯალი, აიმარა). აირჩიეს ახალი შტაბი თოთხმეტი კაცის შემადგენლობით. აქ მომყავს შტაბის წევრთა სრული სია: ბორის ლეთოდიანი, ამირან მანაგაძე, სოსო ბენდელიანი, ღუღუნი კუხალაშვილი, ჯოკია კოპალიანი, ზაურ ჩაკვეტაძე, გურგენ (ქახვა) ბენდელიანი, ნაპო მესხია, ჯემალ ბენდელიანი, ამირან მამარდაშვილი, იგორ ბენიძე.

დღეს, ნაშუადღევს ნამდვილი დუელი გაჩაღდა მერკულის გორასა და არადუს გორას შორის. საბედნიეროდ, არადუს მხრიდან არავინ დაშავებულა. მგონი, გალმა მხარესაც არავინ დაშავებულა, რადგან ისევ უვნებლად უშენდა ტყვიას გამოღმა მხარეს მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევი. მისმა ფეთქებადმა ტყვიამ ჯოკია ყუ-

რაშვილის ბოსელი იმსხვერპლა. კარგა ხანია, რაც დაღამდა, მაგრამ საარტილერიო დუელი და ტყვიამფრქვევების კაკანი მაინც ისმის.

შემაშფოთებელი ცნობები მოდის სოხუმიდან. გადმოსცემენ, რომ მტერი ცდილობს ძალების კონცენტრაციას სოფელ შრომის მისადგომებთან და დიდ აქტივობას იჩენს ეშერის მიდამოებში. გუდაუთაში დისლოცირებულმა რუსეთის თვითმფრინავმა დაბომბა ეშერის წინა ხაზი, მოწინააღმდეგე მხარე აქტიურობს ზღვაზეც და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა თბილისში მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის დელეგაცია საქართველოსთან ხელშეკრულების მომზადების თაობაზე. ეს რაღაც დროის გაყვანის ნაცადი ტაქტიკა ხომ არ არის? ბატონმა შევარდნაძემ გაეროს შეახსენა, რომ ზედმეტ ინერტულობას იჩენს კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რასაც ახალი კონფლიქტების წამოყენება მოჰყვება ხოლმე. ასე გააფრთხილა ბატონმა შევარდნაძემ გაეროს ხელმძღვანელობა და საუბედუროდ, შევარდნაძის ვარაუდები ასტრონომიული სიზუსტით მართლდება.

18 ნოემბერი.

სროლები ღამით და დილით არ შეწყვეტილა. დილით იგი განსაკუთრებით გამძაფრდა, როცა შესაძლებელი გახდა ქვემეხის მიერ შერკულის გორის მიზანში ამოღება. დიახ, მერკულის გორას კი არტყამენ ჩვენი ბიჭები ყუმბარებს, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსათ აღმოჩენა იმ მეტყვიამფრქვევისა, რომელიც ამ გორის ლაბირინთებშია ჩამალული. ამბობენ, რომ იქ, გორაზე მიწის სიღრმეში ისეთი სამალავებია თურმე გაკეთებული, მარსიანელებს რომ ჰქონდათ პლანეტა მარსზე. ცოტა გაზვიადებულად კი მეჩვენება ასეთი შედარება, მაგრამ, ისე თავისუფლად ისვრის იქიდან დროგამოშვებით ის ჯოჯოხეთური ტყვიამფრქვევი.

თხუთმეტამდე ჩვენი ბიჭი ღამით მდინარე მოქვს აუყვა ზევით მოქვისაკენ და სოფელს იმ ადგილას უყელა შუალამით, სადაც მოწინააღმდეგის შტაბი იყო განლაგებული. თქვეს, რომ შტაბი გაანადგურეს. ისე, არავინ იცის, რა გაანადგურეს. სამაგიეროდ, ყველა სახლიდან ატყდა ჯოჯოხეთური სროლა და ბიჭებმა ისევ მდინარეს მისცეს თავი არადუსაკენ. ორი მათგანი მსუბუქად დაიჭრა, ერთი

ხელში და მეორეც ფეხში. შეიმჩნეოდა პარტიზანული რაზმების გააქტიურება სოფლის გარშემო. საერთოდ, როცა ვაკვირდები მოვლენათა მიმდინარეობას, მოწინააღმდეგე მაშინ აქტიურობს, როცა საერთოდ იწყება აქტიურობა სოხუმის მისადგომებთან. წუხელ ზღვიდან რუსეთის, თუ ვისი იყო გაურკვეველია, კატარღამ დაბომბა სოხუმის სამთავრობო რეზიდენცია. ამბობენ, მსხვერპლი არ არისო, ამავ დროს მოწინააღმდეგემ შემოუტია სოფელ შრომისა და ახალშენის ფრონტზე. მოწინააღმდეგე უკუგდებული იქნა. ელექტროენერგიის აღდგენის სამუშაოზე ექვსჯერ გასულ მემონტაჟეებს მუშაობის და ხაზის აღდგენის საშუალებას არ აძლევენ აფხაზი და გადამთიელი სნაიპერები. ამით ზარალობს ორივე მხარე. რაზანია ტყვარჩელიც ჩაძირულია სიბნელეში?!

წუხელ სროლის დროს სადღაც სადენი გაწყდა და ჩვენს სოფელსაც შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. დონ კიხოტმა მთელი დღე ირბინა შეიარაღებული ჯგუფით და აღმოაჩინა და აღადგინა ხაზი. ყოჩაღ, დონ ბადრი! ბადრი ახლა უკვე შტაბში მუშაობითაა დაკავებული და ისე დაჭრის იქით-აქეთ, არ ვიცი, ქარის წისქვილებს ეომება თუ გადამთიელებს. მისი სანჩო ჯერ არ გამოჩენილა. როსინანტებს კი წარამარა იცვლის—ხან ერთ დანგრეულ მანქანაშია ჩამჯდარი და ხან — მეორეში. დულცინეა კი სადა ჰყავს, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია.

დღეს ჩემი მეუღლე ბაზარში ვეღარ წავიდა ტრანსპორტის უქონლობის გამო და ძლიერ შეწუხებულია, ისე მივეჩვიე ბაზარს, რომ ჩემი სული ახლა იქ არისო. თუმცა იმდენი ვალები მაქვს, რა ვქნა აღარ ვიციო; მარტო ხათუნას გავატანე ხუთი ათასი მანეთი და მერე ჩამოთვალა და ჩამოთვალა... რატომ გავუბი საუბარი-მეთქი, მაგრამ გვიანღა იყო, ისე დაიქოქა, რომ უკვე თავისთვის ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. მერე, როგორც იქნა, შეისვენა. საუბრის თემა შევუცვალე. ახალი ამბები რა გაიგე-მეთქი ბაზარში. მართლაც ისეთი ამბავი მომიყვა, ძალზე დამაინტერესა. ეს ამბავი დაახლოებით ასე მომხდარა: ოჩამჩირეში ორ თვეზე მეტია დგას ქართული გვარდიის ნაწილი. გვარდიელები დროდადრო საეჭვო სახლების შემოწმებას აწარმოებენ და მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი განაწესი ესტუმრა აფხაზურ ოჯახს, გვარად ხიბას. მამაკაცები შინ არ აღმოჩნდნენ. დახვდათ მხოლოდ დედა და ქალიშვილი. გვარდიელებმა ოჯახის ვინაობა გამოიკითხეს და ბოლოს ისე მოხდა, რომ

მათ მეთაურს მოეწონა ეს ქალიშვილი და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. იმ ღამით ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ თურმე ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველდღე მიდიოდა ამ ოჯახში. დედა შეითანხმა, შეითანხმა როგორც იყო ქალიშვილიც. იქვე მოაწერეს ხელი, დაიწერეს ჯვარი და ვაჟმა პატარძალი ქუთაისში წაიყვანა. ხედავთ რა ხდება? ძველი ტრადიციები ცოცხლობენ.

მწამს, დადგება დრო, როცა ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა ძველებურად აღსდგება.

19 ნოემბერი.

ღამის სამი საათია. ვცადე, დამეძინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. სიბნელეში ხელს ვაფათურებ, ჟანგმოდებულ დათიკოს რადიომიმღებ „ალპინისტზე“ იქნებ რამე ინფორმაციას წავაწყდე. დიდხანს ვუსმენდი „მაიაკს“.

დილით ჰიპერტონიამ შემომიტია და იძულებული გავხდი, აბები შემეტენა პირში. წყლის საქაჩი ძრავა გამიფუჭდა და დათიკოსთან წავლასლასდი. წნევა ძალიან მაღალი მქონდა და უცბად დაბლა რომ ჩამოვიდა, ძლივს დავდიოდი ფეხზე, მაგრამ მაინც წავედი. დათიკოსთან ჯიბილო იყო სტუმრად და შპრიცმომარჯვებული მას პენიცილინს უკეთებდა. დათიკოა ჩვენი ექიმიცა და ნაირ-ნაირი გაფუჭებული საგნების შემკეთებელიც. ნამდვილად ყველაფერი ემარჯვება ამ კაცს. კარგად ერკვევა ასტროლოგიაშიც, წინასწარ იცის, თუ რა მოხდება ორი ათას წელს, თუმცა, დამაიმედებელს ვერას გეტყვის. ერთი ნაკლი აქვს დათიკოს მხოლოდ, თოფის გავარდნისა ეშინია და ხშირად იწყევლება იმათ მისამართით, ვინც ეს ომი წამოიწყო. ჰო, ეშინია, მაგრამ თავისი ორლულიანი „ტულკა“ გამუდმებით ჰკიდია მხარზე. ის კი არა ჯიბილოს რომ ნემსს უკეთებდა, მაშინაც მხარზე ეკიდა თოფი. ბიჭო, ახლა მაინც მიაკიდე მაგ „ზარბაზანი“ კედელზე-მეთქი. რა ვიცი, კაცო, რა დროს დაგვესხმებიან თავს და მერე, სად ვეძიოო?! ჯიბილოს შემდეგ ჩემი რიგი დადგა და დანგრეული ძრავა წინ დავუდევი. ახედა და დახედა დათიკომ, მერე თქვა, ახლა ამისთვის არ მცალია, ჯერ ჩაი უნდა დავლიროო. კარგი დაგიცდი-მეთქი. ჩაი ერთად დავლიეთ, თუმცა ძალიან ცუდად ვიყავი, თავი მტკიოდა, მერე ამხედ-დამხედა და მითხრა, ახლა ჩალა მაქვს მოსაკონავი ეზოში და ის უნდა ავკონოო.

რაღა მექნა, შევთავაზე რომ მოვეხმარებოდი ჩალის აკონვაში. შენს მტერს, მე დღე დამადგა. წნევიანი ყაცი და ჩალის კონვა? ასე გამაძრო ტყავი დათიკომ. მერე ძრავა შემიკეთა და შინ ძლივს მივლასლასდი.

ოჩამჩირის ფრონტებზე კვლავ ისმოდა სროლები დღის განმავლობაში. გავიგეთ, რომ სოხუმში მიმავალ სამხედროებსა და კორესპონდენტებს ტამიშის გზაზე თავს დაესხა მოწინააღმდეგე. დაიღუპა ჩვენი სამი მებრძოლი და დაიჭრა ერთი კორესპონდენტი. სოფელ მაჭარკიდან სოხუმის ნაპირებთან შემჩნეული იქნა წყალქვეშა ნავი, რამდენიმე გემმა ყუმბარები დაუშინა ქალაქს, ხოლო ჰაერიდან სოხუმი დაბომბა რუსეთის ორმა თვითმფრინავმა. ამავე დღეს სოფელ შრომასთან ბრძოლები გააჩაღა მტერმა, სადაც გამოიყენა ტანკი „ტ-72“. ეს ის ტანკებია გაგრის ტრაგედიაში, რომ „გაითქვეს“ სახელი.

აგერ ორი დღეა პარლამენტში მიმდინარეობს კამათი და ზოგჯერ სრულიად უაზროდ სამთავრობო სტრუქტურების თაობაზე. მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს მეთაური აჩქარებს პარლამენტს, რომ შექმნილი სიტუაცია მძიმეა და დროის დაყოვნება დამღუპველია, პარლამენტის მცირე ფრაქციები აინუნშიაც არ აგდებენ აფხაზეთის ამბებს და ხალხის დუხჭირ ცხოვრებას. თავისი კამათით დიდ დროს აკარგვინებენ პარლამენტს რაიმე გადაწყვეტილების მიღებაში. ასე იყო ყოველთვის, ასე არის ახლაც და ვაი თუ, ასე იქნება მომავალშიც, რამდენი დრო იკარგება უნაყოფოდ? მტერი კი ყოველ ჩვენგან დაკარგულ წუთს თავის სასარგებლოდ იყენებს.

დღეს ჩვენს ფრონტზე შედარებით სიწყნარეა. სოფლის ახალი შტაბი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტდა, ახალი ენერგიით შეუდგა მუშაობას. მოვიდნენ ახალი გვარდიელი ბიჭები ქუთაისიდან, უფრო სერიოზულები და პატიოსნები. პატიოსნებიო იმიტომ ვამბობ, რომ მხედრიონელთაგან, ჩვენს შორის დარჩეს და, ზოგიერთის საქციელი ნამდვილად არ მოგვწონდა.

20 ნოემბერი.

დღეს დილით შტაბის ახალი ხელმძღვანელი ბორისი გვეწვია. ბადრის სძინავდა. მომესალმა. „თავადს“ სძინავს? — მითხრა სიცილით, „როგორ თუ თავადს“... — გავიკვირვე განგებ, „თავადია, აბა,

რა, ღამის სამ საათზე წვება და დღის თორმეტზე იღვიძებს. სტალინს ბაძავს, თუმცა სტალინზე ნაკლებ საქმეს არ აკეთებს ჩვენი სოფლისათვის! „შენ ამას სერიოზულად ამბობ?“ — ვეკითხები, „დიახ, სერიოზულად! ბადრი ბევრ კარგ საქმეს აკეთებს სოფლისათვის. ახალი შტაბი მთელი ძალით უნდა ავამუშაოთ, ავტობუსებმა უნდა იმოძრაონ, პურის ფქვილი უნდა შემოვზიდოთ, პენსიები და ხელფასები უნდა გავცეთ!“. და გვარიანად ბევრი რამეები ჩამოთვალა გასაკეთებელი. „ღმერთმა გისმინოს!“ — ვუთხარი მრავალმნიშვნელოვნად.

ამასობაში ბადრიმაც გაიღვიძა, ხელ-პირი დაიბანა, მოწესრიგდა. ისაუზმეს და საქმეზე გაეშურნენ.

ბადრი აგერ მეათე დღეა მპირდება სანადირო თოფის ვაზნებს მოგიტანო და არ დაადგა საშველი, ახლაც მითხრა, „დღეს უსათუოდ მოგიტანო“. ვნახოთ, რას მოიტანს, ოღონდაც თავი მოიტანოს მშვიდობით და მეტი არაფერი მინდა. რა იცის რომ ჯავრით ღამეები არ გვძინავს ცოლ-ქმარს.

დღის განმავლობაში ტყვიას უშენდნენ ერთმანეთს ცაგერასა და საბჭოთა მეურნეობის, მერკულასა და ოჩამჩირეს შორის, არადუსა და მოქვს შორის. სროლა ისმოდა ტამიშის მხრიდანაც. მერკულის გორაზე ისევ არხეინად სძინავს მაღალი ძაბვის ბოძს. მის შეკეთებას მემონტაჟეებს არ ანებებენ. ვითომ აწყობთ ასე?

საღამოს ნამდვილი საარტილერიო დუელი გაჩაღდა. ძალიან კი აიშვეს თავი მერკულის გორიდან. ისვრიან და უშენენ ტყვიას მშვიდობიან მცხოვრებლებს. ომსაც ხომ აქვს თავისი კანონები? რას ვერჩით, მშვიდობიან ხალხს?

აფხაზებმა და მათმა დამხმარეებმა დღესაც დაარღვიეს შეთანხმება და დილით ცეცხლი დაუშინეს სოხუმს. იხარჯება ფუჭ ქამათში დრო და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ისევ ჭიდაობენ სხვადასხვა ფრაქციები და მათი მეთაურები. ემოციებით დატვირთულები ველარ იცავენ საპარლამენტო მუშაობის წესებს. გაუმართლებლად ჭიანურდება პასუხისმგებელ ადამიანთა დანიშვნები გადაუდებელ პოსტებზე მთავრობის კაბინეტში...

საღამოთი გადმოსცეს, რომ გუდაუთისა და გაგრის კომენდატებად დანიშნულია ჩეჩნები და რომ სიტუაციას გუდაუთაში და გაგრაში აკონტროლებენ ჩეჩნები და ადიღეელები და

არა აფხაზები. ჯერჯერობით ვერა და ვერ მოინახა გზა ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა, რომელიც შეძლებდა ხელში აეღო აფხაზეთში სიტუაციის მართვა. ისევ განზე დგანან სამეგრელოს მესვეურები, თავის მინირესპუბლიკას აყალიბებს ზუგდიდში ლოთი ქობალია. ჩვენ არ ვიცით რაიმე მისი ნამდვილი საქმიანობის შესახებ. ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ ის, რომ თავაწყვეტილი არიან სხვადასხვა ბანდები და ყაჩაღები. ეს ხდება არა მარტო სამეგრელოში. სამაგიეროდ, კარგად ორგანიზდება სამურზაყანო, გალის რაიონი. იგი იცავს არა მარტო თავის რაიონს, არამედ ეხმარება ოჩამჩირესაც. თუ გალი ჩაუდგა კვალში ჩვენს ახალ მუშაობას, მაშინ აფხაზ სეპარატისტებს ტყავს გააძრობენ.

ისევ ისე მოწყენილია ჩემი ძვირფასი მეუღლე, ბაზარში რომ ვერ მიდის. ფეიხოია რომ შემოელია, ახლა ნაღვლიანად აკვირდება ტოტებდახუნძლულ ციტრუსებს და ფიქრობს, თუ რა მოუხერხოს მათ. კაცმა რომ თქვას, მასზე მეტად მე მაქვს საფიქრალი. არავინ ჩანს ჩამბარებელი, მყიდველი, მხოლოდ ავტომატების კაკანი ისმის. ისიც კი არ ვიცით ჯერჯერობით, თუ რა ომია ეს ომი. ვის ვეომებით?

დღეს დათიკოს ვეწვიე ნაშუადღევს და იმ ჩალის დაზვინვაზე მოვეხმარე, გუშინ რომ ძალით ამაკონინა. ცოდვაა დათიკო, მარტოდმარტოა, ოჯახი ქუთაისში ჰყავს. მაგარი სროლები რომ ატყდა, მანაც მოქუსლა ქუთაისს, მაგრამ ორი დღეც ვერ გაძლო იქ და ჩამოვიდა, ისევ თავის მეურნეობას მიჰყო ხელი.—დათიკო, ეშმაკმა არ შეგაცდინოს და ეს სახლ-კარი არ შიატოვო, მეტი რომ არა, მშობლები გყავს დასაფლავებული-მეთქი, არა, კაცო, სანამ ცოცხალი ვიქნები, არსადაც არ წავალო, დაიფიცა. მშრომელი კაცია და საკმარისად აქვს ყველაფერი. ესაა, რომ სროლის ეშინია, მაგრამ, ამასაც შეეჩვევა თანდათან. ისე კი, როგორც ვთქვი, ყველაფრის კეთება ემარჯვება, ექიმიცაა, ექიმბაშიც, დურგალიც, ზეინკალიც, ბუჰლალტერიც და მოლარეც...

ისე კი, ერთი რამ შევნიშნე დაბეჯითებით: ამ ომმა მეზობლები ისე დაგვაკავშირა, რომ ისინიც კი ტკბილად ჭუკჭუკობენ, რომლებიც ადრე ერთმანეთს ემდუროდნენ. ერთი ჰირი მარგებელიაო, უთქვამს ბრძენ კაცს...

21 ნოემბერი.

ბორისი (ახალი კომენდანტი) ჩვენი ხშირი სტუმარია. იგი დილით ადრე იღვიძებს და მოდის, საქმის კაცია. ბადრის უფრო დილით უყვარს ძილი. ამ დილითაც ადრე მოვიდა. „სძინავს?“ — იკითხა მოსალმების შემდეგ. „ჰო, სძინავს“.—ვუთხარი. იგი შეჩერდა, ეტყობოდა, რაღაც საჭიროებანო საქმეზე მოვიდა, არ უნდოდა გაეღვიძებინა დონ კიხოტი, მაგრამ საქმეც ალბათ გადაუდებელი იყო. შევამჩნიე ეს ყველაფერი და ვუთხარი — „შედი, გააღვიძე, ნუ გერიდება, თუ კი საქმე მოითხოვს!“—შეკვიდა, ცოტა ხნის შემდეგ ორთაჯენი გამოვიდნენ. ბადრიც უკვე ემზადებოდა წასასვლელად. გაირკვა, რომ პურის ფქვილი მიეღოთ და სოფლის მცხოვრებლებისათვის უნდა გაენაწილებინათ, მაგრამ ყველას არ ყოფნიდა და ჭოჭმანობდნენ. ვურჩიე, რომ მთელი სოფლის თავშეყრა საშიშია, მტერს არ სძინავს-მეთქი, ამიტომ უბნების მიხედვით დაიბარეთ პასუხისმგებელი პირები, ერთი ორი კაცი და იმათ გაუნაწილეთ, ისინი კი თავის მხრივ თავთავიანთ უბნებს გაუნაწილებენ-მეთქი. ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ, ასეც ვიზამთო, გადაწყვიტეს. ცოტა წაიხუმრეს და გზას ფეხით გაუდგნენ. წასვლისას ვკითხე — რატომ არ ჰყავს შტაბს მანქანა-მეთქი. საწვავი არ არისო, მითხრეს. ის კი არა, ჯავშანტრანსპორტიორებიც უსაწვავოდ დგანანო. ვერაფერი იმედია ასეთი ამბავი. როცა აქვთ, ამ დალოცვილმა ბიჭებმა დაზოგვა არ იციან, ზევით და ქვევით დღეში ათ გზობას მაინც გააკეთებენ ტყუილუბრალოდო, ამით საწვავს ანიავებენ, თანაც მათ ხშირ გადანაცვლებას მშვენივრად უყურებს მერკულის გორიდან მტერი. მართლაცდა, როდის ისწავლიან ჭკუას ეს ბიჭები. ასეთი ურა-ბრძოლით ისინი ვერაფერს გახდებიან, როგორც ვერაფერს გახდნენ აქამდე. ბადრიმ თაკი გადააქნია, ერთი ბოლმიანად გააფურთხა და ფინთიხო მაგრად ჩაირჭო ქამარში. არ ვიცი, ვის მიაფურთხა, მტერს თუ მოყვარეს, მე მგონია, უფრო მეორეს, იმისათვის რომ ვერა და ვერ ისწავლეს ჭკუა...

სოხუმიდან შევიტყვეთ, რომ ჯერჯერობით სრულდება ხელმოწერილი პირობები—წუხელ და დღეს სროლა არ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ სოხუმიდან გაჰყავთ რუსეთის ჯარის რაღაც ნაწილი. ორმა თვითმფრინავმა კვლავ შემოუფრინა სოხუმს, თუმცა, დაბომბვა არ უწარმოებიათ, თუ სოხუმში სიწყნარეა, ამას ვერ ვიტყვით ოჩამჩირის ფრონტებზე. ტამიშის მონაკვეთზე მთელი დღის გან-

მავლობაში წარმოებდა ბრძოლები. ჯერჯერობით არ ვიცით, რამდენია დაღუპული და დაჭრილი. წუხელ, მთელი ღამის განმავლობაში სროლები გრძელდებოდა მერკულის გორიდან და მოქვის მხრიდან, საიდანაც ღამით სოფელს თავს დაესხა მტრის მეავტომატეთა ჯგუფი, მაგრამ მათ საკადრისი პასუხი გასცეს ორი ტყვიამფრქვევით ქუთაისელმა მებრძოლებმა. მერკულის გორას დღის მეორე ნახევარში რამდენიმე ჰურვი უთავაზეს ჩვენი ქვემეხიდან, თუმცა ის ტყვიამფრქვევი ისევ იმ მიწურიდან, რომელსაც ვერა და ვერ მიაგნეს, ხშამიანი გველივით იგესლებოდა...

ბადრი ჯერ არ მოსულა. შუქი ისევ ჩამქრალია, სადღაც ისევ გაწყვიტეს სადენი. ახლა მარტო ვზივართ მე და ჩემი მეუღლე, რომელმაც მაინც მოიბაზრა დღეს და ვსაუბრობთ ათას რამეზე, შინაურებისა და მტერ-მოყვარის ადგილსამყოფელზე. ხანდახან პოლიტიკაზე გადავერთვებით და ქვეყნის საქმეებსაც ვარჩევთ.

ჩემი რჩევისამებრ, როგორც სჩანს, უბნების მიხედვით გაუნაწილებიათ პურის ფქვილი. ერთ მოსახლეზე ცხრა კილოგრამი. ჩვენს უბანში გასანაწილებლად ჩემს კარის მეზობელთან ოთართან მოუტანიათ და, ბუნებრივია, სალამოთი იქ შეიყარეს თავი ამ უბანში მაცხოვრებლებმა. უმრავლესობა ძალიან აგრესიულად იყო განწყობილი. ერთი რამ თვალში საცემია, სასმელზე დაძალებასთან ერთად გინებასაც მოუმატა მავანმა და მავანმა. საგუშაგოზე მიმავლებსაც გვარიანად გადაეხუხათ. ყაყანებენ, ვიღაცას აბრალებენ: უწესრიგობაა, რომ პურის ფქვილი ცოტაა, რომ განაწილება სწორი არაა, რომ ბევრი თავარიდებულია და ბევრი ახალგაზრდა, რომელსაც იარაღის ხმარება შეუძლია, გადაიხვეწა ლტოლვილად, აქ კი სახლები მიტოვებული აქვთ. სხვათაშორის, როცა თბილისში ვიყავი რამდენიმე დღე წიგნის გამოცემის საკითხზე და ვცხოვრობდი სასტუმრო „კოლხეთში“, ამ სასტუმროს თითქმის ყველა სართული დაკავებული ჰქონდათ ლტოლვილებს ცხინვალიდან. გული გაგისკდებოდა კაცს, რომ ამ ლტოლვილებს შორის უმეტესობა გაზუსტებული ვაჟკაცები ნებივრობდნენ. თუ ასეთმა ვაჟკაცებმა მიატოვა კარ-მიდამოები და ლტოლვილებად იქცნენ, მტერსაც ხომ მეტი არაფერი უნდა? ასე დასახლდნენ საქართველოს მიწაზე ათასი ჯურის გადამთიელი, რომლებიც ამჟამად კალიებივით არიან შემოსეულნი ყოველი ბზრიდან და ჩრჩილივით ხრავენ სისხლით მორწყულ ჩვენს, ცოდვილ მიწას. გამონაკლისს არც არადუს ამბავი

შეადგენს და არც აფხაზეთიდან გადახვეწილი ქართველობა. ის ვაჟკაცები, რომლებიც ბავშვებს და ბებიებს, თუ ახლად შერთულ კნეინებს დაემგზავრნენ, დროა, საჩქაროდ მობრუნდნენ უკან და წყალტუბოში ფაფის ქამის მაგივრად. მათი სახლ-კარი დაიცვან გადამთიელთა ხელყოფისაგან...

ზოგიერთმა კი გადააჭარბა მტრის ძალების შეფასებას და ისე გააზვიადა, რომ ხალხში პანიკას იწვევს, ისევ მომიხდა მათზე დაცაცხანება და შევახსენე, რომ არ შეიძლება ასე პროვოკაციული ლაპარაკი, არ შეიძლება კაცმა ყველაფერი თქვას, რაც თავში შეუფრინდება. ყველა დამეთანხმა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ გაჩუმდნენ და საუბრის თემა შეცვალეს, კაცი არ გამოჩნდა, რომ შეადგინოს განრიგი, თუ ვის როდის მოუწევს საგუშაგოზე ყოფნა. შტაბი ისე ცუდად მუშაობდა, რომ სამი თვის განმავლობაში ეს მარტივი საქმე ვერ მოაგვარა. ძხალი შტაბი რას გააკეთებს, ვნახოთ. თუმცა ნახვა-ნახვაში მტერი თავის საქმეს გააკეთებს. ვიმეორებ, ვთქვათ, თუ ქუთაისლები და კახელები მოდიან აფხაზეთში და იბრძვიან, ადგილობრივ ხალხს რა ჭირი დაერია. მხედველობაში მყავს გაქცეული მეფაფიები.

კარგია რომ კავშირი აღსდგა თბილისსა და ოჩამჩირეს შორის. შეკეთდა დაზიანებული ხაზი, რომელიც ფრონტზე გადის. ოჩამჩირის გამგეობის თავმჯდომარე გუგუჩია მადლობას იხდის ამისათვის და იმისათვისაც, რომ მიღებულია დამატებითი ძალები და ტექნიკა. ვერა და ვერ მოხდა გზის გაწმენდა ტამიშის მონაკვეთზე, ხოლო მხართეძოზე წამოწოლილ მაღალი ძაბვის ბოძს ისევ სძინავს მერკულის „მთაზე“.

22 ნოემბერი.

გუშინდელი თბილი ამინდი ისევ სიცივემ შეცვალა, ღამით გაწვიმდა. არ მაქვს ნახშირი, არ მაქვს შეშა, შუქიც ხშირად ქრება. ის ადგილი, სადაც შეშა უნდა მომეკრა, პარტიზანული ბრძოლის ასპარეზი გახდა. ვიფიქრე, ამ ზაფხულს დავისვენებ და შემოდგომაზე მოვიმარაგებ-მეთქი, არ გამოვიდა, ვინ ელოდა ასეთ ომსა და ჯოჯოხეთს და ასე დავრჩი უსათბობოდ. ნახშირით ტყვარჩელი გვამარაგებდა, ტყვარჩელს კი ოჩამჩირე. ამარაგებდა. ახლა ერთმანეთთან დანასისხლად არიან გადაკიდებული. ვის ინტერესებს

იცავენ? რუსეთიც თავის სამშობლოს დაუბრუნდებიან და ჩეჩნებიც, ყაზაკებიცა და სხვანიც, აფხაზები და ქართველები კი სად უნდა წავიდნენ? ნუთუ ამის გაგება ასე გაჭირდა?

გუშინწინ შედგა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ სხდომა სოხუმის აქტივთან ერთად. სხდომამ გადაწყვიტა ამუშავდეს მინისტრთა საბჭოს სტრუქტურები აფხაზეთისა და მის თავმჯდომარედ რეკომენდაცია მიეცა თამაზ ნადარეიშვილს. დათხოვნილი იქნა პარლამენტში ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“ და ამგვარად არსებითად პარლამენტმაც არსებობა შეწყვიტა ახალ არჩევნებამდე. ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ აიკრძალოს ყოველგვარი მოლაპარაკება აფხაზების მხარესთან. ნადარეიშვილის ოჯახი გაგრის ტრაგედიაში მოჰყვა, გამწარებულია კაცი...

შედარებით კარგი მდგომარეობაა გალში და გალის რაიონში. ამ რაიონში აფხაზები სულ რაღაც ხუთი პროცენტი თუ არიან და სამურზაყანო თავდაჯერებულად გრძნობს თავს. ჩვენც იმედი გვაქვს, მისი თანადგომისა. ისტორიულად იგი აფხაზეთი არასოდეს არ იყო, თუმცა, თუ ისტორიას გადავხედავთ, აფხაზეთად მგონი მთელი საქართველო მოიხსნიება. ძალიან კი სცოდავენ ჩვენი ისტორიკოსები, დღემდე რომ ვერ გაურკვევიათ, თუ ვინ არის ის ხალხი თავის თავს რომ აფსუებს უწოდებს. თვითონ ამბობენ, რომ ჩვენი ძმები მთიელები არიან და ჩრდილოეთ კავკასიისკენ ათითებენ; ჩვენ კი დაგვიჩემებია აფხაზები ჩვენი ძმები არიანო. არა, ბატონო, არ არიან ჩვენი ძმები და ძალით ნუ ვიძმობთ, სულერთია, არ დაგვინდობენ, როგორც კი მომენტს გამოძებნიან. გაგრაში, ფეხბურთი გაითამაშეს ქართველების მოჭრილი თავებით და აჰა, იძმეთ ასეთი ხალხი. ისტორიკოსებს რომ თავის დროზე ხმა ამოეღოთ, აქამდე საქმე ნამდვილად არ მივიდოდა,... ძალიან ვაკვირდები მათ ენას და მათ სიტყვიერებაში არ არის სიტყვა „ზღვა“, მას „ამორეს“ ეძახიან. ეს მგონი იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი მთებიდან არიან მოსულნი. არ აქვთ სიტყვა „მღვდელი“, საკუთარი ეკლესია და მრავალი სხვა. ნახეთ თამარის აშენებული ბესლეთის ხიდი ქართული წარწერით და დარწმუნდებით, თუ ვის ეკუთვნოდა ეს მიწა ისტორიულად, აქ ალარ შევჩერდები ამ საკითხების განხილვაზე, მე მხოლოდ საფრონტო დღიურებს ვწერ დოკუმენტური ერთგულებით და რაც ხდება, ამის ანალიზის დროც დადგება ალბათ. ამ დღიურებმა კი შეიძლება კარგი სამსახური გაუწიოს მემა-

ტიანეს. სადღეისოდ მე მაკვირვებს მხოლოდ ჩვენი პარლამენტის ლაბა კამეჩივით ზოზინი და უპასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე. ვაკვირდები რა პარლამენტის მუშაობას, დიდი ძალისხმევა არ უნდა იმის შემჩნევას, რომ, როგორც კი სახელმწიფოს მეთაური დაჩქარებას მოითხოვს რომელიმე სასიცოცხლო საკითხის გადაწყვეტაში ან კიდევ, როცა უკვე თითქმის მიღწეულია შეთანხმება და გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, ზოგიერთი ვაიდეპუტატი მაშინ გამოხტება გასახედნი კვიცივით და დაიწყებს ჰაერში ტლინკების აყრას. ამას სჩადიან ის საპარლამენტო ფრაქციები და მათი მეთაურები, რომელნიც არც თუ ისეთი პოპულარობით სარგებლობენ ამომრჩევლებში და ლაპარაკობენ კი ხალხის სახელით. მე მათ ვეკითხები, რომელი ხალხის სახელით ლაპარაკობთ, ბატონებო? ნუთუ იმის გაგება არ გინდათ, რომ რაკი ენდეთ სახელმწიფოს მეთაურს, უნდა აცალოთ კიდეც მუშაობა. ანდა, ვინ მოგცათ თქვენ უფლება, ბლოკირება გაუკეთოთ სახელმწიფო მეთაურის ძალისხმევას? ივი ხომ უშუალოდ ხალხმა აირჩია და ენდო მას აბსოლუტური უმრავლესობით. მას ხომ შეუძლია ხალხს მიმართოს და არა თქვენ? ისიც ხომ არ იჩენს ზედმეტ დემოკრატიულობას ამ ისტორიულ ჟამს, როცა ერის ბედი ბეწვზე ჰკიდია? თქვენი ვაიდემოკრატია ლამის დაღუპავს ყველაფერს, ვართ კი მზად დემოკრატიისათვის? შევარდნაძე კი ცდილობს დემოკრატიის ახალი ნიმუშის დამკვიდრებას, მაგრამ, მე მგონია, ახლა არაა ექსპერიმენტების დრო...

ამ და ბევრ სხვა რამეზე ვფიქრობ, როცა ამას ვწერ ამ თავსხმა წვიმაში. ვზივარ სასიმინდეს ქვეშ შუა ცეცხლთან. ხელს მიშლის სამი მხრიდან სროლები და ტყვიის ზუზუნი. გულდაგულ ვეფარები სასიმინდის ბოძს, რათა ბრმა ტყვიამ არ მოალწიოს ჩემამდე. არანაკლებ მიშლის ხელს ჩემი მეუღლის უადგილო შეკითხვები და მწარე სიტყვები, მაგრამ მას მაინცდამაინც არ ვაქცევ დიდ ყურადღებას...

ბიჭებმა ვაზნები მომიტანეს, თან მითხრეს, თუ ვინმე დაგესხა თავს, დაგვიძახეო. კაი იმედი კია, ჩემმა მზემ... ამით შეიძლება მხოლოდ შაშვებს გავადინო ზურგზე ბოლი. დღესაც ვერ მოხერხდა შუქის ჩართვა. რა გაათენებს ამხელა ღამესს..

28 ნოემბერი.

განუწყვეტლივ გრიალებდა ქვემეხები ტამიშის თავზე. სქელი ღრუბლების მიუხედავად, რამდენიმეჯერ შემოუფრინა ორმა „სუ-25“-მა ბრძოლის ველს. აქედან არ ჩანდა დაბომბა თუ არა პოზიციები. ისიც არ ვიცი, ვის ეკუთვნის ეს თვითმფრინავები, შეწყვილებულად რომ ფრენენ ხან სოხუმის, ხან ოჩამჩირისა და ხანაც სოფლების თავზე და პროვოკაციულად იწვევენ პანიკას. მათი გაფრენის შემდეგ, სროლა მაინც გრძელდებოდა. ნაშუადღევს არანაკლები სროლა გაჩაღდა ჩვენს ფრონტზე, არადუსა და მერკულის გორები ერთმანეთს გაეჯიბრნენ. „არა კაც კლა“ ქრისტეს ერთი მცნებაა. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ — მეორე. ორივე მცნების გატარებით აფხაზები და ქართველები კი არა, მთელი მსოფლიოს ხალხები გადარჩებიან...

დილით რვა საათზე ავდექი, თუმცა თავს ცუდად ვგრძნობდი მთელი ღამით. ამინდი მკვეთრად შეიცვალა და ჩემზე მეტეოცვლილებები დიდ გავლენას ახდენს. ვიფიქრე, ბადრის გავაღვიძებ-მეთქი, წუხელ მთხოვა ადრე გამაღვიძეო. ჩემდა გასაკვირად, იგი უკვე ჩემს გაღვიძებამდე ამდგარიყო და საქმეზე წასულიყო, რომ ვაკვირდები, იგი მშვენივრად უძღვება საქმეებს. ბევრი მასთან მოდის დახმარების გასაწევად და იგიც დაუზარებლად, ნამდვილი დონ კიხოტივით, შეუძლია თუ არ შეუძლია, ყველაფერ სიძნელეს შეეჯიდება.

24 ნოემბერი.

ღამის თორმეტი საათი იყო, ბადრიმ რომ შემოირბინა, თავისი ფინთიხო გადმომცა და მითხრა ნახევარ საათში მოვალო. არ გვინდოდა გაგვეშვა. დედამისმა საუბარში ჩაითრია და ისიც უთხრა, თუ რატომ მეტი არ მოიტანე პურის ფქვილიო. ჩვენს ოჯახს განაწილებით ხვდა 9 კგ. ფქვილი. ბადრიმ თქვა, რომ ჩვენ სამ კაცს დამატებით ყველაზე მეტი „სირბილისათვის“ გამოგვიყვეს თითო ტომარა ფქვილი, მაგრამ იმ ფქვილს სახლში არ მოვიტანო. ამაზე დედამისი გაცხარდა. მოგეხსენებათ ქალების პირველუღობის ამბავი — რატომ არ სარგებლობ „თანამდებობითო“... მე ჯერჯერობით არაფერს ვამბობ, ვუცდი როგორ დამთავრდება მათი კამათი. ბადრიმ გადაჭრით თქვა, ჩემს ერთ ტომარა ფქვილს გაეუნაწილებ იმათ, ვისაც

მეტად უჭირს, ჩვენ როგორმე გავიტანთ თავს, არ მინდა ფქვილში და ცომში გავსვარო ჩემი ნამუსიო, თან მე მაჩერდებოდა, აბა რას იტყვისო. ძალიან კი მომეწონა მისი მსჯელობა, ვხედავ, ნამდვილი დონ კიხოტია ჩემი ვაჟი. კმაყოფილებით ამოვისუნთქე და დავუყვავე: ეს კარგი აზრები მოგსვლია თავში-მეთქი, ამაზე მეუღლე გადამერია, მაგრამ მე ისე ვარ შეჩვეული ამას, რომ თითქმის აღარ ვაქცევ ყურადღებას. რაკი მომხრე იშოვა, ბადრიმ დედამისი ხელში შეშატოვა. მეც არ მინდოდა გამეშვა და ვკითხე მაინც სად მიდიხარ-მეთქი? სიძე-სიმამრი უნდა შევარიგოო. ჩემს მეზობელს გივის ცოტა დავა მოსვლოდა სიძესთან. სიმამრთან სტუმრად მოსული სიძე მეზობელს გადაუპატიჟებია და დამთვრალა. სიმამრი განაწყენებულა და უსაყვედურებია, ჯერ ხალხი არც კი გიცნობა კარგად და შენ სმას გადაჰყევიო. სიძეს გული მოსვლოდა, აწი შენთან ფეხის დამდგმელი აღარა ვარო და ბადრისთან წამოსულა.

ვისაც რა მოუნდება, ყველა ბადრისთან გამორბის. ასე მოუვიდა ჯოკიასაც. მას ხელში აეღო მერკულის გორიდან გამოსროლილი შვიდსანტიმეტრიანი ტყვია და ბადრისთან მოჰქონდა. ჯერ კედელი გახვრიტაო, შემდეგ „ტრილიაჟი" შეგლიჯა და ყველაფერი გამიფუჭაო. იმ ქვემეხს ესვრიან, რომელიც მისი სახლის წინ დგას და ის ქვემეხი ბადრიმ გამოიყვანოს, იქედანო. მოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ როცა შეიტყო, ბიჭები სვამდნენ, ხელი ჩაიქნია და უკან გაბრუნდა.

ჰოდა, თითქმის ტირილით მოვიდა გაგულისებული გივის სიძე, აქაც გვარიანად დაამატა. შემდეგ ნუგზარი წაიყვანეს შინ. მერე გივიმ მითხრა, საჯავრო მომემატა, ჩემი სიძე ხშირად თვრებაო. დავამშვიდე; ბადრის იმედი მაქვსო, თქვა და გაბრუნდა. ამის შემდეგ იყო რომ ბადრი მათ შესარიგებლად წავიდა.

გვიან დაბრუნდა. შუქი არ იყო და ბნელოდა. კარგა ხნის შემდეგ მოვიძიე, დაწოლილი ვერ ვნახე, დავუწყე ეზოში ძებნა, ძალიან ბნელოდა და როცა ვეღარ ვიპოვე, ძახილი დავუწყე. მინავლებული ხმა ზევიდან შემომესმა. კიბე ავირბინე—ბადრი აივანზე იჯდა და მერკულის გორას გასცქეროდა, საიდანაც ჯერ კიდევ მოისმოდა სროლის მოგუდული ხმა. ბიჭო, აქ რას აკეთებ, საშიშია, აქეთ ისვრიან-თქო. სწორედ იმას ვაკვირდები, აქეთ რომ ისვრიან და იმაზე ვფიქრობ, რისთვისაა ყველა ეს სროლა, რატომ კლავენ ერთმანეთს ეს უგუნური ხალხი და მოყვა თავისებურ მსჯელობას,

ყველაფერს სალსა და ლოგიკურად დასაბუთებულს, თუმცა დილეტანტურს, დანახულს მხოლოდ ქრისტიანული თვალით, მეც ასე ვფიქრობ-მეთქი და ამაზე ხვალ ვისაუბროთ, ახლა კი ქვევით ჩავიდეთ და მოისვენე-მეთქი. დამიჯერა და უხმოდ ჩაწვა ლოგინში.

ამ სტრიქონებს დილით ვწერ და ბადრის ჯერ კიდევ სძინავს. სროლა ისევ და ისევ ისმის, ამჯერად ბესლახუბის მხრიდან. მე კი რადიომიმღების დაჟანგულ ელემენტებს მეასედ გადავქლიბე თავები და პარლამენტის ტრანსლიაციის მოსასმენად მოვამზადე. იქნებ დაადგეს საშველი მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებას.

შუადღისას ქალის მოულოდნელმა კივილმა შეგვაშფოთა. გარეთ გავცვივდით და შევიტყვეთ, ჟორას გვარდიელი ძმა მოუკლავთ ტამიშთან ბრძოლაში. ვერ მოხერხდა სოფელ კინდღში წასვლა. იქ გზა ჯერ კიდევ არაა გახსნილი და ამ გაჭირვების ჟამს უფრო მეტად ისე ხდება, რომ დაუტირებლად დაკრძალავენ ხოლმე მიცვალებულებს. სოხუმში, ეშერაში ერთი მიცვალებული ოჯახმა თავის გარაჟში დამარხა, რადგან სასაფლაოზე გასვლის საშუალება არ ჰქონდათ...

ბადრის დილით ახალი კომენდანტი და შისი ამალა ეწვია, ლოგინიდან წამოაგდეს და სასწრაფოდ წავიდნენ. მერკულის გორაზე ისევ ისმის კანტიკუნტი სროლა.

ტამიშთან გუშინდელ ბრძოლაში მოკლული იქნა ორი და დაიჭრა ხუთი ჩვენი მებრძოლი. იქ ისეთი ჯოჯოხეთი ტრიალებდა გუშინ, რომ ცოცხალი თუ ვინმე გადარჩა აღარ მეგონა. ამ ავად სახსენებელ ადგილას მოკლეს გუშინწინ ჟორას ძმა გადამთიელებმა...

ბადრი ჩვეულებისამებრ ღამით გვიან დაბრუნდა, მაშინვე დაწვა და წიგნის კითხვას შეუდგა. უმეტესად უყვარს დეტექტივი. თვითონაც ფიქრობს წიგნის დაწერას იმ თავგადასავლებზე, რაც მას და მის ამხანაგებს გარდახდენია. ვურჩიე ყველაფერი ჩაინიშნოს დღიურების სახით და შემდეგ ამის საფუძველზე ააგებს ნაწარმოებს, მაგრამ ჯერჯერობით გული ვერ დაუდო დღიურების წერას. შევთავაზე მეორე ვარიანტი — მომაწოდოს მასალა და მე ავუგებ ნაწარმოების ჩონჩხს, კიო, შემპირდა, ჯერ ომი დამთავრდესო, ომი მოიშველია მიზეზად. ცოლის მოყვანას აპირებდა და ომმა შეუსწრო. ომი რას გიშლის ხელს-მეთქი. ომის დროს ცოლი ზედმეტი ტვირთი იქნებაო. ამჯობაში კი ორივე ვბერდებით. ვკითხე, დღეს დალიე-მეთქი? მივხვდი, ზედმეტი კითხვა გამომივიდა, რადგანაც არ იყო

ნასვამი. რომ იტყვიან, გაღებულ კარებში დავაკაკუნე და მე თვითონ შევცბი ასეთი უხერხული კითხვით. მეტი ხელი აღარ შემიშლია, გამოვბრუნდი და ჩემს ოთახს მივაშურე. ისე მას რა გავუწბილო და მეც კი ვერ ვისვენებ, თუ რაიმე არ წავიკითხე. ესეც ერთგვარი ჩვევაა. სამაგიეროდ მშვიდად სძინავს დედამისს. ჩვენ ორთავენი ვერიდებით მის გაღვიძებას და ფეხის ცერებზე დავდივართ. ცოდვაა საწყალი ქალი. რამდენს დადის იქით-აქეთ.

ბატონი ჯონი ლეჩხუმელი კაცია და, ცოტა არ იყოს, კი მეწყინა, მეც ლეჩხუმელი გახლავართ და იმიტომ, მაგრამ რას იზამს კაცი, სადღაც ქვეცნობიერად, მეც კი მომდიოდა გული მის უპრინციპობაზე.

ასევე კუდით ქვა ასროლინეს გენერალურ პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს და შინაგან საქმეთა მინისტრს რომან გვენცაძეს. პარლამენტმა და სახელმწიფოს მეთაურმა კარგი საქმე გააკეთეს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა განახლება რომ მოახდინეს და ისიც ახალგაზრდა კადრებით.

დღეს მთელი დღე წუნარი ამინდია და სროლის ხმაც არ გამიგონია. საღამო ჟამს ჩვენმა ბიჭებმა ველარ მოითმინეს და ქვემეხიდან სამი ჭურვი ესროლეს მერკულის გორას, საპასუხოდ იქიდან გამოყო გესლიანი ენა იმ იარაღმა, რომლის ტყვიებიც ყველაფერს ხვრეტს. ჯოკიამ შინ შემიყვანა და მაჩვენა, თუ რა უქნა მის სახლს ქვემეხისთვის ნასროლმა ამ ტყვიებმა. ტყვიას ბლოკის კედელი კარაქივით გაეხვრიტა და ოთახში კარადა ნაცარტუტად ექცია. არადა ეს ტყვია სამი კილომეტრიდან იყო ნასროლი, მეორე ტყვიამ ბეტონის კიბის საფეხური გახვრიტა. კიდევ მეტი, წუხელ ღამით ის გაგიჟებული მეტყვიამფრქვეველი ჭალაში მდგარ სახლებს დაერია და საცერივით დაცხრილა.

25 ნოემბერი.

დილით ისევ მოვიდნენ შტაბის წევრები და ბადრი წაიყვანეს. შუადღისას ისევ მოვიდნენ, რაღაცაზე ბჭობდნენ. შუქი უკვე გააკეთეს, ორ ადგილას გაეწყვიტა ტყვიას ელექტროგადამცემი ხაზი. დაბალი ძაბვაა, თორემ მაღალი ძაბვის ბოძი რომ დაწვა მერკულის გორაზე, მას მერე აღარ ამდგარა ის ჩვენი ცოდვით სავსე. მის კისერზეა მთელი სოხუმისა და აფხაზეთის გაჭირვება. ქართველები

მის „გაღვიძებაზე“ და ფეხზე დადგომაზე ფიქრობენ. დაქირავებული გადამთიელები, რომლებიც თურმე აფხაზური ფრონტის ძალების სამოცდაათ პროცენტს შეადგენენ, ცდილობენ, რაც შეიძლება დიდხანს ეგდოს მხართეძოზე ეს ბოძი...

ახლა სარდალი კამკამიძე სოხუმშია. საერთოდ, ყველაფერი ახალი, ახალ იმედებს ბადებს, თუმცა რა დასამალია და მონა ყოველი ბატონის გამოცვლით კმაყოფილია მანამ, სანამ ის ბატონი ისევ არ გახდება გამოსაცვლელი.

ისე, მართალი რომ გითხრათ, პარლამენტის დღევანდელი სხდომის კამათი კი დამიჯდა ჭკუაში. სულ ტყავი გააძვრეს ბატონ იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცურიანს, მას ბევრი ძველი ცოდვა გაუხსენეს, სად იყავი, როცა აფხაზეთში აპარტეიდის საარჩევნო კანონი მიიღესო და ბევრი მისთანანი. გააშავეს კენჭის ყრის დროს.

დღეს, საღამოს ვახტანგი ამოვიდა შეშფოთებული. ჩვენი ბიჭების მიერ ნასროლმა ქვემეხის ჭურვმა შუა გზაზე შეწყვიტა ფრენა, ჩემს სახლს დაეძგერა და სამი კედელი გაანგრიაო. ვაი, ეს რა მოსვლია ჩვენს „არტილერისტებს“? მგონი ხუთასი ჭურვი გაისროლეს და იმ მეტყვიამფრქვეველს ვერ მოახვედრეს, მერკულის გორიდან რომ არ გვასვენებს. ვანო ბაღრის საძებრად წავიდა, თან დამიბარა, ერთად მოვალთო და თქვენთან უნდა დავიძინოო. ჩემმა მეუღლემ მეზობლები შემოირბინა, „მარიანას“ უნდა ვუყუროო, ის კი დაავიწყდა, რომ სატელევიზიო გადაცემები გაწყვეტილია. არა, მაინც უნდა ვუყუროო, დაიჩემა. კარგი უყურე-მეთქი, თავი გავანებე. ჯერჯერობით სიწყნარე ჩამოვარდა. ვნახოთ, რის მომასწავებელია ეს სიწყნარე...

26 ნოემბერი.

ჯავშანგამტან ტყვიებს მთელი დღის განმავლობაში ისროდნენ მერკულის გორიდან. ჩვენი ქვემეხები მთელი დღე დუმდნენ. მეომრებსაც კი მოსწყინდათ ასეთი უაზრო ბრძოლა. ამ დილით ნოლს ქვემოთ ორი გრადუსით დაიწია ტემპერატურამ. მთები და მთის სოფლები თეთრ სამოსელში გაეხვია. ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფლებს გასასვლელი თითქმის არსაიდან აქვთ. ასეთივე ბედშია ქალაქი ტყვარჩელიც. კარჩაკეტილობა, უსინათლობა, სიდუხჭირე, მაინც რა ამოძრავებს ამ ხალხს, ასე ჯიუტად რომ განაგრძობენ წი-

ნაალმდეგობას? თუმცა აქა-იქ უკვე გამოჩნდნენ უფრო საღად მოაზროვნე ადამიანები აფხაზთა რიგებიდან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს „ეროვნული ხსნის კომიტეტის“ განცხადებას, რომელიც სოხუმში შეიქმნა ამ რამდენიმე დღის უკან. ასეთებია, მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟის წარმომადგენლები, გულრიფშის რაიონის ბაღმარანში მცხოვრები აფხაზები და სხვები. მჯერა, რომ მალე მათ მაგალითს მიბაძავენ სხვებიც და ბოლოს და ბოლოს მთელი აფხაზობა გაიცნობიერებს იმას, რაც დღეს ხდება. არანაკლები გაცნობიერება სჭირდება ქართველობას. გულცივობა, დაფანტულობა, ღალატი და ათასი ჯურის ბოროტება თანმდევი ფაქტორებია იმ მოვლენებისა, რაც ამჟამად ხდება საქართველოში.

ჩვენს სოფელში მოახდინეს წმენდა. ძველებურად მოაზროვნე, ბჟუტურობის მოყვარული ადამიანები გარეკეს და ახალგაზრდობამ აიღო ხელში შტაბის ხელმძღვანელობა. ამ საქმის შუაგულში ტრიალებს ჩვენი დონ კიხოტი. იგი დღესაც აღარ წანაგდეს ლოგინიდან და საქმეზე გაამწესეს, უფრო სწორად, თვითონ განმწესდა. ჯერ იყო და დაზიანებული ტელეფონი შეაკეთეს, შემდეგ პენსიებისა და ხელფასების საქმეებზე გაუყვნენ გზას ოჩამჩირისაკენ. იქიდან გვიან დაბრუნდნენ. ოჩამჩირის შტაბის მუშაობით ვერ არიან კმაყოფილნი. ამბობენ, რომ ამ შტაბში ზის ვიღაც მოღალატე, ისინი ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ საბრძოლო და საერთო ვითარებას. ჯერჯერობით ისევ ისე იგრძნობა თვითნებობა.

ჭიშკართან ვდგავარ. საღამო ჟამია. ვხედავ, მოდის ახოვანი ჯარისკაცი, გვარდიელი, მხარზე დარდიმანდულად გადაკიდებული აქვს ავტომატი, გულისა და შარვლის ჯიბეები დატენილი აქვს ავტომატის სავაზნე კოლოფებით. სიხარულით შევცქერი. როდის გამისწორდება. ვაჩერდები და ისიც მაჩერდება, გამისწორდა, თავი ჩაღუნა და ისე უხმოდ გამიარა, არაფერი არ უთქვამს, თითქოს დედა შემეგინებინოს, გული მეტკინა, რომ ასეთმა ვაჟკაცმა უფროსებისადმი (უმცროსმაც რა დააშავა) მისალმება არ იცის. ასე მატკინა გული იმანაც, ოჩამჩირეში რომ ჩამლეველი თბილისიდან და სახლში მისვლა ვერ მოვახერხე, ქუჩაში დავდექი და ყველა გამვლელ მანქანას ხელს ვუწევდი, ვემუდარებოდი, გაეჩერებინა. ერთმა იქაურმა ავყია ახალგაზრდამ თავისი მანქანა ცოტათი შეამუხრუჭა, როცა გამიპირისპირდა, მეგონა აჩერებდა და სიხარულით ცას ვეწიე. ხანმოკლე გამოდგა ჩემი სიხარული. მძღოლმა დაუვარცხნელი თავი

ფანჯარაში გადმოჰყო და ნიშნის მოგებით მესროლა, „რა ჩემი ფეხები გინდაო“ და მანქანა გაახტუნა. ძალიან მეტკინა ისედაც მტკივანი გული. ჩვენ არ ვიცოდით უფროსებთან ცუდი ლაპარაკი. ამას ვინ გაბედავდა მაშინ. ოჰ, როგორ შეიცვალა ყველაფერი, როგორ მძლავრობს ბოროტება სიკეთეზე, ყველაფერი თავდაყირა დადგა, თითქოს კაცობრიობა ემზადება ბიბლიური აპოკალიფსის შესახვედრად.

ბევრი რამ მაწუხებს, ბევრის გასაჭირი მიმაქვს გულთან, მაგრამ მაინც ახლო ნათესავებზე ფიქრი სულ სხვანაირია. ჯაგერ, რაც ომი დაიწყო, არაფერი ვიცი, სად არიან ჩემი შვილები და შვილიშვილები, მხოლოდ ბადრი მყავს სახლში და დონ კიხოტის იმედი მაქვს. რუსლანია სანჩო ხელიდან გაგვიქრა და სად იმყოფება, არ ვიცით, მგონი წყალტუბოში ამოჰყო ისევ თავი ფაფის საჭმელად, იმ შერცხვენილმა დამპირდა, ნახშირს გიშოვიო, ერთ კალათა კარალიოკს ამოგიტანო და სულ დამეკარგა. ნამდვილად ბებიამისს ვერიჩქას დაემსგავსა ის ოხერი. ასე გამიკეთა ვერიჩქამაც (ვერიჩქა, რუსლანის ბებია ჩემი უფროსი დაა. ერთხელ ავად გავხდი, საავადმყოფომდე მიმაცილა და მითხრა, ახლა მე სახლში წავალ და საჭმელებს და რაღაცეებს მოგიტანო. თვალები მომექცა ლოდინით. ვერიჩქას თურმე საირმეში ამოუყვია თავი საკურორტოდ და ჩემი ჯავრი აღარ ჰქონდა. ჰოდა, შვილიშვილი თუ მიბაძავს ბებიას, არ უნდა იყოს დიდი ცოდვა.

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, საღამოს შვიდი საათია. მოქვის მხრიდან მორიგი პარტიზანული თავდასხმა მოწყვეს და ტყვია წამოვიდა სეტყვასავით. აქედანაც უშენენ საპასუხო ცეცხლს ტყვიამფრქვევიდან. ნეტავ ვინმეს არ იმსხვერპლებდეს ბრმა ტყვია, თორემ ავტომატების კაკანსა და ტყვიების წივილს უკვე გვარიანად შეეჩვია ყურები.

27 ნოემბერი

დღეს საჯავრო გამოირკეცდა. ამაღამ ველოდით მთელი ღამე ბადრის მე და ჩემი მეუღლე. არ მოვიდა, არც ის შეგვატყობინა, სად იქნებოდა. ამ ავრეულ დროში ყველაფერს უნდა ელოდე კაცი. „იქნებ მძევლად აიყვანოს ვინმემ, ან ტყვია დაახალოს!“

ასეთი ფიქრებით გული გიწვრილდება კაცს. ალიონის შემოსვლა

მეღირსა თუ არა, ნაჩქარევად ჩავიცვი (თუმცა თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი) და ბადრის საძებრად წავედი. ციშკართან მეზობლის ქალი შემომხვდა, თამაზის დედა დოდო, შემთხვევით ბადრი ხომ არ გინახავს-მეთქი, ვკითხე, ბადრის ჩვენთან სძინავსო. ძალიან გამახარა ამ ამბავმა. მერე მომიყვა: გვიან ღამით მოვიდა, თამაზის ეძებდაო, თამაზისთვის ავტომატი დაუტოვებია, თამაზი კი დამთვრალა და ბიძამისთან ეძინა. ბადრი თვითონაც მთვრალი იყო და ჩვენთან ჩაეძინაო. გულზე მომეშვა და ჩვეულ საქმიანობას შევუდექი.

მეუღლე ადრიანად შეუდგა წასასვლელად მზადებას და ჩვენი გაძვალტყავებული ძროხა მე მომიგდო მოსაწველად. არაცა, მის მოწველას მირჩევნია მთელი დღე ქვა ვყორო. სულ ორ ჭიქას იწველება, მაგრამ მაინც არ ვეშვებით, ისაა ჩვენი მარჩენალი. არაფერს ვაჭმევთ იმ საცოდავს, მინდორში ხეტიალით თუ რამეს იშოვის, ესაა და ეს. იცის იმ დალოცვილმა ჩვენი გაჭირვების ამბავი, ისე კი არ გვეუბნება, მაგრამ გვემუქრება, ახლა მებრალებით, თორემ ომი რომ დამთავრდება, მაშინაც თუ ასე მომექეცით ერთ გრამ რძეს არ მოგცემთო. ჩვენც ვპირდებით, ომი როგორც დამთავრდება, კომბინირებულ საკვებს გიყიდით-თქო. ისიც იმედით გაეპანტურებს ყურებს და უგუნებოდ გაეშურება საბალახოდ. აღრე ბევრი იყო ბალახი ტყეში. ახლა ხელში დასაკავებულ ჯოხს ვეღარ იშოვის კაცი, ოჰ ეს კაცი, უბედურ დღეს გაჩენილი კაცი, სადაც ფეხს დაადგამს, იქ გადაშენდება ტყეც, ნადირ-ფრინველიც და ბრინძურდება გარემოც. ასე ვფიქრობ, როცა ჩვენს ძროხას დამჩვარულ ძუძუებზე ვექაჩები ჩამოსაწველად...

მეუღლე ისევ ბაზარში გამექცა მარტოდ დარჩენილი კიდევაც ვაცხობ და კიდევაც ვხარშავ იმას, რაც ხელში მომხვდება.

უკვე თორმეტი საათია და ბადრი ისევ არა სჩანს, სამუშაო იარაღები მივაგდე და თამაზისთან წავედი. აივანზე ისხდნენ ბადრი, გურგენი და ავერიონი, ხელში ღვინით სავსე ჭიქები ეჭირათ და ისევ „უბერავდნენ". გული მეტკინა და ბადრის ვთხოვე, შინ წამომყოლოდა. მალე მოვალო. უკან დავბრუნდი და მუშაობა გავაგრძელე.

გავიდა ერთი საათი, ბადრი მაინც არ ჩანდა, ისევ მივაკითხე, მაშინ დგებოდნენ. სამივენი ჩემთან წამოვიყვანე, თუმცა მათი მასპინძლობის თავი არ მქონდა, მაგრამ მინდოდა როგორმე ბადრი მომეყვანა შინ და გამომეფხიზლებინა. ისინიც წამოჰყვნენ და აწ-

ლა ჩემთან გააჩაღეს პერისჭამა. ავერიონი უფრო ადრე წავიდა, თუმცა კინაღამ პალტოს კალთები დაატოვებინა ბადრიმ, არ უშვებდა. გურგენმა უფრო გვიან დააღწია თავს. სხვა შემომატებულ ბიჭებსაც ვთხოვე, ადროვეთ, როგორმე ბადრი უნდა გამოვაფხიზლო-მეთქი, მაგრამ ახლა თვითონ ბადრიმ მოინდომა მათზე გაყოლა. როგორც იქნა, დავტოვე და დავიმარტოხელე. ამ დროს დედა-მისიც მოვიდა ბაზრიდან. რომ არ ველოდი, ჯამბულიმ შემოაღო კარი და ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, ბადრის ეუბნება, ავტობუსის საქმეზე უნდა წამოხვიდეო, გარეთ ვახტანგი გიცდისო, გავცეცხლდი, ვერ ხედავთ, კაცი მთვრალია და სად მიგყავს, გამოფხიზლდება და მერე წამოვა-მეთქი, ჯამბული უკმაყოფილო წავიდა. ბადრი გადაგვერია, როგორ თუ სახლიდან კაცს აგდებო და მე რომ ვერაფერი მომიხერხა, ჯამჭურჭელს ეცა. ბოლოს დარწმუნდა, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვიყავით და ინანა. პისტოლეტი ქამარში გაირჭო, ოთარი აიყვანა თავის მანქანით და ჯამბულის საძებრად წავიდა. იგი ჯერჯერობით არ ჩანს. ისევ საჯარო გამიჩნდა.

28 ნოემბერი.

დღეს შაბათია. ძალიან მძიმე დღე გამითენდა, ბადრი და ოთარი წუხელ ღამით გვიან დაბრუნდნენ. ოთარი შინ შემოიპატიჟა, ბადრი კაპრიზებს უარს ვერ ეუბნებოდა და როგორც შეეძლო, ისე სვამდა. ერთი ხუთჯერ მაინც მოინდომა სახლში წასვლა, მეუღლეც თან ახლდა, მაგრამ ბადრიმ ხუთივეჯერ შემოაბრუნა. უკვე ღამის ორი საათი სრულდება. როგორც იყო ძალით გამოვტაცე ხელიდან ოთარი და ჭიშკრამდე გავაცილე, ბადრიც გამოგვყვა. კიდევ აპირებდა სადღაც წასვლას, მაგრამ აღარ გავუშვი. შემოვიყვანეთ შინ, მაგრამ რა გინდა, ჯვარს გვაცვა ორთავე ცოლ-ქმარი.

დილით ადრე ისევ მოაკითხეს ამხანაგებმა. როგორც ჩანს უმისოდ საქმეს თავს ვერართმევენ, არადა ასეთი კაცის დათრობა როგორ შეიძლება. დილით ცოცხალმკვდარმა გაიღვიძა, ბევრი ვესაყვედურე, და კატეგორიულად მოვითხოვე, თუ კიდევ ვინმეს ვნახავ, რომ თვრებოდეს და საქმეს აფუჭებდეს, ჩემს სახლში არცერთს არ შემოგიშვებთ-მეთქი, მათაც ვუსაყვედურე, ეს კაცი დასათრობად დავყავთ, თუ საქმის გასაკეთებლად-მეთქი. თავი მოიკატუნეს, მიზეზები მოიშველიეს, მაგრამ ამაოდ, ბადრიმ მათ უთხრა,

ცოტა ხანს მაცალეთ ძილიო. რომ გამოიძინა, ისე წავიდა, ჩემთან არც შემოუვლია.

მერკულის გორიდან, მიუხედავად წვიმისა და თოშისა, არ ისვენებენ დაჭირავებული სნაიპერები, ვერა და ვერ ხერხდება მაღალი ძაბვის ხაზის აღდგენა, თურმე მოილაპარაკეს და დათქვეს, რომ აფხაზები ხელს არ შეუშლიდნენ მაღალი ძაბვის ხაზის აღდგენას, რამდენადაც ამით ბლოკადაშია სოხუმი და რიგი სხვა რაიონები აფხაზეთისა, თანაბრად ზარალობს, როგორც ქართველობა. ისე აფხაზობა და სხვა ეროვნების მაცხოვრებლებიც.

როცა სამუშაოზე გაიდნენ მემონტაჟენი, ყოველი ბოძის ძირში აღმოაჩინეს ძლიერ მოქმედი ნაღმები, თანაც მათ ცეკხლი დაუშინეს სნაიპერებმა. ახლა კი მართლაც სამუდამოდ დაეკარგება კაცს მათდამი ნდობა და ამ ხალხთან შეთანხმებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

აფხაზეთი და მათ შორის ოჩამჩირე მოინახულა ახალმა სარდალმა კამკამიძემ. დღეს იგი ინფორმაციით წარსდგა თავდაცვის საბჭოს წინაშე. ლაპარაკია ჯარის შექმნის, მისი გაწვრთნის, დისციპლინის განმტკიცების, ახალი ფიცის ტექსტისა და სხვათა შესახებ. გადაწყვიტეს, რომ ყველა ეს საკითხი განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინონ პარლამენტს.

პარლამენტმა კი ამ დღეებში ნაყოფიერად იმუშავა. მოხერხდა მთავრობის კაბინეტის დაკომპლექტება.

დიდი აჟიოტაჟია რუსეთშიც. პარლამენტი განუწყვეტლივ უტევს პრეზიდენტსა და მისი მთავრობის კაბინეტს. ნომენკლატურის დეპუტატებს და ათასი ჯურის ყავისფრებს არ მოსწონთ ეგორ გაიდარის მთავრობის მეცადინეობა ელცინის რეფორმების განსახორციელებლად. ვერც დემოკრატები არიან ფხიზლად, ვერ ახერხებენ მთელი ძალების (იგულისხმება დემოკრატიული ძალები) ერთ მუშტად შეკავშირებას. ამასობაში ჟირინოვსკის მსგავსი ტიპები გამუდმებით უტევენ დემოკრატების ყოველგვარ ცდას და მოითხოვენ მთავრობის გადადგომას; ყრილობა პირველ დეკემბერს იხსნება. ასე რომ, დეკემბერი ძალიან დატვირთული იქნება მოვლენებით რუსეთში; იქაური მოვლენები თავის უკიდურეს გამოძახილს პოულობს ჩვენთანაც. კავკასიაში ცხელი წერტილები ბობოქრობენ.

ხელშეკრულების დადებას მაინც მოვასწრებდეთ ამ ურჩხულთან, თორემ, ვინ იცის, მერე რა მოხდება. დეკემბერი მძიმე გა-

უთვალისწინებელ-გათვალისწინებული მოვლენებით სავსე იქნება ჩვენთანაც. ვინ იცის, როგორ დამთავრდება აფხაზეთის კონფლიქტი. იქით დრო იშოვეს და თავი აიშვეს ოსებმა. მათ ცხინვალში მინირესპუბლიკა შექმნეს და ჩვენი ძირძველი მიწა ჩრდილოეთში მიაქვთ. ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს, სხვაგვარად არ შეიძლება. ამ ლაბირინთს ვინც დააღწევს თავს, ალბათ, ისტორია მას დავით აღმაშენებლის გვერდით მიუჩენს ადგილს.

29 ნოემბერი.

ბადრი და ვახო ღამით ისე შემოპარულან და დაუძინებიათ, არაფერი არ გამიგია, დილით ადრე რომ ავდექი, ერთად ეძინათ. მეუღლემ მითხრა, დღეს მათ ერთი წვეთი ღვინო არ დაულევიათო. ბადრის უთქვამს, აქ უნდა დავუსვა წერტილიო. ამ დასკვნამდე ამ დილითაც მომხდარმა შემდეგმა ამბავმა მიიყვანათ.

როცა ბადრი და ვახო საუზმობდნენ, კარის მეზობელი ქიშვარდი შემოვიდა, „პოლბუტილკა" შემოიტანა და სუფრაზე დადგა. ჩამოჯდა თუ არა, პირისღებინება აუტყდა და იქვე წამოარწყია. ბადრი და ვახო მეორე ოთახში გაცვივდნენ. მერე ლუკმაც ვეღარ შეუჭამეს, ჩაჯდნენ მანქანაში და წავიდნენ, ეს კარგი მაგალითია მათთვის და არა მარტო მათთვის, მარტოდ დარჩენილმა ქიშვარდიმ დიდხანს ატრიალა ღვინით მოლრეცილი თვალები, მერე კი სახლისკენ ისე წაბარბაცდა, არავის გაუცილებია. ბევრჯერ გადავარჩინეთ სიკვდილს ეს დალოცვილი, მაგრამ არ დაადგა საშველი მის გამოსწორებას. გულის ტკივილის წამალს დალევს და ზედ არაყს დააყოლებს. მეცოდება, მაგრამ თუ კაცს უნდა თავი მოიკლას, სხვა რას უშველის?

მერკულის გორაზე ხშირად ისმის მეტყვიამფრქვეველთა „ურთიერთგალაპარაკების" ხმა. ქვემეხების გრიალი კი დღის განმავლობაში არ გამიგონია. ცნობა მოვიდა, რომ აფხაზებმა სამოცამდე სახლი გადაწვეს სოფელ ქეთევანაში. სოფელი ქეთევანა მდებარეობს აფხაზურ სოფელ გვადჯა და ქართულ სოფელ კუტოლს შორის. ტყუარჩელიდან საავტომობილო გზა ქეთევანაზე გადის. ქართველებმა გადაწვეს მოქვისა და ცხენისწყალის რამდენიმე სახლი, აფხაზებმა გადაწვეს ალაშარაში რამდენიმე სახლი და ქეთევანა. დაიწყო შურისგების ოსური ვარიანტი. ვის აწყობს ეს ხელს? „რეჟი-

სორს" რა ენაღვლება? ვისაც ავტომატი უჭირავს ხელთ, საჭირო არაა, ბევრი რამ იცოდეს, გარდა იმისა, თუ როგორ მოკლას კაცი, დანარჩენი მისი საქმე არაა, ამ შეგონებით შემოჰყავდათ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაქირავებული გადამთიელები. მათ წინასწარ უხდიდნენ ორმოცდაათ ათას მანეთს და ჰპირდებოდნენ სულ ცოტა ერთ საკუთარ მანქანასა და საცხოვრებელ სახლს. ვის სახლს? რა თქმა უნდა, ქართველისას. აი, გააძევებ ქართველს და სახლიც შენ დაგრჩებაო.

ასე გააკეთეს წინასწარი ჩაწერები, ნაბიჯ-ნაბიჯ მოახდინეს პოლიტიკური ავანტიურები და ბოლოს—აი, ომიც. ამ ომით ხელს ითბობს მუსულმანური სამყაროც. ისლამურ ფუნდამენტალიზმს სურს მარწუხებში მოაქციოს კავკასიის ორი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა—საქართველო და სომხეთი, ცდილობს მოუჭრას მათ გასასვლელი გზები რუსეთისა და ევროპისაკენ. ერთადერთი ჭიშკარი ჩრდილოდასავლეთში გაგრა-განთიადია. ამ ცხრაკლიტულში გაივლის ერთადერთი სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსარტერია და ეს არტერია უზომო დოყლაპიობით ქართველებმა ხელში ჩაუგდო მტრებს. მის უკან დაბრუნებას კი ბევრი დავიდარაბა დასჭირდება, მეორე არანაკლები არტერია ჩრდილოაღმოსავლეთში როკის გვირაბი და ჯვრის უღელტეხილია. ეს გვირაბი და უღელტეხილი კი ოსებს უჭირავთ ხელთ. აი, სადაა გაწოლილი გველის კუდი და თავი. კუდი როკია, ხოლო თავი გაგრა და ეს შხამიანი გველი უხილავი ძაფებითაა დაბმული და მხოლოდ მაშინ იგესლება, როცა პატრონი დაუცაცხანებს. ამ გველს აქვს კიდევ სხვა კუდები, ზოგი მესხეთ-ჯავახეთში, ზოგიც აჭარასა თუ სამეგრელოში და ვინ იცის, კიდევ სად. პირველყოვლისა, საჭიროა იმ ძაფების გადაჭრა, რომლებიც ბოროტების ბუნაგთანაა მიერთებული, შემდეგ კი გველის თავის გაჩეჩყვა და ამის შემდეგ კუდები თვითონ მოკვდინდებიან...

აგერ ოცდაშვიდი დღეა სოხუმს არა აქვს შუქი. ხშირად მიხდება იმის შეხსენება, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს, თუ რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი სოხუმის და არა მარტო სოხუმის მოსახლეობა.

გუშინ, 28 ნოემბერს სოხუმში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარის ნაწილმა აფხაზეთის ხელისუფლებას ოფიციალურად აცნობა, რომ მან დაამთავრა თავისი ნაწილის სოხუმიდან ევაკუაცია. რა თქმა

უნდა, იყო მცდელობა იმისა, რომ გაეტანათ იარაღი და მოწყობილობა, რომელიც საქართველოს კუთვნილებაა, მაგრამ ვერ მიართვეს. იუწყებიან იმასაც, რომ გუმისთის მხრიდან, სოხუმის ახალ რაიონს დაუშინეს საარტილერიო ცეცხლი, მაგრამ საცეცხლე წერტილი მოსპეს ქართველთა ნაწილებმა. დადის ხმები, რომ აპირებენ სოხუმის ძლიერ დაბომბვას. არ ითვალისწინებენ ერთ მომენტს, რომ ჯოხს ორი ბოლო აქვს. თუ სოხუმს ბომბებს დაუშენენ, მაშინ, როგორ ფიქრობთ, გუდაუთას ვარდებს ესვრიან?

რაც შეეხება ჩვენი ფრონტის ამბებს, დღეს შედარებით სიწყნარეა.

30 ნოემბერი.

დღევანდელი დღე ისეთი სავსე შეიქმნა მოვლენებით, რომ მათი აღწერით შეიძლებოდა ერთი წიგნის შექმნა, თუ შეგიმჩნევიათ, გაშლილ უხვ სუფრაზე აღარ იცით, რომელი საჭმელი შეარჩიოთ და შეიძლება მშიერიც კი დარჩეთ, მეც ასე მემართება, აღარ ვიცი, უფრო ხელმისაწვდომი რომელი მომენტი შევარჩიო, რომ მემატიანის გულმოდგინებით გადმოგცეთ ძირითადი ნაწილი მაინც.

შემოტევა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის. რაც მტერმა გაგრაში ჩაიდინა, ქართველობას ჭკუა უნდა ესწავლა, მაგრამ ქართული გულმოდგინე დარდიმანდობით მაინც ხდება ამ ძირითადი ფაქტორის გაუთვალისწინებლობა, რომელსაც ჰქვია სიფხიზლე და ბრძოლისათვის მუდამ მზად ყოფნა. 29 ნოემბრამდე რუსეთს ჯარი გაჰყავდა სოხუმიდან, დადებული იყო რაღაც ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ (თუ ამას ხელშეკრულება ჰქვია). ორივე მხარე ამ ხნის განმავლობაში თავს იკავებდა აშკარა შეტევისაგან, თუმცა რა შეტევა ჰქვია იმას, რომ მოწინააღმდეგე რაღაც პოზიციებიდან გარეკო და ისევ უკან დაბრუნდე. ასეთი ომობანობის თამაშით მოწინააღმდეგე ისევ თავიდან დასაწყები ხდება ბრძოლა. ამიტომაა, რომ მუდმივად ბლოკირებულია ოჩამჩირე-სოხუმის გზა, ამიტომაა მხართეძოზე არხეინად წამოწოლილი მაღალი ძაბვის ბოძები ბესლახუბასა თუ მერკულის გორაზე. ვერა და ვერ მოახერხეს ერთი მეტყვიამფრქვევის მოსპობა მერკულის გორაზე. სამეგრელოს მოვლენების გამო ძალიან უჭირს

აფხაზეთში მაცხოვრებელ ქართველობას. ესენი ძირითადად მეგრელობაა და თავიდანვე არსებული ე. წ. ზვიადისტობისა და მის საპირისპირო სხვადასხვა „ისტების“ გამო ვერ მოხერხდა ქართველობის გამთლიანება.

ზუსტად 6 საათზე (ჯერ კიდევ სიბნელეა და გათენებამდე ერთი საათი კიდევ დარჩენილია) სამი მხრიდან ჯოჯოხეთური ცეცხლი წამოვიდა, ისვრიან ავტომატებიდან, ტყვიამფრქვევებიდან, ნაღმსატყორცნებიდან. სოფელი არადუ სამი მხრიდან მოაქციეს ალყაში. ცაგერას, მოქვისა და მერკულის მხრიდან. სროლა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. დილით, ვისაც სიარული შეეძლო აიყარა შეკრული ფუთებით, ჩემოდნებით. ზოგსაც ფეხსაცმელი უკუღმა ჩაეცვა სიჩქარეში, ისმოდა წყეველა და კრულვა, მუდარა უფლისადმი, შიშმა და პანიკამ მოიცვა სოფელი, მთელი კუთხე შესძრა ლადიას ყვირილმა, როცა მივცვივდით, გავიგეთ, რომ დილით ღორებს ვედროთი მარცვალს უყრიდა, ვედროს მოქვის მხრიდან გამოსროლილი ტყვია მოხვედა! ლადიამ შიშით ყვირილი გააბა: არიქა, ჩეჩნები სასაფლაოზე შემოვიდნენო (სასაფლაო კი იქვეა კარისყურეში), ლადია დავამშვიდეთ, ერთმანეთი გავამხნევეთ, მაგრამ შემოტევის რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. ჩვენ კარგად გვესმოდა მოწინააღმდეგის შეძახილები — დაგვნებდითო, მაგრამ დანებებას არ ფიქრობდნენ ახალგაზრდები, რომლებიც სულ რაღაც ათამდე თუ იქნებოდა. თავი ისახელა ბევრმა მათგანმა, მოწინააღმდეგეს გზა მოუჭრეს და წინ წამოწევის საშუალება არ მისცეს, მაგრამ ჩანდა, რომ ისინი ნამდვილად შემოიჭრებოდნენ სოფელში. მაშინ გადამწყვეტი სიტყვა თქვა მხედრიონელთა ორმა ჭვემეხმა, რომლებიც სოფელს ბოლოში მოექცნენ და პირდაპირი დამიზნებით დაუშინეს ჭურვები გადამთიელებს. იკადრეს მომხვდურებმა უკან მიბრუნება და დარჩათ ბევრი მკვლული. ჩვენც მოგვიკლეს თვრამეტი წლის ჩაკვეტაძე, ალალმართალი ბიჭი, ორიც დაგვიჭრეს — ერთი აბგილობრივი, ყურაშვილი, რომლის ძმაც ამას წინათ მოკლეს და ერთიც—მოსული გვარდიელი. იწვოდა კოჩარა, განუწყვეტლივ ისმოდა იქაური ბრძოლის ხმები, მაგრამ ის ჩვენგან უფრო მოშორებითაა. უფრო ახლოს და სარკესავით ჩანს ბრძოლა მერკულის მიდამოებში. იქ მოწინააღმდეგენი დაპირისპირებულნი არიან მეფრინველეობის ფაბრიკის მიდამოებში. მთელი დღის განმავლობაში იქ გააფთრებული ბრძოლებია. ის

მეტყვიამფრქვეველი, რომელიც ჩვენს პირდაპირ ზის მერკულის გორაზე, გამუდმებით ისვრის ხან ჩვენსკენ, ხანაც მერკულისაკენ (ალაშარა). ისვრის და ისვრის. რამდენი ტყვია და ჭურვი დაიხარჯა მისი „მოხსნისათვის“, მაგრამ, ამაოდ. დღის მეორე ნახევარში თვითმფრინავებმა შემოავლეს წრე და „ზომიერად“ დაბომბეს მტრის პოზიციები მერკულაში, მაგრამ იქამდე ვეღარ მიაღწიეს, სადაც ის მეტყვიამფრქვეველი ზის.

არადუში არავითარი დამხმარე ძალა არ მიგვილია. ოჩამჩირე, მიუხედავად მრავალი ოფიციალური შეტყობინებისა, დუმდა, ძალები არ გვყავსო, ბუნდოვანი პასუხები, გაუგებარი მოქმედება... ეს არ ჰგავს სამხედრო მოქმედებას და დროა (თუ დაგვიანებული არა), გაიწმინდოს სამხედრო უწყებები ოჩამჩირეში. აქ სრული უთავბოლობაა, რომლითაც მტერი სარგებლობს და გაგრის ტრაგედიის აჩრდილი დასტრიალებს თავს, როგორც ოჩამჩირეს, ისე სოხუმს! რომ დარწმუნდეთ ამ მტკიცების სისწორეში, ჩავხედოთ განზრახვას, რომელიც მტერს აქვს ჩაფიქრებული: მზადდება ოჩამჩირე-სოხუმის ტრასის გადაკვეთის გეგმა ერთდროულად სამი მიმართულებით. მტერი ურტყამს კოჩარას, გადაკვეთს ტრასას ცაგერასა და ტამიშს შორის, ამავე დროს იერიში მიაქვს არადუზე, არადუს აღებით გადის მოქვის ხიდზე, ბლოკირებას უკეთებს ტრასას ცაგერასა და მერკულას შორის, შემდეგ გადაჭრის (სულ რაღაც ორი კილომეტრია) სარკინიგზო კვანძს და შედის ოჩამჩირის სამხედრო პორტში (რა საქმეა?!). ამის გარდა მტერი მთელი ძალით უტევს მერკულას, გადაჭრის ტრასას ჩაის ფაბრიკის მიდამოებში, გაივლის სარკინიგზო გადასასვლელს და გადის ოჩამჩირეში ტურბაზასთან. ამ ერთდროულად სამი მიმართულებით დარტყმების განხორციელების შემთხვევაში, მტერი მთლიანად უკეთებს იზოლაციას ოჩამჩირესაც და სოხუმსაც და უმტკივნეულოდ ახორციელებს გაგრის ვარიანტებს, ნუთუ ამას გაგება არ შეუძლიათ, ვისაც ეს ევალება? ანდა, თუ შეუძლია და არ აკეთებს, რა ჰქვია ამას? ღალატი, დიახ ღალატი, ღალატი კი ისჯება უმაღლესი ზომის სასჯელით. ვიმეორებ, ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, რომ ოჩამჩირეში თურმე გაიცა ბრძანება არადუს დატოვების შესახებ. ვინ გასცა ეს ბრძანება? როცა დადგება ყველაფრის განსჯის დრო, მაშინ, ალბათ, ესეც გახდება ცნობილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება დღეს და ისიც

აფხაზეთში, სანამ ყოველი ქართველი ამას არ გაიცნობიერებს ბოლომდე, მანამდე საქმეს საშველი არ დაადგება.

ტატიანამ ყველაფერი, რაც მას ძვირფასად მიაჩნდა, ერთ ფუთაში გაახვია, ბეჭზე მოიგდო და სხვა ქალებს შეუერთდა. ისინი სოფლის ბოლოსაკენ იხევდნენ უწესრიგოდ. ბადრი ღამის ოთხ საათზე მოვიდა.

წინადღით, როგორც მოგახსენეთ, კოჩარაში ბრძოლები მიმდინარეობდა. იქ ჩვენი ბიჭები (გვარდიელები) დახოცეს და მკვდრები არ მისცეს ჩვენებს. საჭირო გახდა სადმე მძევლების „აყვანა“ და არადუში მონახეს დაბალი ღობე. ისევ მიადგნენ შადანიების ოჯახს და ძმები შალოდია და სერაპიონი მძევლებად წაიყვანეს შტაბში. ეს რომ გაიგო, ბადრი ახტა-დახტა და დონ კიხოტის შუბით მიადგა შტაბს, თუ კოჩარაში რამე დააშავეს, არადუ რა ბრალში არისო, ან ეს ხალხი რა შუაშიაო. ბოლოს და ბოლოს, ორთავე ძმები დაიხსნა და სახლში მიიყვანა.

ბადრი ლოგინზე გაუხდელად მიეგდო. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ შემოტევა დაიწყო და ისევ წამოხტა დონ კიხოტი, დაგვარიგა, გარეთ არ გამოხვიდეთო და თავის ავტომატს სტაცა ხელი, ტყვიების წვიმაში გაუჩინარდა. დღის ბოლოს გავიგე მხოლოდ, რომ იმ ათეულში, რომელმაც გადაუღობა გზა მოწინააღმდეგეს, პირველ რიგში ბადრი იყო. ის მოკლული ჩვენი ბიჭიც მან გამოათრია ბრძოლის ველიდან და სახლში რომ მოვიდა, ძლივს ვიცანით, ისე იყო ამოგანგლული ტალახში.

მე მარტო დავრჩი შინ, ფარდულში შუაცეცხლი ავანთე და შემოვეფიცხე. ვუყურებ გაჩაღებულ კერას და თვალს ვავლებ ჩემი ხელით აშენებულ სახლ-კარს, ტოტებდახუნძლულ მანდარინის ხეებს, ხეხილს, ტალავრებს, ჭიპგადმობრუნებულ ქვევრებს. აქ ხომ ყველაფერი უკაცრიელი იყო, მგლის ყმუილისა და ტურის კივილის მეტი არაფერი ისმოდა. ეს ყველაფერი ხომ თითქმის ნახევარი საუკუნის ნაჯაფია, ეს ხომ ადამიანის თითქმის ერთი თაობის ნამუშევარია და ახლა გამოგვდგომიან და აღარ გვაყენებენ, ვინ? ვინ და ჩეჩნები, აფხაზები თუ რა ჯურის ავანტიურისტები, ღმერთმა იცის, მეც იძულებული ვხდები, იარაღი ავიღო ხელში. ბადრის მოტანილ ნადავლ ორლულიან თოფში ვაზნები ჩავაწყვე, გავსინჯე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ჩახმახის სამ დაცემაზეც კი არ ვარდება ის შეჩვენებული. ავიღე და კუთხეში მივაგდე. ისევ კალამს მოვკიდე ხე-

ლი, ესაა ჩემი უტყუარი იარაღი და თუ ერთ დროს ეს დღიურები გამოქვეყნდა, მაშინ ჩემი კალამიც იმ ავტომატებზე თუ ტყვიამფრქვევზე უფრო ძლიერად გაისვრის, რომელიც მერკულის გორიდან დღედაღამ გვიყეფს...

სინათლე ისევ ჩაგვიქრა, მოხეტიალე ტყვიამ ისევ გადაჭრა სადღაც სადენი და მისი შეკეთების თავი ახლა არავის აქვს.

1 დეკემბერი.

ნაშუადღევს ისევ აყეფდა მერკულის გველეშაპი, აღრიალდნენ ნაღმტყორცნები, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, მაგრამ გუშინდელთან შედარებით, ეს ცოტაა. მერკულის მიმართულებით შეტევის ნიშნები არ ჩანდა. დაღამდა მშვიდობიანად, კოჩარაში მოწინააღმდეგემ უკან დაიხია წინანდელ პოზიციებზე, მაგრამ კოჩარელები გვარიანი შერცხვენილნი დარჩნენ. კოჩარა, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს ორი ათასამდე მეომარი და ათასზე მეტი ერთეული საბრძოლო იარაღი, ასკაციან გადამთიელს ვერ გაუმკლავდა. ორი ათასი მეომრით ერეკლე მეორე ალბათ ორმოცი ათას თათარს შეებრძოლებოდა და ბღვირსაც გაადენდა ზურგზე.

დღეს თავდაცვის საბჭომ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მთლიანად საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთში მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ. ითქვა, რომ სამხედრო მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს სოხუმსა და ოჩამჩირეში, რომ შეიქმნა ერთიანი საჯარისო კორპუსი თავისი შტაბით, რომლის შემადგენლობაში მოექცევა ყველა სამხედრო შენაერთი, რომ მნიშვნელოვნად გადიდდება ოჩამჩირეში სამხედრო ძალა, რათა ალაგმოს გაუთავებელი შემოტევები. არადუსთან ბრძოლებში მოკლულნი არცერთი არ ჰგავდნენ აფხაზებს, ისინი ან კაზაკები იყვნენ ან ჩეჩნები და ძმანი მისნი. მკვდრებიც კი არ მოუძებნიათ, რომ გაეტანათ.

დღეს შესამჩნევი ცვლილებები ხდება არადუში. მოდიან დამხმარე ძალები, მოდის ტყვია-წამალი, ცენტრიდან მიღებულმა გადამჭრელმა ზომებმა უცბად დააჩინა კვალი პერიფერიაში, სოხუმის ბედი ოჩამჩირეში წყდება. სახელმწიფო მეთაურის განცხადებიდან გავიგეთ, რომ იქმნება სპეციალური დანიშნულების ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შეიარაღებული რაზმების ქალაქებში თარეშის ალაგმვას, აგრეთვე სპეციალური პოლკი, რომელიც

წესრიგს დაამყარებს ისეთ ტრასებზე, როგორიცაა თბილისი-ბათუმი, თბილისი-სოხუმი, თბილისი-წითელი ხიდი და თბილისი-ყაზბეგი, უნდა აილაგმოს ამ ტრასებზე ყაჩაღთა და ავაზაკთა თარეში, რა ლამაზი სიტყვებია?!

2 დეკემბერი.

ერთობ დაძაბული ღღეებია. მოწინააღმდეგე მხარე ბალზე აქტიურობს, სამაგიეროდ, ძალზე პასიურობენ ჩვენები. დღეს კრება ჩატარდა არადუში, რაიონიდან მოვიდნენ, ვისაც რამე „ეკითხება". აი კითხვები, რომლებიც დაუსვეს მათ არადუს დამცველებმა:

1. რატომ არ დაგვეხმარეთ 30 ნოემბერს, როცა მტერმა ყოველი მხრიდან შემოგვიტია და ოჩამჩირის და მთლიანად აფხაზეთის ბედი ბეწვზე ეკიდა.

პასუხი: რა ვქნათ, ძალები არ გვყოფნის (ჩვენ კი ვიცით, რომ ბევრი ძალები თვით ოჩამჩირეში უსაქმურობენ).

2. რატომ არ გვაძლევთ იარაღს და საკმაო რაოდენობის ტყვიაწამალს? (სოფლის ახალგაზრდობის უმეტესობა შეუიარაღებელია).

პასუხი: რა ვქნათ, იარაღი არ გვაქვს, თუ მივიღეთ, მოგცემთ.

ჩვენ კი ვიცით, რომ ოჩამჩირეს აქვს საშუალება, შეაიარაღოს არადუს მოსახლეობა. აფხაზები (ამბობენ მეთაურები) ვერტმფრენებით ციტრუსებს ჰყიდიან და აქეთ იარაღს ყიდულობენო (ვისგან)?

ასეთია გაურკვეველი ბუნდოვანი პასუხები და გულგატეხილი მოსახლეობა ერთმანეთს გადაულაპარაკებს ხოლმე: „რა გვეშველება? ნუ გეშინიათ, არ შეშინდეთ და ყველაფერი რიგზე იქნებათქო, ვიძახი მე, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ეჭვი მეპარება, „გაყიდული" ხომ არ ვართ?! ახე არ მოუვიდა კოჩარას? საინფორმაციო საშუალებები გადმოცემენ თითქოს კოჩარიდან მოწინააღმდეგე განდევნეს და მტერმა უზომო დანაკარგები განიცადა. ტყუილია მტერმა კოჩარა დაიპყრო და ცხენისწყალს მოადგა. იქიდან ტრასამდე სულ ორიოდე კილომეტრია. კოჩარის მოსახლეობა აიბარგა (ვინც წასვლა მოასწრო) და ოჩამჩირეს მიადგა, თქვენ დაგვალატეთ და როგორც გინდათ, ისე მოგვიარეთო, ეუბნებიან კოჩარლები. რას ნიშნავს ეს? ნუთუ მთავრობას არ შეუძლია გადაამოწმოს ყალბი ინფორმაციები? უზარმაზარი კოჩარა მოწინააღმდეგეს ჩაბარდა, მაშინ, როცა არადუ სულ ათიოდე ახალგაზრდამ დაიცვა.

ისინი ნამდვილი გმირები არიან, დიახ, მათ იხსნეს ოჩამჩირე მოვლენების ავი განვითარებისაგან...

ჩვენ გვაიმედებს სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლები. ეს ზემოთაც ხშირად მითქვამს, მაგრამ ოჩამჩირეში, მგონი, არც კი იციან, რომ გამოცხადებულია სამხედრო წესები. ამის შესაბებ კრინტი არ დაუძრავთ კრებაზე, არადა, მტერი დღეს სოხუმსაც უტევს, გუმისთიდან საარტილერიო ჯურღმებმა ბაზრის ტერიტორიაზე რვა ადამიანი იმსხვერპლა, ოცდაათამდე დაიჭრა, რატომ იქითაც არ გაისროლიან, რომ მოწინააღმდეგეს მადა დაეკარგოს ასეთი მოქმედებისა? არძინბა რუსეთის პარლამენტის კარებთანაა აყუდებული, რაღაც ნამცეცებს ელის იქიდან, ჩვენ კი ამ კატას ნაგაზის სიმშვიდით შევცქერით და ყურებს ვაპანტურებთ. ამასობაში, მან რუსეთში გასასვლელი და ზღვაზე გასასვლელი გზები ჩაიგდო ხელში. ახლა მთელი ძალით უტევს ოჩამჩირეს, მათ კარგად იციან რომ ოჩამჩირის ხელში ჩაგდებით მთელი აფხაზეთი მათია. ჩვენთან კი ისევ ლოდინი, ისევ დაუცველობა, ისევ ღალატი და მომდევნო გაგრის ტრაგედიები. „მივიღოთ რადიკალური ზომები!" — ყვირის თამაზ ნადარეიშვილი, მას ნაკლებად უსმენენ. მადლობა ღმერთს, რომ ახლა თვითონაა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე აფხაზეთში და იქნებ რამე თვითონვე იკისროს. ხომ იცის, რომ მტერს ახალი და ახალი ძალები ეწატება. ამბობენ, „თურქი მესხებიც" შემოდიანო „ძმების" დასახმარებლად. დადგა გადამწყვეტი მოქმედების ჟამი. მარტო ათეული ბიჭების ენთუზიაზმი ვერას გახდება. თავდაცვის საბჭოს ყოველი განკარგულება უმალვე უნდა სრულდებოდეს. ასე იყო ყოველთვის. დემოკრატობანას თამაშით და ყველაფრის იმ პარლამენტთან შეთანხმებით, რომლის სხდომებსაც ზარმაცი მოწაფეებივით დეპუტატების ნახევარი არ ესწრება.

დილის შვიდ საათზე ისევ ისეთი ხროლა ატყდა, რომელიც ახლა აღარავის აკვირვებს. ბადრი ჩვეულებრივ გვიან დაწვა, მაგრამ სროლის დაწყებას რეფლექსებით გებულობს. მყისვე წამოხტა და პირიც არ დაუბანია, ავტომატს ხელი დაავლო და ფრონტზე გაიქცა. ფრონტი კი ჩვენგან სულ სამოციოდე მეტრშია. მალე მობრუნდა მანქანით და სკოლაში გაიქცა ტყვია-წამლის მარაგის შესავსებად. ციდევ ერთი მოკლული (მოწინააღმდეგის მხრიდან) იპოვეს № 1 საგუშაგოსთან, მდინარე მოქვის ახლოს. იგი გამოიტანეს ჩვენებმა. მოკლული აღმოჩნდა ნაცნობი აფხაზი კაცის შვილი, რომე-

ლიც ცხოვრობს სოფელ მოქვში, ჩვენგან სულ ორ კილომეტრში. მოდიოდა ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებული (ეს მოხდა 30 ნოემბერს) კალაშნიკოვის ავტომატით ექვსი სათადარიგო მჭიდეთი (სულ შვიდი მჭიდე, 210 ვაზნა) და ოთხი გრანატით.

წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი უნდა გაეჟლიტა ამ მოწყობილობით. ცხადია, რაკი აფხაზი მოკლეს, უპატრონოდ არავინ დატოვებდა და დღეს გაიმართა მოლაპარაკება გაცვლის თაობაზე, მაგრამ ჩვენგან მოკლული მხოლოდ ის ერთი საბრალო ბიჭი იყო, რომელიც ბადრიმ მყისვე გამოიყვანა. მას დღეს ასაფლავებენ, ამდენად ჩვენ გასაცვლელი არავინ გაგვაჩნდა და „საწყალ“ კოჩარლებს მივეშველეთ, ორი ცოცხალი მძევალი უნდა გაუშვან სანაცვლოდ და აქაური მკვიდრები დააბრუნონ, თანაც ასე მორიგდნენ, საღამოს ექვს საათამდე სროლა უნდა შეეწყვდარიყო. ეს პირობა შესრულდა და ექვსი საათის შემდეგ კვლავ დაიწყო უწესრიგო გაცვლითი სროლები...

ტატიანა ძალიან შემიშინდა. კოჩარის აღების ამბავმა იგი და მისი თანატოლები „შოკში“ ჩააგდო. მუდამ იმას გაიძახის, რა გვეშველებაო, ჩვენი საქმე გათავებულია, უკვე აგვიღებენო. იმდენი იბუტბუტა ერთიდაიგივე, რომ დავუყვირე, მეტი აღარ გამაგონო ასეთი სიტყვები-მეთქი. ტატიანამ დამდუღრულივით მოუსვა თამარასთან, რომელიც უარეს პანიკაშია ჩავარდნილი. გვიან ღამით მოსაძებნი გამიხდა. ვეფერე და დავამშვიდე, ძლივს წამოვიყვანე შინ.

3 დეკემბერი.

დღეები თანდათანობით დაძაბული ხდება. გუშინ სოხუმის ბაზარს რომ დაუშინეს საარტილერიო ჭურვები, იქ აღმოჩნდა თორმეტი მოკლული (მათ შორის ოთხი საავადმყოფოში გარდაიცვალა) და ოცდაჩვიდმეტი დაჭრილი. მოკლულთა შორის ექვსი რუსია, ორი აფხაზი, ოთხი ქართველი. მოგაგონებთ, რომ ბაზრის მიმართულებით ჰიტლერსაც კი არ გაუსროლია ჭურვი. დილით თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი (წუხელ ავად გავხდი) და ტატიანამ ცეცხლზე ნავთი დაასხა—ჩვენ დღეს უკვე აგვიღებენო. ამაზე ისევ გადავირიე და უფრო ცუდად გავხდი. ის კი თავისას გაიძახოდა, აგვიღებენო, შენახულ ჯამ-ჭურჭელს ხელი მოხვია და სადღაც გადამალვა დაუწყო. მერე მომადგა და გინდა თუ არა, მაღლა დიდ

ოთახში ძვირფასი ჭაღი რომ გვაქვს, ის ჩამოიღეო. ნამდვილად დავიღუპე, სულ გამისულელდა ცოლი. ცოტა ხანს დამაცადე, რადიოს მოვუსმენ-მეთქი (ეს ისე, თორემ რადიოს ინფორმაცია რად უნდა კაცს, როცა იგი თვითონ ფრონტზეა, თანაც არასწორ ინფორმაციებს გადასცემენ, როგორც ეს მოხდა კოჩარის მაგალითზე). კარგიო, მითხრა და გარეთ გავიდა. არაფერიც არ მომისმენია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დავუძახე, რაღაც უნდა გახარო—წუხელ ჩვენი ჯარები ჩამოსულან, ტანკებით და ქვეითებით და დღეს უნდა აიღონ კოჩარა-მეთქი (მან მერე დაკარგა იმედი, რაც კოჩარა დატოვეს მკვიდრებმა). გაუხარდა, მთლად დარწმუნებული ის კი არა, მეც არ ვიყავი ჩემს ნათქვამში, მე მხოლოდ ვივარაუდე, რომ დამხმარე ძალები მართლაც უნდა ჩამოსულიყვნენ. ამ დროს ქუჩაში გავედი. შემთხვევით სოფლის გამგებელს შევხვდი ბახვას. იგი ცაგერადან მოდიოდა, ცოლოურობა იქა ჰყავს და საქმეზე ასულიყო. ბახვამ მართლაც მოიტანა ახალი ამბავი; ჯაბა იოსელიანი ცაგერას სკოლაშია. ათასხუთასამდე მეომარი ჰყავს გამზადებული თავისი ტექნიკით და დღეს კოჩარა უნდა გაათავისუფლოსო.

სიხარულით კინაღამ ცეკვა დავიწყე. შინისაკენ მოვქუსლე და მთელი ამბავი ტატიანას ჩავუკაკლე. მაშინ კი დაიჯერა, როგორც იყო. რკინის კასრის რეცხვა, რომელშიც სერვისი უნდა შეენახა, მიატოვა და თამარასთან წაიდა თოხარიკით. ჩემი მეუღლის მეშვეობით ეს ამბავი ათიოდე წუთში მთელმა კუთხემ იცოდა.

და მართლაც, დაიწყო ცაგერა-კოჩარას მიმართულებით გააფთრებული ბრძოლები, შეტევა დაიწყო. ახლა გვიანი ღამეა და არ წყდება სროლის ხმა. თუ რა შედეგები მოჰყვა ამ შეტევას, ალბათ ხვალისთვის გახდება ცნობილი. ერთი რამ ფაქტია—ცაგერას საზღვართან წინააღმდეგობა მაგარი გამოდგა. საღამო ხანს ჩვენმა თვითმფრინავმა პიკირებით დაბომბა მოწინააღმდეგის პოზიციები.

არადუს ფრონტზე მთელი დღის განმავლობაში სიწყნარეა. არადუ გახდა სოფელი, რომელმაც სხვა სოფლების მაცხოვრებლებს უჩვენა ბრძოლის მაგალითი. არადუში მტერს არც ერთი სახლი არ დაანებეს, მაშინ, როცა კოჩარა, ეს ვეებერთელა სოფელი, რომელშიც ხუთი-ექვსი არადუ ჩაეტევა, ერთიანად გადაბუგეს აფხაზებმა! არადუელმა ბიჭებმა მადა დაუკარგეს მტერს განმეორებით იერიშზე წამოსვლისა, მაგრამ მუდმივი სიფხიზლე აუცილებელია. ჩვენც არ ვაკლებთ სიფხიზლეს, მაგრამ ისევ და ისევ გვიშლიან ხელს.

დღეს მოგვიხსნეს ორივე ქვემეხი და ტყვიამფრქვევი და მერკულის ფრონტზე გადაიტანეს. ხვალ მერკულას უნდა შევუტიოთ. ეს კარგია, მაგრამ დავუშვათ და ამაღამ მტერმა ჩვენ შემოგვიტიოს! მაშინ? მარტო ავტომატებით ბრძოლა ძნელი იქნება.

კოჩარლები რაკი გამწარდნენ, გამოფხიზლდნენ. ამბობენ, მათ ბევრი იარაღი მისცესო. შიგ სოფელში დაიწყეს პარტიზანული ბრძოლები. ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა...

ბადრი ჩვეულებისამებრ დილით ადრე ახტა და ამხანაგებს შეუერთდა. ის და ვახტანგი მთელი დღე დარბიან — რაც შეიძლება სოფლის ახალგაზრდობას მეტი იარაღი აშოვნინონ. და აი, ამ სტრიქონების წერის მომენტში, ბადრიც მოვიდა და ორი ათეული ავტომატი მოიტანა სულ ახალი, გაზეთილი, ბიჭებიც შემოიყოლა და სიის მიხედვით ჩააბარა მათ იარაღი. ერთი ავტომატი მეც მხვდა წილად, მაგრამ ახალი არა, თამაზიმ თავისი ძველი ავტომატი მომცა და ახალი თვითონ „ჩაიჯიბა". აი, შენც ძველი კაცი ხარ და მოუხდებით ერთმანეთსო. მეც ამით დავკმაყოფილდი. ახალგაზრდობაში ნადირობა მიყვარდა და მიზანში ახლაც კარგად ვისვრი. თუმცა, ვერ წარმომიდგენია, როგორ ვესროლო კაცს, მაგრამ ის კაცი, რომელიც მშვიდობიან ადამიანებს ბრიყვებს, მკვდრებს თვალებს თხრის, ცხვირსა და ყურებს ჭრის, მხეცზე უარესი არაა? ალბათ, მეც არ ვითაკილებ ასეთ მხეცს ვესროლო, თუ კი მის მხეცობას შევასწრებ თვალს...

ამ სტრიქონებს რომ ვწერდი (ბადრი კი თავის ახალ მეომრებს აკვალიანებდა), ატყდა გააფთრებული სროლა. მოწინააღმდეგემ ცაგერას მხრიდან შემოგვიტია. ყველამ იარაღს დასტაცა ხელი და ფრონტის ხაზს მიაშურა. მეც მივატოვე წერა, დავსტაცე ხელი ჩემს ნაჩუქარ ავტომატს, ქამარზე ბადრისგან ნაჩუქარი „ფინკა" დავიკიდე და ქუჩაში გავედი. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სროლა შეწყდა. ბოლოს გაირკვა, რომ ცაგერადან უკან დახეული მოწინააღმდეგე, თურმე ჩვენს პოზიციებს მოუახლოვდა, უნდოდა ჯავრი ჩვენზე ეყარა, მაგრამ გადამღობ ცეცხლს რომ შეხვდა, კუდი ამოიძუა.

ამასობაში ჰალიდან (სოფელ არადუს ქვედა ნაწილია) მეავტომატეთა მთელი ოცეული ამოვიდა და პოზიციები დაიკავა. ამჟამად სოფელს მეავტომატეთა მთელი ასეული ჰყავს. ასეულის მეთაურად დანიშნულია ყოფილი კომენდანტი ჯემალ ბენდელიანი. ვუსურვოთ

მას კარგად გაერთვას თავი არადუში ბრძოლისათვის, რამდენადაც არადუ სტრატეგიული სოფელია ამ ომში. ვნახოთ, რას მოგვიტანს ამალამდელი ღამე. მეც ქუჩის დასაცავად მივეშურები.

ახალგაზრდები წინა ხაზზე წავიდნენ, ჩვენ, უფრო ხანში შესულები, თავს ვიყრით იასონთან. აქ არიან: დათიკო, გივი, ჟორა, ოთარი და ჩვენი მეუღლეები, ორი ახალგაზრდა—ედემი და ლევანი ახლად მიღებულ ავტომატებს აპრიალებენ და საბრძოლოდ ამზადებენ. ხანში შესულებს შორის მე ყველაზე ხნიერი ვარ. ოთარი გაგულისებულია, ავტომატების დარიგებას რომ ვერ მოუსწრო! მე მას ვაიმედებ, რომ ხვალ მაინც მიიღებ-მეთქი. მე რომ ხან თოფი მაქვს გადაკიდებული და ამჯერად ძველი ავტომატიც კი „დავითრიე", მეზობლები გაოცებით მიყურებენ, მათ იციან, რომ ახალგაზრდობაში კარგი მონადირე გახლდით ამ სოფელში (ადრე კი ლეჩხუმში), მაგრამ სამოცდაშვიდი წლის ასაკში ჩემი ასეთი აქტივობა, ცოტა არ იყოს, უკვირთ კიდეც. ავტომატს ახალი საკიდი ჩავაბი, მჭიდეები ჰილზებით დავტენე, ერთი მათგანი ავტომატს მოვარგე და საბრძოლოდ გავამზადე. მაშ ასე, რამდენი ვაზნა მაქვს, იმდენ გადამთიელს უნდა მოვუღო ბოლო. დანარჩენი კი თქვენთვის მომინდვია-მეთქი და იარაღი გადავიკიდე, ზოგმა სიცილი დაიწყო, ზოგმა ნახევრად ირწმუნა, ახალგაზრდებსაც გაუხარდათ, ედემიმ „ფინკა" გამისწორა ქამარზე და ასე გავხდი ჯარისკაცი.

კაცმა რომ თქვას, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, რაღაცისაგან მოწამელის ნიშნები მქონდა, მაგრამ განგებ არაფერს ვამბობდი ამის შესახებ, ადამიანებს ვამხნევებდი და მათაც, ასე თუ ისე, რაღაც სჯეროდათ. მერე ისევ ქუჩაში გამოვედი, მთვარიან ღამეში განვმარტოვდი და ათას ფიქრებს მივეცი თავი. კითხვები არ მასვენებენ — რა იქნება დღეს, რა იქნება ხვალ, როგორ უნდა ვიცხოვროთ ერთად ამ ხალხთან, რომლებმაც ასე შეირცხვინეს თავი. მე მაინც მიმაჩნია, რომ უბრალო რიგითი ადამიანები არაფერ შუაში არიან. არძინბამ თავისი მარიონეტობით მოწამლა აფხაზები, ინტელიგენცია და ახალგაზრდობა. მან დასაღუპავად გასწირა თავისი ხალხი. მეცხრამეტე საუკუნის „მაჰაჯირობის" დროს, რაც რუსეთმა მოუწყო აფხაზობას, მათი უმეტესი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა, ბევრიც აჭარაშია. თურქეთში აფხაზურად დიასპორა ამჟამად ოთხასი ათას კაცზე მეტია, მაშინ, როცა თვითონ აფხაზეთში ოთხმოცდაათ ათასს არ აღემატება. ვინ ედგა

მხარში მაშინ აფხაზებს? ქართველობა. ყოველ გასაჭირში ქართველობა ეხმარებოდა. ახალგაზრდებს მუდამ ჰქონდათ შეღავათები, მათ უკონკურსოდ ღებულობდნენ თბილისისა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველომ მისცა ტელევიზია, გაუხსნა უნივერსიტეტი (მაშინ, როცა აფხაზური ენა მხოლოდ მეოთხე კლასამდე ისწავლება), აფხაზურ ინტელიგენციას, რომელსაც ასე მოსწონს თავი, საშუალო სკოლის სახელმძღვანელო ვერ შეუქმნია. აქაც ქართველობა ეხმარება მათ. ყველა პასუხისმგებელ თანამდებობაზე მოკალათდნენ აფხაზები, დაიწყეს ქართველთა მასობრივი განდევნა ნარჩენი თანამდებობებიდან. ასე რომ, წარმოუდგენელი აპარტეიდი შეიქმნა აფხაზეთში; ამასაც თავი დავანებოთ, დაიწყეს ქართველთა საცხოვრებლების გადაბუგვა, ქალების გაუპატიურება, უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა.

ჰოდა, ამ ფიქრებით დიდხანს ვიხეტიალე ქუჩაში, წინა ხაზზე კანტიკუნტი სროლა გაისმის, ისევ სახლში შევდივარ და წერას ვაგრძელებ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბიუები შემორბიან, მათ ბადრი მოუძღვით და მახარეს, რომ დღეს ჩვენებმა ზურგზე ბოლი ადინეს მოწინააღმდეგეს, გია ყარყარაშვილმა თურმე მოთელა გათავხედებული მოწინააღმდეგე და კუტოლის მიმართულებით გაათავისუფლა დაკარგული სოფლები. მას მხოლოდ ერთი მეომარი მოუკლეს, ისიც შემთხვევით, ტანკისტი, რომელმაც დაუდევრად ლუკი ახადა ტანკს და გაუფრთხილებლად ამოჰყო თავი. ცაგერას მხრიდან კი ვეფხვიც დატრიალებულმა ჯაბა იოსელიანმა და მისმა ახალმა „ძმადნაფიცმა“ ჯემალ ქობალიამ კოჩარა გაათავისუფლეს. ვითომ შეგრელობა თანდათან გვრიგდება? ყოფილი პრეზიდენტის ძალები უკვე ჩაებნენ ბრძოლაში. იქნებ ექსპრეზიდენტმაც მოიბრუნოს გული და შეურიგდეს ახალ ხელისუფლებას, თუ ქართველობა გამთლიანდება, მაშინ საქართველოსთან ირანის შაჰიც კი ვერას გახდება (ეს თვითონ ირანის ყოფილი შაჰის სიტყვებია).

4 დეკემბერი.

ამ დილით აფხაზებმა პარტიზანული თავდასხმა მოგვიწყვეს. ნალმტყორცნით № 1 საგუშაგოსთან ორი სახლი დაწვეს და ორი გვარდიელიც დაგვიჭრეს. ჯერ კიდევ ვერაა სამხედრო ყაიდაზე

გადასული ყველაფერი და დისციპლინის დეფიციტი იგრძნობა, ბევრი სირბილი დასჭირდა ბადრის და მის ამხანაგებს დაჭრილის წასაყვანად მანქანა რომ ეშოვათ. არადა, არადუში ბევრი მანქანაა, მაგრამ ზოგი საწვავის არქონობითაა გაჩერებული, ზოგსაც კი ბარგით გამოტენილი, სადღაც ჰყავს შემალული და გასაქცევად გამზადებული. ასეთი ადამიანები არად დაგიდევთ დაჭრილს თუ მკვდარს და ცოცხალსაც, ოღონდაც თავი გადაირინონ და ოცდაათ ვერცხლად ეშმაკს სულს მიჰყიდიან. სოფელში მოიძებნებიან ექთნები, რომლებსაც შეუძლიათ პირველი დახმარების გაწევა, მაგრამ ზოგი გაბიზნესულია, ზოგიც პირუტყვის მოვლითაა დაკავებული.

ბადრი სულ გამოიცვალა, ნამდვილი დონ კიხოტი გახდა. იგი თავაწყვეტით გარბის ბრძოლის ველზე, ყველას უნდა დაეხმაროს, ერთ-ერთ საუბარში მან ასე უთხრა თავის ამხანაგებს: „მეზობლებო, ჩვენ აქედან რომ წავიდეთ, შეიძლება უკეთესი სახლებიც ავაშენოთ და უკეთეს ადგილასაც ვიცხოვროთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ, ამ მიწაში დასაფლავებული გვყავს ჩვენი ნათესავები და მათი სული გვიხმობს, არ წავაბილწვინოთ გადამთიელებს მათი საფლავები!“ ძალიან მომეწონა მისი ნათქვამი. ბადრი ფორმაში დგება. ვითომც არაფერი მოხდარიყოს, ისე მოსეირნობდა სახლიდან ჯოკია კოპალიანი, ხელები ვეებერთელა ქვაბისათვის შემოევლო და მხარზე ავტომატი გადაეკიდა, რომ ვკითხე რა არის ეს ჯოკია-მეთქი, მიპასუხა: „ბიჭები მოშივებული იქნებიან და სუპხარჩო მიმიქვს ცხელიო, აქეთ ჟორამ ჩაიდანი გამოარბენინა ცხელი ჩაით სავსე, სხვებმა პურები და რაღაცეები... ასე რომ, ბიჭების მოშივება არ შეიძლება. მოვალეობანი ნელ-ნელა ყველაზე ნაწილდება. ყველა როდი ასრულებს მას კეთილსინდისიერად, მაგრამ ასეა თუ ისეა, ომი მთელი ძალით შედის ფორმაში.

დღეს ავად ჩამოწოლილი სიწყნარე სუფევდა მერკულის ფრონტზე, ჩვენ კი დღეს ველოდებოდით მერკულის იერიშს არადუს ფრონტიდან, როგორც იცით, იქ გადაიტანეს ქვემეხები, რომლებმაც თავი ისახელეს ოცდაათი ნოემბრის შეტაკებისას. დღეს საღამოს ჩვენს მეოთხე საგუშაგოზე ტყვიამფრქვევი და ნაღმტყორცნიც მოხსნეს. ამან ხალხში დიდი პანიკა გამოიწვია. მშიშარა ხალხიც დაიძრა ზურგზე ბარგგადადებულები. ტატიანა-

მაც არ დააყოვნა და სახლში დამდუღრულივით შემოვარდა, ამაღამ თავს დაგვესხმებიანო. ვინ გითხრა-მეთქი? ვინ და ხალხი ლაპარაკობსო, ქუჩას მივაშურე და ხელში შემრჩა დათიკო, — პანიკის ერთ-ერთი ავტორი, ვუსაყვედურე, ხალხს ნუ აშინებ-მეთქი. მართალი არისო, ახლა გაიარა ბადრიმ მანქანით, იქნებ ტყვიამფრქვევის საქმე მოვაგვაროთ.

5 დეკემბერი.

დღეს მერკულის გორიდან მშვიდად ისროლა იქ ჩასაფრებული სატანა სნაიპერი, რომელმაც დღეს შუადღისას თავის ეზოში სიმინდის ჩალის ასაშრელად გასული შალიკო ახვლედიანი იმსხვერპლა. იმ გარეწარმა ტანკსაწინააღმდეგო ტყვია ესროლა მოხუც კაცს და შუაზე გააპო. ჯერჯერობით ვერავინ მისწვდა იმ ვერაგს და ისიც ნადირობს არხეინად...

დღეს დილითაც ორჯერ გვესროლეს ნაღმები, საღამოს კი ტყვიებიც დაგვიშინეს. სოფელში შემოჭრას ლამობენ, მაგრამ სტრატეგიული სოფელი ჯერჯერობით თავს იცავს, იმავე ცენტრი გვიშლის ხელს, ხან ქვემეხებს გვართმევენ, ხანაც ტყვიამფრქვევს.

ნაშუადღევს ბადრიმ შემოიარა და მითხრა: ახალგაზრდები უიარაღოდ გვყავს და ძველი ავტომატი რომ გაჩუქეთ, უკანვე უნდა წავიღოთო, ამ დროს, დაშლილ ავტომატს გულდასმით ვაპრიალებდი ზეთით. ბადრი მაკვირდება, მე პასუხს ვაგვიანებ, როცა აწყობა მოვამთავრე, ვუთხარი, მას ხრახნილი უკვე მოცვეთილი აქვს-მეთქი, მაგრამ მაინც გავსინჯავ, თუ კარგად ვისვრი მიზანში, მაშინ დამიტოვეთ-მეთქი. კარგიო, მითხრა, ეზოში ჩავედით, სამიზნე ისეთი მინდა მოვნახო, საიდანაც ტყვია შორს ვერ გაალწევს. ბადრიმ ქათმები შენიშნა და მითხრა, აი იმ დიდ ქათამს ესროლე, თუ მოარტყამ, ავტომატი შენი იქნებაო. მე ვთქვი: იმ ქათამს თავში, კისერთან მოვარტყამ-მეთქი. დამყაბულდა, სამიზნე ას მეტრამდე სიშორეზე იქნებოდა, ავტომატს ოპტიკური მოშორებული აქვს და ცუდი დასამიზნებელია, მაგრამ რისკზე წავედი. ლულაში მხოლოდ ერთი ვაზნა შევდევი და სამიზნეს გავხედე. ფავისროლე, ქათამი აფართხალდა და უსულოდ დაეცა. ვნახეთ, ტყვიას მართლაც იქ გაეცლო, სადაც ბადრის შევპირდი. იგი ჯერ პირდაღებული მაჩერდებოდა, შემდეგ ბეჭზე ხე-

ლი დამკრა და შესძახა: „ძველი“ ხარ, სიტყვას ვეღარ გადავალ, მხოლოდ იცოდე, კვერცხისმდებელი ქათამი რომ გააგორე, ტატიანას ვეღარ გადაურჩებიო. მართლაცდა, ღმერთმა დაგიფაროთ ისეთი წყევლა-კრულვისაგან, რაც ჩვენ ტატიანასაგან მივიღეთ, მაგრამ ბოლოს მაინც დავამშვიდეთ მამა-შვილმა და მერე ხმამაღლა არა, მაგრამ მაინც დიდხანს ბუტბუტებდა თავისთვის, „ღმერთმა შეგაჩვენეთო“. როცა გაპუტული ქათამი გაკვეთა და მუცელში დასადებად გამზადებული რამდენიმე კვერცხი ალმოუჩინა, ისვე მორთო კივილი.

ბაღრამ მითხრა: ამ იარაღის შენზე გადმოცემა რომ გავამართლოთ, (იარაღის დამრიგებელი თვითონ იყო), შენც ადექი და შენს გარშემო შემოიკრიბე შენსავით მოხუცი თანასოფლელები და დაამყარეთ წესრიგი, ბოლო მოუღეთ პანიკიორობას, უსაქმურობას, უველას გააგებინეთ, რომ გადავდივართ სამხედრო წესებზეო.

დიდი სამამულო ომი მომაგონდა, მაშინდელი გამოცდილება ახლა ძალიან საჭიროა. ბადრის დავეთანხმე და გულში მოქმედების გეგმა მოვხაზე. უველაფერს გავაკეთებთ-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ ფრონტზე მყოფი მწერალი ყოველთვის სამხედრო კორესპონდენტად ითვლება. მე ასეთი ვარ და იარაღიც მეკუთვნის, თანაც ფოტოხელოვანი ვარ და განზრახული მაქვს სტრატეგიული სოფლის დაცვის ამსახველი ფოტომასალები, იმ მეომართა სურათები შევქმნა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მტერთან ბრძოლაშიმეთქი. კარგიო, მითხრა. ამ დროს ბიჭებმა მოიკითხეს, ნაღმსატყორცნები გვაქვს და ნაღმები არაო, ტყვიამფრქვევსაც რაღაც გაუფუჭდაო. ისინი მანქანაში ჩაჯდნენ და სასწრაფოდ გაეშურნენ საქმეზე. მე უველაფერი შინაური საქმიანობა შევწყვიტე, ქუჩაში გამოვედი, ჩემთანა „ძველი“ ადამიანები შევაგროვე, ისინი ათამდე იყვნენ და მოქმედების გეგმა შევთავაზე.

„ახალგაზრდებო“, ახლა ასაკს მნიშვნელობა აღარ აქვს, თუ ვინ დაიცავს სოფელს და თავის სახლ-კარს, ვისაც რა შეგვიძლია, ის უნდა გავაკეთოთ-მეთქი, როცა ვითარება ავუხსენი, უმრავლესობა დამეთანხმა, გვიგანა მხოლოდ ლადიამ, რომელიც უველაზე მეტს ბღავის, როცა მტრის ტყვია გაიხუხუნებს, უოველგვარ საქმეზე ზურგს გვაქცევს. რა ვუყოთ? ჯერჯერობით თავს ვიკავებთ მისი „გაჯოხვისაგან“, იქნებ თვითონ მოეგოს გონს. ცხრა კაცი წავედით და ჩვენს ორღობეში, რომლის გასასვლელი ჩაის პლან-

ტაციას უერთდება და საიდანაც ხელსგულივით მოჩანს მტრის ადგილსამყოფელი, ახალი საგუშაგოს ადგილი შევარჩიეთ. ორ-ორი მიწით სავსე ტომარა წავიღეთ თითო კაცმა, ტომრები სამ-ჩიგად დავაწყვეთ, გადავხურეთ, ძელსკამიც დავდგით და შევნიღბეთ. მშვენიერი ახალი საგუშაგო გამოგვივიდა, რომელსაც „ვეტერანთა საგუშაგო“ დავარქვით. საღამოს შევეკრიბეთ და გუშაგობის განრიგი დავადგინეთ. იარაღი? ჩვენი შეიარაღება ასეთია: ერთი ჩემი ხანდაზმული ავტომატი, ერთი მჭიდეთი, ორი სანადირო თოფი, ერთი ცული და ფიწლები, აბა, ყველას რომ ავტომატური იარაღი გვქონდეს, ცხრა ავტომატით შეიძლება ასი კაცი გარეკო ჩვენი დიდებული საგუშაგოდან...

6 დეკემბერი.

წუხელ ჩვენს საგუშაგოზე ბუჭუნა და გივი დარაჯობდნენ, ერთი უკვე სამოცი წლისაა, მეორე ცოტათი უმცროსია, გულით ახალგაზრდობენ მაინც. ჯერ გულითადად ბაასობდნენ, მაგრამ, როცა ყინვამ მოუჭირათ და აკანკალდნენ, მაშინ კი მოყუნენ გინებას, ჯერ აფხაზებს გადმოუტრიალეს ყველაფერი, მერე ჩვენ ჯერიც დადგა, რამ მოაფიქრა ამ ახალი საგუშაგოს გაკეთებაო. გათენებამდე მაინც ვერ გაძლეს და სახლებს მიაშურეს, თუმცა გათენებისას ისევ ქუჩაში გამოვიდნენ მოსაჩვენებლად, თითქოს ეს-ესაა საგუშაგოდან ბრუნდებოდნენ. მე თბილი ქურქი ჩავიცვი, იარაღი ავისხი და მათ შევუერთდი. მივედი და საყვედურებით ამავსეს: წუხელ შენი ავტომატი რატომ არ მოგვეციო, ათჯერ მაინც გაიმეორა გივიმ, მეც, ჩემი გასასამართლებელი საბუთები მოვიშველიე, ბატონო გივი, — ვუთხარი, — ავტომატების დარიგების სიაში შენ შეტანილი იყავი, მაგრამ, როცა მათი დარიგების დრო მოვიდა, შენ სადღაც წადი-მეთქი, იქით მოვდევი შარი. მეორეც, როცა გუშინ საქმე დავაკვალიანეთ და ყველაფერი მოწესრიგებული გვეგონა, მაშინ აურია ბუჭუნამ და ჟორამ, ლადიაც განზე გადგა. თითქოს მას არც ეხებოდეს ეს ომი და ქუჩაში ყველას ეჩხუბება; სმას გადაყვა, თუ ტყვია ახლოს გაჟურბენს, ბღავის... ასე ჩრომ, ერთმანეთზე არიან გადაკიდებული. ვთქვათ, ავტომატი მივეცი ბუჭუნას, რა გარანტია მაქვს, რომ ამ „აფსიხებულ“ ჭკუაზე იმ ავტომატით შეზობელს არ ესვრის? განა ამის

მაგალითი არ გვაქვს? სასაფლაოზე ცოლისძმამ სიძეს სხვისი ავტომატი დაახალა (თუმცა იმ სიძემ ცოლისძმას თავი თურმე იმით დაამახსოვრა, რომ ბალახის გულისათვის პისტოლეტი ესროლა). მარტო ბუჭუნას კი არა, არც ერთს არავის ავტომატს არ მოგცემთ, თქვენი იარაღი შეიძინეთ და მოიხმარეთ-მეთქი. ეს არგუმენტები იმისთვის მოვიტანე, რომ ცოტა არ იყოს, ხალხი დამეფიქსირებინა. ათი მოსახლის ფარგლებში ამდენი ერთმანეთის ქინი, ქრ[illegible]. მხარში ამოუდგომლობა, პირში ლაქუცი და ზურგს უკან ორმოს გათხრა ვის გაუგონია, ეს კუთხე მინიატურული საქართველოა და ამან დაგვღუპა. ახლა მაინც თავი დაანებეთ ამ ჭიშპობას, დაძმობილდით, დაიფიწყეთ ურთიერთწყრომა, მტერი კარზეა მოსდგარი და კერიას გვინგრევს-მეთქი. მერე საუბრის თემა შევცვალე. ფიცხები არიან, თუმცა დამყოლნი, უთავბოლო რამეზე წაკინკლავდებიან და თვეობით ემდურიან ერთმანეთს, არ უყვართ მხარში ამოდგომა. ბადრის ადვილად შეუძლია მათი დარწმუნება, ერთ ხმამაღალ სიტყვას არ ეტყვის ვინმეს. ერთხელ იგი ლადიამ უმიზეზოდ გამოლანძღა მის სახლში, ბადრიმ სიცილში გადაატარა წყენა, მეგონა, ბიჭი სამუდამოდ მოემდურებოდა, მაგრამ მეორე დღესვე ლადიას ძველებურად ებაასებოდა. მე უფრო ფიცხი ვარ ბადრიზე, ამიტომ ვცდილობ, ხშირი კონტაქტები არ ვიქონიო ამ „ბებრებთან“, თუ ნამეტანი არ აიშვეს თავი. ბოლოს მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ და ჩვენი სოფელი მტერა არ დავუთმოთ, თორემ ჩვენი მეზობელ კოჩარიდან აფხაზებმა ოთხასი კოჩარელი წაიყვანეს ტყვარჩელში მძევლებად, თან გაირეკეს საქონლის ჯოგი, წაიღეს კოჩარის მთელი ქონება. კოჩარა დღესაც აფხაზების ხელშია და ცრუობს საინფორმაციო სამსახურები — კოჩარა დავიბრუნეთო. სოფლებიდან ჯერჯერობით თავის ადგილზე არიან მხოლოდ არადუ და ცაგერა და არავინ ფიქრობს მათ ჩაბარებას...

დღეს დილით მოქვის მხრიდან გვესროლეს რამდენიმე ნაღმი და ავტომატის ჯერიც დაგვახალეს...

გათენებამდე აშარიდან გასროლილი ქვემეხების ნათება კვეთდა ჰორიზონტს, ჭურვები მერკულის გორაზე ეცემოდა. დახლოებით ცხრა საათზე ჩვენთან უცხო სამხედრო თვითმფრინავებმა შემოხაზა ოჩამჩირის გარეუბნები და სადღაც სიღრმეში ბომბებიც ჩამოყარა. ათის ნახევარზე ცაგერასა და კოჩარის მიმარ-

თულებით მოხდა გააფთრებული შეტევა, რომელსაც ცხელ კვალზე ვაფიქსირებ ჩემს ახალ საგუშაგოსთან ჩამჯდარი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ყველაფერი.

აქ ოდესღაც გაუვალი ტყე იყო. ორმოცდაათიან წლებში აქ მაღალმთიან სოფლებიდან ჩამოასახლეს ცაგერა, არადუ, უფრო ადრე კოჩარა. იმ ადგილებში, სადაც ახლა ბრძოლა მიმდინარეობს, გაუვალი ჭაობები, მუხის ჯაგნარი და ისეთი ეკალბარდი იყო ერთმანეთში გადახლართული, მწოლოდ გარეული ნადირი თუ გაიგნებდა გზას. ამ ხალხმა სისხლისა და ოფლის ღვრით აითვისეს ეს მალარიით გაჟღენთილი ადგილი. გააშენეს ჩაის პლანტაციები, ციტრუსები, ვენახი, ხეხილი, წამოჭიმეს ორსართულიანი ოდა სახლები, შეიძინეს ქონება და აი, ყოველივე ამას თვალი დაადგა გადამთიელმა ავანტიურისტმა და სხვისი ნაოფლარის მითვისება მოინდომა.

ვზივარ ჩემს საგუშაგოში და გავცქერი ჰორიზონტს, სადაც წიწვოვანი ხეების ქარსაფარი ზოლია, რომელიც გაჭიმულია ცაგერასა და ჩაის საბჭოთა მეურნეობას შორის, გაღალმით კოჩარაა, საცოდავი კოჩარა, რომელმაც თავისი თავკაცების დოყლაპიობით, თუ გამცემლობით თავი ხიფათში ჩაიგდო, მტერს მიუგდო საჯიჯგნად თავისი ნაოფლარი საცხოვრებელი. აფსუს, სვანებო, კოჩარის მაცხოვრებლებო, აფსუს, კოჩარელო მარგალებო, მტერს თავი როგორ დააჯაბინინეთ!

ახლა, ამ ხეივნის გადაღმით გააფთრებული ბრძოლებია, კოჩარლებს კოჩარა ხელმეორედ ასაღები გაუხდათ, თუმცა, იქ მარტო კოჩარლები რაძა გახდებოდნენ.

საღამო ხანს ამბავი მოვიდა, რომ ბევრია დაჭრილი და დაღუპული, როგორც კოჩარლები, ისე დანარჩენებიც. ახლა უკვე ღამეა და ბრძოლა მაინც გრძელდება...

ყარყარაშვილის მებრძოლებმა გაათავისუფლეს სოფელი ლაბრა, სადაც მცხოვრები სომხები არ გამოირჩევიან ჩვენი დიდი კეთილმოსურნეობით და უფრო გადამთიელებს უწყობენ ხელს. სწორედ იმ ლაბრის გზით ჩამოდიოდნენ ტამოშის ხიდთან და სულს უმწარებდნენ ტრასაზე გამვლელებს. ქეთევანა, რომელიც აფხაზებმა გადაბუგეს, ახლა ყარყარაშვილს ალყაში ჰყავს მოქცეული.

მერკულის გორაზე კვლავ თამაშობს ის თავხედი სნაიპერი,

რომელმაც დღეს კიდევ დაასახიჩრა სოფლის მშვიდობიანი სამი ადამიანი, ისინი თავიანთ სახლებში საქმიანობდენ. ესენია: იმერა აკობიძე, რომელსაც აკა-ის „დაღლილი“ ტყვია მარჯვენა ძუძუსთან მოხვდა და კანის შიგნით გაჩერდა, გრიშა ლეთოდიანს კანიანად ჩაევლო ხელი ტყვიისათვის, შიგნით არ გავიდესო და გაფითრებული კაცი ისე გააქანეს ჰოსპიტალში. ავთანდილ ბენდელიანს ორივე ფეხი გაუხვრიტა ტყვიამ მუხლებს ქვემოთ. საწყალი ბიჭი დიდი ხანი არაა, რაც მოტოციკლეტით ავარიაში მოჰყვა და ორივე ფეხი მოიტეხა, სამი თვის მკურნალობა დასჭირდა იმ საცოდავს და აი ახლა, ისევ მოამტვრიეს ფეხები, მესამე მსხვერპლი დასაზუსტებელია და შემდეგ მოგახსენებთ...

ბადრიმ და ჯემალიმ საღამო ხანს ტყვია-წამალი წაიღეს და საგუშაგოების შესამოწმებლად წავიდნენ.

7 დეკემბერი.

ვზივარ ჩემს მიერ მოწყობილ საგუშაგოზე დილაუთენია იარაღით ხელში და ველოდები, როდის შემომიტევს ათასი ჯურის დაქირავებული ავანტიურისტი, რომლებიც ასე ბლომად ჩამოიყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთში. წუხელ მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა გააფთრებული ბრძოლები სოფელ კოჩარის მიმართულებით; კოჩარლების მიერ გაფუჭებული საქმის გასწორება ძნელი გამოდგა, რადგან მტერმა, როგორც კი დაიმორჩილა კოჩარა, იქ მოაწყო ძლიერი თავდაცვა, თანაც მძევლად აიყვანა მთელი სოფელი და იქ მაცხოვრებლებს, რა თქმა უნდა, ფარად იყენებს.

არადუში მოსული გვარდიელები და მხედრიონელები კარგა ხანია წავიდნენ, არადუს დაცვა თვითონ სოფელმა იკისრა, როგორც იცით, იმ გმირული დღის შემდეგ ჯაბამ 80 ავტომატი გვაჩუქა. ახლა, არა მარტო არადუს, არამედ ამ სოფლის ოცამდე გვარდიელი ოცეულის მეთაურის ვენორი კოპალიანის მეთაურობით რაიონის სხვა ადგილებში იბრძვის.

ჩვენგან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც ის ხეივანი მთავრდება, გუშინ რომ მოგახსენებდით და მას „მაზანკას“ ეძახიან, ჩასაფრებულია სნაიპერთა ჯგუფი, ისინი მოსვენებას არ აძლევენ სოფელს ჩრდილოეთიდან. ეს ადგილიც მერკულის გო-

რაჭავით აშაღლებულია და იქიდან ხელისგულივით მოჩანს ჩვენი სოფელი.

გუშინ ახალგაზრდათა ჯგუფმა მოილაპარაკა, ღამით ის საცეცხლე წერტილი მოეპოვოთ. შეიკრიბა თერთმეტი გაბედული ახალგაზრდა. ჯგუფი მთვარის ჩასვლას ჩაის პლანტაციაში ელოდება, მანამდე თითო-თითოდ, ნაღმების გვერდის ავლით, ხან ხოხვით, ხან გადარბენებით მტრის საცეცხლე წერტილის მიმართულებით მოიწევენ და უკანიდან შოვლით უახლოვდებიან მას,

აი, მთვარეც ჩაიძირა ზღვაში. ახლა არემარეს მხოლოდ ვარსკვლავების ნათება ხდის ხილულს, მაგრამ სიძნელეს შეჩვეული ჩვენი ბიჭები კარგად ერკვევიან გარემოში. როცა ალიონმა აღმოსავლეთი გაანათა, ჩვენი ბიჭები ავაზასავით ეძგერნენ საგუშაგოზე მდგომ მოწინააღმდეგეს. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ იმ საგუშაგოს დამცველთ აზრადაც არ მოსვლიათ, თუ რა მოხდა. ყველაფერი ხუთიოდე წუთში მოთავდა. გაქცევა მოასწრო მხოლოდ ორმა. დახოცეს ექვსი, ჩვენგან არც ერთი არ მოუკლავთ და არც დაუჭრიათ, აი, ნადავლიც: ორი ნაღმმტყორცნი („მუხა"), ერთი მძიმე ტყვიამფრქვევი, ტყვია-წამალი, ნაღმები, ბინოკლი. ეს ყველაფერი გოვი ბენდელიანმა მიამბო. ეს ის გივია, რომლის ეზოს ბოლოში გვაქვს მოწყობილი საგუშაგო და დღე-დაღამ თავისი ორლულიანი თოფით მუხლჩაუდრეკლად დგას. მისი ქალიშვილი და სიძე ცხოვრობდნენ დაბა ოფნარში, სადაც ტრაგედია დატრიალდა. შვილი, სიძე და შვილიშვილები ბეწვზე გადარჩნენ და წყალტუბოში მოხვდნენ ლტოლვილებად. გივას აწუხებს არა მარტო თავისი შვილების და შვილიშვილების ბედი, იგი გულით იზიარებს ყველას გასაჭირს და შურისძიების ჟინითაა შეპყრობილი. გივის მეუღლე ვალია წარმოშობით უკრაინელია, მაგრამ მან ისე კარგად შეისწავლა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები, რომ მგონი უკრაინული სულ გადაავიწყდა.

საგუშაგოდან გამოვიქეცი და ჩემი თვალით ვნახე მოიერიშე ბიჭები, რომლებსაც გვიან ღამით მთელი სოფელი მოჰყვებოდა ზეიმით. აი, ეს ბიჭებიც, რომელთა სახელები საჭიროა იცოდეს მომავალმა თაობამ:

1. კოპალიანი ვენორი ჭიჭიკოს ძე — ოცმეთაური.

2. სვანიძე ელგუჯა ბაგრატის ძე — მეორე ასეულის მეთაურის მოადგილე.

8. გასვიანი ტარიელი დავითის ძე — ოცმეთაურის მოადგილე.
4. მახარობლიძე გიზო გიგლას ძე — ათმეთაური.
5. კოპალიანი ავთანდილ გუშერის ძე — მძღოლი, რიგითი.
6. ფორჩხიძე ტარიელი ნოდარის ძე — რიგითი.
7. ზახაროვი ზურაბ ზაქარიას ძე — რიგითი.
8. ბენიძე ჯეირანი ბიჭიკოს ძე — რიგითი.
9. მამარდაშვილი ემზარი რომანოზის ძე — რიგითი.
10. კარტოზია მერაბი ალექსის ძე — სოფელ ნოქვიდან, რიგითი.
11. ქანდაბაძე შოთა (ანგელო) სიმონის ძე — რიგითი.

მათ სათითაოდ გადავეხვიე, მივულოცე, სამახსოვრო ფოტოსურათები გადავიღე, ბიჭებმა ნადავლი ბინოკლი მაჩუქეს...

ვაგრძელებ დღის მოვლენების თხრობას.

საღამო ხანია, ჩემს საგუშაგოზე ვზივარ და ვაგრძელებ წერას. აქეთ რომ მოვდიოდი, ქუჩაში ჩემი ათეულის „მოხუცი“ ბიჭები გივი, ლადია და დათიკო იდგნენ და კამათობდნენ. დათიკო, ამაღამ შენ ცვლის უფროსი ხარ ჩვენს საგუშაგოზე-მეთქი, „არის, ამხანაგო უფროსო!“ — გამომეჭიმა დათიკო. ხის მორებზე ლადია ჩამომჯდარიყო, ფეხები განიერად გაეშალა და ხელით ცხვირს ისრესდა, როცა ცხვირის სრესას მორჩა (იგი გადაკრულში იყო), თქვა, ბებრების საგუშაგოზე მე არ ავალო. თუ წავალ, ზევით წავალო, იქ ახალგაზრდების საგუშაგოებია. მათ კამათი გააგრძელეს, მე უსიტყვოდ წამოვედი, ასე სჯობდა, უჯიათი კაცის მორჯულება ძალიან ძნელია...

საღამო ხანს მთების მხრიდან, ძალიან მაღალ სიმაღლეზე, სამხედრო თვითმფრინავმა გადმოიჭროლა, სამჯერ თუ ოთხჯერ წრე შემოავლო ტყვარჩელსა და მთელ აფხაზურ დასახლებას. დაბომბვა არ მომხდარა.

ბადრი და მისი ამალა დღეს ორჯერ მოვიდნენ. გახარებული იყვნენ ჩვენი ბიჭების გმირობით. ჩვენს შეიარაღებას ახლა ერთი ტყვიამფრქვევიც შეემატა და ამას მაინც ვერ მოგვიხსნიან ოჩამჩირიდანო. სიხარულით ცეკვავდნენ, ბიჭები ჯილდოზე უნდა წარვადგინოთო. ცუდია, რომ მთავრობამ ჯერ კიდევ ვერ დააწესა ჯილდოები აფხაზეთში და სხვაგანაც ჩვენ ბევრი გმირი გვყავს, ნამდვილი გმირი და რატომ არ გადმოიღებენ დიდი სამამულო ომის გამოცდილებას?

8 დეკემბერი.

ინფორმაციის წყაროები გადასცემენ ჩვენი სახლემწიფოს მეთაურის (როგორც იქნა) ნათქვამს იმის შესახებ, რომ აფხაზურ კონფლიქტში პოლიტიკური მოწესრიგების ყოველგვარი ცდა ამოიწურა და საჭიროა გადამწყვეტი მოქმედების დაწყება, ომი უმოკლეს ვადაში უნდა დამთავრდეს და აფხაზეთში ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, გამომბრძმედილი პოლიტიკოსისათვის რასაკვირველია, მძიმე იყო იმის თქმა, რომ პოლიტიკური მოწესრიგების შინაარსი ამოიწურა, მაგრამ ძველთაგანვე ნათქვამია: „თუ გინდა მშვიდობა, ომისთვის უნდა ემზადოო“.

რუსეთის პარლამენტში ხელჩართული ბრძოლაა, ვინ გაიმარჯვებს, ჯერ არ ვიცით. კონსერვატორები და ყოველი ჯურის შემარჯვენე, შემარცხენე მიმართულების ადამიანები გააფთრებით უტევენ ელცინს, ელცინი არ თმობს, იგი მახვილით იცავს გაიდარს და მის რეფორმას. დემოკრატიული ძალები მოისუსტებენ, შეკავშირება აკლიათ. ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს ყრილობა, მის შედეგებს საქართველოსთვისაც მნიშვნელობა აქვს.

დღეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების მეორე დღეა. მოსკოვის შედეგები ჯერ არ ვიცით, მოვლენები ერთმანეთზეა გადახლართული. ამ ფონზე აფხაზები და მათი მხარდამჭერები აქეთ-იქით დაფარფატებენ და გააფთრებით გვიწევენ წინააღმდეგობას, მათ ისევ მხარს უჭერს რუსეთის ავიაცია და რუსი გენერლები. საჭიროა ცაში ჩვენი თვითმფრინავების გამოჩენა, თორემ ძალიან აიშვეს თავი.

ახლა ისევ არადუს ამბებს მივუბრუნდეთ. დღეს დილაადრიან ერთ სვანს, სოზარს შევეჩეხე. მან ჩემს საგუშაგოსთან გამოიარა თავისი ცოლით და თორმეტიოდე წლის გოგონათი. ამ კაცის ძმა მიზდონი ჩვენს სოფელში ცხოვრობს. თვითონ აფხაზური სოფლის მოქვის განაკრდეში სახლობს. ტერიტორიულად ეკუთვნის სოფელ მოქვს. აფხაზებმა დაიბარეს თავიანთ საბჭოში და უთხრეს, რომ აღარ თოფი და ებრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. მან უარი განაცხადა, მოხუცი ვარო (ახალგაზრდა რომ იყოს იბრძოლებდა?). მერე რაზე მორიგდნენ, ვინ იცის. ერთი კი ფაქტია, რომ რაღაცას ჰკითხავენ ჩვენი ძალების შესახებ, მან პირდაპირ პიკეტები უნდა გაიაროს და რაღაცასაც დასტყუებენ. სოზარიმ კი არა, იუდამ ოცდაათ ვერცხლად ქრისტე გაყიდა. ეს მამაცხონებულიც ამდგა-

რა და დღეში იქით-აქეთ ორგზობას მაინც აკეთებს თავისი ცოლ-შვილით. ყველა იმას გაიძახის, ეს კაცი ამ სოფელს დაღუპავსო. მაგრამ თქმით კი არავინ არაფერს ეუბნება. და როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ?

ჰოდა, დილით ამ კაცს შევეჩეხე. ადამიანურად ვუთხარი, ზევით არ წახვიდე, ერთ ადგილზე დამაგრდი-მეთქი, მან ჩემი თქმა არაფრად ჩააგდო და გზა გააგრძელა. მე ავტომატს ხელი ვსტაცე და გამაფრთხილებლად ჰაერში გავისროლე. მაშინ კი იკადრა უკან მობრუნება და ძმის სახლისაკენ მოქუსლა. მხოლოდ მაშინ გამოყვეს თავი ქუჩაში ზოგიერთმა და შემაქეს — კარგად მოიქეციო. გავბრაზდი და მათ შევუყვირე: თუ ასე ფიქრობდით, სად იყავით აქამდე, რატომ ჩემამდე არაფერი უთხარით-მეთქი?

ჰიჰიკო წუხელ ცვლაში იყო ჩვენს ახალ საგუშაგოზე, შემომჩივლა, გავცოდიო. შენ რას აკეთებ, ერთი ორი ხაათი თუ გაჩერდები საგუშაგოზე, დიდი ამბავია.-მუთქი, თანაც ვეხუმრე, შენს ცვლაში მე „დესანტი" სვანი დავიჭირე-მეთქი, ჰიჰიკო რწყილივით ახტა და დახტა, მაგრადაც გამომლანძღა, ავტომატი რომ ჩამოგკონწიალებია, ამისთვის ციხეში ამოგაყოფინებ თავსო. გადაირია ის შეჩვენებული (არადა კარგი მეზობლობა გვქონდა აქამდე). ცოლმა ძლივს დააწყნარა, თორემ „გაბრტყველებას" მიპირებდა. აი, ასე შეცვალა ადამიანთა ხასიათები ომმა. საგუშაგო ლამია მიმიტოვეს, ყველა განზე დადის. ამ ხალხს მართლაც მკურნალობა დასჭირდება ომის შემდეგ.

ბადრი, ჟორა გივი დ ვახო სოხუმს გაემგზავრნენ, კარგი იარაღი ეგებ ვიშოვოთო. გვიანი ღამეა და არ ჩანან. ჯავრით გული მისკდება, ოჩამჩირე-სოხუმის გზაზე ვინ იცის, რა მოხდება.

9 დეკემბერი.

ღამეს თეთრად ვათენებ, მეუღლეს კი ვაიმედებ, მაგრამ თვითონ შიშის ზარი მზარავს. სოხუმს წასულები არ ჩანან. ვალია გადარეულია, ქმარი დამეკარგაო, ხან კომენდანტთან შეირბენს ხოლმე, ხანაც — ვისთან, რამდენი მანქანის ხმას გაიგონებს, ქუჩაში გამორბის, ვახოს ოჯახის წევრები ლტოლვილებად არიან გადაკარგული და მათ რა იციან, ვახო რა დღეშია, ისიც ჩვენი საჯავროა. ჟორა კინდღში წავიდა, ტამიშში მოკლული ძმა ვერ

დაიტირა ამდენ ხანს. კანტიკუნტად სროლებს უკვე აღარ ვაქცევთ ყურადღებას. ავდრიანი დღეა, წვიმს.

თორმეტ საათზე „ჟიგული“ შემოგრიალდა და ჩვენი „ყაჩაღებიც“ მოვიდნენ. ძლივს დავიჯერეთ, რომ ცოცხლები იყვნენ. ჟორას ძმა და კიდევ ოთხი მისი ამხანაგი ტაძიშის გზაზე მოეკლათ ავტობუსში. ხუთი დღე ტრასაზე ყოფილა დაგდებული საწყალი ბიჭი. გაუხდიათ ყველაფერი, გაუძარცვავთ, თხუთმეტი ათასი მანეთი ფული წაუღიათ. ათარადან მოკლულების გამოყვანის დროს კინდღაში მოუკლავთ ჩვენი მოგვარე ბიჭი, მაჯებში ეკალმავთული ჩაებათ და ისე უთრევიათ.

მოდის ურთიერთ საწინააღმდეგო ცნობები კოჩარის შესახებ. ვინ ამბობს, დაიბრუნესო (ცენტრალური ცნობები). ვინ ამბობს, ვერ დაიბრუნესო. სინამდვილეში კოჩარაში გამაგრდა მოწინააღმდეგე და ცხენისწყლის იქით წასვლის საშუალებას არ აძლევენ ჩვენებს, როგორც ჩანს, თვით კოჩარაშიც ორპირობაა. დარტყმა და რეპრესიები უმეტესად განიცადეს კოჩარის იმ მაცხოვრებლებმა, რომლებიც ორმოც-ორმოცდაათიან წლებში დასახლდნენ. სავეკუოს (ეს მთელი მეოთხედი კოჩარაა) შეპირდნენ მოწინააღმდეგენი, თქვენ ხელს არ გახლებთო და სავეკუოდანაც ჯერ თოფი არ გავარდნილა. ხედავთ, რა ცბიერად მოქმედებს მოწინააღმდეგე? კოჩარაში უკვე დაუპირისპირა ერთმანეთს ბრიგადები.

მერკულის გორაზე ისევ ძველებური მდგომარეობაა, ხოლო ჩვენთან დამხმარე ძალები არ მოდიან. ის ორი ქვემეხი, რომელთაც ასე ისახელეს თავი გაჭირვების ჟამს, ჩვენთან აღარ არის.

10 დეკემბერი.

ბადრისთან ბიჭები დილით ადრე შეიკრიბნენ, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ბენზინი ვერ იშოვეს და რა ქნან, აღარ იციან, არადა, ოჩამჩირიდან ტყვია-წამალია მოსატანი, ათასი ფრონტული პრობლემაა გადასაწყვეტი. არიან ისეთებიც, რომელთაც ოჯახში აქვთ ბენზინი გადამალული, მაგრამ გაჭირვების ჟამს ერთ გრამსაც არ ელევიან. ამ წუწურაქებს კი ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა. თითოეულმა მათგანმა თავისიანებისათვის, რომელთაგან ზოგი ცხრა მთას იქით ცხოვრობს, რამდენიმე საკარმი-

დამო ნაკვეთი შემოაკავა, მოსავალიც ბლომად აიღეს ამ ნაკვეთებიდან და სასიმინდეები აავსეს, ჩალის ზვინები წამოჭიმეს. ფრინველი და პირუტყვი მოამრავლეს, იმას კი ვერ ხვდებიან, უველა ამ ქონებას დაცვა რომ სჭირდება. მათ სურთ, სხვამ შეუშვიროს ტყვიას შუბლი და თვითონ უველაფერი ფეხებზე დაიკიდონ. სწორედ ესენი არიან, საგუშაგოზე რომ არ გამოდიან, ქუჩებში პანიკიორობენ, მანქანებსა და ბენზინს მალავენ, ერთი სატყვით, მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. სოფელში არ არის წესრიგი, საჭიროა გადამჭრელი მოქმედება. ბაღრი და მისი ბიჭები თავს არ ხოგავენ, მაგრამ უფრო მეტი ამრევი სჭარბობს. თავგადადებულად მუშაობს დათიკო. ცდილობს რამენაირად შუქი ჰქონდეს ქუჩას, მაგრამ ელექტროქსელში მრიცხველის გვერდს ავლით ისეთ რამეს ჩაურთავენ, რომ ქვესადგურის მოწყობილობა ყოველდღე გამოდის მწყობრიდან. ამ საქმეში უველაზე მეტად დაოსტატებულია ლადია, მან მხოლოდ თავისი თავი დაიკმაყოფილოს და სხვების ჯავრი არა აქვს. ლადია დათიკომ გამოიშირა, ჯარიმით დაემუქრა და „ლევი" ხაზებიც გადაუჭრა. სოფლის უმეტესობას არ აქვს შუქი, არ მუშაობს წისქვილი, სატანა სნაიპერი მერკულის გორიდან კობრასავით დასცქერია არადუს და საშუალებას არ აძლევს ხალხს, მოაწესრიგონ თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება.

გვესმის ტანკების რახრახი, დროდადრო უცნობი თვითმფრინავი შემოუფრენს ხოლმე მთისწინეთს, სადაც აფხაზური დასახლებებია; ისევ გაურკვევლობა, ისევ უიმედობა, ისევ ერთ ადგილზე ტკეპნა; ათასნაირი ჭორები, გულისგამწვრილებელი ცხოვრება.

რუსეთის პარლამენტში იმძლავრა პარტოკრატიამ. დეპუტატთა უმრავლესობამ უარი უთხრა გაიდარის დამტკიცებას პრემიერის პოსტზე. გაგულისებულმა პრეზიდენტმა ხალხს მიმართა და რეფერენდუმი მოითხოვა, ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება ეს მარათონი.

მოწინააღმდეგე ცდილობს კოჩარის მხრიდან დაიბრუნოს სოფელი ლაბრა და ისევ გავიდეს ტამიშის გზაზე, ამის დაშვება არამცდარამც არ შეიძლება. სოხუმს მტერმა არტილერიის ცეცხლი დაუშინა. ჰურვი მოჰრტყეს სოხუმის ვაგზალს, რაც რეაქცია იყო იმაზე, რომ ფუნქციონირება დაიწყო სოხუმ-თბილისის რკინიგზამ. ჰურვები მოხვდა სუბტროპიკული მეურნეობის ინს-

ტიტუტს და მის საერთო საცხოვრებელს. აფხაზეთი აფხაზეთია, მაგრამ სავალალო ისაა, რომ პირველ მატარებელს რომელიც თბილისისკენ მიემგზავრებოდა, თავს დაესხნენ ონავრში და პირწმინდად გაძარცვეს მისი მგზავრები, როგორც იტყვიან, „კუზ ანს სამარე ჭაწორებსო“.

დღეს არადუში ქვემეხები უნდა მოეტანათ, მაგრამ, ამაოდ. მტერი კი გადარჯებულია, რათა მომენტი იგდოს ხელთ და კოჩარის ვარიანტი არადუზე გადმოიტანოს, ერთი ტანკი მაინც გვყავდეს, რომ იმედიანად ვიყოთ.

11 დეკემბერი.

წუხელ ნაშუალამევს ქუჩიდან რუსკომ დაგვიძახა, იგი ჰიჰიკოს მეუღლეა. საწოლიდან წამოვხტი, სასწრაფოდ გადავიცვი და ჰიშკართან მივეგებე, შეშფოთებული ჩანდა. რაზია საქმე-ეთქი? ბადრიმ ვიღაც აფხაზი მოიყვანა და დაგვიტოვა, ჩემს მოსულამდე მიხედეთო, ჰიჰიკო მთვრალია და რა ექნაო? ბუნებრივია, რუსიკოს გავყევი. ტატიანაც წამოეარდა ლოგინიდან და უკან დაგვედევნა. ეს ამბავი უცბად მოედო ქუჩას. ქალი და კაცი ყველა იმ აფხაზის სანახავად მორბოდა, მიეედით და ხელში შეგვრჩა მოხუცი კაცი, გვარად ავიძბა, სოფელ მოქვში ცხოვრობენ მისი ძმები, ისინი ძლა ცოცხლები აღარ არიან. თვითონ ეს კაცი სოხუმში ცხოვრობს, მისი გადმოცემით, ცაგერაში ქალიშვილი ჰყავს გათხოვილი ქართველზე. ცაგერაში ჩამოსულიყო, შემდეგ არადუს გავლით მოქვში უნდა გადასულიყო, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა დააკავეს, ვინ იცის, რა მისიას ასრულებდა, რალა მაინცდამაინც ახლა მოუნდა თავისიანების მონახულება. არადუს აჭბავს თუ დაწვრილებით გაიგებდა და თავისიანებს ჩაუყაჭავდა, რა თქმა უნდა, კარგი დღე არ დაგვადგებოდა, რადგანაც ჩვენი საგუშაგოები ნახევრად მიტოვებულია.

იმ კაცს ჩემს შესახებ რაღაც ცოდნია, შემაქო, როგორც კარგი სპეციალისტი, მოქვის საშუალო სკოლაში ქიმიას ვასწავლიდი რვა წელიწადს. სინანულით თქვა, რომ ერთ დროს ურთიერთობა გვქონდა. მერე კი ვიღაცამ აგვირია, „მაინც ვინ?“ — ჩავეკითხე. „იმათმა!“ — ხელი ზემოთ გაიშვირა. მივხვდი რომ არძინბას ხუნტას გულისხმობდა. გაუკვირდა, ხელში იარაღი აგიღიაო. მე

რომ მქონდეს ავტომატი, თქვენთან ერთად დავიგებოდი და კალიებს დავცხებდიო. საჭმელი ვაჭამეთ, გადაკრა კიდეც ერთი ორი ჭიქა და თბილ ლოგინში ჩავაწვინეთ...

მეორე დილით, ვხედავ, ლადიას გადაუპატიჟებია მასთან და ებაასებოდა. ამის გამო ლადიას გავუბრაზდი. იგი ჩვეულებრივ ლანძღვა-გინებას მოჰყვა, აუტანელი გახდა ეს კაცი, არ იცის, რომ მისმა დაუფიქრებლად ნათქვამმა სიტყვებმა შეიძლება სოფელი დაღუპოს.

ბადრი ცაგერაში წავიდა. იმ აფხაზის სიძე მოიძია და ჩვენი დაუბატიჟებელი სტუმარი ჩააბარა. ზოგს ბადრის საქციელი არ მოეწონა, რატომ არ მოკალითო, მაგრამ ბადრი უფრო შორს იხედება და უგნურ ადამიანებს ყურს არ უგდებს.

დღეს ყური მოვკარი აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ერთ ვარიანტს, რომელიც პარლამენტის დეპუტატთა სამეულმა წამოაყენა, ამ ვარიანტის მიხედვით, აფხაზეთი უნდა გადაიქცეს დემილიტარიზებულ, უიარაღო ზონად.

ამის თანახმად აფხაზეთიდან გაყვანილი უნდა იქნას ყველა დაქირავებული, უნდა დაიშალოს აფხაზური გვარდია, საზღვარი უნდა გააკონტროლოს ქართულმა ჯარმა, პირობების დაცვის გარანტად უნდა იყოს არა რუსეთი, არამედ უკრაინა, გაეროს ეგიდით, საინტერესო ვარიანტია, იქნებ გამოდგეს მოლაპარაკების საფუძვლად.

დღეს თითქმის მთელი დღის განმავლობაში ოჩამჩირეს თავს დასტრიალებდა სამხედრო თვითმფრინავი. რა მიზნით, ვინ იცის? ხალხი შეშინებული იყო, თუმცა, ბომბები არ ჩამოუყრია.

კვლავ ბანდიტობენ ზუგდიდში, ძარცვავენ აფხაზეთიდან წასულ მატარებლების შემადგენლობას, ვერა და ვერ მოწესრიგდა საქმე სამეგრელოს რეგიონში.

საქართველოში შეიქმნა თავდაცვის ფონდი, სახელმწიფოს მეთაურმა ამ ფონდის შექმნას დიდი შეფასება მისცა. ფონდის მთელი შემოსავალი უნდა დაექვემდებაროს ეროვნულ ბანკს. ამასთანავე შეიქმნა საპარლამენტო კომისია თავდაცვის ფონდის წარმოების მიზნით. რა თქმა უნდა, ეს ფონდი დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს ერთიანი ჯარის შექმნის საქმეს.

გუშინ სოფელ ახალდაბის მისამართებთან რუსეთის თვითმფრინავმა ღამომბა სოხუმს მიმაგალი ავტოკოლონა, რომელსაც მიჰქონდა ჰუმანიტარული დახმარება. როდის მოეღება ბოლო რუსეთის თვითმფრინავების თარეშს საქართველოს ცაში?

12 დეკემბერი.

დღევანდელი დღე ალბათ გადამწყვეტს ხაზბულატოვ-ელცინის დუელს. ამ დუელის შედეგზე დამოკიდებული იქნება არა მარტო რუსეთის სახელმწიფოს განვითარების ბედი, არამედ მას შეუძლია შექმნას სტაბილიზაცია ან დესტაბილიზაცია მთელს მსოფლიოში. რუსეთის დემოკრატიულ გარდაქმნებს, რომელსაც ელცინი უდგას სათავეში, მხარს უჭერს საზღვარგარეთი, კაპიტალისტური სამყარო. ეს მნიშვნელოვანი მომენტია დემოკრატების გამარჯვებისათვის, მაგრამ პარლამენტში მოკალათებული პროკომუნისტები ცდილობენ დაამუხრუჭონ გაიდარის რეფორმები, კონსტიტუციური გზა მოუჭრან ელცინის რეფერენდუმის ჩატარებას, მაგრამ ელცინი ადვილი დასაბრიყვებელი როდია, ისიც ემზადება გადამწყვეტი კონტრშეტევისათვის. ვნახოთ, რით დამთავრდება დღეს ელცინ-ხაზბულატოვ-ზორკინის სამმხრივი მოლაპარაკება..

ჩვენთვის, საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთში, რადგანაც საქართველო, აგერ ორი საუკუნეა, ბევრი ბილწული და უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატიდან მოყოლებული. რუსეთის მოვლენების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის კონფლიქტისათვის, თუ ელცინი გაიმარჯვებს, ჯერ კიდევ გამორიცხული არ იქნება კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება, თუმცა, დღემდე გაურკვეველია რუსეთის პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტში, თუ ხაზბულატოვი გაიმარჯვებს, მაშინ ნათლად გამოიკვეთება პოზიცია რუსეთისა საქართველოსადმი და კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტისადმი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საშუალება (და ბაბაბი) გვეძნება ოფიციალურად მივმართოთ დასავლეთს დახმარებისათვის, არც ეს იქნება ურიგო, რამდენადაც ბუნკერში გამუდმებულ ხეტიალს ნამდვილად სჯობს ქარტეხილში იარო, მაგრამ უნდა იცოდე, საით მიდიხარ...

ჯერჯერობით დუმს მერკულის გორა, საშაგიეროდ აქტიურობენ მოქვი მხრიდან. კოჩარის მისადგომებთან იმშის ქვემეხების გოიალი, მაგრამ უშედეგოდ. ძნელი გამოდგა კოჩარის დაბრუნება. მოდუნება შეიმჩნევა ჩვენი სოფლის მაცხოვრებლებშიც თითო-ოროლა პროვოკატორი ან ლაჩარი ხალხათს უფუჭებს იმათაც, ვინც გულდაგულ იბრძვის. ადამიანთა ქცევა ხასიათობით ცვლება. თუ სროლა ატყდება, ფუთებს წამოიკიდებენ და „პაპარდას“ სულ-ხელა მოიწევენ სოფლის ბოლოსაკენ. როგორც კი სროლა შეწყდება, ისევ სახლებში გარბიან და ათასი საქმიკეთებას დაიწყებენ. ხშირად ლანძღავენ ერთმანეთს რაღაც წვრილმანებზე, ერთმანეთს გაუხსენებენ ძველ თუ ახალ ანგარიშებს. მეშინია, მტრის დაზვერვამ არ ისარგებლოს ჩვენი მოდუნებით და კვანტი არ გამოგვდოს შესაფერ მომენტში.

ბადრი გვიან მოსულიყო, თავისთვის იჯდა ოთახში და თვალებზე ცრემლს იმშრალებდა. გვერდით მივუჯექი, მინდოდა გამეგო ცრემლების მიზეზი. შეპარვით, შორიდან შემოვლით შევყევი საუბარში. მერე თვითონ გადამიშალა გული: „მამა, ვის სჭირდება ეს ომი. ტყვიებს უმისამართოდ ვისვრით, ჩვენს გოჩას რამე რომ მოხვდეს, ხომ შევიშალე ჭკუიდან“. გოჩა ბადრის ბიძაშვილისშვილია, გოჩას მამა აფხაზია, ვალერა აშუა. ეს ის ვალერაა, სიკვდილს რომ გადარჩა. ბადრი და ვალერა მეგობრობდნენ. იმ საბედისწერო დღის შემდეგ იგი აღარ გვინახავს. მანამდე თითქმის ყოველდღე ჩვენთან იყო. ახლა ზის ბადრი და პატარა გოჩას და ჩრავალი ათასი სხვა გოჩას ბედი აწუხებს. დღედაღამე გაერთიანებული აქვს. ის, ვისაც აწუხებს სოფლის და არამარტო სოფლის ბედი, აფასებს ბადრის მოქმედებას. რა თქმა უნდა, არიან ზნდალებიც, რომლებიც იძრალს ტოვებენ და სადღაც გარბიან, ხალეთები ბადრის ან შურით უყურებენ, ანდა უხმოდ გაურბიან. საკვირველი ისაა, რომ ბადრი მათთანაც გულმოწყალეა და არაფერს არ ეუბნება მათ, იქნებ მათმა სინდისმა მოიყვანოს ჭკუაზეო, არიან კიდევ ადამიანები, რომელთაც სისხლში აქვთ გამჯდარი დაუჯერებლობა, მეზობლისადმი შური და მტრობა, რამაც ახლა უფრო მეტად იჩინა თავი, ყოველნაირად ცდილობენ, საქმის საპირისპირო წამოწყება ჩაშალონ. საგუშაგო კარის ყურეშია და სხვაგან გარბიან; თუ ცლაში მორიგეობა უწევს, თავის საქმეზე მიეშურებიან. დღეს ზაურ ჩაკვეტაძემ ჩემი თანდასწრებით გააფ-

რთხილა ჭიშვარდი, რომ ცხრა საათზე უნდა გაშოცხადდეს საგუშაგოზე. შეპირდა, მოვალო, მერე მობრუნდა და ოჩამჩირეში წავიდა კომბინირებული საკვების საყიდლად, საგუშაგო კი მიტოვებული აღმოჩნდა. 30 ნოემბერს, როცა სოფლის ბედი ბეწვზე ეკიდა, ჭიშვარდი მთელი დღე გალეშილი ეგდო ლოგინში. მისი ძმა ზაური სადღაც, რუსეთში ვაჭრობს და ერთიც არ შეიოუხეულა არადუში, ასევე იქცევა ახალგაზრდა კაცი გია ცვარიანი. სოფლის დაცვაში არ მონაწილეობს ბაჭო კოპალიანი და სხვა მრავალი.

ამბობენ, რომ ვაჟა კოპალიანს გრანატმტყორცნი სახლში ჰქონდა შენახული; მისი სიძე ზვიადისტია და ალბათ მისი მოტანილია. რა მოხდებოდა, რომ შემოტევისას ერთი დღით დაეთმო ჩვენი მეომრებისათვის.

13 დეკემბერი.

სოფელი არადუ თანდათან იკრებს ძალას, თუმცა პანიკიორები და შარისთავები ჯერ კიდევ ვერ არიან ალაგმულნი. ბევრი ახალგაზრდა ოჩამჩირის ბატალიონში მსახურობს, რაზედნიშნ – პოლიციაში, ისინი სხვადასხვა ცხელ წერტილში იბრძვიან. საჭიროებისამებრ ეს ბატალიონი უნდა ეხმარებოდეს თვით არადუს, რომელიც უცხელესი წერტილია, მაგრამ ასე რადი მოხდა 30 ნოემბერს, როცა არადუს არავინ არ დაეხმარა მტრის იერიშის მოგერიებაში. თუმცა, მოგერიება მაინც მოხდა, მაგრამ ოჩამჩირის შტაბში ნამდვილი ღალატი იყო. საუბედუროდ, მოღალატეებს ან სრულებით, ანდა გვიან სჯიან...

ამ დილით კომენდატ ბორის 30 ნოემბრის გმირი ემზარი მოჰყვა თან, ემზარიმ თავისი ტყვიამფრქვევით ზურგზე ბოლოდინა გადამთიელებს. ბადრისთან მოვიდა ვახოც. იგი თავის დანგრეულ მანქანას უჯდა საჭესთან. ბიჭები გავამხნევე. ისაუზმეს და წავიდნენ. კომენდანტმა მითხრა, რომ ბიჭებს დაურიგეს შაქარი, სიგარეტი, დღეს პურის ფქვილიც მოიტანეს. აფხაზებსაც გავუგზავნოთო, სერიოზულად თქვა ბადრიმ, ამას ზოგს ღიმილი მოჰყვა, ზოგმაც შეიგინა. მხედველობაში მყავს არა „ბოევიკები“, არამედ საწყალი ხალხიო, დააზუსტა ბადრიმ. დადგება დრო და არამარტო აფხაზები და ქართველები, არამედ კავკასიელი ხალხები ერთ მაგიდას მიუსხდებიან და გამართავენ პოლიტიკურ, ეკო-

ნომიკურ და სამხედრო მოლაპარაკებას. ჩვენ როგორმე უნდა აღვადგინოთ ძველი ტრადიციები, ვფიქრობ ზარბაზნებით საქმე ვერ გადაწყდება, თუმცა, მომხვდური კი არ უნდა ვაბოგინოთ ამ ქვეყანაზე. აფხაზეთი უნდა იხსნას აფხაზეთის ხსნის კომიტეტმა, რომელიც ეს-ესაა ყალიბდება სოხუმში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან, რომლებიც საღად აზროვნებენ. ამ კომიტეტის დაარსებამ დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია.

14 დეკემბერი.

დღეს ოთხი თვე სრულდება ომის დაწყებიდან. არავინ არ ელოდა ამ ომის ასეგანწირებას ქართველთა მხრიდან. დღეს მთლიანად გაშიშვლდა და დღის სინათლეზე გამოვიდა ის ფაქტი, რომ აფხაზი ექსტრემისტები და სეპარატისტები წლების მანძილზე ემზადებოდნენ ამ შეთქმულებისათვის. დღეს მხოლოდ თავდაცვა და იქით შეტევა თუ გვიშველის, თორემ ცუდად წაგვივა საქმე, არადა შეძლებისდაგვარად იცავს თავს. ომის დაწყებითანავე გვარდიაში ჩაეწერა არადუელი ბორის ომანაძე. იგი საბჭოთა ჯარში ტანკისტად მსახურობდა და ახლა ძალიან გამოადგა ეს გამოცდილება. თუმცა გამოცდილება ერთია და მისი გამოყენება სხვაა. ბორისმა ჩამოსვლისთანავე განუცხადა მეთაურობას, რომ ის ტანკისტია, მაგრამ საბუთები თან არ აქვს, ჩვენ საბუთები არ გვინდაო, უთხრეს და ტანკზე მიუთითეს, აბა, დაჯექიო. დაჯდა ტანკზე ბორია და გასახედნი კვირვით ახტუნა იქით-აქეთ, ხელსაწყოების ცოდნაც მშვენივრად გამოამჟღავნა და საცდელი გასროლებიც. აი ეს ბორისია, დღეს რომ დაეხმარა ბადრის და მის ამხანაგებს მცირეკალიბრიანი ქვემეხის შოვნაში, ისეთისა, ჯავშანტრანსპორტიორს რომ უდგას. ბადრიმ და ბახვამ წუხელ მოზიდეს ამ ქვემეხის ნაწილები, მთელი დღეა ადუღებენ რაღაცას ელექტროშედუღებით, მისაბმელიც მოაგორეს ზედ იარაღის გასამართავად, ასამდე ჭურვსაც მოუყარეს თავი და ხვალისათვის ფიქრობენ პირველ გასროლას. ეს პირველი გასროლა ბორიას ევალება, შემდეგ კი მოსწავლეებიც გამოუჩნდება. ის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ჟინი აქვს განსაკუთრებით, მერკულის გორიდან რომ არ გვაძლევს მოსვენებას. ახლა მის მოპირისპირე მხრიდან „მაზანკაში" დადგეს ისეთივე სატანა. ასე რომ, სამმხრივ

ცეცხლში გახვეულებს ეგება შვება გვაგრძნობინოს ახალმა ქვემეხმა, რომელსაც ამის შემდეგ ვარქმევ სახელს — „ქვემეხი არადუ". ვნახოთ, რა როლს შეასრულებს იგი ამ უთავბოლო ომში.

დღეს საგუშაგოებზე პური და სიგარეტები დაურიგეს მხოლოდ იმათ, რომლებიც კეთილსინდისიერად იხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, უხუჭურებს (გაუგონარებს) არაფერიც არ მისცეს, რამაც მათი ბუზღუნი გამოიწვია.

საბუზღუნო ალბათ ბევრი მაშინ გაუჩნდებათ, როცა ომი დამთავრდება და ყველას მოეკითხება, თუ რა იღონა გაჭირვების ჟამს.

ამ დღიურის წერის მომენტში სენსაციური გადაცემა მოვისმინე. მოსკოვის „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ, თითქოს დღეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა გუდაუთაში და მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე მთელს აფხაზეთში. ეს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს ქვეყნების ხელმძღვანელობამ და 18 დეკემბერს ჯარები გაყვანილი უნდა იქნენო. ასეთი ბუნდოვანი გადმოცემის ვერაფერი ვერ გავიგე და ახლა ერთი სული მაქვს, თუ რას გადმოსცემს ამის შესახებ თბილისი. სახელმწიფოს მეთაურმა თავის დღევანდელ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთში მებრძოლი ბიჭები მშვიდობით დაბრუნდებიან სახლებში და ომი უნდა დამთავრდეს უახლოეს დროში და დამთავრდეს იგი ღირსეულადო. ბატონმა შევარდნაძემ გულისტკივილით ილაპარაკა იმაზე, რომ სამეგრელოს რეგიონში ქვლავ ადგილი აქვს დივერსიებს. სოხუმი-თბილისის რკინიგზის გახსნის პირველსავე რეისზე მოხდა ძარცვა ზუგდიდში და შემდეგ კი ხიდის აფეთქება ინგირში. სახელმწიფოს მეთაური და ყველა შეძრწუნებულია ტერორისტების ასეთი მოქმედებით და რომ მან გასცა ბრძანება (რაგინდ მკაცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს), ადგილზევე მოსპონ ავისმქნელები, როგორც საქართველოს დაუძინებელი მტრები. ამასთან დაკავშირებით მან პირველად საჯაროდ დაგმო და გაიცხა გამსახურდიას მოქმედება და მისი წოწიალი ევროპაში, უწოდა რა მას გამოუსწორებელი ტერორისტი. მართლაც, რაც ტერორი განხორციელდა და ხორციელდება საქართველოში, მოწყობილია უშუალოდ გამსახურდიას მიერ. პრეზიდენტად აირჩიეს თუ არა, მისი პირველი ბრძანებულება იყო ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადება, რომელმაც საქართველოს ოთხასი მილიონი მანეთი ზარალი მიაყენა.

წერა სამივე მხრიდან სეტყვასავით სროლის ატეხამ შემაწყვეტინა. იარაღს ხელი დავსტაცე და საგუშაგოზე გავიქეცი. ქუჩაში გავის და დათიკოს გადავეყარე. ყველას მოესმინა, რომ დღეს მიმდინარეობდა მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ნუთუ ეს არ ესმით ამ ქაჯებს?!" — ბრაზობს დათიკო. ამ „ქაჯებს" ცინცხალი ინფორმაციები კი ძრა და ხანდაზმული, საუკუნეობრივი მეგობრული ტრადიციები აქვთ დავიწყებული, მერკულის გორაზე დუელი გაჩაღდა.

ბნელა. ქვემეხიდან გასროლილი მანათობელი ტყვიები ავისმომასწავებლად კვეთს ცის ბინდნელეს. მოქვის მხრიდან ჩვენს საგუშაგოებს რამდენიმე ნაღმი თხლიშეს. ჩვენებიც არ დარჩნენ ვალში და ნაღმებს ტყვიამფრქვევების გაბმული ჯერებიც მიაყოლეს. სოფლიდან დაიძრნენ მეომრები. ისინი მდუმარედ და აჩქარებით მიაბიჯებენ საგუშაგოებისაკენ. „ერთ ნაბიჯსაც არ გადმოვადგმევინებთ წინ ამ ლაწირაკებსო". — ხმამაღლა იძახის ვიღაც და ავტომატის საკეტს აჩხაკუნებს.

ჯოკია კოპალიანი ბუჭუნას ეჩხუბება, საგუშაგოზე რატომ არ გამოდიხარო. ბუჭუნა ჩემს საგუშაგოზეა განაწილებული და ჯოკიას უნდა ზევით წაიყვანოს თვითნებურად, თანაც მე მდებს ბრალს, ჯოკია ჩემთან უნდა ყოფილიყოო. ცდილობს კარის მეზობელი დამატაკოს. რა იცის, თუ ყველაფერს ამას ვუსმენ და წიგნში გადამაქვს.

ამასობაში ტანკებიც მოგრუხუნდნენ, ქვემეხებმაც პოზიციები დაიკავეს. ბნელოდა, ნახევარმთვარე მხოლოდ შუაღამისას ამოდის. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები კიაფობენ, მთვარის ამოსელას ელოდება ბუნება და ათასობით ჭკუაზე შეშლილი ადამიანი.

ქართულმა საინფორმაციო სამსახურებმაც დაადასტურეს აფხაზურ-ქართული მოლაპარაკება გუდაუთაში. ერთგვარი იმედი მესახება, მაგრამ აფხაზებთან მოლაპარაკება არასაიმედოა.

ეს ამბავი დაწერილიც არ მქონდა, რომ ქართულმა საინფორმაციო ორგანოებმა უარყვეს რუსეთის „ნოვოსტისა"-და „ვესტის" გადმოცემები მოლაპარაკების შესახებ და მას ყალბი უწოდეს. კიდევ ერთი პროვოკაციული გამოხდომა აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან. ეს ყველაფერი ალბათ გაკეთდა დროის გაყვანის მიზნით, რათა მოახდინონ ძალთა გადაჯგუფება და შემდეგ კი დრო იხელთონ. ძალიან კი უნდათ ქართული ჯარების გაყვანა აფხაზეთიდან. ვინ ენდობა მათ სიტყვას, როცა მოლაპარაკების შემდეგ გუდაუთი-

დან სოხუმში არც კი იყო ჩასული ჩვენი დელეგაცია, რომ გუმისთასთან ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს, ხოლო აჩადარაში საარტილერიო ცეცხლით დაანგრიეს ხუთსართულიანი შენობა.

ამასობაში აფხაზმა სეპარატისტებმა მოსკოვში დააარსეს რაღაც საბჭო, რომლის მეშვეობითაც აფხაზეთში ჩასასახლებლად ეპატიჟებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დემობილიზებულ სამხედროებს.

15 დეკემბერი.

იმის იმედი, რომ გუდაუთაში რაღაც საბითავრობო შეთანხმება მოხდა და თითქოს საქართველომ უნდა გაიყვანოს ჯარი აფხაზეთიდან, რასაც ხარხეიმით გადასცემდა „ნოვოსტი“ და „ვესტი“ მტკნარი სიცრუე გამოდგა. ეს დაადასტურა ბატონმა შევარდნაძემაც. ის კი არა, საკითხი დაისვა იმის შესახებ, რომ საქართველომ საერთოდ შეწყვიტოს (დროებით მაინც) რუსეთთან მოლაპარაკება, რამდენადაც კოზირევი თავისებურ ზონდაჟებს აკეთებს, ხოლო რუსეთის პარლამენტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის აღდგენისაკენ. ასეთ გაურკვეველ ვითარებაში მართლაც რომ აზრი არა აქვს რაიმე მოლაპარაკებას. ვამბობთ ასე, მაგრამ რუსეთს საქართველოზე გადმოსაცემი აქვს შეიარაღების კუთვნილი ქვოტები, განსასაზღვრავია რუსეთის ჯარების სტატუსი საქართველოში და კიდევ სხვა საკითხები. შეწყვეტ მოლაპარაკებას და ეს ორი საკითხი ველარ განიხილება. არ შეწყვეტ და ეს ურჩხული იმპერია გიკარნახებს თავის პირობებს. ასეთ ვითარებაში მდგომარეობას ამწვავებს იმიც, რომ საქართველოს ჯერ არა აქვს თავისი სახელმწიფოებრივი განვითარების ორიენტაცია, რაზედაც გამოკვეთილად ილაპარაკა სესიის სხდომაზე გამოსულმა პატონმა ჯაბა იოსელიანმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დიდი ევრისის შეკრება უახლოეს ხანში და სახელმწიფოებრივი ორიენტაციის განსაზღვრა. უამისოდ საქართველო თავის სახელმწიფოებრიობას ვერასოდეს ვერ ელირსება.

სიმართლე ყოფილ კოჩარის შესახებ თქვა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა. ეს სტრიქონები სოფელ არადუში იწერება, რომლის შესახებ კარგად მოეხსენება ბატონ ჯაბა იოსელიანს. მან იცის, რომ არადუ ნამდვილი გმირი სოფელია. კოჩარას რომ არადუსავით გამო-

ეჩინა თავი, ოჩამჩირე-სოხუმის ტრასის გასწვრივ ერთი კაციც არ მოკვდებოდა. ტამიშის მიდამოებში მტრის ძალები მხოლოდ კოჩარის „გულმოდგინებით“ გადიოდა გზას. მაგრამ ბოლოს კოჩარის ხალხი მოტყუებული აღმოჩნდა. აფხაზები საქვეყნოდ გაიძახოდნენ, კოჩარლებსაც შეპირდნენ, რომ ჩვენ უნდა ავყაროთ და გავაძევოთ ბერიას ჩამოსახლებული ქართველებიო. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს „დანარჩენები“ თავგამოდებული ზვიადისტები იყვნენ და იქნებ ახლაც არიან, ყველაფერი გასაგები ხდება.

არადუ ქართული სოფელია, მისი მოსაზღვრეა აფხაზური სოფელი მოქვი. თუ ისინი არადუს აიღებენ, ვიცით, რაც მოგველის (კარგად გვახსოვს გაგრა). თუ ჩვენი ჯარი აიღებს აფხაზურ სოფლებს, რა უნდა ვუყოთ მათ? მუდამ იქ ხომ არ დარჩებიან? როგორ უნდა მოიქცნენ? შვებით ამოვისუნთქე, როცა ეს კითხვა დღეს პარლამენტში დააყენა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა და პირდაპირ მოითხოვა პარლამენტისაგან შემუშავება რაღაც კანონისა.

წუხელ მოწინააღმდეგე თავს დაესხა არადუს (ეს თბილისმაც გადასცა ამ დილით) და მთელი ძალით შემოუტია, მაგრამ არადუ იცავს თავს. წუხელ სამი ტანკი ოჩამჩირიდან მხოლოდ იმის შემდეგ მორახრახდა, როცა „კამეჩი უკვე გატყავებული იყო“. თუმცა, შემდეგ ჩვენმა ტანკისტებმა შეუტიეს აფსუებს, მაგრამ როგორც კი ჩვენი ჩურვების გრიალი შეწყდა, მერკულის გორაზე ისევ ქვესკნელიდან ამოძვრება ის სატანა სნაიპერი და გვიშენს თავის ჯოჯოხეთურ ტყვიას. დღეს დილით ტანკისტები ოჩამჩირეს გაემგზავრნენ. კარგი იქნებოდა ერთი-ორი ტანკი მაინც რომ მუდმივად ჰყავდეს ჩვენს სოფელს. ჩვენი ბიჭები სხვების იმედზე როდი არიან მხოლოდ. ერთი განახათ, როგორ გულმოდგინედ აწყობენ დღეს ბორისის მიერ მოტანილ „ქვემეხ არადუს“. საღამო ჟამს ეშაფიტზე ჩაადუღეს და თქვეს, რომ იგი ხვალ უკვე მზად იქნება გასასროლად. სპეციალისტები არა გვყავს, მაგრამ ბიჭები სწავლობენ დამიზნებას, გასროლას, ბჭობენ, დაობენ, ასე რომ, საბრძოლო სულისკვეთება დღითიდღე იზრდება.

დღეს გვესტუმრა სანჩო. კარგა ხანია იგი არ მინახავს. ავტომატი გადაუკიდია, გვარდიელის ფორმაში გამოშტიმულა და ძლივსღა ვიცანი. მომიყვა, რომ საგუშაგოებზე დადის თურმე ცელაში და ავტომატსაც ხშირად აკაკანებს, მხოლოდ ჰაერში, ისე, რომ აფხაზს განაკაწრი არ გაუჩნდეს.

ღამის ოთხი საათი იქნებოდა, ბადრი *რომ დაბრუნდა*. როცა ასე გვიან ბრუნდება, მშობლებს ძილი გვიტყდება და ჯერით გული გვისკდება.

ღამის პირველ საათზე გაღვიძებული ტატიანა მეკითხება, ბადუ-რია მოვიდაო? კი, უკვე სძინავს მეთქი, ვიცრუე. დამიჯერა და ძილი განაგრძო. მე კი თვალი არ მომიხუჭავს. რადიომიმღებს მივადექი. ხელში შემრჩა რადიო „თავისუფლება“ (რუსული გადაცემა). დიქ-ტორი რუსეთის ახალ პრემიერს ვიქტორ ჩერნომირდინს ახასია-თებდა. გაიდარმა კაბინეტი დატოვა, რომ ხელი არ შეუშალოსო ახალ პრემიერს. მე მაინც ვერ გავიგე, რა განსხვავებაა ძველი და ახალი პრემიერის რეფორმებში. მგონი ისევ გაიდარი ჯობდა. ასე რომ, „ყველა პეტრე კაცია, მაგრამ ყველა კაცი პეტრე არ არის“.

ამასობაში ბადურიაც მოვიდა, სამი ტანკი მოვიყვანე ოჩამჩირე-დანო! ტანკების ამბავი გამეხარდა. ადრე ტყვიამფრქვევები წაგ-ვართვეს და თუ არა ჯაბა იოსელიანის განკარგულება, არ გვიბრუ-ნებდნენ.

ბატონი ჯაბა არადუს ხშირი სტუმარია. მისი ჩამოსვლა მთელ სოფელს ელვის სისწრაფით მოედება ხოლმე და ქუდზე კაცი გამო-დიხ. ჯაბამ გამოგვიგზავნა ოთხმოცი ავტომატი, ბევრი ტყვია-წამა-ლი. იგი კმაყოფილია იმით, რომ არადუს დამცველები გმირულად იბრძვიან. წავა ბატონი ჯაბა და ვიღაც-ვიღაცეები აურევენ შტაბ-ში. ბადრიმ ძილს მისცა თავი. დილით ადრე სამი მხედრიონელი მოვიდა. ისინი არადუს იცავდნენ კაცურად და კარგი სახელიც აქვთ ჩვენთან. მეგობრობენ ბადრისთან. ერთს დათო ჰქვია, თბილი-სელია. მეორე — ელგუჯა, ზუგდიდელია, მესამე — ახალია. ბადრი გააღვიძეთო, ახლა დაწვა და ცოდვაა-მეთქი. აუცილებელი საქმე მაქვსო, თქვა დათომ,—გალში საცოლე დავნიშნეო. ამასობაში ბად-რიმ გაიღვიძა. გაიღვიძა სანჩომაც. სანჩო საუზმის თადარიგს შე-უდგა. ცოტა წაიხემსეს, თითო ჭიქით დაილოცეს და გზას გაუდგენ გალისაკენ. ელგუჯა ახალ ცინცხალ წითელ „ჟიგულს“ უჯდა საჭეს-თან. „საიდან? — მინდოდა მეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე. ჯერ ბადრი არ დაბრუნებულა გალიდან. ისევ საჯავრო გაგვიჩნდა...

ტანკები მართლაც მოვიდნენ. მოწინააღმდეგემ წუხელაც სცადა შემოტევა, მაგრამ არადუს დამცველებმა მათ ზურგზე ბოლი ადი-ნეს. მოსკოვიდან დიდი აურზაურით გადმოსცემენ ვერტმფრენის ჩა-

მოგდებას. ასეთი ხმაური მგონი მაშინ არ აუტეხიათ, ჩერნობილი რომ გასკდა და ქვეყანა მოწამლეს. ვერტმფრენი თითქოსდა გუდაუთიდან ტყვარჩელში მიფრინავდა ჰუმანიტარული მისიით, მიჰყავდა ქალები და ბავშვები. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ვერტმფრენს გადაჰყავდა ოცამდე კბილებამდე შეიარაღებული აფხაზი „ბოევიკი“ და ბევრი ტყვია-წამალი მიჰქონდა. ქალები და ბავშვები თავის დასაზღვევად დაემგზავრებინათ. წესის მიხედვით ვერტმფრენი სოხუმში უნდა დამჯდარიყო, მიეღო შემოწმება და შემდეგ გაფრენილიყო ტყვარჩელისაკენ. ეს მას არ გაუკეთებია. რა უფლება ჰქონდა რუსეთის თვითმფრინავებს დაებომბათ რაკეტის გაშვების ადგილი. ან საერთოდ რატომ ასე ხელისფათურით ერევა რუსეთი სუვერენული სახელმწიფოს საქმეში? ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი დიდი რიხით, პატარა ბავშვს თითს რომ დაუქნევენ, ისე გვემუქრებოდა. სინამდვილეში ქართულ მხარეს საერთოდ არ ჰქონია რაიმე კავშირი ვერტმფრენის ჩამოგდებასთან. ნაპოვნია შავი ყუთი, რომელიც ნათელს მოჰფენს ამ საქმეს, მაგრამ უბრალოდ გული გეტკინება კაცს, ასე უტიფრად რომ გვემუქრებიან რუსები...

დღეს მერკულის გორაზე მძინარე მაღალი ძაბვის ბოძები გამოაღვიძეს. სოხუმში შექმნილმა აფხაზეთის დროებითმა მთავრობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. ისევ დიდი იმედი გვაქვს თამაზ ნადარეიშვილის, რომელიც სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს. ამ ენერგიულ კაცს შეუძლია აფხაზეთის ქართველობა ისე დააკვალიანოს, რომ თავიანთი პრობლემები თვითონვე გადაწყვიტონ. აფხაზეთში 250 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს, მათ შეუძლიათ კარგად აღჭურვონ და გაწვრთნან ხუთი დივიზია. ამ ძალით ყოველ გადამთიელს და ავისქმნელს კუდით ქვას ასროლინებენ. მან სწორად განაცხადა თავის დროზე, რომ გაგრა გაგრის ბატალიონმა უნდა დაიბრუნოს, განთიადი განთიადის მაცხოვრებლებმა. ყველა დასახლებულ პუნქტს უნდა ჰყავდეს თავისი ღირსეული დაცვა...

დღეს ჩვენი ახალგაზრდები „ქვემეხ არადუზე“ განაგრძობდნენ მუშაობას. ამ ქვემეხს ყველა საჭირო ხელსაწყოები აქვს თან, მაგრამ მაიშუნისა და სათვალისა არა იყოს, სპეციალისტი არა გვყავს.

17 დეკემბერი

გამთენიისას ძლიერი სროლა ატყდა. ჩვენები გააფთრებით ესროდნენ მერკულის გორას. ესროდნენ გორას და არა ადამიანებს, რატომ? როგორც შემდგომ გაირკვა, თურმე ჩვენი ტანკისტები ჩადარაჯდნენ და მებრძოლებს უთხრეს, თქვენ ასტეხეთ სროლა, იქიდან ის სატანა სნაიპერი გიპასუხებთ, რომელიც ასე ოსტატურად ესვრის მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევიდან. იქნებ მაშინ დავადგინოთ მისი ადგილსამყოფელი და ტანკის ჭურვებს დავაბლით თავზეო. სროლა კარგა ხანს გრძელდებოდა. სოფელში ვერავინ გებულობდა, საიდან ისროდნენ.

ტყუილა გაისარჯნენ ჩვენი ბიჭები და ამაოდ დახარჯეს ამდენი ტყვია-წამალი. სატანა არ წამოეგო ანკესზე. ერთიც არ გაუსროლია და თავი არ გაუცია. ტანკისტები თავს იქნევდნენ, დიდ გაიძვერა ვინმესთან გვაქვს საქმეო...

დღეს მთელი დღე წვიმდა, შერე ნისლიც ჩამოწვა. დღისით შუქი გამორთეს და ბიჭებს ხელი შეუშალეს მოემთავრებინათ „ქვემეხ არადუს“ გამართვა.

ადგილობრივ შტაბში დილიდანვე გამართეს თათბირი იმაზე, თუ რა გაეკეთებინათ პირველ რიგში. გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ერთი წვეთი ბენზინი არ აქვთ. ოჩამჩირეში რაცია წაიღეს გასამართავად. არ ვიცი, მოიტანეს თუ არა, ადგილზე სპეციალისტების ნაკლებობაა. ის სამი ტანკი და მათი ეკიპაჟები მზად არიან ბრძოლისათვის. თუმცა, ვებრძვით მხოლოდ მაშინ, როცა გვიტევენ. გუშინ და გუშინწინ გალის რაიონს შეუტიეს აფხაზურმა სოფლებმა რეკამ, ფოქვეშმა და აგუბედიამ. მათი კორესპონდენტი დღეს ჩემულობდა მოსკოვის „ნოვოსტიდან“ ოჩამჩირეს შუქი გავუთიშეთო, სოხუმი-გალის ხაზზე ელექტროგადაცემა არაა და ეს ჩვენ გავაკეთეთო. ხედავთ, რა გმირობას სჩადიან?

არ წყდება აურზაური რუსეთის ვერტმფრენის ჩამოგდების თაობაზე აფხაზეთში. კეთილი ინებონ იმ რუსებმა და დატოვონ საქართველო და არც არავინ ჩამოაგდებს და არც არავინ ააფრენს ვერტმფრენს. სწორედ ამ საკითხზე იყო დღეს სჯა-ბაასი საქართველოს პარლამენტში. ბევრი დეპუტატი კატეგორიულად მოითხოვს რუსეთის ჯარების გაყვანას საქართველოდან. ზოგიც ფრთხილობს

და თავს იკავებს, ზოგიც კი ვერ შელევია რუსების თათებს და რაღაც ეკონომიკას იმიზეზებს. გადამჭრელი ზომების მიღება ვერა და ვერ გაბედეს.

18 დეკემბერი.

გადაუღებლად წვიმს. ჩვენმა ქუჩამ ისეთი სახე მიიღო, როგორც ეს საფრონტო ადგილს შეეფერება. ტანკებითა და საწევარებით გადახნული გზა. ისმის ჯარისკაცების ფეხის ხმა. ისინი საგუშაგოებისაკენ მიეშურებიან. ამ რამდენიმე წლის წინათ სოფლის თვითნასწავლმა ახალგაზრდა მოქანდაკემ, მაშინ ჯერ კიდევ სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტმა ამირან ჩხეიძემ კონსპირაციულად ჩაიფიქრა და ჩამოასხა ბრინჯაოს. ბიუსტი, საკმაოდ დიდი ზომით, ერთ მეტრზე მეტი. მისივე თაოსნობით სოფლის თავში შესანიშნავი სკვერი გააკეთეს. სკვერში სხვადასხვა ქანდაკებები დადგეს. აქ ყურადღებას იქცევს ქვევრზე ამხედრებული მამაკაცი კომბლით ხელში. სკვერის შუა გულში შესანიშნავი კვარცხლბეკი მოამზადეს და თქვეს, რომ იმ კვარცხლბეკზე დადგამდნენ რომელიმე ქართველი მწერლის ქანდაკებას. ამირანის თაოსნობით ახალგაზრდებმა (ისე რომ არავინ არ იცოდა) ღამით კვარცხლბეკზე აღმართეს ზემოთ ხსენებული ქანდაკება. იცით, ვისი? იოსებ სტალინის. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა, მგონი მოსკოვამდეც კი მიაღწია. მაშინ ბატონი შევარდნაძე საქართველოს ცეკას ხელმძღვანელობდა და იმ მომენტში აფხაზეთში მოგზაურობდა. სანამ გაიგებდა ქანდაკების დადგმის ამბავს, მანამ რა არ იღონა რაიონის და შემდეგ ოლქის ხელმძღვანელობამ ქანდაკების მოსახსნელად. მოდიოდნენ განკარგულებებით და ძალაყინებით, მაგრამ საოცრება ის იყო, ვინც კი მივიდოდა ძეგლის დასანგრევად, თვალს შეავლებდა და უკან იხევდა. ისიც კი თქვეს, სტალინი აგიპნოზებს ყველას, ვინც მასთან ახლოს მივაო. როგორც გინდათ ისა თქვით და ვერავინ ვერ გაბედა ძეგლის აღება. ბოლოს და ბოლოს, როცა ვერაფერი მოახერხა ხელმძღვანელობამ (თავის დასაზღვევად) შევარდნაძეს აცნობა ამ ფაქტის შესახებ. შევარდნაძემ კი კატეგორიულად განსაჯა. თუ ხალხს უნდა, იყოს ნება მათიო. ამის შემდეგ სამახსოვროდ შემორჩა ეს ქანდაკება არა მარტო არადუს, არამედ საქართველოსაც. ქუჩას სტალინის სახელი უწოდეს. მე ამ ქუჩაზე

ვცხოვრობ. ხშირად შემხვედრია მოგზაურობა მოსკოვში, რუსეთის სხვა ქალაქებში, როცა ჩემს მისამართს შეიტყობდნენ, ჯერ გაოცებული მომაჩერდებოდნენ, შემდეგ კი მოიწონებდნენ, რომ ასე ვიცავთ მის ხსოვნას და თავს აქნევდნენ, რა ხალხი ხართ ეს ქართველებიო...

ახლა სტალინის ქუჩაზე დაგრიალებენ ტანკები. იგი საფრონტო ადგილი გახდა. აქ ყოველ წამს ისმის ტყვიების ზუზუნი, მაგრამ სტალინის ძეგლი დგას ამაყად მწვანე სკვერში და მკაცრად იხედება იმ მხარეს, საიდანაც უაზროდ ისვრიან ბრმა ტყვიებს. ამირანის ოქრო ხელებს ახლა ავტომატი უჭირავს და თავის პირმშო ქანდაკებას იცავს უწმინდურების ხელყოფისაგან. 1942 წელს ჩეჩნები უკანდახეულ საბჭოთა არმიის ნაწილებს სპობდნენ, ამიტომ ისინი სტალინმა ყაზახეთში გადაასახლა. ახლა გასაგები უნდა იყოს, თუ რას მოიმოქმედებს ჩეჩენი გადამთიელი სტალინის ქუჩაზე, თუ შეძლო მისი ხელთ ჩაგდება. ეს კარგად იციან არადუს მაცხოვრებლებმა და თოფის წამალი მუდამ მშრალად აქვთ.

მთელი არადუს მოსახლეობა გარს ერტყა ძეგლს და იცავდა ქართველს თვით ქართველების შეტევისაგან.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ზოგმა სუფთამ, ზოგმაც ამღვრეულმა, მაგრამ, ქანდაკებას ხალხი ერთგულად უვლიდა. ის კვიპაროსები დაიზარდნენ, ხელიხელგადახვეული დგანან მარადმწვანე ბზის ბუჩქები, ხარობს მრავალნაირი ყვავილი. ახლა ხალხი მას იცავს გადამთიელებისაგან. ადრე არაერთი აფხაზი მოდიოდა ამ ძეგლთან და ტკბებოდა მისი სილამაზით, ყოველ შემთხვევაში ასე გამოიყურებოდნენ გარეგნულად, გულში კი რას ფიქრობდნენ, ამას ვინ გაიგებდა.

სტალინის ძეგლიდან ფრონტის ხაზი რაღაც ასიოდე მეტრზეა. იქ, იმ ძეგლთან ყოველ წუთში გაიწივლებს მოქვის მხრიდან გამოსროლილი ტყვია, ასე რომ, ეს გზაჯვარედინი ტყვიების გზაჯვარედინიცაა. საკვირველი ისაა, რომ ძეგლს ერთი განაკაწრიც არ ამჩნევია.

დღეს მე პირველი პროკლამაცია დავწერე. იგი ბადრის წაეკითხე და ვუთხარი გადაემრავლებინათ და თვალსაჩინო ადგილებზე გაეკრათ. პროკლამაციის გაკეთება მაფიქრებინა იმ საშიშროებამ, რაც სოფელს მოელის მტრის ხელში ჩავარდნის შემთხვევაში. ამის კარგი მაგალითი მოგვცა კოჩარამ. კოჩარაში მოწინააღმდეგემ ხუთასზე მეტი სახლი გადასწვა. ისინი არ დაინდეს მიუხედავად იმი-

სა, რომ კოჩარლებს იმედი ჰქონდათ, აფხაზები ხელსაც არ გვახლებენო. კოჩარა ახლაც მტრის ხელშია და მისი დაბრუნება ვერ მოხერხდა. ახლა ჯერი არადუზეა. არადუს აღებით მტერი საბოლოოდ კვეთს ტრასას და გადის სამხედრო პორტში ზღვაზე. პროკლანაციაში მოსახლეობას სიფხიზლის გაძლიერებისაკენ მოვუწოდე.

10 დეკემბერი.

ისევ წვიმს, დანისლული დღეა. სნაიპერი მაინც ისვრის კანტიკუნტად. ჩვენები ერთიანი ფრონტით დასცხებენ და არის კაკანი ტყვიამფრქვევისა და ავტომატებისა. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სადაა ამდენი ტყვია-წამალი, დღედაღამ რომ ვისროლოთ? მოიკრჭალებს მეთაურთა შეშადგენლობა. ადგილი აქვს ხათრიანობას, შეღავათობიას, ლოთობას. ესენი კი დამღუპველი ფაქტორებია. უფროსებო, მოვუწოდე მათ, ჯერ თქვენი თავი მოიყვანეთ წესრიგში და შემდეგ დაამყარეთ წესრიგი-მეთქი. ისინი მდუმარედ მეთანხმებიან, მერე ბევრს დარბიან, მაგრამ შედეგს მაინც ცოტას ვხედავ, ომის გამოცდილებიდან ვიცი, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს რკინისებურ დისციპლინას. აი აქეთ მოვუწოდებ მათ, მაგრამ ადამიანები ისე გაითიშნენ სულიერად და მორალურად, როგორ უკბინონ ერთმანეთს, იმაზე არიან მომართულნი. აქამდე მიგვიყვანა ზვიადისტობის სინდრომმა. ზოგ-ზოგებს დღემდე ვერ ამოუგდია თავიდან, რომ ახლა ურთიერთშეშპობა, რაც დამახასიათებელია მთელი საქართველოსათვის, დამღუპველია და გადაგვარჩენს მხოლოდ ერთობა. ახალგაზრდობა, რომელსაც მკაფიო პოზიცია არ ჰქონდა გამოხატული და ერთგვარ მერყეობას განიცდიდა, მოულოდნელად ომის ჭარცეცხლში აღმოჩნდა და თუ არა ერთეული გმირები, რომლებიც არ იბნევიან რთულ სიტუაციაში და მართლაც გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მდგომარეობა უიმედო იქნებოდა.

გუშინ რომან ბენიძეს მამა გარდაეცვალა, ამირან ბენიძე. იგი წყალტუბოში ლტოლვილად იყო. მას ხვალისთვის ჩამოასვენებენ და არადუში დაკრძალავენ. მტერი ისე უნამუსოა, რომ სასაფლაოზე თავშეყრილ ხალხსაც კი უშენს ტყვიას. რომანის ოჯახი ფრონტიდან სულ ახლოს ცხოვრობს. რომანის მეუღლე აფხაზია, შალოდისა და სერაპიონის ნათესავი. ასეთი აფხაზი პატარძლები ჩვენთან იშვიათი როდია. არც ისაა იშვიათი, რომ მეზობელ აფხაზურ სოფლებ-

ში ბევრი ჩვენი ქალიშვილიცაა გათხოვილი. შეიძლება ვუწოდოთ ომი ამ ხალხებს შორის ატეხილ კონფლიქტებს? მე მგონია, რომ არ არსებობს ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის, ჩვენ სინამდვილეში გვეომება რუსეთის იმპერია.

20 დეკემბერი.

ამინდი მკვეთრად შეიცვალა. აფხაზური სოფლები თითქმის თოვლმა დაფარა. ჩვენთანაც თოვლნარევი წვიმა ცრის. წვიმს და ათოვს უპატრონოდ მიტოვებულ ციტრუსებს. სამაგიეროდ არ წყდება სროლა. აფხაზი ექსტრემისტები არას დაგიდევენ თავიანთ თანამემამულეთა გასაჭირს, რაც მთავარია, მათ ხომ მოაგროვეს მილიონები, ხელთ იგდეს ბინები და უძრავი ქონება. ზოგი რუსეთს გადაიხვეწა და იქიდან იმუქრება, ზოგიც გუდაუთაშია დაბუდებული და არარსებულ აფხაზეთის პარლამენტის სხდომებს ატარებს. ჩვენი ჯიუტად გაიძახიან, რომ თითქოს ქართველებმა მოახდინეს „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ოკუპაცია. ვინ ცნო ეს რესპუბლიკა, არ ვიცი, მაგრამ რუსეთი რომ ფარულად თუ აშკარად მხარს უჭერს მას, ეს ფაქტია. არ წყდება აურზაური რუსეთის ვერტმფრენის ჩამოგდების გამო. დამტკიცებულია, რომ ვერტმფრენს არ მოხვედრია რაკეტა, იგი ჩამოვარდა ჭადატვირთვის გამო. ვერტმფრენი მი-8 განკუთვნილია 24 კაცის გადასაყვანად. ამ მანქანაზე კი 60-ზე მეტი კაცი იყო, მათ შორის 20 აღჭურვილი „ბოევიკი“. ჩამოვარდნის ადგილზე ნახეს ავტომატები, ვაზნები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, ნაღმები, ჭურვები და სხვ. ვერტმფრენი სოხუმში არ დაფრინდა (შესამოწმებლად), ასცდა რადიოზონას და უნდოდა გადაპარულიყო გუდაუთაში, თანაც ამ მანქანას მიაცილებდა მეორე ვერტმფრენი და ერთი თვითმფრინავი. გამოძიება გრძელდება, თუმცა, არხეინად იყავით, რუსეთი სირცხვილით არ დაიწვება, თუ გამტყუნდა, ასეთი მოქმედება პირველი ხილი არაა მისთვის.

დროგამოშვებით გაბმული სროლა ისმის მერკულის გორიდან, მაგრამ იქაც პოზიციებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა ცვლილებები მოხდა არადუს დამცველთა მეთაურების შემადგენლობაში. ასეულის მეთაური ჯემალ ბენდელიანი შეცვალა ემსარ ფუტკარაძემ. ჯემალი ასაკოვანი კაცია, თუმცა მან ბევრი რამ

კარგი გააკეთა სოფლისათვის, შტაბმა მაინც გადაწყვიტა ამ რთულ სიტუაციაში მისი შეცვლა. გაკეთებულისათვის მადლობა უთხრეს. ემზარი უცოლშვილოა, ახალგაზრდა, დიდი ხანი არაა, რაც დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და არადუში მუშაობს უფროს ეკონომისტად. ენერგიული ბიჭია, თანაც ცხოვრობს უშუალოდ ფრონტის ხაზზე და ალბათ ესეც ერთი ფაქტორი იქნება მისი აქტიური აშოქმედებისა. მასთან ერთად ბრძოლაში ჩაბმულია მთელი მისი ოჯახი — მამა და ორი ძმა. ოცმეთაურობა მიანდეს ვალერი ბენდელიანს. ისიც ყოჩაღი ბიჭია. ტყვია-წამლის გაცემის აღრიცხვა მიანდო დათიკო ნემსიწვერიძეს. აქამდე ტყვია-წამალი აღურიცხავად გაიცემოდა და ვინ რაში ხარჯავდა გაურკვეველი იყო.

ვერა და ვერ მოხერხდა „ქვემეხი არადუს“ აწყობა. ხშირად ბიჭებს დავცინი ხოლმე, ალბათ ამის აწყობამდე, ომი დამთავრდებაო-მეთქი, იქნებ წავაქეზო, ან წავახალისო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ნაკლებად ზრუნავენ მის აწყობაზე, სიზარმაცე განსაკუთრებით მას შემდეგ დაეტყოთ, რაც არადუში ტანკები გამოჩნდნენ და ვიღაც ტანკისტმა უთხრათ, რომ ამის პრიმიტიულად აწყობა და გასროლა საშიშიაო. ასე დუმს „არადუ“ ბახვას სარდაფში. ღმერთმა ინებოს, რომ აღარ იქნეს საჭირო მისი გასროლა.

21 დეკემბერი.

წუხელ უხვი თოვლი მოვიდა, მანდარინის ბაღები თეთრ სამოსში გაეხვია. ციტრუსთა ნაყოფებით დახუნძლული ტოტები მიწას განერთხო. საკმარისია ამაღამ მოყინოს და ეს ღვთისაგან მომადლებული ნაყოფი დაკარგულია.

ახლოვდება ახალი წელი. ვიმედოვნებდით, რომ ომი ახალ წლამდე დამთავრდებოდა, მაგრამ, ამაოდ. ხშირად ვკითხულობთ ხოლმე, სადაა გია ყარყარაშვილი? როცა ის აფხაზეთში ჩამოვიდა, ამჯერად მესამე — ოჩამჩირის ფრონტზე, ყველამ შვებით ამოისუნთქა, ახლა ნამდვილად გვეშველებაო. მაშინ შეტევები წარმატებით დაიწყეს, გაწმინდეს ტამიშის მონაკვეთი, აიღეს ლაბრა და მიადგნენ კუტოლს, უყელეს კოჩარას და იქ გაჩერდნენ. აგერ, რა ხანია ისმის ბათქაბუთქი, მაგრამ კოჩარა კვლავ მოწინააღმდეგის ხელშია, კუტოლი კი ძველებურად აფხაზეთის ალყაშია (მხედველობაში

მყავს ქართული დასახლება). თვითონ კუტოლელები ხელსაც არ ანძრევენ.

ჩემს მიერ შედგენილ პროკლამაციას კომენდანტი ბორისი სამი დღე ჯიბით დაატარებდა, როცა ამის შესახებ პროტესტი განვუცხადე, მითხრა, ბიჭებს ყველას წავაკითხეო. მე მას დაჟინებით ვურჩიე, გააკრას თვალსაჩინო ადგილებზე, მანაც მბეჭდავი ქალი თინა მოძებნა და გადამრავლება დაავალა.

პ რ ო კ ლ ა მ ა ც ი ა

ძვირფასო მეგობრებო, არადუს მაცხოვრებლებო და მის დასაცავად ჩამოსულო მეომრებო.

1942 წელს ჩეჩენი და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხები უკანდახეულ საბჭოთა არმიის ნაწილებს სპობდნენ, ამისათვის ისინი სტალინმა შუააზიასა და ყაზახეთში გადაასახლა.

არადუში სტალინის უნიკალური ძეგლი დგას, ერთ ჭუჩას სტალინის ჭუჩა ჰქვია. ნუ დაგავიწყდებათ, თუ რას მოიმოქმედებს ჩეჩენი და სხვა გადამთიელი, თუ ხელში ჩაიგდებს არადუს, როგორ დედაბუდიანად ამოხოცავს მის მაცხოვრებლებს.

ამიტომ მოგიწოდებთ:

1) დიდმა და პატარამ. ქალმა და კაცმა გააათკეცეთ სიფხიზლე, არც ერთი წუთი მოდუნება, ვიბრძოლოთ ჩვენი სოფლის დასაცავად!

2) ენა ჩაუგდეთ სხვადასხვა ჯურის პანიკიორებს, მშიშარებსა და ჭორიკანებს, არ მისცეთ საშუალება დეზინფორმაციის გავრცელებისა.

3) აღირიცხება და ყველას მოეკითხება ის, თუ რა წვლილი შეიტანა არადუს დაცვის საქმეში.

4) გახსოვდეთ, რომ არადუს დამცველებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. არადუს დაცვაზე იწერება დოკუმენტური წიგნი, რომელიც არადუს ყველა დამცველს თავის ღირსეულ ადგილს მიუჩენს საქართველოს ისტორიაში.

5) მხოლოდ შეკავშირება და სიმამაცე მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე.

6) უმკაცრესი დისციპლინაა მხოლოდ გამარჯვების გარანტია. ლმერთი იყოს თქვენი მფარველი და წინამძღოლი.

არადუს შტაბი.

კარგი ბიჭები არიან, ისინი არ ჰგვანან მარადიორებსა და მოღალატეებს. კულტურულად იქცევიან და მზად არიან ყოველ წუთს ჩაებან ბრძოლაში. ისინი ნამდვილი ჯარისკაცები არიან.

ვცდილობ დავამყარო კავშირი მეზობელი აფხაზური სოფლების ინტელიგენციასთან. მე მოქვის სკოლაში რვა წელს ვმუშაობდი აფხაზებთან. მინდა გავიგო მათი აზრი, თუ რას ფიქრობენ ჩვენი მომავალი ურთიერთობის თაობაზე, მაგრამ როგორ გავაკეთო ეს, არ ვიცი. ჩვენი სოფლის მაცხოვრებელ აფხაზებს კარგად ვექცევით, განსაკუთრებით მათზე ზრუნავს ბადრი.

რუსეთის სამხედრო ვერტმფრენი რომ ჩამოვარდა (თუ ჩამოაგდეს) ლათაში, სხვებთან ერთად იცით, ვინ იყო შიგ? — ის, რომელმაც თავის კაბინეტში კონდახით თავი გაუტეხა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გივი ლომინაძეს. ღმერთმა ჯალათი იმით დასაჯა, რომ ვერტმფრენში ამოხადა სული.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მოქვის მხრიდან ჩვენც დაგვიშინეს ტყვიები, ერთმა მათგანმა ახლოს ჩამისტვინა, მაგრამ წარმოიდგინეთ, თუ სამი თვის წინათ ასეთ ვითარებაში შეიძლება მალაყებზე გადავსულიყავი, ახლა ყურადღებაც კი არ მიმიქცევია, წერა არ მიმიტოვებია, მარცხენა ხელი ავტომატისკენ წავიღე და მოვემზადე, თუ კიდევ გააგრძელებენ ასეთ სტვენას, გარეთ გავხტები და მეც „დავუსტვენ“ კაცურად.

22 დეკემბერი.

მთისწინეთში თოვლი ჩამოწვა. თეთრად გადაიპენტა ტყვარჩელი. ერთ დროს იქ მჩქეფარე ცხოვრება იყო. ტყვარჩელის ქვანახშირი ხარისხიანია და მისი შახტები (თუმცა დიდი მარაგი არა აქვს) გვარიანად ამარაგებდა მრეწველობას. ასევე კარგი შემოსავალი ჰქონდა თვით მეშახტეებსაც. იქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ხალისით მუშაობდნენ გვერდიგვერდ, კარგად მეზობლობდნენ და კაი პურის ჭამაც ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ეშმაკი ჩაუსახლდათ სულში და აირივნენ, ჯოჯოხეთურ წამებაში ჩავარდნენ ადამიანები. ამბობენ, რომ იქ ქართველები უკვე აღარ არიანო, რუსებმაც გაქცევით უშველეს თავსო. მაშ, ვინღა დარჩა? აფხაზები და მათი დაქირავებულები ჩრდილო კავკასიიდან, რომელთაც, აგერ,

რამდენი ხანია თვალი უჭირავთ ზღვისპირეთში სოკოებივით მოფენილ, გაწყობილ კარმიდამოიან სახლებზე. ასეთი სულისშემძვრელი ფიქრები წარბენშობს მოქმედებას; ეს მოქმედება კი გამოიხატება იმაში, რასაც დღეს ვხედავთ: ზარბაზნების გრუხუნი, ტყვიების წვიმა, უდანაშაულო ადამიანთა გვამები, დაქცეული ოჯახები, გატეხილი გული, აწეწილი, გაურკვეველი ცხოვრება. ეზივარ ლამპის მბეჟუტავ ალთან, როცა სინათლე ჩაირთვება აივანზე ავდივარ და გავხედავ აფხაზურ სოფლებს. იქნებ იქაც აინთო სინათლე? იცოდეს ღმერთმა, ძალიან მინდა ერთდროულად აინთოს შუქი ჩვენთანაც და მათთანაც.

მოგახსენებდით, რომ ჟორას ძმა, რომელიც კინდღში ცხოვრობდა, ტამიშის გზაზე მოკლეს აფხაზებმა. ხუთი დღე იგი თურმე გზაზე ეგდო უპატრონოდ. გუშინ ორმოცი იყო და ჟორამ მოზვერი წაიყვანა, ჩვენს კომენდანტს დაემგზავრა—ბორისს, რომელიც სოხუმში წავიდა ოჯახის მოსანახულებლად. წუხელ ღამით უსინათლო თვითმცლელით კინდღის გზაზე ბეტონის ნაკეთობას შეეჯახნენ და ბეწვზე გადარჩნენ. ბორია დაიმტვრა, ჟორა კი წელს ქვევით ისეა დაქუცმაცილი, რომ ვიღარ ირყევა. ასე ირევა ოჯახები, წყდება ჩონგურის აწყობილი სიმები. მახსენდება აკაკის „ჩონგური“: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შეველაო...“ სულმნათი აკაკი თითქმის საუკუნის წინათ წინასწარმეტყველებდა, რომ გაწყვეტილ სიმს თუ მაშინვე არ ეშველა, დაღუპულია საქმე. და მართლაც დაიღუპა საქმე, რადგანაც დროზე ვერ ვუშველეთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას.

დღეს, დილით ბახვა მოვიდა და თქვა, რომ წუხელ სკოლაში მხედრიონის ასი კაცი მომადგა ოჩამჩირიდან და დაიწყეს მათებური—სოფელში შეაგროვეთ ასი ლები, ასი ბალიში და ასი საბანი, რომ სკოლაში გამოვიძინოთო, ერთმა მათგანმა საკლასო ოთახის კარები ჩალეწა, მეორემ გვერდზე გამიხმო და საერთო საცხოვრებლისაკენ მიმახედა, იქ ვინ ცხოვრობს, ამას წინათ ჩვიდმეტი წლის გოგო შევირთე და იქ ოთახი მომიძებნეო... ბუნებრივია, თუ რა განწყობაზე დადგებოდა ბახვას ირგვლივ შეკრებილი ხალხი. მათ გადაჭრით თქვეს, რომ ჩვენ მხედრიონელების გარეშე დავიცავთ თავსო. საქმეში ჩავები და ახალგაზრდებს ვურჩიე, რომ არავითარ შემთხვევაში კონფლიქტში არ შევიდნენ მოსულ მებრძოლებთან;

შეიძლება მათ შორის გამოერიოს რომელიმე ვიგინდარა და მარადიორი, მაგრამ ამით არ შეიძლება შეფასდეს მხედრიონის საქციელი მთლიანად. დღეს სიტუაცია არადუში მეტად რთულია და ისინიც მხარში ამოვიყენოთ საბრძოლველად, ვიდრე ომი დამთავრდება-მეთქი. ამასთან ერთად მოვიყვანე არგუმენტები, რომ „მხედრიონი“, როგორც ცალკე ფორმირება აღარ არსებობს, არის ერთიანი ჯარი საქართველოსი. ყველანი გავაჩუმე, მგონი დამიჯერეს, ბადრიმ კი გადაჭრით თქვა, სოფელში მარადიორობას და აფხაზთა ღირსების შელახვას არავის დავანებებთო.

28 დეკემბერი.

მთელი ღამე წვიმდა. მიუხედავად ამისა, არ წყდება ბათქები ხან ნაღმტყორცნებიდან, ხანაც ქვემეხებიდან. ოღონდაც გაისროლონ და ჭურვი სად დაეცემა, ამაზე არავინ ფიქრობს. ბუნებრივია, ამ ალბათობაში ზარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა. ასე უმისამართოდ გვიშენენ ტყვარჩელში დამზადებულ ნაღმებს. მე ვნახე იქ დამზადებული ავტომატური იარაღი, რომელიც ისვრის „მაკაროვის“ სისტემის ტყვიებს. ალბათ ამ ტყვიებსაც იქ ამზადებენ. ფრიად დამაფიქრებელია ისიც, რომ ამ ქარხანას ფილიალები აქვს სოფლებში, მაგალითად ჭლოუში. ვინ აფინანსებდა და ხელმძღვანელობდა ამ ქარხნებს? ნუთუ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ, თუ თვალს ხუჭავდა ყოველივეზე? თუ ასე იყო, ძვირად დაუჯდა ეს თვლემა ჩვენს ქვეყანას...

ვნახე გადაცემა მოსკოვიდან რუსეთ-ამერიკის ერთობლივი ფილმისა, რომელსაც ჰქვია „გზა შეთანხმებისა“. პირველყოვლისა, ეკრანიდან გადმოიღვარა ვიღაც აფხაზი დიქტორის რიხიანი ცრუპანტელობა მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაშიც ძირფესვიანად ყველა მოვლენებზე დაადანაშაულა საქართველო. შემდეგ კი საკმაოდ დამაჯერებლად გადმოიცა საქართველოს წარმომადგენელთა პოზიცია. გამოვიდა ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე, რომელმაც მიმოიხილა საქართველოს ისტორიული, ხაზს ვუსვამ, ისტორიული და არა ფალსიფიცირებული სინამდვილე, რომელშიც აფხაზეთი შედიოდა და შედის, არა როგორც ცალკე სახელმწიფო, არამედ როგორც ერთ-ერთი კუთხე საქართველოსი. შემდეგ გამოვიდა თავდაცვის მინისტრი ბატონი კიტოვანი, რომელმაც გაბსნა

კვანძი, როცა თქვა, რომ აგვისტოსათვის აფხაზ ექსტრემისტებს დაგეგმილი ჰქონდათ მოეწყოთ ქართველთა გენოციდი. მაგიდას მიუსხდნენ მოსკოვში ცნობილი აფხაზი ექსტრემისტი ზურაბ აჩბა და ნუგზარ მგალობლიშვილი. ფილმის წამყვანი რუსი, ცდილობდა მოენახა მათ შორის აზრის შეხების წერტილი, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დიალოგის დაწყება, მაგრამ აჩბამ ისეთი ღვარძლი გადმოანთხია, რომ წამყვანი იძულებული გახდა გადაცემა შეეწყვიტა. აი, რატომ ვერ ხერხდება აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება...

როგორც მოგახსენეთ, გუშინ ასამდე შეიარაღებული კაცი შემოვიდა ოჩამჩირიდან არადუში. წუხელ ბადრი მთელი ღამე არ გამოჩენილა. დღეს ნაშუადღევს შემოირბინა მხოლოდ. ვუსაყვედურე, წუხელ შინ რატომ არ მოხვედი-მეთქი. მან რიხიანად მიპასუხა: მოსულები დავაბინავეთ და დავანაყრეთო. მართალია, მათ შორის ურევია ისეთები, რომლებიც „აფრენენ“, მაგრამ უმრავლესობა კარგი ბიჭები არიანო. ახლა საგუშაგოები უნდა შემოვიარო და სხვა ამბებს შემდეგ მოგიყვებიო.

აღარ მოვეშვი და მაინც მოვაყოლე ერთი ამბავი, რომელიც წუხელ ღამით მომხდარა, თურმე ჩვენთან რომ დგანან, ის ტანკისტები დამთვრალან, ერთი მათგანი იჭდა და ტიროდა; ბადრის მიზეზი რომ უკითხავს, მცირე ყოყმანის შემდეგ უთქვამს, სატირლად მაქვს საქმე, აბა რა არისო; გამოგვაგზავნეს და ვდგავართ უსაქმოდო, ან გვიბრძანონ, ვიბრძოლოთ, ანდა სახლებში გაგვიშვანო, ეს რას ჰგავს. ფაფის საჭმელად წამოვედითო? ორ მათგანს შელაპარაკება მოსვლიათ, გვარიანად მოუქექიათ ერთმანეთი და მათ შერიგებას გადაყოლია ბადრი. ბადრი შერიგების ოსტატია და ხშირად დაყავთ აქეთ-იქით. ისიც თავს იწონებს თავისი შუამავლობით...

24 დეკემბერი

ახლოვდება ახალი წელი. ჩვენი კარმიდამოები სავსეა ციტრუსებით, ხილით. ლტოლვილებად გაფანტულ ჩვენს ბავშვებს კი ამ დროს ენატრებათ თავიანთი ოჯახების ხილი და ბოსტნეული. აქ კი, რომ იტყვიან, „ხილს ღორიც კი აღარ სჭამს“. ხვალისათვის მთელი ქრისტიანული სამყარო დიდი მოწიწებით აღნიშნავს ქრისტეშობის დღესასწაულს.

ერთხელ მეუღლე მეუბნება, კაცო, წავიდეთ, თორემ ის მოხეტიალეა თუ ჯანდაბა, უწესრიგოდ გამოსროლილი ნაღმი რომ მოხვდეს სახლს. ხომ დაიწვება ყველაფერიო, მე მშვიდად ვუპასუხე: ამ სახლში წმინდა წიგნი ბიბლია ინახება და მას ვერ წაბილწავს ვერავითარი ბოროტება, ნუ გეშინია, ეს წიგნი დაგვიცავს-მეთქი. ტატიანამ ორჭოფულად გადააქნია თავი, თითქოს დამეთანხმა. მე კი ნამდვილად მჯერა, თუმცა გაგრის მოვლენების შემდეგ, ვინ იქნება თავდაჯერებული იმაში, რომ მის სიცოცხლეს და ქონებას საფრთხე არ ემუქრება?! იმაზეც ვფიქრობ, რომ ამ წმინდა წიგნში ნაწინასწარმეტყველებია კაცობრიობის მომავალი. ბევრჯერ დავფიქრებულვარ ბიბლიის აპოკალიფსზე. ხომ არ მოახლოვდა ეს დრო? შესწევს თუ არა ადამიანს ძალა, გადაარჩინოს ცივილიზაცია? რატომ მომრავლდა ასე ნარკომანია? ლოთობა? რატომ გაჩნდა ვირუსი შიდსი? რატომ მზადდება ასე თავაწყვეტილად მასობრივი მოსპობის იარაღის მთები? ვინმე ხომ არ გვითვალთვალებს სამყაროს სიღრმიდან და აკვირდება ჩვენი განვითარებისა და ნამოქმედარის შედეგებს? მარტო დედამიწის ეკოლოგიური გაჩანაგება კმარა დედამიწის დაღუპვისათვისო... ალბათ, ადამიანის გონებას არ შესწევს უნარი გაიცნობიეროს ყველაფერი ის, რაც მას მოელის ანდა კოსმოსური ბედის წყალობით შეიძლება წინასწარ იყოს ყველაფერი დაპროგრამებული.

მაშ ასე, ახალი წელი ახლოვდება, ომი კვლავ გრძელდება, მტერი კი თანდათან ძალას იკრებს, მას ახალ-ახალი მოქხრეები ემატება, ახალი იარაღი უჩნდება (მაგალითად გუმისთის მიდამოებში გამოჩნდა ახალი თვითმავალი ქვემეხი, სოხუმის სანაპიროს აკვატორიაში შემჩნეული იქნა წყალქვეშა ნავები), საზღვარი რუსეთთან გახსნილია და მრავალი ჯურის გადამთიელი დაეხეტება ჩვენს კურთხეულ მიწაზე. ნაღმტყორცნების დაშენის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ავტომატური იარაღით, მთელი დღის განმავლობაში არ გამოჩენილა არც თვითმფრინავები და არც ვერტმფრენები, ბრძოლა კი გააფთრებული იყო. ქართველებმა იქამდე ამორეკეს მოწინააღმდეგე, საიდანაც ის სატანა სნაიპერი ისვრის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით. ის ჩვეულებრივად დღის ბოლოსაც განაგრძობდა სროლას ხან არადუსა და ხანაც მერკულის მიმართულებით. რა ციხესიმაგრეებია ჩამალული, ეშმაკმა უწყის, ერთი კია, თუ ვინმე არ შეახტა მის ტყვიამფრქვევს, ქვემეხითა და ზალპებით მისი მოხსნა

ვერავინ შეძლო. საღამოს ექვსი საათისათვის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. ახლა მთავარია, ჩვენებმა შეინარჩუნონ ის პოზიციები, რომლებიც დღის ბოლოს დაიკავეს.

არადუს ფრონტზეც გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენმა ბიჭებმა სცადეს მტრის ალყაში მოქცევა და შეასრულეს კიდეც, მაგრამ ტანკები მწყობრიდან გამოვიდა, მაშველი ძალა ისევ არ მოსულა. ვერ გეტყვით, რას აკეთებდა ის ასეული, რომელიც გუშინწინ მოვიდა და სკოლაში დაბანაკდა. ეტყობა, სოფლის მოსახლეობა მოსულებს დარაჯობს, ჰგონიათ ესენი გაგვძარცვაენ და წაველენ, მაგათ ჩვენი ჯავრი სრულებით არ აქვთო. ჯერ ნაადრევია ამაზე მსჯელობა, მაგრამ უნდობლობაა. გათენდა თუ არა, ფრონტის ხაზისკენ დაიძრა სოფლის ახალგაზრდობა. არ ვიცი, როგორ გამიგებთ. მაგრამ მე რომ მკითხოთ, გულს არ ესადაგება ეს შეტევა. უმჯობესია, ვიზრუნოთ სოფლის დაცვაზე, ჩვენს სოფელში არ გაეაჭაჭანოთ გადამთიელი და ამ ოხერ აფხაზებთან ოდესმე ხომ უნდა ვიცხოვროთ. თუ შევედით მათ სოფელში, მაშინ მათ მოელით კოჩარის ბედი, არადა, კოჩარა აფხაზური სოფელი ვერ გახდება, ვერც მოქვი ან ჭლოუ გახდება ქართული, ადრე თუ გვიან ისევ უნდა ვიმეზობლოთ. მათ ყოველი მტკაველი მიწა აქვთ გამაგრებული, ტრანშეებით დაქსელილი, ვინ მოთვლის, როგორი თავდაცვა არ შეუქმნიათ; ჰოდა დაიძრა ახალგაზრდობა იარაღით ხელში, მოდიან მუქარით, ბაქიბუქით, იმათ ვაჩვენებთ სეირსო. განწყობა მართლაც რომ უმაღლესი იყო...

შეტევა მერკულის გორაზე დაიწყო მეფრინველეობის ფაბრიკის მხრიდან. მთელი ერთი საათის განმავლობაში არტილერიამ მაგრად დაჭედა მერკულის გორა. მე აივანზე ვზივარ და ყველაფერს ხელისგულივით ვხედავ.

ბადრი გვიან ღამით დაბრუნდა. ისევ ტყვეების შესახებ ვკითხე. არ მიპასუხა, ახლა ამის თავი არა მაქვსო. დაღლილი იყო, თანაც გაციებული, ცხელი ჩაი დალია და დაიძინა...

ღამის სამ საათსა და ოცდაათ წუთზე ემზარიმ გაგვაღვიძა. ბადრის აცნობა, რომ ოჩამჩირიდან მოვიდოდნენ უფროსები, ბრძანება გვაქვს მიღებული და ის ბიჭები გააღვიძეთ, ვისაც იარაღი აქვთ დარიგებულიო. ბადრი ერთი საათის გამოძინებულიც არ იყო, თანაც თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ მაინც წამოხტა და ერთად გაემგზავრნენ. არ ვიცი, რა მოხდება ამ დილით, მაგრამ გადასაწყვეტი უნდა გადაწყდეს.

შტაბის კრებიდან ყველაზე ადრე ლევანი ამოვიდა, ლევანს წვერი გაეპარსა, გალამაზებულიყო. ჩემთან მოვიხმე უმალ და ამბავი ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი. ოჩამჩირის შტაბიდან არიან მოსული, ბრძანება გვაქვს მიღებული, რაკი აფხაზები აღარ ისვენებენ, უნდა შევუტიოთო. მერე თავისებურად დახატა, რაც უთხრეს: ჯერ არტილერია იმუშავებს, მერე „გრადი" გადაამუშავებს, მერე ვერტმფრენი და თვითმფრინავი გადახარშავს, მერე ტანკები მოწიხლავს და თან თქვენ მიყვებით უკანო. სურათი ისე ლამაზად დახატა ლევანმა, თითქოს ყველაფერი დამთავრებული ჩანდა.

26 დეკემბერი.

საინტერესოა, რა მოიმოქმედა რუსეთის პარლამენტმა ასეთ მეურვეობას რომ უწევს აფხაზეთს, თითქოს აფხაზეთი მისი ტერიტორია იყოს. რუსეთმა ჯარები შეიყვანა ოსეთში, ხოცვა-ჟლეტა მოაწყო ინგუშეთში, ტაჯიკეთში და ეს თითქოს არაფერია მისთვის, მაგრამ წელებზე ფეხს იდგამს და გაჰყვირის, როცა რომელიმე სუვერენული სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველო, თავის ტერიტორიაზე გადაადგილებს თავის შეიარაღებულ ძალებს. ვინ ეკითხება რუსეთის პარლამენტს იხილავდეს საქართველოს საკითხებს? ახლაც პარლამენტმა აურზაური ატეხა ვერტმფრენის თაობაზე, რომელიც დაუკითხავად მიფრინავდა გუდაუთაში და ჩამოვარდა ლათაში. რუსეთის პარლამენტში შოვინისტმა დეპუტატებმა მოითხოვეს ამის თაობაზე დადგენილების მიღება და გაეროსათვის გადაგზავნა. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბოლოს და ბოლოს საქვეყნოდ განაცხადა, რომ დადგა დრო, განვაცხადოთ სიმართლე რუსეთის შესახებ. თუ რუსეთი ყურს დაუგდებს საქართველოს სამართლიან მოთხოვნებს, ხომ კარგი, თუ არა და ურუსეთოდაც (მართალია, გაგვიჭირდება) გავძლებთ როგორმე. მართალია, ჩვენ ძლიერ გვჭირდება კავშირი რუსეთთან, მაგრამ არა ნაკლებად ვჭირდებით ჩვენ თვითონ რუსეთსო. აფხაზები და მათი დაჭირავებულები ცდილობენ, წაგლიჯონ საქართველოს აფხაზეთი და შეუერთონ რუსეთს. რუსეთი თავის მხრივ ყოველნაირად ხელს უწყობს ამ ავი ზრახვის განხორციელებას.

დღეს ქეთოს წერილი მივიღე ფოთიდან. იგი ჩემი უფროსი ქალიშვილია, ჯუმბერის მეუღლე, მას ორი შვილი ჰყავს ხათუნა და

ნათია. ხათუნამ ბევრი ხეტიალის შემდეგ ჩააღწია ფოთში. მანანას ბიჭები (მანანა უმცროსი ქალიშვილია) ფოთში არიან ქეთინოსთან და სკოლაში სწავლობენ. ისინი მერხეულში ცხოვრობდნენ, მაგრამ გადაიხვეწნენ ფოთში. გულზე მომეშვა, როცა გავიგე, რომ ყველანი კარგად არიან, ჯუმბერიც კარგად გამხდარა. ის ჩვენთან მკურნალობდა ორი თვე, ნატყვიარებს იშუშებდა.

დღეს დიდი ინტერესით ვუსმენდი ჩვენი პარლამენტის სხდომის მიმდინარეობას. ბატონმა გენო კალანდიამ თავდაცვის მინისტრს ბატონ კიტოვანს შეკითხვა მისცა კოჩარის დაბრუნების თაობაზე, მაგრამ რატომღაც მინისტრმა გვერდი აუარა კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას. ეს არ გამკვირვებია, რამდენადაც ყოველგვარი სამხედრო ხასიათის ინფორმაცია საიდუმლოდ უნდა რჩებოდეს. ისე, კი რამდენად მალე განთავისუფლდება ეს სოფელი, მით უკეთესია, თორემ, აი, დღესაც მოვიდა ამბავი მძევლები დახოცესო, ამ ქალს ჯერ ძმა მოუკლეს, გვარდიელი რატომ ხარო, დღეს კი მამა მოუკლეს, გვარდიელის მამა რატომ ხარო, ამ თავაწყვეტილი მკვლელებისათვის არ არსებობს არც საშინაო და არც საერთაშორისო სამართალი?! არადა, მშვიდობიანი მოსახლეობის ასე აწიოკება ვის გაუგონია?!

ბადრი ჯერ არ მოსულა და არ ვიცი, რა გააკეთეს. ტატიანამ მანდარინის კრეფა დამავალა და რა ჯანია, რომ არ ვკრიფო. მაინც-დამაინც დიდი სურვილი არ მაქვს ასეთი მუშაობისა, მაგრამ, თუ ბიჭი ხარ, ნუ შეასრულებ მეუღლის ბრძანებას. თვითონ იმდენს დადის (უკვე 62 წელი შეუსრულდა), მგონი, დღეში ორი იაპონური ნორმა გამოუდის (ეს უკვე ოციათას ნაბიჯზე მეტია). დილით ბაზარში გარბის, ზოგჯერ ფეხით, ზოგჯერ ტრაქტორზე ამხედრებული. იქიდან დაბრუნებული, ღამითაც კი კრეფს მანდარინს. მე უფრო ადრე ვტოვებ სამუშაოს და ჯერ იმ ოთახს მოვაპრიალებ, სადაც ვცხოვრობთ; ღუმელს გავახურებ და ვიწყებ წიგნის წერას. ეზოდან წამოსული ბეჭზე კალათაგადგმული ტატიანა მხედრული ნაბიჯით შემოდის ტალახიანი კალოშებით მოპრიალებულ იატაკზე, ერთი კვირაც არ იქნება, რაც ის კალოშები იყიდა ოჩამჩირეში და ლანჩა მთლად მომძვრალი აქვს. აი ამ კომერციული კალოშებით ატალახებს ჩემს ნაწვალებ იატაკს. მას ფეხდაფეხ მოჰყვება სამი ძაღლი. იმ მგლის არჩიევებს სამივეს დათვია ჰქვიათ და ერთს თუ დაუძახე, ერთმანეთზე დაჯიბრებულები ხტუნვით გამოქანდებიან

და ოთახი ფარეხს დაემსგავსება. ტატიანა ჰკივის, რა ჯანდაბად გინდა ამდენი ძაღლებიო. აბა, რა ვუყო-მეთქი, ორი მათგანი ბებერია, მაგრამ მეცოდებიან მოსაკლავად, ჩემი გაზრდილები არიან.

27 დეკემბერი.

დღეს ჰიშკრის ბოძზე გამთენიისას მამლის დაკვლა გადავდეთ. სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ ფრონტზე ვიმყოფებით, ყველა იმაზე ფიქრობს, თუ როგორ აღნიშნონ ახალი წელი და შობის დღესასწაული.

გუშინდელი და დღევანდელი ბრძოლების შედეგად ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს მერკულის ფრონტზე, დაიკავეს მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლება და სკოლა, სადაც ძლიერ გამაგრებული პოზიციები ჰქონდა მოწინააღმდეგეს. ახლა ბრძოლები მიმდინარეობს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობებისა და საერთო საცხოვრებლებისათვის, სადაც აფხაზებთან ერთად დაბუდებულნი არიან დაქირავებული გადამთიელები. მერკულის გორის უსიერი ტყე ჩვენს მხარესაა, რომელიც ზემოდან დაჰყურებს არადუს.

დატყვევებული კოჩარლების (ქართველების) გამოხსნა ხშირად მიმდინარეობს არადუში. ზოგს მკვდრებზე ცვლიან, ზოგსაც სხვა გზით; მაგალითად, კოჩარელი ნათესავები რომ გამოიხსნიან ტყვეობიდან, არადუელ ჯალაბაზრდებს ხშირად აჰყავთ აფხაზი მძევლები და შემდეგ მიმდინარეობს გაცვლა. შუადღისას ასეულის მეთაური ემზარი მოვიდა, ბადრის ეძებდა, ბადრი ადრე წავიდა ბახვასა და ამირანთან ერთად. რომ ვკითხე, სად მიდიხარ-მეთქი, მოკლედ მომიჭრა: საქმეზეო, მეც აღარ ჩავეძიე, რაკი შევატყვე, რომ მაინცდამაინც არ უნდა წინდაწინ გაამჟღავნოს ჩანაფიქრი. ემზარის ვკითხე, რისთვის გჭირდება ბადრი-მეთქი, ის უფრო გულღია ბიჭია, თორემ მის ადგილას უპრიანი იქნებოდა, პასუხი არ გაეცა ჩემთვის. აქ ნამდვილი ომია და ყოველ სიტყვას დიდი აწონ-დაწონა სჭირდება, ვიდრე წარმოთქვამდე. ემზარისაგან შევიტყვე, რომ აწარმოებენ ტყვეების გაცვლას.

ბენია ჩაკვეტაძე და მამარდაშვილი ნაღმს გადააწყდნენ და ორთავემ თითო ფეხი დაკარგა, ხოლო კოპალიანი ტყვიით დაიჭრა. ბადრიმ დაჭრილები საავადმყოფოში მიაცილა. იქ ზეწარგადაფარე-

ბული ცხედარი ესვენა. ბადრიმ ზეწარი გადახადა და იქვე გაფით-რდა, იგი ავთო აღმოჩნდა, გუშერას ბიჭი, ჩვენი კარის მეზობელი და ბადრის კარგი ამბანაგი. რამდენჯერ უჭამიათ ერთად პური, რამდენი დრო გაუტარებიათ; ამ ალალმართალ ბიჭს დედა ადრე გარდაეცვალა და დიდი რუდუნებით ზრდიდა მამა გუშერა, ადრე და-ქორწინდა კოსარელ გოგოზე. ეს ის გოგოა, ზემოთ რომ მოგახსე-ნებდით, რომელსაც აფსაზებმა კოჩარაში ძმა და მამა მოუკლეს. არ-ლა კი მას ქმარი და მის ორ ბავშვს მარჩენალი წაართვეს. ავთოც ომის დაწყებისთანავე გვარდიაში ჩაერიცხა. მასთან ერთად გვარ-დიაში ოცამდე ახალგაზრდა იყო არადუდან. მათი სასაფლაო მერ-კულის გორა გახდა. პირველი ტრაგედია იური ყურაშვილისა იქ მოხდა, სწორედ მერკულის ბრძოლაში და აი ჩვენი საყვარელი ავ-თო დღევანდელი დღის მსხვერპლია, თუმცა იგი დღევანდელობის გმირია და იმედია, მას არ დაივიწყებს ხალხი.

ბადრიმ საღამოს შემოირბინა. როგორც ყოველთვის, სიტყვა-ძუნწია. ზოგი იმალება, ზოგიც საერთოდ გაეცალა სოფელს და არც კი იცის, თუ რა ხდება არადუში. მე მას განგებ ვუთხარი: წაღი, ბიჭო, ფოთში შენს დასთან, მოშორდი აჭაურობას და თავს უშვე-ლე-მეთქი. ჭოჭორას ივარცხნიდა და სარკიდან კუშტად შემომხედა: თუ წასვლა გინდა, შენ წადი, უფრო დაგშვენდება, მე კი არსა-დაც არ წავალ, ამ ხალხს პატრონობა სჭირდებაო. ასეთი შვილი საამაყოა, მაგრამ ყველასათვის გასაგებია მშობლის შიში და ჯავრი შვილზე; მერე მეც მშვიდად მივუგე, წიგნი უნდა დავწერო და ეს წიგნი მხოლოდ აქ, ფრონტზე დაიწერება-მეთქი. კარგი, ორივე ვიყოთ და ტატიანა დავიცვათო, თქვა და გავიდა. მანქანაში მას ასეულის მეთაური ემზარი ელოდებოდა.

აივნიდან ხშირად გავდიოდი ჩემს საგუშაგოზე და პოზიციას ვი-კავებდი. როცა ტყვიის წვიმა წამოვიდოდა, მინდოდა თუ არა, თი-თი მაინც სასხლეტისაკენ გამირბოდა და ამ ბათქაბუთქში ავტომა-ტის ერთი მჭიდე დავცალე, ხეების კენწეროებს სულ დედა ვუტირე.

28 დეკემბერი.

სოფელს დილის მძიმე ნისლი დასწოლია. სახლების სახურავებს წუხანდელი თოვლის ნაფიფქარი ატყვია. კარ-მიდამოებში ძაღლე-ბის ყეფა და ყმუილი ისმის.

სოფელში გუშინდელი მოკლული ალალმართალი ბიჭი წევს. მას

ავთო ჰქვია. კუბოსთვის ფიცარს ეძებენ. ფიცარი დეფიციტი გახდა. ყველაფერი გაძვირდა, გარდა სიკვდილისა. სიცოცხლე და სიკვდილი გამუდმებულ დუელშია დასაბამიდან, თუ ერთი გაძვირდება, მეორე გაიაფდება.

ვინ იფიქრებდა, თუ ამისთანა ბიჭები ასეთი სიკვდილის წერა გახდებოდნენ?! აჰ, ახლოს ერთ სახლში სამუდამო ძილით წევს ავთო, მას ნატყვიარი თავზე ამჩნევია. ვინ იყო იგი, ვინც მას ტყვია ესროლა? არავინ იცის! ომია. ომში კი ისვრიან, ვიღაც კვდება. ასეთია ომის კანონი, თუმცა აქვს კი ომს კანონი?

ჰო, ეძებენ ფიცარს იმ ბიჭისათვის. ხვალ თუ ზეგ მას მიწას მიაბარებენ. ბევრი ურტყა თავი კედელს მამამისმა. მერე გონზე რომ მოვიდა, იფიქრა, მოდი, თავს მოვიკლავ და ჩემს ავთოსთან ერთად დამმარხავენო. ასე გააკეთა სოხუმის დრამატული თეატრის ერთმა მსახიობმა, მასაც ერთადერთი ვაჟი ფრონტზე მოუკლეს ეშერაში, გამწარებულმა მამამაც თავი მოიკლა და... რამდენიმე დღის შემდეგ თეატრიდან გამოიტანეს ორი კუბო, რომლებშიც იწვნენ მამა და შვილი ელერდაშვილები. ავთოს მამამ ავი განზრახვა გადაიფიქრა. ავთოს ორი ბიჭი დარჩა, პატარები, უსუსურები, მათ აღზრდა უნდა, პატრონობა უნდა. ვინ უპატრონებს მის მეტი? და სიცოცხლემ დაამარცხა სიკვდილი.

დუმს სოფელი, სნაიპერი მაზანკის მხრიდან მაინც ისვრის, ისკრის უწესრიგოდ, ისვრის, ოღონდაც ვინმე მოკლას მისმა ნასროლმა ტყვიამ და სულერთია მისთვის, როგორ ისვრის, ან საით ისვრის.

ქუჩის განაპირას ერთ სახლთან თოთხმეტტონიანი ავტოფურგონი დგას. იქ მისი მძღოლი ემზარი და კიდევ ერთი ბიჭი ფუსფუსებენ. ქუჩის გაყოლებით თბილად ჩაცმული ადამიანები, უმთავრესად, ქალები დგანან. აქა-იქ კაცებიც ურევიათ, უმეტესად ახალგაზრდები, მათ ქუჩაში გამოუწყვიათ თავიანთი ბარგი ბარხანა, ყუთებში ჩაწყობილი ხილი და ათასი რამ: სადღაც მიემგზავრებიან, რაღაც მიაქვთ. ვინ რა მიზეზით მიდის, არავინ იცის. ზოგმა გადაწყვიტა შვილები მოინახულოს, ზოგსაც გუშინდელი მოვლენების შემდეგ შეეშინდა, ზოგსაც აქამდეც ეშინოდა, მაგრამ აშკარად არ ამხელდა და მომენტს ეძებდა, რათა გასცლოდა საშიშროებას: იმას აღარ დაეძებდნენ, ვინ დაიცავდა მათ სახლ-კარს.

ფურგონი დაიძრა. მაგნიტი რომ ლურსმნებს აკრეფს მიწიდან,

ისე აკრიფა მძღოლმა გზაზე მდგომი მგზავრები; ისინი საკმაოდ ბევრნი იყვნენ. ავტოფურგონი თითქმის გაიჭედა და გზას გაუდგა. მას სოფლის ბოლოში კიდევ ელოდებოდნენ მგზავრები... ავტომანქანა გაემგზავრა, მაგრამ...

მეორე მოსახვევში, ხელმარჯვნივ ხანში შესული ქალი უახლოვდებოდა მანქანას. ქალი იქნებოდა სამოც წელს გადაცილებული, ქალიშვილობაში ალბათ ლამაზი და მოხდენილი. ასაკს თავისი დაღი დაემჩნია, მაგრამ მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა. დაუვარცხნელ თავზე რუხი თავსაფარი უდარდელად წაეკრა ისე, რომ თავსაფარი იყო თუ ყაბალახი, ძნელად გაარჩევდი. ფეხზე ეცვა გადაჭრილი რეზინის ჩექმები, რომელსაც უხვად მოსდებოდა ტანკებით გაღახნული ქუჩის ტალახი; დამძიმებულ ჩექმებიან ფეხებს კი არ ეღგამდა, მიაჩოჩებდა გზაზე. ტანთ ეცვა საოჯახო ხალათი, ისიც გულგრილად მოცმული და ქამარმოჭერილი. ხელში ავტომატი „ავტომატივით“ ისე ეჭირა, თითქოს ვილაცას ან რაღაცას უმიზნებსო და გულდასმით ათვალიერებდა სამიზნეს, საკეტს, კონდახს. სცადა საკეტის მოზიდვა, მაგრამ საკეტი დამცველზე იდგა, დამცველის ჩახსნა კი ქალმა არ იცოდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ბეჭზე კონდახმიბჯენილი ქალი იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მოსახვევი მთავრდებოდა და ქუჩა იწყებოდა. გზაჯვარედინზე ფურგონი ზოზინით მოღმუოდა. ქალი და ფურგონის მძღოლი ერთმანეთს შეეჩეხნენ. ემზარმა როგორც კი მისკენ მომავალი იარაღშემართული ქალი დაინახა, მანქანა დაამუხრუჭა, ქალმა მძღოლი იცნო და უბრძანა ფურგონის კარი გაეღო და გადმოსულიყო მანქანიდან. „ბრძანება“ უმალ შეასრულეს. ქალმა ისე, რომ იარაღი მათკენ ჰქონოდა მიმართული, ბრძანება გასცა: „აბა, შარვლიანი ვინცაა, ყველა ჩამოვიდეს!“ პირველი თამაზი გადმოვიდა. ქალი თამაზს დააკვირდა, შემდეგ მისი მოერიდა. ამ კაცს სამი ოჯახი ჰქონდა დატოვებული დასაცავად, რადგან მისიანები სავაჭროდ იყო გაქცეული და ზოგიც თავისიანებთან დასეირნობდა. თამაზი ცვარიანი კი დღე და ღამ საგუშაგოზე იმყოფებოდა. ვერაფერს ვერ იტყვი და ქალმაც მას უთხრა, შენ ნუ ჩამოხვალო, გეკუთვნის წასვლაო, სხვები, აბა სხვებიო! და იკადრა ჩამობრძანება იურიმ, რომელიც გვარიანად არიდებს თავს მისი კარ-მიდამოს დაცვას, მას სხვა ახალგაზრდებმაც მიბაძეს. ქალმა იგრძნო, რომ ამ ხალხთან მარტო ვერას გახდებოდა და ბახვა მოიშველია. კომენდანტიც

წამოესწროთ, ჩვენც ჩავერიეთ და ვინც ვერ მოახერხა ქალების კალთებქვეშ დამალვა, ყველანი გადმოვსვით, მაგრამ ვინც მოახერხა ფურგონში დამალვა და გაპარვა, მათ სინდისზე იყოს ყველაფერი ის, რაც მათი არყოფნის დროს მოხდება არადუში. მაინც ვინ იყო ის ქალი, რომელმაც ავტოფურგონს ამ უთენიაზე „ინსპექცია“ გაუკეთა? იგი გახლდათ ჩემი მოუსვენარი მეუღლე, ტატიანა. თურმე ბადრის წუხელ ავტომატი გივისთვის ენათხოვრებინა, რადგან საგუშაგოზე მიდიოდა გივი. გივისთან ადრე ტატიანა მისულიყო და ავტომატი წამოეღო სახლიდან. შეიარაღებული ტატიანა ემზარის ავტოფურგონს გადაეყარა და მშიშარა მგზავრებს, რომლებიც ფრონტიდან გაპარვას ცდილობდნენ, შავი დღე აყარა.

ისევ წვიმს. თოვლიც მოდის, მერე ნისლი ჩამოწვება მერკულას გორაზე. ეს გორა აუღებელ ბასტიონად გადაიქცა. არადუდან არტილერია უშენს და ვერაფერს აკლებს, (სამაგიეროდ ჩვენს სახლებს არ შეარჩინა მთელი ფანჯრები), სადღაც პორტის მხრიდან გამოსროლილი ჰურვებიც მას ეცემიან. საღამო ხანს ორმა ვერტმფრენმა რაკეტებით მოაუთოვა ის ადგილი, საიდანაც ისვრის სნაიპერი, მეგონა, იქ ჭიანჭველაც აღარ დარჩა ცოცხალი, ნახევარი საათის შემდეგ კვლავ არხეინად დაგვიშინა. რა ჯადოქარი იცავს მას, სად არის ჩამალული ვერავინ გაიგო. არადა, მან ბევრი სიცოცხლე შეიწირა არადუსა და მერკულაში.

არ ვიცი, ვინ არიან იქ, აფხაზები თუ ჩრდილო კავკასიელი კონფედერანტები. ერთი რამ კი ცხადია, ისინი თავდაცვითი ომის ოსტატები არიან. მოწყობილი აქვთ დაზვერვაც და მშვენიერად იციან ჩვენთან, ვინ რა მოხელეა და ვინ რის გამკეთებელი.

დილით ბადრისა და მის ძმაკაცებს ვეუბნებოდი, რომ დაიცვან ელემენტარული სამხედრო დისციპლინა, ასეულში გამოყონ რამდენიმე კაცი, რომელსაც შეეძლება შეაგროვოს დაზვერვითი მონაცემები. საგუშაგოები გაამაგრონ კარგად. თავდაცვით საქმეში ჩაბან ქალები (აფხაზებს ხომ თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალი შეიარაღებული ჰყავთ) და თუ ომია, ომი უნდა იყოს სრული დისციპლინით. არადა, ვის საით უნდა, იქით მიდის და ვის როგორ მოეპრიანება, იმას აკეთებს. კომენდატურა ისე თვითდინებაზეა, რომ პროკლამაციის გადაბეჭდვა და გაკვრა ვერ შესძლო ამდენხანს.

ამ დღეებში ხმა დაირხა, რომ ოჩამჩირეში ჯმყოფება ჯარების სარდალი გენერალი კამკამიძე. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, იგი

შეიძლება კარგად სარდლობდა ჯარებს, მაგრამ მას საქართველოში არც ჯარები დახვედრია და არც იარაღი. ყველაფერი თავიდანაა დასაწყები ამ ქაოსურ ქვეყანაში. ისტორიულად არნახული შინააშლილობის ხანაში უმკაცრესი დისციპლინის გარეშე არაფერი გამოვა.

არ გვეგონა თუ ომი ამდენხანს გაჭიანურდებოდა, მაგრამ იგი გაჭიანურდა და ბოლო არ უჩანს. დღეს დიდი ბრძოლები მიდიოდა კოჩარის დასაბრუნებლად, მაგრამ იქ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი აფხაზებმა და ძლიერი გამაგრებაც შექმნეს. თითქმის მთელი სოფელი აყვანილი ჰყავთ მძევლად და ბრძოლის წინა ხაზზე ეს მძევლები გამოჰყავთ. ამასობაში ნელ-ნელა, მეთოდურად ანადგურებენ არასასურველ პირებს და მათ ქონებას. სტრატეგიული სოფელი არადუ ჯერჯერობით მტკიცედ ინარჩუნებს თავის პოზიციებს, მიუხედავად ზოგიერთი მაცხოვრებლის თაღლითობისა, ძირითადი მასა მედგრად იცავს სოფლის მისადგომებს

29 დეკემბერი.

დღეს ავთო მიწას მიაბარეს. დედის გვერდით დაასაფლავეს.

ავთო ამ დღეებში იმაზე ფიქრობდა, რომ კოჩარაში დაღუპული სიმამრი და ცოლისძმა არადუს სასაფლაოზე გადმოესვენებინა და ეპატრონა, რაკი კოჩარაში აღარავინ ეგულებოდა საფლავის მიმხედავი. არ დასცალდა, კოჩარა კი ერთიანად წაიბილწა. აგერ რამდენი ხანია უტევენ, ხან ლაბრის, ხან ცხენისწყლის მხრიდან, მაგრამ აფხაზებს მაგრად აქვთ გამაგრებული კოჩარის მისასვლელები, თანაც ბევრი მხარდამჭერი ეგულებათ კოჩარაში. ამბობენ, სავეკუოსათვის მათ ხელი არ უხლიათო, მხოლოდ ეგაა, თურმე ვეკუებს მანდარინს აკრეფინებენ უფასოდ. დღეს ერთი იქაური ამბების საკუთარი თვალით მხილველი ახალგაზრდა ვნახე. აი რა გვიამბო მან: „ჩვენს დასახლებაში (იგულისხმება კოჩარის მეცამეტე და მეთოთხმეტე ბრიგადები, რომლებიც ძირითადად დასახლებული არიან საჩხერლებით და ვანელებით და ესაზღვრება სოფელ ჭლოუს და გვადას) შემოიყვანეს დაახლოებით სამოცდათხუთმეტამდე გვარდიელი თუ მხედრიონელი. დანარჩენი, სამასამდე გვარდიელი კოჩარის ცენტრში, სკოლაში განლაგდა. თავდასხმამდე ორი დღით ადრე ჩვენ გვეწვია ოჩამჩირის კომენდანტი და მოინახულა პიკეტები. მათი ადგილსამყოფელი თავის რუკაზე გადაიტანა. ჩვენ იარაღი მოვთხოვეთ,

მაგრამ კომენდანტმა უარი გვითხრა, არადა მთელ დასახლებაში მხოლოდ რვა კაცს ჰქონდა ავტომატური იარაღი. მეორე დღეს ის სამოცდათხუთმეტი კაცი (გვარდიელები), რომელთაც ევალებოდათ დასახლების დაცვა, პიკეტიდან მოხსნეს და ცენტრში გადაიყვანეს მათი წასვლის მეორე დღეს. როცა დაღამდა, დასახლებას მოულოდნელად შემოუტიეს აფხაზებმა ჭლოუსა და გვაღის მხრიდან. უტევდნენ ავტომატური იარაღით და უმეტესად გრანატმტყორცნებით. მე მანქანა მზად მყავდა, თან სანადირო თოფი მქონდა გადაკიდებული და ცენტრში გავიქეცი. როცა გვარდიელებს მოვახსენე, თუ რა მოხდა ჩვენს დასახლებაში, ორი გვარდიელი მხარში ამომიდგა, თოფი ჩამომართვეს და დამაპატიმრეს, თან მითხრეს, რას პანიკიორობო. გავიდა რამდენიმე წუთი და ჩვენი დასახლებიდან მეორე ჩემი მეზობელი მოვარდა შეშფოთებული, დასახლება უკვე აიღესო. მაშინ მთელი გვარდია (სამასზე მეტი კაცი) ადგილიდან მოსწყდა და ოჩამჩირეს გაეშურა. მხოლოდ ის რვა კაცი იგერიებდა მათ საათნახევრის განმავლობაში, როცა ტყვიები შემოელიათ, დანებდნენ, ისინი იქვე დახოცეს.

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე-მეთქი, მიპასუხა: „ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ სოფლები მოლაპარაკებული არიან ერთმანეთში, რომ არ მოაწყობენ თავდასხმას. აფხაზები ტყვარჩელიდან ჭლოუს გამოვლით გადიოდნენ კოჩარას, მერე ლაბრას და ჩადიოდნენ ტამიშის ტრასაზე. ასე რომ, რაც უბედურება ტრიალებდა ამ ტრასაზე, კოჩარის გზით ხდებოდა. იარაღს არ გვაძლევდნენ, თავდაცვა არ გჭირდებათო, ამას სუფთა ღალატის სუნი ასდისო. „სვანებმა რა გააკეთეს-მეთქი?“ მან თქვა: სვანებს ხელიც არ გაუნძრევიათო. გამოქცეული კოჩარლები, რას ფიქრობენ-მეთქი: თუ აიღებენ კოჩარას, მაშინ ჩვენ უკან დავბრუნდებითო, მაგრამ თვითონ ჩვენ იარაღის ამღები და იქ წამსვლელი არ ვართო. (აქ უკვე კომენტარი მკითხველისათვის მიმინდვია). ვფიქრობ, ამიტომაცაა რომ ვერა და ვერ დაიბრუნეს კოჩარა. არადა, ბევრი დახოცეს, ბევრი მძევლად წაიყვანეს, ზოგს ყურებს აჭრიან და ზოგსაც სხვა რამეს. როცა კოჩარის ბედზე ჩავფიქრდები, უმალ არადუს ბედი შემაწუხებს. არადუ ბეწვზეა გადარჩენილი და ჯერ კიდევ არ ვიცი, ბოლომდე გაძლებს თუ ვერა. იგი ხომ სოლივითაა შეჭრილი მოწინააღმდეგის გარემოცვაში და ეს გარემოცვა კი ისეთია, რომ დღესაც კი გაუმართეს დუელი მერკულას გორას ქვემეხე-

ბით, ტყვიამფრქვევებით, ნაღმსატყორცნებით, მაგრამ ვერაფერი დააკლეს მტერს. მართალია მტერია, ის კაცი, მაგრამ თავის ადგილზე მაგრად დგას.

როცა ავტომატშემართული ვამოწმებდი წყალტუბოში მიმავალ ავტოფურგონს, რამდენი ვინმე ცოლის კაბას აფარებდა თავს და ისიც დაიჩემებს, კაცი ვარო? აღსუს... ასეთები და თავის ჭკუაზე მოხეტიალენი ჩვენთან ბევრნი არიან. მათ არ უნდათ არც ერთიან ჯარში შესვლა, არც მკაცრი სამხედრო დისციპლინა აწყობთ, თვალი უფრო სხვა რამეზე უჭირავთ. რა დასამალია და ასეთებმა ძალზე გაუტეხა სახელი გვარდიას, მხედრიონს, თეთრ თუ შავ არწივს.

ძლიერ გვატკინა გული ჩვენი ვერტმფრენის ჩამოგდებამ და იქ ჩვენი საუკეთესო მფრინავის ჯიმი მაისურაძის დაღუპვამ. ასეთი მფრინავები ჩვენ თითზე ჩამოსათვლელი გვყავს, მტერი კი, როგორც ჩანს, ძალას იკრებს. სად მიდის ჩვენი კუთვნილი იარაღი? განა საქართველომ სამოცდაათი წლის განმავლობაში ცოტა იმუშავა და მცირე ნედლეული და მასალები გასცა ამ იარაღის დასამზადებლად? ჩვენ ინტერესით მოველოდით მოსკოვის მოლაპარაკებას, რომელიც დღეს 29 დეკემბერს უნდა შემდგარიყო რუსეთის თავდაცვის მინისტრს გრაჩოვსა და საქართველოს თავდაცვის მინისტრს შორის. იქ უნდა განეხილათ, თუ რა ეკუთვნის საქართველოს შეიარაღებიდან და დასმულიყო რუსეთის ჯარების სტატუსის საკითხი საქართველოში და. აი. მოულოდნელად გრაჩოვმა განაცხადა. რომ მოლაპარაკება არ შედგება, იგი ჟენევაშია თავისი ქვეყნის საქმეებზე. იქიდან კოზირევი ჩამოდის თურმე თბილისში და ჩვენები ფაციფუცობენ, ემზადებიან შესახვედრად, კოზირევი კი სადღაც მიემგზავრება.

არადუს დღევანდელი ამბები კოჩარას მიმართულებით გამუდმებულმა სროლებმა დაფარა დილიდანვე, დღეს შუქი ისევ გამოირთო, სადღაც ხაზი ისევ ტყვიამ გაწყვიტა. ინფორმაციას ვერ ვღებულობ, თუმცა ისეთი ინფორმაციის მოსმენა, როგორიც წუხელ გადასცეს „ვესტით“, არც კი ღირს. მოსკოვმა მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ აფხაზმა „ბოევიკებმა“ გუშინდელი ბრძოლების დროს აიღეს ქალაქი ოჩამჩირე. საცოდავი ოჩამჩირე... ეს მეორედ „ააღებინეს“ აფხაზებს. სინამდვილეში ჩვენ აქა ვართ და ვიცით ოჩამჩირის ამბავი. ჩემზე უკეთ ჩემს ძვირფას მეუღლეს ტატიანას ჰკითხეთ და ის გეტ-

ყვით. თვითონ ოჩამჩირელია, ხოლო არადუდან ბაზარში და ბაზრიდან არადუში ფეხით დადის ყოველდღე. ეს უკვე კაი თვრამეტი კილომეტრია.

30 დეკემბერი.

წუხელ შუაღამემდე ცამ არაჩვეულებრივად მოიწმინდა. ყველა ვარსკვლავისაგან მაინც გამორჩეულად ის ვარსკვლავი კიაფობდა, მთვარეს რომ მიუძღოდა წინ. ნამგალივით მოდრეკილი მთვარე გულაღმა მიცურავდა ზღვის ჰორიზონტისაკენ...

ნაშუაღამევს ცა სქელი ღრუბლებით დაიფარა. მალე მათგან დედამიწისაკენ მილიონობით თოვლის პეპელა დაეშვა. მთელი დღეც ხვავრიელად თოვდა. თოვლის საფარმა ოცდაათ სანტიმეტრს გადააჭარბა. ბარის მძიმე, ნესტიანი თოვლით დიდად დაზარალდა ციტრუსები. თოვლმა ჯერ კიდევ მოუკრეფავი ტოტები მიწას გააკრა, ხეები დახეთქა. თუ ამაღამ მოიწმინდა, მაშინ ტემპერატურა ნულის ქვემოთ დაეცემა და ციტრუსების ბაღებსაც მოუღებს ბოლოს. ესღა გვაკლდა ახლა. ბუნებამაც იმ დროს გვიკვანტა, როცა ყელში თოკი გვაქვს წაჭერილი და ცალ ფეხზე ვდგავართ.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჯერჯერობით მე და ჩემს ოჯახს უბედურებისაგან გვიცავს ჩემი წმინდა ბიბლია და ღვთისადმი უდიდესი რწმენა. თუმცა გამოგიტყდებით, რომ ნაკომუნისტარი კაცი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ვასრულებ სარწმუნოებრივ რიტუალებს. მაგრამ რაც მთავარია, ვცდილობ, წმინდა ვიყო შინაგანად. მიმაჩნია, რომ მხოლოდ შინაგანი განწმენდა ადამიანის სულისა იხსნის ადამიანს ყოველგვარი ბოროტებისაგან...

მიუხედავად ასეთი ამინდისა, ტატიანა კვლავ ფეხით გაემგზავრა ოჩამჩირეში. ერთი ჰირი მარგებელიაო რომ იტყვიან, ისე გამოვიდა. ტატიანას გული აწუხებდა, დროდადრო წნევის მომატებასაც უჩიოდა. რაც ამოდენა მანძილზე ფეხით სიარულს შეეჩვია, მერე მას წამალი აღარ მოუძებნია. გამოჯანმრთელდა და ამ ხნის ქალი ახალგაზრდებს ჯობნის სიარულში.

ბადრი მთელი დღე სოფლის საქმეებზე დარბოდა მის ამხანაგებთან ერთად. საღამო ხანს შემოირბინა სახლში, ხელში იარაღი ეჭირა და მითხრა, ავტომატის ჭამარი გამიწყდა და შენი ავტომატი მათხოვეო. მე მას კატეგორიული უარი ვუთხარი. ახლავე გაგიქე-

თებ ქამარს-მეთქი. მაინც დამიჟინა, მათხოვეო. შენ სამი მჭიდე გაქვს, მე კი ერთიო. ახლა კი გაამჭღავნა თავი. იმისათვის რომ მჭიდეები ეშოვნა, ჩემი ავტომატის ქამრის შეხსნა მოიმიზეზა, მაგრამ არ გაუვიდა. მე უკვე დავიწყე ქამრის შეკეთება, თან ვეუბნები: თუ ჩემ იარაღს ვინმე ხელს მოკიდებს, გული გამისკდება-მეთქი (შევაბრალე თავი). ხუთი სავსე მჭიდე ჰქონდა და ხუთიდან მხოლოდ ერთიღა დარჩენოდა, თანაც მის იარაღს ხან ერთს ათხოვებს და ხანაც — მეორეს, იმას კი არ ფიქრობს თუ მავანი და მავანი ამ იარაღით მტერს მოკლავს, თუ—მოყვარეს. ჩემს იარაღს კატეგორიულად არავის არ გადავცემ. ბადრი უკვე წასული იყო. გვიან საღამოს გივიმ დაიძახა, იკითხა: ბადრი წასულიაო?! კი-მეთქი, ავტომატი წაიღოო? კი—მეთქი, ავტომატი მინდოდაო... ეგონა, ჩემს ავტომატს ვათხოვებდი, მაგრამ ეს ვეღარ გაბედა. იცის, რომ მაინც არავის არ გადავცემ. გივის თავისი ორლულიანიც ეყოფა. თავის თოფს მამამისი რომ გაუცოცხლდეს, მასაც არ ათხოვებს, როცა იარაღი დააჩიგეს, სხვაგან გაუხვია, საქმე მაქვსო.

დღესაც ბევრი ბათქები დააყარეს მერკულას გორას. გაოცებასა ვარ, ეს გორა თითქოს ბრესტის სიმაგრედ გადაიქცა. თუ მშვიდობა გვეღირსა, მინდა დავათვალიერო, რა ჰქონდათ იქ გაკეთებული აფხაზებს ასეთი მიუდგომელი?!

გააფთრებული სროლის ხმა ისმოდა კოჩარის მხრიდანაც, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, სადაა პოზიციები. ისე კი, ჯერჯერობით, კოჩარა ვერ დავიბრუნეთ.

ჩვენამდე ხმებმა მოაღწია, თითქოს აფხაზები თეთრი დროშებით გამოჩნდნენ ფოქვეშში და სხვაგან. რამდენად მართალია ეს, არ ვიცი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ, რაც ადრე აღმართავენ თეთრ დროშებს აფხაზები, მით ადრე ეშველებათ მათაც და ჩვენაც, მით ადრე დამთავრდება ეს უაზრო კონფლიქტი.

31 დეკემბერი

სამოცდამეშვიდე საახალწლო შეხვედრამ არაჩვეულებრივ პირობებში მომიწია. რა არ გადამხდენია თავს ამ ხნის განმავლობაში: ჯერ იყო და კომუნიზმს ვაშენებდით, თუმცა რა იყო კომუნიზმი არც ერთმა ჩვენთაგანმა არ უწყოდა. ხრუშჩოვმა ისიც კი გვითხრა, ოთხმოციან წლებში ჩვენი თაობა კომუნიზმში იცხოვრებსო, სულ

მალე მან ნახერხშერეული სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარი ჰადები გვაჭამა. ათასი ფორმის რეფორმები, ათასნაირი ახალი დაპირებები, ექსპერიმენტები და ბოლოს საბჭოთა კავშირის დანგრევა. საბჭოთა ხალხი ეთნიკურ ჯგუფებად დაიყო და ერთმანეთს დაერივნენ. იმპერიამ ჩვენც ჩაგვაძწარა ახალი წლის შეხვედრა და აფხაზებსაც, შუქის უქონლობის გამო ინფორმაციას ვერ ვღებულობ, იქნებ დროებითი დაზავება დათქვეს სამხედროებმა ახალი წლის დღეებში?! არ ვიცით ჭორის დონეზე კი მოდის ცნობები აფხაზები იარაღის დაყრას აპირებენო, საპირისპირო ჭორები კი გვამცნობს, რომ ახალწლის ღამეს ქართველებს ჩავუმწარებთო. ასეა თუ ისე, სიფხიზლეს თავი არ სტკივა, და არადუელი ახალგაზრდებიც ფხიზლად დარაჯობენ თავიანთ მშობლიურ სოფელს. საგუშაგოებზე პიკეტი გააორკეცეს, როგორ შეხვდებიან ახალ წელს, ამაზე ალბათ ხვალ-ზეგ მოგახსენებთ...

თოვა არც დღეს შეწყვეტილა. მოდის სველი თოვლი და მიწასთან ასწორებს მოსავალს, განმკითხავი არავინაა. დიდ იმედებს ვამყარებდით სოხუმში ახლად შექმნილ მინისტრთა საბჭოზე ნადარეიშვილის თავმჯდომარეობით. მაგრამ ჯერჯერობით სასიკეთო ძვრებს ვერა ვხედავთ. პოზიციები მებრძოლ მხარეებს შორის ძველებური რჩება. დრო ზოზინით მიდის, ვიღაც ისვრის, ვიღაც კვდება, ვიღაც კიდევ ვრეულობით დროს შოულობს და მდიდრდება და ეს ხალხი და ეს ქვეყანა ჯანდაბას წაუღიაო. ასე ამბობს ჩემი მეზობელი ლადიაც, როცა მთელი სოფელი შეტევებს იგერიებს. ხან ღორების საკვებზე გაბის, ხან ჭუჩაში იგინება. ეს ის ლადიაა, მის ვედროს მტრის ნასროლი ტყვია რომ მოხვდა და ბლავილი მორთო, არიქა, ბახვა, მიშველე, მტერი სასაფლაოს მოადგაო. თუ რამეს თვალი მოჰკრა, სახლში შეარბენინებს. მის სახლთან ახლოს ქვემეხები ისროდნენ და ლადიამ ოცამდე ჰურვების ჩასაწყობი ხის ყუთი წაიღო სახლში. როცა ჰკითხეს, რატომ შენ მიგაქვს სუყველაო? ჩემს სახლთან რაც რამე იქნება ახლოს, ყველაფერი ჩემიაო! ტატიანასაც მოუნდა ყუთის წამოღება სახლში მაგრამ ლადია დაანებებდა?

არადუში მოულოდნელად სამშვიდრო მანქანა მოგრიალდა. წინა დღით მერკულაში გამართულ ბრძოლაში, მტრის პოზიციებისაკენ გაიჩრა ის სამი ტანკი, ადრე რომ ჩვენთან იდგნენ „შავნაბადა 101, 102 და 103. მათ ველარ მოზომეს პოზიციები და მტერმა ისეთ. ადგილას ჩაკეტა ისინი, რომ ჩვენებმა მათი გამოყვანა ველარ შეს-

ძლეს. ეკიპაჟები მგონი გადარჩა, მხოლოდ ერთი კაცი დაიღუპა. მეორე ისე მოხდა, რომ ამ ტანკებთან ვერც ჩვენები ბიძიოდნენ და ვერც მოწინააღმდეგე. თუ მოწინააღმდეგეს ჩაუვარდებოდა ხელში სამი ტანკი, ისინი ჩვენზე უკეთ გამოიყენებდნენ მათ ჩვენსავე წინააღმდეგ. მერე გადაწყვიტეს ვერტმფრენების დახმარებით აეფეთქებინათ ის ტანკები და ააფეთქეს კიდეც. მოსულები ოჩამჩირის შტაბიდან გამოეგზავნათ, წადით არადუში, იქ აფხაზები ცხოვრობენ და გადასაცვლელ კაცს მოგცემენო. ხედავთ?! როგორ უსინდისოდ იქცევა ვიღაცა ჩინოსანი ოჩამჩირეში. არადუში კი ასე ადვილად არ ეგებიან შინაური მტრების ანკესზე. თუ არადუში მცხოვრებ აფხაზს გადაცვლი ვინმეზე და გაუშვებ მისიანებთან, მაშინ განა ის გადაცვლილი კაცი არ შემოუძღვება მტერს არადუში? მან ხომ არადუს ყოველი კუთხე-კუნჭული იცის! უჯრით გაისტუმრეს. მაშინ იყო, რომ გაგულისებულმა მძღოლმა ლადიას ღორები იმსხვერპლა.

მაშ ასე, ხვალ ახალი წელია, მშვიდობიანი ახალი წელი გათენებულიყოს!

1993 წ.

1 იანვარი.

გუშინ საღამოს ბადრი პიკეტზე წავიდა. შინ მარტო მე და ტატიანა დავრჩით. საღამოს ექვს საათზე უკვე დაღამებულია და კიდევ ექვსი საათი უნდა დავლოდებოდით ახალი წლის დადგომას. არ არის შუქი, არ მუშაობს ტელევიზია და რადიო. რა ამბები არ მოვყევით, ვინ იცის, მაგრამ თორმეტ საათამდე მაინც ვერ გაუძელით და ათ საათზე უკვე გვეძინა. ორი საათის შემდეგ უცბად ატეხილმა ხმაურმა გამოგვაღვიძა. ძნელი იყო ნამძინარევ ადამიანს გაერჩია რა ხმაური იყო. იგი ჰგავდა ქარიშხალს, ტყეში ხეების მტვრევას, სტვენას, სროლას და გრუხუნს. ირგვლივ ცა ნათდებოდა მანათობელი ტყვიებით. ისროდნენ აქედან, იქიდან, ზემოდან, ქვემოდან. ტატიანას ჩაცმა მოესწრო და ხელბარგს კრავდა, სადღაც გასაქცევად ემზადებოდა, თან იწყევლებოდა და იწყევლებოდა; თანაბრად სწყევლიდა აფხაზებსაც და ქართველებსაც, აფხაზებს მათი ჯიუტობისათვის, ქართველებს მათი დოყლაპიობისათვის, თან დაუფარავად ყვიროდა: გაგრაზე უარესი მოგვივაო, კოჩარაზე უარესი

მოგვივაო; იქით თამარს გადასძახა, რა ამბავიაო; თამრიკომ და ჟორამ უმალ „გვახარეს“ — თავდასხმააო. უფრო ბადრის დარდი გვქონდა. ცოლი ყვიროდა, დროზე ჩაიცვი და გაიქცეთო. აივანზე გავედი. ცა განათებული იყო. ახალ წელს ზალპებით ხვდებოდნენ ჩვენიანებიც და ჩვენი მტრებიც. მეც ჩავხსენი დამცველი ჩემს იარაღს და ერთი ჯერი გავუშვი. ოციოდე წუთის შემდეგ ყველაფერი ჩაწყნარდა. დავილოცეთ, მშვიდობიანი ახალი წლის დადგომა ვუსურვეთ ერთმანეთს.

დადგა ახალი 1993 წელი, ვინ იფიქრებდა, რომ ამ ახალ წელს ომით შევხვდებოდით. ყოველთვის გვანუგეშებდნენ, რომ ბრძოლა 2-3 დღეში დამთავრდებაო. მეტი არაა ჩემი მტერი! კონფლიქტი ისე გაჭიანურდა, ორი-სამი წელიც დასჭირდება მის დამთავრებას. ანდა დამთავრდება კი საერთოდ იგი? აფხაზები საკმაოდ კარგად მომზადებულან ომისათვის და ყველამ იცოდა ეს. ეს ხდებოდა ყველას ცხვირწინ და ყველას დასანახად, მაგრამ ვინმეს ხელი არ გაუნძრევია თავის დროზე.

გორბაჩოვი მიუსერაში უნიკალურ აგარაკს აშენებდა. აფხაზები ამით სარგებლობდნენ და ხე-ტყის ნაცვლად ნაირნაირი იარაღი შემოჰქონდათ, სპეციალისტები ჩამოჰყავდათ და ყველაფერს გეგმის მიხედვით აკეთებდნენ. როცა აფხაზები კარგად შეიარაღეს (ქართველებს სანადირო თოფებიც კი ჩამოართვეს), მერე უკვე მოდგნენ ქართველი მინისტრების გამოყრას კაბინეტებიდან და ქართველი დეპუტატების გაბითურებას. ყველაფერი აწონილ-დაწონილად კეთდებოდა და დღეს ყველა ამის შედეგი სახეზეა. ჩვენ იმედით შევცქერით ამ ახალ წელსაც, მაგრამ ხალხის იმედსაც საზღვარი აქვს. გვიანდება ერთიანი ჯარის შექმნა. დღეს ცაგერა უტევს კოჩარას, მაშინ, როცა კოჩარელები ქალაქში დასეირნობენ და თავიანთი კარ-მიდამოების დასაბრუნებლად არ ზრუნავენ. ასე დაქსაქსული მოქმედებით არაფერი გამოვა.

ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს, ვის ვეომებით ჩვენ? ხომ უნდა გავარკვიოთ ყველაფერი, რაში ვართ მართალი და რაში ვტყუვდებით? ნუთუ აფხაზთა შორის ვერარ მოინახა ის ჯანსაღი ნაწილი, რომელსაც შეეძლება მიუსხდეს მაგიდას მოსალაპარაკებლად? არადა, არძინბას თავაშვებულობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, აფხაზეთის ამბების გამომრკვევი საპარლამენტო კომისია დუმს. ადამიანები ყოველდღე იღუპებიან, სახელმწიფოს მილიარ-

დობით ზარალი ადგება, ჩანაგდება და ღატაკდება ხალხის დოვლათი.

ასეთი ფიქრებით შევხვდით ახალ წელს. ღმერთმა ინებოს, რომ ეს წელი მაინც ყოფილიყოს მშვიდობიანი ქართველი კაცისათვის და საერთოდ ყველასათვის.

2 იანვარი.

ჩამწარებული ახალი წლის მეორე დღე. დაფანტული ნათესაობა. მისალოც ბარათებს ვერ ვუგზავნით ერთმანეთს. დიდი ხანია არ ვიცი, როგორ არიან მოსკოვს გადახიზნული სიძე და ორი ქალიშვილი ნანა და ლეილა. ყველაზე მეტად სულ პატარა შვილიშვილის მარიამის ბედი გვაწუხებს, რომელსაც საცაა ორი წელი შეუსრულდება. ჯერ იყო და რვა წლის ლოდინის შემდეგ მოევლინა ამ ქვეყანას. გაჩნდა და უსაშველო არეულობა დახვდა. სხვა შვილიშვილები ოთხივე ერთად ფოთში არიან ქეთინოსთან შეკედლებული. ჯუმბერი ძლივს გადავარჩინეთ დაჭრის შემდეგ. მგონი, სამუდამოდ ინვალიდად დარჩეს. აქედან მიშველება არ შეგვიძლია. ჩვენც ძალიან გვიჭირს, ნაძვის ხის დადგმაც არავის გახსენებია. აგერ მეორე თვეა გაუხდელი ვწვებით და ლოგინშიც კი იარაღი გვიჭირავს ხელთ. ვინ იცის, რა მომენტს მოგვინახავს მტერი. ზოგჯერ პირის დაბანვასაც ვერ ვახერხებთ. გამვლელების ცნობა მიძნელდება, ყველას წვერი აქვს მოშვებული და იარაღასხმულია. ხალხი ნელ-ნელა სწავლობს ბრძოლას. ტყვიები გამუდმებით სტვენენ ირგვლივ, მაგრამ ამას უკვე ალარავინ აქცევს ყურადღებას. ეს ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა. ხალხის ფსიქიკა შეიცვალა. მანამდელი სიზანტე და დაუინტერესებლობა ბრძოლის ჟინმა შეცვალა. განსაკუთრებით ამოძრავდა ახალგაზრდობა. მხედველობაში არ მყავს თითო-ოროლა ლაჩარი და მუქთახორა.

კარგა ხანია სანჩო (რუსლანი) არ გამოჩენილა. ისიც დავაქცადა და იარაღს მოჰკიდა ხელი. თუ მანამდე დონ კიხოტ ბაღრის საჭურველთმტვირთველი იყო, ახლა ორივემ საქმე გაიჩინა. ბაღრი სოფლის საქმეებს ჩაჰკირკიტებს თავის ძმაკაცებთან ერთად, რუსლანი კი სანგარში ჩამჯდარი ერთგულად დარაჯობს მის სახლ-კარს და სიყოჩაღეში მის ძმას, როიას ტოლს არ უდებს. მესამე მათი ძმა რობერტი რუსეთშია გახიზნული ცოლ-შვილიანად და აფხაზეთის

ამბები ბევრად არ ადარდებს. სამშობლოზე შეყვარებული კაცი ერთხელ მაინც მოაკითხავდა მშობლიურ კუთხეს.

დღესაც წაუშინეს მერკულას გორის სატანას მონაკვეთს, თუმცა სატანას არ უპასუხნია. იქნებ, ვაზნები შემოელია, იქნებ, მობეზრდა კიდეც ამდენი სროლა და კაცის კვლა. ერთი აფხაზი დაუჭერიათ (მეომარი) და ჯიბეში ღომის ნატეხი და. ნიორი ეღოო. იქნებ, სიმართლეა? დღეს გავიგეთ (ბიჭები იყვნენ მოსული ფოქვეშის ფრონტიდან), რომ აგუბედია აიღეს მეგრელებმა და ჩვენ ფოქვეშს შივადექითო. მერკულაში პოზიციები არ შეცვლილა. მერკულაში ადგილობრივი ხალხი აიყარა და ლტოლვილებად გაიხიზნენო და მოსული კაცი ისე ვერ იბრძოლებს გულიანად, როგორც ადგილობრივი. ყარყარაშვილის და ჯაბა იოსელიანის იმედი აქვთ. ერთი სიტყვით, ქუჩის თავში რომ ჭორი დაირხევა, ქუჩის ბოლოში უკვე ის ჭორი გადასხვაფერებულია.

დღეს გავიგეთ, რომ სახელმწიფოს მეთაური ჩამობრძანდა, სოჭში მიემგზავრება ელცინთან და ბუშთან შესახვედრად. თუმცა, ამ შეთანხმებებისა ბევრი აღარაფერი მჯერა იმ ავადმოსაგონარი გაგრის ტრაგედიის შემდეგ, მაგრამ მაინც საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა ყველაზე უკეთესია.

დღეს საღამოს, როგორც იქნა, შუქი აღადგინეს და ჩვენთვის მოულოდნელად გახდა ცნობილი, რომ სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მეთაური ჩვენს გვერდით ყოფილან ოჩამჩირეში. რთული ამინდის პირობების გამო და იმის გამოც, რომ სოხუმის აეროპორტამდე მოსალოდნელი იყო თავდასხმა, ისინი ჯერ ბათუმში, შემდეგ კი ვერტმფრენით ოჩამჩირეში ჩამოფრენილან. ოჩამჩირიდან კი ღამით ტამიშის ტრასით — სოხუმში. გუშინდელს 31 დეკემბრის ფრონტის წინა ხაზზე შეხვედრების რეპორტაჟიც. ასეთ სიტუაციაში მათი მებრძოლებთან გამოჩენა დიდ რამეს ნიშნავს. დამაშვოვრდა ერთი მომენტი, როცა რომელიღაც მებრძოლი მოითხოვდა შეტევაზე გადასვლას და ასაბუთებდა, რომ ასეთი ლოდინით ჩვენი მეტი მებრძოლი იღუპება. გავიგეთ, რომ ჩვენთან არიან იოსელიანი და კამკამიძე. ბატონ კიტოვანს შეხვედრა ჰქონდა მოსკოვში გრაჩოვთან, მაგრამ იმ ძუნწი ინტერვიუთი, რომელიც მან მისცა რომელიღაც ჟურნალისტს, ვერაფერი გავარკვიე, თუ რაზე მორიგდნენ გრაჩოვი და კიტოვანი. შეიძლება, შედგეს მოლაპარაკების ახალი რაუნდიო; ოჰ, ეს დამღუპველი რაუნდების ლოდინი!

აღარ დაადგა ამ რუსებთან მოლაპარაკების დამთავრებას საშველი. ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება ოცი იანვრისათვის გადაიტანეს. ფრონტისათვის ლოდინი დამღუპველია. ფრონტზე უმეტესად მოქმედებს „ბლიც კრიგები". ასე იშოვა არძინბამ რუსეთში გასასვლელი და გაგრა გამოგვაცალა ხელიდან. ჩვენ კი ვზივართ და ველოდებით, როდის მიიღებს არძინბა ავიაციას (უკვე ჰყავს ექვსი თვითმფრინავი) და ფლოტს, სტინგერებსა (უკვე აქვს) და უახლესი ტიპის იარაღს. პარლამენტი კამათშია გართული, ორი სამი კაცი კავშირს შეკრავს და ახალი ფრაქცია უკვე მზად არის. ლამის იმდენი ფრაქცია გაჩნდეს პარლამენტში, რამდენი დეპუტატიცაა. ჯერ ერთი წესიერი კანონიც კი არ მიუღიათ და არ აუმუშავებიათ.

8 იანვარი.

დიდმა თოვლმა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ნაყოფიანი ციტრუსების ხეები დნობა დაიწყო. ასეთი დიდთოვლობა აფხაზეთში არ ყოფილა აგერ ათი წელია.

შუადღისას ქუჩაში გიზომ ჩამოირბინა. ეს კაცი ერთი თვის უკან საკუთარმა ცოლისძმამ დაჭრა სასაფლაოზე ავტომატით და დღეს, სახლის აივანზე რომ დამინახა, არც კი მომსალმებია, დამიძახა: ბადრი სად არისო?! არ ვიცი-მეთქი! მალე მისმა ძმამ ჯოკიამ ჩამოირბინა, ხალხი გააფრთხილა თავდასხმაო.

იარაღს ხელი დავავლე და ქუჩაში გამოვვარდი, სადაც შეიარაღებული ბიჭები გამოსულიყვნენ. სროლის ხმა არ ისმოდა, გაირკვა, რომ მოქვის მხრიდან ვიღაც შემოჭრილიყო და გიზოს სახლისკენ ორი ნაღმი გამოესროლა. საბედნიეროდ, ორივე ნაღმი ეზოში, მანდარინის ბაღში აფეთქებულა, სამაგიეროდ, იქით სამი ნაღმი ესროლეს და ამით ბრძოლა დამთავრდა.

ნაშუადღევს ბადრიც მოვიდა და ბიჭებიც მოჰყვნენ. ისადილეს და საგუშაგოების შესამოწმებლად წავიდნენ.

ჩვენი კომენდანტი ამბობდა, ოჩამჩირიდან გაგვაფრთხილეს, თვითმფრინავები დაბომბავს თქვენს მომიჯნავე პოზიციებს და იქიდან ხალხი გამოიყვანეთო, ხოლო როცა მერკულის გორას დაბომბავთ, მაშინ არადუს შეიარაღებული ხალხი თქვენი მხრიდან შედით მერკულაშიო. ვუპასუხეთ, რომ არადუ იცავს მხოლოდ არადუს და შეტევაზე გადასვლას არ აპირებს. მაშინ შემოავლეთ არადუს სანგრები და დაგიტოვებთ რვა ავტომატსო. შევახსენებ იმას, ვინც ასე

იმუქრება ოჩამჩირიდან, რომ იმ რვა ავტომატით მოიგერია არადუმ თავდასხმა და გადაარჩინა ოჩამჩირე, ისეთი ვაისამხედროები, რომლებიც ასე უყურებენ არადუს დაცვის საქმეს არც დაგიდევენ არც არადუსა და არც ოჩამჩირეს. მადლობა ღმერთს არადუელებმა თვითონ უკეთ იციან, რა გააკეთონ და რა — არა.

4 იანვარი.

წუხელ მთელი ღამე კანტიკუნტი სროლა ისმოდა, მაგრამ ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას აღარ ვაქცევთ. დილით სოხუმიდან რადიოთი გადმოსცეს და გამეორებული იქნა ტელევიზიით შემდეგი ინფორმაცია: „ლაბორატორიის მხრიდან დაუშინეს საარტილერიო ცეცხლი სოხუმს ოჩამჩირიდან გუშინ, დღის მეორე ნახევარში, სოფელ ცხენისწყალთან აფხაზებმა ძლიერ შემოუტიეს ქართველებს, მაგრამ შეტევა მოგერიებულ იქნა და მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან. აფხაზთა მხარემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა თხუთმეტამდე მეომარი, ჩვენი მხრიდან დაჭრილია ოთხი მებრძოლი". სინამდვილეში კი აფხაზებმა რამდენი მეომარი დაკარგეს არ ვიცი და სოფელ ცაგერაში, რომელიც ცხენისწყალს ესაზღვრება, სულ შვიდი კაცი დაიღუპა. ინფორმაციას სოხუმიდან გადასცემდა ვიღაც ზვიად მირკატია — პრესცენტრის თანამშრომელი. ის მამაცხონებული, ვერ გადაამოწმებს ცნობებს? ამოდენა ტყუილი ეის გაუგონია? უფრო ობიექტური რომ ვიყო ამ დოკუმენტური მოთხრობით, დავასახელებ მოკლულებს: მეშველიანი დევისი, ბენიძე ბონდო, აკობიძე ალიოშა, ირემაძე ვაგნერი, სვანიძე და ხეცურიანი ცაგერადან და კოჩარელი პაპავა.

ბევრს არ აწყენდა, საკუთარი თვალით ეხილა, რა ხდება აფხაზეთში, თორემ ჩვენი ინფორმაციების მიხედვით მხოლოდ ქართველები ისვრიან და მხოლოდ აფხაზები და გადამთიელები კვდებიან. ზოგჯერ კი, პირიქით ხდება. ანდა, რად უნდა ამდენი „ჩინური" გაფრთხილება იმათ, ვინც სოხუმს ბომბავს რუსეთის ლაბორატორიის მხრიდან, რად ეფერებიან ამდენს ტყვარჩელს, სადაც დიდი ხანია ამზადებენ სხვადასხვა იარაღს და ტყვია-წამალს, ავტომატებსა და ნაღმსატყორცნებს. ვითომ, ჩვენი უდარდელობით მტრის მსოფლმხედველობას რაიმე შეემატება? მათი მსოფლმხედველობა კი ასეთია, „ნამ გრუზინამ ნე ვ პუტი" (ზურაბ აჩბას სიტყვებია).

დღეს მოვისმინე სახელმწიფოს მეთაურის ყოველკვირეული რადიომიმართვა ხალხისადმი. ბატონი შევარდნაძე ახალი წლისათვის ოპტიმისტურად არის განწყობილი. მან განაცხადა, რომ ეს წელი გადამწყვეტი წელი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. ომი მალე დამთავრდება და გამარჯვებას ვიზეიმებთო. სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა იმ შეხვედრებით, რომელიც მას ჰქონდა აფხაზეთში მებრძოლებთან, ფრონტის წინა ხაზებზე ოჩამჩირესა და სოხუმში.

დიდი ინტერესით მოვისმინე ფრაგმენტი გორბაჩოვის ინტერვიუდან, რომელიც მან ჩვენს ჟურნალისტს მისცა. გორბაჩოვს ჰკითხეს გამოეთქვა თავისი აზრი აფხაზეთის ამბების თაობაზე. მან განაცხადა, რომ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი კავკასიაში გაატარა, რომ კარგად იცნობს საქართველოს, აფხაზებს და ქართველებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველები არასოდეს არ შეურიგდებიან საქართველოს დანაწევრებას და თუმცა უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მაგრამ მაინც კარგია, რომ საქართველოს სათავეში უდგას მისი მეგობარი შევარდნაძე, გაუჭირდა პასუხის გაცემა, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს აფხაზეთის კონფლიქტი.

ვიღაც „პიცუნდას“ (გახსოვთ, ალბათ, არადუში როგორ იწონებდა თავს ეს ვაჟბატონი) ორი ახალგაზრდა გამოეგზავნა არადუში; „პიცუნდას“ (მისი ნამდვილი სახელი არავინ იცის) ერთი თვის უკან ამ ბიჭების კუთვნილი ავტომანქანა რაფი მიეთვისებინა. ბიჭებმა მანქანა რომ მოსთხოვეს, მან უთხრა, წადით არადუში და იქ მოგცემენ მანქანასო. ჰოდა მოვიდნენ ეს ბიჭები ბადრისთან, ბადრი ისეთი ხათრიანია, პატივიც კი სცა ახალგაზრდებს და თან გაჰყვა. დღეს გავიგე, რომ არადუში ასეთი მანქანა არ იყო, არც ვინმესთან ეგულებოდა იგი ბადრის; მაშინ თვითონ ბადრიმ წაიყვანა ის ბიჭები, „პიცუნდასთან“, რომელიც სადღაც უდარდელად ნებივრობდა. მათი ლაპარაკი მეტად მწვავე ხასიათს ატარებდა, „პიცუნდას“ ბოლოს დ აბოლოს ათქმევინეს, ნამდვილად სად იყო ეს მანქანა და თანაც შეჰპირდნენ, რომ დღეს ან ხვალ ბიჭებს მანქანას დაუბრუნებდნენ. რაც მართალი მართალია, მხედრიონს იმდენი ოხერი და მუდრეგი აეტმასნა, რომ ძალიან კი გაუტეხა სახელი.

დღეს საღამოს რადიოთი გადმოიცა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს განცხადება, რომელსაც ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომ აფხაზი სეპარატისტები და

მათი დაჭირავებულები ახალი წლის დღეებში დიდად გააქტიურდნენ და სოხუმს უშენენ ყუმბარებს. ყუმბარები უკვე ფეთქდება მთავრობის სახლთან, სახელმწიფო დრამატულ თეატრთან, ჭამბას ქუჩაზე. განცხადებაში გამოთქმულია გაფრთხილება, რომ თუ აფხაზები არ შეწყვეტენ ასეთ მოქმედებას, მაშინ ისინი მიიღებენ ადექვატურ პასუხს გუდაუთისა და მისი გარეუბნების მიმართ. მნიშვნელოვანი განცხადებაა, თუ იგი არ დარჩება „ჩინურ“ გაფრთხილებად.

5 იანვარი.

ადრე დილით, ჭიშკართან რომანმა ჩამოიარა. მისი სახლი. პირველი საგუშაგოდან სულ რაღაც ორმოციოდე მეტრითაა დაშორებული. მომესალმა, ახალი წელი მივულოცე. ამბავი ისე მომჭირნედ ვკითხე, თითქოს თბილისში გვენახოს ერთმანეთი, არადა კარის მეზობელია. როგორაა საქმე, აფხაზები შეტევას ხომ არ აპირებენმეთქი... ნეტავ ისე მოხდებოდეს, რომ შემოგვიტევდნენ, მეც ის მინდაო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა პასუხი და ისევ ვკითხე: „რატომ მეთქი“, რატომ და მომბეზრდა ამდენი ლოდინი, ჯავრი უნდა ვიყაროო. არ გაეწბილება, გაჯავრებულია კაცი. ამას წინათ ძმისშვილი მოუკლეს, ავთოს ბიძაა. „ყველაფერი ფრონტისათვის!“ (მაგონდება დიდი სამამულო ომის. ლოზუნგი) მაშინ მობილიზაცია იყო ცხენების, ჯორების, ვირების, ურმებისაც კი. ნუ გაგიკვირდებათ, რომ დიდხანს იყო შემორჩენილი ხუმრობა: კავკასიაში ომი ვირებმა მოიგესო. ეს სინამდვილესთან ახლო იყო. იქ, იმ წარაფ უღელტეხილებზე ვერც ტექნიკა მოძრაობდა და ვერც ცხენები. ყველგან მავალი ჯორებითა და ვირებით მწვერვალებზე აჰქონდათ დაშლილი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ტყვია-წამალი.

„ყველაფერი ფრონტისათვის!“. — ამისათვის რაღაც მაინც შესრულდა დღეს ჩვენი ბიჭების წამოწყებით. ეს წამოწყება კი ასეთია: წინასწარ გააფრთხილეს სოფლის მოსახლეობა, რომ მოკრეფდნენ და მოამზადებდნენ ორმოცდაათ-ორმოცდაათ კილოგრამ მანდარინს. მართლაც ასე მოხდა. დღეს ემზარის ავტოფურგონმა ჩამოიარა. ბადრიმ პირველად მე მომაყენა მანქანა და მითხრა, აბა, მაგალითი აჩვენე სხვასო, მეც უსიტყვოდ შევასრულე ბრძანება, გამოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც არ ინდომეს მანდარინის

მება სოფელში. ძალიან კი გამოამჟღავნეს თავი, ალბათ, დადგება დრო და ისინიც ინანებენ ასეთ საქციელს. ბიჭებმა მოაგროვეს მანდარინი, წაიღეს და საკონსერვო ქარხანას ჩააბარეს. აღებული ფულით განზრახული აქვთ შეიძინონ საწვავი ფრონტის საჭიროებისათვის, დაეხმარონ მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახებს. ნაშდვილად კარგი წამოწყებაა, მაგრამ ძალიან ცოტაა. ფრონტის საჭიროებისათვის და თავდაცვის გაძლიერებისათვის შემოღებული უნდა იყოს სამხედრო გადასახადი, სადაც ყველა ვალდებული იქნება, გაიღოს ეს გადასახადი, თორემ ნამუსზე მიგდებული კაცი ვერ გამოადგება ფრონტს და სამშობლოს.

დღეს კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა ცაგერაში (ცაგერა არადუსა და ცხენისწყალ-კოჩარას მისაზღვრე სოფელია). ცხენისწყლის ფრონტის საგუშაგოდან ოცამდე კაცი ბრუნდებოდა ტრაქტორ „ბელარუსი“-ს მისაბმელით, მას საგუშაგოზე ცაგერადან ახალი ცვლა უნდა ამოეყვანა. ტრაქტორისტმა იქით გადაუხვია (გზა შეიმოკლა), სადაც ამას წინათ ჩვენი ტანკი იყო ჩავარდნილი, საუბედუროდ, იმ ადგილის ახლოს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი ყოფილა ჩადებული და აი იმ ნაღმს გადაუარა ტრაქტორმა, აფეთქების შედეგად მოკვდა ოთხი და მძიმედ დაიჭრა თორმეტი კაცი. ახლა ცაგერაში ათი მიცვალებული ასვენია და ერთ ათეულზე მეტი დაჭრილი ებრძვის სიკვდილს. ესეც ერთი დიდი გამოუცდელობის შედეგია.

ახლა ცაგერლების გააფთრება კიდევ უფრო გაორკეცდა არა მარტო აფხაზების, არამედ კოჩარლების მიმართაც. სწორედ კოჩარლებს დაემუქრნენ ისინი, რომ მათი მოქმედების შედეგია, რაც ხდება. ამასობაში კი კოჩარლები არხეინად დადიან ოჩამჩირის ქუჩებში და აფხაზების მიტოვებულ სახლებს იკავებენ, ხოლო მათი მშობლიური კოჩარის დაბრუნებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

6 იანვარი.

ბადრი წუხელ არ გამოჩენილა. მთელი ღამე არ დაგვიძინია ჯავრით. ერთმანეთს ვაიმედებდით, გული კი სიმწრით გვეწურებოდა. გათენდა თუ არა, ძებნა დავუწყეთ, მაგრამ, ამაოდ—მნახველიც კი ვერ ვნახეთ. დღეს საღამო ჟამს გამოჩნდა ბონდოს

მანქანით. ვეკითხები, სად იყავი, ბიჭო-მეთქი. გალში ვიყავიო, მოულოდნელად გავიგე ამბავი, რომ ამხანაგი ბიჭი ჯავშანტრანსპორტიორზე აფეთქდა და სამძიმარზე წავედიო. აღარ ჩავყოლივარ, თუ როგორ დაეღუპა ამხანაგი, მხოლოდ ვუსაყვედურე, ომია, შვილო და ყველას ჰირისუფლობას ვერ გაუწევ-მეთქი. შენ გალში იყავი, ვთქვათ, დღეს აფხაზები დაგვესხმოდნენ თავს, მაშინ შენ დეზერტირად მოგწათლავდნენ-მეთქი. სიტყვა „დეზერტირობა" ეუცხოვა, მერე ირონიულად მომიგო: კარგი, კარგი, მამა, ახლა არ დამხვრიტო და მეტად აღარ წავალ გალშიო.

მერე გავიგე, რომ გზაში ბენზინი შემოლევიათ და ფეხითაც ბევრი უვლიათ. ბიჭმა ტანსაცმელი გამოიცვალა და წასასვლელად მოემზადა. ახლა სად მიხვალ-მეთქი. ახლა ცაგერაში მივალ ისევ სამძიმარზე, იქიდან სასწრაფოდ შტაბში უნდა დავბრუნდეო.

არაფერი მითქვამს, ცაგერაში მიდიოდა, გუშინდელ ტრაგედიაზე რომ მოგახსენებდით, რომ დაუშალო, მაინც წავლენ, არადა, არადუს დატოვება და სიფხიზლის მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება, სროლა გრძელდება და გრძელდება, აფხაზები ძალიან გააქტიურდნენ, მართალია, ჯერჯერობით პოზიციები უცვლელია, მაგრამ ადამიანები მაინც იღუპებიან, აშკარად გამოიკვეთა, რომ რუსები აფხაზებს ეხმარებიან, გათამამებული აფხაზები თავხედობენ, ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას, არად დაგიდევენ მრავალგზის გაფრთხილებას, რომ სოხუმის დაბომბვის სანაცვლოდ დაბომბავენ გუდაუთას, ასეთ მდგომარეობაში პირდაპირ წამალივით იყო მიმართვა, რომელიც გაეროს გაუგზავნა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა, პარლამენტმა და მთავრობამ და სთხოვა, აფხაზეთში შემოეყვანონ გაეროს მშვიდობის მეთვალყურე ძალები. თუ ეს აქცია მალე განხორციელდება, ეგებ ეშველოს ამ კონფლიქტის საქართლიან გადაწყვეტას.

არადუში ტანკები რომ შემოვიდნენ, „ქვემეხ არადუს" მონტაჟი მიატოვეს, იქ ტანკების იმედით. ის ტანკები მალე მერკულაში ააფეთქეს და „არადუს ქვემეხი" არადუელთა დაუდევრობით, უმოქმედოდ დარჩა, ხოლო მისი სათადარიგო ნაწილები დაიტაცეს.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დიდი რუდუნებით აღნიშნავს დღევანდელ ქრისტესშობის დღეს თითქმის ორი ათასი წლის წინათ კაცობრიობას მოევლინა მესია, უფალი, იესო ქრისტე ნაზარეველი. დღეს ქრისტიანობას ერთ მილიარდზე მეტი მორწმუნე მიმდევარი ჰყავს და, თუ კაცობრიობას იხსნის დაღუპვისაგან რაიმე მიმდევრობა, თუ იდეოლოგია, იხსნის მხოლოდ ქრისტიანობა, ქრისტეს მცნებების ჭეშმარიტი გათავისება და გაცნობიერება.

შემორჩენილია ადათი — ამ დღეს ალიონზე მამლის ჭიშკართან დაკვლისა. გუშინ ღორი უნდა დაგვეკლა, ვიფიქრე, ამასაც ხვალ მოვილევ-მეთქი. გუშინაც პურის მარცვალი უნდა მოგვეხარშა და საშობაო საშველი (ჭანტილა) მოგვემზადებია, მაგრამ ვერსად პურის მარცვალი ვერ ვიშოვეთ და დავრჩით უიმისოდ.

დილაადრიან ავდექით მე და ჩემი მეუღლე. გათენებულიც კი არ იყო, მაგრამ ტატიანამ მაინც მიაყვედურა (ტატიანა რუსი არ გეგონოთ, ერთი გადარეული მეგრელია). როცა ვეკითხები, ვინ დაგარქვა ტატიანა-მეთქი, დამაჩემმაო, ვილაც რუსი ტატიანა ყვარებია და იმიტომო. თუმცა მას მეორე სახელიც ჰქვია — ღვაბა), უკვე დაგვაგვიანდაო, ახლა მამალი უკვე შეჭმული უნდა იყოსო.. საქათმეში მეთაური ორწლიანი მამალი გავძაგრე; მამალმა ისეთი ყვირილი მორთო, სამივე ძაღლი გადაირია, მამალა კისერი მოვუგრიხე და ნისკარტზე ხელი მაგრად მოვუჭირე. მან ხმა ჩაკმინდა, ოთახში, სადაც ბაღრის ეძინა, ჩუმად შევედი და მამალი თავზე სამჯერ შემოვავლე. შემდეგ ჭიშკრისკენ გავეშურე. მამალს ნისკარტში ხელი გავუშვი და ჭიშკრის ბოძზე თავი მივადებინე. არ გარყეულა ის შეჩვენებული, თურმე ჩემი ხელის მოქერით თითქმის მოგუდულიყო და სიცოცხლის ნასახი აღარ ეტყობოდა, თავი ნაჯახით წავაგდებინე.

საუზმე უკვე ზედ გვჭონდა, ბახვაც (მოგაგონებთ, რომ იგი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა) მოვიდა და საუბარს შევყევით.

ბახვა გუშინ ოჩამჩირის შტაბში იყო და იქ ურჩიეს, რომ ჩვენი სოფლის ძებრძოლებმა დივერსიები მოაწყოს მეზობელ აფხაზურ სოფლებში და ასეთ მრჩევლებად ასახელებდა ვილაცის გვარებს. ბახვა იცავდა თავის „დოქტრინას". ეს დოქტრინა თავდაცვითი ხასიათისაა, „სოფელი იზრუნებს მხოლოდ თავდაცვაზე

და ეცდება მტერი არ გაუშვას ოჩამჩირისაკენ". ეს თავისთავად შეტევაზე მეტს ნიშნავს, ხოლო, რაც შეეხება სოფელზე შეტევას, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ მეზობლებად მომავალში და ერთმანეთის მიმართ შეტევები არ გამოგვადგებაო, უთქვამს ბახვას. ჩამოსულები კი დაჟინებით მოითხოვენ ჩვენგან შეტევას და კიდევ შეტევას. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ არადუს, ისე როგორც ცაგერას და სხვა სოფლებს, არა ჰყავთ ისე მომზადებული მეომრები და არ აქვთ იმდენი ტექნიკა, რომ შეტევა განახორციელონ. ჩვენ კი არა, გია ყარყარაშვილს უჭირს შეტევა ,და წინსვლა და ჩვენ რას გავხდებით. მერე ვინ აგებს პასუხს? ყველა ხელს დაიბანს, ჩემი ბრალი არააო. ოჩამჩირის შტაბიდან არავინ არ ამოსულა პიკეტების შესამოწმებლად. მე კი ვიცი, რომ საგუშაგოები ძალზე პრიმიტიული და მოუხერხებელია ბრძოლისათვის, აი, აქ გვინდა დახმარება. ჯერჯერობით პოზიციები უცვლელი რჩება, სამი მხრიდან მტრისაგან შემორტყმული ჩვენი „სოლი" კი დიდ საშიშროებაშია. ისიც ვთქვით, რომ სოფლიდან ბევრი უქნარა ახალგაზრდაა წასული. არიან ისეთებიც, რომლებიც თითსაც კი არ ანძრევენ სოფლის დასაცავად. მე არ ვიცი, რას მოიმოქმედებს სოფელი მათ მიმართ, თუ მშვიდობა გვეღირსა. ახლა ისეთი დროა, რომ ნამუსზე შეგდება დიდად ვერ გვარგებს. მე ბახვას გადაჭრით ვეუბნები: პარლამენტის გადაწყვეტილებით, ოჩამჩირეში სამხედრო წესები გამოცხადდა და აწი თქვენზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებთ-მეთქი.

8 იანვარი.

დაახლოებით დილის ხუთ საათზე ძლიერი აფეთქების ხმამ გამოგვაღვიძა. იმ წამსვე შუქიც ჩაქრა. აფეთქების ხმა ოჩამჩირის მხრიდან გაისმა, როგორც მოგვიანებით გავიგეთ, აფხაზებმა ოჩამჩირის მახლობლად მოახდინეს დივერსიული აქტი, ააფეთქეს ერთ-ერთი მაღალი ძაბვის ბოძი. თვითმხილველები ამბობენ, რომ დივერსანტები თითქოს ქალის ტანსაცმელში იყვნენ გადაცმულნი. გამორიცხული როდია, რომ შეიძლება ისინი ქალები იყვნენ?! აფხაზებს საკმაოდ გაწვრთნილი ქალები ჰყავთ თავიანთ საბრძოლო რიგებში. სამწუხაროდ, ჩვენი ქალები ამას ვერ დაიტრაბახებენ. ისტორიულად ცნობილია ქართველ ქალთა ბრძოლა

და თავგანწირვა, მხოლოდ ისტორიულად, მაგრამ ეს ხომ ისტორიაა და არა დღევანდელობა. თანამედროვე ქალებმა სახელი „გაითქვეს“ მხოლოდ გამსახურდიას დაცვის საქმეში... ისინი ჯერ კიდევ ვერ აქტიურობენ. რასაკვირველია არიან გამონაკლისებიც, რომელთა წინაშე ქედს ვიხრი. არადუში ჯერ ერთი ქალიც კი არ მინახავს, რომ აქტიურობდეს, პირიქითაც ხდება — ბევრი მათგანი ძალით მიათრევს თავიანთ ქმრებსა თუ შვილებს სამალავ ადგილებში, ოღონდაც თავი გადაირჩინონ და სულაც არ აწუხებთ სოფლისა და ქვეყნის ბედ-იღბალი.

დღესაც გავიგეთ, რომ ცაგერას კიდევ ერთი მიცვალებული მიემატა, ერთ-ერთი მძიმე დაჭრილი ახალგაზრდა გარდაიცვალა და მკვდართა რაოდენობა უკვე თერთმეტი გახდა, საშინელი გლოვის დღე უდგას ცაგერას და არა მარტო ცაგერას — ამ სოფლის გლოვა მთელი საქართველოს გლოვაა, დაჭრილებისა და დახოცილების რაოდენობა ყოველდღე მატულობს. დღეს არადუში მოქვის მხრიდან ნასროლი ტყვიით დაიჭრა ანზორ ბენიძე, ტვიამ ავტომატის კონდახი გახვრიტა და ანზორი მუცელში დაჭრა. კვლავ ყეფს მერკულის გორა, ჩვენებიც უშენენ. ალბათ, იქითა მხარესაც იჭრება და კვდება ვილაც.

9 იანვარი.

მეორე დღეა შუქი არ გვაქვს და ყოველგვარ ინფორმაციას მოკლებული ვართ. ესაა, რომ ფრონტზე ვიმყოფებით და ჩვენი ფრონტის ამბებს ჩვენზე უკეთესად ვერავინ გაიგებს, მაგრამ გვინდა შევიტყოთ, რა ხდება სხვა ფრონტებზე, სახელმწიფოში, მსოფლიოში. მიმაჩნია, რომ ის, რაც ამჟამად ოჩამჩირეში და, კერძოდ, არადუში ხდება, მსოფლიო სეპარატიზმის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია.

ჩვენთან დამშვიდებული დღე იშვიათად მოიძებნება. დღესაც ნაშუადღევს მოულოდნელად ღრუბლებიდან გამოიჭრა სამხედრო თვითმფრინავი და მერკულის გორას ბომბები დააყარა. ვუკუთხებდი დაბომბვის ადგილს, მერკულის ჩაის ფაბრიკასა და მეფრინველეობის ფაბრიკას შორის და გაოცებული ვიყავი, ამ რამდენიმე დღის წინათ ამ ადგილებში მძიმე ბრძოლები წარმოებდა, იქ დაკარგეს ჩვენებმა შავნაბადას სამი ტანკი. ამბობენ, ერთ-

ერთი ტანკი აფხაზებს ჩაუვარდათ ხელში. ჰოდა, ეს ადგილები ჩვენებისაგან მეგონა დაკავებული. მაშინ მართლაც დაიკავეს იგი ჩვენებმა, ბევრი დაიჭრა და დაიხოცა იმ ბრძოლაში, როგორც გავიგე, დაბრუნების ბრძანება ყოფილა. ეს მკრამდენედ ხდება ასე? ყოველთვის მძიმე ბრძოლითა და დიდი დანაკარგებით ძლივს წაიწევენ წინ, შემდეგ კი აღებულ ადგილებს მიატოვებენ და უკან ბრუნდებიან. ღმერთო ჩემო, რამდენი მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა ამ ბრძოლებმა. ვინ იცის. ბომბავენ და ბომბავენ ქალაქს ტანკებით, ქვემეხებით, გრადებით, ვერტმფრენებით, თვითმფრინავებით, ბოლოს კი არაფერი არ იცვლება. ესეც ვითომ ომადაცაა? ასე რომ, მერკულის ქორას ვერაფერი მოუხერხეს. ღღეს ჩვენმა კომენდანტმა მითხრა, ოჩამჩირის შტაბში ვიღაც მეთაური ირონიულად ამბობდა, „რას უყურებს არადუ, ვერ გადაჰა შეტევაზე? არადუმ უნდა აიღოს „ყელიდან" მერკულა. ისეთი ხუმარა მეთაურები, როგორც ამჟამად ოჩამჩირეში განლაგებულ ჯარს ჰყავს, ნამდვილად ვერ გაბოადგება ქვეყანას. არადუმ ღირსეულად დაიცვა და იცავს თავს ყოველდღიური შემოტევებისაგან. იმ დღეს სოფელს უბრძანეს მეზობელ სოფელზე შეტევაზე გადასვლა. შედეგი? შერცხვენილი უკან დაბრუნება და რამდენიმე ახალგაზრდის მსხვერპლი. რად ასისიანებენ სოფლებს ერთმანეთზე? კოჩარამ თავი ვერ დაიცვა, იგი რამდენიმე ათეულმა აფხაზმა აიღო და მისი დაბრუნება დღეს რეგულარულმა ჯარმა (თუ მას ჯარი ჰქვია) ვერ შესძლო. ახლა კოჩარის ასაღებად გაგზავნეს მეზობელი სოფლის, ცაგერას მეომრები და აი შედეგიც: თერთმეტი დღეგანდელი და რამდენიმე წინანდელი მოკლული და რამდენიმე ათეული მძიმედ დაჭრილი.

ჩვენი სოფლების მიმართ სამხედროების ასეთი მოპყრობით ზემდგომ ორგანოებზე გასაცნობად დღეს, სობუმს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან შესახვედრად გაემგზავრა არადუსა და ცაგერას შერეული დელეგაცია ოთხი კაცის შემადგენლობით. შედეგებზე შემდგომ მოგახსენებთ, მხოლოდ გულსატკენია ის, რომ მუდმივად ძვალ-რბილში გამჯდარია მოშვებულობა, მოდუნებულობა. თვითნებური მჭრელობა, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს არაოპერატიულობით, უდარდელობით, მტრის ძალების შეუფასებლობით ხდება დივერსიები. შემდეგ კი ამ დივერსიების ლიკვიდაცია კუს ნაბიჯებით მიმდინარეობს, ჰკითხეთ ბატონ

ირაკლი ციციშვილს და გეტყვით, ერთი ღამის განმავლობაში როგორ გადვეს ხიდი ერთ დიდ მდინარეზე მტრის გარემოცვის პირობებში დიდი ომის დროს. აქ კი მერკულის გორაზე ერთი ბოძის წამოყენება ვერ შესძლეს აგერ ორ თვეზე მეტია.

მანამ სანამ გვარდიასა თუ მხედრიონს მიტმასნებული სახელგატეხილი ადამიანები არ ჩამოშორდებიან და არ შეიქმნება მკაცრი სამხედრო მდგომარეობა, არაფერი არ გამოვა.

ოჩამჩირის შტაბი არადუს არ ეხმარება მატერიალურად, ნუთუ არ იციან, რომ არადუს დაკარგვით ოჩამჩირეც დაკარგულია? ხომ მოსალოდნელია განმეორდეს გაგრის ვარიანტი?

10 იანვარი.

გუშინ მოგახსენებდით, რომ სოხუმს ეწვია ცაგერასა და არადუს წარმომადგენლები. ისინი მიიღო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა, მიზანი ერთი იყო — ეთქვათ ნადარეიშვილისათვის, ის რაც ნამდვილად ხდება არადუსა და ცაგერაში და უთხრეს კიდეც.

ბატონმა თავმჯდომარემ, როცა მათი მონათხრობი ოფიციალურ ინფორმაციებს შეადარა, რომელთაც გადასცემენ ოჩამჩირიდან, აღმოჩნდა დიდი სხვაობა, სინამდვილესა და სიყალბეს შორის. კომუნისტური რეჟიმის დროს ხშირად ხდებოდა ე. წ. წამატებები. თუ ძროხა მოიწველიდა ათას ლიტრა რძეს, ცნობაში ზევით გადასცემდნენ, რომ იმ საცოდავმა პირუტყვმა ორი ათასი ლიტრი მოიწველა და ამის შესაბამისად „მზადდებოდა“ ყველი, კარაქი და ყველის ნაწარმი. მშვიდობიანობის პირობებში ასეთ სიყალბეს კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ ომიანობის პირობებში თუ ერთ საგუშაგოზე ათი სამხედრო ერთეული დგას და ზემდგომ ორგანოებს აცნობენ, რომ იმავე საგუშაგოზე თითქოს ოცი სამხედრო ერთეულია, ეს ღალატის ტოლფასია. ასეთი დაუდევრობით გაგრის ვარიანტი უკვე მოხდა კოჩარაში. თუ არადუ დაეცემოდა, ცაგერა, მერკულა, ოჩამჩირე და ა. შ. რატომ აკეთებენ ამას ოჩამჩირის შტაბში? შეიძლება მათ არც კი იცოდნენ ოჩამჩირის რაიონის ასავალ-დასავალი? ესენი არიან შტაბში თბილად მოკალათებული „გენერლები“, რომლებსაც არასოდეს არ უნახავთ რომელიმე საგუშაგო და არც არაფრად მიაჩნიათ, თუ რა მოხდება არადუში.

ასეთებმა 30 ნოემბერს მტკრის არადუზე შემოტევის დროს, ბრძანება გასცეს არადუდან უკან დახევის შესახებ. არადუელებს რომ მათთვის დაეჯერებიათ და თავდასხმა არ მოეგერიებინათ, მაშინ ოჩამჩირის შტაბიც ალარ იქნებოდა. ალბათ, მაშინ ისინი ხელს დაიბანდნენ და სავსე „ვოლგებით“ გზას გაუყვებოდნენ სამტრედიისაკენ. ბატონი ნადარეიშვილი შეპირდათ დახმარებას და ჩვენს წარმომადგენლებს ურჩიათ, წვეოდნენ სოხუმში გაწლაგებულ აფხაზეთის თავდაცვის შტაბს. ისინი იქ არ მიიღეს. დღეს არადუსა და ცაგერას წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს გაემგზავრონ თბილისს და ეწვიონ უშუალოდ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. თუ როგორ დამთავრდება ეს მოგზაურობა, ამის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი დაბეჯითებით ვურჩევ არადუელებს, თვითონ მოიკრიბონ ძალა და არ მისცენ მტერს არადუში შემოჭრის საშუალება.

აფხაზები საკმაოდ გააქტიურდნენ. ნაშუადღევს ნაღმსატყორცნიდან გაგვიხსნეს ცეცხლი მოქვის მხრიდან. ამუშავეს ტყვიამფრქვევიც. ჩვენმა ბიჭებმა საპასუხო ცეცხლით აიძულეს კუდი ამოეძუებინათ. ძალზე აქტიურობენ ცაგერას მიმართულებითაც. დღესაც ცაგერაში გრძელდება დაღუპულების დასაფლავება. სიმბოლურია, მაგრამ მოულოდნელი შეტევისაგან დაცვის მიზნით ათი არადუელი მებრძოლი გადავიდა ცაგერას საგუშაგოებზე მოსახმარებლად. ასე გადაწყვიტა ადგილობრივმა შტაბმა, როცა ბადრის ვუთხარი, თქვენს პოზიციებს ხომ არ ასუსტებთმეთქი? ვინ გაუო არადუ და ცაგერაო, — შიმასუხა. ბევრი ბჭობა დასჭირდათ იმაზე, თუ ვინ გაეგზავნათ თბილისში. სოფლის თავკაცები, ომამდე რომ მარჯვედ „თავკაცობდნენ“, დღევანდელ პირობებში ვეღარ გამოდგნენ. როცა შუქრის გუთხარი, დღეს მეურნეობის დირექტორი შენა ხარ-მეთქი, წუწუნი დაიწყო, ბავშვებს უნდა მივაკითხო ხონშიო. ასეთი კაცი სოფლის თავკაცად ვის გაუგონია. მეორე თავკაცს, უოფილ საბჭოს თავმჯდომარეს, ბაბვას გაჭირვება აქვს — მას ცაგერაში ნათესავები დაუხოცეს და თავიც იმართლა. ასე რომ, თბილისში წამსვლელები ჯერჯერობით ვერ მოინახა.

11 იანვარი.

თბილისში დელეგაციის გაგზავნა ვერ მოხერხდა. ნადარეიშვილის მოტყუებაც სოხუმში ერთი-ორი კაცის კერძო ინიციატივა იყო, იმ კაცებისა, რომლებიც აქტიურად არ მოქმედებენ ადგილობრივ ამბებში და მათ ეს გააკეთეს შტაბის აზრის გათვალისწინების გვერდის ავლით. დღეს მე მომაკითხეს და მთხოვეს, თბილისს გაემგზავრეო, მათ ავუხსენი, რომ ეს საკითხი უფრო ადგილზე გადაწყვეტია. მივიღოთ ის, რაც მისაღებია, უარვყოთ ის, რაც მიუღებელია. ჩვენ მითითებების გარეშეც კარგად ვიცავთ ჩვენს სოფელს. ჩვენი საქმე მხოლოდ თავდაცვა და იძულებითი მოგერიებაა; ნუ დაგვაძალებენ და გვაიძულებენ შეტევაზე გადასვლას. ამასთანავე სოფელს უნდა დაუბრუნდეს ის ბიჭები, რომლებიც წაუვანილი არიან სხვა ფრონტებზე. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ოჩამჩირის შტაბს და საჭირო არაა, გირბინოთ სოხუმსა თუ თბილისში. როგორც იყო, დამიჯერეს. ისევ ნადარეიშვილის იმედი გვაქვს. ჩვენ გვჭირდება ტყვია-წამალი, იარაღის გამსხვილება, ტანსაცმელი. ბიჭები დახეული ფეხსაცმელებით წყლით სავსე სანგრებში დგანან. 30 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში ვიგერიებდით მოწინააღმდეგეს და ოჩამჩირედან არავინ არ მოგვეხმარა, მეორე დღეს კი მოგვაკითხეს, როგორ ხართო?!

თუ ომი გაჭიანურდა, კიდევ უარესი ჩავარდნები იჩენს თავს. მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს ომის მოკლე ხანში დასამთავრებლად. ხალხი ვერ გაუძლებს ასეთ მდგომარეობას. მარტო ლტოლვილობას ატმასნილი ათი ათასობით ადამიანი დროს ატარებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. გარდა ქალების, ბავშვების და მოხუცებისა, ყველა უკან უნდა დაბრუნდეს და იარაღს მოჰკიდოს ხელი. ხომ ფაქტია, რომ ზოგიერთმა მათგანმა ქურდობასა და ყაჩაღობას მიჰყო ხელი?

ხვალ პარლამენტის სესიის საგანგებო სხდომაა მოწვეული. დღეს მოვისმინეთ პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ შევარდნაძის ყოველკვირეული რადიოინტერვიუ. თუ რუსეთთან ურთიერთობა თანასწორობის და ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე მოგვარდება, ეს ურიგო არ იქნებაო. ჩვენ მოგვწონს შევარდნაძის კონცეფცია ყველა მეზობელთან თანაბარი ურთიერთმეგობრული კავშირების შექმნის შესახებ.

12 იანვარი.

ბადრის ჯერ კიდევ ეძინა, ემზარი რომ გვეწვია. ეს ის ემზარია, ავტოფურგონი რომ ჰყავს. მან კარგად იმუშავა 30 ნოემბერს, ტყვიის წვიმა დააყარა თავისი ტყვიამფრქვევიდან იმათ, ვინც ქვეწარმავალივით მოძვრებოდა ჩვენი პოზიციებისაკენ. აბლა მანდარინით სავსე ავტოფურგონს დაატარებს აქეთ-იქით, ჩაბარება კი ვერ მოახერხეს. საკონსერვო ქარხანა ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგებულა, მიმხედავი არავინ ჩანს, არადა, რამდენი მანდარინი ფუჭდება და იკარგება. იქნებ ჩვენივე საშუალებებით მოვახდინოთ საწვავის და სხვა მასალების შეძენა. გვესტუმრა მეორე ემზარიც — ასმეთაური. ხათრიანი კაცია, ბევრი არ ემორჩილებაო. ჩვენ სომაგ ფრონტზე ვიმუოფებით, სოლივით ვართ შეჭრილი მტრის გარემოცვაში, ჩვენთან სამხედრო წესებია გამოცხადებული და უფრო მკაცრად იმოქმედე-მეთქი. თავი გადააქნია, მეზობლებს როგორ ვაწყენინოო, შემაშფოთებელი ამბავია — ომის დროს მეთაური თავს იკავებს, ვინმეს არ აწყენინოსს თანაც ზოგიერთმა რეგვენმა ვერ გაიცნობიერა, რა დღეში ვართ და რა მოგველის, თუ მტერი სოფელს აიღებს. ვხედავ, ის შემართება, რომელიც პირველ ხანებში იყო, თანდათან ნელდება, მტერი კი მომენტს ეძებს, რომ ყელში გვეძგეროს, ვისი იმედი უნდა გქონდეს?

დღეს დიდი ინტერესით მინდოდა მომესმინა და მენახა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის სხდომა, მოვახერხე ბატონ შევარდნაძის ინფორმაციის ბოლო ნაწილის მოსმენა. კამათი გაჩაღდა და უეცრად გადაცემები შეწყვიტეს.

ექსპრეზიდენტი კვლავ ბობოქრობს გროზნოში, თურმე მისი გაძევების წლისთავზე ბრძანებულება გამოსცა, რომ შეპყრობილი და მხილებულნი არიან დივერსანტები, რომლებიც აფეთქებენ ხიდებსა და სხვა ობიექტებს და თითქოს მათ მეურვეობს ახლანდელი მთავრობა, თანაც თურქეთის ელჩს თბილისში დაემუქრა სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის შეტანით ცილისწამებისათვის და თუ სასამართლო ამას დაამტკიცებს, ელჩს თბილისს დავატოვებინებ (რა უცნაური ბოდვაა!). ზუგდიდში აქციები ტარდება ექსპრეზიდენტის მხარდასაჭერად და ახლანდელი მთავრობის გადასაყენებლადო. ეს ყველაფერი შეიძლება ღიმილის ძომგვრელი იყოს ერთი შეხედვით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება,

რომ თბილისშიც, პარლამენტშიც კი მოიძებნებიან ფარულაც თუ აშკარად მისი მხარდამჭერები, სიფრთხილეა საჭირო! ხალხი დაიღალა და საჭიროა გავუვეთ იმ გზას, რომელსაც გვისახავს ახლანდელი ხელისუფლება.

13 იანვარი.

დღეს კალანდობაა, ზვალ ისევ ახალი წელია, ჩვენ დღესაც ზეიმით ვეგებებით სახვალიო ახალ წელს. ზეიმითო, ვამბობ, მაგრამ სადაური ზეიმი გვექნება გახურებული ომის პირობებში. ჩვენ მაინც იმედით ვცოცხლობთ და ტყვიის ავბედით წვიმაშიც ვახერხებთ ცხოვრებას. ახალგაზრდობა ცდილობს გაჯანსაღდეს სულიერად, აიმაღლოს თავისი საბრძოლო სულისკვეთება, მართალია, ეს ყველაზე არ ითქმის.

საერთო განწყობა ისეთია, რომ მალე დადგება დრო, როცა აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველობა თვითონ იკისრებს თავისი ბიწა-წყლის დაცვას და საჭირო აღარ იქნება საქართველოს სხვა რეგიონების შეწუხება დახმარებისათვის. მართლაცდა, აფხაზეთში 260 ათასამდე ქართველი ცხოვრობს, თუ ათ კაცზე მაინც ერთ მეომარს გამოვიყვანთ, მაშინ 26 ათასამდე ქართველი მეომარი შეგროვდება აფხაზეთში. ეს ორი დივიზიაა, რომელიც აფხაზეთის პირობებში სავსებით საკმარისია ყოველგვარი შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციებისათვის. აქაურ ქართველობას რომ ერთიანობა ჰქონდეს, რად უნდოდათ ვისიმე დახმარება. მაგრამ ეს ნანატრი ერთიანობა ჯერ ვერაა მოპოვებული.

14 იანვარი.

ძველით ახალი წლის შესახვედრად სროლები წუხელ ღამის თორმეტ საათზე დაიწყო და ნახევარი საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ორთავე მხრიდან გაიმეორეს ის, რაც პირველ იანვარს მოხდა ახალი წელთაღრიცხვით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად აფხაზებს თავდაჭერილობამ უღალატათ და შუა სოფელში უმისამართოდ გამოსროლილი ნაღმი ჩამოაგდეს. კიდევ კარგი, ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია, ჩვენები მხოლოდ ჰაერში ისროდნენ.

ამას წინათ გუმისთაზე ჩვენებმა ის მოკლული მეომრები გადასცეს, ხუთი იანვრის ბრძოლებში რომ დაიღუპნენ და შემდეგ პრეტენზია ჯაბოგვიყენეს — გვამები ნაწამები იყოო. ჯერ ერთი და, ხუთი იანვრის ბრძოლებში დაღუპულ აფხაზებთან მისვლა ქართველებმა მხოლოდ რვა იანვარს შესძლეს და ამას მათი სნაიპერისაგან ერთი ჩვენი მებრძოლი შეეწირა, ჰოდა, სამი დღის განმავლობაში ვერც ერთი მძიმე დაჭრილი ძლიერი ყინვის გადატანას ვერ შესძლებდა.

დღეს ზუსტად ხუთი თვე შესრულდა აფხაზეთში ომის დაწყებიდან. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ომის დაწყების დან დღემდე დაღუპულია 655 ქართველი მებრძოლი, დაჭრილია — 2500. რა თქმა უნდა, ეს მონაცემები სრული არაა.

ოჩამჩირის რაიონში აფხაზებმა ამჯერად დივერსიას მიჰყვეს ხელი. ამას წინათ ელექტროანძა ააფეთქეს, რომლითაც შუქი გამოურთეს მთელ რაიონს და სოხუმს. ანძა აღადგინეს, მაგრამ ახლა მეზობელ ორ ანძაზე შემჩნეული იქნა მიმაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა; იგი საათის მექანიზმზე იყო მომართული და სულ რაღაც თხუთმეტი წუთით მიუსწრეს ჩვენმა მუნაღმეებმა და აფეთქებას გადაარჩინეს, ამოიღეს ოთხმოცი ცალი ასაფეთქებელი ბლოკი.

ასეა თუ ისე, ახალი წლის შეხვედრა გრძელდება, მას ზოგი ფხიზელი ხვდება, ზოგიც გზააბნეული. მსგავსი გზააბნეულები ჩვენთან ბლომად მოიპოვებიან. ასეთები იყვნენ ის ბიჭებიც, რომლებიც ზედმეტად გადამთვრალიყვნენ, სასაფლაოზე გასულიყვნენ და ტყვიამფრქვევს აკაკანებდნენ უმისამართოდ. რა თქმა უნდა, ამან სოფელში წყაროშა და შიში გამოიწვია. ბადრი წუხელ თორმეტ საათზე გავიდა სახლიდან ნასვამ ბიჭებთან ერთად და დღესაც არ გამოჩენილა.

15 იანვარი.

ჩვენთან, შედარებით სიმშვიდეა, შორიდან კი ისმის საარტილერიო სროლები. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლებია ფოქვეშისა და ტამიშის ფრონტებზე. მათი ვაილიდერი ხან მოსკოვშია პირმოხსნილი და ხანაც გუდაუთაში, მათ არ ენაღვლებათ ახალგაზრდების დახოცვა. კვლავ მოქმედებს დივერსია. გუშინ ააფეთ-

ქეს არადუს ხილის მიმღები პუნქტი, საკონსერვო ქარხნის წყლის მიმწოდებელი სადგური, რის გამოც შეფერხდა ციტრუსების მიღება-გადამუშავება. ოღონდაც რაიმე ზიანი მოგვაყენონ და არაფერს არ ზოგავენ. ჩვენს ბიჭებს კი ნამდვილად მობეზრდათ ასეთი უაზრო დგომა სანგრებში. სოფელში შეიმჩნევა ლტოლვილების დაბრუნება. ქუჩებში უკვე გამოჩნდნენ ბავშვები და მათი დედიკოები, ოჩამჩირის სკოლებში მეცადინეობა განახლდა, ვნახეთ ერთი თვითმხილველი, რომელმაც გუდაუთიდან გამოაღწია. მან გვიამბო, როგორ ექცევიან აფხაზები ქართველებს. თუ შვილი გვარდიაშია, მშობლებს უხოცავენ. ამას ახალგაზრდები სჩადიან. სანდაზმულები კი უმეტესად ძემრიგებლურ პოზიციებზე დგანან. არძინბამ რომ ახალგაზრდობა მოწამლა, ამაში ქალბატონი ადა და ლორიკ მარშანია და ბევრი სხვაც დაგვემოწმება. აფხაზებმა თვითონვე უნდა გაიცნობიერონ, ვინაა მათი მტერი და ვინ — მოყვარე. რაძდენად ადრე გაკეთდება ეს, მით უკეთესია.

დღეს ძველით ახალი წლის მეორე დღეა. ბუნებრივია, ბიჭები სუფრასთან იყრიან თავს, ღვინოსაც სვამენ. სოფელში ახალგაზრდები მეტ-ნაკლებად სვამენ. ზოგიერთი ძალიან დაუმეგობრდა ბახუსს და ვეღარ ანებებს თავს, არადა ისინი სიფხიზლეში ნამდვილად კარგი ადამიანები არიან. ერთ-ერთი მათგანი როინია, მუშაკაცია, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, მაგრამ ღვინის ხშირი სმა დიდ ზიანს აყენებს. ძალზე თავმოყვარეა და თუ ფხიზელია, სანგარშიაც მარჯვედაა და იარაღსაც კარგად ხმარობს. როინმა მხედრიონელებთან შელაპარაკებისას თურმე თქვა, თქვენზე ნაკლები ვინც იყოს, იმას რა ვუთხარიო, იძრო დანა და... საკუთარი მარცხენა ხელის ნეკა თითი გადაიჭრა, შემდეგ ნოჭრილი თითი ცხვირსახოცში შეახვია და სასაფლაოზე წაიღო დასამარხავად; იქიდან გამობრუნებულმა სოფლის ექთანს მიაკითხა. შეუხვიეს და სამ დღეში უკვე შეხორცებული ჰქონდა ჭრილობა. მერე განაცხადა, თუ მომიტანთ თბილ ტანსაცმელს და იარაღს, წავალ საგუშაგოზე, თუ არადა აქედან ფეხსაც არ გავადგამო. ბიჭებმა მისი „კაპრიზები“ დააკმაყოფილეს, მან ფორმა მოირგო, ჩალის ზვინზე შეხტა და მოგერიების იმიტაცია გააკეთა, ავტომატის ერთი მჭიდე ბოლომდე დაცალა და შემდეგ კი საგუშაგოს მიაშურა.

ამ დილით რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ გადასცა, რომ

დეპუტატმა სარიშვილმა თავის გამოსვლაში პარლამენტის სხდომაზე სასტიკად გააკრიტიკა თავდაცვის მინისტრი კიტოვანი და მისი მოქმედება, ხოლო გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, რომ შვიდი იანვრისათვის თითქოს დაგეგმილი იყო სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო იგი ჩაიშალა. ბატონი შევარდნაძე უარყოფს სამხედროებისა და პარლამენტის დაპირისპირების მცდელობას, კიტოვანი კი მოსკოვშია და იფიცება, რომ არავითარი სამხედრო გადატრიალების განზრახვას ადგილი არ ჰქონიაო, ხალხში კი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა. გაგრის ჩავარდნის შემდეგ ხალხი ცოტა არ იყოს, ალმაცერად უყურებს ბატონ კიტოვანს, მარტო ის ფაქტები, რომ ის თავის ნებაზე დადის მთავრობის მეთაურთან შეთანხმების გარეშე, ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანებზე.

ამ დღიურს რომ ვწერდი, შუქი მთლიანად გამოირთო, მთელ რაიონში ისევ დივერსიაა?!

16 იანვარი.

ამ დილით გავიგეთ რომ გუდაუთის მაღალ ეშელონში განხეთქილება მოხდა; შეტევების დროს დაიჭრა ვლადისლავ არძინბა, ბევრმა ნიშნი მოუგო, ახია მასზედ, რატომ არ მოკლესო. ზოგი აფხაზიც არ ეთანხმება არძინბას პოლიტიკას. მან ბევრი აფხაზი დაღუპა თავისი ამბიციების გამო. ვითომ მარტო არძინბას სჭირდებოდა ეს ყველაფერი? მთლად ასე არაა! იმპერიას სჭირდებოდა საქართველოს დანაწევრება, ამის განსახორციელებლად კი ვიღაცა უნდა გამოძებნილიყო. ეს ვიღაცა გამოჩნდა არძინბას სახით და ისიც თოჯინასავით აათამაშეს. თუ ერთ არძინბას გაიატუმრებენ საიქიოს, მონახავენ შამბებს, აჩხებს და სხვებს. აქ მთავარია, თვითონ აფხაზებს შორის ჩამოვარდეს უთანხმოება, რომ თვითონ აფხაზთა ნაწილში და უმრავლესობაში გაიმარჯვოს სალმა აზრმა და მოხდეს შემობრუნება მშვიდობისაკენ.

ჰიტლერს, როცა ციხეში იჯდა, დიდი გულმოდგინებით დარაჯობდა მასზე მიჩენილი ვიღაც პოლკოვნიკი. ჰიტლერს ძალიან უკვირდა იმ პოლკოვნიკის გულმოდგინება მთავრობისადმი და როცა ხელისუფლების სათავეში მოექცა, პირადი დაცვის უფროსად ის პოლკოვნიკი დანიშნა. პოლკოვნიკს გაუკვირდა, მე ხომ

იმ მთავრობის ერთგული ვიყავი, რომელმაც დაგვპატიმრაო. საქმეც ამაშია, იმედი მაქვს ისე ერთგულად დამიცავ, როგორც იმ მთავრობასო, — უთხრა თურმე ჰიტლერმა. ჰოდა, საჭიროა თავის საქმეზე არძინბასავით ერთგული კაცი აფხაზი გამოჩნდეს, მხოლოდ არძინბას საწინააღმდეგოდ მიმართული.

ოჩამჩირის რაიონში გუშინ დიდი ბრძოლები გაიმართა კუტოლის მიმართულებით, სადაც აფხაზებმა შესძლეს ჩამოეგდოთ ქართველების საბრძოლო ვერტმფრენი, ქართველები არ ჩქარობენ წინსვლას. რას ელოდებიან, გაურკვეველია, იქნებ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას? საეჭვოა, რუსეთმა ეს საქმე დააჩქაროს. მოლაპარაკებათა რაუნდები უსასრულოდ გრძელდება.

დღეს რუსეთის დელეგაცია თბილისს ეწვია მოლაპარაკების მესამე რაუნდზე, ამასობაში აფხაზები და ოსები ძალას იკრებენ, იარაღს თავისუფლად შოულობენ. უკვე რამდენიმე ვერტმფრენი ჩამოგვიგდეს.

აფხაზეთში იმდენი ქართველი ცხოვრობს, რამდენი ადამიანიც ჩვენი წელთაღრიცხვით ათასი წლისათვის ცხოვრობდა მთელს პლანეტაზე, იმ დროისათვის პლანეტის მოსახლეობა შეადგენდა 275 ათას სულს. როგორც ვამბობდი, ათ კაცზე ერთი მეომარი თუ გამოვა, არ შეუძლია დაიცვას საქართველოს მთლიანობა აფხაზეთში? ამას გაცნობიერება უნდა.

17 იანვარი.

დილით ჩვეულებისამებრ კომენდანტი ბორისი გვეწვია, ბადრი უკვე ამდგარი იყო, ეზოში სანადიროდ დახეტიალობდა. დავუძახეთ და ამოვიდა, თოფი გალმომაბარა, შენ გააგრძელე ნადირობაო, შაშვს როგორ ვესვრი თოფს, მე მხოლოდ დათვებზე ვნადირობ და ისიც მაშინ, როცა საძოვარზე ან ფარეხში ნახირს ესხმის თავს.

ბადრი ბორიას მიუჯდა გვერდით. პაპვაც შემოგვიერთდა. ასეა, ხშირად ჩვენთან იყრიან თავს სოფლის თავკაცები და ბჭობენ, თუ რა გააკეთონ სადღეისოდ თუ სახვალიოდ, როცა გეგმები დაალაგეს, კომენდანტს რაღაც შეკითხვა მივეცი:

— თქვენ გუშინ კრება უნდა ჩაგეტარებიათ, ჩაატარეთ?

— ჩავატარეთ.

— რა საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება?

— დავაზუსტეთ ოცეულების შემადგენლობა, გაქცეულების სია ცალკე შევადგინეთ, ადგილზე მყოფთ კი კონკრეტული დავალებები მივეცით.

— როგორია არადუს მებრძოლთა შემადგენლობა?

— გვყავს ერთი ასეული, რომელშიც გაერთიანებულია შვიდი ოცეული. თითოეული ოცეული გუშაგობს და იცავს თითო საგუშაგოს.

— შეიარაღება?!

— გვაქვს 137 ავტომატი, სამი ტყვიამფრქვევი, სამი გრანატმტყორცნი.

— ქვემეხი „არადუ" რატომ დუმს?

— მისი აწყობა ვერ მოხერხდა.

— რას იტყვით გაქცეულებზე?

— გაქცეულები ჩვიდმეტამდეა. თუ ხუთი დღის განმავლობაში არ დაბრუნდნენ, მაშინ სოფლიდან ამოვწერთ და შევაჩვენებთ იმ უსირცხვილოებს.

— რა პრეტენზიები გაგაჩნიათ ოჩამჩირის შტაბის მიმართ?

— პროდუქტით გვამარაგებენ, ფორმის ტანსაცმელს კი აო გვაძლევენ. ჩვენი ბიჭების უმეტეს ნაწილს დახეული რეზინის ჩექმები აცვია. ერთ-ერთმა შტაბისტმა გვითხრა, ფორმას ყიდვა უნდაო. არც ამაზე ვიტყვით უარს, თუ კი საერთოდ იყიდება ფორმის ტანსაცმელი. გვაკლია იარაღიც.

აქ საუბარი შევწყვიტეთ. ამის შემდეგ ისინი სადღაც გაემგზავრნენ.

საღამო ჟამს ფოთიდან ჩემი ქალიშვილები ქეთო და მანანა ჩამოვიდნენ. ქეთო ზვიადისტია. ამბობს, დღეს თუ ხვალ გამსახურდია ჩამოვაო. ასე მოწყმლა ზოგიერთები ექსპრეზიდენტმა.

18 იანვარი.

გუშინ აფხაზებმა ლაბრასთან შემოუტიეს ქართველებს. დიდი ზარალით უკუიქცნენ. შეუპოვრად ცდილობენ ოჩამჩირე-სოხუმიო მაგისტრალისაკენ გაჭრას. ვერა და ვერ ეგუებიან იმას, რომ ტამიშთან დაკარგეს პოზიციები. ამაოდ უტევენ ხან გუმისთასთან, ხან ფოქვეშში, ხან არადუში, ხანაც ცხენისწყალთან, კოჩარა

ისევ „ანექსირებულია“, კოჩარელები კი კვლავ „არხეინად“ გრძნობენ თავს საქართველოს სხვადასხვა რაიონში. აფხაზებმა კი კოჩარიდან იმდენი სურსათ-სანოვაგე და ღვინო-არაყი გაზიდეს, მთელი ზამთარი ეყოფათ სარჩოდ.

ამ დილით ასმეთაური ემზარი და ბონდო ეწვივნენ ბადრის, ისაუბრეს და ითათბირეს. შემდეგ წავიდნენ და ჯერაც არ ჩანან, ახალი ჩვენთან დღეს არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრანატმტყორცნების გაცვლას. დღეს ყური მოვკარი, თითქოს ზოგიერთი არადუელი ლაბრაში წასულა და მიტოვებული სახლებიდან ავეჯი გამოუტანია. თუ ეს მართალია, შევარცხვინე მათი ქართველობა. ისინი საკადრისად უნდა დაისაჯონ.

ქეთო ფოთს გაემგზავრა. მასთან ლტოლვილებად არიან ხათუნა და მანანას ბიჭები — გელა და სერგო. გელა მეხუთე კლასშია, სერგო — მეორეში. ისინი მერხეულიდან არიან. გელას ტატიანა ბებიამ გვარდიელის ფორმა გაუგზავნა. სად იშოვა? ტატიანას ოჩამჩირეში დაენახა გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი ორი პატარა ბიჭი, რომელთაც მხრებზე სათამაშო ავტომატები ჰქონდათ გადაკიდებული. ჩაიფიქრა, ჩემს შვილიშვილებსაც ვუშოვი ფორმასო. ერთ საღამოს ცეზარ ჯანელიძე გვესტუმრა, იგი სამორიგეოდ მიდიოდა და თან ამხანაგისათვის ფორმის ტანსაცმელი მიჰქონდა. ბადრისთან შემოიარა. ბადრი და ცეზარი ვახშამს შეექცეოდნენ. ტატიანამ ფორმა გაშალა, მიიზომა — ასე პატარა ფორმა ვისთვის გინდაო? — ჩაეკითხა ცეზარს, ამხანაგისთვისო. — უპასუხა ცეზარმა. მაგას ეს ფორმა პატარა ექნება, გელას უფრო მოერგებაო. ჩემს ყოფილ მასწავლებელს უარი როგორ ვუთხრაო! — ღიმილით თქვა ცეზარმა.

ასე უშოვა გელას გვარდიელის ფორმა ტატიანა ბებიამ. დღეს ფორმა ქეთომ წაუღო გელას ფოთში, ბადრიმ თქვა: გელა კი მოირგებს გვარდიელის ფორმას, მაგრამ სერგო-ბიჭს რა ვუყოთ, ტატიანა ბებიას მისთვის უფრო პატარა ფორმის შოვნა მოუწევსო.

დღეს სოხუმში გაიმართა აფხაზეთში მომუშავე ქართველ მწერლების შეკრება. მათი კავშირი გარდაიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციად. გადაწყვიტეს ბოლომდე იბრძოლონ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთიანობისათვის.

ბატონმა შევარდნაძემ დღეს თავის ყოველკვირეულ რადიო-მიმართვაში ხალხისადმი განმარტა, რომ აფხაზეთში ომის დამთავრებაზე ლაპარაკი უნაყოფოა მანამ, სანამ არ გაირკვევა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხი.

19 იანვარი.

არადუს ფრონტზე დღეს შედარებით სიმშვიდეა. მაზანკის მხრიდან დროდადრო ტყვიამფრქვევს ისვრიან ჩვენი მიმართულებით. ჩვენი საგუშაგოებიც მზად არიან პასუხის გასაცემად. დილის ათი საათისათვის უჩაძე უნდა მოსულიყო ოჩამჩირის შტაბიდან საგუშაგოების შესამოწმებლად. ჯერ არ ვიცი, მოვიდა, თუ არა. ბესლახუბაში ჩატარდა წარმატებული ოპერაცია. საქმე იმაშია, რომ ომის დასაწყისშივე აფხაზებმა მძევლად აიყვანეს ოცდაათზე მეტი ქართველი, ბესლახუბაში ცხოვრობდნენ როგორც აფხაზი, ისე ქართველი მოსახლეობა, ისინი მათ შეურაცხყოფდნენ, მონებივით ამუშავებდნენ იარაღის მუქარით. და, აი, დღეს უმტკივნეულოდ გაათავისუფლეს ეს ქართველები ჩვენმა მეომრებმა, ამასთანავე აიფეთქეს სამი სახლი, სადაც თავს აფარებდნენ აფხაზი „ბოევიკები“; მოკლულია ექვსი, ჩვენგან დაიჭრა ერთი ჯარისკაცი.

გუმისთის მიდამოებში დღეს ქართველთა პოზიციებზე პროვოკაციულად ფრენდა რუსეთის სამოქალაქო ვერტმფრენი. იგი ჩვენებმა გააფრთხილეს, რომ თუ ფრენას გააგრძელებდა, ჩამოაგდებდნენ. ბოლოს და ბოლოს პროვოკატორი აიძულეს, დაშვებულიყო სოხუმის აეროპორტში. თუ ჩვენები ამ ვერტმფრენს ჩამოაგდებდნენ, მაშინ აფხაზები და მათი თანამდგომი რუსები ატეხდნენ პროვოკაციულ ყვირილს, სამოქალაქო ვერტმფრენი ჩამოაგდესო, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ბატონი თამაზ ნადარეიშვილი და მისი თანამოძმენი დაბეჯითებით მოუწოდებენ აფხაზეთიდან გადახვეწილ საომრად ვარგის ადამიანებს — თვრამეტიდან ორმოცდაათ წლამდე დაუყოვნებლივ ჩაეწერონ იმ პოლკში, რომელიც კომპლექტდება სოხუმში გასამგზავრებლად. მათ დაურიგდებათ ფორმის ტანსაცმელი, იარაღი, მიეცემათ ათიდან თხუთმეტ ათასამდე მანეთი ხელფასი თვეში და სათანადო წვრთნის გავლის შემდეგ დაიგზავნებიან იქ, სადაც მათი ადგილია.

დღეს ბატონი შევარდნაძე ირანს გაემგზავრა. გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან დიდი იმედი გამოთქვა ამ ვიზიტის გამო.

ხვალ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება იწყება თბილისში, პასტუხოვი რუსეთის შუამავლობას კისრულობს აფხაზეთის ომში, არის კი სანდომისი შუამავლობა?

დღეს მერკულის გორიდან გამოსროლილმა ტყვიამ კიდევ ერთი თანასოფლელი ჩაკვეტაძე იმსხვერპლა. იგი დილაადრიან ეზოში გასულიყო სამუშაოდ.

საღამო ხანს ბადრი და კომენდანტი ბორისი შემოვიდნენ. ვახშამს მიუსხდნენ, თქვეს, რომ ოჩამჩირის კომენდატურიდან საგუშაგოების შესამოწმებლად მოსულან. აქებდნენ ერთ ახალ მაიორს, რომელმაც დაწვრილებით შეამოწმა თურმე საგუშაგოები და ურჩიათ ორი საგუშაგოს განსაკუთრებით გამაგრება. ეს საგუშაგოები „სოლის“ თავის ორივე მხარეზეა. სწორი რჩევაა, ჭკვიანი კაცი ყოფილა.

ბადრი და ბორისი ბახვამ თავისთან გადაიპატიჟა, დღეს ნათლიღების დღეა და მოხარშული ღორის თავით გაგიმასპინძლდებითო.

ნახევარი საათის შემდეგ ნაღმსატყორცნების ბათქებმა გააყრუეს სოფელი, სროლა კარგა ხანს გრძელდებოდა. არადუს ჰოხალისე ბატალიონი თავის ადგილზეა და მტერს საკადრისი პასუხი გასცა.

გუშინ თუ გუშინწინ ვწერდი, შექმნილიყო ბატალიონი „კოჩარა“ და დღეს გავიგე, რომ ასეთი ბატალიონი უკვე ყალიბდება ოჩამჩირეში. მოუწოდებენ, ყველა გაქცეული დაუბრუნდეს თავიანთ სახლ-კარს და ჩაეწეროს ამ ბატალიონში. სასიხარულო ამბავია. აქეთ იქმნება ბატალიონი „კოჩარა“, იქით — პოლკი „გაგრა“, ბოლოსდაბოლოს მტერმა უნდა იგრძნოს, რომ ამოძრავდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველობა...

დღეს საინფორმაციო საშუალებებმა გადასცა ცნობა ბრძინბა სიკვდილის შესახებ. რამდენად მართალია ეს ცნობა, ხვალისთვის მაინც იქნება დაზუსტებული.

20 იანვარი.

ბევრი ეჭვს გამოთქვამს ამ ამბის სიმართლის შესახებ. შეიძლება ეს არძინბას მორიგი პროვოკაცია იყოს.

როგორც სოხუმის სამხედრო პრესცენტრის წარმომადგენელმა პიკის საათისათვის ინფორმაციაში გადასცა, დღეს თერთმეტი საათისათვის გულრიფშის რაიონის მაღალმთიან სოფელ საკენში შემოფრინდა რუსეთის ვერტმფრენი „მი-8“, რომელსაც ტექნიკური მიზეზების გამო მოუხდა იძულებითი დაჯდომა საკენში. ვერტმფრენის ეკიპაჟმა დახმარება ითხოვა, სოხუმიდან გაუშვებს სამხედრო ვერტმფრენი, რომელმაც ეკიპაჟი სოხუმში გადმოიყვანა. ვერტმფრენის ბორტზე აღმოჩნდა აფხაზეთის ყოფილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა და სხვა აფხაზები. ლაბახუამ განაცხადა, რომ სამი დღის წინათ თვითონ იყო არძინბასთან მოსკოვში და ჯანმრთელი დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ საკენში შემოფრინდა რუსეთის მეორე ვერტმფრენი, რომელსაც იქ დაჯდომა უნდოდა, მაგრამ ამის ნება არ მისცეს და სოხუმის აეროპორტში დასვეს. აფხაზეთის პროკურატურა იძიებს ვითარებას...

არადუს მდინარისპირა საგუშაგოებზე კვლავ წამოიწყეს შეტევა აფხაზებმა. საპასუხო ცეცხლით ისინი მალე უკუაქციეს. ჩვენი მხრიდან დაიჭრა ერთი მებრძოლი, ოცმეთაური ვალერი ბენდელიანი და მერვე კლასის მოსწავლე მანუჩარ მუშკუდიანი. ისინი ქუთაისის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ოჯახში აფხაზი გენა ინაბაშვა გვეწვია. ქართველი ცოლი ჰყავს. ქართველების სიძეობა არ უშველიდა მხედრიონელებს რომ ჩავარდნოდა ხელში. ეს ერთ-ერთი იმ ოჯახთაგანია, ხუთი კომლიდან არადუში რომ ცხოვრობდნენ.

როცა ამ არარსებულ სოფელში (მაშინ აქ გაუვალი ტყე იყო) ქართველები ჩამოასახლეს ლეჩხუმიდან. რაჟდენ ახვლედიანს მდინარეში დაეხრჩო უფროსი ვაჟი. რაჟდენს კიდევ სამი ვაჟი ჰყავდა — იაშა, ლუდუკი და ზურიკო (ისინი ახლა ცალ-ცალკე ცხოვრობენ ოჯახებით). რაჟდენმა გამოკლებული მეოთხე ვაჟის მაგიერ შვილად აიყვანა აფხაზი ვანო (ინაბაშვა). ეს ბიჭი რაჟდენთან და მის შვილებთან იზრდებოდა, შემდეგ კი დაცოლშვილდა და ცალკე დასახლდა. მაგრამ მამაშვილობა და ძმობა მათ შორის არ გაწყვეტილა. ვანო გარდაიცვალა, მას დარჩა შვილები, მათ

შორის — უფროსი გენა, დღეს რომ გვესტუმრა, შუახნის კაცია. გენასა და ჩვენთან მცხოვრებ სხვა აფხაზებს დიდი დახმარება გაუწია ბადრიმ და მისმა ამხანაგებმა. ისინი ხელშეუხებლები იყვნენ.

გენამ და ბადრიმ ცალკე ისაუბრეს. წასვლისას გენა დავიმარტოხელე, რათა გამეგო მისი და მისი მეზობელი აფხაზების აზრი დღევანდელი ამბების შეფასებაში.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რა აზრისაა არძინბას სიკვდილის შესახებ, მან ორაზროვნად მიპასუხა: თუ მისი სიკვდილი საქმეს უშველის აქამდე რომ მომკვდარიყო, უკეთესი იქნებოდაო. ეს მე ასე გავიგე: თუ ერთი არძინბა მოკვდება, მეორე არძინბა გამოჩნდებაო.

შემდეგ, აი, რა თქვა მან:

არძინბას ბევრ რამეში ვემხრობი, თუნდაც ეკონომიკურ პოლიტიკაში. ჩვენ გვინდა გადასახადი გადავიხადოთ მხოლოდ ერთხელ და არა სამჯერ. ვის მიაქვს ეს გადასახადები? თბილისს. რაც შეეხება აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას, — ხელები გაცხადებისავა, — ეს გამორიცხულიაო. ქვეშეცნეულად გენას თვალებში გამომცდელად ჩავხედე და იქ ამოვიკითხე — ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ყველაფერი გასაგები იყო, გენაც არძინბას მოწამლული იყო.

21 იანვარი.

ათი ათასი ტონა მანდარინი მაინც იზარალა წელს მარტო ოჩამჩირის რაიონმა. რამდენი რამის ყიდვა შეიძლებოდა ამით მარტო ბარტერული გაცვლით, მაგრამ პატრონი არა და არ გამოჩნდა.

ჩვენს სოფელში მოკრეფილი ნაყოფი დაყრილია სახლების აივანზე და ოთახებში. ნახევრად დამპალი და ყინვისაგან დამზრალი. ერთი თვეა ბადრი მპირდება, თქვენ მხოლოდ მოკრიფეთ და მე ჩავაბარებო. ვიწვალეთ, გავისარჯეთ, მაგრამ ხან შუქის უქონლობამ შეუშალა ხელი, ხან დიეზრსიულმა აფეთქებებმა, უფრო მეტად კი ტრანსპორტის საწვავის უქონლობამ. დღეს, როგორც იქნა, ბადრიმ ბონდო „გამოიჭირა“ (ბონდოს თავისი მანდარინიც ჰქონდა ჩასაბარებელი), ბიჭები მოიხმარა და ნახევრად დამპალი მანდარინი თვითმცლელში ჩავტვირთეთ. წაიღეს, თუმცა, მიიღებენ თუ არა, ბევრად არ ვიდარდებ, რადგან ამ თითქმის დამპალი ნაყოფის

გროვის ცქერამ ნევროზი გაგვიჩინა ოჯახში. ასე მოვიცილეთ ჩვენი ნაშრომ-ნაამაგარი მოსავალი. თუმცა, ჰიშკრისკენ მალიმალ ვიხედები, უკან არ მომიბრუნონ უვარგისი ციტრუსი.

იქმნება საერთო შთაბეჭდილება, რომ მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა თავს ვერ ართმევს აფხაზეთის ამბებს, ანდა რაღაცას ელოდებიან. ამ ცდაში რაც მოგვივიდა, ცნობილია. საქართველოს პარლამენტს აფხაზეთის შესახებ ჯერჯერობით არავითარი კანონი არ მიუღია. რამდენი არ ილაპარაკეს, რამდენი არ იდავეს, რა არ თქვეს, ბოლოს კი არაფერი არ გაკეთებულა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. აფხაზი დეპუტატები მეტად აღელვებულნი გამოდიან პარლამენტში. ბატონმა ვენო კალანდიამ ციფრიც კი მოიყვანა, რვაასი ქართველი აფხაზებს მძევლად ჰყავს აყვანილიო. მე მეტი მგონია, ორჯერ თუ სამჯერ რვაასი მარტო კოჩარიდან იქნება, რადგანაც კოჩარა მათ ხელშია და იქ ხუთი ათასამდე მცხოვრებია. ახალი ბატალიონების შექმნა ყოვნდება.

მდინარე გუმისთაზე ლამის დემარკაციის ხაზი დაფიქსირდება. არსებობს თუ არა საქართველოს იურისდიქცია ტყვარჩელზე, ოჩამჩირეზე, გალზე, ზუგდიდზე, ჩხოროწყუზე, წალენჯიხაზე, ცხინვალზე, ჯავაზე? მიიღო კი რაიმე კანონი პარლამენტმა ამის თაობაზე? არა, არ მიუღია!

გია ყარყარაშვილი თავის მებრძოლებით ოჩამჩირეში ჩამოვიდა, მაგრამ აგერ თვეზე მეტი გავიდა და ერთ ადგილს ტკეპნის.

წუხელ სოფელ კუტოლში აფხაზებმა მძევლად აყვანილი ასი ქართველი გამოგზავნეს პოზიციებისაკენ და დააბარეს, თუ ქართველები აფხაზების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებას წამოიწყებენ, მაშინ აფხაზები მთელ კუტოლს ამოჟლეტენო.

22 იანვარი.

მდგომარეობა ოჩამჩირეში უკიდურესად გამწვავდა.

დღეისათვის მტერმა სოფელ კუტოლთან თავი მოუყარა არა ასს, არამედ რვაასამდე ქართველ მძევალს და წამოაყენა თავხედური მოთხოვნები. მათ სოხუმში გაუშვეს ცხრა ქართველი, თან დააბარეს, თუ 21 იანვრიდან ქართველობა არამარტო კუტოლის მიმართულებით, არამედ მთლიანად ოჩამჩირის სხვა ფრონტებზე წამოიწყებს სროლას და შეტევას, ყოველი ერთი მოკლული აფხაზი-

სათვის (ან დაჭირავებულისათვის) დახოცავენ ათ მძევალს. ამ აქციაში თურმე ძალიან აქტიურობდა ერთი კონფედერმაიორი (ვინშე კალმიკი). ესეც ახალი თავისამტვრევი ვაუჩნდა ჩვენს სარდლობას. ჯერ კიდევ ვერ გავიგე, რომელ სარდლობასთან გვაქვს საქმე. აქ მგონი, დილეტანტიზმი უფრო ჭარბობს, ვიდრე პროფესიონალიზმი. მოძალებულია ცრუ წოდებები. სოკოებივით მრავლდება პოლკოვნიკები და გენერლები და ვერც კი ვხედავთ ერთ წესიერად ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას. თუ გინდათ სიმართლე ვთქვა, ნამდვილი სამხედრო ოპერაციები არადუელებმა ჩაატარეს ყოველგვარი პოლკოვნიკებისა და გენერლების გარეშე.

პარლამენტში პარტიათა ფრაქციები დაჟინებით მოითხოვენ, სამხედროებმა და იმათ, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ აფხაზეთში ჩავარდნებზე, პასუხი გასცენ მომხდარის შესახებ, მაგრამ ვერა და ვერ მოხერხდა ამ საკითხის მოგვარება. ისევ დროის გაყვანის ტაქტიკა, თავისმომაბეზრებელი ფუჭი ლაყბობა და მეტი არაფერი. ამით სარგებლობს გაუკუღმართებული ქართველობა და როგორი ტიპის მარადიორობა გინდა რომ არ მომძლავრებულიყოს. კასპის ბატალიონმა ლაბრა დაიკავა. მას უკან მოჰყვებოდნენ საბრძოლველად კი არა, უფრო საშოვარზე წამოსული ახალგაზრდობა და ძველგაზრდობა და ეს სოფელი პირწმინდად გაძარცვეს. გული მეტკინა, როცა მხედრიონელებმა ჩვენი მოსაზღვრე აფხაზური სოფლის, მოქვის ოცამდე სახლი გადაბუგეს, მანქანები ნაძარცვით გამოტენეს და სოფელი მოქვი არადუს გადაჰყიდეს მტრად.

ამ სტრიქონების წერისას, პიკის საათის გადაცემაში მოვისმინე ბატონ თამაზ ნადარეიშვილის პასუხები დღევანდელ ვითარებაზე აფხაზეთში. ნადარეიშვილმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ კუტოლთან და მიმდებარე სოფლებიდან აფხაზებმა მძევლად აიყვანეს რვაასი ქართველი. მაგრამ ნადარეიშვილმა პირობა დადო, რომ არც ერთ ქართველს თმის ღერიც კი არ ჩამოუვარდება. ამ აქციას მეთაურობს ვიღაც დაჭირავებული მაიორი, ეროვნებით კალმიკი. ბატონმა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ მასთან იყვნენ ქართული სოფლების წარმომადგენლები ოჩამჩირიდან. ასევე აღშფოთებულია სოხუმელი და ოჩამჩირელი ქართველები. ისინი მოითხოვენ ადექვატური ღონისძიებების გატარებას იმ აფხაზების მიმართ, რომლებიც ქართველების კონტროლქვეშ არიან. შესაძ-

ლებელია, სწორედ ასეთი პროვოკაციის მოწყობა აინტერესებთ მათ.

ნადარეიშვილმა ისაუბრა აგრეთვე ლაბახუას შესახებ, რომელიც ტყვედ იქნა აყვანილი ვერტმფრენში. ლაბახუა, მისი თქმით, კრასნოდარიდან მიფრინავდა ტყვარჩელში, თითქოსდა, ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად. მან თავი, „მოიმკვდარუნა“, თითქოს არაფერი არ აკავშირებდა სამხედრო მოქმედებებთან და მარტო ეკონომიკურ საქმეებს ხელმძღვანელობდა. ნადარეიშვილი კი ამტკიცებს, რომ ლაბახუა არის არძინბას ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი. სატელევიზიო ინტერვიუში ბატონმა ნადარეიშვილმა განმარტა, რომ გუდაუთაში ოპოზიცია არსებობდა. ეს ამბავი ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, სწორედ ამ ოპოზიციასთან მოხდა კონფლიქტი. ოპოზიციონერებმა დაჭრეს არძინბას რამდენიმე ახლობელი, თვითონ არძინბა დაიჭრა თავში და იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს მოსკოვში. არძინბას ამბავი რომ ვიცი, განაცხადა ნადარეიშვილმა, მეორე დღესვე გამოვიდოდა და განაცხადებდა, ეს ამბავი მომიგონესო. აგერ მეხუთე დღეა, მასზე არაფერი ისმის. არც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან რამეს.

აფხაზებმა შეხვედრა ითხოვეს ქართველთა მხარესთან. ქართველობა დათანხმდა. შეხვედრის თარიღს ალბათ დაადგენენ. ვნახოთ, რა პაკეტს წამოიღებენ აფხაზები გუდაუთიდან. ბოლოს და ბოლოს, იქნებ მოაგონდეთ, რომ ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული.

დღეს არადუში განაწილდა სხვადასხვა სამხედრო ტანსაცმელი: ჩექმა — 50. თბილი ქუდი — 100, დაბამბული ტანსაცმელი — 80, შინელი — 60 ცალი, საცვლები — 120 წყვილი, ზურგჩანთა — 40 ცალი. კომენდანტ ბორისს ვკითხე, ტყვია-წამლის საქმე როგორ იქნება-მეთქი? ჯერჯერობით კარგადააო. „ჯერჯერობით“ თუ რას ნიშნავდა, ვერ გავიგე.

ამ დროს ტრაქტორი „ხარკოვი“ მოგუგუნდა და გვარიანი გრძელი და მსხვილლულიანი ქვემეხიც შემოაგორა. „გენერალი“ ცერცვაძეც თან უჯდა ქვემეხს. ასე შეარქვეს არადუელ მურთაზ ცერცვაძეს თანატოლებმა და მებრძოლებმა. მურთაზი ომის დაწყებიდანვე ჩაება ბრძოლაში თავისი ქვემეხით და ერთგულად ემსახურება მას დღემდე. ეს კია, მერკულის გორაზე რომ ერთი დადიანის კოშკივით წამოსკუპული სახლია, სამი თვეა უმიზნებს მას

თავის ქვეშეხს, ორასამდე ჭურვი მაინც ექნება გატყორცნილი, ის ჭურვები ზოგი მდინარე მოქვში ეცემა, ზოგი ჯალში და ზოგიც არადუში. ამიტომ მურთაზს „გენერლის“ წოდება მიანიჭეს და იგიც ამ სიტყვის გაგონებაზე ხშირად ჩამოისვამს ხოლმე ხელს ხან შავ წვერზე და უფრო შავ ულვაშებზე. ზოგს ცარიელ ყუთებს ჰპირდება და ზოგსაც კიდევ გასროლას მერკულის მიმართულებით...

დღეს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება დაიწყო. ეროვნულ მოძრაობათა ლიდერები კვლავ აქტიურობენ რუსეთთან ურთიერთობის განსაზღვრის საქმეში.

23 იანვარი.

არძინბამ, რბილად რომ ვთქვათ, თავი „მოაბეზრა“ ადამიანებს თავისი არარსებული „სახელმწიფო აბხაზიას“ არსებობის შესახებ. მის მიერ გაჩაღებულმა კონფლიქტმა აფხაზეთში მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დასაღუპავად გასწირა აფხაზი ხალხიც. მთელი ღამის განმავლობაში რადიომიმღებს ვუკირკიტებდი, იქნებ რუსული, ან საზღვარგარეთის გადაცემებიდან შემეტყო რაიმე. და, აი, შემთხვევით დავიჭირე რადიო „სვობოდას“ გადაცემა.

არძინბა რადიოს კორესპონდენტს მოსკოვში ინტერვიუს აძლევდა. მისი ხმა მაშინვე ვიცანი, ლაპარაკობდა ჩვეული ემოციებით, თავის თავში ფანატიკური დარწმუნებით, ლაპარაკობდა, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო და იგი ანექსირებულია ქართული ჯარის მიერ; დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო საბჭოს (?!) ჯარმა უნდა დატოვოს აფხაზეთი და დარჩეს მხოლოდ რუსის ჯარი, რომელიც დაიცავს მშვიდობას. შეკითხვაზე, რატომ იმალება იგი მოსკოვში და რატომ არ არის გუდაუთაში, უპასუხა, რომ იგი მოსკოვში ერთ-ერთი ლტოლვილთაგანია აფხაზეთიდან და ჰუმანიტარული დახმარების საკითხებს აგვარებს. ამასობაში შუქი გამორთეს და ბოლომდე ვეღარ მოვისმინე მისი მონაჩმახი.

გუშინ მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის წინ თავი მოიყარა ორმოცამდე აფხაზმა და პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ რუსეთის ორი ვერტმფრენი, რომელთაც თითქოს „ჰუმანიტარული“ ტვირთი მიჰქონდათ კრასნოდარიდან ტყვარჩელში, ქართველებმა აიძულეს დაესვათ სოხუმის აეროპორტში. რუსე-

ხიც განგებ პროვოცირებს სოჭში ჩამოტანილი ტვირთის გადატანის შეყოვნებას იმის გამო, რომ თითქოსდა ქართველი სამხედრო სარდლობა ნებას არ აძლევდეს ტრანსპორტირებაზე, ამის თაობაზე მიმართვა გააკეთა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვის ტრასა გადის არა ფრონტის ხაზზე გადაფრენით და პირდაპირ ტყვარჩელში, არამედ ვერტმფრენები თუ ხეითმფრინავები ზღვიდან შემოვლით უნდა შემოფრინდნენ სოხუმის აეროპორტში, რაზედაც ყველაფერზე ეცნობება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ. ნადარეიშვილს; ტვირთი შემოწმდება, გამოარკვევს, არის თუ არა იგი ნამდვილად ჰუმანიტარული, თუ ისეთი ტვირთია, როგორიც მიჰქონდა საკენწში დამჯდარ რუსეთის ვერტმფრენს — ზურაბ ლაბახუა და ძმანი მისნი, რომლებიც საჰაერო სივრცის დარღვევით ტყვარჩელში მიფრინავდნენ. თანაც ასეთი გამოხდომები ეწყობა იმ დღეებში, როცა თბილისში მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება ხელშეკრულების მოსამზადებლად. ამ მოლაპარაკებისათვის გუშინ თბილისს ჩამოვიდა პრეზიდენტ ელცინის საგანგებო დავალებათა ელჩი კოვალიოვი. დღეს მოლაპარაკება იწყება. კოვალიოვმა აეროდრომზე მოკლე ინტერვიუში განაცხადა, რომ მოლაპარაკება იწარმოებს სასაზღვრო, ეკონომიკურ და სხვა საკითხებზე.

ამდენი მოლაპარაკება და რაუნდები არც ერთ ისტორიულ მოლაპარაკებას არ ახსოვს.

საქართველოში ბევრი ბნელი ძალა მოქმედებს. იმ დროს, როცა მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო, დესანტთა ფორმაში გამოწყობილი ორმოცდაათამდე შეიარაღებული პირი თავს დაესხა რუსეთის სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფის საწყობს კახეთის გზატკეცილზე, მოკლეს ორი ჯარისკაცი და გაიტაცეს ავტომანქანები... ეს მოლაპარაკების ჩასაშლელად გამიზნული პროვოკაციაა.

24 იანვარი.

გამოაცხადეს, რომ ხვალიდან ერთი კილოგრამი პური ოჩამჩირეში 35 მანეთი გახდება. მანამდე ოჩამჩირეს პურის ფასზე შეღავათი ჰქონდა, როგორც საფრონტო ქალაქს, ამიტომ ამ პრო-

დუქტს აქ ყიდულობდნენ და სხვა რაიონებში ძვირად ყიდდნენ. რაც შეეხება არადუს, აქ უფასოდ შემოაქვთ ყოველგვარი პროდუქტი იმათთვის, ვინც დგას სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე. ნამდვილად ყველაფერს გვაძლევენ — პური, ბურღული, მაკარონი, ბრინჯი, სხვადასხვა კონსერვი; ცუდია მხოლოდ ის, რომ ვერ განმტკიცდა დისციპლინა, არ იგეგმება (ან ცუდად იგეგმება) სამხედრო ოპერაციები. ისევ ლოდინი, მაგრამ უსასრულო არც ლოდინი დაუწესებია უფალს...

საქართველოში სხვადასხვა ჯურის შინაური მტრები მოქმედებენ. დაგეგმილმა პროვოკაციამ, რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილზე თავდასხმამ თბილისში ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ამაზე მეტი მტერი შეიძლება? ეს იმ დროს ხდება, როცა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება დაიწყო. აშკარაა, სახელმწიფო მეთაურს ხელს უშლიან, არ ანებებენ მუშაობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნამეტან ლმობიერებას იჩენს ბატონი შევარდნაძე. ვფიქრობ, საომარ პირობებში ასეთი ლმობიერება ვერ მოიტანს კარგ შედეგს.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც ჩვენთან შეიკრიბა სამეული: ბადრი, ბახვა და ბორია. ამ სამი კაცის კისერზე გადადის ძირითადად სოფლის ჭირი და ლხინი და ბუნებრივია, ყოველ დილით აწყობენ გეგმებს, თუ რა გააკეთონ. თუმცა, მე რომ მკითხონ, დღის სამუშაო დაგეგმარება უნდა კეთდებოდეს არა დილით, არამედ წინა საღამოს. რა დასამალია და საღამოობით ხშირად სვამენ, მათ შორის ბადრიც. ბადრი, საერთოდ სტუმართმოყვარე ბიჭია და ოჯახიდან გაუმასპინძლებლად არავის გაუშვებს, მე კი მომბეზრდა ამდენი მოშინაურებული სტუმრები და ხანდახან იძულებული ვარ, მათაც შევახსენო, რომ ფრონტზე ვართ-მეთქი.

ასე იყო დღესაც. მინებჩამსხვრეული შავი „ვოლგით“ მოგვადგნენ. ერთს კაკოს ეძახიან, მეორეს — მირიანს, ღვინოს დაეწაფნენ, უფრო მეტად კაკო, როგორც იყო, გავისტუმრე. ისინი ცხენისწყალზე იბრძვიან. იქ დაიღუპა თვრამეტი ახალგაზრდა ცაგერადან და ვინ მოთვლის, რამდენი სხვა რაიონებიდან. ახლაც იქ ყოველდღიური ბრძოლებია, მაგრამ ერთი ნაბიჯიც კი ვერ წაიწიეს კოჩარაში შესასვლელად. ბიჭებს ვკითხე, რას ფიქრობდნენ სოჩარის აღებაზე. მათ თავი გადააქნიეს (მირიანი ხარაგაულელია,

კაკო — მგონი, თბილისელი). ჩვენ მანამ წინ წამსვლელი არა ვართ, სანამ მხარში არ ამოგვიდგებიან თვით კოჩარელებიო. კოჩარის ბატალიონი ხომ შეიქმნა-მეთქი. ირონიულად გაიღიმეს.

ასე ჩაიგდო კოჩარამ თავისი თავი საცოდავ მდგომარეობაში. დღეს რუბენ ჩაკვეტაძის გასვენებაა. იგი ამ ორიოდე დღის წინ მოკლა სნაიპერმა მერკულიდან. რას ერჩოდნენ უდანაშაულო მოზუც კაცს. წუხელ რაღაც ახალი იარაღით დაბომბეს სოხუმი. ღამით სინათლე ჩაქრა, ალბათ, ისევ „იმარჯვეს“ დივერსანტებმა.

25 იანვარი.

კარგად გათენებული არ იყო, როცა ძაღლებმა გნიასი ასტეხეს. შაღალი წნევა თავის წამოწევის საშუალებას არ მაძლევდა. ბადრის ღრმად ეძინა. მისი საწოლი კარებთან ახლოს დგას. მოულოდნელად კარი გაიღო და თავი შემოჰყო წვერმოშვებულმა, გვარდიის ფორმაში გამოწყობილმა, ბეჭებში ოდნავ მოხრილმა შუახნის შამაკაცმა. მისი თვალების უცნაური ელვარება და ტუჩების ხშირი ცმაცუნი მეტყველებდნენ, რომ ძლიერ შეწუხებული ჩანდა. „უჰ, ამას სძინავსო!...“ — ჩაილაპარაკა ბადრიზე და მე მომესალმა.

ბადრის კატის სიფხიზლე აქვს, რომ გგონია ღრმად სძინავსო, იმ წუთშივე შეგეპასუხება. ასე იყო ამჯერადაც. მოსული ვიცანით „გენერალი“ მურთაზ ცერცვაძე იყო. მურთაზმა ბადრის საწოლისაკენ სკამი მიიჩოჩა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ბადრი წამოდგა. „ბიჭო, იარაღი დამეკარგა, მომპარეს... დამეხმარე, ეგებ მპოვნინოო!“.

ეს ამბავი ასე მომხდარა: მურთაზი ომის დაწყებიდან 30 ზარბაზანს უშენდა მერკულის გორას. იმ ზარბაზნის შემადგენლობა სადღაც გადაიყვანეს და მურთაზი ქვეითებში ჩარიცხეს. არტილერიას ჩამოშორებულ მურთაზს ოცეულის მეთაურობა უბოძეს. მის ოცეულში სხვადასხვა ჯურის ხალხი მოხვდა ქუთაისიდან, თბილისიდან და სხვა რაიონებიდან. არადუდან მხოლოდ მურთაზი იყო. მურთაზმა თავის ახალ მებრძოლებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო.

დილის შვიდ საათზე მისულან მის ბინაში, გააღვიძეს და გარეთ გაიხმეს, სახლის კიბესთან რაღაც საუბარი გაუმართეს. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ბინაში შევიდნენ და მურთაზს საწოლზე

ავტომატი აღარ დაუხვდა, იქით ეცა, აქეთ ეცა, მაგრამ იარაღი მიწამ ჩაყლაპა. მას წაუყენეს იარაღის დაკარგვის ბრალდება. ოცმეთაურისთვის ეს მძიმე ბრალდებაა. ამას სხვა ბრალდებებიც მიუმატეს და ჩვენი საბრალო „გენერალი“ საველე სასამართლოს გადასცეს.

ბადრიმ ბოლომდე მოუსმინა, რაღაცეები გამოჰკითხა და თან გაჰყვა. მურთაზ ცერცვაძისაგან გავიგე, რომ მერკულაში აფხაზებს სკოლა და სხვა შენობები დაუკავებიათ და ჩვენები ალაშარის დასახლების თავში გაურეკავთ. ვაი, სირცხვილო, ვერაფრით ვერ მოხდა მერკულის აღება. ეს კი დიდ საფრთხეს გვიქმნის, რომ ვაკვირდები, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენი სამხედრო წარუმატებლობა მომდინარეობს უპასუხისმგებლობიდან, უდისციპლინობიდან, თვითნებობიდან და უთავბოლობიდან. აბა, ამდენი იარაღი გქონდეს, ამდენი ტანკი, ქვემეხი და ვერას აწყობდე მხოლოდ ავტომატებით და გრანატებით შეიარაღებულ ხალხთან, ვის ჭაუგონია? როდის დამთავრდება ეს ზოზინი და უთავბოლობა?!

პიკის საათს დავუდარაჯდი, ორშაბათია და სახელმწიფოს მეთაური ტრადიციულად აძლევს ყოველკვირეულ რადიოინტერვიუს. მან ილაპარაკა ირანში ვიზიტის ზოგიერთ შედეგებზე და განმარტა, რომ ამ ვიზიტს აქვს არა მარტო ორმხრივი, არამედ რეგიონალური და კიდევ მეტი მნიშვნელობა. ასე რომ, ეს კაცი ძალიან წინ იხედება, მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტები საკმაოდ ჰყავს, ამავე ინტერვიუში თქვა, რომ აფხაზეთის ომი დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, ეს არ სჭირდება არც აფხაზებს და არც ქართველებსო.

ხაზი გაუსვა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მოლაპარაკებას ხელს ვერაფერი შეუშლისო.

რაც ბატონმა შევარდნაძემ თქვა და ის, რაც მას ადრეც უთქვამს, ყოველთვის იყო და არის დამაიმედებელი, მაგრამ როცა საკუთარი თვალით უყურებ უშუალოდ ფრონტზე მოვლენათა მიმდინარეობას, ვერ ვთავსდები ამ იმედის ფარგლებში. პრაქტიკულად სამხედრო მოქმედებები დილეტანტურია. უფრო ომობანას წააგავს ჩვენის მხრივ, ვიდრე ომს, ისინი კი ნამდვილად ომობენ, ფანატიკურად ომობენ. თუ მაროლა კიდევ დიდხანს გაჭიანურდა ეს ომი, კიდევ უფრო მომრავლდება ძარცვა და მარადიორობა,

კიდევ მეტი გვეყოლება ცერცვაძის მსგავსი გენერლები და მათი ქვეშევრდომნი.

ნელა ყალიბდება ბატალიონი „კოჩარა“, სოფელი კოჩარა კი ხამდვილ პატრონებს ელოდება. ხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში „ნებივრობენ“ ლტოლვილობას ატმასნებული გაზულუქებული ახალგაზრდები; თუმცა არიან ისეთი ყოჩაღი ჭაბუკები, რომლებსაც მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის ჟინი არ ასვენებთ და არ აძლევთ მორალურ უფლებას, ფეხი მოიცვალონ მშობლიური კუთხიდან.

დღეს ერთ ასეთ არადუელ ბიჭზე მინდა მოგითხროთ, არდალიანზე, ნამდვილი სახელი არ ვიცი, მეტსახელად კი „ტასკოიას“ ეძახიან. ჰოდა, ის ტასკოია არსადაც არ წასულა, სანჩოსავით კი არ იმალებოდა. თუმცა ახლა რუსლანიც ჩაება ბრძოლაში, ეს მაშინ მოხდა, როცა აფხაზებმა და მათ მიერ დაქირავებულებმა გენერალური შეტევა წამოიწყეს 30 ნოემბერს არადუს ხელში ჩასაგდებად. „ტასკოია“ არადუს ძალის მონაკვეთზე ცხოვრობს, მდინარე მოქვის გამოლმა. ამ მდინარის კალაპოტის გაყოლებით მარჯვენა მხარეს სოფელ არადუს დასახლებაა, მარცხნივ კი სიმინდის ყანებია, რომელსაც თავს ადგას მერკულის გორა. მდინარის მთელი მარცხენა მხარე მერკულადაა წოდებული. თავდასხმა ამ სიმინდის ჭალებიდან განხორციელდა. მოწინააღმდეგე ცდილობდა მდინარის გადმოლახვას და დასახლებაში შემოჭრას, თან გაიძახოდნენ: „დაგვნებდითო!“ მაგრამ არადუელები დანებებას არ აპირებდნენ. მაშინ სოფელს სულ რაღაც ოცდაათამდე ავტომატი ჰქონდა და „ტასკოიას“ ვინ მისცემდა იარაღს. მას 15 წელიც არ შესრულებია ჯერაც. მაშინ მან რაღაც ორიგინალური იარაღი გააკეთა. რკინის მილის გადანაჭერი მონახა. მილი ფოლადისა იყო და მასზე ქვის დარტყმით თოფის გასროლის ხმას გამოსცემდა. ტასკოია თავისი „იარაღით“ სასწრაფოდ გახხდა მდინარის იმ ადგილას, საიდანაც მოსალოდნელი იყო შემოტევა და პოზიცია დაიკავა. რაც ირგვლივ სროლის ხმა მიწყნარდა, რამდენიმე კაცმა მოწინააღმდეგეს მხრიდან სცადა „ტასკოიას“ „პოზიციის“ გადმოლახვა, მაგრამ ბიჭი როდი შეშინდა, ორივე ხელი აამუშავა და ავტომატის ჯერს მიჰგვანებული რაკარუკი „გასტყორცნა“ თავისი რკინის ნაჭრიდან. ერთი გენახათ, როგორ დაფრთხნენ გადამთიელები. ძმასობაში ფლანგებიდან ნამდვილი ავტომატების

ჯერიც წააშველეს და ამ უბანზე შეტევა მოგერიებული იქნა. არაღუს მაღლობზე მტერს ურტყამდა ტყეიამფრქვევი და ორი ქვემეხი. ის დღე ნამდვილად აღსანიშნავი დღე იყო ამ ომის ისტორიაში, თუ სადმე სამართალია, პატარა ბიჭის „ტასკოიას“ გმირობაც არ უნდა დაიკარგოს.

გარდა ამისა, „ტასკოია“ ჩინებული მზვერავი გამოდგა, მოგეხსენებათ, მტერი მარტო გარეთ კი არა, შიგნიდანაც საკმაოდაა სოფელში გამყიდველები თუ გადამყიდველები, მოღალატენი თუ ლაჩარ-მარადიორები, რომლებიც „ტასკოიას“ „აღრიცხვაზე“ ჰყავს აყვანილი. არეულობით ზოგ-ზოგებმა დრო იხელთეს და საქონელი გარეკეს, დაკლეს და ხორცის გაყიდვით ხელის მოთბობა უნდოდათ, „ტასკოიას“ წყალობით სოფლის თავკაცებმა ყველაფერი დროულად შეიტყვეს და ხორცი საგუშაგოებს გადასცეს, სადაც ჩამოსული მებრძოლები იბრძოდნენ.

რამდენიმე დღეა, ჩემი უმცროსი ქალიშვილი მანანა ჩემთანაა. იგი თავისი ბავშვებით უფროს დასთან, ქეთინოსთანაა ფოთში. ოჩამჩირემდე ჩამოვიდა და სოხუმისკენ გზა ვერ გააგრძელა. რკინიგზის ხიდი ააფეთქეს ტამიშში, ხოლო საავტომობილო ტრასაზე მგზავრობა ძლიერ საშიშია. ჩვენც არ ვაჩქარებთ მის გამგზავრებას. ისიც დატრიალდა, სისუფთავე, წესრიგი დაგვიმყარა და კარგი ნაზუქებიც გამოგვიცხო. პროფესიით კულინარია და წაირ-ნაირ საჭმელს გვიმზადებს. თვითონ ცუდი მჭამელია და თანაც ჯავრიანი, ამ უაზრო ომმა ყველა დაგვფანტა, დაგვაბნია და დაგვადარდიანა.

26 იანვარი.

წუხელ აფხაზებმა ისევ შემოუტიეს (თუ ამას შემოტევა ჰქვია) ორადუს მაზანვისა და მოქვის მხრიდან. ნაღმტყორცნის ჭურვი დიანოზა უგულავას ეზოში გასკდა. საცოდავი ძველი ნაომარი მოხუცი კაცი დიანოზა, რომელმაც ცალი ფეხი ომის დროს სტავროპოლში დასტოვა, ახლა ლოგინზეა მიჯაჭვული. მას ასეთი სიურპრიზი მოუწყვეს. ნაღმის ხმამ კინაღამ მისი სახლი ჩამოანგრია თავზე დიანოზას, ოთარასა და სხვა მეზობლებს. ნაღმებს ტყვიეზის წვიმა მოაყოლეს. ახალი დაღამებული იყო და ზოგ-ზოგები პანიკამ მოიცვა. გაგულისებულმა ჩვენმა გულადმა ბიჭებმა, სრო-

ლა ასე უნდაო და ერთიმეორის მიყოლებით ჯერ ნაღმების ზალპები გაუშვეს მოწინააღმდეგე მხარეს, შემდეგ კი ტყვიამფრქვევისა და ავტომატების ჯერი დააყარეს და პარტიზანები (თუ იმათ პარტიზანები ჰქვიათ) მიაჩუმეს...

ახალგაზრდათა ფსიქოლოგიაში დღითიდღე რაღაც იცვლება — გამოჩნდნენ ახალი გმირები, წინ წამოიწია ახლებმა, ძველებიც ბოლომდე მიჰყვებიან ვითარებას, თუმცა მათმა გარკვეულმა ნაწილმა რაღაც დაღლის, თუ მოშლის ფაქტორი განიცადა. ასე არიან დიანოზას ბიჭებიც. ერთ ადგილას მე ვწერდი, რომ კაცს შეშურდება-მეთქი მათი ქცევა, ისე კოხტად დადიოდნენ იარაღასხმულნი; შემდეგ, ჯერ უფროსმა უგანა, მერე უმცროსმა, თუმცა უმცროსი უფრო დინჯი ბიჭია და დამჯერე. არიან ისეთებიც, რომელნიც როგორ გადაიხვეწონ არადუდან, იმას ცდილობენ, გენერალმა ცერცვაძემ დაკარგული იარაღი ჯერ კიდევ ვერ იპოვა და ისევ ბადრის ეხვეწებოდა, მაპოვნინეო: ოჰ, „გენერალო“ როგორ მებრალები, მაგრამ რა ვქნა?! ერთს მაინც გირჩევ, მერკულის მხრიდან რომ უშედეგოდ უტევ გადამთიელებს, აქეთ მაინც გადმოდი, არადუში, შენს თანასოფლელებთან და ნაცნობები და მეზობლები მაინც გეყოლება გვერდით, თორემ ქუთაისის ბატალიონში მარტო შენ რომ ჩარიცხულხარ, გიცნობენ კი ისინი? გადმოდი „გენერალო“, გადმოდი და ის გვარდიელებიც წამოიყვანე, რომლებიც არადუელები არიან და გაჭირვების ჟამს არადუს არაფერში ადგებიან. ხუმრობის გარეშე, არადუში ზოგიერთი ახალგაზრდა ლტოლვილობიდან დაბრუნდა. მათ გაუგიათ, რომ ლტოლვილებისაგან ბატალიონს ადგენენო და გაგრაში აგზავნიანო. მაშინ კი, იცოცხლე-თქვა, შინისაკენ მოკურცხლეს. სახლებში ნელნელა ბრუნდებიან ქალები და ბავშვებიც. დღეს თქვენ, თითქოს მთავრობას გამოეცხადებინოს, რომ ლტოლვილებად ჩაითვლებიან მხოლოდ ისინი, ვინც გაგრიდანაა, დანარჩენებს სახლ-კარი გაქვთ და შინ დაბრუნდითო. თუ ეს ასეა, მართლაც ასე უნდა იყოს, ნუთუ მთავრობამ აქამდე ვერ განსაზღვრა ლტოლვილის სტატუსი? თავისი სახლ-კარი კაცმა თვითონ უნდა დაიცვას. ეს ძირითადი ფორმულაა და იგი უნდა დაკანონდეს თუნდაც პარლამენტის მიერ. დაცვის საშუალებით კი მთავრობა უნდა მიეხმაროს და რაღაც ურთიერთვალდებულება უნდა არსებობდეს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. მე ისევ იმის მომხრე ვარ,

რომ თითოეულ სოფელს თუ დასახლებულ პუნქტს უნდა ჰყავდეს თავისი მუდმივი შესაფერისი სამხედრო ნაწილი, რომელსაც თვითონ დააფინანსებს და ეს ნაწილი უნდა არეგულირებდეს თავდაცვას და კრიმინალურ სიტუაციას ადგილზე, იგი პასუხს აგებდეს ადგილობრივ მმართველობასთან და თავდაცვის ორგანოებთან...

დღის მეორე ნახევარში მძაფრი ბრძოლები ეწარმოდიოდა ბესლახუბის ფრონტიდან, მას არ ჩამორჩებოდა ცხუნისწყლისა და ტამიშის მხარე. რამდენჯერ გვითქვამს, ზარბაზნების ქუხილი და ტყეიამფრქვევის კაკანი ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა. ტასკოის ვამოგონება ვიღაცამ სხვა საგუშაგოებზეც გადაიტანა. საჭიროა თუ არა, მაინც აბრახუნებს რკინის მილებს. ვაითუ მტერმა გაიგოს, რომ ეს ავტომატის ხმა კი არა, უბრალო რკინის ბრახუნია, თუმცა, შიშს დიდი თვალები აქვს და ზოგჯერ ტყეში თაგვის გაფაჩუნებაც კი მშიშარა კაცს დათვის ხმაურად მოეჩვენება. რაც არ უნდა იყოს, ტასკოია მაინც თავისი დროის გმირია,

საინფორმაციო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების გადატანა ვერტმფრენებით ტყვარჩელში. ფრენის განაწესს მკაცრად აკონტროლებს თავად ბატონი ნადარეიშვილი. საჭიროა, რომ დახმარება თანაბრად განაწილდეს ყველა ეროვნების ადამიანზე და ყველა საფრენი რეისი მკაცრად გაკონტროლდეს...

არადუელ მარადიორებს ულტიმატუმი წაუყენეს — სოფელ მოაშორონ ნივთები, რომლებიც ლაბრას დაცარიელებული სახლებიდან წამოიღეს ზოგიერთებმა და არასოდეს არ განმეორდეს ასეთი მომავალში. ერთი სიტყვით, არადუელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, იმოქმედოს ისე, რომ არადუ შეკიდეს საქართველოს ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი მებრძოლი წმინდა ადგილი საქართველოს ერთიანობისათვის, ხოლო მათი სახელები, ვინც განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ამ ბრძოლაში, ნახსენები იქნება ამ წიგნში.

საღამო ხანს პროგრამა „მაცნემ“ გადმოსცა ცნობები აფხაზეთიდან. აქედან ნიშანდობლივია შემდეგი: დღეს სოხუმის აეროპორტში დაჯდა რუსეთის სამი ვერტმფრენი, მათ ჰუმანიტარული დახმარება გადაჰქონდათ ტყვარჩელში. ვერტმფრენში იყვნენ გაეროს, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები. ტყვარჩელში ჩასვლისას, აფხაზებმა უცბად მოიძიეს ქართველებ-

და მათ წაუყენეს პრეტენზიები, რომ დახმარება უნდა განაწილებულიყო არა პროპორციულად, არამედ აფხაზების უპირატესობის დაცვით. შემდეგ წამოაყენეს უცნაური პირობები, თუ საქართველოდან ერთი კვირის განმავლობაში არ დააბრუნებენ უკან ამა წლის თვრამეტ იანვარს ტყვედ აყვანილ ზურაბ ლაბახუას, აფხაზ ჟურნალისტებს, და რუს მფრინავებს, უარს ამბობენ ყოველგვარი ჰუმანიტარული დახმარების მიღებაზე და არ გაანთავისუფლებენ ქართველებს. ამაზე პროტესტი გამოთქვეს რუსეთისა და გაეროს წარმომადგენლებმა და განაცხადეს, რომ ასეთ შემთხვევაში შეუერთდებიან მძევლებს. ამის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს ისე, რომ ჰუმანიტარული ტვირთი არ გადმოუტვირთავთ. ვერტმფრენები სოხუმის გავლით ისევ დაბრუნდნენ სოჭში. ასეთივე ინფორმაცია გადმოსცა დღეს საღამოს ცხრა საათზე რადიო „თავისუფლებამ“.

გუშინ აფხაზებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით შემოტევა სცადეს სოფელ ახალი კინდღის მიდამოებში. იგი მოგერიებული იქნა აფხაზთა ექვსი კაცის დანაკარგით. ჩვენგან დაიჭრა ექვსი.

თბილისში გრძელდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება. ცნობილი გახდა, რომ რიგი პოლიტიკური პარტიებისა წინააღმდეგია ასეთი ხელშეკრულების დადებისა. პარტიათა ასეთი თვალსაზრისი ბუნებრივია და საგანგაშო აქ არაფერია. მთავარია, მთავრობამ თავისი საქმე აკეთოს ისე, რომ საქართველო არ დაზარალდეს ამ ხელშეკრულებით. ჩვენ რეალურად უნდა შევხედოთ მოვლენებს. რეალობა კი ისეთია, რომ რუსეთი თუ რუსული ძალები ეძებენ მოკავშირეებს ჩრდილო კავკასიაში. ასეთ მოკავშირეებად მათ აფხაზური და ოსური სეპარატისტული ძალები მიაჩნიათ. ჩვენი საგარეო დიპლომატიური ძალისხმევა იქით უნდა იქნას მიმართული, რომ არ დავუშვათ რუსეთ-ოსეთ-აფხაზეთის ალიანსის შექმნა. პოლიტიკური საშუალებებით თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, ვფიქრობთ, არ შეეშლება ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს, ამიტომ უპრიანი იქნებოდა პოლიტიკური პარტიები არ გამოვიდნენ ემოციური პოზიციებიდან და მტრის ვერაგული ჩანაფიქრის ჩაშლას მოახმარონ ძალისხმევა.

ძალიან გაგვიჭირდა მანანას სახლში გამგზავრება, იგი მერხეულში ცხოვრობს, ბავშვები ფოთში ჰყავს. ამჯერად მერხეულშია წასასვლელი. ოჩამჩირე-სოხუმის მატარებელი ხან გადის, ხა-

ნაც — არა, ტამიშის ტრასა კი ჩვეულებრივ საშიშია. ბადრიმ მაინც გადაწყვიტა ჯამბულისთან ერთად წაეყვანა მანანა, მაყვალა და შისი და მერხეულში, თანაც სოხუმში მოყვარე ვანო და ნათელა მოენახულებინა. მე არ ვურჩიე მანქანით წასვლა, მაგრამ არ დამიჯერა, გზა გახსნილიაო. ავტომატს ხელი წავაოავლო, თან მითხრა, შენი ავტომატი მომეცი და ჩემი დაიტოვეო. მე ვიუარე. მას რვა მჭიდე ჰქონდა და ჩამოარიგა, მხოლოდ ერთიღა შერჩა, მე სამიოდე მჭიდე მაქვს. სხვანაირად რომ არ ეფიქრა, განვუმარტე, რომ შენს აქ არ ყოფნის დროს თუ აფხაზებმა შემოგვიტიეს, მე ეს მჭიდეები დამჭირდება, შენ კი ეპიზოდურ ბრძოლაში ეს ერთი მჭიდეც გეყოფა-მეთქი. გამიგულისდა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. წავიდნენ და დაგვიტოვეს ჯავრი და გულის ხეთქვა. ახლა იმაზე ვარ მიჩერებული, როდის გამოჩნდება, თუმცა მითხრა, შეიძლება, ამაღამ ვერ მოვიდეო.

27 იანვარი.

დღევანდელი დღე თითქმის პარლამენტის სხდომის ტრანსლიაციის მოსმენას დავუთმე. საქმე ეხება სამი თვის ბიუჯეტის დამტკიცებას. ბევრი გამოვიდა და ვახტანგ ხარჩილავას ერთი ლექსისა არ იყოს, „ილაპარაკეს, ილაპარაკეს, ილაპარაკეს, ილაპარაკეს, ილაპარაკეს და ისევ ძველ პოზიციებზე დარჩნენ". ასე ფუჭად იხარჯება დრო პარლამენტში. არაფერი ახალი, არც ერთი შიღებული კანონი! ფრაქციები თავს იკლავენ იმისათვის, რომ ქვეყანა როგორმე გამოვიდეს სამანეთო ზონიდან. ყოფილი კომუნისტები, პარლამენტარები ამას არ ემხრობიან და რუსეთთან „განჭორწინება" შეუძლებლად მიაჩნიათ.

ამას ემატება ბევრი საომარი წარუმატებლობანიც და ბატონმა ნოდარ ნათაძემ, არც აცივა, არც აცხელა, მთავრობის ნდობის საკითხი დააყენა.

სამხედრო წარუმატებლობა რომ სახეზეა, ამას ჩვენ, ფრონტზე მყოფი ადამიანები უფრო კარგად ვგრძნობთ, ვიდრე ისინი, რომლებსაც თოფის ხმაც კი არ გაუგონიათ. ამას წინათ ოჩამჩირეში ჩავედი და ქუჩებში რომ გავიარე, ისეთი სიმშვიდე სუფევდა, სულ გადამავიწყდა ომი და ფრონტი. მხოლოდ წინა ხაზზე იგრძნობა წამლის სუნი და სიკვდილის სიახლოვე...

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეტი იმედი ისევ თამაზ ნადარეიშვილისა გვაქვს. ამ კაცს დასაწყისიდან ბოლომდე არ ულალატია თავისი ერისა და პრინციპებისათვის. მან ერთმა გაუმართა არძინბას პოლიტიკური დუელი, მაგრამ ბატონ თამაზს ისეთი უსუსური დეპუტატები ედგნენ გვერდში, რომ ბრძოლას აფხაზებთან პარლამენტში ვერ მოიგებდა. ჯერ ერთი, რაოდენობით პარიტეტული არ იყო ქართველთა დეპუტაცია, და ისიც. რაც იყო, მხოლოდ დილეტანტურ ან კიდევ უარეს დონეზე. კარგია, რომ ახლა ნადარეიშვილი სელმძღვანელობს აფხაზეთის მთავრობას. რაც შეეხება არძინბას სეპარატისტთა ხროვასთან ურთიერთობას, ნადარეიშვილმა ცალსახად განაცხადა, რომ მათთან ყოველგვარი მოლაპარაკება გამორიცხულია. აფხაზებთან მოლაპარაკება გაიმართება მას შემდეგ, როცა ისინი ყოველგვარი პირობების გარეშე დაბრუნებენ გაგრას, განთიადს, ღებელიძეს, როცა საზღვარს ლესელიძეში გააკონტროლებს ქართული ჯარი, ყოველ სხვა შემთხვევაში, კონფლიქტის ბედი უნდა გადაწყდეს მხოლოდ სამხედრო გზითო. ისევ ლოდინი, სხვა რა გზაა, როგორც ერთი იგავისა არ იყოს, „მოდიოდა ორი კაცი, ერთი მათვანი ჭაში ჩავარდა, მეორემ ჩასძახა, შენ აქ დამიცადე, მე წავალ და თოკს მოვიტანო. რომ არ დაგიცადო, სხვა რა გზა მაქვსო, ამოსძახა ჭაში ჩავარდნილმა“.

I

28 იანვარი.

აწ „გარდაცვლილმა“ ბატონმა არძინბამ ბოდიში მოიხადა რუსეთის, გაეროსა და ვითომ საქართველოს წინაშეც და გუშინწინ ტყვარჩელში ვერტმფრენთა სამეულთან „ვანსაკუთრებული“ დახვედრის და საქველმოქმედო მისიის ჩაშლის გამო თქვა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა განახლდეს ფრენა ჰუმანიტარული ტვირთებით გადასატანად. ასე დამთავრდა არძინბას „გარდაცვალება“ და მოგზაურობა „მოუსავლეთიდან“.

ესე ამბავმა, რომელმაც მსოფლიო შემოიარა, რა თქმა უნდა, გუდაუთაშიც ჩამოაღწია, ხალხს მოსვენება აღარ ჰქონდა, მართლა გარდაიცვალა თუ არ გარდაიცვალა ბატონი არძინბაო. როგორც ვხედავთ, ბატონი არძინბა არ გარდაცვლილა და ისევ ჯანაგრძობს თავის საქმიანობას. ერთი კი ცხადია, რომ არძინ-

ბას ნამდვილად ესროლეს გუდაუთაში. მერე რა რომ ესროლეს? ამით თავს ნუ დავიმშვიდებთ, ვინ იცის, რამდენჯერ ესროლეს პრეზიდენტებს, მაგრამ ტყვია ყოველთვის ვერ ხვდება, ან არ ხვდება მიზანში. შეიძლება, გასროლის დროს მსროლელს ხელი უკანკალებდა და ააცდინა. კანკალი კი შიშს ნიშნავს, შიში კი ადამიანის ფსიქოლოგიის რაღაც გამოხატულებაა გადაწყვეტილების შესრულების მომენტში. რომ მკაცრი განაჩენი ჯერ კიდევ არაა გამოტანილი. ჰიტლერს ომის დროს ბომბი დაუდეს მაგიდასთან, მაგრამ გადარჩა და შემდეგ ჯოჯოხეთი დაატრიალა იმათ წინააღმდეგ, ვინც მას შეთქმულება მოუწყო. თუმცა, ჰიტლერს ერთი წლის შემდეგ თავი მოსაკლავად გაუხდა და ეს თვითგანაჩენი მან ღირსეულად შეასრულა. ეყოფა კი ბატონ არძინბას გამოუტანოს თავის თავს ასეთი თვითგანაჩენი? განა არძინბამ ნაკლები ტრაგედია მოუვლინა აფხაზ ხალხს?

ჰოდა, ასეა, თუ ისე, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა ტყვარჩელზე ალბათ ისევ გაგრძელდება. აბა, რა იქნება, ქართველები განა იმას იკადრებენ, რომ ვინმეს კრიჭაში ჩაუდგნენ და ჰუმანიტარებს არაჰუმანიტარულად მოექცნენ.

ამასობაში რუსეთის საინფორმაციო წყაროებმა ახტეხეს ხმაური — თითქოს არ შეიძლებოდა რუსეთის ვერტმფრენების იძულებითი დაპატიმრება, რომელსაც გადაჰქონდა მეტად „საპატიო“ ჰუმანიტარული ტვირთი ბატონი ლაბახუა. სინამდვილეში გამოირკვა, რომ ლაბახუა არის გუდაუთის გუნდის სამხედრო საბჭოს სრულუფლებიანი წევრი და რწმუნებული ოჩამჩირე-ტყვარჩელის ფრონტზე. აი, რა მისიით მიემგზავრებოდა იგი არალეგალურად ტყვარჩელში, მაგრამ იგი საკენში დასვეს ქართველებმა. გარდა ამისა, ვერტმფრენში აღმოჩნდა ძიებისათვის საინტერესო მთელი რიგი საიდუმლო პაკეტები. თუ რა იყო ეს, ამას ძიება გაარკვევს. ლაბახუა ამჟამად თბილისშია. იგი სოხუმში ყოფნისას შეახვედრეს თავის ახლობლებს და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დაცვით ექცეოდნენ მას. რაც შეეხება ჟურნალისტებს, ისინი მალე განთავისუფლდებიან, ზოგი მგზავრი გაათავისუფლეს კიდეც. რუსეთის ელჩი ესტუმრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს და განუცხადა, რომ ლაბახუას განთავისუფლება ცალკე საკითხია და არ შეიძლება გათანაბრდეს

აფხაზთა მოთხოვნასთან, რომ ლაბახუას განთავისუფლება მოხდეს ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემასთან ერთად.

გუშინ სოხუმს ასი საარტილერიო ჭურვი ესროლეს, მიზანში აქვთ ამოღებული ახალი რაიონის მაღალსართულიანი სახლები. რა კეთდება ადექვატურად? ჯერჯერობით არაფერი...

დღეს საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, რომ გუშინ გუდაუთაში შედგა შეხვედრა ქართველი და რუსი მაღალი ჩინის მოხელეთა შორის, კერძოდ, გენერალ მაიორ სოროკინთან. იუწყებიან, რომ განიხილეს დიდმნიშვნელოვანი საკითხები. მოხდა შეხვედრა აგრეთვე აფხაზთა მხარესთან, დაადანაშაულეს რა აფხაზები ტყვარჩელის ამბებში, განიხილეს საფრენი რეისების აღდგენის საკითხი.

29 იანვარი.

როგორც მოგითხრობდით, 28 იანვარს გუდაუთაში შედგა შეხვედრა ქართველ, რუს, აფხაზ და გაეროს წარმომადგენლებს შორის. გასაკვირი ისაა, რომ ქართული საინფორმაციო საშუალებები, როგორც იტყვიან, ორიოდე გადმოგდებული სიტყვით გვამცნობდნენ; შედგა ასეთი შეხვედრა და განიხილეს დიდმნიშვნელოვანი საკითხებიო. ეს იყო და ეს, რაღაც მეათეხარისხოვან საკითხზე ინფორმაციისა და კომენტარებისათვის ჩვენი ტელევიზია და რადიო უფრო მეტ დროს ხარჯავს, ვიდრე იმაზე, რაც ხალხს განსაკუთრებით აინტერესებს. ვერა და ვერ გარდაქმნა მუშაობა ჩვენმა საინფორმაციო წყაროებმა. გუდაუთამაც კი გაასწრო მას. გუდაუთა ახერხებს მთელს მსოფლიოს თვალის დახამხამებაში მოსდოს ტყუილი და მართალი ამბები. ჩვენები კი კონტრლონისძიებებს ვერ ახერხებენ. ისევ ის, რაც ჩვენ ყველა საქმეში გვჩვევია — ბეუტური. ამ სიტყვაზე უკეთესად ვერაფერი გამოხატავს ყველაფერ იმას, რაც ხდება საქართველოში. მხოლოდ რუსული საინფორმაციო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ არძინბას ბოდიში მოუხდია ტყვარჩელში მომხდარ აქციასთან დაკავშირებით, ხოლო დღეს დილით რადიო „თავისუფლებამ" ისიც კი გვაუწყა დაწვრილებით, თუ რაზე იყო საუბარი გუშინ გუდაუთაში და რაზე შეთანხმდნენ. აი ისიც: 1. არძინბამ ბოდიში მოუხადა რუსეთს, საქართველოს და გაეროს ტყვარჩელში ჰუმანიტარული

მისიის ჩაშლის გამო და აღუთქვა, რომ ყველაფერს იღონებს რეისების განახლებისათვის. 2. ძალაში რჩება რეისების მარშრუტი: სოჭი-სოხუმი-ტყვარჩელი, ტყვარჩელი-სოხუმი-ვუდაუთა-სოჭი და ყველა ის პირობა, თუ რა უნდა იქნას გადაზიდული და ვადმოზიდული. 3. ტყვარჩელიდან სოხუმში ჩამოყვანილი უნდა იქნან ტყვარჩელზე პასუხისმგებელი სრულუფლებიანი პირები და გაიმართოს სოხუმსა და ტყვარჩელს შორის მოლაპარაკება. 4. რუსეთი, გაერო და საქართველო კმაყოფილდება არა ორ-ორი, არამედ თითო წარმომადგენლით (ეს ამბავი, როგორც გითხარით, გავიგეთ ამერიკიდან თუ გერმანიიდან, თბილისმა კი ის ორიოდე სიტყვა მოგვიგდო, რაც ზევით მოგახსენეთ. იქნებ, ეს ჩამოხათვალიც სამხედრო საიდუმლოებაა, რაც რადიო „თავისუფლებამ" გვაუწყა? ნამდვილი საიდუმლოება კი უხვად იფრქვევა და არ იმალება თუნდაც პარლამენტის სხდომებზე. ბატონმა სიგუამაც მოახსენა თავი სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნებას პარლამენტის სხდომაზე, როცა იგი არაკორექტულად პასუხობდა ბატონ ნათაძის კორექტულ შეკითხვებს, როცა თქვა, რომ თითქოს ჩვენ შევქმენით სატანკო ნაწილი. საავიაციო ნაწილი, გვყავს ცხრა თვითმფრინავი და ა. შ. ვაი, შენ ჩემო თაეო, ნეტავ სულ არ ეთქვა რაიმე. ექვსი თვითმფრინავი აფხაზებსაც კი გააჩნიათ და ცხრა თვითმფრინავი საქართველოს, რა სატრაბახოა, როცა დუდაევს ასორმოცდაათი თვითმფრინავი ჰყავს? განა ჩეჩნეთი თავს მოიწონებს თავისი სახელმწიფოებრიობით, რომ ასე ძლიერ გაასწრო საქართველოს ჯარის ორგანიზაციით და ტექნიკით? რაშია საქმე? სწორედ ჯარის ორგანიზაციის საკითხზე წაიჭირა ნათაძემ სიგუა, როცა ბრალი დასდო მთავრობის უმოქმედობაში. ნათაძემ როცა სიგუას პრემიერ-მინისტრად ირჩევდნენ პარლამენტში, ჰკითხა ორგანიზაციულად სომხეთის ჯარის დონეზე როდის იქნება ჩვენი ჯარიო? სიგუამ დაასახელა ორი თვე, ჰო, ნამდვილად ორი თვე და არა ორი წელი. გუშინდელ სხდომაზე კი სიგუამ კატეგორიულად უარყო, ამგვარი რამე მე არ მითქვამსო. თუ ასეთი გულმავიწყობა ჰქონია პრემიერს, ცუდად წასულა ჩვენი საქმე. ბატონი ნოდარ ნათაძე ამ შემთხვევაში მართალია.

დღეს ჰუმანიტარული რეისები უნდა დაწყებულიყო ტყვარჩელის მიმართულებით. არ ვიცით, დაიწყო თუ არა. სოხუმში დე-

დათა შეკრება გაიმართა. აფხაზეთის კულტურის მინისტრის სვეტლანა ჯეცბას პატიოსნობით. რომელმაც შეახსენა არძინბას და მისი კუთვნილის მოქმედება. მიმართვები გაუგზავნეს გაეროს, ქლინტონს, ელცინს. შევარდნაძეს, აძინბას. ამ დროს გაისმა გრიალი და ეშერადან გადმოსროლილმა ჭურვებმა რამდენიმე სახლი დაახგრია. ამაზე იტყვიან, „მგელს სახარებას უკითხავდნენო...“ მოწინააღმდეგე გააქტიურდა სხვა ფრონტებზეც; შეუტია გალის რაიონის სოფლებს ჩხორთოლს, აგუბედიას, თუმცა უშედეგოდ. ოჩამჩირის ფრონტებზე დღეს ცვლილება არ მომხდარა, არადუში ჰუმანიტარული დახმარების სანაცვლოდ, ერთი საწყალი ქალი დაგვიჭრეს მერკულიდან გამოსროლილი ტყვიით.

30 იანვარი.

დღეს არადუში შედარებით სიმშვიდეა. შედარებით რომ ვამბობ, მხედველობაში არ მაქვს უკვე ყურსშეჩვეული კანტიკუნტი სროლები. საღამო ხანს ოჩამჩირის მხრიდან მერკულისკენ გაისროლეს ქვემეხები და მას ავტომატების ჯერიც მოჰყვა. ამასაც შეეჩვია ყური. ახლანდელი პოზიციები მოწინააღმდეგე მხარეთა შორის თითქოსდა ერთგვარ სადემარკაციო ხაზებად „დაკანონდაო“ გეგონება. აფხაზთა აქტიურობა უფრო მეტად გამოკვეთილია თითქმის ყველა პოზიციაზე. საგუშაგოებზე დღედაღამ ერთმანეთს ლულამიღირებულები დარაჯობენ და ბოლოს და ბოლოს ვეღარ დაუდგენიათ, რა აქვთ გასაყოფი აფხაზებსა და ქართველებს. ზემოდან ბუუტური კი უფრო ამწვავებს და ახანგრძლივებს კონფლიქტს. როგორ ფიქრობთ, რუსეთი ომს მოგვაგებინებს? ამის იმედი ნუ გექნებათ. რამდენჯერ მითქვამს, თუ რუსეთი ატყობს, რომ ქართველები იმარჯვებენ, მაშინ აფხაზებს დაეხმარებიან, ხოლო, თუ პირიქითაა, მაშინ ქართველებს შეეშველებიან და ასე გაუთავებლად აჩხუბებენ ერთმანეთს. ამიტომ საჭიროა საჩქაროდ გამოიკვეთოს საქართველოს პოზიცია რუსეთთან შიმართებაში, თორემ კონფლიქტის გაჭიანურებით ისარგებლეს სეპარატისტებმა და დნეპრისპირეთში ურთიერთდახმარების ხელშეკრულება შესთავაზეს. ზურაბ აჩბას, მოსკოვში ლაყ-

ბობა რომ მოსწყინდა, კიშინიოვის მატარებელში მოთავსდა და გაგაუზების ე. წ. „რესპუბლიკაში“ ამოჰყო თავი და გაშანშალებულ ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი.

ვაი თუ ამ ალიანსს სეპარატისტი მცირე „რესპუბლიკები“ შეუერთდნენ და შეიქმნას რაღაც „მცირე ესენგე“. ესეც არაა გამორიცხული, იქით რუსეთის პარლამენტში მოვარდისფრო დეპუტატების ჯგუფმა განაცხადა, რომ საქართველოში რუსებს ავიწროებენო. აი, ასეთი გამოხდომების წინააღმდეგ უნდა გვქონდეს აქტიური კონტრინფორმაცია, მაგრამ სადაა იგი? გარდა იმისა, რომ ომი უმძიმეს ტვირთად აწვება ქვეყანას და ხალხს, უკვე აუტანელი გახდა იგი. ვინ იცოდა თუ ეს კონფლიქტი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი, აღზევება და ბოლო. პირველი ორი მათგანი უკვე იყო, ბოლო კი არ უჩანს.

გუშინ ტყვარჩელში უნდა განახლებულიყო ჰუმანიტარული დახმარების გადატანა. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, რა მოხდა, დღეს შუქი ისევ გამოირთო და ინფორმაციას ვერ ვღებულობთ.

არადუში ახალი პრობლემა გაჩნდა — მარადიორობის პრობლემა. ასე განსაჯეთ, რომ მარადიორებსაც გამოუჩნდენ დამცველები. არის იმის საშიშროება, რომ ახალგაზრდობა მოწინააღმდეგე ჯგუფებად დაიყოს და ერთმანეთს დაუპირისპირდეს.

ამას წინათ მოგახსენებდით, რომ „გენერალ“ ცერცვაძეს ავტომატური იარაღი მოპარეს და ბადრისთან დადიოდა, დამეხმარეო. მართლაც, დაეხმარა და „ვენერალს“ იარაღი დაუბრუნა, სამაგიეროდ „გეხერლის“ წოდება ჩამოართვეს მუთიას. ის რაც მან პირველად გვითხრა, თურმე ყველაფერი ტყუილი უთქვამს, სინამდვილეში კი საქმე იმაში ყოფილა, რომ აწ ყოფილ „გენერალი“ ცერცვაძე მაგრად გალეშილა, ხელყუმბარები და ავტომატი დაუტრიალებია ამხანაგებისათვის. ის „ამხანაგებიც“ ამდგარან, მაგრად მიუბეგვიათ „გენერალი“ და იარაღიც ჩამოურთმევიათ. ბადრიმ მართლაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მას.

31 იანვარი.

ნუგზარ კოპალიანმა თბილისის უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სამუშაოდ ქუთაისში გაამწესეს; მისი მეუღლეც მისი სტუდენტობის ამხანაგია და მასთან ერთად მუშაობს ქუთაისში. ნუგზარმა, როგორც კი დაიწყო ომი აფხაზეთში, თავის მშობლიურ არადუს მიაშურა და იარაღით ხელში ჩადგა მის დამცველთა რიგებში. ამ კაცის დახასიათებას იმიტომ მოვუბრუნდი, რომ ნუგზარმა დიდი საქველმოქმედო საქმეც გააკეთა. იგი მუშაობს ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათში“ და ამ საწარმომ ნუგზარის ინიციატივით არადუს საჩუქრად გადასცა 50 ცალი შინელი, 100 ცალი ჟილეტი, 20 ცალი კომბინიზონი და 20 ცალი ქურთუკი. ეს ძვირფასი საჩუქრები ნუგზარმა არადუში ჩამოიტანა და არადუელ მებრძოლებს დაურიგა. დიდებული ინჟინერი, მშვენიერი ვაჟკაცი, კარგი მეოჯახე, ოთხი შვილის მამა. ამჟამად კარგი მეომარი, ასეთები სჭირდება საქართველოს...

არადუს მოხალისე ბატალიონმა თანდათან მოიკრიბა ძალა. ახალგაზრდები უფრო გამოიწვრთნენ და გულდადებულად დგანან საგუშაგოებზე. გაგეხარდება, როცა მათ ფორმებში თბილად ჩაცმულებს ხედავ, იარაღიც საკმარისი აქვთ და სურსათიც. დღეს მათ გადასცეს ოჩამჩირიდან დამატებითი ამუნიცია და სურსათი. არადუზე შემოტევა მოწინააღმდეგეს ნამდვილად ძვირად დაუჯდება. თვითონ არადუელები კი მეზობელი აფხაზური სოფლების წინააღმდეგ ნამდვილად არასოდეს არ გაილაშქრებენ.

არადუში თანდათან ბრუნდებიან ლტოლვილები. ქუჩებში გამოჩნდნენ ბავშვებიც, ბრუნდებიან ისინიც, ვინც „გაიქცა“ ფრონტიდან, თუმცა ზოგ-ზოგ მათგანს თვალი ლაბრისაკენ უჭირავს (ეს სამარადიორო ადგილია), მიუხედავად იმისა, რომ ბადრიმ აუკრძალათ მათ ასეთი მრქმედება. ჩვენ ყველაფერს ვიმახსოვრებთ — კარგსაც და ავსაც. ომი რომ დამთავრდება, განა ქართველ კაცს ეპატიება ნაქურდალ აკვანში გაზარდოს შვილი? ან ნაპარავი კარადებით და სხვა ნივთებით გამოეჭედოს ოთახები? ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს?

1 თებერვალი.

სუსხიანი იანვარი გავიდა. იგი სუსხიანი იყო განსაკუთრებით აფხაზეთში — მრავალმხრივ: ეკოლოგიურად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, ყოველნაირად. არც თებერვალი გვიქადის სიკეთეს. პირველ თებერვალს ღამით ყინვამ ათ გრადუსს გადააჭარბა და დიდი საფრთხე შეუქმნა ციტრუსების ბაღებს. თუმცა ჩვენებურმა გლეხმა თითქმის ხელი ჩაიქნია თავისი აუღებელ მოსავლიან მანდარინზე და (თუ არაფერს ვიტყვით ლიმონზე), ძირიც გახმობიაო, უკეთესი იქნებოდა სიმინდი დამეთესაო, ჭადი და ლობიო მაინც მექნებოდაო. ხუმრობა შორს იყოს და ჭადის ფქვილის ერთი კილოგრამის ფასმა ას მანეთს მიაღწია, ხოლო ლობიოს ფასმა ოთხას მანეთს მიაბჯინა. ეს ჯერჯერობით იმიტომ, რომ ნათქვამია, წელიწადს დიდი მუცელი აქვსო და ახალი მოსავლის აღებამდე იანგარიშეთ, რამდენი ჯამა უნდა კაცს. ანდა გვაქვს კი იმედი იმისა, რომ ახალი მოსავალი სულზე მოგვისწრებს? თუ ჰუმანიტარული დახმარების იმედზე ვიქნებით? თუ დიდიან-პატარიანად ხელებს არ დავიკაპიწებთ, ბარითა და თოხით არ ვიმუშავებთ, უარეს დღეში ჩავვარდებით, ვიდრე ახლა ვართ. ეს შესაძლებელი იქნება, თუ სამთარი ვითარება შეწყდება და კრიმინოგენული ვითარება აილაგმება, მაგრამ საქართველოში თავი იჩინა ახალმა საყმაწვილო სენმა. სამიოდე თვეც კი არ გასულა, რაც კანონიერი მთავრობა დანიშნეს პარლამენტში და იგივე პარლამენტში გაჩნდა მოთხოვნები მთავრობისადმი ნდობის შესახებ. პარლამენტის გარეთ კი ატყდა ფრაქციულ პარტიათა თავყრილობები, გამოიკვეთა ახალი ოპოზიცია, რომელიც ისევ თავისი არაკონსტრუქციული მიდგომით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, კრიჭაში უდგება პარლამენტში ყოველი ახალი კანონის მიღებას. საჭიროა, სასწრაფოდ შემუშავდეს კანონი რეფერენდუმის შესახებ, რათა უმნიშვნელოვანესი საქმეების გადასაწყვეტად მოემართოთ ხალხს. კარგად გაირკვეს, ვინ ლაპარაკობს ხალხის სახელით და ცილის მწამებლებსა და ინტრიგანებს პასუხი მოეთხოვოთ.

ხვალ აფხაზეთის საკითხი იხილება პარლამენტში. ეს საკითხი განიხილა გაეროს უშიშროების საბჭომაც და დაისახა რაღაც ვარიანტები ცეცხლის შესაწყვეტად. კერძოდ, გაეროს მეთვალყურეებმა უნდა გააკონტროლონ რუსეთ-საქართველოს საზღვარი,

რომ არ ირღვეოდეს 3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულება, გააკონტროლოს რკინიგზის მუშაობა აფხაზეთში, ცეცხლის შეწყვეტის მიმდინარეობა გუმისთაზე, ტყვარჩელთან და სხვ, ერთხელ კიდევ თვალნათლივ ითქვა საქართველოს საზღვრების ერთიანობის შესახებ, ახლა ჯერი რუსეთზეა, რა პოზიციას დაიკავებს იგი და მისი რეაქციული ძალები, ყველაფერი უნდა გაირკვეს ერთ კვირაში. ამაზეა თავისმტვრევა ფრაქციათა შორის პარლამენტში. რა გაჭოსავალს მოძებნის მსოფლიოში ცნობილი დიპლომატი, იმაზე ვართ მიჩერებული...

ხვალვე 2 თებერვალს ბატონი სახელმწიფოს მეთაური აზერბაიჯანს მიემგზავრება ოფიციალური ვიზიტით. მას ყველაფერი გათვლილი აქვს, რა და როგორ გააკეთოს — ირანის შემდეგ უნდა შემოიმქიდროვოს თავისი კავკასიელი მეზობლები და ამით განამტკიცოს კავკასიის რეგიონის მდგომარეობა. მხოლოდ ამითაა შესაძლებელი კონფლიქტების მოგვარება კავკასიაში. უბრალო გლეხიც კი მიხვდა იმას, რომ თუ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი აიღებენ ხელში კავკასიური საქმეების მოწესრიგებას, მაშინ ყველაფერი მოგვარდება მშვიდობიანი გზით. აი, ამას ცდილობს ჩემი შეხედულებით ბატონი შევარდნაძე და სრულიად სამართლიანად. რა კარგი იქნებოდა ხელს რომ არ უშლიდნენ მას?..

ავად თუ კარგად, ტყვარჩელში განხორციელდა ჰუმანიტარული რეისები და თუ რამე ჩაიშალა და ჩაიშლება, ეს არ იქნება ქართველთა მიზეზი.

დღეს პირველად რამდენიმე თვის შემდეგ პატარა ბავშვები და ჭალები დავინახე ქუჩაში. თვით ეს ფაქტი საერთო განწყობას აუმჯობესებს.

დღეს დილით ამოია (ამირანი) მომესალმა. რამდენიმე თვეა იგი წასული იყო ლტოლვილად, მან მერკულის პირველ შეტაკებაში მძიმე ვითარებაში გადაიტანა ბრძოლა და ნათესავებთან ისვენებდა. ამირანი მომიყვა. რომ ყველა ლტოლვილს აბრუნებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და ბატალიონები იქმნებაო. ეს ადრე რომ მოეფიქრებინა ჩვენს მთავრობას, არც იმდენ ხარჯს

გასწევდა მათ შენახვაზე და საქმესაც წაადგებოდა; აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ერთი პირი და ერთი ძუშტი უნდა ჰქონდეთ...

2 თებერვალი.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა დიდი აურზაურით ამცნეს მთელს მსოფლიოს, რომ თითქოს ქართველებმა ჩაშალეს პუმანიტარული ტვირთის გადაზიდვა ტყვარჩელში, რომელიც აფხაზთა მიზეზით პირველი ჩაშლის შემდეგ განახლდა 31 იანვარს. ჭინამდვილეში კი ასე მოხდა: ოქმის მიხედვით, რომელსაც აფხაზთა მხარემაც მოაწერა ხელი გუდაუთაში, როცა რეისები განახლდებოდა, გადაიტანდნენ რა ტვირთს ტყვარჩელში, უკან დაბრუნებისას უნდა წამოეყვანათ ლტოლვილები შემდეგი პროპორციით: ერთი მესამედი აფხაზები, ერთი მესამედი ქართველები და ერთი მესამედი რუსები. როცა ტყვარჩელიდან უკან დაბრუნებული ვერტმფრენების მგზავრები შეამოწმეს სოხუმში, აღმოჩნდა შემდეგი თანაფარდობა: ოთხმოცდათორმეტი აფხაზი, ოცდათორმეტი რუსი და მხოლოდ რვა ქართველი. როგორც ხედავთ, აფხაზთა მხარემ აქაც დაარღვია შეთანხმება. საკვირველია 'რაღას იფიცებოდა არძინბა, ყველაფერს ვიღონებ რეისების ნორმალურად განხორციელებისათვისო. ძნელია ენდო კაცს, რომელიც მუდამ არღვევს. მოლაპარაკების პირობებს. ჰოდა, ადგა აფხაზეთის მინისტრთა საბჭო და სამხედრო სარდლობა და პირველი თებერვლიდან დროებით შეწყვიტა რეისების განხორციელება ტყვარჩელში, რადგანაც, შესაძლებელია, დღეს პარლამენტის დახურულ სხდომაზე თბილისში მიიღონ რაიმე გადაწყვეტილება აფხაზეთის საკითხზე.

დილის 10 საათზე ტელევიზორის ეკრანთან მოვკალათდი და სხდომის დაწყებას დაველოდე. სხდომა გაიხსნა. აფხაზეთიდან მოწვეულნი იყვნენ ბევრი პასუხისმგებელი პირი და პრემიერმინისტრის კაბინეტი, უპირატესად სამხედროები, უამრავი პრესის წარმომადგენელი.

ცხარე კამათი გაიმართა იმის თაობაზე სხდომა ღია უოფილიუო თუ დახურული. ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვდა სხდომის ტრანსლიაციას. სამხედროები და აფხაზეთის წარმომადგენლები მოითხოვდნენ საკითხის დახურულ

სხდომაზე განხილვას. „იმარჯვა“ დეპუტატმა შაიაშვილმა, რომელსაც მოითხოვა სხდომა ჩატარდეს დახურულად, წამოაყენა წინადადება კენჭის ყრაზე. კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, სხდომა ჩატარდეს დახურულად. სპიკერმა ბოდიში მოუხადა პრესისა და რადიოს წარმომადგენლებს და თავაზიანად დაითხოვა ისინი. ცამორთეს ტელევიზიაც.

დღეს ამბავი მოვიდა კოჩარიდან, რომ აფხაზი „ბოევიკები“ შეუცვივდნენ სახლში მასწავლებელ ქალს მაჟიკოს, რომლის ქმარი ინჟინერია. ჯერ ქმარი გათოკეს, მის დასანახად ცოლი გააშიშვლეს და გააუპატიურეს, ქალს ძუძუები მოაჭრეს და ძუძუებით ფეხბურთი გამართეს ოთახში, შემდეგ ქმარი ცოლს ზედ დააკლეს. ხალხო, გაგიგონიათ ასეთი მოქმედება?! ტყუილად არ ადარებენ კოჩარის ამბავს გაგრის ტრაგედიას. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს? კოჩარა ხელში ჩაიგდეს, არადუ კი ბეწვზე გადარჩა.

8 თებერვალი.

დღეიდან შეიძლება განახლდეს ჰუმანიტარული ტვირთის გადატანა ტყვარჩელშიო, გადმოსცა სოხუმის პრესცენტრმა. ქართველებმა განაცხადეს, რომ რეისებს ხელს არ შეუშლიან, მაგრამ თუ კიდევ დაარღვევს აფხაზთა მხარე ტყვარჩელიდან ლტოლვილების გამოყვანის პროპორციულობას, მაშინ საერთოდ შეწყვეტს მათ გამოყვანას ტყვარჩელიდან და ნებას დართავს მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთის გადატანას ტყვარჩელში, რა თქმა უნდა, ისიც შესაბამისი შეთანხმების ოქმის დაცვის შემთხვევაში. თუ აფხაზებს განზრახული აქვთ მორიგი პროვოკაცია, ამ პირობას ისინი მალე დაარღვევენ.

არადუში წუხელ ზომაზე მეტი სროლები იყო. ისვრიან აფხაზები, საპასუხოდ ისვრიან ქართველები, მაგრამ, საერთოდ მოზომილი არაფერში არა ვართ. თუ აფხაზი გაისვრის ერთხელ, ქართველი ათჯერ მაინც გაუჭახუნებს და ზედ ქვემეხსაც მიაყოლებს. აფხაზი ჭკვიანად იქცევა, ნელ-ნელა ხელიდან გვაცლის ტყვიაწამალს. არადა რამდენჯერ მითქვამს, ყოველ ყუმბარას, ვაზნას ჩვენთვის ოქროს ფასი აქვს. ჩვენ კი უზომოდ ვფანტავთ. ასე იყო წუხელაც, ვიღაცას „მოეხოშა“ და რამდენიმე ჯერი შუა ქუჩიდან გაუშვა ჰაერში, როცა ყველას სძინავდა. ასეთები განა ერთი და

ორია? საუბედუროდ, ბევრნი არიან და არანაკლებ მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე მტერს.

მერკულის გორიდან ისევ ისმის ძველებური „კაკანი", იქ პოზიციები არ შეცვლილა.

ძალიან კი გვაინტერესებს, რა გადაწყვიტეს გუშინ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხზე, მაგრამ ჯერჯერობით ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ვიცით მხოლოდ, რომ ბატონი შევარდნაძე აზერბაიჯანს გაემგზავრა. ჯერ ირანი, მერე აზერბაიჯანი და თუ სომხეთთან დამეგობრება მოხერხდა და კავკასიის ეს სამი წამყვანი რესპუბლიკა მტკიცედ შეიკრა, მაშინ კავკასიელები თვითონ დადგამან საქმეებს თავს და არავითარი რუსეთისა თუ გაეროს ჩარევა საჭირო აღარ იქნება, კაცმა რომ თქვას, მიუხედავად რელიგიური სხვადასხვაობისა, კავკასიის ხალხები ერთიანი ოჯახია და მეზობლების ხელისფათური ვერაფერ სანუგეშოს ვერ მოგვცემს. კავკასიის ხალხებს ყველაფერი აქვთ ბუნებისა და ღვთისაგან ნაბოძები: ქვანახშირი, ნავთობი, ხე-ტყე, კასპიისა და შავი ზღვების გასასვლელები. ყველაზე დიდი და წარმოსაჩენი რაც მათ აქვთ, ესაა უნიჭიერესი ხალხი და მაღალი ინტელექტი. ასე რომ, ნორმალური განვითარების შემთხვევაში კავკასიას შეუძლია დიდი შენაძენი მისცეს მსოფლიოს, ნებისმიერ დარგში.

4 თებერვალი.

კოჩარიდან ხუთი კაცი გამოიხსნეს, უფრო სწორად, გადაცვალეს აფხაზებზე. აფხაზები სოხუმიდან მოიყვანეს, გადაცვლა არადუში მოხდა. გამშვებ პუნქტად შერჩეულია მოქვი-არადუ-ოჩამჩირისკენ მიმავალი ტრასა. ამ ტრასის ჩრდილო განტოტებაზე აფხაზური საოფლებია: მოქვი, ჭლოუ, თხინა, ოტაპი, ჯალი, არასაძიხი, აკვასკა. აფხაზური მთავარი სამხედრო შტაბი ჭლოუშია, ბაგრატ შინკუბას სამშობლოში. თუმცა, ბატონი ბაგრატი, როცა მას შეეკითხებიან, თუ სადაა შენი სამშობლო და ძმებიო, ხელს უფრო ჩრდილოეთისაკენ გაიშვერს და ირიბ მზერასაც გააყოლებს! ვერა და ვერ იგუა მან თავის ძმებად ქართველები. არა და ეს კაცი შენთან შენია, მასთან მისი, როგორც იტყვიან, კაი გვარიანი ორპირია. ჰოდა იმ წუხანდელი გადაცვლის შემდეგ შტაბში ცნობა მოვიდა, რომ აფხაზებს განზრახული ჰქონდათ,

რადაც არ უნდა დაუჯდეთ, აიღონ არადუ და ცაგერა, გადაბუგონ სახლები და ხალხი დედაბუდიანად ამოწყვიტონო. იქნებ, ამან შეაშფოთა შტაბი, რომ დილაადრიან ორი ტანკი გამოგვიგზავნეს, რომლებმაც ზედიზედ დაუშინა ყუმბარები აფხაზურ საგუშაგოებს. ბათქი დიდი ატყდა, მაგრამ საგუშაგოები დააზიანა თუ არა, აპას ვერ გეტყვით, რადგან შემიძლია დავიმოწმო ერთი „გემოხსნილი" ჭალის ნაამბობი, რომ ჩვენგან ნასროლი ყუმბარების უმეტესობა თურმე ან მდინარეში იყრებოდა, ან სადღაც ტყეში და ნაკლებად ხვდებოდა მიზანს. თურმე აფხაზები დაგვცინიან, ჭარბელებმა სროლა არ იციანო, ასეთი იარაღი ჩვენ რომ გვქონდეს, აქამდე თბილისს ავიღებდითო.

რამდენადაც გავიგე, ეს ტანკები „საბლატაოდ" მოვიდნენ იმ საწყალი ბიჭის-ავთოს ორმოცზე, „ძალის დემონსტრაცია" აჩვენეს, მერე კი მოკურცხლეს ოჩამჩირისაკენ და არც უფიქრიათ თუ რა მოხდებოდა მათი წასვლის შემდეგ. წასვლა კი აცალეს აფხაზებმა და შემდეგ თავიანთი გრანატმტყორცნები დაუშინეს სოფელს. ლტოლვილობიდან ახალდაბრუნებულებმა კვლავ ზურგჩანთები მოიკიდეს. დასანანია, რომ მათ შორის ის ახალგაზრდებიცაა რომლებიც ადრეც აფარებდნენ თავს ლტოლვილობაში. ნუთუ ამ ადამიანებს არ ესმით, რომ შენ თუ ათას ესვრი, ისიც გესვრის, რაც ხელთ მოხვდება და სამიოდე ნაღმის ჩამოგდებისათვის სოფელი უნდა მივატოვოთ? საბედნიეროდ, ჯერჯერობით ამით დამთავრდა ყველაფერი და „მგზავრებმა" ზურგჩანთებიც მოიხსნეს. ჩვენი საგუშაგოებიდან კი სროლის ხმა არ ისმის. კარგია, რომ თავს იკავებენ და ტყვია-წამალსაც ზოგავენ. თუმცა, ჭორიც დაირხა, საგუშაგოზე მხოლოდ ათი კაცია და ისინიც პოზიციის მიტოვებას აპირებენო. უნდა ავიდე და ჩემი თვალით ვნახო რა ხდება იქ, თორემ აქ ყოველი ორმოცდაათი მეტრის ვაგლის შემდეგ ახალ-ახალი ჭორი ირხევა, დანამდვილებით დავრწმუნდი, რომ ჭორი საყმაწვილო სენი ყოფილა, რომლის მკურნალობა ადვილი არ ყოფილა. ისევ მკაცრი წესრიგი თუ გვიშველის, თორემ „შენი ჭირიმეს" ძახილით არაფერი გამოდის.

მერკულის გორას კარგად უთავაზეს დღესაც, ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა და თითქმის აღარც კი ვაქცევთ ყურადღებას.

გუშინდელი სხდომა არ შედგა პარლამენტში. თითქმის ნახევარი დეპუტატებისა არ გამოცხადდნენ, თანაც სახელმწიფოს მე-

თაური აზერბაიჯანში იმყოფებოდა და წუხელ ჩამოფრინდა ბაქოდან, დღეს, ათ საათზე განახლდებოდა პარლამენტის სხდომა და გაგრძელდებოდა კამათი აფხაზეთის საკითხზე, მაგრამ სხდომა დახურულად მიმდინარეობდა. ისევ საზღვარგარეთის საინფორმაციო წყაროებიდან თუ რაიმეს გავიგებთ, თორემ სხვა იმედი არა გვაქვს.

6 თებერვალი.

დღეს თბილისის რადიო გადმოსცემდა არადუში გუშინდელი ბრძოლის ამბავს. ამ ცნობაში ნახევარი ტყუილი იყო. არადუსა და ბესლახუბაში მოწინააღმდეგემ შეტევა წამოიწყო, მაგრამ დამცველებმა მედგრად მოიგერიეს თავდამსხმელები, „დიდი დანაკარგებითო". ბესლახუბაში რა მოხდა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ არადუში მოწინააღმდეგემ მხოლოდ სამი ნაღმი ისროლა, რომლის აფეთქების ხმაზე, როგორც გუშინ მოგითხრობდით, დაძრა ზურგჩანთიანი „გასტროლიორობას" მიჩვეული ვაილტოლვილები. ეს იყო და ეს, არავითარ შემოტევას ადგილი არ ჰქონია და, ბუნებრივია, მოწინააღმდეგეს არც დანაკარგები ჰქონია და არც უკუგდებული ყოფილა. ეს ინფორმაცია რადიოს მიაწოდა ფჩამჩირის პირველმა კაცმა ხუტა გუგუჩიამ. როგორც ჩანს, ბატონ გუგუჩიას არ დავიწყებია ძველებური, კომუნისტური რაპორტები, მაგრამ შევახსენებთ, რომ თუ პროდუქტის დამზადების ცნობა ითმენს წამატებებს, საბრძოლო ვითარების შეფასებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. საკითხავია, რატომ დათარეშობენ თავიანთ ჭკუაზე ტანკებზე ამხედრებული გვარდიელები, როცა დაუგეგმავ ოპერაციებს ახორციელებენ, თუ ამას ოპერაციები ჰქვია. მათი უმიზნო ზალპები რომ არა, გუშინ დილით არადუში სიწყნარე იქნებოდა. სად არიან სამხედროთა შეთაურები? გვარდიელები ზოგჯერ არადუში ღვინისათვის ტანკებით ამოდიან, გაილეშებიან და აგერ ერთი თვეა ერთი გადაბრუნებული ტანკი მოქვის ხიდთან აგდია. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ შავნაბადას სამი ტანკი უპატრონოდ დაიკარგა მერკულის გორაზე ამას წინათ გამართულ ბრძოლაში. რა ჰქვია ამას? ესეც ომია? ვინ რაზე აგებს პასუხს, ალარ უნდა ვიცოდეთ?

არადუში სამი ასეულია საჭირო. თითოეულ ასეულს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩნეული.

არადუ დიდი სოფელია და ერთი ასეულის მეთაურს მისი მართვა გაუჭირდება. ამგვარად, ერთ ასეულს შეუძლია განლაგდეს მდინარის გასწვრივ, მეორე დაიცავს „სოლის“ თავს და მარჯვენა ფლანგს, მესამე „სოლის“ მარცხენა თავს და მაზანკაცერას მხარეს, რეზერვი საჭიროებისამებრ განლაგდება სკოლისა და ე. წ. გორა-სასაფლაოს მიდამოებში. საჭირო გახდება ოთხას-ხუთასამდე ავტომატური ერთეული რეზერვის ჩათვლით და ამის შესაბამისი მსხვილი კალიბრის იარაღი და ტექნიკა. მაშინ სასიმედოდ იქნება ჩაკეტილი არადუდან ტრასისკენ გამავალი გზა და ხიფათი ასცდება ოჩამჩირესა და სოხუმსაც...

დღეს ერთმა „ახალმა“ ამბავმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ამბები, რასაკვირველია გასტროლიორ ლტოლვილებს მოაქვთ და რამდენად სარწმუნოა ისინი, ვერაფერს გეტყვით. თურმე ზუგდიდში გრანდიოზული (?!) მიტინგები ტარდება. ლოთი ქობალიას მუჭში მოუმწყვდევია მთელი სამეგრელო, აულაგმავს ყოველგვარი ქურდ-ყაჩაღობა (ღმერთმა ქნას) და გამსახურდიაც დიდებულად მიუღიაო. თუ სად და როგორ ჩავიდა ექსპრეზიდენტი ზუგდიდში, არ ვიცით. ამ დღეებში დუდაევმა თავისი თვითმფრინავით საქართველოს გადაუფრინა თურმე და ექსპრეზიდენტიც თან მოჰყავდა. ხვიადს დინჯად გაუშალა „ქოლგა“ და ზუგდიდში დაშვებულა. ჯოხარს კი სომხეთისაკენ გაუგრძელებია გზა. სომხეთს რომ ჩაფრინდა დუდაევი, ეს საინფორმაციო წყაროებმაც გადმოსცეს.

6 თებერვალი.

აფხაზების მხრიდან დივერსიულმა მოქმედებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ააფეთქეს წყალსადენი. ეს წყალსადენი სათავეს იღებს მდინარე მოქვიდან მოქვის ცნობილ მონასტერთან ახლოს. წყალსადენი სასმელი და ტექნიკური წყლით ამარაგებს მთელ ოჩამჩირესა და შის გარეუბნებს. შეწყდა წყლის მიწოდება და ვინც ეს დივერსია დაგეგმა და განახორციელა, ნუთუ არ ფიქრობდა, რომ წყალი თანაბრად მიეწოდებოდა ყველა ეროვნების ადამიანებს, მათ შორის აფხაზებსაც.

ამ სტრიქონების წერისას უჩვეულო ამბის მოწმე გავხდი. მოულოდნელად ოჩამჩირის მხრიდან, ჭერკულის გორაზე ორი „სუ-25“ თვითმფრინავი გამოჩნდა. ის იყო მერკულის გორას

ბომბები დაუშინეს, რომ წინა თვითმფრინავმა უჩვეულო მანევრირება დაიწყო, შემდეგ ცხვირით მიწისკენ დაეშვა ირიბად და იქ, სადაც ციტრუსების მეურნეობა მთავრდება, სოფელ ჯალთან ჩამოვარდა. მფრინავმა მოასწრო პარაშუტით გადმოხტომა, მაგრამ მტრის ტერიტორიაზე დაეშვა. ეს ყველაფერი მოხდა სულ ნახევარი წუთის განმავლობაში. ჯერჯერობით არ ვიცით, ვისი იყო თვითმფრინავები. თუმცა შემდეგი საარტილერიო დაშენები მიგვანიშნებენ, რომ თვითმფრინავები ჩვენი იყო. ეს ალბათ მალე გაირკვევა, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ მერკულის გორა ნამდვილ ბრესტის ციხე-სიმაგრედ გადაიქცა. თუ აფხაზებს ისეთი ძარაღი აქვთ, რომ ტანკებს აფეთქებენ, თვითმფრინავებს ჩამოაგდებენ და კიდევ, ვინ იცის, რას ჩადიან — ეს ჰკუის სასწავლებელია ჩვენთვის. ერთიც ცხადია, ძალზე გააქტიურდნენ აფხაზები. არადუ საფრთხეშია. ღმერთმა ინებოს, რომ ბოლომდე გაიტანოს მან ლელო. თვითმფრინავის ჩამოქდებით წაქეზებულებმა, შეიძლება ზედმეტიც გარისკონ, საჭიროა მუდმივი სიფხიზლე და მზადყოფნა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯემალი ახლა მხოლოდ ყოფილი ასმეთაურია, მას გულთან არ მიუტანია „თანამდებობის" ჩამორთმევა. კაცმა რომ თქვას, დიდად არ მიაჩნდა ეს თანამდებობა. ეადაილა ცოლშვილიანი კაცი. მართალია, ახლა იგი მეთაური აღარაა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუნელებია ზრუნვა თავისი სოფლის საკეთილდღეოდ. საიდან არ ეზიდება ტყვია-წამალს, ამხნევებს ახალგაზრდებს, თითქმის ყოველდღიურად საგუშაგოებზეა. დღესაც მოწინააღმდეგის პოზიციებში შეუტოპავს ერთ კილომეტრამდე, ხელთ უგდია ფეხმოტეხილი ნაღმსატყორცნი, რომელიც ზურგით მოათრია არადუში. ჯოკიას ეჩიჩინა, შემიდუღეო, მაგრამ ჯოკიამ ფეხი აითრია, რაღა მე მაკეთებინებთ ყველაფერსო და არ ეღირსა ფეხის მიდუღება ნაღმტყორცნს. ამ საღამოსაც შეგროვდნენ ჯოკია, გივი, დათიკო, იასონი და ემზარი. იმარჩიელეს და ჯოკიამ სახლს შეაფარა თავი. გივი თავშეკავებულად ლაპარაკობდა, ღუნდოდა ამ ცხელ გულზე ამაღამ შეკეთებულიყო ნაღმტყორცნი, მაგრამ ალბათ ელოდებოდა, სხვა რას იტყოდა; ემზარიმაც — ასე აჯობებსო. დათიკომ რაღაც მოიმიზეზა, არ უნდოდა გურამისაგან მობარებული შესადუღებელი აპარატის ხმარება. მობარებული ცხვარი მგელმაც შეინახაო, მაგრამ ის დალოცვილი გურამი კარგა ხანია სახლში არ გამოჩენილა

და თუ მისი აპარატით იარაღს შევაკეთებდით, ამით რა დაშავდებოდა. ილაპარაკეს, ილაპარაკეს, ილაპარაკეს და ნაღმტყორცნისათვის ფეხის „ოპერაცია“ ჩვალისთვის გადადეს. რად უნდა შეიწუხონ თავი ასე ნაჩქარევად, როცა აფხაზები შემოუტევენ, მერე შეაკეთებენ, ვაი თუ ამაღამ შემოუტიონ თვითმფრინავის ჩამოგდებით წაქეზებულმა აფხაზებმა და ნაღმტყორცნის არშეკეთება სანანებლად გაუხადონ ჩვენს მეზობლებს?! ასე მოუვიდა ქვემეხ „არადუს“. ახლაც უქმად აგდია იგი ბახვას სარდაფში. თუ ღმერთმა აცალა მშვიდობით ყოფნა ამ ქვემეხს, ომის შემდეგ მუზეუმში დასადგმელად გამოდგება, მაგრამ თუ აფხაზებმა ჩაიგდეს ხელში, ისინი ფეხებსაც გამოაბამენ და მარჯვედაც გვესვრიან.

7 თებერვალი.

მერკულის გორას აისმა შემოანათა. ტყვარჩელის მთებს ავდრის მომასწავებელმა ღრუბელმა გადაუარა. ახლა თოვლში ჩაფლული მთები მდუმარედ გადმოჰყურებენ სამრეწველო ტყვარჩელს, აკლებულ, შერცხვენილ, დაჩიავებულ და გამათხოვრებულ ჭალაჭს — მეშახტეთა აჯანს საქართველოში. აქ ერთ დროს მეგობრულად ხელებდაკაპიწებული შრომობდნენ და გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები, რუსები და უკრაინელები. რა მოხდა? რა ვერ გაიყვეს მათ? არადა, ცხოვრობდნენ კარგად, თურმე, იმაზე უარესი არაფერი ყოფილა, როცა ადამიანს ყველაფერი ჰქონდა და ახლა ძველი ცხოვრება სანატრელი გაუხდა. მათ ძველებური ცხოვრების ასოციაციები უჩნდებათ და უნდათ თუ არ უნდათ, კომპარტიის მმართველობის რეაბილიტაციას მოითხოვენ. აქ მარტო ტყვარჩელი არა უყავს მხედველობაში — ბელორუსიაში უკვე აღსდგა კომპარტია და რეგისტრაციაში გატარდა, რუსეთში დღე-დღეზე ამ გზით მიჰყვენ, ლატვიაში არჩევნებში გაიმარჯვა კომპარტიამ და ასე გრძელდება ესენჯეს ქვეყნებში. ვინ იცის, იქნებ ნაადრევია მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის დასამარების ზეიმი. ჩინეთი თავისი ნაცადი გზით მიდის და ეკონომიკურ რეფორმასაც წარმატებით ახორციელებს, იქნებ კომუნისტური მშენებლობის რაღაც მეთოდშია შეცდომა და არა არსში. ნაკლები მსხვერპლი არც ახ-

ლაა, ვიდრე რეპრესიის წლებში იყო. გაჩნდა ექსტრემისტული სეპარატიზმის მსოფლიო მასშტაბის საშიში სინდრომი, ხალხები ერთმანეთს გადაეკიდნენ, გამეფდა ანარქია, რასაც ხვალ და ზეგ მეტი არეულობა მოჰყვება...

სიტყვა გამექცა. ტყვარჩელის მთები იმითაც არიან მოლუშულნი, რომ დღეიდან ქალაქ ტყვარჩელს კვლავ შეუწყდა ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება. ამის ავბედითი ნიშანია ის, რომ მერკულის გორაზე ისევ ბოლავს გუშინ ჩამოგდებული თვითმფრინავის „ნეშტი“. ყველაფერი გაირკვა. როგორც საინფორმაციო წყაროებმა გადმოსცეს, უსაფრთხოების მიზნით ტყვარჩელში ჰუმანიტარული ტვირთის გადამტან რეისებს აცილებდა ორი ქართული თვითმფრინავი „სუ—25“. მერკულის გორიდან მათ აფხაზებმა გაუხსნეს ცეცხლი და ერთი მათგანი ჩამოაგდეს. ჰო, ჩვენ უშუალო მოწმე ვართ იმისა, როგორ ჩამოვარდა თვითმფრინავი, მერკულის გორაზე გადაფრენისას. ეჭვნებ მფრინავს დაავიწყდა, რომ უნდა ჩაერთო დანადგარი, რომელიც კუდის მხარეზე უშვებს რაკეტასაწინააღმდეგო მოწყობილობას ჩვენ შევნიშნეთ, ასეთი ორი რომ გაუშვა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, რაკეტა უკვე მოხვედრილი ჰქონდა თვითმფრინავს და უნებლიე ვირაჟებს აკეთებდა ალმოდებული. მფრინავმა მოასწრო გადმოხტომა, თვითმფრინავი კი გორას დაენარცხა. აფხაზები ისეთი გულმოდგინე ხალხია, რომ ის თვითმფრინავი შეიძლება ააწყონ კიდეც და ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ. ეს სინამდვილესთან მიახლოებული ხუმრობა წუხელ გაჩნდა იმ შეხლა-შემოხლისას, როცა ჯოკიამ და მისმა ხალხმა არ მოინდომეს გუშინ საღამოს „ფეხმოტეხილი“ ნაღმტყორცნის შეკეთება. მაშინ დაიწყეს საუბარი აფხაზებზე, კარგი წესრიგი აქვთ, აგერ, ისეთი იარაღიც ჰქონიათ, ბევრს შეშურდებათ. ჟორამ ისიც კი თქვა; დაღუპულია ჩვენი საქმე, ავშალოთ ზეწარი და ჩავბარდეთო, ასეთ ბაზრობაში და პანიკიორობაში გადის დრო. ესეც ჩვენი „მუყაითი“ ქართველები, თავი რომ მოგვწონს მსოფლიოში და ერთმანეთის კოჭებში ვართ მიჩერებული, თუ როგორ გამოვდოთ სარმა. გუშინ ლუბისთის ქართული პოზიციებიც დაბომბეს რუსული გამოსაცნობი ნიშნების მქონე ორი თვითმფრინავით. საარტილერიო ჰურვები დასცხეს სოხუმს ეშერიდან. ასე რომ, აფხაზები და რუსული მხარე სისტემატურად არღვევს შეთანხმების ოქმს ჰუმანიტარული ტვირთის ტყვარჩელში გადაზიდვის შესახებ. ამიტომ

იმსჯელა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ და სამხედრო სარდლობამ და მიიღო გადაწყვეტილება, დროებით შეწყვიტოს თვითმფრინავთა რეისები ტყვარჩელში.

რუსეთის რადიომაც გადმოსცა ეს ამბავი, მაგრამ გამოტოვა ცნობა, თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ. რადიომ იგრეთვე გადმოსცა, რომ ეშერაში და გუდაუთაში განლაგებული რვაას კაციანი რუსული ჯარის კონტიგენტი უახლოეს ხანში დატოვებს აფხაზეთს, რაც შეეხება ბოღბორას სამხედრო აეროპორტს, იგი დარჩება, რადგან მისი საკითხი დაკავშირებულია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებასთანო.

რუსეთის მემარჯვენე ძალები თანდათან ერთიანდებიან და ემზადებიან იერიშისათვის. ცხადია, ეყრდნობა რა კონსერვატიულ ძალებს, იერიში მიაქვს ელცინზე, დღეს მოსკოვში გაიმართა ე. წ. მრგვალი მაგიდის კონფერენცია, რომელშიც გაერთიანდნენ ყველა კონსერვატიული ძალები, მათ შორის აფხაზეთის სეპარატისტებიც, რომლებიც მოითხოვენ კომპარტიის აღდგენას და პრეზიდენტის გადაყენებას. მათ ეშინიათ 14 აპრილს დანიშნული რეფერენდუმის, უკმაყოფილონი არიან ჩერნომირდინის მოღვაწეობით.

სოხუმიდან გადმოცემული ცნობებით, მოწინააღმდეგე არ ისვენებს, ხან ზღვაზე, ხან ეშერაში, ხან შრომასთან ცდილობს შეტევის წამოწყებას.

8 თებერვალი.

ღამის ოთხი საათიდან ინტენსიური სროლის ხმა გაისმა მერკულიდან. მიჯრით ისროდნენ ნაღმსატყორცნებიდან, ტყვიამფრქვევებიდან, ავტომატებიდან. ღამით ყურის ტკივილი მაწუხებდა და ძილი ამასთან ერთად სროლის ხმაურმა უფრო გამიტეხა. დილაადრიან ჯამბული ამოვიდა თაკისი „ნიკათი“, ბადრიმ და მან საუზმის შემდეგ ექიმთან წასაყვანად ჩამსვეს მანქანაში. ამ დროს ქუჩაში მწვანე ფერის „მოსკვიჩი“ გაჩერდა, საიდანაც ორი ახალგაზრდა გადმოვიდა. ალაშარიდან იყვნენ. ალაშარა მერკულის ის დასახლებაა, სადაც შენარჩუნებულია ქართველთა პოზიციები. ბიჭებმა ამბავი მოიტანეს: აფხაზთა ერთ ნაწილს, ოცდაათ კაცამდე, რაიონულ საკადმყოფოსა და ალაშარას შორის დამშრალი პატარა მდინარის ხალაპოტით ესარგებლიათ და შუა სო-

ფელში მდგომ საგუშაგოსთვის ზურგიდან შემოეველოთ, უნდოდათ მოულოდნელად დასხმოდნენ თავს საგუშაგოს და მოესპოთ. შემოვლა კი მოახერხეს და ნაღმტყორცნიდან ცეცხლი დაუშინეს საგუშაგოს, სადაც სულ რვა კაცი იდგა. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. სროლის ხმაზე საგუშაგოს რეზერვი მოეშველა და მოწინააღმდეგე გაფანტეს. თავდამსხმელებმა შვიდი მოკლულიდან ოთხის გატანა მოახერხეს, სამი კი ოჩამჩირეში გადაასვენეს. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ ყოფილა.

ოჩამჩირეში დღეს ყველა ამ ბრძოლის შესახებ ლაპარაკობდა, რკინიგზის საშუალო სკოლა სწავლას შესდგომია. ოჰ, როგორ გავიხარე, როცა სკოლიდან მომავალი მოსწავლეები დავინახე?! ცუდი, ძალიან ცუდი ბავშვობა წამოესწროთ მათ. სულ ცოტა ხნის უკან ცხოვრება ჩქეფდა ოჩამჩირეში. ამ უაზრო ომმა თავდაყირა დააყენა ყველაფერი. თუმცა ცხოვრება ნელ-ნელა დგება კალაპოტში. თანდათან მომრავლდნენ ლტოლვილობაში გადახვეწილი ადამიანები, გამოცოცხლდა ქუჩები. ცხოვრება კიდევ უკეთესად აეწყობოდა, რომ ერთმანეთთან კონკლაობა და სიძულვილი არ ღრღნიდეს ადამიანების სულს. გაგულისებული მოსახლეობა ამას ისევ აქა-იქ შემორჩენილ მარადიორ მხედრიონელებს აბრალებენ. აღერ, ბაზარში გვარდიელების ერთ ჯგუფს უზარმაზარი მანქანა-ფურგონი დაუყენებიათ და კარტოფილს ყიდიან. მათ ისევ თავისიანები გვარდიელები წამოესწრნენ, შეიქნა აყალ-მაყალი, გაიწიეს ერთმანეთზე და ბოლოს და ბოლოს გაყიდვა შეაწყვეტინეს. ხალხში ამ ფაქტმა ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, ვისი დავალებით ყიდდნენ კარტოფილს: ეს ხომ ჯარისთვის გამოგზავნილი პროდუქტია, ყიდიან ყველაფერს, სამაგიეროდ ყიდულობენ ღვინოს, არაყს, თვრებიან და საბრძოლო მანქანებს აქეთ-იქით დაათარეშებენ. ახლაც ჩაფლულია მოქვის ხიდთან ტანკი, რომელიც მთვრალმა ეკიპაჟმა გადაჩეხა, აგო კი ამაზე ვინმემ პასუხი? აი, რა ღელვებს ჩვენს საზოგადოებას. ამას ვხედავთ ჩვენ ადგილებზე. არავითარი წესრიგი არ იგრძნობა ჯარში. ჯარში დემოკრატია ვერაფერი ზედენაა. ნუთუ ეს არ იციან სადაც ჯერ არს?

თუმცა სუსხიანი, მაინც მზიანი დილა გათენდა, მზის სხივებმა ღამის ყინვისგან ნოლს ქვემოთ დაწეული თერმომეტრის წითელი ხაზი ნოლს ზევით მალე მოაქცია. ძალიან ნელა, მაგრამ მაინც იწყებენ დაბერვას ტყემლის ცვირტები. მეკვირტია წითელგულა ჩიტებიც გამოჩნდნენ, შაშვები ბუდობისათვის ემზადებიან, ნადირ-ფრინველი გაზაფხულის თადარიგს შეუდგა. ბუნების სილამაზით მოყვნებულ სიტყბოს პილპილს აყრის ხანგამოშვებით აფეთქებული ჭურვების გრიალი.

ეზოში ჩასვლა განვიზრახე, მუშაობა მომენატრა, მაგრამ ჩემი ეზო მერკულის გორიდან ხელისგულივით მოჩანს, იქიდან კი ბრმა თუ თვალხელილი ტყვია მოწუის წამდაუწუმ. ძალიან გაჭიანურდა ომი და რამდენადაც გაჭიანურდა, იმდენად დიდია ზარალი. უპირველესი ზარალი ისაა, რომ მოქიშპე ადამიანებს შორის გალვივდა ზიზღი და შურისგების გრძნობა. ომის გახანგრძლივების ყოველი დღე უფრო და უფრო გაამწვავებს ამ ავბედით სინდრომს და, ვინ იცის, მერე მის ამოგდებას შეგნებიდან რამდენი თაობის სიცოცხლე დასჭირდება. აქვთ კი ეს შეგნებული მოქიშპე ხალხების პასუხისმგებელ პირებს?

რუსეთი მოლაპარაკებებზე საკმაო „დათმობებზე“ მიდის, მაგრამ ასეთი დათმობები და თითქმის ყველაფერზე ყაბული თავისებური მახე ხომ არაა. აბა, ვის გაუგონია ამდენი რაუნდები მოლაპარაკებაზე. აგერ უკვე მეოთხე რაუნდი უნდა გაიმართოს სადღაც მარტში. მარტამდე ვინ იცის, რა მოხდება და იმ მოხდენილ ფაქტებს ხომ არ შეახოცავს მერე ხელს „ჩვენი“ რუსეთი? არადა მოლაპარაკება აუცილებელია. რაღაც ჩვენც უნდა დავცინცლოთ ჩვენთვის სასარგებლო ჩრდილოეთის დათვს. ეს დათვი ძალიან გაწვრთნილია თევზების ჭერაში და დიდი ძალისხმევა მართებს ჩვენს დიპლომატიას, რომ წაგებული არ აღმოვჩნდეთ, ჯერჯერობით ჩვენი სახელმწიფოს მეთაური მარჯვედ იყენებს კოზირებს. 15 თებერვლისათვის ხომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების დელეგაციები უნდა შეიკრიბნონ სტამბულში. ვნახოთ, დაველოდოთ, ისე ურიგო არ იქნება თუ დიპლომატიურ ურთიერთობებს გამოვაცოცხლებთ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებთან, თუმცა ამას ხელს ისიც უშლის, რომ ისინი რუსეთის ფედერაციის შემადგენ-

ლობაში შედიან. იმედია ბატონი შევარდნაძე აქაც მოძებნის რაღაც გამოსავალს.

დიდი ხანია არ გვინახავს არძინბას გამოსვლები. ისევ დაირხა ხმა, რომ იგი მკვდარია და უკვე დაასაფლავეს გუდაუთაში.

კოჩარის მხრიდან ცხენისწყალზე სროლები ისმის. ამბობენ კოჩარაში ოცდახუთკაციანი ჯგუფი შევიდა პლაცდარმის დასაკავებლადო. ცოტა რამ ისმის ბატალიონ „კოჩარაზე“, ვრადა, ვინ უნდა დაიბრუნოს კოჩარა თუ არა კოჩარელებმა?

გუშინდელმა ბრძოლამ მერკულაში გვარიანად მოსტეხა ცხვირი მოწინააღმდეგეს. იმარჯვეს მერკულელმა ბიჭებმა. ასე იქნება ყოველთვის, თუ ადგილობრივ ხალხს კარგად შევაიარაღებთ და გავწვრთნით. ისინი უფრო მონდომებით დაიცავენ თავიანთ კარ-მიდამოებს. დღეს მათ მიერ დახოცილი თავდასხმელების გაცვლის პროცესი იყო. ბერკულაში, თუმცა ჩვენი მხრიდან არავინ არ დაზარალებულა. ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ დღეს მერკულაში არაჩვეულებრივი სიწყნარეა.

არ ვიცით, გამოვიდა თუ ტყვედ ჩავარდა ჩვენი მფრინავი, რომელიც გუშინწინ გადმოხტა ალმოდებული თვითმფრინავიდან და მტრის ტერიტორიაზე მოხვდა მერკულის განაპირას.

10 თებერვალი.

ვზივარ და ვფიქრობ და ალბათ ასე ფიქრობს ადამიანთა უმრავლესობა საქართველოში. საქართველო სრული ქაოსის პირასაა მისული. გაჩნდა ახალი ფენა მარადიორებისა, ყაჩაღებისა და ვინ მოთვლის, რა ჯურის ვახრწნილებამ არ იჩინა თავი. შექმნილი მდგომარეობით სარგებლობენ ისინი, ვინც წინათ არ ცხოვრობდა პატიოსანი შრომით. ახლა კი შეიქმნა უთვალავი ჯგუფები ბანდიტებისა. მატარებელს აჩერებს და ძარცვავს არა რამდენიმე პირი, არამედ მთელი სოფელი, მთელი დასახლება. ბევრია ისეთიც, ძარცვას რომ უჭერს მხარს, თუმცა გასაძარცვი აღარაფერი დარჩა, უკვე გაძარცვეს სახელმწიფო, გაქურდეს წარმოება-დაწესებულებები. ბევრი რამ საზღვარგარეთაც გაიტანეს. ადამიანებს რომ აღარაფერი შერჩათ წასაღები, ახლა მათი ზოტაცება დაიწყეს. ეს კი სრული განუკითხაობაა. ამ დროს პარლამენტში ფრაქციები და მათი მომდევრები წელებზე ფეხს იდგამენ, როგორმე აამღვრიონ

კიდევ უფრო ამღვრეული წყალი, იქნება მეტი თევზი დავიჭიროთო, თუმცა თევზი აღარ დარჩა დასაჭერი.

მომეწონა გიორგი პანტურიას განცხადება ამ ვაილდერებისადმი, რომელთაც პარლამენტში ოთხი-ხუთი დეპუტატი თუ ჰყავთ და იმის ნაცვლად, რომ პარლამენტში იმუშაონ, რაღაც სათათბირო მოიგონეს პარლამენტის გარეთ. წერეთელი ქუჩაში გასვლით და გრანდიოზული დემონსტრაციით იმუქრება. ასათიანი ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე ხელი შეუშალოს პარლამენტს მუშაობაში, იგი ე. წ. ტრადიციონალისტებს ჩასდგომია სათავეში და ის კი ვერ გაუგია, რომ ქართველი კაცის ტრადიცია არაა ის, რასაც ასათიანი აკეთებს. აქეთ რესპუბლიკელები ოინბაზობენ, იქით მონარქისტები, ზოგი კოსტავას და ზოგიც დავით აღმაშენებლის სახელს ეფარება. საქართველოს აღშენებაზე კი არც ერთი არ ფიქრობს. ყველა მათგანს ჰყავს რაღაც შეიარაღებული „მოიერიშენი". იმ შეიარაღებულებს სხვა შეიარაღებული ძმაკაცები, რომელნიც მიმზიდველი სახელებით დაძრწიან ხალხში. ყველამ ხელი მიჰყო იარაღის შეძენას და იყენებენ იქ, სადაც საჭირო არაა ასეთა დროულია ბრძანების გამოცემა. ახლა, მთავარია, იგი შესრულდეს, მაგრამ ეგეი კი გვეპარება. რატომ? ასეთ დანგრეულ ქვეყანაში დემოკრატობანას თამაშით ასეთ ბრძანებას ვერ შეასრულებდა თუ იგი შესრულდა, მაშინ მართლაც ამოსუნთქებს ხალხი და შესაძლებელი გახდება საქართველოს სახელმწიფოს შეთაურის ყოველი ბრძანება უნდა სრულდებოდეს. ვინც ხელს უშლის ან არ ასრულებს ასეთ ბრძანებებს, ასალაგმაა. თავის დროზე დავით რომ მტკიცე წესრიგი არ დაემყარებინა, ის აღმაშენებელი ვერ გახდებოდა და უბრალო ბაგრატიონად დარჩებოდა.

ჯერჯერობით არადუში სიწყნარეა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თუმცა ადამიანები ძალიან შეწუხებულნი არიან, იმით რომ ხელმძღვანელებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს აფხაზეთში ომის დაწყებიდან და ისიც ზედიზედ. ის, ვინც ფრონტის ხაზზე ცხოვრობს და ჩახედულია მოვლენებში, ძალიან კარგად გარკვეულა, რომ ქართველები დაღუპვამდე მიჰყავს დაქსაქსულობას, რაზედაც არაერთხელ გვითქვამს. ამის შედეგად ათასი დანგრეული ცხოვრება, ასობით და ათასობით დაღუპული, დაჭრილი, ლტოლვილად გადახვეწილი ადამიანია. ასეთი შეცდომის გამოს-

წორება საერთოდ არ შეიძლება. ის ისტორიის საკუთრება ხდება, როგორც კრწანისის ომი. როცა ამის ჩამდენ ადამიანებს ისევ ინარჩუნებენ თანამდებობებზე, ეს უკვე მეტისმეტია. სამხედრო საქმეში დილეტანტობა არ გამოდგება.

აფხაზი სეპარატისტები იმდენ ძალისხმევას ხარჯავენ საერთაშორისო ასპარეზზე „რომ ტყეული და მართალი ყველაფერი დაიჯერეს მსოფლიოს. ქალაქ ტყვარჩელს ათასჯერ შეუწყვიტეს ჰუმანიტარული დახმარება და ათასჯერ განუახლეს ეს პროცესი. დღესდღეობით ტყვარჩელიდან გამოყვანილი ორი ათასი ადამიანიდან მხოლოდ ოცდაორია ქართველი. ყოველნაირი პროპორცია დარღვეულია. აფხაზებს უნდათ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის აფხაზობა გადაიყვანონ გუდაუთაში, ჩვენი ქართველობა კი მძევლად დაიტოვონ მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ზონაში. შემდეგ რა მოხდება? თუ ჩვენ შეტევას განვახორციელებთ ამ ზონაზე, წინ მძევალ ქართველობას შემოგვაგებებენ და შეუტიე მერე, თუ ბიჭი ხარ! თვითონ კი ძალიან კარგადაც შემოგრტევს. ჩვენი მხრიდან ამაზე ჯერჯერობით არავინ ზრუნავს. კარგი იქნებოდა თუ აფხაზეთის დროებითი მთავრობა ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით უფრო გააქტიურდებოდა, როგორც თვით აფხაზეთში, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

რაკი აფხაზეთში სამხედრო წესებია შემოღებული, მოვალეობათა განაწილება მიზანშეწონილად არაა გატარებული. რატომ უნდა ემორჩილებოდეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფრონტის სარდლობას? მინისტრთა საბჭომ თვითონ უნდა აიღოს ხელში ყველაფერი და პასუხს აგებდეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინაშე, თორემ ვინაა უფროსი აფხაზეთში, ჯერჯერობით არ ეგრძნობა. რატომ ბეუტურობენ ისინი, ვისაც ამის გაკეთება ევალება? ნუ მიწყენს ნურვინ, თუ ხშირად ვხმარობ სიტყვა „ბეუტურს“, უკეთესი სიტყვა ვერ მომიძებნია უთავბოლობას გამოსახატავად.

და როცა სათავეში ბეუტურობენ, რა გასაკვირია თუ არადუშიც გვარიანი ბეუტური იქნება. დღეს, ექვს საათზე არადუს გატიალებულ სკოლის შენობაში სოფლის კრება გაიმართება. იქ ალბათ მორიგ ბეუტურს მოვისმენ. რა გაეწყობა, იბეუტურონ რამდენიც უნდათ, ჩვენ კი ჩვენი საქმე ვაკეთოთო.

11 თებერვალი.

ჩვენი დიდი შეშფოთება გამოიწვია გუშინ საღამოს გადმოცემულმა ინტერვიუმ სახელმწიფოს მეთაურისა ორ კითხვაზე: პირველი კითხვა აჭარაში შეიარაღებული ძალების შეყვანას ეხებოდა... ბატონმა შევარდნაძემ უპასუხა, რომ ეს არის პროვოკაცია და ძოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. სხვადასხვა ძალები ამ პროვოკაციას მიმართავენ იმისათვის, რათა გაამწვავონ ურთიერთობა აჭარასა და თბილისს შორის. აფხაზეთსა და საქართველოს აჭარაც შეუმატონ და მთელ მსოფლიოს ამცნონ საქართველოს აჭრესიულობა. ეს კითხვა დიდ შეშფოთებას არ იწვევს, აჭარაში მდგომარეობა შედარებით მაინც სტაბილურია.

მეორე კითხვა: რადიო „თავისუფლებამ" გააკრიტიკა ცნობა, თითქოს საქართველოში გადატრიალების სცენარი დაწერილია, რომ სოხუმიდან უახლოეს ხანში გამოიყვანებენ ჯარებს, სოხუმს მოწინააღმდეგეს გადასცემენ, რაც შემდეგ გამოიწვევს სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას. შევარდნაძემ სიტყვა სიტყვით უპასუხა: „რაც შეეხება სოხუმიდან ჯარების გამოყვანას, ეს სიცრუეა. ჯარები სოხუმისათვის იბრძოლებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ჩვენ მივიღებთ ზომებს სოხუმისა და ოჩამჩირის გარანტირებული („გარანტირებულს" ხაზი გაუსვა) დაცვისათვის. ისე კი ეს ინფორმაცია არ არის საფუძველს მოკლებული. დღეს ამ საკითხზე გვაქვს თავდაცვის საბჭოს სხდომა და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას და მოკლე ინფორმაციას შოვახსენებ სხდომასო.

დღეს დილით გადაიცა მთავარსარდლის ბრძანება, რომ პერსონალური განაწილებით მთელი ძალისხმევა მიმართულია სოხუმისა და ოჩამჩირის დაცვისაკენ. სამხედრო ოპერაციების დაგეგმვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა სარდალს ანატოლი კამკამიძეს, კიტოვანს კი — ფრონტის მომარაგება, კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლის საქმის თავკაცობა — ხაჩიშვილს, საერთო ზედამხედველობა — იოსელიანს.

სოხუმის დაკარგვით საქართველოს ერთიანობაც დაიკარგება. ეს კარგად იციან მტრებმა, უფრო შინაურმა მტრებმა, რომლებიც არა და არ ისვენებენ; ვერა და ვერ გაიცნობიერეს ის, რაც მოხდა და ისევ და ისევ ებღაუჭებიან წარსულს. ამით საკრფიანად სარგებლობენ უაჩაღები და მძარცველები, ჰო, გუშინაც ამაზე

ვლაპარაკობდი, თუ ეს ორი ბრძანება შესრულდა, თუ ყველაფერი რიგზე იქნება. ამას ყველაზე კარგად ხალხი გაიგებს. საქართველოს უჭირს და დახმარება სჭირდება. ზოგიერთის წინდაუხედაობა რომ არა, შეიძლება აფხაზეთში ომი არც ყოფილიყო. ჩემი აზრით, მანამ სანამ ომი დამთავრდება და საქართველო სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, ყოველგვარი პარტიული საქმიანობა უნდა შეჩერდეს...

აფხაზურმა წყაროებმა გუდაუთიდან გაავრცელეს ცნობა, თითქოს ტყვარჩელთან ჩამოვარდა ვერტმფრენი, რომელშიც ნადარეიშვილი იმყოფებოდა,

თვით გუდაუთაში კი მოდიან და მოდიან დაჭრილებულთა რაზმები. კონფედერაციის ჯარების სარდლად დანიშნეს ვიღაც ადიღეელი, შტაბის უფროსიც იქაურია. აფხაზეთს სინამდვილეში კონფედერანტები მართავენ. ამბობენ, არძინბა კარგა ხანია, რაც დაასაფლავეს. როგორც ჩანს, აფხაზეთზე მეურვეობა მთლიანად აიღო ხელში კონფედერანტებმა.

დღეს პარლამენტში იარაღის საკითხი განიხილებოდა. ისევ შეხლა-შემოხლაა, წერეთლის დეკლარაციული გამოსვლა და „ფილარმონიისაკენ გაქცევა“, ჩისი აშკარა მუქარა — მთავრობას კრახი ელოდებაო. მას პირველმა ირინე სარიშვილმა გასცა საკადრისი პასუხი. საერთოდ ეს ქალბატონი თავისი ჭკვიანი გამოსვლებით ბევრ ქულას მატებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ირინეს მხარი დაუჭირა ლანა ღოღობერიძემ და ამ ქალბატონებმა კრიტიკის ალში გაახვიეს წერეთლის განზე გადგომა. შემდეგ კი მწვანეთა მეთაურმა ჟვანიამ ქვა-ქვაზე აღარ დატოვა იმათგან, ვინც ცდილობს ისევ გათიშვა გამოიწვიოს პარლამენტში. ბოლოს გამოვიდა მთავრობის მეთაური, რომელმაც ნათელი მოჰფინა ყველა ბუნდოვან საკითხს, რაც საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია.

გაირკვა, რომ ბნელი ძალები თანდათან აღრმავებენ განხეთქილებას. როგორ ჩოხდა, რომ სოხუმისათვის განკუთვნილი მძიმე ტექნიკის ნაწილი, სახელდობრ რვა ტანკი, მოხვდა ლოთი ქობალიას ხელში. შესაძლებელია, მას ეს სჭირდებოდეს კრიმინალურ მდგომარეობასთან საბრძოლველად, მაგრამ მას ხომ კუდზე მობმული აქვს აბრეშუმის ძაფი, რომლის ბოლო გამსახურდიას საჩვენებელ თითზეა გამობმული? ვნახოთ, შეიძლება ეს ის ტექნიკაა, განჩრახული ავადატრიალების სცენარის დაჯგმად რომ სჭირდება?

მთავრობის მეთაური შეგვპირდა. ყველაფერს იღონებს, რათა საომედდო დაიცვას სოხუმი. მალე თვითონ გაემგზავრება სოხუმს და მანამ დარჩება იქ, სანამ ეს საჭირო იქნება, იარაღზე გადაწყვეტილება პარლამენტმა ვერ მიიღო აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის გამო.

სოხუმიდან გადმოსცემენ, რომ გუმისთის მიდამოებში თავს იყრის მოწინააღმდეგის დიდი ძალები, რომელშიც შედიან ჩეჩნები, ჩერქეზები, ადღეელები, კაზაკები, რუსები და თურმე სირიელებიც კი, ერთი სიტყვით, ტერორისტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. დაძაბულობა თანდათან მატულობს. ცდილობენ, პანიკა გამოიწვიონ სოხუმში. ამ ვითარებაში მთავარსარდლის აქ ყოფნა ნამდვილად კარგი იქნება...

საღამო ხანს არადუში ოჩამჩირედან ტანკი ამოგრიალდა და საბრძოლო პოზიცია დაიკავა.

12 თებერვალი.

აფხაზეთში ჩამოვიდა კომისია სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით. იგი შეხვდა სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ადამიანის უფლებათა დაცვის ამ კომისიას მართლაც რომ განუსაზღვრელი უფლებები აქვს ადამიანთა დასაცავად, მაგრამ რით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ სამი ოქტომბრიდან დღემდე არ არის შესწავლილი, რა არაადამიანურ მდგომარეობაში ჩავარდა გაგრა, განთიადი, ლესელიძე, ბზიფი, იფნარი, გუდაუთის ქართული სოფლები, კოჩარა და სხვები.

ამ კომისიის რომელიმე წევრი, თვალითაც არ გვინახავს ოჩამჩირეში. გასაგებია, რა წინააღმდეგობებს წააწყდებოდა იგი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, როცა მას ნაცლები დოკუმენტები ჰქონდა ხელთ ვიდრე ამას აკეთებენ მისი ოპონენტები გუდაუთიდან. დიდი აურზაურით აუწყეს ქვეყანას, რომ გუდაუთიდან გამოიყვანეს სამასი ქართველი მოხუცი და სნეული, სამაგიეროდ გუდაუთაში გაგზავნეს სოხუმიდან სამასი ადექვატური ოფხაზი პირონება. ეს შალიან ცოტაა და სატრაბახოდ არ ღირს. საქმე ისაა, რატომ ხოცავენ და მონურ მდგომარეობაში ამყოფებენ მშვიდობიან ადამიანებს კონტროლის ზონაში. მოდით და ნახეთ ის აფხაზები, რომლებიც არადუში ცხოვრობენ, როგორ

თავისუფლად გრძნობენ თავს. როცა ვამბობ არადუს, ვგულისხმობ ქართველთა კონტროლს დაქვემდებარებულ მთელ ტერიტორიას. განა ადამიანის უფლებების დარღვევა არ იყო გამეფებული თავიდანვე აფხაზეთში? თანამდებობებზე, უმაღლეს საბჭოში პრივილეგიები მხოლოდ აფხაზებს ჰქონდათ.

3 თებერვალს ბაქოში ვიზიტის დროს შევარდნაძეს შეხვედრა ჰქონდა ჯოხარ დუდაევთან. ეს დაადასტურა თვითონ დუდაევმა და განაცხადა, რომ ამის გარდა მზადდება ოთხი პრეზიდენტის — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩეჩნეთის სახელმწიფოს შეთაურების შეხვედრა კავკასიაში. ეს შეხვედრა, თქვა დუდაევმა, დასაწყისია კავკასიური ომების დასასრულისაო. ამაზე ვიცნობდი, როცა გამოვთქვამდი მოსაზრებას, რომ კავკასიის საკითხების მოგვარება შეუძლია ამ ოთხ რესპუბლიკას გარედან ჩაურევლად. დუდაევმა აგრეთვე განაცხადა, რომ საქართველო ჩვენი მეზობელია და თავიდანვე ჩეჩნეთი კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ და ჩეჩნეთის მთავრობა თავიდანვე წინააღმდეგი იყო აფხაზეთის კონფლიქტში ჩეჩნეთის პონაწილეობისაო. ახლა აფხაზეთში სულ რაღაც 30—35 ჩეჩენია, რომლებიც არ ექვემდებარებიან ჩვენს ხელისუფლებას და გაურკვეველია მათი მოქალაქეობა და მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა აირჩია, გამოკვეთილი პრორუსული ორიენტაცია ჩეჩნეთი მას აღარ დაუჭერს მხარს. ჩეჩნეთი მომხრეა მხოლოდ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოსი. მან თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა კონფედერაციის მიმართაც. ასე რომ, თუ ეს შეხვედრა მოეწყო მართლაც ბევრ რამეს გადაფარება ნათელი...

დღეს ჯერჯერობით ავის მომასწავებელი სიწყნარეა ოჩამჩირის, მათ შორის არადუს ფრონტზე.

18 თებერვალი.

წუხელ მინდოდა „ქვიშის საათი“ მენახა. ვეღარ გავძელი, ძილი მომერია, ფიქრები არ მასვენებდა. მინდოდა გამეშიფრა ამ წუთში მოსმენილი ინტერვიუ თავდაცვის მინისტრთან ბატონ კოტოვანთან, რომელიც მოსკოვის კორესპონდენტის შეკითხვაზე პასუხობდა. კითხვაზე, თუ რა ვითარებაა სოხუმში და რა მოელის სოხუმს, მინისტრმა უპასუხა, რომ სოხუმში გამაგრებულია, დამატებითი ძალები შეყვანილია და კიდევ შეიძლენ. აფხაზები და კონ-

ფედერანტები ჩვენ ვერაფერს გვიზამენ, მაგრამ იქ დგას რუსის ჯარის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება მხოლოდ მოსკოვს და არ შედის საქართველოს იურისდიქციის ქვემდებარებაში. — თუ ეს ჯარი მიეხმარება მათ, მაშინ სოხუმის დაცვა ეჭვის ქვეშ დადგებაო.

ფრიად დამაფიქრებელი ამბავია, რა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აფხაზები არ აირჩევენ შემდეგ სტრატეგიას: თუ რუსები მათზე ნიხმარებას აპირებენ, ეს უთუოდ ეცოდინება აფხაზურ მხარეს; მაშინ აფხაზები შეეცდებიან, მანამ წამოიწყონ შეტევა, სანამ რუსის ჯარი არ გაუყვანიათ. ჩვენი პარლამენტი კიდევ ვაუმართლებლად აგვიანებს კატეგორიულ მოთხოვნას ამ ჯარის ნაწილის გაყვანის შესახებ. რუსის დესანტები რომ არ მიხმარებოდა, განა მოწინააღმდეგე გაგრას აიღებდა? განა მათ არ გაფანტეს ქართველები გაგრის შემოსასვლელთან?

როცა პარლამენტში აგორებული ე. წ. საკითხების განხილვაზე დროის ფუჭად ფლანგვაზე ლაპარაკობდა, კიტოვანმა თქვა, რომ არ არსებობს არავითარი სამხედრო გადატრიალებისა თუ გადმოტრიალების საფრთხე; ეს კულისებიდან მოგდებული პროვოკაციის ერთ-ერთი რგოლია; კულისებში კი მთელი სცენარია დაწერილი, და ძალიან გამიზნულად და ორგანიზებულად მოქმედებენ ისინიო, ვინაა, ეს ისინი? იმპერიის ბნელი ძალები შეკრული შინაურ რეაქციასთან? მოქმედ გმირებად ეპიზოდებში გამოდიან ისინი, რომლებმაც თავიანთი ადგილი ვერ მონახეს მთავრობასა და პარლამენტში და ისევ ქუჩისკენ გაუწიათ გულმა. თუ ამას გადაბწყვეტი წინააღმდეგობა არ გავუწიეთ, ხვალ საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყება. აი, როგორ სარგებლობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. შიდა წინააღმდეგობებით და მოქმედებენ. განა აჭარის ამბავიც „მოგდებული" არ არის? ახლა თუ ერთიანობა არ იქნა, მაშინ საქართველო მართლა დაიშლება და დაინგრევაო, ჩაჩი გაუკეთა მინისტრმა. პარტიები და მათი ფრაქციები ცდილობენ საბედრობი გადაკიდონ პარლამენტსო. მან სერიოზულ მოვლენად არ მიიჩნია რვა ტანკის ქობალიას ხელში ჩაგდება. ეს ტანკები ფრონტიდან ბრუნდებოდნენ დალეწილები შესაკეთებლადო.

იმ დანჯღრეულ ტანკებს აქაც შეაკეთებდნენ, რად უნდა ქობალიას ტანკები ზუგდიდში? ის არ კმარა, რომ ზუგდიდმა ხელი არ შეაშველა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს დაცვაში? ვის წინააღმდეგ უნდა დაძრას ქობალიამ ის რვა ტანკი, რომელთაც თვი-

თონ ძალიან ყარგად შეაკეთებს?! ანდა ტყვია-წამლით დატვირთული შემადგენლობა რატომ არ გადმოიცალა თავის ადგილზე? ბატონმა მინისტრმა თვითონ რატომ არ დააყენა საკითხი პარლამენტში ეშერაში განლაგებული რუსის ჯარის ბედის შესახებ? იძახიან ამ ჯარს ერთ კვირაში გაიყვანენო და მას შემდეგ ბარეორმა ტურამ იკივლა. ასეთი წაყრუებით მოხდა გაგრის ტრაგედია.

ის, რაც თბილისში მოხდება ან ითქმება ელვის სისწრაფით ახდენს ალქმას და გავლენას პერიფერიაში, განსაკუთრებით კი ფრონტის ხაზზე. ხელმძღვანელთა კინკლაობა პესიმისტურად განაწყობს ადამიანებს.

აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველობა თავგზააბნეულია და ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. აქ სრული თავდაუდგმელობაა. კოჩარლებმა აგერ სამი თვეა ვერ მოახერხეს თავიანთი სოფლის დაბრუნება. არადა, კოჩარის ხსენებაც კი ავად მოქმედებს ჩვენს მეომართა გუნება-განწყობაზე.

ჯერ იყო და კაი ხანია, რაც გამოაცხადეს, რომ იქმნება ბატალიონი „კოჩარა“. დღემდე ვერ მოხერხდა ამ ბატალიონის დაკომპლექტება. მასში მხოლოდ სამოცი კაცი შეგროვდა და ისინიც საეჭვო პიროვნებებია. კოჩარის ხუთი ათასი მაცხოვრებლიდან ერთი ბატალიონი ვერ გროვდება. რაშია საქმე? განა კიდევ იტყვით, რომ გაყიდული არ არის კოჩარა? ცაგერა, არადუ, კინდღი, ახალდაბა ინარჩუნებენ ჯერჯერობით თავისუფლებას. ჰოდა, აი, ამ ფიქრებში ვიყავი, ძილი რომ მომერია და მოსასვენებლად მივწექი, ტატიანას უდარდელად ძინავს, თუმცა, ხელჩანთები მზადა აქვს ყოველ შემთხვევისათვის. ბადრი ჩვეულებრივ გვიან მოდის, ამ საღამოს ასმეთაურ ემზარისთან ერთად შემოიარა, ხელ-ფეხი გაითბეს და საგუშაგოებისაკენ გაემგზავრნენ. ბადრიმ გუშინ, თავისი ბათინკები რომ შემოეგლიჯა ფეხზე, ახალი სამხედრო ჩექმები მოირგო და ძალიან კმაყოფილი იყო, გავთბი კაცო. ყინავს, უჩვეულოდ ყინავს, ტემპერატურა 8 გრადუსამდე ეცემა, ციტრუსების „გულის გასახარად“. არემარე ისევ გაეხვია თეთრ სამოსელში. ბადრის მოსვლა, რაც არ უნდა ღრმად გვძინავდეს, არ გამოგვეპარება. ორივეს უცბად გამოგვეღვიძება და პირველი სიტყვები რაცაა, ტატიანა იწყებს: ღუმელზე თბილი ლობიოა, შაშხიც იქნაა და წვნიანიც, ჭამეთ. ბადრის ხშირი პასუხი ამ მიწვევაზე არ სჩვევნებს, ბავშვურად ბუტიაა. ამ დროს ტატიანას გული უსკდება, იმ-

დენი უტრიალა ლობიოს გაცხელებას დედამ, შვილმა არ ინება ჭამა. მერე მე წამოვყოფ თავს, ხითქოს მაშინ გამელვიძა (ახლა გამელვიძა კი არა, ჯავრით აღარ ვარ, მოვა თუ არა ცოცხალი, არ მგონია) და განგებ შევეკითხები: „ბადრიე ხარ?“ „ჰოო!“ —არის პასუხი. მერე აქეთ მეკითხება, რა არის ახალი ინფორმაციაო? მე არ შინდა ყველაფერი მოვუყვე ის გულსახეთში ამბავი, რაც ინფორმაციით მიიღება და მოკლედ ვეუბნები — ახალი არაფერია-მეთქი. უხმოდ გაიხადა და დაწვა. რაკი შაგრად ყინავს და სხვა ოთახებში ქვემეხების გასროლით ყველა ფანჯრის მინები ჩაგვემტვრა, გადავწყვიტეთ, ერთ ოთახში დაგვეძდა სამი საწოლი, იქ, სადაც ღუმელი გვიდგას და საჭმელსაც ვამზადებთ. თუ ვინმე გვესტუმრება (სტუმარი კი ხშირი გვყავს), ყველა აქეთ გამორბის, აქ ეგულება სითბო და კუჭის დასაკმაყოფილებელიც. ასე რომ, ერთ ოთახში ვწევართ მშობლები და ბადრი, ჩვენი ერთადერთი ვაჟიშვილი. იგი ჩვენთან უმეტესად სიტყვაძუნწია, მაგრამ თუ ვინმე მოვიდა, მასთან ლაპარაკს გვიან მოათავებს და ალარ მოეშვება. თუ არ გაუმასპინძლდა. გულისხმიერი ბიჭია, თავის ლუკმას სხვას მისცემს, თუმცა თუ გაბრაზდა, მტრისას! მერე ნანობს — გულის მოსულას და ძის შედეგს, მაგრამ მაინც არ ამხელს. და ბოდიშს იშვიათად იხდის. სხვასთან კი ნურას უკაცრავად, აუცილებლად თავისი უნდა გაიტანოს, ისე დარწმუნებულია თავის აზრებში. სახარებას ხშირად იშველიებს. განსაკურთებით კი უყვარს მცნებები „არა კაც კლა!“ „შეიყვარე მოყვასი შენი!“. ამ შთაგონებით რომაა გამსჭვალული, ერთ მაგალითსაც მოგიყვანთ:

ზუსტად ღამის ორი საათი იყო. როცა დასაძინებლად დაწვა, სულ რაღაც ათიოდე წუთი გავიდა, ხვრინვა ამოეშვა და აპირებდა ღრმა ძილისათვის მიეცა თავი. ამ დროს ჰიშკართან ვიღაცამ დაიძახა: „ბადრი!“ ერთხელ, ორჯერ, თუმცა მომეტებული წნევა მაწვალებდა. მაინც წამოვდექი, პალტო მოვიხურე და გარეთ გახედვას ვაპირებდი, რომ კარებში ვიღაცამ დაუკითხავად შემოალაჯა. დავაკვირდი, იარაღისკენ ხელი წავიღე, მაგრამ მეზობელი შოთია, ჯოკიას ძმა შემრჩა ხელთ. იგი წინა დღეებში მომეხმარა, სკოლიდან ნახშირის ნარჩენები ამომატანინა ტრაქტორით, კიდევაც დამიტვირთა და გადმოტვირთა. მისი სტუმრობა როგორ მეწყინებოდა, ვხედავ, გვარიანი ნასვამია და ძალზე გულმოსული. ამასობაში ბადრიც წამოხტა, ჩაიცვა. შოთა პირდაპირ საქმეზე გადავიდა და მოსვლის მიზეზი გაგვიმხილა, გაგვიმ-

ხილა კი არა, გვესროლა. „ბადრი, შენთან საქმე მაქვს, რაღაც უნდა შეგეკითხოო!“ მაგრამ ბადრი მათი კერპია და ყველაფერს იმას ეკითხებიან. ბუნებრივია, დავინტერესდი, რა მოხდა-მეთქი?

— აქაური აფხაზები ამაღამვე უნდა გავთოკოთ და ისე მოვექცეთ, როგორც მათი „ბოევიკები“ უკეთებენ ჩვენს მიცვალებულებსო.

ბადრიმ შოთას ხელი მოჰკიდა და გვერდით ოთახში გაიყვანა. საუბარი მთელი ღამე გაუგრძელდათ, გათენებისას შოთა სახლში წავიდა, მე კი ბადრის ვეკითხები:

— რა გქონდათ, ბიჭო, მთელი ღამის სალაპარაკო, მოკლედ ვერ ეტყვი სათქმელს და გაინტერესებ-მეთქი.

„პოლიცია რომ მყავდეს, — მითხრა ბადრიმ — ორ სიტყვასაც არ ვეტყოდი, ისე გადავუგრეხდი ხელებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვმუშაობ ჩემი საკუთარი მეთოდით, რაც მხოლოდ დარწმუნებაში გამოიხატება და მე, იგი დავარწმუნე, რომ არ შეიძლება გავამართლოთ აქაური აფხაზების უფლებების შელახვა. ბოლოს და ბოლოს მაინც დაიჯერა. ასე ვაკეთებ ყველასთან. მიწა და გადავარჩინო ჩვენს სოფელში მაცხოვრებელი აფხაზები“.

მე განზრახული მაქვს ამ აფხაზების წარსულზე მოგითხრო ამ წიგნში, ომის დასასრულს თუ მშვიდობა გვეღირსა.

ბადრიმ ისევ ძილს მისცა თავი. მე და ტატიანა კი კარგა ხანს ვკამათობდით. „იგი აფხაზებს ადანაშაულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონის დედა აფხაზი იყო. ტატიანა გაწითლებით მეუბნება: „რატომ თვითონ აკეთებენ ასეთ რამეებს? რატომ არ ფიქრობენ მომავალზე?“ მე მას ვუმტკიცებ, რომ არიან აფხაზებიც ისეთები, რომლებიც გონიერულად მსჯელობენ. კიღაც გარეწარი აკეთებს რაღაცას და მთელ აფხაზებს ბრალდება-მეთქი. მისი ცდადაჯერება ცოტა არ იყოს ძნელია და მხოლოდ მაშინ გაჩერდება, როცა გვარიანად გავუწყრები.

დღეს არადუში ფრონტის ხაზი ძალთვალიერა პოლკოვნიკმა გია ვაშაკიძემ. საგუშაგოების აგებულება დაიწუნა და თვითონ მიიღო მონაწილეობა მათ გადაკეთებაში, უფრო ადრეც შეიძლებოდა ამის მოგვარება, თუმცა ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

ნახევარი წელი შესრულდა აფხაზეთში ომის დაწყებიდან.

გუდაუთის ძალისხმევით (ვიტყოდი, ეს არის იმპერიის ძალისხმევა) სოხუმთან თავს იყრიან მოწინააღმდეგის არაჩვეულებრივად დიდი ძალები და ემზადებიან გადაწყვეტი იერიშისათვის სოხუმისა და ოჩამჩირის ასაღებად. ამ ძალებში შედიან აფხაზები, ადიღეელები, ჩერქეზები, ოსები, ჩეჩნები, ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა თავზე ხელაღებული ადამიანები, ყაზაკები და რუსები. დნესტრისპირეთის რესპუბლიკამაც შეუსრულა „აფხაზეთის რესპუბლიკას“ დანაპირები და გამოუგზავნა ჯარები და ტექნიკა. (საკვირველია უკრაინის პოზიცია, რატომ გაძოატარა ეს ტვირთი თავის ტერიტორიაზე?). მდგომარეობა მეტად სერიოზული გახდა.

სოხუმში ნადარეიშვილი აცხადებს, რომ სოხუმის დაკარგვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამთავრებას ნიშნავსო, თბილისში კი მეტროს სადგურებში კისერმოზვერა ახალგაზრდები ქურდბაცაცობითა და „ჟუვაჩკის“ ღეჭვით ირთობენ თავს. სამეგრელო კვლავ განზე დადგა. ჩვენ გალის და სამურზაყანოს იმედი გვაქვს. მოწინააღმდეგე „ჰებელსის სიცბიერით“ აწარმოებს იდეოლოგიურ მუშაობას. გუდაუთის რადიოსადგურის რადიო „თავისუფლების“ ტალღაზე შეჯდა და სამურზაყანოს მოუწოდა მეგრელებისა და აფხაზების მხარდამხარ ებრძოლათ საქართველოს წინააღმდეგ (ვითომ სამეგრელო საქართველო არ იყო?!) ჩვენი კონტრპროპაგანდა კი ბუუტურობს, რა კარგად ჰქონდათ შეწყობილი იდეოლოგიური მუშაობა კომუნისტებს? განა ურიგო იქნება, თუ წინა გამოცდილებიდან საუკეთესოს ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენებთ? ასე რომ, აფხაზეთში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. მოწინააღმდეგემ მოახერხა შეექმნა ძლიერი სარდლობა და შტაბი. შეიმუშავა კარგად გათვლილი გეგმა, თუ როდის, რა გააკეთოს. „ჩვენი შემწეობით“ გახსნილი საზღვრიდან უხვად შეშოაქვს იარაღი და გვარიანად მოწყობილი სახელმწიფოსავით შექმნა სახმელეთო, მოტორიზებული, სატანკო, საავიაციო და საზღვაო ძალები. მოდი და იმტვრიე ახლა თავი. ჯერჯერობით მას თავისი გააქვს საერთაშორისო არენაზეც. ჩვენ როდის გამოგვეღვიძება? ერთი კი ცხადია, თუ სამეგრელოს შემორიგება ვერ მოხერხდა, აფხაზეთის კონფლიქტი ჩვენდა სასარგებლოდ ვერ დამთავრდება...

როცა თავი სალი აზროვნებით აეუშავდება მას ხელ-ფეხი დაეჭრილება, ფეხების შეშუპებით სისხლი სწორი გზით გაღაადგილდება, ხოლო ხელები სასარგებლო სამუშაოს შეასრულებენ. თუ ზემოდან წამოვა სწორი მითითება, პერიფერიის ყოველი კუნჭული რიგიანად ამოძრავდება.

დღეს არადუში ძალიან აქებენ პოლკოვნიკ ვაშაკიძეს. იგი გუშინ ეწვია არადუს ფრონტის საგუშაგოებს და ბევრი შესწორება შეიტანა საგუშაგოების მოწყობის საქმეში. ეს ახალგაზრდა კაცი ბარით ხელში თვითონ ჩადგა დამცველი თხრილების სათხრელად და მანამ არ მოეშვა, სანამ საგუშაგო არ მოაწესრიგა. შეიმუშავა არადუს თავდაცვის ერთიანი გეგმა და ხაზი, რომელზედაც უნდა გადიოდეს თხრილი. ძალიან კმაყოფილი დარჩნენ არადუელები ვაშაკიძის მონდომებით. თურმე საჭირო ყოფილა ზემოდან ბრძანება და ეს ასეცაა, როცა იძლევიან სამხედრო ბრძანებას სარდლობის ბანაკიდან, მას ასრულებენ ფრონტებზე და თუ არ ასრულებენ, მაშინ ისჯებიან შეუსრულებლობისათვის.

თუ არადუს აიღებენ, ოჩამჩირეს „დედა ეტირება". არადა, არადუში სტაჟიანი პანიკიორები ისევ აშინებენ მოსახლეობას. ახლა კი ნამდვილად საჭირო იქნება დამხმარე ძალები.

ერთ დეტალს მინდა გავუსვა ხაზი. ვაშაკიძეს თან ახლდა ვიღაც მხედრიონელი (თვითონ ისიც მხედრიონელია). მან ძმები შადანიები დაინახა, რომლებიც ფრონტის ხაზზე ცხოვრობენ. „ვინ არიან ესენი?" — იკითხა მხედრიონელმა. „ესენი აფხაზები არიან!" — უპასუხა გვერდით მდგომმა არადუელმა. დღესვე უნდა ავიყვანოთო, ჩაილაპარაკა მხედრიონელმა. ისინი უკვე ორჯერ იყვნენ აყვანილი. მეტი ფული აღარ აქვთო, უპასუხა არადუელმა, მაინც უნდა აგიყვანოთო, დაიჟინა „ვაჟკაცმა". ამას სოფელი არ დაგანებებთო, უპასუხა არადუელმა და ამით გამოხატა სოფლის უმრავლესობის აზრი იმის შესახებ, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენთან მაცხოვრებელ აფხაზებს არაფერი არ უნდა დაუშავდეს, ადრე თუ გვიან ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ.

ჯერჯერობით ჩვენს ფრონტზე სიწყნარეა. მერკულის სიღრმეში მთელი ღამის განმავლობაში ავტომანქანები მოძრაობდნენ. ალბათ, ხდება ძალების კონცენტრაცია.

გუშინ შეტაკებებს ჰქონდა ადგილი ბესლახუბაში, ფოქვეშსა და ლაბრაში. არის მსხვერპლი ორივე მხრიდან.

მერკულის გორასა და დანარჩენ ფრონტებზე მოწინააღმდეგის არაჩვეულებრივი გამოცოცხლება შეიმჩნევა. დროდადრო, განსაკუთრებით ღამით გამოისვრიან ხოლმე ყოველი სახის იარაღიდან, რაც კი აბადიათ. გასაგებია, როგორ ექსტაზში არიან ახლა, როცა გუდაუთიდან გაისმის მოწოდება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ იერიშით აიღონ სოხუმი. განა მარტო მოწოდებები? წარმოებს გამუდმებული კონცენტრაცია იმ კონგლომერატისა, რომელსაც შეადგენენ. სად აქვთ აფხაზ სეპარატისტებს ამდენი საშუალება, ან ვინ აძლევს მათ ამდენ ფულს, რომ კონტრაქტები გაუფორმონ და გადაუხადონ დაქირავებულებს? მარტო ქართველებს ამ ომის ყოველი დღე ათი მილიონი მანეთი უჯდება. საინტერესოა, რამდენი უჯდებათ აფხაზებს და რით ფარავენ დანახარჯებს?

მაშინ, როცა სოხუმში საქართველოს ბედი წყდება, ზუგდიდში ბატონი ქობალია „ნაფრონტალ“ ტანკებს აკაევებს და თბილისს არ აძლევს საშუალებას შეაკეთოს ეს ტანკები და ისევ ფრონტს დაუბრუნოს. ასეთი კი რვა ტანკია. არც თუ ცოტაა! ლოთი კი ვაჭრობს — მე რომ გორში ავტომანქანა წამართვით, ის გამიბრუნეთ და თქვენს ტანკებს დაგიბრუნებთო. რა ცინიზმია? ეჰ, ჩემო ვახტანგ-ლოთო, შენზე უკეთესი წარმოდგენა გვქონდა. ის მაინც რატომ არ გადარდებს, რომ შენი ძმები, მეგრელები შავ დღეში არიან აფხაზეთში? შე კაი კაცის შვილო, ჩემს მეზობლად მთელი საქობალიო აკლებული და გაქცეულია ხიზნებად. მათ სახლები გადაუბუგეს და ახლაც ყოველდღე უშენენ ტყვიას მერკულიდან, იქნებ ვინმე ნათესავი გეგულება იქ, ანდა ყველა შენი სახლიკაცები არ არიან ქობალიები? ასე მაგარი თუ ხარ, ჩამოდი და იფრინე აფხაზები, ასე რომ აიკლეს იქაურობა. თუმცა, ეს შენ არ გაწუხებს, ბატონო ლოთი. შენ უფრო ამბიციებს შეუპყრიხარ და ბალხის ბედი მაინცადამაინც არ გადარდებს. გახსოვდეს, ისტორია იწერება და როგორ შეხვალ ისტორიაში, ამას რატომ არ უფიქრდები? განა ასე იქცეოდნენ შენი წინაპრები?

წუხელ, გვიან ღამით პროგრამა „საღამო მშვიდობისას“ ვუყურებდი. ბევრი საინტერესო რამ გვანახეს, პირველად ვნახე კონფედერანტების სარდლები გროზნოდან. ერთმა მათგანმა განცხადება გააკეთა საქართველოს ტელევიზიისათვის, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფედერანტები თავიანთ აფხაზ ძმებს გასაჭირში არ

დატოვებენ, ახლა მიმდინარეობს ახალი მოხალისეების შეგროვება და აფხაზეთში გაგზავნა.

უფრო თავდაჯერილად ლაპარაკობს ბატონი დუდაევი. ჩეჩნეთმა ახალი კონსტიტუციის მიღებით საბოლოოდ გადაწყვიტა რუსეთის ფედერაციიდან გამოსულა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება. ვინ იცის, როგორ მოეწონება არძინბას დუდაევის ეს განზრახვა. არძინბა ხომ ყოველნაირად ცდილობს რუსეთის „უკანალში“ შეძრომას და თანაც უნდა მზითვად ქართული მიწა წაიღოს. არძინბა ამბობს, რადაც არ უნდა დამიჯდეს სოხუმი უნდა ავიღოო, თუ სოხუმი აიღო, კაცი ის ყოფილა და სატრაბახოც ექნება. თუ ვერ აიღო და საერთოდ განწირულია, განწირული ადამიანი და თანაც ისეთი ფანატიკოსი, როგორიც არძინბაა, ყველაფერს გარისკავს. სახიფათოა ასეთი ადამიანი. მასთან არც მოლაპარაკება ღირს და არც ნდობა. შეშლილებს დამამშვიდებელი პერანგის ჩაცმა მოუწევთ. ასეთ პერანგს უკვე კერავენ საქართველოში. საქმე იმაშია, როგორი ძაფით შეკერავენ. ძაფები კი მეტად სუსტი აქვთ და ცხაა საშიში, თორემ, თუ მაგარი ძაფები მონახეს ამ პერანგის შესაკერად, მისი გადაცმა ბატონ არძინბაზე არ იქნება ძნელი საქმე.

16 თებერვალი.

წუხელ ისევ მოვიდა თოვლი, სიცივე ძვალ-რბილში ატანს. საგუშაგოებზე ბიჭებს ზოგს ახალი დაბამბულები აცვია. ზოგს დაგლეჯილი რეზინის ჩექმები, თუმცა, ბიჭებს იმდენად სიცივისა არ ეშინიათ, რამდენადაც პანიკისა სოხუმის აღების თაობაზე. სატელევიზიო გადაცემებმაც ნაცთი დაასხეს ცეცხლზე. გაუთავებლად უხმობენ, დაბრუნდნენ შინ აფხაზეთში მებრძოლი მეომრები. ეს მოხმობა ხალხმა ოჯახების შეჭირვებით გამოწვეულ მოხმობად კი არ მიიღო, არამედ გადარჩენის შიშმა განაპირობა. ნუთუ თავდაცვის მესვეურთ არ გაეგებათ, რომ ასეთი მოხმობები პანიკას ქმნის სრულიად საქართველოში?

სრულიად საქართველოს ბედი კი დღეს სოხუმში წყდება. ქვეყანაში შემოსაღებია არა რაღაც შუალედური, არამედ ნამდვილი ომის მდგომარეობისათვის მისადაგებელი საგანგებო წესები. თუ საველე სასამართლოები არ ამოქმედდა, წესრიგი ვერ დამყარდება...

რუსეთი ჰირვეულობს, ახლა აჭარაზე წაგვასისინა. ვინ იცის,

რა ხდება. მრავალპარტიულობამ და მრავალფრაქციულობამ თვითონ ქართველები არივდარია და რა გასაკვირია, რომ აჭარაშიც არ იყვნენ განხეთქილების მოთავენი. იმათ შეიძლება თურქეთისაკენ უჭირავთ თვალი? კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩადებული დაყოვნებული მოქმედების ნაღმები (ავტონომიები) ამოქმედდა. კიდევ არის სხვა დანაღმული ადგილები საქართველოში: მესხეთ-ჯავახეთში, ახალქალაქ-ადიგენში, დმანისსა თუ ბოლნისში, სვანეთსა თუ რაჭაში, იმერეთში და რომელიც გნებავთ კუთხეში. მტერი ყველაფერს იღონებს, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. აქ გასჭრის მხოლოდ აღმშენებლისეული სტრატეგია და ტაქტიკა და არა რაღაც ზღაპარი დემოკრატიის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხი პანიკაშია ჩავარდნილი მოსალოდნელი შემოტევის გამო, მაინც არიან ადამიანები, არადუს (და არა მარტო .არადუს) მაცხოვრებლები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მიწის სამუშაოების თადარიგს. ზოგი ბარავს საბოსტნეს, ზოგიც ნერგის გამოსაყვან სათბურს მართავს. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ისმის ფრინველთა ჟრიამული. ნადირ-ფრინველი უკეთესად გებულობს გაზაფხულის მოახლოებას და ბუდობისათვის თადარიგს იჭერს, თუმცა სადღაა ნადირ-ფრინველი. ტყე გააჩანაგეს, ნადირ-ფრინველი კი ტყეში იდებს ბინას. ასე ნელ-ნელა, შეუმჩნეველად მიჰყავს ადამიანს თავისი თავი კატასტროფისაკენ.

ზევით, ჩემს სამუშაო ოთახში, ნაჩუქარი ბიბლია დევს. ამ წიგნში შესაშური წინასწარმეტყველებით წერია ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს. ხშირად ვფიქრობ, მართლა ხომ არ მოვა მეორედ მოსვლის ჟამი. მგონია, რომ იგი უკვე დაიწყო და მიმდინარეობს. აბა, რას უნდა მივაწეროთ ხალხების ასე არევა და ერთმანეთზე გადაკიდება?

17 თებერვალი

აგერ თითქმის ორ თვეზე მეტია ჩემი მეზობელი ბაქო, რომელიც სოხუმში ცხოვრობს და დედისეული სახლი არადუში აქვს, სოფელში არ გამოჩენილა. ჰოდა, ჩვენი ბაქო გუშინ მოულოდნელად ჩამობრძანდა სოხუმიდან არადუში. ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს სოხუმის მაცხოვრებლები-მეთქი, მან შეშინებულმა მიპა-

სუხა, რომ მოწინააღმდეგემ გუმისთასთან მოუყარა თავი რაღაც ახალ და საშინელ იარაღს და სოხუმის მოსახლეობა ძალიან შეშინებულიაო. როცა ვუთხარი, თუ რას ფიქრობენ ჩვენი მებრძოლები-მეთქი, მან უმწეოდ ჩაიქნია ხელი, დაიღალნენ და პოტიკობენო, თუ სოხუმში მართლა ყველა ასეა შეშინებული, როგორც ეს ბაქომ დაგვიხატა, ცუდად წაგვსვლია საქმე.

ასეთ ფონზე სარდლის გამოჩენა დიდ მორალურ ზეგავლენას ახდენს ხალხზე. თუ რას აპირებს სარდალი, ეს მხოლოდ სარდალმა უნდა იცოდეს. წინა წყნარი დღეების შემდეგ ოჩამჩირიდან გასროლილი საარტილერიო ჭურვებით გვარიანად აუწვეს ზურგი მერკულის გორას, სროლები ისმოდა უფრო დაშორებითაც ბესლახუბისა და ტყვარჩელის მიმართულებით. ჩვენთან კი არადუში „ბობოქრობდა“ ერთი ტანკი, რომელსაც ნასვამი ეკიპაჟი წალმა-უკუღმა დააჭროლებდა სოფლის გზებზე. ტანკი ხშირად გადადიოდა ფეხით სავალ გზებზე. ზოგს ქუჩის წყალსადენის მილები ჩაუმტვრია და ზოგსაც სხვა რამ გაუფუჭა. ერთი-ორჯერ ერთ-ერთ საგუშაგოდან მაზანკის მხარეს მიმართა ქვემეხის ლულა და ორმოცამდე ჭურვი გაისროლა. შვებით ამოვისუნთქე, მეგონა მოწინააღმდეგის საგუშაგოები სამუდამოდ გაანადგურა-მეთქი. შემდეგ კი ოჩამჩირისაკენ მოქუსლა. ამასობაში საღამოც მოახლოვდა და სწორედ იმ მხრიდან, სადაც ერთი საათის უკან ტანკი ესროდა, გრანატმტყორცნის ჭურვები სეტყვასავით წამოვიდა. გამუდმებული მეხის ვარდნა გეგონებოდა ფრონტის ამ უბანზე. ზოგი ჭურვი ეზოებში ვარდებოდა. საბედნიეროდ, სახლებს არ მოხვედრია, ზოგსაც ჩალისა და თივის ზვინები გადაუწვა. მძიმედ დაიჭრა ჩვენი ერთი მებრძოლი ბიკენტი კოპალიანი, იგი ოჩამჩირის ჰოსპიტალში წაიყვანეს. მტრის მხრიდან ისმოდა ეპიზოდური სროლებიც. მოწინააღმდეგე ნამდვილად გვჯობნის თავისი ეშმაკობით: ასე განსაჯეთ, ჩვენთან მოდიან ტანკები ან ქვემეხები, გაუშვებენ ზალპებს არა დამიზნებით, არამედ ისე, თითქოს რაღაც გეგმა, თუ დავალება შეასრულეს და უკან ბრუნდებიან. იმას კი არ დაგიდევენ, რა გააკეთა მათმა ნასროლმა ჭურვებმა. აფხაზები ერთსაც არ გაისვრიან იმ მომენტში, როცა ჩვენები ისვრიან, მაგრამ წავლენ თუ არა ჩვენები ოჩამჩირეში, მოგეცა ლხენა, დაგვიშენენ და დაგვიშენენ და ხელიდან გვაცლიან ადამიანებს. შეჯგუფებული არადუელები ყვირიან, ქაქანებენ, იგინებიან ტანკისტების მისამართით და გამოთქვამენ სამართლიან საყვედუ-

რებს: ცოტა ხნით მაინც გაჩერდნენ ადგილზე, სროლის შემდეგ, რომ გარბიან და მარტო გვტოვებენო. გაივლის ხანი და ტანკისტები საერთოდ აღარ მოდიან. ვის ევალება და ვის არა, მიაკითხავს ოჩამჩირის შტაბს, რატომ მიგვატოვეთ, ქვემეხები და ტანკები გვმოგვიგზავნეთო. ისინიც მოვლენ, შუა სოფლიდან უმისამართოდ გაისვრიან და გაისვრიან, კარგად შეზარხოშდებიან, კიდევ გაისვრიან, სახლებს ფანჯრებს ჩაუმტვრევენ და ისევ გაიქცევიან ოჩამჩირეში. აი, ასე გამოიყურება ბრძოლის ორგანიზაცია ჩვენს ფრონტზე. იქნებ სარდლის გამოჩენამ წესრიგი დაამყაროს და ომი რამდენიმე ორგანიზებულ ომს დაამგვანოს.

18 თებერვალი.

გუშინდელ ქარაფშუტა დარს, ტანკებისა და ქვემეხების „ჰიხვინს" და ურთიერთ სასიკვდილო განწირვას თან დაერთო დღევანდელი თოვლ-ჭყაპი. თითქოს ბუნებამ გამოიტირა ჩადენილი სისაძაგლე და არაკაცობა.

გუშინ, მას შემდეგ, რაც ტანკისტებმა პოზიცია მიატოვეს, აბდაუბდა გასროლების შემდეგ, მოწინააღმდეგემ გრანატები დაგვიშინა. დამიზნებითი გასროლით მოგვიკლეს სოფლის კიდევ ერთი მცხოვრები ბიკენტი კოპალიანი. იგი საავადმყოფოში მისვლამდე გზაში გარდაიცვალა. ბიკენტი რუსეთში მუშაობდა. იქ დაკოლშვილდა და თავისი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი რუსეთში გაატარა. როცა გაიგო, რომ სამშობლო განსაცდელში ჩავარდა, მას გულმა მშობლიური არადუსაკენ გამოუწია. მაშინვე ჩადგა არადუს დამცველთა რიგებში. გასულ წელს მან აქ საკარმიდამო ნაკვეთი აიღო, დაამუშავა, ხეხილისა და ციტრუსების ნერგებით აავსო, პატარა ქოხიც ჩადგა შიგ. კაცი მომავალზე ფიქრობდა და აი, გუშინ, ერთი საგუშაგოდან მეორეზე გადავიდა, იქ შეჩერდა, სადაც აფხაზი შადანიები ცხოვრობენ. აფხაზ თანასოფლელებს გამოელაპარაკა და ამ დროს მეორე მხრიდან მას დამიზნებით ესროლეს აფხაზებმა, მაშინ, როცა ბიკენტის მათ ძვირს ვერ ათქმევინებდი. ბიკენტი ავთოს ბიძაა, იმ ავთოსი, რომლის ორმოციც გადაიხადა ჰირისუფალმა წინა დღეებში. სამნი ძმანი იყვნენ გუშერა, ბიკენტი და რომანი. ახლა ორნი დარჩნენ—გუშერა და რომანი. გუშერას შვილი მოუკლეს—ავთო. ავთოს ჯერ ცოლისძმა და შემდეგ სიმამრი

მოუკლეს კოჩარაში. ასე განადგურდა ეს ოჯახები და ჯერ, ვინ იცის, რა მოხდება. ისინი პირდაპირ ცეცხლის ხაზთან ცხოვრობენ.

ამ დილით ვახო გვესტუმრა, მოფერებით მას ვახუშტის ვეძახით და მასაც თავი მოსწონს. წუხელ გვიან ბაღრის „დაბეგვილ" მანქანას გზაში ბენზინი გამოლეოდა და ფეხით იკადრა სიარული ამ ტალახში. დიდი უცნაური კაცი კია ბაღრი. ჟინით ბაბუის მაძას ჰგავს და ხშირად ნიკოიას ვეძახით, ზედმეტად კეთილია და ალალი, ამით უფრო მამას ემსგავსება. ცხოვრობს ალტერნატიული ცხოვრებით, უყვარს დღისით ძილი, ღამით მუშაობა, კითხვა, ნადირობა. რაც არ უნდა სუსხი იყოს, თავს დაიბანს ყოველ დილით, მაგრამ არაეითარი ქუდი. ერთხელაც იყო დავაძალე ქუდის დახურვა და ჩემი ახალი სვანური ქუდი მოვარგე. მეორე დღეს უქუდოდ მოვიდა და ერთი თვე დამჭირდა ქუდის მოსაძებნად. ახლაც, წუხელ გვიან მოვიდა და მაშინვე დაწვა. ერთი კი ჩაიბუზღუნა, ბიკენტი მოგვიკლესო, სულ გამიფუჭდა ხასიათიო. ამ დილით საუბარი ჩამოვაგდეთ მოკლულზე. მე ვთქვი, რომ ვერ წარმომიდგენია როგორ აჭაურმა დამიზნებით ესროლოს ჩვენს მოსაზღვრე აფხაზს. ისინი ხომ ჩვენი მეზობლები არიან-მეთქი და რატომ გააკეთა იმ არამზადამ, ამ ალალ-მართალ კაცს გულში ტყვია რომ გაერჭო. ბაღრიმ ამოიხვნეშა და დანანებით წარმოთქვა: ამას წინათ საგუშაგოზე მხედრიონელი და არადუელი ერთად მორიგეობდნენ, მეორე მხრიდან შენიშნეს, მხედრიონელმა იარაღი მოიმარჯვა და დაუმიზნა (არადუელს იარაღი არ ჰქონდა), როცა სამიზნეში გახედა, შეჩერდა და იარაღი დაუშვა, თან დანანებით ჩაილაპარაკა, ჭალიაო. მერე რა, — შეეკამათა,—არადუელი, სულერთია, ესროლეო, მხედრიონელმა იუარა: როგორ, ჭალი მოვკლა ვაჟკაცმაო?. მართლაც რომ მხედრიონელმა თავისი მხედრულობა გამოიჩინა. ნეტავ ყველა მხედრიონელი ასეთი ვაჟკაცი იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მხარის უმეტესობა ვაჟკაცებია და საღად მსჯელობენ, მაგრამ დამპალი ბალახი ყველა თივის ზვინში ურევია და თავისებურ სუნს გამოსცემს.

19 თებერვალი.

დღეს გამოიდარა, თუმცა, სუსხი მაინც საგრძნობია. ტემპერატურა ღამით ნოლს ქვევით ჩამოდის, დღისით კი სითბო თხუთმეტ გრადუსამდე აღწევს. მძიმედ, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ცოცხლდება ბუნება. იბერება თხილისა და ტყემლის კვირტები. მიუხედავად სა-

ომარი მდგომარეობის უიმედობისა, გლეხკაცი მაინც მოსავალზე ფიქრობს. მეც საგონებელში ვარ ჩავარდნილი. შემოდგომაზე გვარიანად მოვიმარაგეთ სარჩო, მაგრამ ის რომ შემოგველევა, მერე რა ვქნათ? ჩვენი ხელფასებითა და პენსიებით რა უნდა ვიყიდოთ? მანეთის კურსი კატასტროფულად ეცემა. ისევ მიწას უნდა მოვეფეროთ. იქნებ მიწამ გადაგვარჩინოს, თუმცა ამ მიწისათვისაა გაფთრებული ბრძოლა, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ, რაც არ უნდა ვიომოთ, უჭმელად არც ქართველები ვარგა და არც აფხაზები. იქნებ იქაურმა მუშაკაცმა მოიფიქროს და შეეხმიანოს ჩვენს მუშაკაცს: გვეყოფა ამდენი კინკლაობა, აწი საქმეს მივხედოთო, თუ ერთს ჰკუა გამოელია, მეორემ უნდა ასწავლოს. ის ლაწირაკი, ავტომატის იმედი რომ აქვს და წარამარა ხოცავს ადამიანებს, ან თვითონ დაიხვრიტება, ანდა აქედან გადაიხვეწება. ჩვენ კი, ჩვენ ხომ უნდა დავრჩეთ და ვიცხოვროთ ერთმანეთის გვერდით. ის გარეწარი მანამდე ხომ აფუჭებს ყველაფერს?

მთელი დღის განმავლობაში ტყვიასა და ნაღმებს უშენდნენ არადუს. ჩვენ იქით არ მივდივართ ერთი ნაბიჯითაც კი, ისინი კი ირგვლივ შემორტყმულან და დღედაღამ მოსვენებას არ გვაძლევენ. არადა, ხალხი პანაშვიდზე მიდის ჭირისუფალთან. სოფლის თავში მკვდარი ასვენია, მათი ტყვიით მოკლული. იმ მკვდრის ჭირისუფალთან მიდიან. მიდიან ტყვიის ქვეშ, ჩერდებიან, კვლავ მიდიან და საბოლოოდ ემშვიდობებიან. განსვენებულს, მან ხომ საქართველოს მთლიანობას შესწირა თავი.

არ ვიცით, რა კეთდება იმისათვის, რომ ომი მალე დამთავრდეს. ინფორმაციას ნაკლებად ვღებულობთ. კვლავ ცდილობენ პარლამენტის გაახლებას და სათათბიროებად დაქსაქსვას. დღეს დილით რადიოსადგური „თავისუფლება" გადმოსცემდა, რომ თბილისში ირაკლი წერეთლის თავმჯომარეობით დაიწყო ახალი კონსტიტუციის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება. ბატონი შევარდნაძე ხახელმწიფოს მეთაურია და ალბათ, პარლამენტთან შეთანხმებით შეადგენს კოლეგიას კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად, მაგრამ ეს უნდა მოხდეს პარლამენტში და არა სათათბიროში.

დიდ ამბებს მოელიან 21 თებერვალთან დაკავშირებით, თუმცა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ზეიკიძემ დაიჩემა, რომ უნაკლოდ შეასრულებს სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამო-

ცემულ ბრძანებას თბილისში წესრიგის დამყარების თაობაზე. ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს, თორემ ძალიან კი აიშვეს თავი ამბიციებს აჩრდილივით აყოლილმა ხალხმა.

20 თებერვალი.

თბილისს მოულოდნელად ვიზიტად ეწვია რუსეთის ვიცეპრემიერი შახრაი და რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ეროვნებათა შორის ურთიერთობის საკითხებში. შახრაიმ თავის ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის საკითხი დაკავშირებულია მშვიდობასთან მთელს ჩრდილო კავკასიაში და არ შეიძლება ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდესო. აფხაზეთის საკითხი უნდა მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის პირობებში. ეს კარგია, მაგრამ, აბა, ჰკითხეთ არამკითხე შანიბოვს. მას გუდაუთაში მოუკალათებია და აცხადებს, დაიწყო ქართველებთან ასწლიანი ომიო. ასე რომ, აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობს დაქირავებულთა მთელი ალიანსი. მე კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა ჩემი გაკვირვება, ვინ უხდის ამდენ თანხას ამ დაქირავებულებს?

არც ქართველები არიან ობლად მიტოვებულნი, წუხელ „ქვიშის საათში" გადმოსცეს, რომ მთელი რიგი ქვეყნებიდან, მათ შორის რუსეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან და თვით ჩეჩნეთიდანაც კი, აგრეთვე საქართველოში მცხოვრებელმა ყველა ეროვნების ადამიანებმა სურვილი გამოთქვეს მოხალისედ წავიდნენ საქართველოს მთლიანობის დასაცავად. ასე რომ, თუ საჭირო გახდა ქართველთა მხარეზე სხვადასხვა ქვეყნების მოხალისეთა მთელი არმიები იბრძოლებენ, მაგრამ ვის უნდა ებრძოლონ? რა თქმა უნდა, არა აფხაზებს, მაგრამ გადამთიელებს კი უსათუოდ უნდა გასცენ პასუხი. აფხაზეთში ჩაკეტილი რკინიგზა ერთნაირად სჭირდება თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანას, იგი არ შედის მარტო ქართველთა ინტერესებში. მოგაგონებთ, რომ პირველი სატელეფონო კავშირგაბმულობა ინგლისსა და ინდოეთს შორის ამ გზით გადიოდა. ეს სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო გასასვლელია. მეტი რაღა გინდათ? ვის აწყობს მისი ჩაკეტვა? იმათ, ვინც ფიქრობს ხელი შეუშალოს საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მაგრამ მართალი ბრძანა ამას წინათ გორბაჩოვმა — „ქართველი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება დანაწევრებასო..."

სოხუმსა და ოჩამჩირეს კვლავ არა აქვს შუქი. კვლავ მიიტანეს იერიში თავზე ხელაღებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა იმ უბნებზე, რომელზედაც მოქმედებით შეიძლება მეტი ვნება მიაყენონ ქალაქებს — სოხუმსა და ოჩამჩირეს და ხელთ იგდონ ისინი. გამოუვათ კი? ესეც ქართველების ერთმანეთთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული. შინაშლილობა კი გრძელდება. ავის მოსურნენი ავად მოქმედებენ და ერთიანობისაკენ არ ისწრაფვიან. ავი ძალები იმედებს ამ მომენტზე ამყარებენ და მოხერხებულად იყენებენ ახალგაზრდა ცხვარ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხალხის სახელით ლაპარაკობენ ხვალ, 21 თებერვალს მათი სათათბიროა მოწვეული.

ამ სათათბიროს გარეკვა უნდა, თორემ პარლამენტსგარე ჩურჩული ვინ იცის, ნაცად ქუჩის ყვირილში არ გადაიზარდოს.

არადუში კვლავ ისმის სროლის ხმა. განსაკუთრებით მძაფრი სროლები იყო წუხელ. სადაც ბიკენტი ასვენია, მტერმა-მეზობელმა (აფხაზები მყავს მხედველობაში) კარგად იცის, რომ იქ ხალხი იქნება თავშეყრილი და განიზრახა მათი ამოხოცვა. დროზე გაიგეს ბიჭებმა და ზურგი აუწვეს. იქითა მხრიდანაც გაისმა წივილ-კივილი და ალბათ, აქედან გასროლებს ვიღაც შეეწირა.

მაზანკიდან ცეცხლის დაშენის შემდეგ სოფელში ძაღლი გვესტუმრა. დიახ, ძაღლი. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ძაღლი გვესტუმრა მოწინააღმდეგე მხრიდან. კარგი, ამაყი, ზორბა ნაგაზი, კისერზე შებმული ლამაზი ყელსაბამით. მაზანკასა და არადუს შორის ჩაის პლანტაციებია გაშენებული. აი, ეს პლანტაცია გადმოკვეთა ნაგაზმა და ქართველებს მოაკითხა. ჯერ ეზოებზე გადასახტომები დაზვერა, აქაური ძაღლების ყეფას დააყურადა, მერე ისკუპა და ორმეტრიან ღობეს ფრინველივით გადაევლო. სახლს მიუახლოვდა. პატარა, მაჩვის ფეხებიანი, მაგრამ ალერსიანი მურია ქართული სტუმართმოყვარეობით შეეგება დაღვრემილ გოლიათ ნაგაზს და სახლში მიიპატიჟა. სტუმარს იქ მასავით გოლიათი, დინჯი და სტუმართმოყვარე ნაგაზები ელოდებოდნენ. მურიამ სტუმარი მასზე არანაკლებ ზორბა და ამაყ ნაგაზებს წარუძღვინა. მათ ღრენით, კუდების ბზეკითა და ხეებზე შარდზე მიდგომით ამცნეს ერთმანეთს, რომ იშორებდნენ ყოველგვარ ჰუჰუყსა და საწამლავს, რაც მათ ორგანიზმში ჩაგუბებიათ და იწყებდნენ ახალ ცხოვრებას. შერე უკანა ფეხებზე წამოიმართნენ და წინა თათები ერთმანეთს მოხვიეს. ამით მეგობრობის ფიცი დადეს. შემდეგ გომურში თივა მოძებნეს და საბაასოდ

დასხდნენ. მოსულმა ნაგაზმა დამსვდურთ ამცნო, რომ მას აქლახან პატრონი მოუკლეს და თავშესაფარი ითხოვა.

თავშესაფარი კარის მეზობელმა ქიშვარდიმ მისცა. სახელად ბელია დაარქვა (რადგან ნაგაზი მოთეთრო ფერისაა და ქართული არ ესმის). ნაგაზი დღედაღამ ყეფს, რითაც ყველა გამვლელს აცნობს მისი პატრონის დაღუპვას. ერთხელ ღამით ბელია გაუჩინარდა. მაგრამ იგი კვლავ გამოჩნდა დილით. ვინ იცის, რა უთხრა აფხაზებს მან, თუმცა იგი მაშინვე უკან გაბრუნდა და ჩვენგან წასვლას მგონი აღარ ფიქრობს...

21 თებერვალი.

დღეს სახელმწიფოს მეთაური სოხუმს უნდა ჩამოვიდეს. ეს თვითონ მან განაცხადა წუხელ. მანვე გვითხრა, რომ აგერ, ათი დღეა სოხუმს არ აქვს შუქი, წყალი, არ ცხვება პური, ხალხი უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. სოხუმში იმყოფებიან გენერალი კამკამიძე, დაზვერვის უფროსი ბათიაშვილი და სხვები. ამას წინათ ბათიაშვილი სერიოზულად დაემუქრა რუსეთს, თუ იგი (რუსეთი) ასე გააგრძელებს აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაციას, მაშინ საქართველო მისთვის მეორე ავღანეთად გადაიქცევაო. მოწინააღმდეგე კი კვლავ ფაფხედობს. სოხუმში, გუმისთაზე მოვლენათა ანალიზები უჩვენებენ, რომ იმპერია მოხერხებულად ათამაშებს აფხაზურ, ოსურ თუ სხვა კარტებს. ცხადი გახდა, რომ შევარდნაძე არ აწყობს რუსეთს. მისით განსაკუთრებით უკმაყოფილოა რუსეთის სამხედრო ძალები, კერძოდ, ისინი, ვინც ევროპაში და მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებით, ფუფუნება დაკარგეს. ვინ არ მიხვდება, რომ აწყობდეს შევარდნაძე რუსეთს, მაშინ რუსეთი აფხაზურ მხარეს შეასუსტებდა და აქ ომის დამთავრებას შესაძლებელს გახდიდა. მართლაც, დიდი დიპლომატიაა საჭირო, რათა მიგნებული დემარშებით პირში ჩალაგამოვლებული დარჩეს „თეთრი დათვი“. ამას შევარდნაძე მოახერხებს, ხელს რომ არ უშლიდეს შინააშლილობა და მინიპარტიების განზე გადგომა და კინკლაობა. საინტერესოა, შედგა თუ არა დღეს ფილარმონიაში დაგეგმილი კონფერენცია, ასე რომ უკეთებდნენ რეკლამას. ახლა უმჯობესია სოხუმზე იფიქრონ იმ დალოცვილებმა, თორემ საქართველო მართლა დაინგრევა ხუხულასავით და მერე მის აწყობას

საუკუნეებიც არ ეყოფა. იქნებ, ისევ საგანგებო წესების შემოღებამ გადაარჩინოს საქართველო.

დღეს ბიკენტის ასაფლავებენ. ვნახოთ, რა აქვთ ჩაფიქრებული აფხაზებს საღამოსათვის. ჩვენი ბიჭები მზად არიან ყველაფრისათვის.

შემაშფოთებელი ამბები მოვიდა სოხუმიდან. მოწინააღმდეგის მიერ ცეცხლის დაშენა გუმისთიდან ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავია ისიც, რომ სოხუმს ბომბავენ რუსეთის თვითმფრინავები ბომბორიდან, ასე იყო ამჯერადაც. თვითმფრინავი რვაჯერ გამოფრინდა გუდაუთის მხრიდან და არ მოეშვა სოხუმს, სანამ მიკრორაიონში ოცამდე სახლი არ დაანგრია. არიან დაჭრილები და დახოცილები. დაიჭრა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტი თენგიზ პაჭკორია, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა კორესპონდენტებს მომხდარის თაობაზე. დაიჭრა მისი დედა, მამა კი გარდაიცვალა. ასე „ივაჟკაცა“ დღეს რუსმა მფრინავმა. ალბათ, კარგი გასამრჯელოც აიღო ამისათვის...

შეკითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინეს რუსებმა ეს გუდაუთის აეროპორტიდან, მათ უთხრეს, რომ ეს იყო პასუხი ეშერის ლაბორატორიის დაბომბვის შედეგად. როგორც ვხედავთ, რუსეთი აშკარად ჩაება ჩვენთან ომში. ფაქტი სახეზეა და ეს იმ დროს, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დასადებად.

მაგრამ არც ქართველებს სძინავთ. დღესვე პარლამენტის ოპოზიციურმა ფრაქციებმა, პარლამენტის გარე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა კონფერენცია გამართეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მიიღეს რამდენიმე რეზოლუცია, მათ შორის მთავარი ისაა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ათვლა დაიწყოს 1921 წლის 21 თებერვლიდან, იქიდან, როცა პირველად იქნა მიღებული საქართველოს კონსტიტუცია და დაფიქსირდეს, რომ სამი დღის შემდეგ 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია და თუ ეს არ მოხდება, მაშინ შეწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკება რუსეთთან. აქ კი ნამდვილად იმარჯვა წერეთელმა და ყველას მოულოდნელად წამოაყენა ნამდვილად კონსტრუქციული მოსაზრებები, ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მეთაურის დიდ ძალისხმევას კონსენსუსის მიღწევის გზაზე. მიუხედავად რაღაც მოლოდინისა, ქუჩაში არავინ გამოსულა და

არავითარი მიტინგები არ გამართულა. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

ვინ იცის, გათავხედებული რუსეთის მოჭკვიანებისათვის საქართველოს მიმართებაში იქნებ ასეთი შეკრება სასარგებლოც კი იყოს. ამას დრო გვიჩვენებს.

22 თებერვალი.

დღეს სახელმწიფოს მეთაური და მისი თანმხლები პირები სოხუმიდან ოჩამჩირეს ეწვივნენ. ხალხმრავლობა იყო ამ დროს ოჩამჩირეში. დახურული კარის მიღმა თათბირის გამართვის შემდეგ ბატონი შევარდნაძე შეგროვილ ხალხს შეერია. გამორიცხული როდია, ვინმე თავზე ხელაღებულმა ხელი აღმართოს მეთაურის მიმართ, თუმცა ეს მას არ აშინებს. მართლაც, ასეთი ნდობით იყვნენ გამსჭვალულნი, მას თავისუფლად ელაპარაკებოდნენ, ზოგიც ემუდარებოდა, უფრო მეტად კოჩარლების ვედრება მოგხვდებოდათ თვალში. რაღაც სიმბოლური იყო იმაში, რომ, როცა კოჩარელმა გივი ბელქანიამ მიმართა ბატონ ედუარდს, კოჩარას უჭირსო, ედუარდმა ქვეშეცნეულად უპასუხა, რომ „თუ ერთად ვიქნებით, მაშინ კოჩარასაც ეშველება, გაგრასაც, ლესელიძესაც, ეს არის მთავარი, თორემ თუ ერთად არ ვიქნებით, მაშინ დავიღუპებით, დავნაწევრდებით და დავქუცმაცდებითო“. ეს ნათქვამი თანაბრად ეხება საქართველოს ყველა კუთხეს, მათ შორის კოჩარასაც. კოჩარაში რომ ერთიანობა ყოფილიყო რას გახდებოდა მოწინააღმდეგე?

არადუდან კიდევ ორი ახალგაზრდა დაიკარგა გივი ბენიძე და ფრიდონ არჯევანიძე. ისინი ტრაქტორით წასულიყვნენ ტამიშში. იქ ზანთარიებმა ჩაიგდეს ხელთ და ტყვედ აიყვანეს. რა ბედი ეწიათ მათ, შემდეგ მოგითხრობთ. მაგრამ დასანანი ისაა, რომ ზოგ-ზოგები არადუდან დაუდევრობით იგდებენ თავს ხიფათში, ღმერთმა ქნას, რომ ისინი ცოცხლები გადარჩნენ,

ბადრი და მე ვცდილობთ აქაური აფხაზები იმაში მაინც დავარწმუნოთ, რომ საჭიროა შეიგნონ, ამ ომში აფხაზობას გადაშენება ელის, თუ ისინი რუსეთთან შეერთებას აიკვიატებენ. თუ ომს დროულად არ შეწყვეტენ ისინი ამ ომში ამოწყდებიან. დავუშვათ, რომ რუსეთმა შეინარჩუნა აფხაზეთის დღეს მიტაცებული ნაწილი, მაშინ მთლიანად გარუსდება აფხაზობა და რუსეთი განაბნევს

მათ მთელს თავის ტერიტორიაზე, დაიწყება ე. წ. მეორე მაჰაჯირობა. აფხაზების გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ ქართველებთან ტრადიციული ურთიერთობაა, რომელიც დღესაც გრძელდება (სოხუმში ომის პერიოდში რვა აფხაზი და ქართველი შეუღლდა).

23 თებერვალი.

საბჭოთა არმიის შექმნის დღე. დიდი ზარ-ზეიმით ტარდებოდა ეს დღესასწაული კომუნისტური რეჟიმის დროს. ქალები მამაკაცებს საჩუქრებით ულოცავდნენ ამ დღეს. მაგონდება, ერთმა რუსმა მანდილოსანმა როგორი მოწიწებით მომილოცა მამაკაცების დღესასაწული გაგრის ერთ-ერთ სანატორიუმში და დიდი რუდუნებით საჩუქრად გადმომცა პატარა, მოჩუქურთმებული ჭადრაკი. თუმცა მწარედ დამამახსოვრდა ის, რომ იმავე სანატორიუმში თითო-ოროლა დამსვენებელ ქართველებს „მოამბეზე" ტელევიზორის გადართვას არ ანებებდნენ. რუსებს „ველიკორუსული" სულისკვეთება გენებში აქვთ გამჯდარი და ბუნებრივია, დღესაც მოსკოვში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს 23 თებერვალი. როგორც რადიო „სვობოდას" კორესპონდენტს დაუთვლია, 150 ათასზე მეტი დემონსტრანტი გამოსულა წითელ და მანეჟის მოედნებზე. პოლიცია პარალიზებული ყოფილა. დიდი რიხით გამოდიოდა „ვარდისფერი" სერგეი ბაბურინი და ელცინს ემუქრებოდა. ვიღაც ქალი მოითხოვდა სტალინის „გაცოცხლებას", ისე კი, თურმე უხვად მოჰქონდათ სტალინის პორტრეტები. ასე რომ, რუსეთში დემოკრატები ნოკაუტში ჩააგდეს პროკომუნისტებმა. თუ „აჩრდილიდან" მთელი რიგი სახელმწიფოები კომუნისტური გახდა, რა გასაკვირი იქნება, რომ ელცინი და მისი დემოკრატები არ გადმოაყირავონ და სათავეში ისევ კომუნისტები არ მოექცნენ. ბაბურინ-ჟირინოვსკის გეგმები ნელ-ნელა იდგამს ფეხს, მერე, შეიძლება არჩევნებითაც დაკანონდეს მათი არსებობა. მაშინ?! ამისათვის, მგონი, ლიტვის მაგალითიც კმარა... ჩვენ ჩვენი პრობლემები გვაწუხებს, თუმცა ეს პრობლემები გორდიას ძაფითაა გადანასკვული იმასთან, თუ როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთში. 20 თებერვალს რუსეთის თვითმფრინავმა სოხუმი დაბომბა, 21 თებერვალს რუსეთის თავდაცვის მინისტრი, გენერალი გრაჩოვი რიხით აცხადებს, რომ გუ-

დაუთიდან და ბათუმიდან რუსეთი ჯარებს არ გაიყვანს, რამდენადაც ეს (თურმე) შედის რუსეთის სტრატეგიულ მიზნებში. ამაზე და ე. წ. რუსეთ-საქართველოს კომუნიკეს ირგვლივ მთელი დღე მიმდინარეობდა სჯა-ბაასი და ცხარე კამათი საქართველოს პარლამენტის სხდომაზე. გადაწყდა, გრაჩოვის „ჰიკჰიკზე“ პარლამენტმა გააკეთოს საჭირო განცხადება, რომლის ტექსტსაც ხვალ დაამტკიცებენ.

24 თებერვალი.

მოვლენებით სავსე დღეებია. აფხაზთა და ქართველთა სიძულვილი ერთიმეორისადმი თანდათან ღრმავდება. ტყვარჩელიდან გამოყვანილი აფხაზები დაერივნენ ბზიფის ხეობაში, გაგრასა და გუდაუთაში ჩარჩენილ ქართველობას და დაიწყეს მათი შევიწროება. ბიჭვინთიდან გამოღწეულმა ქართველმა გვაუწყა, რომ ბიჭვინთა აფხაზობას და კაზაკობას უკავია. იქ ჩეჩნები თითქმის აღარ არიან, სამაგიეროდ, უხვად მომრავლდნენ კაზაკობა და რუსობა. გაგრაში აფხაზების მხარდამხარ ქართველების წინააღმდეგ იბრძვიან სომხები. აფხაზურ კონფლიქტში იქაურ სომხებს ლომის წილი უდევთ. მახსოვს მშვიდობიანობის დროს არძინბამ კოჩარის აქტივი მოიწვია. კოჩარა მას საკმაოდ ცივად შეხვდა მაშინ და მხარი არ დაუჭირა. არძინბა იქიდან ლაბრაში გადავიდა. სომხები ლაბრაში არძინბას ოვაციებით შეხვდნენ და ვახშმად ხარი დაუკლეს. არ ვიცი, რატომ არ გამოხატავს თბილისელი სომხობა ამ სომხების მიმართ თავიანთ პოზიციას? ჰო, კიდევ აი, რა თქვა იმ გამოღწეულმა. ბიჭვინთაში შტაბი მონასტერში ყოფილა. განთქმული უძველესი ქართული მონასტერი ავაზაკთა ბუნაგად გადაქცეულა. ჰქონიათ სამი ტანკი, სამი ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი გემიც. ასე რომ, ამ ზღაპრულ ქუთხეში ისე გაუტკბათ ყოფნა ათასი ჯურის ავაზაკს, რომ მათი წასვლა ნებით არ იქნება. საჭირო გახდება მათი განდევნა, მაგრამ, როგორ? სანამ რუსის ჯარი ბოგინობს გუდაუთასა და ეშერაში, მანამ, ეს ნაკლებად მოსახერხებელია. მისაწინშნებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტს ჯერაც არ მიუმართავს რუსეთისათვის ოფიციალურად ჯარების გაყვანის თაობაზე, მოლაპარაკების რაუნდები კი გაუთავებლად გრძელდება. ამასობაში რუსეთის სათავეში შეიძლება ჟირინოვსკები და ბაბურინები მოექცნენ და მერე კი, რომ იტყვიან „უყარე კაკალი“.

დღეს მთელი დღე ბომბაკს მერკულის გორას [illegible] ტილერია იმ მიდამოებში, სადაც ჩამოაგდეს ქართული თვითმფრინავი „სუ-25“. არადუში კი ჯერჯერობით ეპიზოდური სროლები ისმის. მოულოდნელად გაისისინებს ხოლმე მოწინააღმდეგის მხრიდან გამოფრენილი ტყვია და სულს უწამლავს სამუშაოდ გამოსულ კაცს. ასე მოუვიდა გუშინ ჭიჭიკო ცვარიანსაც. იგი თავის ყანაში მიდიოდა თივის მოსატანად, მოწინააღმდეგის სნაიპერმა ტყვიით მუხლის თავი გაუხვრიტა. ჭიჭიკო ლაზარეთში მოათავსეს. დღეს მისი დისშვილი თამაზი და თოთორია მესტუმრნენ აფხაზები დავინახეთ და მცირეკალიბრიანი შაშხანა გადმოგვეციო. ისე უნდა ვესროლოთ, რომ ჩვენი პოზიცია ვერ შეამჩნიონ და თანაც ჭიჭიკოზე შური ვიძიოთო. შაშხანა გადავეცი და თანაც დავარიგე ბიჭები, რომ მხოლოდ მუხლის თავში ესროლათ მტრისათვის. ხუმრობაში ნუ ჩამომართმევთ და მართლაც მეცოდებიან აფხაზები. მათებური წყევლაა „შენი ნუ გცოდნია და სხვისი არ გაგეგონოსო“. ასე მოუვიდათ მათ. ვინ მოწამლა ასე ეს უბედურები?

ჯერ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწიათ ტამიშში დაკარგულ ორ არადუელს ბენიძესა და არჯევანიძეს და მათთან ერთად მყოფ ერთ რუსს.

დღეს კიდევ ერთი ახალგაზრდა არჯევანიძე გენადი დაიჭრა მოქვის მხრიდან ნასროლი ტყვიით. მაშ ასე, გუშინ ჭიჭიკო, დღეს გენადი, ხვალ ვისი ჯერია?

25 თებერვალი

დეპეშა „მოსკოვი, ლენინს, სტალინს, თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოსს ორჯონიკიძე, კიროვი...“ 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა საქართველოს ანექსია, ოკუპაცია რუსეთის მიერ. ამის შემდეგ შეიქმნა საქართველოში ავტონომიები, ჩაიდო დაყოვნებული მოქმედების ნაღმები, რომლებიც მთელი ძალით ამოქმედდა დღეს. აფხაზები და ოსები კვლავინდებურად კომუნისტობენ. ცოტა უფრო ვარდისფერია აჭარის თავკაცი ასლან აბაშიძე, ყველაფერი ხდება ჩვენს დროში და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ რატომ აირჩიეს ბატონი აბაშიძე დეპუტატად, თუ ერთხელაც არ დაესწრებოდა პარლამენტის სხდომებს? მაღალი რანგის რუსი მოხელეები აჭარას

თავიანთ გეოსტრატეგიულ მიზნებში აქცევენ და აფხაზეთსა და აჭარას ერთ სიბრტყეზე აყენებენ. ამის დასადასტურებლად გრაჩოვის განზრახული ვიზიტიც კმარა. აკი გრაჩოვმა განაცხადა, რომ საინსპექციოდ ჩადის როსტოვში, გუდაუთასა და ბათუმში. ოჰო? ესეც ახალი ამბავი — ერთ სიბრტყეში დააყენო როსტოვი, გუდაუთა და ბათუმი.

დღეს პარლამენტის სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება აფხაზეთიდან რუსის ჯარის გაყვანის შესახებ.

დღეს პარლამენტში კვლავ იხილება აფხაზეთის საკითხი, შედეგს მოგვიანებით გავიგებთ.

როგორც იქნა, დაიმსხვრა ამდენი ხნის დუმილის ყინული და ოჩამჩირის მთელ ფრონტებზე ქართველები შეტევაზე გადავიდნენ, ნამდვილი გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა მერკულის გორაზე, ბესლახუბაში, ლაბრა-კოჩარის მიმართულებით.

არადუ მხარს უჭერს მერკულაში შემტევ ნაწილებს თავისი ტექნიკით. თუმცა, მოხდა გაუგებრობაც — ოჩამჩირიდან გამოსროლილმა ორმა ყუმბარამ წივილით გადაუფრინა არადუს და იმ საგუშაგოების გვერდით, მოქვის ფრონტზე რომ აქვთ არადუელებს, მიწისა და მტვერის ბოლი დააყენა. კიდევ კარგი, რომ საგუშაგოებს არ მოხვდა, თორემ ვინ იცის, რამდენი ჩვენი მებრძოლი დაიღუპებოდა. მაშინვე რაციით დაუკავშირდნენ არტილერისტებს, მათ ბოდიში მოიხადეს და იკითხეს, დაჭრილები ხომ არ არიანო. (მკვდრები არ მოუკითხავთ, საბედნიეროდ, არავინ იყო ასეთი). ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბოდიში კმარა საამისოდ?

26 თებერვალი.

დილიდანვე გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა მერკულის გორაზე, ტყვარჩელის მიმართულებით ბესლახუბა-აკვასკის ფრონტზე. ბრძოლის ხმაური აღწევს კუტოლი-კოჩარის მხრიდანაც. მთელი დღის განმავლობაში ვაკვირდები ბრძოლას მერკულაში. უსაშველოდ შავი კვამლი ამოდის იმ ადგილებიდან, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ მერკულის გოლიათი ჩაის საბჭოთა მეურნეობის საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო სახლები და წარმოება-დაწესებულებები იყო წამომართული. ახლა აქედან მხოლოდ ფერფლი რჩება და ამდენი წვალებით აშენებული ფასეულობა მიწასთან ხწორ-

დება, როცა მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, მთავარი სამხედრო დამნაშავენი გაასამართლეს და სასტიკად დასაჯეს. უსასრულო არაფერია, გარდა სივრცისა, ისიც დროში. ომი დამთავრდება და უთუოდ პასუხი უნდა მოეკითხოს ადამიანებს, რომლებმაც ეს კონფლიქტი გამოიწვიეს...

მიუხედავად მძაფრი შეტევისა, მერკულის გორა ჯერ კიდევ არაა აღებული. თუ გახსოვთ, აქ ჩამოაგდეს ქართველთა თვითმფრინავი. როგორც ჩანს მოწინააღმდეგეს აქვს ძლიერი გამაგრება, საკმაო თავდაცვითი საშუალებანი და ჯიუტად ცდილობს შეინარჩუნოს ეს პოზიცია, რადგან ის ძალიან ახლოა ოჩამჩირესთან და ტრასასთან, არადუ კი ჯერჯერობით თავდაცვით ბრძოლებს ეწევა და მაინცდა მაინც არ ფიქრობს შეტევაზე. ისე კი მხარს უჭერს მარცხენა ფლანგიდან მერკულის შემტევ ძალებს. მოგაგონებთ, არადუ სოლივით სამ-ოთხ კილომეტრზეა შეჭრილი მოწინააღმდეგის განლაგებაში და თუ არა არადუელთა ვაჟკაცობა, ოჩამჩირე კარი ხნის ჩაბარებული იქნებოდა...

გუშინ ავტობუსი წავიდა წყალტუბოში. ოცამდე „მოხუტიალე“ ახალგაზრდა გაჰყვა მას. ჩვენ დღე-დღეზე ბრძოლაში ჩაბმას ველოდებით, ისინი კი ისევ ძველებურად განაზე გარბიან. არადუში ერთმანეთის ხათრი აქვთ და ამის გამო არ შეუძლიათ ტრიბუნალი აამუშაონ, თუმცა ძირითადი მასა ხალხისა თავდადებულია სოფლისათვის, მხოლოდ ის მიკვირს, რომ ოჩამჩირეს რატომ არ აქვს საკონტროლო გამშვები პუნქტები, სადაც შემოწმდებოდა და არ გაიშვებოდა ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდები. არადა, აქ მარტო არადუზე როდია ლაპარაკი, ჯსეთები ათასობით არიან „ლტოლვილობაში“ და სასელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობენ. კი ვანამუსებთ მათ, მაგრამ თუ კაცს ნამუსი არ აქვს, მაშინ? როგორ უნდა მოსთხოვო ის, რაც არ აქვს? პატიოსანი კაცი ცხოვრობს პატიოსნების ფსიქოლოგიით, ქურდს თავისი ფილოსოფია აქვს, ბაროდიორი და ყაჩაღი თავის ხელობას ვერ მოიშლის. აქ ალბათ ძალაა საჭირო, დემოკრატობანას თამაშით არაფერი გამოვა.

ჯერ კიდევ არაფერი ისმის იმ ბიჭებზე, რომლებიც ტამიშში დაიკარგნენ. ამბავი მოვიდა, რომ ქართველები დახვრიტესო, რუსი კი არაო, ისინი დაუდევრობამ იმსხვერპლა. ცოდვები არიან. ერთს ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მეორეს კი ჯერ

ოჯახი არც შეუქმნია, ისე დაიკარგა. რუსი? ის რუსი მაინც დაკარგული იყო თავისი პატრონისათვის, მაგრამ, ბუნებრივია, აფხაზები რუსებზე იწერენ პირჯვარს და მას არაფერს ავნებენ.

27 თებერვალი

შფოთიანი ღამე მერკულაში. მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა გაიგეს, რომ ოჩამჩირის ქართულმა ნაწილებმა ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყეს, დაიკავეს სოფლები კუტოლი, მერკულა, ბესლახუბი და გავიდნენ პირდაპირ პოზიციებზე ტყვარჩელის მიმართულებით. სამწუხაროდ, ყველაფერი ასე არაა. კუტოლში მოხდა პოზიციებიდან ისევ ნაწილობრივ უკან დახევა. ბესლახუბშიც წინსვლა არის, მაგრამ საქმე მთლად ისე ლამაზად არაა, როგორც ეს უნდა რადიო „თავისუფლებას". მერკულაზე კი დაწვრილებით შეიძლება მოგითხრობთ. დღევანდელი ვითარებით, ორი დღის ბრძოლების შედეგად დაკავებულია მერკულის ის დასახლება, რომელიც ეკუთვნის მეფრინველეობის ფაბრიკას. ეს დასახლება არა ერთხელ იყო დაკავებული ჩვენი ნაწილების მიერ, მაგრამ მაშინვე ტოვებდნენ და უკან გამობრუნდებოდნენ ხოლმე. ამჯერად აღებული პოზიციები გაამაგრეს. ამ დასახლებას ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩაის მეურნეობის დასახლება, რომელიც აფხაზეთს ხელშია და იქიდან დაწყებული ჩაის № 2 ფაბრიკის ჩათვლით, რომელიც მერკულასა და ჯალს შორისაა, ისეთი ძლიერი გამაგრება აქვთ, რომ რამდენსაც არ ურტყამენ მძიმე არტილერიით, საავიაციო ჭურვებით თუ სხვა საშუალებებით, ჯერჯერობით ვერა და ვერ გასტეხეს მათი თავდაცვა. როგორც ამ დღეებში გაირკვა, აქ მრავლად არიან კაზაკებად მონათლული რუსი სპეციალისტები. აი, ვინ გვეომება ჩვენ! ქვედა დასახლების აღება ვერ მოხერხდა გუშინწინ. გუშინ კი ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ ჩვენებმა. მოწინააღმდეგის მხარეზე გამოჩნდა ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, რომელი ხვრელიდან ამოიყვანეს იგი, გაუგებარია. ისინი ისე მუყაითად მუშაობენ, შეუძლიათ დაშლილი ტანკებიც კი აწყონ. ტყვარჩელში იარაღის ქარხანაც კი აქვთ, რომელიც რამდენიმე წელია გულმოდგინედ მუშაობდა და მუშაობს ჩვენი შესაბამისი ორგანოების ბეუტურის გამო. სხვანაირად როგორ შეიძლება შევაფასოთ ჩვენი დაზვერვის მუშაობა. ხომ არსებობდა და ახლაც არსებობს

კოდექსი იარაღის დამზადების, შენახვის პასუხისმგებლობის შესახებ და საკმაოდ მკაცრი კანონიც. რატომ არ მოქმედებდა ეს კანონი აფხაზეთში?

გუშინდელი წარუმატებლობა იმანაც გამოიწვია, რომ მოულოდნელად მოკლეს მერკულის გორაზე შეტევის ხელმძღვანელი ბეჟან სურგულაძე და მისი მოადგილეები. ამან ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ვნახოთ, როგორ გამოასწორებს ამას სარდლობა.

გუშინ საღამოს რაციით დაუკავშირდნენ არადუს და სთხოვეს დამხმარე ძალად ექვსი კაცის გაგზავნა. ექვსმა კაცმა იქვე იკისრა წასვლა, ისინი გვიან ღამით დაბრუნდნენ უკან.

ღამის ოთხ საათზე მოვიდნენ ბადრი და ასმეთაური ემზარ ფუტკარაძე. ისინი მოსვლისთანავე დასასვენებლად მიწვნენ. დილის ექვს საათზე მერკულის გორაზე გააფთრებული სროლა გაისმა. ჯერ კიდევ ბნელოდა. ბადრი და ემზარი წამოხტნენ და უმალ გაეშურნენ ვითარების გასარკვევად.

დღის მეორე ნახევარში აფხაზებმა (თუ ქაზაკებმა) არადუს შემოუტიეს. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. მტერი მოგერიებული იქნა, თუმცა სროლა ამჟამადაც (გვიან საღამოს) გრძელდება. იქაური მსხვერპლისა არაფერი ვიცით. ჩვენგან კი ოთხი მებრძოლი დაიჭრა: რომან ჩხეტიანი, ველერი ბენდელიანი, ზაურ ბენდელიანი, გოჩა ჩაკვეტაძე. ასე რომ, დღეს არადუს კიდევ ოთხი მებრძოლი გამოაკლდა. მომხვდურები დიდი თავგანწირვით ისროდნენ. ამით არადუს ყურადღება მათზე გადაიტანეს და მერკულას ჩამოაშორეს ჩვენი თავი. რაც შეეხება მერკულას, დილიდან დაწყებული ახლაც გრძელდება ამ ციხე-სიმაგრის გატეხვა, თუმცა ჯერჯერობით შედეგი მცირეა.

საინფორმაციო წყაროები გადმოსცემენ, რომ გრაჩოვმა ყურად არ იღო ქართველი ხალხის აღშფოთება და მაინც ეწვია გუდაუთასა და ბათუმს. ზოგიერთმა პარტიამ ამის თაობაზე პროტესტი განაცხადა. ერთმა ამბავმა ძლიერ გამაკვირვა—გუშინდელ „ალიონში“ გამოვიდა რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი და განაცხადა, რომ შევარდნაძისა და გრაჩოვის სატელეფონო ლაპარაკი უკვე შედგა. გუშინვე საღამოს მთავრობის მეთაურის პრესცენტრმა გვაუწყა, რომ ასეთი ლაპარაკი თურმე არ შემდგარა. ვაი, რომ ელჩსაც სცოდნია ტყუილები.

ომი აფხაზეთში კულმინაციურ წერტილს აღწევს. არადუ

ჯერჯერობით შეურყეველად დგას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახლი მოქვის ფრონტის ხაზზე დაცლილია, მტერი ვერ ბედავს დაიკავოს ეს სახლები. არადუელებმა გადაწყვიტეს, არც ერთი სახლი არ ჩაუგდონ ხელში გადამთიელებს. მტკიცედ დგას ცაგერაც. მხოლოდ ცაგერასა და არადუს შორის არის ერთი სუსტი ხაზი, რომელიც ნაკლებად გამაგრებულია. ესაა ღელე, რომელიც ზღვას უერთდება. მტერს შეუძლია ამ ღელის ფონების დაყოლებით ოჩამჩირის პორტში ამოჰყოს თავი. არადუმ და ცაგერამ კი ვერა და ვერ მონახეს საერთო ენა, რომ ეს ხაზი გაამაგრონ.

ახლა ღამის თერთმეტი საათია! წვიმს. ქუჩიდან მამაკაცის ბღავილი ისმის, ნაცნობი ხმაა — ოთხოზორია, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი კაცი. მისი უფროსი შვილი, გაჭირვებაში ნაზარდი და დავაჟკაცებული, ყველასათვის საყვარელი ადამიანი, გიზო ყურაშვილის სახლის სამზად ოთახში ასვენია. იგი ამ ოთხიოდე საათის უკან ცოცხალი იყო და საგუშაგოზე მორიგეობდა. მის გვერდით წევს მხედრიონის წევრი სომეხი გრიშა. იგი თბილისელია. აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე არადუში მოვიდა, თავისი ვაჟკაცობით ყველას თავი შეაყვარა. რამდენიმეჯერ იყო წასული თბილისში, თავისიანების მოსანახულებლად; ორიოდე დღის წინათ ჩამოვიდა. აჭრელად უკანასკნელად და განაცხადა, მე არადუში უნდა ვიბრძოლო ბოლომდეო. აკი იბრძოლა და დაიღუპა ისე, რომ თან სოფლის სიყვარული წაიღო. ნამდვილი მებრძოლი იყო. მესამე არადუელია ვახტანგ კოპალიანი, ალალ-მართალი და წვრილი ცოლ-შვილის პატრონი კაცი.

მინდოდა დღევანდელი დღიური აქ დამემთავრებინა, მაგრამ მოულოდნელად საღამოს ბრძოლა გამძაფრდა. აფხაზთა (თუ კაზაკთა, ვინ იცის) ათეულმა ტყის პირას მდგომ ჩვენს საგუშაგოს მოხერხებულად აუარა გვერდი. ბიჭებს საგუშაგო საიმედოდ დაცული ჰგონებიათ და გიზოს სახლში გასულიყვნენ. აფხაზებმა საგუშაგოზე რომ ვერვინ ნახეს, პირდაპირ გიზოს სახლს მიაშურეს და საჭიანი ავტომატების ჯერით დაცხრილეს. ამასობაში კარგად დაღამდა.

გათამამებულმა „ბოევიკებმა“ სოფელს ნაღმების ცეცხლი და ტყვიის წვიმა დაუშინეს. სოფელი პანიკაში ჩავარდა, ვინ სად გარბოდა, არავინ უწყოდა; როგორც ყოველთვის, გარედან მშველელი არ გამოჩნდა. ოჩამჩირიდან მხოლოდ ექიმთა ბრიგადა მოვიდა. ისინი უფრო მეტად ქართველებს ლანძღავდნენ, ვიდრე რამეს აკე-

თებდნენ; მკვდრებიც კი ვერ გამოიყვანეს პოზიციიდან, ისე გაბრუნდნენ ოჩამჩირეში. არადუელ და ცაგერელ ბიჭებში გამოიეებნა გაბედულნი, რომელთაც გადაწყვიტეს შემოვლით გაერეკათ მომხვდურნი. თუმცა, როცა მივიდნენ, „ბოევიკები“ უკვე წასულნი იყვნენ. მათ თან წაეღოთ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ: იარაღი, რაცია და სხვ. მაინც რა მოხდა? მოხდა ის, რასაც ამდენი ხანია ვჯავრობდი და ვჩივოდი: დაუდევრობა, მოშვებულობა, უპასუხისმგებლობა და უდარდელობა. ამ ადამიანებს ვინმე სამხედრო პირი უნდა მეთაურად და უმკაცრესი დისციპლინა. იმ „გასტროლიორმა“ ექიმებმა ოჩამჩირესკენ მოკურცხლეს. გვითხრეს: მერკულაში წინა ხაზზე ერთი უიარაღო აფხაზი გამოვიდა და დაიძახა „ქართველებო, მიშველეთო“. „უშველეს“ — ხუთი ქართველი ერთად მიცვივდა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. აფხაზმა გრანატი ააფეთქა და თავის თავთან ერთად ხუთი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. მერე მერკულას ამბავს მოყვნენ: ის რაც გუშინ ავიღეთ, დღეს დავკარგეთო.

ოჩამჩირის შტაბიდან ვიღაც მანდილოსანი, რომლისთვისაც შტაბის უფროსის მოვალეობა ჩაუბარებიათ (?!), ტელევიზიას აძლევს შეთითხნილსა და შელამაზებულ არასწორ ცნობებს. ვის სჭირდება ეს? ასეთი ინფორმაციებით შეიძლება შეცდომაში შეიყვანო მთავარსარდალიც კი. ნუთუ მამაკაცი ვერ მოინახა ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დასანიშნად?

28 თებერვალი.

ზამთრის უკანასკნელი დღე. ბომბების გრუხუნში და ადამიანთა ცოფის ყრაში გაილია ზამთარი. ბუნება თავისას შვება.

არადუელებმა წინანდელი ღამე თეთრად გაათენეს. ერთმა მუჭა არამზადებმა გააწამეს წუხელ სოფელი. ხუთი კაცი დაჭრეს, სამი მოკლეს. ბოლოს სამი ავტომატი, ერთი რაცია, ტყვია-წამალი წაიღეს და წავიდნენ. ოთხოზორია მოეკლათ და, შემდეგ კოცონზე შეეგდოთ, ბუხარში. როცა გიზოს სახლი აიღეს, სოფლის სიღრმეში შემოსვლა დააპირეს. მაშინ კი იკადრეს აქაურმა აფხაზებმა შალოდიამ და სერაპიონმა, ფეხქვეშ ჩაუვარდნენ მათ და არ დაანებეს დამატებითი ბოროტების ჩადენა. საუბედუროდ, ამ მომენტში საგუშაგოებზე ჩვენი ნაკლებადგულადი ხალხი იდგა და თავს გაქცე-

ვით უშველეს. ამით გათამამებულმა ბანდიტებმა სოფელს უფრო დაბეჯითებით შეუტიეს. ღამით ხალხი საკმაოდ მოგროვდა. სიბნელე ხელს უშლიდა მოქმედებას, თანაც არავინ იცოდა, თუ რამდენი იყო მოწინააღმდეგე. შემოსვლისას მათ საგუშაგოს მცველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და ამ ღამის გმირები გახდნენ ბადრი ქომეთიანი, ედემი ჭიღვარია და გიზო ყურაშვილი. ბრძოლის შემდეგ ედემი მთელი ღამე ეზიდებოდა ტყვია-წამალს ფრონტზე.

ყველაფერი მოხდა (და ხდება) დაუდევრობის შედეგად. როცა მეთაური, პოლკოვნიკი გია ვაშაკიძე ესტუმრა საგუშაგოებს, მას თვითონ არ მოეწონა საგუშაგო. უმალ ბარი მოითხოვა და შუა ღამემდე თავდაუზოგავად მარტოკამ იმუშავა თხრილის აძოსაღებად. მერე კი დაიბარა, სანამდე უნდა გაეთხარათ თხრილი და როგორ დაემყარებინათ კავშირი საგუშაგოებს შორის. წავიდა ვაშაკიძე და ამით დამთავრდა ყველაფერი, თხრილს დღემდე ერთი ბეტრიც არ მომატებია! ეს ყველაფერი, უკაცრავად პასუხია, აქაური მეთაურების დოყლაპიობისა და რიგითების უსაქმურობის შედეგია.

დღეს ქალები აჯანყდნენ, ახალგაზრდებს შეუტიეს, რას ჰგავს თქვენი საქციელი. ქალებმა ბარებს ხელი დასტაცეს და თხრილის გათხრას შეუდგნენ. აი, ისინიც: ტატიანა მებონია, ვენერა ქომეთიანი, თამარ ბენიძე, ვალია ბენდელიანი. „დანამუსებულმა“ ახალგაზრდებმა პირობა მისცეს ქალებს, ოღონდ თავს ნუ მოგკლავთ და ამ საქმეს სალამომდე ჩვენ გავაკეთებთო.

მერკულის გორას კვლავინდებურად უტევს არტილერია. შემოიჭრა თვითმფრინავიც, რომელმაც სამიოდე ბომბი ჩამოაგდო. არ ვიცით, ვისია თვითმფრინავი. ამასთან გამოჩნდა მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკაც და ქართველები მწარედ დაფიქრდნენ. ომის ხელოვნებაში ჯერჯერობით აფხაზთა მხარე გაცილებით გვჯობია, ხოლო პროპაგანდასა და იდეოლოგიაში გაასკეცებით. საინტერესოა, ვინ დაგეშა, ვინ უწერს საამისო სცენარს აფხაზებს?

ნიშანდობლივია ამ მხრივ არძინბას მიერ გაკეთებული ერთი განცხადება. მასში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფოს მეთაურის განცხადება აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ თურმე ლახავს სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აფხაზეთის სუვერენიტეტს და იგი მხოლოდ აფხაზეთის მთავრობის საქმეა, რა სტატუსს მიანიჭებს აფხაზეთში რუსეთის ჯარებს აფ-

ხაზეთის მთავრობაო. ამაზე იტყვიან „შეაყარე კედელს ცერცვიო“. რა სახელმწიფოზეა ლაპარაკი ასე რომ აკვიატებია ბატონ არძინბას? იგი ამ განცხადებას ვერ გააკეთებდა, რუსებთან სათანადო „კონსულტაციები“ და თანხმობა რომ არ ჰქონოდა.

დღეს კიდევ ერთი მებრძოლი დაიჭრა აფხაზთა ნასროლი ტყვიით მეოთხე საგუშაგოზე — გიმზერ მახარობლიძე.

1 მარტი

გაზაფხულის პირველი დღე. წუხელ გვარიანად ყინავდა, მაგრამ დილა ისეთი გათენდა, ბუნებას რომ შეშვენდება — ნათელი, დარიანი; ალაგ-ალაგ მინდვრებზე ნისლი განირთხა. ესეც გაზაფხულის მანიშნებელია. ფრინველთა მოძალება არ იგრძნობა. ბათქებით დამფრთხალი ნადირ-ფრინველი უფრო უსაფრთხო ადგილებში გადაიხვეწა. მხოლოდ ბეღურები არ შორდებიან სანაგვეებს, იმავე სანაგვეებში, ოთახებსა და საკუჭნაოებში უსაშველოდ მომრავლდა თაგვები და ვირთაგვები, გაჩნდა რეალური საფრთხე ეპიდემიის გაჩენისა...

დილის ექვსი საათიდან გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ცხენისწყლის ფრონტზე. აფხაზებმა მთელი ძალით შემოუტიეს ქართველთა მხარეს, ცდილობენ გადაჭრან ტრასა კოჩარის გზის შესაყართან და ამით ცაგერასთან გაწყვიტონ სოხუმისაკენ მიმავალი გზატკეცილი. აქ მთელი დღის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლებია. ახლაც გვიანი საღამოა და არ წყდება ბრძოლა. მოწინააღმდეგე ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გათიშოს ერთმანეთისაგან ოჩამჩირე და სოხუმი და შემდეგ ეძგეროს სოხუმს. ბრძოლები მიმდინარეობს ლაბრასთანაც. ამბავი მოვიდა შუადღისას, ჩვენებმა ლაბრა დატოვესო. ხალხი დიდ საგონებელში ჩავარდა. საღამო ხანს ითქვა, სოხუმიდან დამხმარე ძალა მოვიდა და ჩვენებმა ლაბრა დაიბრუნესო.

დიდი გაურკვეველობა და შიშია დასადგურებული. ამ შიშს ისიც აღრმავებს, რომ დღეს მოწინააღმდეგემ არადუს რამდენიმე ჭურვი ესროლა, ხოლო ოჩამჩირიდან გამოსროლილი ჭურვი შაკოია ყურაშვილის სახლთან დაეცა და მორიგი ტრაგედია დატრიალდა. ლეჩხუმიდან სტუმრად ჩამოსული მისი ქალიშვილი ჭურვმა ნაფლეთებად აქცია. ეს ის ოჯახია, იური ყურაშვილი რომ მოკლეს მერკულაში.

ამ ოჯახში ჯერჯერობით ერთი ვაჟიშვილი მოკლეს, მეორე დაჭრეს, მესამე ქალიშვილი დღეს დაფლითეს და მშობლებსა და ნათესავებს სიცოცხლე გაუმწარეს.

დღეს დილით დიდად გავიხარე, ფოთიდან ქალიშვილი ქეთო და შვილიშვილი ხათუნა მესტუმრნენ. აგერ ექვსი თვეა არ მინახავს ისინი. თუმცა, ჩემი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ასეთი ამბავი თუ იყო არადუში არ მოელოდნენ და ჩვენ იძულებული გავხდით უკანვე გაგვებრუნებინა. ისინი. ოჰ, როგორ უნდოდათ დარჩენა ჩვენთან, სულ ტირილით მიდიოდა ხათუნა. წამწარდა ბავშვობა ბავშვებს და სიცოცხლე უფროსებს...

ხალხი გამწარებულია. სალამო ჟამს ერთი მამაკაცი მეწვია, ამირან ბენდელიანი, ასე შუა ხნისაა. ერთ დროს მას ქიმიას ვასწავლიდი. ბეჯითი მოსწავლე იყო. შემდეგ იგიც ქიმიკოსი გახდა. ახლა კი კარგად ერკვევა რადიოსაქმეში. გვერდზე გამიხმო, კოლბები და ქიმიური რეაქციის ჩატარებისათვის საჭირო სხვა ხელსაწყოები მთხოვა, თუ გინდა, რეაქცია ერთად ჩავატაროთო. დავინტერესდი, გამოვკითხე რა ჰქონდა ჩაფიქრებული. შითხრა, რომ სისხლის წითელი მარილი უნდა შევიყვანო რეაქციაში, რომ მივიღო კალიუმის ციანიდიო. რად გინდა ასეთი ძლიერი შხამი-მეთქი? გამომიტყდა: ვიცი, ბრძოლაში მომიხდება მონაწილეობა, გადაწყვეტილი მაქვს შური ვიძიო (ის ამას წინათ დაჭრილი იყო), მაგრამ თუ შემთხვევით ხელში ჩამიგდეს და ცხვირის ან ყურის მოჭრა დამიპირეს, მაშინ დამჭირდება ეს შხამიო. გული მეტკინა. ცოტა არ იყოს, შევყოყმანდი, მერე კი ვუთხარი: შენ ჩემი ღირსეული მოწაფე იყავი და კარგი დამჯერეც. ჯერ ერთი, თვითმკვლელობაზე ფიქრი ფსიქოლოგიურად შოკში აგდებს ადამიანს და ვეღარ ასრულებს იმას, რაც ჩანაფიქრი აქვს; მეორეც, ეს მოქმედება არ არის ზნეობრივად გამართლებული, ნაგანი ამოვიღე და ვაჩვენე, აქ ერთ ტყვიას ყოველთვის ვიტოვებ-მეთქი. გამიგო, მე ნაგანი არ მაქვს, მაგრამ სხვა იარაღს ვიშოვიო. მგონი, განზრახვაზე ხელი ავაღებინე, ყოველ შემთხვევაში ასე მომეჩვენა მე...

დღეს ჰურვებმა ისევ დაგვიზიანეს ელექტროგადამცემი ხაზები და ისევ სიბნელეში აღმოვჩნდით. ვერავითარ ინფორმაციას ვერ ვღებულობ ჯერჯერობით.

ანდა რა მოსაწონი იყო კაკუბავას ე. წ. მოხსენება აფხაზეთის საკითხზე. იგი სავსე იყო გადაჭარბებული, დაუსაბუთებელი ბრალდებებით და ბევრი, მტრისათვის სასარგებლო ინფორმაციით. ფიფიას გამოსვლა კი საპარლამენტო მუშაობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სახელმწიფოს მეთაურს მოუხდება ხალხს შეეკითხოს, იმ ხალხს, რომლის 96 პროცენტმა ხმა მისცა არჩევნებში. ხალხმა და პარლამენტმაც მას მიანდო ქვეყნის მართვა და იგიც გაამართლებს ხალხის ნდობას.

ახლა საქართველოს ბედი სოხუმში წყდება. ქართველები მხოლოდ მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებენ. ჩვენ მოწმე ვართ, როგორ გადაიცა ყალბი ინფორმაცია ოჩამჩირეში მტერზე შეტევის შესახებ. ეს შეტევები წარუმატებლად დამთავრდა და ისინი, ვინც ეს ოპერაციები დაგეგმა, თავს ვერართმევენ სამხედრო საქმეს. იგრძნობა უაღრესად დიდი გულგატეხილობა, რაც მტრისათვის ნახევრად გამარჯვებას ნიშნავს. არ ისვენებენ ექსპრეზიდენტის მომხრეები, რთული ვითარებაა სამეგრელოში, აჭარაში. მზადდება რაღაც დიდი შეთქმულება ქართველი ხალხის და მისი მეთაურის წინააშე. როგორც წუხელ გადმოსცეს, დღეს შევარდნაძე სოხუმში უნდა ჩამოსულიყო.

ბატონი ედუარდი სოხუმს ეწვია. საღამოს ცხრა საათზე მოვისმინეთ მისი ინტერვიუ კორესპონდენტთან. მან განაცხადა, რომ დამაფიქრებელია გრაჩოვის მოულოდნელი ვიზიტი გუდაუთაშიო. გუდაუთაში მართლაც შეინიშნება გარკვეულ ძალთა კონცენტრაცია და გამორიცხული არაა ისინი წავლენ ასეთ ავანტიურაზე (იგულისხმება 4 მარტისათვის სავარაუდო შემოტევა სოხუმზე). ჩემი მიზანია, თქვა შევარდნაძემ, გამოვრიცხო ასეთი ავანტიურა და კავშირი დავამყარო ჯანსაღ მხარესთან, რათა გავაგრძელოთ მოლაპარაკება ჩვენი ურთიერთობის შესახებო. (იგულისხმება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება, მხოლოდ არა არძინბას ხროვასთან).

კორესპონდენტი: ამბობენ სოხუმი გაყიდულიაო, რას იტყვით ამის თაობაზე.

შევარდნაძე: ეტყობა გარკვეულ ძალებს მართლაც აწყობთ სოხუმის ჩაბარება მოწინააღმდეგისათვის, მე პირველი ვდგები სოხუმის დამცველთა რიგებში და მანამ დავრჩები იქ, სანამ ბრძოლა შეიძლება არ გაიგლის. დარწმუნებული ვარ, ასეთ შეოცნებეთა ვარაუდი მხოლოდ ოცნებად დარჩება.

გაზრდა, რომელიც წინა დღეებში დაიჭრა არაღუს ფრონტზე. ესაა ვალერი ბენდელიანი. წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, ახალგაზრდა კაცი.

8 მარტი

აჯობებდა მთავრობა და პარლამენტი ისე მოქმედებდეს, რომ მისი ტრანსლიაცია არ ხდებოდეს; მაშინ ხალხს არ ეცოდინება, რა უნიათობა ხდება ზედა ეშელონში. არადა, პარლამენტის მარტო გუშინდელმა სხდომამ დიდად გვატკინა გული. ვგებულობთ, რომ პარლამენტში მოხვდა (მაპატიონ) ზოგიერთი უწიგნური, მეორეც, პოპულისტურ პოლიტიკანობას აკვიატებულად აყოლილი ზოგი ლიდერი არად დაგიდევს იმის რეალურ შეფასებას, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო, და რა სჭირდება მის გამთლიანებას მომხვდურის წინააღმდეგ. მესამეც, აშკარად ჩანს, თუ ვინ ვის წინააღმდეგაა შეპყრობილი შურისა და შურისძიების გრძნობით და ბოლმას ანთხევს მიკროფონთან. მეოთხეც. აშკარად გამოიხატა დეპუტატთა ეთიკის (ზნეობის) უქონლობაც. ჩვენ ხშირად ვისმენთ უზნეო, უთავბოლო შეძახილებს, რასაც კოლმეურნეობის კრებებზეც არ იკადრებდა პატიოსანი გლეხი კაცი. ხშირად ვხედავთ ზურგშექცეულ ან (მაშინაც კი, როცა რეგისტრაცია ან კენჭისყრა მიდის) დარბაზში მოხეტიალე ადამიანთა ნაწილს. ხშირად ისმის სპიკერის ვედრება: „გაჩუმდით!“ „დაწუნარდით“. „ერთმანეთს მოუსმინეთ“. ზოგიერთი ისე თავხედურად იქცევა მიკროფონთან, რომ სპიკერი იძულებული ხდება სიტყვა შეაწყვეტინოს. მთელი დღეები, კვირეები, თვეები გადის უღიმღამო ლაყბობაში, ბეუტურში. გაგიკვირდება კაცს, რა არ ხდება და რას არ იტყვიან. შეიარაღებული ფორმირებების დაშლის საკითხი იხილებოდა. ბატონი ნოდარ ნათაძე სასწრაფოდ წავიდა თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის სხდომაზე. ადამიამ კი მას ბრალად დასდო ნათაძე პარლამენტის სხდომაზე არ გამოცხადდა და რაღაც (მისი სიტყვებია) უკანონოდ არსებულ თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის სხდომაზე წავიდაო. თუ ეს ასეა, ვინღა დაუჯერებს ასეთ საბჭოს და მის თავმჯდომარეს? იცის, თუ არა ადამიამ, რომ ამით სამსახური გაუწია მტერს, რომელიც ასეთ ცნობებს სანთლით დაეძებს.

2 მარტი.

არადუში მერკულიდან მოვიდნენ მოსალაპარაკებლად ადგილობრივ მოხალისეთა ლაშქრის მეთაურები—ბადრი და კომენდანტი ბორია.

მერკულელებს სურთ არადუ-მერკულას ერთიანი შტაბი ჩამოაყალიბონ. ლაპარაკია ცაგერა-კოჩარის შტაბისა და ბატალიონების შექმნაზე. ცაგერას არ სურს კოჩარლების „აკიდება“, ვეღარ ენდობიან. ისე კი თავგამეტებით იბრძვიან კოჩარის გასათავისუფლებლად, მაგრამ რა ქნან, თვითონ კოჩარლები არ ანძრევენ ხელს. არც არადუს უნდა მაინცადამაინც მერკულასთან „მეგობრობა“, რამდენადაც მერკულის გორა თითქმის აუღებელ ციხესიმაგრედ გადაიქცა. ჯერ შინაურულად წაიქეიფეს, თუმცა ამ წაქეიფებაში ლამის მთელი დღე გავიდა. არაა და ამ ქართული „ტრადიციით“ ბევრი საქმე გაფუჭებულა. ასეთმა სტუმარ-მასპინძლობამ კი ბევრჯერ აჭამა სირცხვილი არა მარტო არადუელებს, არამედ მთელ საქართველოსაც.

სუფრას ახლებიც შემოუერთდნენ — სამიოდე მხედრიონელი, ისინი ლაბრაში მიდიოდნენ. გვარიანად გამოთვრნენ და შემდეგ სამძიმარზე წავიდნენ. ალბათ, იქაც დაამატებდნენ და სავსებით გასაგებია, თუ რადაა ასე ხშირი ჩავარდნები ჩვენს ფრონტებზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯერჯერობით არავითარი დისციპლინირებული სამხედრო წესები მოქმედებაში არ არსებობს.

დღეს მთელი დღე ჩვენი ყურადღება მიმართული იყო ორი თვითმფრინავისაკენ. ვისია ისინი, ჯერ არ ვიცით, რომ დილიდან დაღამებამდე რამდენჯერმე მოფრინდნენ და დაბომბეს კიდეც ზოგიერთი ადგილი, თუმცა, ჯერ გარკვეული არ არის, ვისი პოზიციები დაიბომბა.

ხმა გავრცელდა, რომ ჩამოვიდნენ გიორგი უარყარაშვილი და ჯაბა იოსელიანი. ამ ადამიანების ახლოს ყოფნა რატომღაც დიდ იმედებს ჰბადებს და გასაგებია, ხალხიც როგორ დანუგეშდა ცოტათი, თორემ ძალიან იმედგადაწყვეტილები კი ვართ. დღეს სოფლიდან ორი ახალგაზრდა გაასვენეს, წინა ღამით აფხაზი ბანდიტების მიერ დახოცილები. მესამე სომეხი გრიშა თბილისში გადაასვენეს.

დღესვე ჭუთაისში გარდაიცვალა კიდევ ერთი არადუელი ახალ-

კორესპონდენტი: ეს ვითარება მოქმედებს თუ არა გავლენას რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე?.

შევარდნაძე: ხვალ პარლამენტში დებატები იწყება, ვფიქრობ, პარლამენტი სადად შეაფასებს რეალურ მდგომარეობას და საშუალებას მისცემს მთავრობას, აწარმოოს შესაბამისი მოლაპარაკება. ისე კი, პარლამენტი, მიუხედავად აზრთა ჭიდილისა, ერთიანი აზრისაა.

4 მარტი.

მაშ ასე, ბატონი ედუარდი სოხუმშია. ამ დილით ინტერესით მოვისმინეთ მისი ინტერვიუ (განმეორებით), რომელიც გუშინ გააკეთა. აშასთან დამატებითი ვიდეომასალაც ვნახეთ, სიტყვა რომელიც მან წარმოთქვა აფხაზეთის მთავრობის აქტივზე შეკრებისას, ანალიზს უკეთებდა გრაჩოვის მზაკვრულ მოგზაურობას გუდაუთასა და ბათუმში. გააკრიტიკა ელცინი, რომელიც დღეს სულ სხვა ელცინი გახდა.

ელცინმა აღმაშფოთებელი მოქმედება ჩაიდინა. მან საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისეთებს, როგორიც გაეროა და სხვ., მოსთხოვა ნება დართონ რუსეთს, რათა მშვიდობა დაამყაროს საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ასე იქცეოდა საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ და ახლა ეს დოქტრინა გადმოაქვს ყოფილ რესპუბლიკებზეო. ახლა ყველაფერი გასაგებია, რომ რუსეთი ცდილობს ძალის გამოყენებით შეინარჩუნოს თავისი „გეოპოლიტიკური ინტერესები“, მათ შორის საქართველოში. ეშერაში განლაგებული საიდუმლო ლაბორატორია „ტროას ცხენი“ გამოდგა აფხაზეთისათვის. რად უნდოდა რუსეთს საკურორტო ქალაქში დაეგეგმა და აეშენებია ლაბორატორია, რომელიც კონტროლს უწევს ბირთვულ აფეთქებებს და კიდევ რისთვისაა განკუთვნილი არავინ იცის. ასეთ ლაბორატორიებს კურორტებს აფარებენ, ხალხს კი ჰგონია, დასასვენებლად მიდის ამ კურორტზე. შევარდნაძე დაჟინებით ცდილობს გახსნას გორდიას კვანძი, თუ რა იმალება ამხელა სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრის მიერ გუდაუთასა და ბათუმში რაღაც ბატალიონების „ინსპექტირების“ უკან. ბატონი გიორგი დღეს ოჩამჩირეს ეწვია. მან მტკიცედ გადაწყვე-

ტა მანამ დარჩეს აფხაზეთში, სანამ ეს საჭიროა. ახლა ხალხი აღარ გრძნობს უპატრონობას, კიდევ ორ რაიონში, გულრიფშისა და გალის რაიონებში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. სახელმწიფოს მეთაურის ეს ბრძანებულება დაამტკიცა პარლამენტმა. პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ მოითხოვა სოხუმს გამგზავრება. აქ ერთიანი აზრი არ გამოიკვეთა.

სახელმწიფოს მეთაური ოჩამჩირეში შეხვდა ხელმძღვანელებს, ხალხს, ეწვია ერთ დანაყოფს, შემდეგ გალში ჩავიდა, იქ შეხვდა გალის აქტივს. იქიდან კი კვლავ სოხუმს დაბრუნდა.

5 მარტი.

გუშინ აფხაზეთის გასაბჭოების დღე იყო და ალბათ ამ დღისათვის დაგეგმილი ჰქონდათ სოხუმში შეხვედროდნენ თავიანთ დღესასწაულს აფხაზი სეპარატისტები. თუმცა კომუნისტური წყობის რეაბილიტაცია და ამრიგად საბჭოთა კავშირის აღდგენა ახლა რუსეთში მთავარი თემაა. იმასაც კი ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უკანონო გადაწყვეტილება იყოო. კომპარტიის რგოლები ადგილებზე უკვე აღსდგა თანდათანობით, ყალიბდება ცენტრი და როგორც ვხედავთ, იგი (კომპარტია) ახლაც რუსეთში ყველაზე მეტი გავლენიანი პარტიაა. ვინ იცის, თუ მოხდება მისი ლეგალიზაცია და არჩევნებში ჩაებმება, შესაძლებელია, ადვილად გაიმარჯვოს, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებში და ხელისუფლებას კვლავინდებურად მოექცეს სათავეში. გამოცდილება კი მას დიდი აქვს და იცის, როგორ „მართოს“ ქვეყანა. რუსეთში აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა ხელისუფლება ვერ გაიყვეს და გამორიცხული როდია, არმიამ იკისროს სახელმწიფოს მართვის ფუნქციები. ეს მართლაც შემაშფოთებელი იქნება მთელი მსოფლიოსათვის, რუსული კომუნისტური სპილოს ხორთუმზე რწყილებივით სხედან აფხაზი სეპარატისტები და ხორთუმს აფხაზურ შავწყალას ცივი წყაროთი უგრილებენ, ბოლო პირში აფხაზურ კალმახებს ატენიან. რაც შეეხება გენერლებსა და ოფიცრობას — აფხაზეთის კურორტებზე ეპატიჟებიან სამუდამოდ საცხოვრებლად. აი, რატომ არ უნდა რუსეთს დაკარგოს აფხაზეთი...

ჰო, გუშინ გაიაბჭოების დღე იყო, მაგრამ ვერ გაბედეს მნიშვნელოვანი შეტევების წამოწყება. ბატონი შევარდნაძე ფეხს აიცვლის აფხაზეთიდან, ცდილობს, რაღაც არ უნდა დაუკლდეს, აფხაზებს გააგებინოს, რომ ქართველები არ არიან მათი მტრები, ნელ-ნელა ყინული ლღვება. უკვე მოწოდებით გამოდიან საღად მოაზროვნე აფხაზები, განსაკუთრებით გამოირჩევა ლორიკ მარშანია, ეშბა, ადა მარშანია და ბევრი სხვა. მათ კარგად ესმით, ვინაა მათი მტერი და მოყვარე. თუ მშვიდობიანად მოაგვარა ეს კონფლიქტი, მაშინ კი დარჩებიან პირში ჩალაგამოვლებული რუსეთი და აფხაზი სეპარატისტები, ე. ი. სპილო და მის ზორთუმზე მცოცავი რწყილები.

ფრონტებზე ჯერჯერობით მხოლოდ პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. ამბობენ, გალელებმა ბედიის მონასტერში მიიმწყვდიეს აფხაზთა დიდი ბანდები. ოჩამჩირის ფრონტებზე ხშირად ისმის არტილერიის ბათქაბუთქი, ნისლიანი დღეა და ვერ გავარჩიეთ, ვისია ორი თვითმფრინავი, რომლებიც მთელი დღე დასტრიალებენ ოჩამჩირის ფრონტებს, სოხუმში გუმისთიდან ხშირად ისვრიან ჰურვებს და უწესრიგოდ ფანტაენ ქალაქში, უნდათ მოშალონ ენერგიის წყაროები. წუხელ მოახერხეს მაღალი ძაბვის დაზიანება, მაგრამ აღადგინეს, დღესაც შუადღის შემდეგ არ არის სინათლე, ალბათ კიდევ მოხდა დივერსია. დივერსიები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სანამდე გაგრძელდება ასე? თუ მოწინააღმდეგე გონს მოეგება და დროზე შეწყდება ეს უაზრო ომი, საქართველოს და მის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიებს დიდი მომავალი აქვს.

გუშინ გაეროს მუდმივ წარმომადგენლად და ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინიშნა ბატონი პეტრე ჩხეიძე. ამერიკასთან დაიდო სავაჭრო შეთანხმება, გვიგზავნის დიდ ჰუმანიტარულ ტვირთს. იაპონიამ ორი მილიონი დოლარის ღირებულების მედიკამენტები და საწვავი შეგვპირდა, იტალია კი — სამი მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანურ დახმარებას. დიდი პერსპექტივა აქვს ისრაელთან ჩვენს ურთიერთობას. გერმანია ხომ ყოველნაირ დახმარებას გვპირდება. დიდად გვიწყობს ხელს ჩვენი მეზობელი თურქეთი, თუ არას ვიტყვით ირანზე, აზერბაიჯანზე, სომხეთზე, მზადდება ვიზიტი ჩინეთში, ინდოეთში და მსოფ-

ლიოს სხვა ქვეყნებში, განა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მიელი მსოფლიო არ იცნობს?...

არადეს ფრონტზე ჯერჯერობით სიწყნარეა.

6 მარტი.

მთელი ღამე კოკიპირულად წვიმდა. ბადრი ძალიან დაღლილი მოვიდა. შუქი არ იყო, რაიმე ინფორმაცია რომ გაგვეგო და მაშინვე მოსასვენებლად დაწვა და უმალ დაეძინა. მე კი ლამპის შუქზე ვილაცის მიერ მიტანილ გაზეთებს დავუწყე გადათვალიერება. ამ გაზეთების უმრავლესობა აქამდე თვალითაც არ მქონდა ნანახი, ისინი იყო უპირველეს ყოვლისა „საქართველოს სამრეკლო", „იბერია სპექტრი" და „აღდგომა". ჯერჯერობით მხოლოდ „სამრეკლომ" დამაინტერესა, რადგან „იბერია სპექტრის" შესახებ ბევრი მქონდა გაგონილი. მეტად „განვითარებული" დავრჩი „სამრეკლოთი". რა ღვარძლი, რა ცილისწამება, რა გინება და ლანძღვა, ჭორი და გოდება არაა ამ გაზეთში. მე რომ მართლაც არ ვიცოდე, რაშია საქმე და სადღაც საზღვარგარეთ წამეკითხა ეს გაზეთი, უთუოდ დავუჯერებდი მის მონაჩმახებს. ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ ბევრი ჩვენი თანამემამულე დეზინფორმაციის ტყვეობაშია. შეწუხინა, რომ მისი მთავარი რედაქტორი აღმოჩნდა ელიზბარ ჯაველიძე, რომელზედაც დიდი წარმოდგენა მქონდა. ბუნებრივია, მე ასე თუ ისე, მწერლებთან მიხდებოდა და ძიხდება ურთიერთობა და ბატონ ელიზბარს „დავეძებდი", მის შემდეგ, რაც იგი „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორის პოსტიდან გაქრა. ისიც ბუნებრივია, რომ ეს არის გაგულისებული კაცის პოზიცია, როგორც „იბერია სპექტრის" მთავარი რედაქტორისა ბატონ ირაკლი გოცირიძისა, მაგრამ ასეთი მაღალი რანგის ინტელიგენტებს მეტი რომ არა, თავდაჭერილობა მართებთ, თუნდაც იმისათვის, რომ დღეს საქართველო გადარჩეს. დღეს ვერავის დააჯერებ, რომ ბატონი შევარდნაძე საქართველოს მტერია. იგი სხვებზე ნაკლები პატრიოტი როდია, იგი მსოფლიო დიპლომატია და მხოლოდ მას შეუძლია დღესდღეობით საქართველო გამოიყვანოს ამ უაღრესად კრიტიკული მდგომარეობიდან, ასე რომ, რამდენიც არ უნდა ილანძღონ ზვიადისტებმა, შევარდნაძეს მაინც ვერ შეულახავენ ავტორიტეტს. ერთი ანეკდოტი

გამიგონია აინშტაინზე, როცა უდიდესი მეცნიერი გერმანიიდან გააძევეს და ამერიკაში ჩავიდა, თურმე დახეული პალტოთი დადიოდა. მას ჰკითხეს: ბატონო ალბერტ, რატომ დადიხარ დახეული პალტოთიო. მან უპასუხა: მე მაინც არავინ არ მიცნობსო. გავიდა ხანი და აინშტაინი კვლავ დახეული პალტოთი დადის. ისევ ეკითხებიან: ბატონო ალბერტ, რატომ დადიხარ დახეული პალტოთიო, მან დინჯად უპასუხა: სულერთია, მაინც ყველა მიცნობსო. ასეა, ბატონებო, ვინც შეევარდნაძეს უდიერად იხსენებთ, ტყუილა გარჯილხართ, სულერთია, მას მაინც ყველა იცნობს და არც არასოდეს ჩაუცვამს დახეული პოლიტიკური პალტო.

ბატონი გიორგი (შევარდნაძე) დღეს კვლავ აფხაზეთშია და ყოველნაირად ცდილობს ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ვნახოთ, რა მოხდება.

საქართველოს პარლამენტში მიდის შეპლა-შემოხლა იმის თაობაზე, დაიდოს თუ არა ხელშეკრულება რუსეთთან. ბევრი დეპუტატი, უკაცრავად პასუხია, უფრო ცუნდრუკობს, ვიდრე რაიმეა აკეთებდეს. მათ ხშირად ვხედავთ ატუზულს მიკროფონებთან ხან სახით, ხანაც ზურგით, რაც არ შეეფერება დეპუტატის ეთიკას. ხალხი კარგად ხედავს, ვინ რის მაქნისია და, ვინ როგორ იკოტრებს თავს თავისი პოპულიზმითა და უმეცრებით. დასანანია, რომ ბევრი მათგანი ქართულ ენაზე კარგად ვერც კი მეტყველებს. ასეთები ხშირად მუშტებს იქნევენ მიკროფონთან და ვიღაცას აშინებენ. ამ დროს კი ვიღაც იცინის, ვიღაც არც კი აქცევს ყურადღებას რაიმეს და გაზეთს კითხულობს, დაიტანჯა საწყალი სპიკერი მათი დარიგებებით. შოეშალა ნერვები ამ ფრიად განათლებულ კაცს.

არადუს დღეს ისევ მოაკითხეს მერკულელმა თავკაცებმა. ახალი ბატალიონის ჩამოყალიბება გადაუწყვეტიათ არადუ-მერკულის ბაზაზე, თორმეტი კაცი მოითხოვეს ორი ტანკის ეკიპაჟის მოსამზადებლად და ორი ქვემეხის მოსამსახურებლად. ბევრი დავის შემდეგ ბადრი და ბორისი შეპირნენ მათ, რომ ხვალ დილისათვის გამონახავენ მებრძოლებს. თუ ეს მოხერხდა, მაშინ არადუს თავისი მძიმე ტექნიკა ექნება.

სოხუმში, მდინარე გუმისთის გაყოლებით მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები. სოხუმის თავზე დიდ სიმაღლეზე ტრია-

ლებდნენ სამი „სუ-25“, რუსეთის ამოსაცნობი ნიშნებით. ბომბები არ ჩამოუყრიათ.

დადასტურებული იქნა დაზვერვის მონაცემები, რომ 4-5 მარტისათვის აფხაზი ექსტრემისტები და დაქირავებულები აპირებდნენ სოხუმის შტურმით აღებას. ეს ავანტურა ჩაშალა შევარდნაძის ყოფნამ სოხუმში. იგი ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის მთავრობას და რა უთხრა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ჯერჯერობით ხელი ააღებინა ამ ბოროტი განზრახვის შესრულებაზე. ამასთან ამერიკის დეპარტამენტი ცდილობს, საქმის კურსში ღრმად ჩააყენოს როგორც რუსეთი, ისე საქართველო და ორთავეს დააჯეროს, რომ თუ მათ შორის ურთიერთობა არ მოწესრიგდება, ეს გამოიწვევს მსოფლიო მშვიდობის დარღვევას. ამას მოწმობს ამერიკის დეპარტამენტის ნოტა რუსეთისა და საქართველოს მთავრობებისადმი.

ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, რა შედეგი გამოიღო გუდაუთაში აფხაზთა დელეგაციის გაგზავნამ.

. 7 მარტი.

მოწინააღმდეგე მხარე ჩვენი საგუშაგოების მოხსნაზე დაოსტატდა. ისინი კარგად ეუფლებიან პარტიზანული ბრძოლის ხელოვნებას ცაგერას იმ მონაკვეთზე, რომელსაც „ტუნგის“ ველად ვეძახით (იგი ჩვენს მხარეზეა). წუხელ ოთხ ცაგერელს აფხაზები მიპარვოდნენ, ჯერ ამოეწყვიტათ ოთხივე, მერე შემწვარი გოჭებივით გაერუჯათ, იარაღი წაეღოთ და წასულიყვნენ. ასე გააკეთეს ახალგაზრდობაშიც. ჩვენ კი წინადღეებში სამი ახალგაზრდა ამოგვიწყვიტეს, როცა ისინი ბუხართან იყვნენ ცეცხლთან მიმჯდარნი. დიახ, ბუხართან. სოფელს ის დალოცვილები თოფით ხელში საყარაულოდ ეგონათ, ისინი კი ცეცხლზე იყვნენ მიფიცხებულნი. ცაგერლებს ერთ-ერთ საგუშაგოზე სავარძლები გაეტანათ და ნარდს თამაშობდნენ. ვერა და ვერ მოხერხდა იმის გააზრება, რომ მეშვიდე თვეა ომია, საშინელი ომი, და ჩვენ ისევ უდარდელობის ჭაობში ვართ ჩაფლულნი. შეიძლება ითქვას, დახოცილთა უმრავლესობა უგერგილობას ეწირება. მტერი აშკარად გვჯობნის, იგი მარტივი იარაღით გვიმკლავდება და გვჯობნის იმით, რომ ერთმანეთს არ ღალატობენ, უყოყმანოდ ასრულებენ ბრძანებას და

მიზანსაც აღწევენ. არძინბა გუდაუთაში არარსებული პარლამენტის სესიებს მართავს და ე. წ. გაგაუზთა რესპუბლიკასთან ხელშეკრულების რატიფიკაციას ახდენს.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ არ არსებობს არც აფხაზთა და არც გაგაუზთა სახელმწიფო, მაგრამ არძინბა თავისი ფანატიკური თამაშით ნამდვილი სახელმწიფოების ნერვებზე თამაშობს და თავისიანებს არწმუნებს, ბრძოლა უნდა გაგრძელდეს ბოლომდეო.

გაგაუზებმა დნესტრისპირეთიდან მართლაც გამოუგზავნეს ვუდაუთას სამხედრო აღჭურვილობა და ომისათვის საჭირო სხვა რამეები. ვინ მისცა გაგაუზნებს იარაღი? ვინ და რუსეთის მეთოთხმეტე არმიამ. ამ არმიამ ჯერ მოლდავეთს გაუწირა სისხლი და ახლა ჩვენ შემოგვიჩნდა. ჩრდილო კავკასიის მინირესპუბლიკებიდან კონფედერანტები ეხმარებიან, არც რუსეთის შემაკავებელობაში შემავალი სხვა მცირე ხალხები (განსაკუთრებით ყალმუხები იჩენენ თავს) ჩამორჩნენ დახმარებაში და სურთ ერთიანი ძალით ქართული ჯარი (თუმცა სადაა ქართული ჯარი) გააძევონ საქართველოდან (აფხაზეთიდან).

როცა დავით აღმაშენებელმა დაქუცმაცებული ქართული სახელმწიფოს გაერთიანება და გადამთიელთა განდევნა გადაწყვიტა, დიდმა სტრატეგმა განსჯვრიტა, რომ თუ ცენტრალიზებული, დაქვემდებარებული ლაშქარი არ ეყოლებოდა, იგი ომს ვერ მოიგებდა. დავითმა ყივჩაღები დაიქირავა და საქართველოში ჩამოასახლა. რატომ? ჯერ ერთი, ყივჩაღები ძალზე ერთგულნი (რაც მთავარია) იყვნენ მეფისა და მეორეც, შეუდრეკელი ბრძოლა იცოდნენ. ცნობილია, თუ როგორ ისახელეს თავი ყივჩაღებმა მეფის არმიაში. განა გვაწყენდა ასეთი ხალხის გადმობირება და მათი მეშვეობით ომის მოგება? რამდენადაც ვიცით, თურქეთი ათი ათასი კაცის იარაღით მომარაგებას დაგვპირდა. არც ისრაელს გვეტყვის უარს რაიმეზე და არც სხვა სახელმწიფოები დაიხევენ უკან.

ბატონი შევარდნაძე ისევ სოხუმშია, მან შეაფასა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამას წინათ რუსეთისა და მის სახელზე გამოგზავნილი ნოტა და ხაზი გაუსვა, რომ ამერიკაში უფრო კარგად ერკვევიან აფხაზური კონფლიქტის საშიშროებაში, ვიდრე რუსეთში და აღნიშნა, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვევა, მაშინ რუსეთს დაშლა ელის.

გრძელდება პოზიციური ბრძოლები სოხუმში და ოჩამჩირის ფრონტებზე. დღეს ადრე დილიდან ოჩამჩირეს და მის გარეუბნებს თავს დასტრიალებდა ერთი „მიგის“ ტიპის მოიერიშე ბომბდამშენი. რამდენადაც ვიცი, ასეთი ტიპის თვითმფრინავი ქართველებს არა ჰყავთ. შემდეგ მათ შეენაცვლა ორი „სუ-25“ ტიპის თვითმფრინავი. ისინი ძალიან მაღალ სიმაღლეზე დაფრენდნენ.

8 მარტი.

ამ დილით ძლივს გადავურჩი მტრისგან ნასროლ ტყვიას. ქვედა აივანზე ვიდექი დილაადრიანად და მაზანკის ჰორიზონტს გავყურებდი. უცებ უცნაური შხუილი გაისმა და იმავდროულად რაღაცამ ჩემს გვერდით ბეტონის კედელი შეგლიჯა, შემდეგ რომელიღაც მრგვალი საგანი ძირს ჩამოვარდა. დავაკვირდი, ხელში ავიღე, თბილი იყო ჯერაც, „აკმ“-ის ტყვია აღმოჩნდა. ჩემი შარვლის გახვრეტა მოასწრო და (რბილო თუ შეეცოდა მოხუცი კაცისა) კედელს სიბრტყით მოხვდა. ბადრიმ რომ გაიღვიძა, ვაჩვენე ნატყვიარი შარვალი, კედელი და ტყვიაც. ჯერ გაუკვირდა, შემდეგ შეშფოთდა და თავისებურად ჩაიბურდღუნა: „ნუ დაბორიალობ აქეთ-იქით, სახლში იჯექიო“. მერე თქვა, ტანკების ეკიპაჟები და ქვემეხების გათვლები დავაკომპლექტეთო. გამეხარდა, თუ ეს ასეა, ხალხი ნელ-ნელა იწყებს სამხედრო ყაიდაზე ცხოვრებას. ქართული ჯარის მოდელიც თანდათან ისახება. გუშინ გავიგეთ, რომ აფხაზებს თურმე საომრად 15-16 წლის ახალგაზრდებიც კი გამოუყვანიათ.

წუხელ ბატონი შევარდნაძე თბილისს დაბრუნდა. ნადარეიშვილმა რადიოში თქვა, რომ სახელმწიფოს მეთაურის სოხუმში ყოფნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სოხუმზე შეტევის ჩაშლაშიო, თურმე უველაფერი გათვლილი ყოფილა: რუსეთის მედესანტეთა ნაწილს სამასზე მეტი კაცის (კადრის ოფიცრების) შემადგენლობით უნდა აეღო სოხუმი, შემდეგ შემოვიდოდნენ აფხაზები, რომელთაც ჩააბარებდნენ სოხუმს, რუსები კი გაავრცელებდნენ ხმას, აფხაზებმა შემმუსრავი დარტყმით (ასე გამოაცხადეს გაგრის აღების დროსაც) აიღეს ქალაქი სოხუმი და გარეკეს ქართველებიო. ამ ოპერაციის ხელმძღვანელად დაუნიშნავთ ვიღაც გენერალი ლეშჩუკი, როგორც ჩანს, კარგად იმუშავა ჩვენმა დაზ-

ვერვამ, როცა ისე დაწვრილებით გაიგო ყველაფერი. შემდეგ ნ. დარეიშვილმა აღნიშნა, არ ვიცით, ვის ელაპარაკა უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ მობდა ისე, რომ მისი იმ „ვიღაცასთან“ საუბრის შემდეგ, რუსებმა უარი უთხრეს აფხაზებს სოხუმზე შეტევაზე წამოსვლა.

9 მარტი.

დღეს ორჯერ მომიწია ბრძოლის ველზე გასვლამ. დილის ათი საათისათვის პარლამენტის სხდომის ტრანსლიაცია დაიწყო. დებატები მიმდინარეობდა რუსეთთან ურთიერთობის გარკვევის საკითხზე. საწოლზე მოვკალათდი და მინდოდა გულდასმით მენახა, რას იტყოდნენ პარლამენტარები, ძალიან გათავხედდნენ ოსები. ექვს მარტს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ ცნო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“. საქართველო ვეღარ აკონტროლებს სამაჩაბლოს, როკის გვირაბს, ოსები ქართველებს დევნიან. პარლამენტში იურიდიულმა კომისიამ ამის თაობაზე გააკეთა საპარლამენტო განცხადება, ხოლო თავის მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას. დაველოდოთ შედეგებს. ერთი კი ცხადია, უხეშად დაირღვა დაგომისის შეთანხმება. პარლამენტმა პატივი მიაგო 1956 წელს თბილისში დაღუპულ ახალგაზრდათა ხსოვნას.

მოულოდნელად გარეთ ჭახანი გაისმა, რომელსაც ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების კაკანი მოჰყვა. გარეთ გამოვვარდი. ისროდნენ მაზანკის მხრიდან. რამდენიმე ნაღმი აფეთქდა სხვადასხვა ადგილას, შეშინებული ადამიანები სოფლის ბოლოსკენ გაიქცნენ. საგუშაგო მიეტოვებინათ, და ქუჩის სხვადასხვა ადგილას შეყუჟულიყვნენ. მიუხედავად უქეიფობისა, იძულებული გავხდი იარაღისათვის დამეველო ხელი და შეშინებულ ადამიანებს წინ გავძღოლოდი. არ ვიცი, რამ იმოქმედა, მაგრამ ჩემი მისვლის შემდეგ საგუშაგოზე ყველა მოგროვდა. ზოგი თბრილის ამოღებას შეუდგა, ზოგმაც ენა გააგრძელა და ერთმანეთის ქიშპობას და ძაგებას შეუდგნენ.

აფორიაქებული და გადაღლილი ხალხი ერთმანეთისა და მთავრობის ლანძღვა-გინებაშია. ხან ერთს ვამშვიდებ, ხან მეორეს, მაგრამ რამდენი უნდა დაამშვიდო? ყველაფერი მიწყნარდა და

საღამომდე სიმშვიდე ჩამოვარდა. საღამო ხანს კი ისევ წამოეყარა ავკანჭმა მოწინააღმდეგე მხარეს. ამჯერად სახლებს დაუშინეს ჰურვები. ერთმა ჰურვმა საგუშაგოს ახლოს მდგომი ვალერას სახლი ჩაანგრია. იქიდან გამოქცეული ლადია და გივი ვერაფრით ვერ მივაბრუნე უკან. თუ ბიჭი ხარ, შენ წადიო. ამასობაში ერთმა ჰურვმა სასაფლაო დაგლიჯა, მეორე ბუჩუს ეზოში ჩავარდა, მესამე ჩემს სძლის გვერდით დაეცა, მეოთხემ კი ვიღაც იმსხვერპლა სკოლასთან.

ახლა კი მეორედ შევიარაღდი და ქუჩაში მყოფთ მშვიდად მოვუწოდე — ვისაც იარაღი გაქვთ, ჩემთან წამოდით-მეთქი და სრულიად დამშვიდებული საგუშაგოსკენ გავეშურე. ახალგაზრდები გონს მოვიდნენ. ედემი და თამაზი ამედევნენ, შემდეგ წინაც გამისწრეს. ამასობაში მოვიდნენ ზაური, ჯიბილო, როზალი, ჭიჭიკო კოპალიანი აქ დაგვხვდა და ფეხი არ მოუცვლია, მხდალები კი ვერადა ვერ მიეკარნენ საგუშაგოს. უმალ გავნაწილდით, ავტომატს დამცველი მოვხსენი და იქით დავუმიზნე, საიდანაც ისროდნენ. რამდენიმე გავისროლე, გულში კი ღმერთს ვეხვეწებოდი, ღმერთო, ნურვის მოახვედრებ-მეთქი. ნამდვილად მენანებიან, მაგრამ გვაიძულებენ ასე მოვიქცეთ. გვიან ღამემდე ვიყავით, სანამ ცვლა არ მოვიდა, ჩვენი ბრძოლა ნამდვილად სტიქიურია. არ გვყავს ერთიანი ხელმძღვანელი. სოფელში ერთი დანგრეული ტანკი დგას. დიდის ვაივაგლახით ამოაგორეს. ორი საათი მაინც მოუნდნენ მის გამართვას. მხოლოდ ორჯერ გაისროლეს, მაგრამ არც ერთი არ აფეთქებულა, მტრის საგუშაგო კი რაღაც მხოლოდ ორ კილომეტრზეა. ტანკი ისევ უკან გაბრუნდა, ის არტილერისტებიც აღარ ჩანან, დღეს რომ მოწინააღმდეგის განადგურებას გვპირდებოდნენ, ყველაფერს მაინც მითქმა-მოთქმა აფუჭებს; ჟორამ ამბავი მოიტანა, ლაბრა აფხაზებმა აიღესო. ამან ქალები შეაშფოთა და გასაქცევად მოემზადნენ, როცა ჟორას ვუსაყვედურე, ეწყინა, მაგრამ, არა უშავს, სჯობს ახლა გაწყენინო ვინემ, თუ ამით რაიმე სასარგებლო გაკეთდება სოფლისათვის, ოღონდაც გადავრჩეთ და ჩვენ შემდეგ მაინც გამოვრიგდებით. საგუშაგოზე ერთი ნაღმსატყორცნიც კი არ უდგათ, რომ მოწინააღმდეგეს უპასუხონ. არა და, მათი გამაჩუმებელი მხოლოდ ძალაა, მეტი არაფერი. დღეს კიდევ ერთი დედისერთა ბიჭი იმსხვერპლა

მტრისაგან ნასროლმა ნაღმმა — რომან ომანიძე. იგი საგუშაგოზე მიდიოდა და გზაზე დაცემულმა ნაღმმა შუაზე გაწყვიტა ახალგაზრდა კაცი და ისე დაგლიჯა, მისი ცნობაც კი გაუჭირდათ.

10 მარტი.

სროლის შუალედში გაუხდელად მიმძინებოდა. გაუხდელი დაწვა ბადრიც. იგი ყოველ წუთში მზადაა ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. ერთმანეთს ვამხნევებდით, მაგრამ ხშირად ვეჩხუბები. ამ დილით კარგად შევახურე კომენდანტი. იწვევენ რაღაც გაუთავებელ კრებებს და სხვათა ჭკუას არიან აყოლილნი. გუშინდელმა დღემ აჩვენა, რა უსუსურებიც ბრძანდებიან. ყველამ მიატოვა საგუშაგო, ხალხი უიმედოდაა, მეთაურები ვერ იჩენენ გამჭრიახობას. ამასობაში მტრები ნელ-ნელა გვერტყმიან სამკუთხედად, არადუს მიზანში ესვრიან. წუხელ „აკმ“-ის ტყვიით ზედა სართულზე ფანჯრის მინა გახვრიტეს და კედელი ათ სანტიმეტრამდე შეგლიჯა გადარეულმა ტყვიამ. კიდევ კარგი, იქ არავინ იწვა. ასე უთავბოლო სროლებით ნელ-ნელა გვაცლიან ხელიდან ადამიანებს. გუშინდელმა ნასროლმა ჭურვმა ისე დაგლიჯა გზად მიმავალი კაცი, რომ მისი სხეულის ნაწილების შეგროვება ვერ მოხერხდა. ქაოსი და გულგატეხილობა თანდათან მატულობს, სოფელს დაცლა ემუქრება, ჯოჩარას მსგავსად ასე თუ დაიცალა ყველა ქართული სოფელი, მეტი რა უნდათ აფხაზ ექსტრემისტებს. ასეთ ვითარებაში ზუგდიდი გალს გადაეკიდა, რატომ ებმები ბრძოლაშიო, გალში კი ასი ათასზე მეტი კაცია. მას შეუძლია იხსნას მთელი აფხაზეთი, ენგურს გაღმელები რომ არ ამღვრევდნენ წყალს. ესაა ე. წ. მოურჯულებელი გამსახურდიას ფაქტორი. თუ არ ვიმარჯვეთ, ეს ფაქტორი დაღუპავს საქართველოს.

გუშინ გვარიანი გამოცდა ელოდა ოჩამჩირეს. აფხაზმა ექსტრემისტებმა დიდძალ ცოცხალ ძალას და ტექნიკას მოუყარა თავი და დილაადრიან შეტევა განახორციელეს ლაბრაში და კიდევაც მოახერხეს მისი ხელში ჩაგდება. მაგრამ მტერს სულის მოთქმა არ აცალა ოჩამჩირის 24-ე ბრიგადის ნაწილებმა სოხუმის 23-ე ბრიგადის ნაწილებთან ერთად. გააფთრებული ბრძოლების შედეგად დახოცეს და დაჭრეს რამდენიმე ათეული „ბოევიკი“, გა-

ანადგურეს ორი ტანკი და ჯავშანმანქანა, ხოლო ერთი ტანკი და ერთი ჯავშანმანქანა ჩაიგდეს ხელში. ასე რომ, ჩვენმა მებრძოლებმა პოლკოვნიკ გია ვაშაკიძის მეთაურობით ნამდვილი სამხედრო წარმატება მოიპოვეს გუშინ. ახლა მთავარია, დაკავებული პოზიციების შენარჩუნება, თორემ ყველაზე დიდი სენი ისაა, აიღებენ პოზიციებს, წინ წაიწევენ და შემდეგ ვიღაცის ბრძანებით ისევ უკან ბრუნდებიან, ამიტომ ხშირად ბუზღუნებს ხალხი, გაყიდულია აფხაზეთიო.

გუშინ მოსკოვში დაიწყო რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მეოთხე რაუნდი. ეს მოლაპარაკება ალბათ ძალზე ძნელი იქნება. ჯერ ერთი ჩვენს პარლამენტში ამ საკითხზე დებატები გაჩაღდა და ბევრი დეპუტატი წყალს ამღვრევს, მეორე და ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ მოლაპარაკება დაეშთხვა რუსეთის უმაღლესი საბჭოს მერვე საგანგებო ყრილობის გახსნას, სადაც დომინირებენ რეაქციულად განწყობილი დეპუტატები — ბაბურინები და ძმანი მათნი, პარლამენტის სპიკერი ხაზბულატოვი (ეს ჩეჩენი მამლუქი კრიჭაში უდგას ელცინს), რომელიც რუსეთის დემოკრატიულ გარდაქმნაზე ბჟუტურობს, ალბათ ეს ყრილობა გადამწყვეტი იქნება რუსეთის ბედისათვის. თუ გაიმარჯვა ელცინმა, მაშინ მას საზღვარგარეთიც დაუჭერს მხარს, მაგრამ თუ ნეობოლშევიკებმა იმარჯვეს, რომლებიც ერთ ალიანსში არიან, მაშინ შავი დღე მოელის ამ საწყალ, დალოცვილ დედამიწას და ეს იქნება იმ აპოკალიფსის საფუძველი, რომელიც ბიბლიაშია ნახსენები.

11 მარტი.

დღეს ცაგერადან სტუმრები გვეწვივნენ. მე ვერ შევძელ მათთან შეხვედრა. ცუდად გამხადა ჩემი მეზობლის ჟორას ჩემი მისამართით თქმულმა ავმა სიტყვამ. მოკლედ მოგითხრობთ, თუ რა მოხდა.

ღამით ჰიპერტონიამ შემომიტია და მთელი ღამე არ მძინებია. დილის 9 საათისათვის ჩავთვლიმე. ამ დროს მეუღლე შემოვარდა და შეშფოთებით მომაძახა, ჩაიცვი და გარეთ გამოდი, ქუჩაში გელოდებიანო. ქუჩიდან ქალების ხმაური ისმოდა. ძლივს წამოვდექი და ქუჩას მივაშურე. იქ ათიოდე ქალი და რამდენიმე მამა-

კაცი შეგროვილიყო. ქალებიდან ერთ მათგანს — ცაცას ჯოხი ეჭირა ხელში და ყვირილით იღებდა იქაურობას. მეგონა ქვეყანა დაინგრა-მეთქი. „რა მოხდა?“ — ვიკითხე, რა მოხდა და ყველამ მიატოვა პოსტებიო, — წიოკობდა ცაცა, — წუხელ მარტო ჩემი კაცი იყო საგუშაგოზე, ახლა კი აღარავინაა იქ, არ ვარგა ჩვენი მეთაურებიო. რატომღაც მარტო მის ქმარს უკისრია ერთი საგუშაგოს მეთაურობა. ახლა სადაა-მეთქი? სძინავსო. მერე ერთმანეთს დაერივნენ ქალები, არა ჩემი ქმარი აკეთებს ყველაფერს და არა ჩემი შვილიო. ცოტა ხანს ვუსმინე მათ, მერე ერთად შევაგროვე ყველა და მშვიდად ვუთხარი, თუ თქვენს განსასჯელად გამხდარა ყველაფერი, ცუდად წასულა ჩვენი საქმე, ახლავე შინ წადით და მამაკაცები გამოუშვით-მეთქი. ჯერ შეყოყმანდნენ, ზოგმა ჯიუტობაც კი გაბედა. დავუცაცხანე მათ და პირველ რიგში ჩემს მეუღლეს შევუტიე. მაშინ კი იკადრეს სახლებში წასვლა, თუმცა ლანძღვა-გინებას მაინც არ იშლიდნენ, მამაკაცები დავიტოვე, ვითათბირეთ და ყველა შევითანხმე, რომ ჩვენ, ხანში შესულებს აღვედგინა და დაგვეცვა ადრე გაკეთებული ახლომდებარე საგუშაგო. სხვა საგუშაგოები იმათ დაეცვათ, რომლებიც მათთან ახლოს ცხოვრობდნენ. ლადიამ ისევ უგანა და არ ისურვა ჩვენს საგუშაგოზე გამოსვლა. გუშინწინ კი მან პირველმა მიატოვა ავტომატი და მოკურცხლა, როცა საგუშაგოს ახლოს ნაღმი დაეცა. დანარჩენები გავანაწილე და თითქმის ყველაფერი მოგვარებული იყო. ამ დროს იასონის სახლიდან გამოვიდა კომენდანტი. ამ ბოლო დროს ის ძალზე გულაცრუებულად იქცევა და ჩემთან შეხვედრას ერიდება, რადგან იცის, „შევახურებ“.

ჩვენთან კომენდანტი მოვიდა. მას ჟორა ეკითხება: როგორ ფიქრობ, ეს საგუშაგო საჭირო არისო? ამაზე მე აღვშფოთდი და ვუთხარი, ბორიას რომ ეკითხები, მე რატომ არ მკითხავ-მეთქი? ჟორა მოულოდნელად მეუბნება: შენ ვინ გკითხავს, რაის მაქნისი ხარ?, როცა კომენდანტი ეს კაციაო. თავზარი დამეცა, ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არავის მიუყენებია. ამ შეჩვენებულმა არ გამასწორა მიწასთან?! არადა პირველ შეკრებაზეც მან ჩამიშალა საგუშაგოზე გასვლის განრიგი. შენი კაცობაც კი შევარცხვინე-მეთქი და გულმოსულმა პირი ვიბრუნე სახლისკენ. გზად ვფიქრობდი: „რა ეშველება ამ თავგზააბნეულ ხალხს?“ აი, რამ გამხადა ხელმეორედ ავად და როცა ბადრი მო-

ვიდა და მითხრა, სტუმრებთან უნდა წამოხვიდეო, უარი ვუთხარი. არ ვიცი, როდის მომიბრუნდება დაკოდილი გული.

დღეს ფრონტებზე შედარებითი სიწყნარეა. დიდ საგონებელში გვაგდებს ის ამბავი, რომ სამეგრელოში კვლავ მძლავრობს გამსაზურდიას ფაქტორი. ზუგდიდი ისევ ჯიუტობს, ისევ იწყება მატარებლების ჩაკეტვა, ლოთი ქობალია წინანდებურად აჯანყებს სამეგრელოს, გათვლილია ვარაუდი, რომ მთავრობას შეუქმნან კრიზისი და მიაღწიონ მის გადადგომას. რას მისცემს მერე ეს საქართველოს?

12 მარტი.

როგორც ცნობილი გახდა, რუსეთი აშკარა აგრესიას აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენი მხარისათვის შესაბამისი წყაროებიდან კარგად გახდა ცნობილი, რომ ყველა ოპერაცია, რომელიც აფხაზების მხრიდან ხორციელდება, გუდაუთაში იგეგმება რუსი სამხედრო ოფიცრობის მიერ. მათ შეადგინეს პროექტი მთლიანად აფხაზეთის ხელში ჩაგდებისა. ამ პროექტის მიხედვით სოხუმს უნდა დაარტყან რუსებმა, გამოყენებული უნდა იქნას რუსი მედესანტეები, ავიაცია, არტილერია და თვითმავალი დანადგარები „ნანა“ და „აკაცია“, (საიდან გაუჩნდათ მათ ეს იარაღი?) ცოცხალი ძალიდან თავმოყრილია 1200-ზე მეტი აფხაზი და 10000-მდე დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი და მცირეაზიელი. ჯერჯერობით ბატონმა შევარდნაძემ ჩაშალა მტრის ეს ზრახვები, მაგრამ თავის განზრახვაზე მტერი იოლად ხელს არ აიღებს (თუ არ ააღებინეს).

სოხუმს ამჟამად მხარში მთელი საქართველო უდგას. განუწყვეტლად მოედინება დახმარება ქუთაისიდან, (სადაც მარჯვე და გონიერი კაცია ქალაქის მერად), ახალციხიდან, დუშეთიდან და სხვა რაიონებიდან. ამას ვერ ვიტყვით ლოთი ქობალიაზე, რომელმაც გუშინ ზუგდიდი-გალის მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტა. ეს იმიტომ, რომ ზუგდიდელები, რომლებმაც გალში აპირებდნენ მიტინგის ჩატარებას, გალში არ შეუშვეს. მათ უნდათ აფხაზეთის ამბებს გალი ჩამოაშორონ და ამით ხელი შეუწყონ მტერს, ამაზე მეტი ღალატი იქნება?

როგორც პარლამენტის სხდომაზე ითქვა, საქართველოში მოქმედებს კარგად ორგანიზებული უცხოეთის დაზვერვა და ძალიან

ნოყიერ ნიადაგსაც პოულობს აქ, მიზანსაც ადვილად აღწევს. ამის ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. უსაშველოდ გაძლიერდა კრიმინოგენური ვითარება, ჩნდება ახალ-ახალი ცხელი წერტილები.

ოჩამჩირეში ბრძოლები გრძელდება ლაბრისათვის. იგი ხშირად გადადის ხელიდან ხელში. გუშინ ლაბრას კვლავ შემოუტიეს აფხაზებმა, ჯერჯერობით არ ვიცით, რა მდგომარეობაა იქ, წუხელ მთელი ღამე უშენდა არტილერია.

გუშინდელი არადუს სტუმრებიდან ერთ-ერთი აფხაზეთის განათლების ახალი მინისტრი ჯანო ჯანელიძე აღმოჩნდა. არადუს საშუალო სკოლის შენობა და ინვენტარი ერთი პირველი იყო რაიონში, ახლა ეს შენობა ნახევრად დანგრეულია, ძვირფასი წიგნები და ინვენტარი გაპარტახებულია. ახლაც ჰკიდია კედელზე ჩამოხეული რუკები. უპატრონოდაა მიტოვებული კარებშეგლეჯილი კაბინეტები. რატომ უნდა მომხდარიყო ასე? არადუ ხომ მტერს არ აუღია. სკოლაში მოსული ჯარისკაცები იდგნენ, მაგრამ ყველაფრის მათზე გადაბრალებაც არ შეიძლება, რა უნდა გაეკეთებინა მტერს იმაზე მეტი, რაც ახლა ამ სათუთად მოვლილ სკოლას სჭირს. მასწავლებლები დირექტორის ჩათვლით აქაურები არიან, ნუთუ არ შეეძლოთ მათ დაეცვათ თავიანთი სკოლა გაჩანაგებისაგან? ჰოდა, იცის კი ეს ბატონმა მინისტრმა? საკვირველია, რომ მას არც სკოლა უნახავს და არც ერთ მასწავლებელს არ შეხვედრია.

დღეს, ნაშუადღევს, დღის 4 საათზე ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა მაღალ სიმაღლეზე გადაუფრინა ოჩამჩირეს და სოხუმის მიმართულებით გაფრინდნენ. ერთი საათის შემდეგ ერთმა თვითმფრინავმა „სუ-25“-მა დაიწყო წრის შემოვლა ოჩამჩირის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევენ ქართველი ნაწილები. თვითმფრინავი თითქმის ერთი საათის განმავლობაში უვლიდა წრეს არადუ-ცაგერა-კინდღი-პორტი-ოჩამჩირე-მერკულა-არადუს. ხალხი ქუჩაში გამოეფინა და თვალს ადევნებდა ვერცხლისფერი იხვის ფორმის ბგერაზე უსწრაფეს მფრინავ სხეულს. მერე თვითმფრინავი ზღვის მიმართულებით გაფრინდა.

საღამოს შვიდ საათზე მოულოდნელად ის თვითმფრინავი კვლავ გამოჩნდა და ამჯერად პიკირებით დაეშვა, ჯერ რალაცამ მთელი ჰორიზონტი გაანათა და გამაყრუებელი აფეთქების ხმაც გაისმა.

ეს ცაგერას მხარეზე მოხდა. თვითმფრინავი კვლავ შემობრუნდა და შეორედ ბომბები პორტსა და არადუ-ცაგერას საკუთხედში ჩამოყარა. ამ დროს სინათლეც ჩაქრა და სრულმა სიბნელემ დაისადგურა.

ამ ამბავმა ძლიერ შეაშფოთა მოსახლეობა და საგონებელში ჩააგდო. რას ნიშნავს ეს? თვითმფრინავი მთელი ნახევარი დღის განმავლობაში ტრიალებდა ოჩამჩირის თავზე და მისთვის წინააღმეგობა არავის გაუწევია. ნუთუ საჰაერო წინაღობის არაფერი საშუალება არ გაგვაჩნია? წინასწარ მაინც გაეფრთხილებინათ მოსახლეობა, საჰაერო თავდასხმა თუ იყო მოსალოდნელი.

არ მინდა ვინმემ მიკერძოება დამწამოს, მე მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ვახდენ მემატიანის გულმოდგინებით, ამიტომ ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ ხალხისათვის სულერთია, ვინ იქნება სათავეში, ოღონდ ღირსეულად გაუძღვეს მას და ქვეყანაში დაამყაროს წესრიგი. აი რას მოითხოვს ხალხი! ხალხი მეტისმეტად გადაიღალა. ვხედავთ, რომ ვიღაც და რაღაც მეტად აქტიურად მოქმედებს და ქვეყანა კრიზისისაკენ მიჰყავს, ხოლო ბევრი ვერც პარლამენტში, ვერც მთავრობაში ამას ვერ (ან არ) ხედავს. ცამდე მართალი იყო ქალბატონი ირინა სარიშვილი, გუშინდელ პარლამენტის სხდომაზე რომ გამოვიდა და გულისტკივილით დაგმო ზოგიერთი დეპუტატის უდარდელობა, უპასუხისმგებლობა და დილეტანტობა.

18 მარტი.

წუხელ საღამოს „სუ-25“-მა რაკეტები დაუშინა ცაგერას იქ, სადაც პატარა ხიდზე რკინიგზის მაგისტრალი გადის. რკინიგზა არ დაზიანებულა, დანგრეული იქნა რვა სახლი, მოკლულია ორი და დაჭრილია ცხრა მშვიდობიანი მცხოვრები. დღის ორ საათზე, როგორც გუშინ, იმავე მარშრუტით გადაიფრინა ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა. ბომბები ცხენისწყალთან ჩამოყარეს. გასარკვევია, ვისი პოზიციები დაიბომბა. საჰაერო თავდასხმები ყოველდღიური მოვლენა გახდა, საჰაერო თავდაცვის მიზნით კი არავითარი ღონისძიება არ ტარდება.

ხვალ შვიდი თვე მთავრდება ომის დაწყებიდან. ომი გაჭიანურდა და თან მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ სიმწვავის მიზეზი რუ-

სეთია და მისდამი არძინბას ფანატიკური ერთგულება. გუდაუთელმა „დიქტატორმა“ სალად მოაზროვნე ყველა აფხაზი ქართველთა მზვერავებად და აფხაზეთის მოღალატეებად გამოაცხადა და მათი სამხედრო წესით გასამართლება მოითხოვა. ალბათ აფხაზეთის ხსნის კომიტეტიც მოღალატეა მისი აზრით. რატომ არ იცის, არძინბამ, რომ მისი ახირება ბოლოს და ბოლოს თვითონ მას მიიყვანს სამხედრო წესით გასამართლებამდე. იცის, ძალიან კარგადაც იცის, მაგრამ მას ზურგს უმაგრებენ. რამდენადაც მეტად აირევა რუსეთი, იმდენად მეტ მომხრეს იშოვის არძინბა, რუსეთი კი მართლაც რომ არევის პირზეა მიმდგარი. გუშინ მოსკოვში უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე ყრილობაზე დეპუტატთა უმრავლესობამ უარყო ელცინის მიერ შეთავაზებული კომპრომისული ვარიანტი. რადიკალებმა ისიც კი მოითხოვეს, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ხასბულატოვმა თავის ხელში აიღოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ხელმძღვანელობა. ელცინმა განაცხადა, რომ ჩაატარებს რეფერენდუმს და და თუ პარლამენტი ამას არ დაუჭერს მხარს, იგი მიმართავს სხვა ღონისძიებებს. ამავე დროს მან დემონსტრაციულად დატოვა ყრილობა. დღეს ყრილობის გადამწყვეტი დღეა. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოვლენები. ამერიკის პრეზიდენტი ქლინტონი და დიდი ბრიტანეთის პრემიერი ერთსახოვნად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ მხოლოდ ელცინს და ყოველნაირად დაეხმარებიან რეფორმების გატარებაში. ცნობილი გახდა, რომ დიდი შვიდეული ემზადება ამ მიმართულებით განახორციელოს მნიშვნელოვანი ღონისძიებები. რა მოხდება, თუ ელცინი გადააყენეს? ქაოსი, რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია, შიდაომები და განუკითხაობა. ამ შემთხვევაში არა მგონია, რუსეთში გამოჩნდნენ ახალი ისეთი ყოვლისშემძლე დიქტატორები, როგორიც ჰყავდათ ბოლშევიკებს. ეს მეტად საშიში მოვლენა იქნება. ტყუილად როდი უწოდა რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“.

დღეს არადუში დაკრძალეს ის ბიჭი, წინადღით რომ მტრისაგან ნასროლმა ნაღმმა დაგლიჯა. გვყავს მეორე ასეულის მეთაური ზურიკო კოპალიანი, ენერგიული, დაუღალავი ბიჭი. დღეს ას ცალამდე დისტანციური მართვის ნაღმი მოიტანეს და უნდათ ფრონტის ხაზის გარშემო განალაგონ, ბიჭებმა მათი მართვა არ იციან, და ყრია ეს ნაღმები უპატრონოდ ისე, როგორც ბაზვას სარდაფში

„განისვენებს“ ქვემეხი „არადუ“, რომელიც ამდენი ხანია ვერც და ვერ „ალაპარაკდა“.

საღამო ხანს ცნობილი გახდა, რომ მოსკოვში დამთავრდა რიგგარეშე ყრილობა. დღეს ყრილობას ელცინი არ დასწრებია. ხაზბულატოვი გამარჯვებას ზეიმობს. ეს ცუდი ნიშანია. საქართველოს დელეგაციას მოლაპარაკების მეოთხე რაუნდში მეტად მძიმე მუშაობა მოუწევს. ყველაზე მეტი სიძნელეები საომარ მდგომარეობას შეექმნება, რადგან ყრილობა ცდილობს უშუალოდ ხელი შეუწყოს აფხაზ სეპარატისტებს.

14 მარტი.

ჰო, შვიდი თვე გავიდა ომის დაწყებიდან და არავინ იფიქრებდა ამდენ ხანს თუ გაჭიანურდებოდა ეს კონფლიქტი. ახლა კი უკვე კარგად ჩამოყალიბდა ერთმანეთისადმი შურისგება და სიძულვილი. ამის კვალობაზე თანდათან გამძაფრდა საომარი მოქმედება. რაც უფრო გაჭიანურდება ომი, მით უფრო სასტიკ ხასიათს მიიღებს იგი, ქვეყანა ომის შემდეგ კიდევ უფრო მობილიზებული და ძლიერი გამოდის, მაგრამ იღუპებიან ადამიანები, პარტახდება ფასეულობანი. ირანმა ერაყთან ომში მილიონამდე ადამიანი დაკარგა, მაგრამ ახლა ირანი ძალიან მდიდარი და ძლიერი ქვეყანაა.

საქართველოში რომ ერთიანობა იყოს (შიდაერთიანობა), მაშინ ასეთი აყვავებული ქვეყანა იშვიათად თუ იქნებოდა.

ბახვას დედა ბაბილო 85 წლის ქალია, სმენა კარგი აქვს და მხედველობა. პირველ ხანებში იგი ფეხის ხმას აყოლილი თავგადადებული ზვიადისტი იყო. ბაბილო სწირად სანთლებს ყიდულობდა და გამსახურდიას უნთებდა. გამსახურდიას მაგივრად იგი „გამსახურიას“ ამბობდა და მეტსახელად, ბაბილოს „გამსახურია“ შეარქვეს, რომ გეკითხათ, რატომ უჭერ მხარს გამსახურდიასო, ბაბილო ვერაფერს გეტყოდათ.

დღეს ბაბილო შინ მეწვია და ძალიან გამიკვირდა, რომ გამსახურდიას აგინებდა და შევარდნაძეს აქებდა და იცით, რა თქვა? აფხაზეთი და კერძოდ სოხუმი ამჯერად შევარდნაძემ გადაარჩინაო, ამერიკაში დარეკაო და მერე ვერავინ გაბედა სოხუმის აღებაო. ბაბილო ახლაც ფეხის ხმასაა აყოლილი, მაგრამ სხვა „ფეხის ხმას“.

მერე ბაბილო ბებიამ სერიოზულად მითხრა, თუ ბატონმა შევარდნაძემ ვერ მოიცალოს, ამერიკაში შენ დარეკეო, შენ ყველაფერი იცი და ეგებ გადავრჩეთო. მე ულვაშები გადავივარცხნე და სერიოზულად შევპირდი, ასეც ვიზამ-მეთქი, ქალი დამშვიდებული წავიდა შინ.

დღეს ფრონტებზე სიწყნარეა. მტერი გააფთრებული ებღაუჭება სტრატეგიულ ადგილებს, რათა გათიშოს ოჩამჩირე-სოხუმის ტრასები, ლაბრის, ცაგერას, არადუს, მერკულას. ცაგერა შოკში ჩააგდო გუშინწინდელმა დაბომბვამ, იმ უსინდისო მფრინავმა მშვიდობიანი სოფლები მიწასთან გაასწორა. მტერს უნდა, როგორმე ფსიქოლოგიურად გატეხოს მოსახლეობა. ბევრი რამ დამოკიდებულია რუსეთში მიმდინარე პროცესებზე და იმაზე, თუ როგორ დამთავრდება მოლაპარაკება და რა შედეგებით.

15 მარტი.

გუშინ შემაშფოთებელი ცნობები გადმოიცა ჩვენი საინფორმაციო წყაროებიდან. ცნობილი გახდა, რომ გუდაუთაში დაგეგმილია დიდი მასშტაბის შეტევა სოხუმზე, რომელშიც მონაწილეობენ (თურმე) ათას ორასზე მეტი აფხაზი, ათი ათასამდე ჩრდილო კავკასიის და სხვა მინიქვეყნების ნაკრები. ოპერაციებს გეგმავენ და მეთაურობენ რუსის კადრის ოფიცრები, რომლებიც განლაგებულნი არიან გუდაუთაში, ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებს ბომბორის ავიაცია, სადესანტო ნაწილი, არტილერია, ტანკები და თვითმავალი დანადგარები „ნანა“ და „აკაცია“. სადესანტო გემები და ბევრი კიდევ რაღაც... ჰოდა, როცა ამ ინფორმაციას ვიხსენებდი, ბუნებრივია, ხალხი შეშფოთებულია, განსაკუთრებით ჰაერიდან დაბომბვით. სოხუმზე შეტევის თარიღად გამოაცხადეს 15—17 მარტი. ოპერაციის დაწყებას წინ უძღოდა დაბომბვები ჰაერიდან, ჯერ ცაგერაში, სადაც დაიღუპა 1, დაიჭრა — 30, დაინგრა 10 სახლი. 13 მარტს ძლიერ დაბომბეს სოხუმი, ჩამოაგდეს თერთმეტი ნახევარტონიანი ბომბი, დაიღუპა 12 ადამიანი, 8 სამხედრო, სამი ჟურნალისტი.

14 მარტს ღამით სოხუმს დააყარეს ასზე მეტი ჭურვი, მშვიდობიან მოსახლეობაში არის დიდი ნგრევა და მსხვერპლი.

რუსი გენერალი სოროკინი ცინიკურად აცხადებს, რომ თით-

ქოს რუსები არ ერევიან კონფლიქტში და იცავენ ნეიტრალიტეტს, ხოლო რაც შეეხება ჰაერიდან დაბომბვას, თვითმფრინავებს ჩეჩენი მფრინავები მართავდნენო, სოროკინმა განაცხადა რომ, რუსების ადგილსამყოფელის გარშემო მონიშნულია ნახევარკილომეტრიანი რადიუსის ზონა და თუ იქ ერთი ჭურვიც კი დავარდება, მაშინ ჩვენ გამანადგურებელ დარტყმას მივმართავთო.

მგელი და კრავის არაკისა არ იყოს, ასეთი მიზეზი ყოველ წუთში შეიძლება იშოვოს ბატონმა სოროკინმა. სოროკინი ამას ვერ იტყოდა, თვით რუსეთი რომ არ აძლევდეს ამის განცხადების საბაბს. რუსეთი ძლიერ აირია და აგონიაშია. რეაქციული ძალები — რუსლანისტები თავიანთ მორიგ გამარჯვებას ზეიმობენ.

სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა შევარდნაძემ შეაფასა რა სოხუმში შექმნილი ვითარება, თქვა, რომ შემუშავებულია კომპლექსი ღონისძიებებისა, რომლებიც თუ მთლიანად ვერა, ნაწილობრივ მაინც შეაჩერებს ავანტურას სოხუმის მიმართ.

ახლა საღამოს ხუთი საათია. ოჩამჩირის ფრონტებზე გუშინდელივით ავისმომასწავებელი სიჩუმე სუფევს. ველოდებით ამბავს, რა მოხდა დღეს სოხუმში?

15 მარტი.

დაზვერვის ვარაუდი გამართლდა.

წუხელ მტერმა მასიური შემოტევა დაიწყო სოხუმზე, ორ ადგილას შესძლო გარღვევა. თუმცა ჩვენებმაც მოახერხეს მათი შეკავება. ისინი იბრძვიან უახლესი ტანკებით, ჩვენები — ძველი, ჩამოწერილი ტექნიკით.

დღეს მოვისმინეთ ბატონ შევარდნაძის გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე. მან დეპუტატებს და მთელ ქართველ ხალხს პირველად აუწყა, რომ საქმე უშუალოდ რუსეთის აგრესიასთან გვაქვს. რუსეთი საბაბად იყენებს ეშერის სეისმურ ლაბორატორიას, სინამდვილეში ეს ლაბორატორია არის უაღრესად გასაიდუმლებული, „უური“ რუსეთის (ყოფილი საბჭოთა კავშირის) სამხედრო მანქანისა. ამ „უურით“ უსმენს იგი მთელ სამხრეთ აზიას, ევროპას და აფრიკას და ცნობებს აგროვებს, თუ რა ხდება

პლანეტის ამ მონაკვეთებზე. ბირთვული საიდუმლო აფეთქებების შედეგად ამ ლაბორატორიით შესაძლებელია კოლოსალური ენერგიის კონა მიმართო ათასობით კილომეტრის მანძილზე, რათა გამოიწვიო ხელოვნური მიწისძვრები. იქნებ მართალი იყო ექვები იმის შესახებ, რომ სომხეთსა და საქართველოში მომხდარი მიწისძვრები გამოწვეული იყო ხელოვნურად. ასეა თუ ისეა, დიდი ეერაგობაა, ასეთი ლაბორატორია შენიღბულად მოაწყო განთქმულ ზღვისპირა კურორტში.

აი რა დღეში ჰყავდა რუსეთს დამონებული ხალხები. რამდენი ზარალი მოგვაყენა და მოგვაყენებს ეს ლაბორატორია, რომელსაც მოხერხებულად ეფარებიან ჩვენი მტრები, ახლა ხომ საბოლოოდ გამოაშკარავდა გრაჩოვის მოულოდნელი მოგზაურობის მიზნები გუდაუთასა და ბათუმში. და განა გრაჩოვი რუსეთის მთავრობასთან შეუთანხმებლად მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას?

მტერმა სოხუმს შემოუტია ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან, ხმარობს საერთაშორისო კონვეციით აკრძალულ იარაღს, მდინარე ფსოუზე გადმოვიდა ჯარისკაცებით სავსე ავტობუსების კოლონა. ომი რუსეთთან დაიწყო. „მე კიდევ მინდა დავიტოვო ერთი ნაბიჯი უკან, რამდენადაც შესაძლებელია ელცინი არ იყოს გარკვეული ვითარებაში,— თქვა შევარდნაძემ და იქვე დასძინა — თუ ეს ასეა, კიდევ უარესიო“, მან პარლამენტს აცნობა, რომ გადაწყვიტა დღესვე გაფრინდეს სოხუმს, თუ საჭირო გახდა იქიდან გამოაცხადებს საყოველთაო მობილიზაციას, თანაც ყველა რაიონი გააფრთხილა სამობილიზაციო მდგომარეობის შესახებ. უშიშროების და თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელობა დაავალა პრემიერ ბატონ სიგუას. კიტოვანი და იოსელიანი კი სოხუმს გაგზავნა, ამასთან მთელი ქართველი ხალხს გაერთიანებისაკენ მოუწოდა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის მიმდებარე რაიონებს, მადლობა გადაუხადა სამეგრელოს ხალხს მხარდაჭერისათვის.

ბატონი შევარდნაძე რუსეთზე ამჯერად ძალზე განაწყენებულია და ისევ მიემგზავრება აფხაზეთს, რათა სოხუმი გადაარჩინოს.

დღის პირველ საათზე ტელევიზიით გამოვიდა თამაზ ნადარეიშვილი და ილაპარაკა იმაზე, თუ რა მოხდა წუხელ და ამ დილით. თუმცა მდგომარეობა გამოსწორდა და გუმისთის გაღწ

გავყარეთ მოწინააღმდეგეო, თუ ამ საღამოსთვის მაშველი ძალა არ მოგვივიდა, ძალიან გაგვიჭირდებაო.

დღეს არც ერთი სამოქალაქო თვითმფრინავი არ გადაფრენილა სოხუმის მიმართულებით და პირუკუ, ალიონიდან ოჩამჩირის ცაზე, დაახლოებით ცხრა-ათი კილომეტრის სიმაღლეზე რომ დაეკიდა რუსების „მიგი“, აგერ საღამოს ხუთი საათია და იგი ცას არ მოშორებია, ალბათ გიორგის გამოჩენას. ანდა ჩვენი ჯარების გადაადგილებას უთვალთვალებს.

რუსებმა ძალიან აიშვეს თავი. ახლა კი უნდა დაჰკრას განგაშის ზარებმა და მთელ მსოფლიოს ემცნოს ამბავი რუსული ვერაგობისა...

საღამო ხანია. დაძაბული ველოდებით ამბების გაგებას. ის „მიგი“ კვლავ გამომწვევად მაღალ სიმაღლეზე ტრიალებს. „ზენიტკები“ ურტყამენ, მაგრამ ნახევრამდეც კი ვერ აღწევენ. სოხუმიდან ხალხის ევაკუაცია დაიწყო. გავიგეთ, რომ დღის სამი საათიდან ჩვენი ნაწილები კონტრშეტევებზე გადავიდნენ და წონასწორობა აღადგინეს, აიღეს სოფელი შრომა და აჩადარა, თუმცა აჩადარაში ისევ აფარებენ თავს აფხაზი „ბოევიკები“.

სოხუმს ჩამოვიდნენ შევარდნაძე, კიტოვანი და იოსელიანი. ბატონმა გიორგიმ მაშინვე მოინახულა დანგრეული ადგილები, შეხვდა სოხუმის მაცხოვრებლებს, სამხედრო ნაწილებს, შემდეგ გამართა თათბირი, რომელზეც გადაწყდება გამოაცხადებს თუ არა საყოველთაო მობილიზაციას.

17 მარტი.

დიდი ინტერესით მოვისმინეთ „ალიონში“ ბატონ შევარდნაძის სატელეფონო საუბარი. მან მიმოიხილა გუშინ და წუხელ სოხუმში მიმდინარე მოვლენები. აღნიშნა, რომ გუშინ დილით სოხუმში მძიმე ვითარება შეიქმნა. მტრის დიდმა ძალებმა ყოველი მხრიდან შემოუტიეს სოხუმს, რამდენიმე ადგილას გადმოლახეს მდინარე გუმისთა და შემოიჭრნენ სოხუმში. დღის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა აღდგენილი იქნა, მხოლოდ ზოგ ადგილას კიდევ დარჩა დღეისათვის „სამუშაო“. შეეხო რა წუხანდელ განმეორებით დაბომბვას, ბატონმა გიორგიმ მოწინააღმდეგე გააფრ-

თხილა, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით საპასუხო ღონისძიებების გატარებაზე, რაც არა მგონია კარგად დამთავრდეს გუდაუთელი სეპარატისტებისათვის. ამ ანალიზს დღეს გააკეთებენ თათბირზე სახელმწიფოს მეთაურთან, რომელსაც დაესწრებიან ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და გია ყარყარაშვილი.

შევარდნაძემ წერილი გაუგზავნა ელცინს და შეხვედრა შესთავაზა. წერილები გაეგზავნა გაეროსა და მთელს მსოფლიოს. გუდაუთელი რუსი გენერლები კვლავ დუმან. სახელმწიფოს მეთაურს რეუტი შეჰპირდა, რომ ყველაფერს აცნობებს გრაჩოვს. ვნახოთ, როგორ ხასიათზე ადგა ამ დილით რუსეთის თავდაცვის მინისტრი. მთელი ქვეყანა საომარ ყაიდაზე გადადის, ყველა რაიონი საყოველთაო მობილიზაციისათვის იჭერს თადარიგს.

თუ რამდენად დაიმედებული იყვნენ აფხაზები სოხუმზე შეტევით ერთი ადგილობრივი ფაქტის შესახებ მოგითხრობთ.

ვუშინ დაახლოებით დღის ორი საათისათვის, არადუს ფრონტზე მოქვის მხრიდან, თეთრი დროშა გამოჩნდა. იგი მოწინააღმდეგის პოზიციიდან ქალს მოჰქონდა. ჩვენს საგუშაგოზე მდგარი შებრძოლები მოუთმენლად ელოდნენ, რა ამბავი მოჰქონდა იმ ქალს. ქალი თამამად მოვიდა ჩვენს საგუშაგოსთან. გარეგნობით, ეტყობოდა, რუსი იყო. დაახლოებით ორი მეტრის დაშორებით შეჩერდა და ოთხკუთხა დაკეცილი ქაღალდი გადმოაგდო. წერილი იყო. ქალი ხმის ამოუღებლად უკან გატრიალდა და წავიდა. წერილი წაიკითხეს. აი რა ეწერა ამ წერილში:

«Сухуми уже сдался. Вы окружены. Вам пора сдаваться. Мы сохраным всем жизнь, в противном случае мы вас всех уничтожим.

Срок ультиматума до 8 часов».

ასეთი სახის ულტიმატუმები ალბათ ყველა ფრონტებზე იყო წაყენებული. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გუშინ სოხუმს აიღებდნენ, რომ არ ჩვენი მებრძოლების თავგანწირვა, ალბათ აფხაზებს ეს ოცნება აუხდებოდათ...

რუსეთის საინფორმაციო სამსახურები ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს გადასცემენ. ადრე თავგამოდებით აცხადებდნენ, რომ თითქოს პირველად ქართველებმა წამოიწყეს შეტევა გუმისთაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შემოუტიეს აფხაზებმა. რა აფხაზური შეტევაა, როცა მოწინააღმდეგის ყოველი მოკლულიდან მხოლოდ ხუთში ერთია აფხაზი, დანარჩენი ოთხი რუსი და კონფედერანტე-

გია. მხოლოდ ამ დილით „შეშალა“ „ნოეოსტის“, როცა გადას-ცა სწორი ინფორმაცია, რომ შეტევა წამოიწყეს აფხაზებმა, გა-არღვიეს ხაზი და შეიჭრნენ სოხუმში, მაგრამ ქართველებმა კონ-ტრშეტევით პირვანდელ პოზიციებზე მიაბრუნეს აფხაზებიო. მე-რე ვადმოცემაში კვლავ აურიეს და ისიც კი განაცხადეს, რომ აფხაზებმა ოჩამჩირეში დაბომბეს სოფელი კოპიტნარი. მიაქციეთ ყურადღება, კოპიტნარი ცნობილი ადგილია ქუთაისის გარეუბან-ში და სად კოპიტნარი და სად ოჩამჩირე. ეს ჩვენ კი ვიცით, მაგ-რამ რა იცის მილიონობით ტელემაყურებელმა, სად რა მდება-რეობს, ეს იგივეა, რომ თქვა მოსკოვში დამბობეს არმავირიო.

არადუმ მორიგი მძიმე დანაკლისი განიცადა. გუმისთასთან ბრძო-ლებში დაიღუპა არადუელი ოფიცერი ლერი ასლანიკაშვილი. ეს ჭედისერთა ბიჭი არადუს საშუალო სკოლაში სწავლობდა; ბეჯი-თი მოსწავლე იყო. მეცხრე კლასიდან სწავლობდა თბილისის სა-ოფიცრო სკოლაში და დამთავრების შემდეგ მიიღო ლეიტენანტის წოდება. მან მონაწილეობა მიიღო ტამიშის, ლაბრის, ეშერის ბრძოლებში, ასრულებდა დაზვერვით სამუშაოს. გუშინდელი სო-ხუმზე შემოტევა საბედისწერო გამოდგა ამ ბიჭისთვის, რომელ-საც 24 წელი შეუსრულდა.

მეორე ახალგაზრდა ვახტანგი (ჩვენი ვახო) კოპალიანი დღეს დაიჭრა ფეხში, მოქვის მხრიდან ნასროლი ტყვიით. საბალალოდ, ხელიდან გვეცლება რჩეული ახალგაზრდები.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რჩეული ახალგაზრდა გამოგ-ვაკლდა, არადუ ჯერჯერობით საკუთარი ძალებით იცავს თავს. ბადრი დღითი-დღე გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი ხდება. რამ-დენადაც შეუძლია, ყველას უწევს დახმარებას. 14 მარტს მან შეახერხა წერილი გადაეცა მეორე მხარისათვის. წერილით ვალე-რის გამოძახება სურდა. ვალერის მეუღლე ბადრის ბიძაშვილია და არ ვიცით სადაა პატარა გოჩა და დედამისი. ბადრის ცინიკურად შემოუთვალეს, პასუხს სამი დღის შემდეგ მიიღებთო. აფხაზები ვარაუდობდნენ, რომ 15-16 და 17 მარტს უკვე ქართველთა საქ-მე დამთავრდებოდა და ბუნებრივია, ბადრიც „პასუხს“ მიიღებ-და. რა თქმა უნდა, ბადრი ასეთ რამეს არ „ჭამდა“, მაგრამ ულირსი მოწინააღმდეგისავან ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

დღეს, საღამოს სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ცაგერას მისად-გომებთან. ჯერ არ ვიცით, რა შედეგები მოჰყვა ამ ბრძოლას, სროლები ისევ გრძელდება არადუს ფრონტზეც...

18 მარტი.

სამი დღე, რომელმაც შეასრა მსოფლიო. დიახ, ეს უბრალო შედარება არ არის. ამ სამმა დღემ მართლაც შესძრა, არა მარტო სოხუმი, არამედ მსოფლიო და ჯერ კიდევ არ გაუვლია იმ ციებცხელებას, რაც რუსეთის აშკარა ავანტიურამ გამოიწვია საქართველოს წინააღმდეგ. ორასი წლის განმავლობაში რუსეთს თავის კლანჭებში გამომწყვდეული ჰყავდა საქართველო და ნელ-ნელა ხრავდა. არა ნაკლებ რუსეთისა, საქართველოს შავ დღეში აყენებდა ქართველი მამლუქები და თუთაბერები. და ეროვნული მოძრაობის ამ ისტორიულ მონაკვეთზე გაჩნდა კრიტიკული წერტილი — სამი დღე სოხუმზე იერიშისა. ვფიქრობ, ამ წერტილიდან დაიწყო ქართველი ხალხის აზრისა და მოქმედების გამთლიანება, ქართული ჯარის ჩამოყალიბება, ქართული სულისკვეთების გაშოღვიძება, მსოფლიოსათვის იმის შეტყობინება, - თუ სად არის რუკაზე საქართველო და რა ხდება იქ. საქართველოში მიმდინარე მოვლენები სრულებით არ გახლავთ ლოკალური კონფლიქტები, ამ წერტილში თავს იყრის მთელი პლანეტის ინტერესები და დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ამ ცოდვილ პლანეტაზე არ აგიზგიზდეს მესამე მსოფლიო ომის ხანძარი...

დღეს ჩვენ მნიშვნელოვანი მოქმედებების წინაშე ვდგავართ. ოჩამჩირის ფრონტებზე დილიდანვე მხოლოდ პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. გუშინ ცაგერასთან, ცხენისწყალთან პოზიციები არ შეცვლილა. მერკულის გორა კარგად მოაუთოვა ჩვენმა თვითმფრინავებმა და ცაგერას დაბომბვისათვის შავი დღე აყარა აფხაზებს.

ემზარ ლეთოდიანს (ეს ის ემზარია თავისი ტყვიამფრქვევით რომ ბოლი ადინა ზურგზე აფხაზებსა და მათ „ძმებს“ შემოტევის დროს), თავის ავტოფურგონზე მსხვილი კალიბრის ქვემეხი გამოუბამს და დიდი სიამაყით შემოაგორა არადუში. ვკითხე, ჰურვები გაქვს-მეთქი? ჰურვებიცა მაქვს და „სნარიადებიცო“ და ფურგონზე მიმითითა, მერე ყელზე გამოისვა საჩვენებელი თითი, ამდენიაო, მანიშნა. მე მაინც ჩავსძიე, ვინ გაისვრის-მეთქი? ვინ და მეო! — მპასუხა. „ტრაექტორიის გამოთვლა თუ იცი?“ — ალარ შევეშვი. ისინი ახლოს არიან და პირდაპირი დამიზნებით უფრო გავანადგურებო. ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა. მანაც შემატყო დაეჭვება და მიმიპატიჟა: წამოდი, განახებ, როგორ ვისვრიო.

წავყევი. ქვემეხი პოზიციაზე დააყენა. ის ხე მაჩვენა საიდანაც გრანატმტყორცნიდან ისროდნენ წინა დღეს. ეს ხე სხვა ხეებისაგან განმარტოებით იდგა და ამაყად გადაჰყურებდა ჩაის უსასრულო პლანტაციას. ემზარმა დაუმიზნა, ცოტათი მაინც სავარაუდო ტრაექტორია მისცა. ჭურვი გაუშვა, გასროლის ხმამ სახლები შეარყია, წამიც და ის ხე აღარ ჩანდა. იმ ხის ძირას თუ ვინმე იყო, კაი დღე არ დაადგებოდა. ემზარი შევაქე, ნამდვილი გმირი ხარ-მეთქი და თუ დამცალდა, წიგნის გამოქვეყნება, შენს გმირობას მთელი საქართველო გაიგებს-მეთქი, ბიჭმა გაიღიმა და ცხვირიც მოიფხანა. ღიმილში სიხარული, ხოლო ცხვირის ფხანაში ეჭვები შევნიშნე, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გულადი ბიჭების სახელს არ დაივიწყებს საქართველო.

გვიან საღამოს კიდევ ესტუმრა თვითმფრინავი მერკულის გორას. თუ ვისი თვითმფრინავია, ჩვენ არ ვიცით. იგი მალე გაუჩინარდა და თავისი გრუხუნით შიში დათესა ადამიანებში.

მოქვს მხრიდან წერილზე პასუხისათვის არავინ გამოჩენილა, ვალერას გამოძახება უშედეგოდ დამთავრდა. აფხაზების ვარაუდი იმ ავადმოსახსენებელი სამი დღის შედეგებზე მათთვის საკეთილოდ არ დამთავრდა. ცხადია, ახლა ჩაფიქრებული სხედან და უცდიან, რას მოიმოქმედებს გუდაუთა.

19 მარტი.

გუდაუთამ კი საფიქრებელი არა მარტო თავის თავს, არამედ მთელს რუსეთსა და მთელს მსოფლიოს გაუჩინა.. ბატონ შევარდნაძის ვარაუდი იმ საშიშროებაზე, რომელსაც მსფოლიოს უქადის ეთნიკური სეპარატიზმი — სახეზეა, არა მარტო აფხაზეთში. აფხაზი ექსტრემისტები სად არ დაძრწიან და ფანატიკურად მოუწოდებენ აფხაზეთის გადარჩენისაკენ (ვისგან?). განსაკუთრებით აქტივობენ მათი იდეოლოგი ტარას შამბა, ზურაბ აჩბა, რომელიც გუდაუთის „თავდაცვის მინისტრია“, იგი ხან დნესტრისპირეთშია, ხანაც ორივე ოსეთში. ვინ იცის, როგორ შეპირებებს ღებულობენ რუსებისაგან მოსკოვში. მათ დიდად უმართავენ ხელს მათი სარდალი, ვიღაც ლეშჩენკო და მათი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჩურკინი, სუკის აგენტი — ვორონოვი, ბაბურინები და ძმანი მისნი და რაც მთავარია, საქართველოზე და შევარდნაძეზე განაწყენებული ცალკეული გენერლები...

და აი სენსაცია: რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა ცინიკურად განაცხადა, რომ თურმე რუსების თვითმფრინავები კი არ ბომბავენ სოხუმს, არამედ — ქართველების. თითქოს თვითმფრინავებს „სუ-25“-ს, რომელსაც თბილისში აწყობენ, გადაღებავენ რუსეთის გამოსაცნობი ნიშნებით და შემდეგ რუსებს აბრალებენ მათ ნამოქმედარს. მინისტრის ამ უპასუხისმგებლო განცხადებამ ისე აღაშფოთა ბატონი შევარდნაძე, რომ გადაწყვიტა საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს. საინტერესოა, რას იტყვის ბატონი გრაჩოვი იმის შესახებ, რომ წუხელ ქართველებმა ჩამოაგდეს რუსების „სუ-27“ ტიპის თვითმფრინავი თავისი ბომბებიანად და ეკიპაჟიანად.

წუხანდელმა ღამემ სოხუმში შედარებით მშვიდად ჩაიარა. ფრონტის ხაზი მთლიანად აღდგენილია და სოხუმის დაცვა ამჯერად მართლაც გარანტირებულია.

მოსკოვში მოეწყო იქ მცხოვრებ ქართველთა საპროტესტო დემონსტრაცია თავდაცვის სამინისტროსთან. კარგია, რომ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება მოსკოვში გრძელდება. სამამულო ომის დროს მოსკოვი უმაღლესმა მთავარსარდალმა სტალინმა იმით გადაარჩინა, რომ მთავრობას ევაკუაცია გაუკეთა კუიბიშევში, თვითონ კი მოსკოვში დარჩა. გაიგო რა ჯარებმა და მოსკოველებმა, რომ მთავარსარდალი ადგილზეა, ირწმუნეს მისი და მოსკოვი და მთლიანად რუსეთი ფაშისტურ მონობას გადარჩა (უმადლიან კი რუსები ამ გმირობას? ალბათ, ისეთებიც აღმოჩნდებიან, ვინც დაუმადლებენ). მე, როგორც ფრონტზე მუდმივად მყოფ კაცს დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ თუ არა ბატონი შევარდნაძის ორივე შემთხვევაში სოხუმში ყოფნა, სოხუმი ახლა დიდი ხნის აღებული იქნებოდა. მთელი აფხაზობა და მათი „საძმო“, ვინც მათ ეხმარებათ, მიჩერებულნი იყვნენ სოხუმზე, მათ წინასწარ წამოაყენეს ულტიმატუმები იარაღის დაყრაზე. მაგალითად, 15 მარტს არადუს ულტიმატუმით ვადა მისცეს 16 მარტის 9 საათამდე, თორემ მთლიანად ამოჟლეტით იმუქრებოდნენ. ასე იყო ყველგან და წინასწარ გათვლილი ჰქონდათ, რომ სოხუმის ჩაბარების შემთხვევაში დაიწყებდნენ ქართველების მასობრივად განდევნას ჯერ აფხაზეთიდან, შემდეგ კი უფრო შორსაც უმიზნებდნენ. სამეგრელო ორჭოფობდა (ხელისუფლებაში მყავს ზვიადისტები), ცნობილი არ

იყო, რა პოზიციას დაიკავებდა არძინბა გამარჯვების შემთხვევაში, თუმცა, იგი ადრეც აცხადებდა, რომ მე ვიმეფებ აფხაზეთში და გამსახურდია სამეგრელოშიო. საბედნიეროდ, სამეგრელოს უმრავლესობა დროზე მიხვდა იმ საშიშროებას, რაც მოჰყვებოდა სეპარატისტთა გამარჯვებას. განსაკუთრებით სწორი პოზიცია დაიკავა გალმა, როცა კატეგორიული უარი უთხრა ზუგდიდელებს ჭალში აქციების ჩატარებაზე. ამასთანავე აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა შეუჯნო საშიშროება და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და ბოლოს, რაკი საქართველოს მთავრობის მეთაური, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ჩააყენა საქართველოს გადარჩენის სამსახურში, აღმოჩნდა იქ, სადაც უნდა იყოს მთავარსარდალი. როცა იგი სამხედრო ფორმით დაინახეს ჯარისკაცებთან, ყველამ ირწმუნა მისი, გაიათკეცეს სამშობლოს სიყვარული და მოახერხეს მტრის განდევნა საწყის პოზიციებზე. ამავე დროს მსოფლიოში აღიარებულმა დიპლომატმა ყოველი მშვიდობიანი საშუალებით შეუტია რუსეთს და მთელს მსოფლიოს გააგებინა, თუ რა ხდება საქართველოში. თუმცა საშიშროება „გრაჩოვშჩინისა“ კიდევაა და მუდამ იქნება.

20 მარტი.

ამ დილით რუსეთის რადიო გადმოსცემდა, რომ დიდი აჟიოტაჟი გამოუწვევია რუსეთის გენერალიტეტში სოხუმის თავზე ჩამოგდებულ რუსეთის „სუ-27“ ტიპის თვითმფრინავს, რომელიც სოფელ ოდიშის ტერიტორიაზე ჩამოვარდა ტყეში. დავარდნის ადგილის დათვალიერებისას სახელმწიფოს მეთაურმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, ნახეს ნაწილებად დაშლილი თვითმფრინავი, მფრინავის ნეშტი, რომელმაც გადმოხტომა ვერ მოასწრო, მისი პირადი ნივთები და საბუთები, რუკა-მარშრუტი ფრენისა. ფრენის მარშრუტი კი ასეთი იყო: გუდაუთიდან სოხუმი-ოჩამჩირე-კოპიტნარი და უკან — კოპიტნარი-ოჩამჩირე-სოხუმი-გუდაუთა. დაბომბვის ობიექტები სოხუმი და ოჩამჩირე და უკან ოჩამჩირე და სოხუმი. პირველი კლასის მფრინავი ვაცლავ ალექსანდრეს ძე ბელორესი 11 მარტიდან კრასნოდარის მხარიდან იყო მივლინებით გუდაუთას ბომბორას აეროპორტზე. აღმოაჩნდა სპეციალური მოწმობა — „ცალკე არა აქვს საცხოვრებელი ბინა“. ეს იმაზე მიგვა-

ნიშნებს, რომ მფრინავი თუ თავის „საგმირო" გადაფრენას წარმატებით შეასრულებდა, კარგ კომფორტაბელურ ბინასაც მიიღებდა აფხაზეთში.

ბატონმა შევარდნაძემ ამ შემთხვევის ადგილიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად მიმართა რუსეთის სამხედროებს და მოსახლეობას, რომ ისინი მოტყუებულნი არიან ისე, როგორც საკუთარ ჯარისკაცებს ატყუებდნენ ავღანეთის ომში, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოვლენებში. რომ მოტყუებულთა ეს დაღუპული მფრინავიც, რომელმაც მომაკვდინებელი ტვირთი წაიღო ქართველთა ამოსაჟლეტად (საბედნიეროდ არ დასცალდა). შემდეგ ბრძანა, რომ შეაგროვონ მისი უკელა პირადი ნივთი და გაუგზავნონ მფრინავის ნათესავებს, თან სამძიმარი შეუთვალა მათ.

თვითმფრინავის ფრთაზე ამოტვიფრული წითელი ვარსკვლავი ვაეკვსავნა ვრაიოვს, იმის დასარწმუნებლად, რომ ქართველების ხელი არ იყო შეღებილი (თუ გადაღებილი) ეს თვითმფრინავი.

საზღვარგარეთი ფრიად შეშფოთებულია რუსეთის აშკარა აგრესიით საქართველოს მიმართ. უველაზე მეტად სადღეისოდ გამოვყოფ გერმანიის მთავრობის განცხადებას რუსეთის მთავრობის მიმართ, რომ თუ რუსეთი გააგრძელებს საქართველოს დაბომბვას, გერმანია იძულებული იქნება გადასინჯოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხები. შევარდნაძისაგან დიდად დავალებულმა გერმანიამ ამ განაცხადებით დიდად გვასიამოვნა.

დღეს ხმა დაირხა, თითქოს დუდაევს განეცხადებინოს, რომ თუ დამტკიცდება რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ, მაშინ ჩეჩნები საქართველოს მხარეზე დადგებაო, ხოლო იმ ჩეჩნებს, რომლებიც აფხაზეთში იბრძვიან, მოღალატეებად გამოვაცხადებო. ღმერთმა ინებოს, ეს მართალი აღმოჩნდეს. მე მგონია, დუდაევის ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის სამართალსუბიექტი რომ არ იყოს, ბატონი შევარდნაძე აქამდეც შეუთანხმდებოდა დუდაევს. შეიძლება იგი რუსეთის განაწყენებას ერიდებოდეს, მაგრამ უკვე დროა, საქართველომ თვითონ მოაგვაროს თავის მეზობლებთან ურთიერთობა. სომხეთთან ჯერ კიდევ არ არის დადებული ხელშეკრულება. ჩვენს ხალხში უველაზე მეტ აღშფოთებას აფხაზების რიგებში სომხების სიმრავლე იწვევს, გუმისთასთან დახოცილ მოწინააღმდეგეთა შორის აფხაზი მხოლოდ ერთია ხუთ კაცში, დანარჩენი კი სომხები და სხვა რჯულის ხალხია, რომლებსაც მეთაურობენ რუსი კადრის ოფიცრები.

დღეს არადუში წვიმს. მიწა სველია, მაგრამ არა ნაკლებ სველია ადამიანთა აცრემლებული თვალები. ბევრი ადამიანი იღუპება. ზოგი ტყვიით, ზოგსაც გული უსკდება და ნერვები ღალატობს ადვილად. გარდაცვლილებს მეორე დღესვე თითქმის ჩუმად მიასვენებენ სასაფლაოზე. ავტომატების ზალპით გაიგებ, რომ მიწას მიაბარებს მებრძოლი. გადარჩენილებიდან ბევრი გადაიხვეწა. გადახვეწილებს შორის ნაწილი „ვაჟკაცებიც“ ურევია, რომლებიც სადღეგრძელოებში თავს სდებდნენ მამულისათვის, მაგრამ, როცა თოფი გავარდა, დაფრთხნენ და თავი შეირცხვინეს. ლტოლვილობაში ზოგი სხვა გულსატკენი ამბებიც ხდება. წყალტუბოში საშუალო სკოლადამთავრებული მანაგაძე თურმე ვიღაცაზე გათხოვდა. დღეს კი ის საწყალი გოგო არადუში ჩამოასვენეს. თურმე ქმარს მოეკლა. ასე იღუპებიან ქალებიცა და კაცებიც.

არადუს ფრონტზე წუხელ მთელი ღამე და დღეს განუწყვეტელი სროლაა. ისვრიან „იქიდან“. იქ ჩაის ბუჩქებში დასვეს ვიღაც და ეუბნებიან: „სოხუმი აღებულია და დასცხეო!“ იმასაც (იმ ვიგინდარას) სჯერა, რომ ასეა და ძილს უფრთხობს და სიცოცხლეს უსპობს ადამიანებს. კიდევ კარგი, რომ ბეწვის ხიდი გავიარეთ, თორემ მართლაც აღარ იქნებოდა საშველი ამ ხალხისაგან. ვზივარ და ვფიქრობ, ნუთუ სამუდამოდ გაწირა თავის ხალხი მოსასპობად ერთმა მუჭა გუდაუთელმა სეპარატისტებმა?

21 მარტი.

გუშინ სოხუმს ეწვია გაეროს ე. წ. ფაქტების დამდგენი კომისია ათი კაცის შემადგენლობით. ეს უკვე მერამდენად?! ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით ვაეროზე და საერთოდ უშიშროების საბჭოზე, რომელმაც კარგახანია, რაც მეორედ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის საკითხზე. ჯერ კიდევ გასული წლის 25 სექტემბერს გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ბატონმა შევარდნაძემ ამცნო მთელს მსოფლიოს საქმის ვითარება, რომ თავი აიშვა ექსტრემისტულმა სეპარატიზმმა, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას. საუბედუროდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ აღმოაჩნდა მექანიზმი სეპარატისტული ეთნოკონფლიქტების რეგულირებისათვის. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ როგორც იტყვიან, ჩონგუ-

რივით აწყობილი სახელმწიფო იუგოსლავია ისე დაიშალა, დღემდე ვერ მოხერხდა გახურებული ეთნოკონფლიქტების მოწესრიგება, თუმცა გაერომ რა ძალისხმევა არ იხმარა იქ. ამიტომ მისი მისიები ნაკლებ დამაიმედებელია ჩვენს სინამდვილეშიც. ჩამოვლენ პატივცემული გაეროს წარმომადგენლები, თავს გვიქნევენ, თითქოს ყველაფერზე გვეთანხმებიან, მოკრძალებით დაგვეშვიდობებიან და მეტი არაფერი. გაეროს არა ერთი მიმართება გაეგზავნა საქართველოდან იმის თაობაზე, რომ აფხაზ სეპარატისტებს მხარს უჭერს რუსეთი, დიახ, ის რუსეთი, რომელმაც სიამოვნებით დაუჭირა მხარი გაეროში საქართველოს გაწევრიანებას და ახლა კი გაეროს მართვის პარტნიორ წევრს სიამოვნებით აყრის მომაკვდინებელ ბომბებს.

ფაქტების დამდგენმა ჯგუფმა სოხუმში ინახულა რუსეთის თვითმფრინავების მიერ დაბომბილ-გადახნული ქალაქი. თუმცა, გრაჩოვი იფიცება, რომ ეს დაბომბვა მოახდინეს ქართულმა „გადაღებილმა“ თვითმფრინავებმა. მათ აჩვენეს ის რუსული თვითმფრინავიც, რომელიც სოფელ ოდიშთან ასვენია და რუსეთის თავის სატეხად, ქართველებმა სულზე მისწრებით ჩამოაგდეს, რათა გაეროს წარმომადგენლებს ეჭვი არ შეპარვოდათ გრაჩოვის „აღმოჩენაში“. ჯგუფი ესაუბრა ბატონ ნადარეიშვილს. დღეს გაეროს კომისია გუდაუთას ესტუმრება. საინტერესოა, რას ეტყვიან გუდაუთელი აფერისტები მათ, იქნებ, ისიც კი უმტკიცონ, თითქოს სოხუმზე შეტევა ქართველებმა განახორციელესო და გუდაუთის „ძალისხმევა“ რომ არა, ახლა სოხუმი აღებული იქნებოდაო.

22 მარტი.

გაზაფხულის სუნი მცემს. მიუხედავად მარტის სუსხისა, შაშვმა გალობა დაიწყო. აქა-იქ მეხმაც გაიქუხა და გლეხის ქალი გობსაცერს ეცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა კარგი მოსავალი მისცეს ხალხს ამ წელს. თუ ქალები გობ-საცერს ატკაცუნებენ. ულვაშა გლეხკაცის მარჯვენამ თოხისკენ, ბარისკენ, გუთნისკენ გაიწია. ასეთია გლეხური ფსიქოლოგია ყველგან, ქართველებშიაც და აფხაზებშიაც.

მეტად ესიამოვნა ხალხს ის, რაც გუშინ მოხდა გალში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ და მოლაპარაკება გამართეს ბატონებმა კი-

ტოვანმა და ლოთი ქობალიამ. ხალხი დიდად გაახარა ლოთის განცხადებამ, როცა მან თქვა: თუ საქართველოს მთლიანობას საფრთხე ემუქრება, მაშინ მთელი საქართველო გაერთიანდებაო. ეს იმის ნიშანია, რომ მთელი სამეგრელო დაიძრება მტრის წინააღმდეგ. დღეს უკვე მოვიდა ამბავი რომ ქობალიას ლაშქარმა უკვე ოჩამჩირეს ჩამოაღწიაო. გახსოვდეს, ვახტანგ, რომ ოჩამჩირეშიაც კი ბევრი შენი მოგვარე იღუპება უსამართლო ბრძოლაში და შენი ერთი გამოჩენა ბრძოლის ველზე შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს ამ ომში.

ჩვენთან, კერძოდ, არადუს ფრონტის ხშირი სტუმარია ბატონი ჯაბა იოსელიანი, მისი სახელი იმდენად დიდია, რომ თუ სადმე ბიჭი დაიბადება ჯაბას არქმევენ. ეს უშიშარი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი დიდი სახელით სარგებლობს მებრძოლებში. ბატონი ჯაბა გუშინაც ესტუმრა ჩვენს საგუშაგოებს არადუში და შეგვპირდა დახმარებას, რომელიც დღესვე შეგვისრულა. ეს ჩვენთვის დიდი იმედია. დღემდე არადუს ფრონტზე არაუდელებს მტერი არ შემოუშვიათ სტრატეგიულად ამ მეტად მნიშვნელოვან სოფელში, მაგრამ ძალიან გადაიღალნენ მებრძოლები და დახმარება ნამდვილად გეჭირდება. რა დასაბალია და სოხუმზე შეტევის დღეებში, ჩვენთანაც მოიცვა პანიკამ მოსახლეობა. ბევრი გაიქცა, გულადებს კი ფეხი არ მოუცვლიათ.

23 მარტი.

საქართველოსათვის ამ ავბედით დღეებში სოხუმსა და საერთოდ აფხაზეთში არ ჩანდა გენერალი კამკამიძე. ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მის შესახებ. დღეს როგორც იქნა ყველაფერი გავიგეთ, როცა პარლამენტის სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურს მისცეს შეკითხვა, თუ სადაა გენერალი კამკამიძე, ცნობილი გახდა, რომ დედის ავადმყოფობის გამო კამკამიძე ლვოვში გაემგზავრა. ბატონმა მეთაურმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ ახლა ჩვენი ახალგაზრდა სამხედრო კადრები ისე გაიზარდნენ პროფესიულად, რომ უფრო ადვილად შეუძლიათ გაართვან თავი შექმნილ სიტუაციას, ვიდრე ეს შეეძლო კამკამიძეს. მართლაც და რა უნდა გაეკეთებინა კამკამიძეს, როცა კაცმა ენა არ იცის ქართული. იგი მიჩვეულია ტრადიციულად მართოს უკვე შექმნილი ჯარები და არა

ისეთი მოხალისეები, რომელთა მართვა საქართველოში, პირველ ყოვლისა, შეუძლია მხოლოდ ბატონ ჯაბა იოსელიანს. აი, ვის გაჰყვება და მიჰყვება კიდეც ჩვენი მებრძოლები.

კამკამიძის წინააღმდეგ შეიძლება ამოქმედდა კიდეც (და ეს გასაკვირი არ იქნება) ჩვენი ქართული გენერალიტეტის შეუგუებლობის სინდრომი. ასე რომ, საქართველოს კამკამიძე არც შეუძენია და არც დაუკარგავს.

ბატონმა შევარდნაძემ, თუმცა ფრთხილი, მაგრამ ძალიან დიდი შეფასება მისცა სამეგრელოში მიმდინარე შემობრუნებას.

დემოკრატიული ძალების გამარჯვება კი თურმე არ აწყობს სეპარატისტებს. ცნობილი გახდა, რომ 21 მარტს არძინბას სატელეფონო საუბარი ჰქონდა რუცკოისთან და მხარდაჭერასაც შეჰპირებია აფხაზეთიდან. რა სასაცილოა, როცა მთელი აფხაზეთის სახელით ლაპარაკობს ეს მოურჯულებელი ფანატიკოსი, რომელიც სინამდვილეში არც აფხაზია და არც რუსი. მან თურმე უნდობლობა გამოუცხადა თავის თავდაცვის მინისტრს ზურაბ აჩბას. იქნებ დადგეს დრო და ერთმანეთს დაერივნონ, მანამდე კი არა ერთ დანაშაულს ჩაიდენენ. ცნობილი გახდა, რომ გუდაუთაში მათი ინიციატივით მოქმედებს რაღაც საიდუმლო ჯგუფი, რომელიც სპობს მათ მიერვე დაქირავებულებს, როგორც კი ამ დაქირავებულებს კონტრაქტის ვადა გაუვათ, მაშინ ფულის მიღების ნაცვლად მათ უბრალოდ სპობენ, მერედა ეძიოს მისმა პატრონმა (თუ კი გააჩნია პატრონი), თუ რომელი „ბრძოლის“ ველზე დაიღუპა მოტყუებული დაქირავებული. კაცი, რომელმაც თავისი ერი მოწამლა და გასწირა დასაღუპავად, სხვას როგორ დაზოგავს? მისგან ყველაფერს უნდა მოელოდეს ადამიანი.

რუსეთში ახალი ელჩი დაინიშნა — ვალერიან ადვაძე. ვფიქრობ, იგი ადვილად მონახავს საერთო ენას ჩვენთვის ასეთ გადამწყვეტ პირობებში.

24 მარტი.

მოვლენებით და ცნობებით სავსე დღეა. უპრეცედენტო ამბავი მოხდა რუსეთში. პრეზიდენტ ელცინს დედა გარდაეცვალა. ბუნებრივია, შვილი დედასთან დგას, როგორც ჭირისუფალი და უკანასკნელ გზაზე მიაცილებს გამზრდელს. ელცინთან რიგ-რიგო-

ბით მიდიან ისინი, ვინც თანაუგრძნობს დედის გარდაცვალებას. მასთან ამ დროს მიდის ვალერი ზორკინი, რუსეთის ე. წ. საკონსულტაციო სასამართლოს თავმჯდომარე და ელცინს ხელში შეაჩეჩებს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას. პრეზიდენტის შაბათს ხალხისადმი მიმართვის თაობაზე სასამართლო ადგენს, რომ თითქოს ელცინის მიმართვა ხალხისადმი არაკონსტიტუციურია, რომ არ უნდა მოეწყოს პრეზიდენტის მიერ 25 აპრილს დადგენილი რეფერენდუმი და რომ ზორკინი მხარს უჭერს ე. წ. სახალხო ყრილობას. რუსეთის კონსტიტუცია მიღებულია 1977 წელს კომუნისტური მმართველობის პერიოდში და გამოუსადეგარია დღევანდელი ვითარებისათვის; ყრილობის დეპუტატები არჩეულია 1990 წელს, ასევე კომუნისტური მმართველობის პერიოდში, ამიტომ ყრილობაზე სჭარბობენ კომუნისტები და ნეოკომუნისტები და სხვა რეაქციული დაჯგუფებები: წითლები, ვარდისფერები, ყვითლები, შავები და კიდევ უფრო ბნელი ძალები. ზორკინის ზიზღი ელცინისადმი იმდენად დიდია, რომ ზრდილობის ელემენრატული წესებიც კი დაავიწყდა, დედის დასაფლავება მაინც ეცლია პრეზიდენტისათვის. ამ „პატივისცემას“ არ დაივიწყებს ბატონი ელცინი და სამაგიეროს აუცილებლად მიუზღავს რეაქციონერ მოსამართლეს.

26 მარტისათვის დანიშნულია განწირული ყრილობის საგანგებო სესია, სადაც სასამართლოს დადგენილებაზე დაყრდნობით ხაზბულატოვი და მისი გუნდი ცდილობს ელცინის გადაყენებას და მის ადგილზე ვიცეპრეზიდენტ რუცკოის დანიშვნას. თუ ეს მოხდა, მაშინ, ალბათ, სამოქალაქო ომი გარდუვალი გახდება, რამდენადაც საკმაოდ ძლიერია ელცინის მხარდამჭერი დემოკრატიული ძალები. გრანდიოზული არნახული მიტინგი გაიმართა სანკტ-პეტერბურგში ელცინის მხარდასაჭერად. მას მხარს უჭერენ ბევრი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. ახლა ჯერი მოსკოვზეა და გადამწყვეტი სიტყვაც მას ეკუთვნის ამ დღეებში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ თითქმის მთელი საზღვარგარეთი მხარს უჭერს ელცინს. თუ საუბედუროდ, შავმა ძალებმა გაიმარჯვა, მაშინ რუსეთი, ალბათ, გუბერნიებად დაიშლება, ხოლო ავტონომიური წარმონაქმნები არასოდეს ისურვებენ ფედერაციაში შესვლას, რაც შეეხება ხაზბულატოვისა და მისი მომხრეების ოცნებას, აღადგინონ, რეამინაცია გაუკეთონ საბჭოთა კავშირს, ეს უკვე ოცნების დონეზე დარჩება, ალბათ.

ხაზბულატოვის დიდი მეგობარია არძინბა, რომელიც რუსეთს ფეშქაშად ძირძველ ქართულ მიწას, აფხაზეთს სთავაზობს და სთხოვს დახმარებას, რათა ქართველები გააძევონ იქიდან, სამაგიეროდ, ჩაასახლონ კაზაკები და რუსეთს მიართვან გემრიელი ლუკმა. აკი ეხმარებიან კიდეც რუსები. გეგმავენ და ანხორციელებენ ოპერაციებს, ბომბავენ და ანგრევენ სოხუმს და არა მარტო სოხუმს. პირველი კლასის მფრინავები მოფრინდებიან ხოლმე „სამშვიდობო“ რაკეტებით. ერთი მათგანი, რომელიც სოხუმთან ჩამოაგდეს, დღეს დიდი ამბავით დაკრძალეს გუდაუთაში. მას აფხაზეთის (უფრო სწორად აფხაზების) გმირის წოდება მიანიჭეს. ბევრი ნიანგის ცრემლი დაღვარა იური ვორონოვმა, ამ პირწავარდნილმა ფაშისტმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა აფხაზებისა და ქართველების ერთმანეთზე გადამტერებას შეალია. იგი ახლა გუდაუთის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს თავმჯდომარედ დაუნიშნავს არძინბას, ამაზე იტყვიან „მგელს ცხვარი მიაბარესო“. ნაცარქექია არძინბა ის იქცევა, თითქოს ამერიკის პრეზიდენტი იყოს. თავდაცვის სამინისტრო, გენერალური შტაბი, უშიშროების, შინაგან საქმეთა და ყველა დანარჩენი სამინისტროები აქვს გაფორმებული, ამასთან ერთად პარლამენტი და ათასი სხვა რამ; საიდან აფინანსებს ამ თვითმარქვია სამინისტროებს? არა მგონია ყველა აფხაზი უჭერდეს მას მხარს.

ცნობილი გახდა, რომ სოხუმთან ბრძოლებში აფხაზებმა დაკარგეს 1100 კაცი, ხოლო დაჭრილია 3000-ზე მეტი. დაიწყო ჯარისკაცთა მასობრივი გაქცევა, რომლის დროსაც მეთაურებს ადგილზე ხვრეტდნენ და ჯარისკაცებს ძალით აბრუნებდნენ უკან. დღეს სოხუმში ასი კაცი მიაბარეს საძმო საფლავს, სადაც არც ერთი არ იყო აფხაზი. რა უნდოდა ამ ხალხს, რას ეძებდნენ გუმისთის გამოღმა?

არადუ თავის ადგილზე დგას და აპირებს ბოლომდე იბრძოლოს, ბატონმა ჯაბამ დანაპირები შეასრულა და დღეს გვარიანი მაშველი ძალა გამოგვიგზავნა.

25 მარტი.

ჩემი ყურადღება ბადრის ნათქვამმა მიიქცია: დღეს პირველად ვნახე ნაწილი, სადაც იგრძნობა მთელი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკადრება უმაღლესი დისციპლინის მქონე ჯარსო. სად-მეთ-

ქი? ვეკითხები. სად და ჩვენთან, არადუში. ოცდაათამდე კაცია, დიდებული შეიარაღება, ყველა კოხტად ჩაცმული და გაპარსული. ერთ ნაბიჯსაც არ ადგამენ მეთაურის გარეშე. მეთაური პოდპოლკოვნიკია, ახალგაზრდა კაცი ყიფიანი. ისინი სკოლაში დააბინავეს, სოფელმაც ცოტა ამოისუნთქა. სკოლაში ჯარის ნაწილის დაბინავება უმალ იყნოსა მერკულის გორაზე ჩამძვრალმა სატანამ და იქიდან განუწყვეტლივ უშენს ცეცხლს. სკოლაზე აცდენილი ტყვიები დიდ ზარალს აყენებს მოსახლეობას. იმედი გვაქვს და სპეციალური ნაწილი საკადრის პასუხს გასცემს მერკულის გორას.

საინფორმაციო ცნობები გადმოსცემენ, რომ 15-16 მარტისათვის სოხუმის აღების ოპერაცია თურმე დაიგეგმა გუდაუთაში არძინბასა და საროკინის მიერ ბომბორას აეროდრომის შტაბში, რაც შეთანხმებული ყოფილა რუსეთის თავდაცვის სამინისტროებთან. აი, გრაჩოვის ვიზიტის შედეგიც. სოროკინს ამ გეგმის შედგენაში ათიათასობით დოლარი აუღია. ბომბორას აეროდრომის საწყობებიდან გაუციათ ის ბომბები, რომლებითაც სოხუმი დაანგრიეს და ზოგიც აუფეთქებელია აგერ-ეგერ. სოხუმზე შეტევის ჩაშლამ კიდევ უფრო გააცოფა ისედაც მანიაკი არძინბა. მან თავისი ჯარის სარდლის პოსტიდან გადააყენა ვიღაც არშბა და მის მაგივრად დანიშნა მისი ერთგული ჯოპუა, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი. ზუგდიდში ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი, სადაც ბატონმა ლოთი ქობალიამ მოუწოდა შეიარაღებისაკენ, რათა საკადრისი პასუხი გასცენ გარეშე ძალებს და აფხაზ სეპარატისტებს. თუ ქობალია გულწრფელია, საშვილიშვილო ვაჟკაცურ საქმეს გააკეთებს...

ოჩამჩირელი მოსახლეობა იმედის თვალით შეჰყურებს აქ განლაგებული ჯარის ნაწილებს და მათი გამარჯვებისა სჯერა.

გუშინ ჯაბა იოსელიანი ესწრებოდა ადგილობრივი ძალებით გაშართულ კონცერტს.

26 მარტი.

დღეს რუსეთის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაა. აქ ერთმანეთს ეჯახება ოთხი ადამიანის პოლიტიკური ამბიციები. ელცინს უპირისპირდება რუცკოის, ხაზბულატოვის, ზორკინის სამეული. ელცინის გადაყენება აქვთ განზრახული ამ ყრილობაზე. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, ბუნებრივია, მის ადგილს მექანიკუ-

რად დაიჭერს ვიცეპრეზიდენტი რუცკოი. რუცკოი ვენერალია და მოსალოდნელია, გენერლები მიემხრობიან.

ზორკინი, როგორც უკვე ვთქვით, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეცაა, მაგრამ მას უფრო პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს, ვიდრე იურიდიული, რაც თავს იჩენს მის მიუკერძოებლობაზე. ხაზბულატოვს დიდი სურვილი აქვს აღადგინოს საბჭოთა ხელისუფლება, ამიტომ თავგამოდებით იცავს იმ კონსტიტუციას, რომელიც მიღებული იქნა კომუნისტების მიერ 1977 წელს.

დღეს მოსკოვში გაიმართა ურთიერთსაპირისპირო — ერთი მხრივ ელცინის მხარდამჭერი და მეორეს მხრივ ელცინის საწინააღმდგო მიტინგები, თუმცა ელცინის მომხრეები დიდად სჭარბობდნენ. ყრილობაზე იგრძნეს, რომ ელცინის ზურგს უკან დგას ხალხის უმრავლესობა და ვეღარ ბედავენ უშუალოდ დააყენონ ელცინის გადაყენების საკითხი. ელცინმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა ახალი კონსტიტუციის მიღება.

ოჩამჩირის ფრონტებზე ადგილ-ადგილ ბრძოლები მიმდინარეობდა. დღეს მოწინააღმდეგეებმა ორჯერ სცადეს ლაბრის აღება და შემოტევა წამოიწყეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ჰტერი უკუგდებული იქნა, მოწინააღმდეგე კარგა ხანია დაჟინებით ცდილობს ლაბრის აღებას და ტამიშის ტრასაზე გაჭრას. ლაბრა სომხური სოფელია და სავარაუდოა, აფხაზებთან ერთად დიდ მონდომებას იჩენენ სომხებიც. გუმისთასთან ბრძოლებში ხომ „ისხელეს“ მათ თავი. პოზიციურ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა ფოქვეშ-მერკულაში, ხოლო არადუში ღამით და დღისით მიმდინარეობდა ორმხრივი სროლები, რომლებიც ახლაც გრძელდება.

სასიამოვნოა, რომ აფხაზეთში საბრძოლველად გამოეშურა ფოთისა და ხობის ბატალიონები.

27 მარტი.

თუ გახსოვთ, რამდენიმე ხნის წინ ტამიშში ტყვედ აიყვანეს ორი არადუელი და ერთი რუსი — ისინი ტრაქტორით იყვნენ წასულნი ტამიშს — გივი ბენიძე, ფრიდონ არჯევანიძე და რუსი. დღეს ცნობა მოვიდა, რომ მათ სოფელ ჭლოუში აფხაზებმა თავები მოჭრეს. მკვდრების დატირება ვერ შეახერხეს ოჯახებმა.

ბადრი ლამის ატირებული მოვიდა. მერკულაში მკვდრები გაუცვლიათ, მათ შორის ერთი მისი ნაცნობი თბილისელი მხედრიონელი, რომლისთვისაც თვალები დაეთხარათ და ყურები დაეჭრათ.

ბადრი იძახდა: „ღმერთო, რა დააშავა ამ ხალხმა, რომ ასეთი სასჯელი არგუნეო". დავამშვიდე, მაგრამ რაც დრო გადის უფრო და უფრო ვანიცდის. ვფიქრობ, ამ ომის შემდეგ ადამიანების ფსიქიკა დიდხანს იქნება მოშლილი.

გუმისთაზე დამარცხების შემდეგ მოწინააღმდეგეები ველარ ბედავენ აქტიური საბრძოლო მოქმედებების წამოწყებას, მაგრამ, პროვოკაციებს კი გამუდმებით აწარმოებენ. უნდა თავი წარმოაჩინონ, თითქოს ძლიერები არიან და ახალ ძალებს იკრებენ. გახსნილი საზღვარი მდინარე ფსოუზე თვითონ ჩაკეტეს, იქით არავის უშვებენ, აქეთ კი შემოჰყავთ ათასი ჯურის ბანდიტი და ოხერი. როგორც ცნობილი გახდა, კონტრაქტებს აფორმებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებით გააქტიურებულ, კრასნოდარის მხარეში ბინადადებულ ე. წ. „თურქ მესხებთან". ვინც მონაწილეობას მიიღებს ქართველების წინააღმდეგ ომში, მათ სახლებს ჰპირდებიან, რომლებშიც ქართველები ცხოვრობდნენ და ახლა მიტოვებული აქვთ.

გუდაუთაში ჩაატარეს ე. წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია. სესიაზე შევარდნაძის განცხადებას ელცინის მხარდასაჭერად შორიდე პროვოკაცია უწოდეს, ხოლო ელცინი რუსეთის მოღალატედ გამოაცხადეს. სესიაზე რატიფიკაცია უყვეს დნესტრისპირეთის ე. წ. გაგაუზთა რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებას.

დღევანდელი დღის უდიდეს მოვლენას ისევ წარმოადგენს რუსეთში მიმდინარე ყრილობა, რომლისკენაც მიმართულია მთელი მსოფლიოს თვალი და ყური.

28 მარტი.

წუხელ ღამის სამ საათზე სოხუმს კვლავ ესტუმრა რუსეთის „სუ-25" მარკის თვითმფრინავი. ჯერ „გირლიანდით" გაანათა ქალაქი, შემდეგ კი დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის გულმოდგინედ დაბომბვა. არიან დახოცილები და დაჭრილები. როგორც ჩანს, სოხუმს, ჯერ კიდევ ვერ აქვს კარგი ჰაერსაწინაღო თავდაცვა, მხოლოდ ეპიზოდურად შეუძლიათ ჩამოაგდოს მტრის თვითმფრინავი. არადა, ხალხს ყველაზე მეტად მოულოდნელი საჰაერო თავდასხმებისა ეშინია. აგერ თვე მიიწურა და ჯელტმენ გაეროს მისიები მხოლოდ მისიებად რჩება, არაფერი სხვა ეფექტური ღო-

ნისძიება მათგან არ გატარებულა, გუმისთის ფრონტის მთელ უბანზე მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები, მეორე საარმიო კორპუსის მეთაურმა ბატონმა პაატა დათუაშვილმა მოწინააღმდეგე მხარეს მორიგი „ჩინური გაფრთხილება“ გადასცა, თუ იგი ყველავ გააგრძელებს დაბომბვას, სეპარატისტებს დაბომბავენ გაუფრთხილებლად. საკვირველია, განა ისინი წინასწარ გვაფრთხილებენ, როცა დასაბომბად მოდიან?..

მოლაპარაკება, როგორიც არ უნდა იყოს, მათთან არ გადის! ყოველთვის არღვევენ ყოველნაირ შეთანხმებას. ამჯერადაც ორჯერ დაარღვიეს შეთანხმება... მათი „ბოევიკების“ გვამების გამოღმა მხარეს აკრეფისას ერთი ჯარისკაცი მოგვიკლეს, მეორეც დაგვჭრეს, ამასობაში გვამებმა გახრწნა იწყეს და ჩვენი მხარე იძულებული გახდა დახოცილი გადამთიელები თუ მათი „ძმები“ აფხაზეთში, საძმო საფლავს მიებარებინათ.

წუხელ არადუს ფრონტზე მთელი ღამე იყო ორმხრივი სროლა. ამ დილით მერკულის გორიდან ნაღმები დაუშინეს მდინარის გასწვრივ მდგომ სახლებს. საბედნიეროდ, ჯერჯერობით მსხვერპლი არ არის, მერე ქართველების ტანკის ადგილსამყოფელს მიაგნეს და მას მისდგნენ. ტანკმაც ეშმაკობა იხმარა, განუწყვეტლივ მოძრაობდა და თან მტრის ნაღმმტყორცნელებს უმასპინძლდებოდა. ასე გაგრძელდა თითქმის მთელი დღის განმავლობაში.

ახლა ღამეა, სამივე მხრიდან (მოგეხსენებათ არადუ გარშემორტყმულია სამი მხრიდან) ისმის ორმხრივი სროლები. მტრის განლაგებაში სოლივით შეჭრილი არადუ ჯერჯერობით გმირულად ინარჩუნებს თავის პოზიციებს... მთელი მსოფლიოს და მათ შორის ჩვენს შეშფოთებასაც იწვევს ის, რაც მოსკოვში ხდება. შესაძლებელია, დღევანდელმა დღემ კაცობრიობის ისტორიაში დასაწყისი მისცეს ბიბლიურ აპოკალიფსს. სატანამ ისე გაათავხედა რუსეთის პარლამენტში მოკალათებული პროკომუნისტები და მათთან ალიანსში მყოფი ყველაზე ბნელი ძალები, რომ პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს და ჭს საკითხი (რომელიც გუშინ ვერ გავიდა) დღეს ფარული კენჭისყრისათვის მიიღეს. ახლა კენჭისყრა მიმდინარეობს. რამდენიმე საათში შედეგები იქნება ცნობილი. პარლამენტის გარეთ კი პრეზიდენტის 150.000 მხარდამჭერი შეკრებილა. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი, დაველოდოთ რა მოხდება.

29 მარტი.

სავსებით სწორი ბრძანდება ბატონი შევარდნაძე, როცა ამბობს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ დიალოგით ქართველებსა და აფხაზებს შორის. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი მესამე ძალის ჩარევა. მესამე ძალა ამ კონფლიქტს იყენებს მხოლოდ თავის სასარგებლოდ. აფხაზმა ხალხმა მგონი გაიგო, რომ ისინი მოტყუებულნი დარჩნენ და უკვე გაჩნდა განხეთქილების პირველი ნიშნები გუდაუთელ სეპარატისტულ მთავრობასა და ხალხს შორის. ალბათ, ადრე თუ გვიან, თვითონ სეპარატისტებიც მიხვდებიან, რომ მოტყუებულნი არიან, მაგრამ მანამდე, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის გაფუჭებას მოასწრებენ. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში დაძაბულობა ყოველდღე მატულობს იმის კვალობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ომი. გუდაუთელი სეპარატისტები ღებულობენ მოქალაქეობის კანონს (თუ აქვთ ამის ქვორუმი), რომლითაც მოქალაქეობას აძლევენ უცხოელებს. ეს შორს გამიზნული მორიგი პროვოკაციაა ქართველი ხალხის საზიანოდ. მიუხედავად ყოველგვარი მაქინაციებისა, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი კარგი კოზირია რუსულ-ქართულ ურთიერთობაში (რასაკვირველია, რუსეთის სასარგებლოდ), იმ შემთხვევაში, თუ ქართველები გაჭრიან ამ კოზირს თავიანთ სასარგებლოდ, რუსეთი პირში ჩალაგამოვლებული დარჩება და აფხაზები ისევ მათთვის ჩვეული მანერით ქართველებისაკენ იბრუნებენ პირს.

ასეთ გივანტურ თამაშში დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ მცირე ნიუანსსაც კი, რაც სარგებლობას მოუტანს აფხაზურ-ქართულ ურთიერთობას.

კოჩარის ვარიანტის მიხედვით კოჩარა კავშირს ამყარებს მის მოსაზღვრე აფხაზურ სოფლებთან პრინციპით „მე არ გეხები შენ და შენც ნუ შემეხები“. მაგრამ კოჩარა ტყვარჩელიდან დაწყებული, სადაც მთელი ოჩამჩირელი აფხაზებია დასახლებული სოფლებში, არასაძიხი, გუფი, აკვასკა, ბესლახუბა, ჯალი, თხინა ოტაპი, ულოუ, მოქვი, გვადა, ქერექენი. ამ დასახლებებიდან კოჩარა გზას აძლევს სომხური ლაბრის გავლით ტამიშს გასასვლელად ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალზე. ე. ი. კოჩარაზე გაივლის სტრატეგიული გზა, რომლითაც აფხაზები თავისუფლად მოძრაობენ ტრასის მიმართულებით. თუ რა ფასად დაუჯდა ეს ქვეყანას, კარ-

გადაა ცნობილი ტამიშის ტრაგედიებით. აი, ამ გზის მიცემით კოჩარა შეიპირებდა აფხაზურ „ხელშეუხებლობას“, მაგრამ აფხაზებმა შეთანხმება დაარღვიეს. ერთ მშვენიერ დღეს სულ რაღაც სამოცმა კაცმა კოჩარა დაარბია. ხუთიათასკაციანი კოჩარა ჩაბარდა აფხაზებს. ქონება დაიტაცეს, სახლები გადაწვეს, პათოვის არასასურველი პირები დახოცეს.

ნუ მიწყენენ კოჩარელები. მე დიდად ვცემ პატივს, კარგად ვიცნობ თითოეულ მათგანს, მათ შემართებას, ვაჟკაცობას და მიმაჩნია, თითოეულ მათგანს ჯოხი რომ აეღო ხელში, აფხაზებს ზურგზე ბდღვირს აადენდნენ. რა მოხდა? ამას, ალბათ, თვითონ კოჩარელები გაარკვევენ, მე მხოლოდ ეს მინდა ვთქვა: კოჩარა აფხაზებს რომ არ ჩავარდნოდათ ხელში, ოჩამჩირე და მთლიანად აფხაზეთი ფრიად წელგამართული იქნებოდა. კოჩარა მეორე გავრაა ოჩამჩირეში, არც მეტი, არც ნაკლები და თუ რა მოხდა ეს. ამას ისტორია გაარკვევს მომავალში.

არადუმაც თავიდანვე აიღო იგივე პრინციპი: „ნუ მეხები მე, არ შეგეხები შენ“, მხოლოდ კოჩარული ვარიანტისაგან იმ განსხვავებით, რომ არადუმ იმთავითვე უარი უთხრა ტრასირკენ გასასვლელ გზაზე აფხაზებს. არადუს გავლით კი გზა უერთდება მოქვის ხიდს და იქიდან ოჩამჩირის სამხედრო პორტს, ქალაქ ოჩამჩირეს და ორმხრივ ტრასას. რასაკვირველია, არადუს ასეთი „თავხედობით“ გაბრაზებულნი აფხაზებმა და მათმა დაქირავებულებმა გამწარებით შემოუტიეს არადუს სამი მხრიდან, მაგრამ არადუელებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს და ერთი გოჯიც კი არ დაუთმეს. არადუს მოქმედების სტრატეგიის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ტაქტიკური ნაბიჯია, ხელუხლებლად იქნეს (და არის კიდეც) შენარჩუნებული აფხაზურ-ქართული ურთიერთობა თვითონ არადუში. არადუელი აფხაზები ყურადღებიან გარემოცვაში ცხოვრობენ.

წუხელ ჩვენთან იყო არადუელი აფხაზი ვალოდია კაკალია. მეტად გულღია და მხიარული კაცი (ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს გარეგნულად). ბაღრი საერთოდ კარგ ურთიერთობაშია არადუში მცხოვრებ აფხაზებთან. არ იფიქროთ, რომ ეს ხდებოდეს ქართველების საზიანოდ, პირიქით, ორივე მხარე ჩასჩიჩინებს, რომ საჭიროა მეგობრობა, კეთილი მეზობლობა. და ამას ადვილად ახერხებს. ბაღრის უჯერებენ ქართველებიც და აფხაზებიც. მას დარწმუნების ხერხები აქვს კარგი.

ჩვენთან პური ჰამეს და მშვიდობიანად გავისტუმრეთ, თან დავაბარეთ, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ ერთმანეთს, მუდამ ახსოვდეთ, რომ რუსი თუ სხვა გადამთიელი წავა და ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ. ხშირად მიხსენებია ჩემი კარის მეზობელი ბუჭუნა. მისი ცოლი ლიანა აფხაზია — დიდი მშრომელი და მოუსვენარი ქალი, დიდებული მეოჯახე. ამ ქალის სიყოჩაღის ერთ ეპიზოდს მოგითხრობთ.

ადრიანი დილაა. გაზაფხულის სითბო შემოიპარა და ბუნებამ გალვიძება დაიწყო. ლიანამ თავის მრავალრიცხოვან შინაურ პირუტყვს მიხედა და შემდეგ ეზოში ჩავიდა. პატარა სათბური მოუწყვია და იქ გამოყვანილი პამიდორის ჩითილების რგვას შეუდგა. მოწინააღმდეგე მხრიდან (აქედან ფრონტის ხაზი რაღაც ორას მეტრშია). გამოსროლილი ნაღმი ლიანას ჭიშკართან დაეცა და ქუჩაში და იქ საბალახოდ მიმავალი ორი ბატი და ერთი ღორი იმსხვერპლა, მეორე ნაღმი ლიანას გვერდით (სადაც მუშაობდა) ოციოდე მეტრის მანძილზე გასკდა და ლიანას მიწის ნამსხვრევები გადააყარა. ქალმა ერთი კი გახედა ზიზღით ნამოქმედარს და კვლავ დინჯად განაგრძო ჩითილების რგვა. ამ დროს ბევრი მისი ტოლი, უფროსი და უმცროსი, ქალი თუ კაცი ქუჩის ბოლოსაკენ გარბოდა, ხოლო ზოგიერთმა „გულადმა“ მეომარმა საგუშაგოც კი მიატოვა. ლიანას ვეკითხები, არ გეშინოდა-მეთქი? „ვაი მათი ბრალი, იმ საზიზღრებისა (აფხაზებზე ლაპარაკობს), იმ სროლის ნაცვლად გაზაფხული მოვიდა და ის ურჩევნიათ, ეზოებში დარგონ რაიმე, რომ შიმშილით არ დაიხოცონო“. ვფიქრობ, ესეც ერთგვარი გმირობაა და არანაკლები. აი, ასეთი ადამიანები სჭირდება სოფელს. უცნაური ქალია ლიანა, ხან აფხაზებს ლანძღავს და ხან ქართველებს. უფრო მეტად აფხაზებს. მე ვიცი აფხაზები რისი გამკეთებლები არიანო. რა აკლიათ, რომ ატყდნენ და აღარ ისვენებენო. ქართველებს როცა თათხავს, ხშირად იხსენებს მათ პასიურობას, უდარდელობას, გაუტანლობას.

30 მარტი.

დღეს სანჩო (რუსლანი) მესტუმრა. დიდი ხანია არ ამოსულა ჩვენთან, საგუშაგოზე ყოფნა „გაუტკბა“. ერთხანს წყალტუბოში მოქუსლა ვერიჩქა ბებიასთან — ორიოდე კვირა იქ გაატარა. ვკითხე, რა ამბავია-მეთქი წყალტუბოში? დანანებით მიპასუხა: ნახე-

ვარი არადუ წყალტუბოშია ჩასახლებული, ბიჭები კარტის თამაშით თავს ირთობენო. მართლაც დასანანია, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა ბევრი ბრძოლისუნარიანი ლტოლვილობის მოყვარულთა უკან დაბრუნება. ნამუსგამოთხოვებულმა ბიჭებმა კი ვერა და ვერ შეიგნეს, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

სანჩომ დონ კიხოტი მოიკითხა. გუშინ ჩვენთან იყო, მითხრა; აკეთებს რამეს, თუ ისევ ქარის წისქვილებს ეომება-მეთქი? სანჩო ჩაფიქრდა, მერე დაბეჯითებით თქვა, თუ არადუში რამე კეთდება დონ კიხოტი აკეთესო. მერე იარაღი აიხსა და საგუშაგოსაკენ გაეშურა.

მე ეზოში მუშაობა გავაგრძელე. ხშირად მიშლიდა ხელს სროლები. ისროდნენ სამივე მხრიდან. ტყვიები თავზე ვადამდიოდა, მაინც არ მოვეშვი სამუშაოს, თუმცა მუდამ იმის ფიქრში ვარ, როდის უნდა დამთავრდეს ეს ბინძური ომი, რომ ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქოს.

მთელი დღე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ლაბრაში. ჩვენი ბიჭები იმედოვნებენ, რომ ორ-სამ დღეში მთლიანად გაწმენდნენ ამ სოფელს და შესაძლებელი იქნება, აღსდგეს ეს მაღალი ძაბვის ხაზი...

მშვიდობის დამყარების ამბავი დიდადაა დამოკიდებული რუსეთის ამბებთან. ამჯერად ელცინი, გადარჩა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საბოლოოდ გაიმარჯვა. რეაქციული ძალები კვლავ ეცდებიან, უფრო შეკავშირდნენ და მომავალ რეფერენდუმს ახალი ანკეტური კითხვებით „მისამართი“ თავიანთ სასარგებლოდ შეუცვალონ. ერთი სიტყვით, როგორი იქნება რუსეთი მომავალში, არავინ იცის.

31 მარტი.

დღეს თუში ახალგაზრდა მესტუმრა. 25-26 წლისაა, ქერა, წარმოსადეგი. ერთი მიზეზის გამო მის გვარს არ ვასახელებ, არადა, ამ წიგნში გმირად მინდოდა შემეტანა. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში ეს ახალგაზრდა არადუში იბრძოდა მხედრიონის საგზურით. იბრძოდა შემართებით. სნაიპერი ვარო, ამბობდა და იმ სატანას უპირებდა მოხსნას, მერკულის

გორიდან სული რომ ამოხადა არადუს მაცხოვრებლებს. მწერალი ყოფილხარ და შენით დავინტერესდიო. მოდიოდა ხშირად. შემდეგ რამდენიმე ხანით გადაიკარგა. მუცლის არეში დაჭრილა, ახლა განკურნებულა და ისევ მოვიდა თუში. ძლიერ გამოცვლილიყო. ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— როდის ჩამოხვედი, თუშო?

— ორი კვირაა.

— რომელ ნაწილში ხარ?

— მხედრიონში, ჯაბასთან (მაჩვენებს მედალიონს).

— კი მაგრამ, მხედრიონი რომ დაიშალა?

— ვინა თქვა?

— თვითონ ჯაბამ განაცხადა, რომ მხედრიონი ერთიან ჯარს შეუერთდაო.

დუმილი.

— მეთაური გყავს?

— არა.

— აბა, უმეთაუროდ მებრძოლი სად გაგონილა?

— ჩემი თავია ჩემი მეთაური, სადაც მინდა, იქ წავალ.

— ასე ომი შეიძლება?

— ეს ომი უკვე მომწყინდა და აღარც ვიომებ.

— მაშ, რისთვის ჩამოხვედი?

— რომ არ ჩამოვსულიყავი, ცოლის კალთას ამოეფარაო, იტყვიან.

— ცოლ-შვილი გყავს?

— ცოლიც მყავს და ორი ბავშვიც.

რაღაცას გულჯიბეში იძებნის, ჯიბე გახსნა, იქიდან „ლიმონკა“ ამოიღო. ეს შენ გქონდეს ჩემგან საჩუქრადო. გამოვართვი.

— კი, მაგრამ, შენ არ გინდა?

— მე ომში არ ვიბრძოლებ.

— რატომ?

— უაზროდ იღვრება სისხლი და ყოველივე იმის შემდეგ, რასაც ვხედავ, აღარ მინდა ბრძოლა.

— ეჰ! — ვთქვი სინანულით და ვურჩიე, უკეთესია, წახვიდე და ცოლ-შვილს მიხედო-მეთქი.

— არა, სახლში არ წავალ.

— მაშინ, ის რაც ჩემთან თქვი, სხვაგან არ წამოგცდეს, განსაკუთრებით ამხანაგებთან, მებრძოლებთან.

შემაშფოთა, რამ აუცრუა გული ბრძოლაზე ამ მამაც ახალგაზრდას.

ჩემი შიში მთლად უსაფუძვლო არ გამოდგა. გუშინ ბადრი მეუბნებოდა, თურმე ქიშმარიას უნდა იოსელიანის ნახვა და ეს შეხვედრა არადუში უნდა მოხდესო. კარგია, რაღაც მოლაპარაკება თუ გაიმართება. დღეს გავიგეთ, რომ გუმისთაზეც მოითხოვეს აფხაზმა მებრძოლებმა ჩვენს მებრძოლებთან შეხვედრა. რაღაც მოსახაზიც გამოიკვეთა. მოწინააღმდეგე სამხედროებს სურთ შეთანხმების მიღწევა, პოლიტიკური მოწესრიგების წინწასწრებით. ამაში თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ, ხომ არ არის ეს მოწინააღმდეგის ბორიგი მანიპულაცია, რათა მოადუნოს ჩვენი ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება და შემდეგ თავისებურად ეცეს ყელში? მიკვირს, ვინ გეშავს ასეთი გულმოდგინებით არძინბას და მის გუნდს? თუშური ეპიზოდი მეტად საეჭვოა. ვნახოთ, რა მოხდება.

დიდი მითქმა-მოთქმაა ლოთი ქობალიას გარშემო. დღეს უკვე გავრცელდა ხმა, ლოთის უთქვამს, აფხაზეთში საომრად აღარ მივალო. აქამდე ამბობდნენ, ქობალიამ დღე-დღეზე ტყვარჩელი უნდა აიღოსო. სხვები ეუბნებოდნენ, ვაითუ ტყვარჩელი შეიერთოს და ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდესო. ვფიქრობ, ლოთი ქობალიას გამოკვეთილი პოზიცია ჯერ კიდევ არ გააჩნია. ამის მიზეზი, ალბათ, მის პატრონთან შეუთანხმებლობაა, თორემ სამეგრელო ამდენ ხანს აფხაზეთს სულ წალეკავდა. არადა, ასეთ თამაშში იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები.

ბიჭვინთაში მორიგი ტრაგედია დატრიალდა. პურის მაღაზიასთან რიგში მდგომი 27 ქართველი გამოიყვანეს და იქვე დახვრიტეს აფხაზმა „ბოევიკებმა“. კუს ნაბიჯით დადის სანდრო კავსაძე და ცოტა რამეს აკეთებს ადამიანის უფლებების დასაცავად? რატომ არ ტეხავს განგაშს? ალბათ, აფხაზებზე იძიებენ შურს ქართველები. შემდეგ ისევ შურისძიება იქითა მხრიდან, შემდეგ აქეთ და ასე დაუსრულებლივ.

ეს რამდენიმე დღეა, ძალიან აქტიურობენ ოჩამჩირის ფრონტებზე. ლაბრის გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. ყველაფერი იმის ბრალია, რომ წინა ჩატარებულ ოპერაციებისას დაკა-

ვებულ პოზიციებს არ ამაგრებდნენ და უმალ სტოვებდნენ. ასე მოხდა მერკულაში (რამდენიმეჯერ), ბესლახუბაში, ასე ხდება ლაბრაში.

არადუს კიდევ ერთი აბალგაზრდა გამოაკლდა—დემური თუთისანი — ორი შვილის მამა. მისი გადარჩენა ვერა და ვერ მოხერხდა.

1 აპრილი.

პირველი აპრილი თითქმის მთელს მსოფლიოში ხუმრობის დღეა, შეძლებისდაგვარად ეხუმრობთ ჩვენც (თუმცა, რა გვეხუმრება, მავრამ მაინც).

ყველაზე დიდი ხუმრობა მაინც ის გამოდგა, რომ საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა — ვიორგი ჭანტურია ედპ-ს თავმჯდომარეობიდან გადააყენესო. ედპ-ს ცენტრი იძულებულია გახდა „ტყუილი“ საპირველაპრილო ხუმრობად გაესაღებია. საინფორმაციო საშუალებებმა კი იმით იმართლეს თავი, რომ ჭანტურიას გადაყენების ამბავი დათარიღებულია არა პირველ აპრილით, არამედ 31 მარტით. არა უშავს, ჭანტურიას გადაყენება-გადმოყენებით ქვეყანა არ დაიქცევა, თუმცა რაღაც აჟიოტაჟი მაინც გამოიწვია.

აფხაზებმა შეთანხმების მორიგი დარღვევა მოახდინეს, მოლაპარაკების შედეგად ქართველებს უნდა გაეთავისუფლებინათ ზურაბ ლაბახუა, აფხაზებს — სამხედრო მფრინავი თამაზ ნადირაშვილი, რომელიც ტყვედ ჰყავთ ტყვარჩელში, ლაბახუა უკვე გაათავისუფლეს და იგი მოსკოვშია, მფრინავს კი არ ათავისუფლებენ იმ მოტივით, რომ გუდაუთა არ გვრთავს ნებასო...

შემაშფოთებელი ცნობები მოდის გუდაუთისა და გაგრის რაიონებში დარჩენილი ქართველების ბედის შესახებ. აფხაზები აშკარა ეთნიკურ წმენდას და გენოციდს ანხორციელებენ. ამ საკითხზე იქნება დღეს პარლამენტმა. შეიძლება ითქვას, რომ ახლა წყდება საქართველოს მთლიანობის ისტორიული ბედი, ხომ არ გამეორდება ცხინვალის ვარიანტი? თუ ქართველების მთლიანი ევაკუაცია მოახდინეს, მათი დაბრუნება უკან გაჭირდება და ამდენად მდინარე ფსოუდან საზღვარი მდინარე გუმისთაზე გადმოინაცვლებს (უკეთეს შემთხვევაში). სოხუმს გამოემგზავრა სანდრო კავსაძე, ვნახოთ, რას მოიმოქმედებს.

არ ცხრება პროვოკაციული განცხადებები რუსი სამხედროებისაგან. მაღალი ჩინის გენერლები საქართველოს დასჯით ემუქრებიან. იმისათვის, თითქოს ქართველები ძალიან ავიწროებენ რუს სამხედროებს (და მოსახლეობას) საქართველოში. ვიღაც ჩინოსანის გაბრაზება იმან გამოიწვია, რომ, ამას წინათ, სოხუმის ბაზრის რაიონში შეიპყრეს ვინმე ჩისტიკოვი, რომელიც მივლინებით გამრუშვეს მოსკოვიდან სოხუმში და ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას. პროვოკაციებისათვის მრავალი მოქმედება აქვთ გათვლილი... დათქმული სცენარის მიხედვით, აფხაზები ბომბებს გაისვრიან ეშერის ლაბორატორიის მიმართულებით, ბომბი ეცემა ლაბორატორიის ტერიტორიაზე და ორიოდე საათში ატყდება განგაში, საინფორმაციო წყაროები გადასცემენ სიცრუეს. ქართველები ბომბავენ რუსეთის ლაბორატორიასო. დაუყოვნებლივ აფრინდება სამხედრო თვითმფრინავები გუდაუთის ბომბორას აეროდრომიდან და იწყება სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა. მოსალოდნელია, ჩისტიკოვის დაპატიმრებას ახალი პროვოკაცია მოჰყვეს. აშკარად იმუქრებიან, თუ ჯარები არ გაიყვანეს კონფლიქტის რაიონიდან.

არადუს ფრონტზე პოზიციები შენარჩუნებულია. შრომისმოყვარე არადუს ხალხი ნელ-ნელა იწყებს საგაზაფხულო სამუშაოებს. წარმოიდგინეთ გლეხი ეზოში ჩავიდა საბარავად, ატყდა სროლა, ივი სახლისკენ გამორბის, მიწყნარდება სროლა და ისევ ეზოში გადის... ასე ხდება დღეში რამდენიმეჯერ.

დღეს ბრძოლები გრძელდებოდა ლაბრაში და ბესლახუბაში.

2 აპრილი.

გუშინ საღამოს არადუს მოქვის მხრიდან შემოუტიეს. უტევენ მოულოდნელად, როცა მოსახლეობა დაძინებას აპირებს. რამდენიმეჯერ გამოისვრიან გრანატმტყორცნიდან. ნაღმები სად დაეცემა, ამას მათთვის მნიშვნელობა არა აქვს. გაისროლონ მხოლოდ და რომელიმე სახლს ხომ მოხვდება, ვიღაცას ხომ მოკლავს. მორჩა და გათავდა!

შემდეგ უკვე ტყვიის სეტყვა მოაყოლეს. ჩვენი მხრიდან საპასუხო სროლის შემდეგ ისინი მიწყნარდნენ. გვეგონა, გუშინ ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ მაინც არ მოისვენეს და

უკვე შუაღამისას, მაზანკისა და მოქვის მხრიდან ისე შემოუტიეს, რომ უკვე აღარ ხუმრობდნენ. ბადრის ეძინა. სროლის ხმაზე ქაჯივით წამოხტა, იარაღს ხელი დასტაცა და წინა ხაზზე გაიქცა. ტყვიების წივილში ისე გარბის, გეგონება დილის ვარჯიშს ასრულებსო, არაფერს არ ერიდება, ჩვენ კი — მშობლებს გული ხელით გვიკავია, ლამის ბუდიდან ამოვარდეს.

ახლა არადუელები გადაირივნენ და ისეთი ცეცხლი გახსნეს, გეგონებოდა, ბერლინს უტევენო. სულ ათიოდე წუთი გაგრძელდა ბრძოლა. ღამის წყვდიადში ერთმანეთი არავის უნახავს. საბედნიეროდ, ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ არის. მერე ყველაფერი მიწყნარდა, ქვემეხების ქუხილი ისმოდა მთელი ღამე ლაბრისა და მერკულის მხრიდან. ამ ფრონტებზე ბრძოლები დღესაც გრძელდებოდა. დასანანია, რომ აფხაზებმა ჯერ გადაჭრით ვერ გაიგეს, რა ხდება მათ თავს. იქნებ ხამდვილწა აფხაზებმა — მარშანიებმა, მარღანიებმა, ემუხვარებმა, შერვაშიძეებმა და სხვებმა იხსნან ისინი? ძალიან მომწონს ლორიკ და ადა მარშანიების ღვაწლი. მოვა დრო და ისტორია არ დაივიწყებს მათ სახელებს, მათი მადლიერი დარჩება აფხაზი შთამომავლობა და ქართველობაც. ეს ადამიანები ნამდვილ ხიდად არიან გადებული აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობაში. ლორიკ მარშანიას ვინმე აფხაზმა კორესპონდენტმა საპირველაპრილო ხუმრობა მოუგონა: თითქოს ლორიკი გუდაუთაში ჩავიდა და განაცხადა, რომ ეროვნული ხსნის კომიტეტიდან არაფერი გამოვა, ამიტომ ოკუპირებულ სოხუმში აღარ დავბრუნდებიო. ბატონ ლორიკს ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა ამის გამო. მან განაცხადა, რომ სოხუმი ოკუპირებული კი არა, გარსშემორტყმულია სეპარატისტებითა და დაქირავებულებით და იგი მხოლოდ თავს იცავს...

სოხუმს კვლავ ბომბავენ. გუშინ აფხაზთა ნასროლი ჭურვიდან დაინგრა შენობა, დაიღუპა მწერალ ივანე თარბას მეუღლე, ეთერი კოღონია. საწოლს მიჯაჭვული ივანე მხოლოდ ახლა შეწუხდა და განაცხადა: ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ ომის შეწყვეტისათვისო.

კარგია, ბატონო ივანე, ახლა რომ ამბობთ ამას, თქვენი მეუღლე თქვენივე აფხაზებმა იმსხვერპლეს. ჰო, კარგია, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ, გავლენიან მწერალს და აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელს თითიც არ გაგინძრევიათ

მაშინ, როცა გამალებით მზადებოდა სეპარატიზმი. ისიც ვიცით, რომ ე. წ. „ლიხნის“ წერილზე“ თქვენი პირველი ხელმოწერაცაა. ქართულის მშვენიერმა მცოდნემ, ქართველებს რუსულად დაუწყეთ ლაპარაკი. კარგია, ახლა მაინც თუ მიხვდით, რომ ნამდვილად მოგატყუეს იმ არამზადებმა. ვინ? ეს ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო ივანე!

8 აპრილი.

დღეს გაიმართა საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა. ეს არის პარლამენტის მიერ დამტკიცებული ასოცაციანი კომისია.

საჭიროა ახლა კონსტიტუცია ისე შედგეს, რომ ვაითვალისწინოს წარსული, აწმყო და მომავალი. ის უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუცია და არა სხვადასხვა ქვეყნებიდან ნასესხები კონგლომერატ როგორც ქართველები და საქართველო ერთადერთია ამ პლანეტაზე თავისი ტრადიციებით, კონსტიტუციაც ქართული უნდა იყოს. კომისიის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა და კრიტიკული საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა შევარდნაძემ.

დღეს ვანკუვერში ერთმანეთს ხვდებიან ქლინტონი და ელცინი. ეს მოვლენა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ვამორიცხული არაა, ამერიკის პრეზიდენტს საუბარი ჰქონდეს საქართველოს და კერძოდ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ. დაველოდოთ, რას შეისმენს საგრძნობლად შეცვლილი ელცინი ასეთი დარიგებისაგან.

რუსმა გენერლებმა ზომაზე მეტად აიშვეს თავი. ჩამოიხადეს რა ნიღაბი, აშკარად იმუქრებიან და საინფორმაციო საშუალებებით ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ საქართველოს საწინააღმდეგოდ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მზადდება ახალი დიდი შეტევა სოხუმზე და ოჩამჩირეზე...

ლაბრის ბოლომდე განთავისუფლებას არადა არ დაადგა საშველი. ხალხში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ღამით გადმოცემულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ თბილისში სამხედროები დაესხნენ თავს პოლიციელებს და მძიმედ დაჭრეს ორი მათგანი. ასეთი რამეების ჩადენა დიდ დაღს ასვამს ხალხის საერთო განწყობას სამხედროების მიმართ. ნუთუ თავდაცვის სამინისტრომ და

მისმა საბჭომ ვეღარ დაადგა თავი მსგავსი მოვლენების აღკვეთას? თუნდაც ის ფაქტი — იმის ნაცვლად, რომ ფრონტზე იბრძოლონ, არამზადა ახალგაზრდები გოგოებს ხოცავენ თბილისში და სხვაგანაც, თავს ესხმიან მშვიდობიან ადამიანებს, კლავენ და ძარცვავენ. როდის გახდება ყველასათვის სავალდებულო სამშობლოს დაცვა?

4 აპრილი.

დღევანდელი დღის მთავარი მოვლენა გახლავთ ბატონ შევარდნაძის პირდაპირი პასუხები ღია ეთერში ტელესტუდია ოსტანკინოსთან სხვადასხვა საინფორმაციო უწყებების ჟურნალისტთა და მრავალმილიონიან მაყურებელთა შეკითხვებზე. შეკითხვები მრავალი იყო, ზოგი საქმიანი, ზოგიც ღვარძლიანი და შურიანი. პასუხებიდან გამოვყოფდი მთავარს. ეს მთავარი ისაა, რომ თავისი არსებობის ისტორიაში აფხაზებს და ქართველებს ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს უომიათ, იყო კი პირიქით, ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ კონფლიქტის სცენარი მოამზადა და დაგეგმა მესამე ძალამ. იგეგმებოდა იგი არა გუშინ, არამედ ათეული წლების განმავლობაში და როცა „დირიჟორმა" არენაზე გამოსული დაინახა ერთის მხრივ ქართველთა შინააშლილობა და მეორეს მხრივ პირწავარდნილი აფხაზი სეპარატისტები არძინბას თავკაცობით, (არძინბას მოსკოვში ოცი წელი ტყუილა არ უცხოვრია. აფხაზთა იდეოლოგი ტარას შამბა მას აკავშირებდა გავლენიან, მაღალჩინოსან რუს მოხელეებთან) უმალ ამოქმედდნენ, ქვეყანა კონფლიქტში შეიყვანეს. მანამდე ვინ არ მოძებნეს (ვორონოვები და შარახვეტია ტურჩანინოვები, რომლებიც რაღაც ზღაპრულ მაიკოპის ქვაზე ხედავდნენ „აფხაზურ" წარწერებს, რომელმაც, თურმე, მათი აზრით სათავე დაუდო მთელს დამწერლობას მსოფლიოში. აფხაზური ინტელიგენცია ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ქართველებთან ურთიერთობის გასაწყვეტად.

ე. წ. აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულიაც კი (ჯერ ერთი გულია სადაური აფხაზია) სტალინსაც კი ძმობას ეფიცებოდა და სტალინისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში მუხლს იდრეკდა და ხელებს უკოცნიდა მას. ამავე დროს აფხაზებმა რუსულ ასოებს რაღაც კუდები გამოაბეს და დამწერლობა

ქართული ანბანის ნაცვლად, რუსულ ალფავიტზე გადაიყვანეს, არადა, ქართული ასობგერით ყველა სიტყვა ნორმალურად გამოითქმება, რაც კი აფხაზებს სიტყვები გააჩნიათ. ასე იწამლებოდა წლობით და ათეულ წლობით თაობები. როცა საწამლავმა აფხაზთა მთელი ორგანიზმი აითვისა და ამას ქართველთა ურთიერთკინკლაობა და შიდააშლილობა დაემთხვა, „დირიჟორმა“ დრო იხელთა და კონფლიქტი აფხაზეთში მთელი ძალით აამოქმედა, რასაკვირველია, ეს კონფლიქტი აწყობს რუსეთს. განა გორბაჩოვი არ ვაბუკ აგარაკს ტყუილა აშენებდა მიუსერაში? დავიჯეროთ, რომ ვითომ სხვაგან არ მოიძებნებოდა მსგავსი ადგილები, თუნდაც რუსეთში? კი მოიძებნებოდა, მაგრამ ასე უკეთ აითვისებდნენ აფხაზეთს. განა პ. 24 ლაბორატორია მაინცადამაინც ეშერაში უნდა ყოფილიყო, ან სამხედრო სტრატეგიული აეროდრომი ბომბორაზე უნდა აშენებულიყო? გუდაუთაში, როცა ამ აეროდრომის მშენებლობა დაიწყეს, 34 ჰექტარი მოსაკრეფად გამზადებული ვენახი აჩეხეს. მსგავსი მაგალითები შორს წაგვიყვანდა, მოვა დრო და ისტორია ყველაფერს გაარჩევს, მაგრამ მაინც ყველაფერს სხვას ნუ გადავაბრალებთ, „რაც მოგვივა დავითაო...“ ასე სჭირთ ქართველებს, ბუტუტურით გაგრა დავკარგეთ. ეს რომ არ მომხდარიყო, ახლა ომი კარგხნის დამთავრებული იქნებოდა იგივე ვარიანტით — კოჩარა მტერს ჩავუგდეთ ხელში და ოჩამჩირის ბედი სასწორზე შევაგდეთ.

ხალხში ავი ხმები დადის: კოჩარელი და კუტოლელი ქალიშვილები ყველა ორსულად არიანო. (ლაპარაკია იმათზე, ვინ გაქცევა ვერ მოასწრო და ახლაც იქ არიან), ხოლო მამაკაცებს მონურად აშრომებენო. ვაი დედასა, თუ ეს მართალია, კოჩარელებო! მე რომ თქვენი ვაჟკაცობის ამბავი ვიცი, რატომ მოგვივიდათ ასე? რატომ არ ეძებთ მტერსა და მოღალატეს? რატომ არ აისხამთ იარაღს და არ იბრძოლებთ? როგორ გამიხარდა, როცა დაიწყეს ბატალიონ „კოჩარის“ დაკომპლექტება. სამწუხაროდ, 40 კაციც კი ვერ მოგროვებულა. შენ მაინც რა მოგვივიდა გვი ბელქანია?! ადექი, შე დალოცვილო, ჩაუდექი მეთაურად იმ ბატალიონს და ყველა ავკაცი გარეკე მამაპაპისეული მიწის დასაბრუნებლად

5 აპრილი.

ჯერჯერობით არაჩვეულებრივი სიწყნარეა. წუხელ მთელი ღამე არტილერიის გრუხუნსა და ტყვიის წივილში გავათენეთ. ბადრი განეთებისას დაბრუნდა ფრონტის ხაზიდან. თქვა, დღეს ქიშმარიას (მოგაგონებთ იგი აფხაზთა ფრონტის სარდალია ოჩამჩირის რაიონში) უნდა შეხვდეს ჩვენი უფროსობა და მეც იქ მივდივარო. შენ რა გესაქმება-მეთქი? ვაჰ, მე ვარ, რაც ვარო! — „ხუმრა და გაიქცა.

შეხვედრა მართლა შედგა, რაზედაც მოგვიანებით მოგითხრობთ. დღეს მიმოქცევაში შედის ქართული კუპონები. ბევრი მითქმა-მოთქმაა ამის შესახებ. ზოვს მოსწონს, ზოგს — არა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საკუთარი ფული ხომ უნდა გქონდეს, თუმცა საკუთარი ფული რომ გქონდეს, საგანძურის სეიფებში ბევრი ძვირფასეულობა უნდა გაგაჩნდეს. თუნდაც ერთი-ორი ათასი ტონა ოქრო ძალიან გვიშველიდა ამ ვაჭირვების გამო. საქართველო საკუთარ ოქროსაც მოიპოვებდა, მაგრამ, სად წავიდა ეს სიმდიდრე 70 წლის განმავლობაში? თუმცა, განა სიმდიდრე არაა, რომ საქართველოში აშენდა გიგანტები, ჭარხნები, ფაბრიკები? მთლად ნუ ვიქნებით „უმადური ივანეები“ (ლენინის გაჰოთქმაა). ყველაზე მეტი გამნიავებლები და დამტაცებლები ჩვენი ქონებისა თვითონ ჩვენ აღმოვჩნდით და თუ მკლავები არ დავიკაპიწეთ, და არ გავაჩაღეთ წარმოება, არ ვაწარმოეთ საკუთარი ქონება, კუპონებიც გაუფასურდება.

6 აპრილი.

დღეს სოჭში იწყება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის დელეგაციის მეთაურად ელცინმა დანიშნა გენერალი გრაჩოვი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი. მისთვის ამ გაჭირვების ჟამს ელცინი შეეცდება, არ გადაიკიდოს საკუთარი არმია, თორემ ცუდად წაუვა საქმე. კომუნისტურ ყრილობასაც ის უნდა, რომ არმია მიიმხროს და ყელში სწვდეს ელცინს. ელცინი, ასეა თუ ისე, საქართველოს სახელმწიფოებრივობის შენარჩუნების მომხრეა, მაგრამ მას ხელს უშლის ყრილობა და არმია, ელცინმაც, ჩემი აზრით, ეშმაკობას მიმართა და გრაჩოვს უთხრა, აჰა, საქართველოში შენი გაფუჭე-

ბული საქმე ჩაიბარე და როგორც გინდა, ისე დაადგი თავიო. ვინ იცის, იქნებ გენერალმა ჯელტმენობა გამოიჩინოს და დაადგეს საშველი რუსეთის ჯარების გაყვანას კონფლიქტის ზონიდან მაინც.

საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობს პრემიერმინისტრი ბატონი სიგუა და კიტოვანი ექსპერტთა ჯგუფთან ერთად. დელეგაციას მეთაურობს პრემიერი. საღამო ხანს გადმოსცეს, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს. გრაჩოვს განუცხადებია, საქართველო უნდა იქნეს ერთიანი და განუყოფელი, აფხაზეთიც და ე. წ. სამხრეთ ოსეთიც უნდა შედიოდნენ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და მათი საქმე ჩაითვლება ქართველოს საშინაო საქმედო. მოგეცათ ლხენა! ჩვენც ეს გვინდა, მეტი არაფერი, ოღონდ საჭიროა, რუსის ჯარმა დატოვოს საქართველო, თორემ ისე ლაპარაკი ლაპარაკად დარჩება.

7 აპრილი.

აგერ ორი კვირაა ტატიანა საწოლსაა მიჯაჭვული, მას ქვემო კიდურის ნერვის ანთება დაემართა. რამდენს არ ვეჩიჩინებით, დატოვოს არადუ და წყალტუბოს გაემგზავროს სამკურნალოდ და „სალტოლვილოდ“, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ. არაო, აქ უნდა მოვკვდეო; არადუ, მისმა ტოლებმა კი არა, ახალგაზრდებმაც დატოვეს და კარგა ხანია დაიდეს ბინა წყალტუბოში და სჩირდებათ თუ არა, ძალად იღტოლვილებენ თავს. მოაბეზრეს თავი სახელმწიფოსა და სოფელსაც. ტატიანაზე უარესი ბადრია. სახლში არც პური მოაქვს და არც სხვა პროდუქტი, რასაც ფრონტს უგზავნის სახელმწიფო. აპირებენ სამი თვის ჯამაგირი მისცენ მებრძოლებს, რომლებიც არადუს იცავენ და იცავდნენ. ბადრი სიაშიც კი არ აღმოჩნდა. რომ ვკითხე, აიღებ თუ არა ჯამაგირსმეთქი, მიპასუხა: მე არც ერთ სიაში არ ვეწერები და რაც არ უნდა დამძალოს, არც ჯამაგირს ავიღებო. აბა, დღე და ღამ რომ იარაღით ხელში ხარ ფრონტზე წაბული, ეს არაფერში ითვლებამეთქი. ითვლებაო. მაგრამ მე ჩემს სოფელს ვიცავ და ამისათვის სახელმწიფოს ფული წავართვაო? „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...“ ჩაიმღერა, იარაღს ხელი დააკლო და ფრონტის ხაზზე მოკურცხლა. ვერ გაიგებ ამ კაცისას რამეს. თუ ეს ნამდვილად ასე სწამს, ამას რა სჯობია? დე, გააგრძელოს ასე, მეც ეს მინდა. აქ ბევრს ნახავ ისეთებს, რომლებიც მხოლოდ ხელფასის მისაღე-

ბად იბრძვიან. ბევრი მარადიორობს კიდევაც. რას იზამ, ჭრელია ქვეყანა, მათ შორის არადუც ერთი მოზაიკაა. ეს არცაა გასაკვირი; მთავარია, გადარჩეს არადუ, არ ააოხროს იგი ათასმა ოხერმა და საქმის გარჩევა შემდეგისათვის გადავდოთ.

იძულებული გავხდით ტატიანა ექიმთან წაგვეყვანა ოჩამჩირეში. ოჩამჩირის რკინიგზის საავადმყოფო ახლა ჰოსპიტლადაა გადაკეთებული. ნამდვილი ლაზარეთია. საავადმყოფოს ეზოში კარვებია გაშლილი, იქ ექიმთა ბრიგადები დაჭრილებს პირველ დახმარებას უწევენ. მძიმედ დაჭრილებს ქუთაისში ან თბილისში აგზავნიან. საავადმყოფოს მთელი ეზო გასისხლიანებულია.

ერთ ნაცნობ ქირურგს დავეძებდი. ზოგი მეუბნება, აქ არასო. დავეძებ და ვერ ვნახულობ. ახლა სხვას ვეკითხები — მგონი, არ არისო. მესამეს ვეკითხები — ალბათ, მოვაო. მეოთხემ მითხრა გზაში იქნებაო, მეხუთემ — ამაოდ ელოდებიო. ბოლო პასუხი უფრო მომეწონა — მაინც მეცოდინება, რომ ტყუილა ველოდები. ერთ გამვლელ ჩამოსულ ექიმს ვთხოვე გაესინჯა ავადმყოფი. მიბრძანდი სამორიგეოში, იქ მორიგე ქირურგს გამოიძახებენ და. გასინჯავსო. წავჩანჩალდი, ექთანმა ექიმი გამოიძახა, მაგრამ არ ჩანს. ვზივართ და ველოდებით. კარებში ერთი ახალგაზრდა წვეროსანი შემოვარდა, კისერზე მხედრიონის მედალი ჰკიდია. კოჭლობს, გახარებულია... მუჭში რაღაც პრიალა მარცვლები უჭირავს, ექთანი თავისებურად უღიმის. ახალგაზრდა მუჭიდან ექთანს ხელის გულზე უჩხრიალებს რაღაცას და ება, ჩქარაო, ცქმუტავს, თან მარცხენა მკლავს იშიშვლებს. ექთანი დიდი მანერებით შპრიცს ამზადებს და ახალგაზრდას ვენაში უკეთებს. ესეც ასეო, დღეს ხომ იქნებიო. ექთანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ახალგაზრდა გახარებული წამოხტა, „ახლა კი წავალ აფხაზებთან საომრადო“ და კარებში გასხლტა.

„ნარკომანია ეს უბედური“ — გავიფიქრე, ცნობისმოყვარეობამ წამსძლია და ექთანს ვკითხე, რა გაუკეთე-მეთქი, პასუხის მაგივრად ღიმილი მივიღე და ისიც იმას მიჰყვა უკან.

როგორც იქნა, ერთი ნაცნობი მოხუცი ქირურგი შემოვიდა. ავადმყოფს მიხედ-მოხედა: ამას საქირურგო არაფერი სჭირს, ნევროპათოლოგთან მიიყვანეო; ახლა ნევროპათოლოგს ვეძებთ, მაგრამ ვერ ვპოულობთ, გვითხრეს, პოლიკლინიკაში არისო, იქ გავეშურეთ პოლიკლინიკაში გვითხრეს. საავადმყოფოში არისო. ისევ

საავადმყოფოში მივბრუნდით, არც იქ აღმოჩნდა ის ვირისთავი. უკან მობრუნებას ვაპირებდით, რომ ნაცნობი ექიმი დავინახე, თერაპევტი. აღარ დავახანე და შევეკედრე, ასეა მდგომარეობა და გვირჩიე რამე-მეთქი. კინაღამ მასაც დაეზარა, მაგრამ, ეტყობა, არ გადავიწყებია „ჰიპოკრატეს ფიცი“ და ტატიანა გულდასმით გასინჯა. ბევრი რომ გვირჩია და წამლებიც გამოგვიწერა, ისიც გვითხრა: წამლები ძალიან ძვირია და რა გეშველებათო. მადლობა გადავუხადეთ და წამლებზე წავედით. რაღა ბევრი ვავაგრძელო და ქალაქის აფთიაქში, რომელიც კომერციულად გადაუკეთებიათ, ოთხი თავი წამალი ორი ათას სამასი მანეთი დამიჯდა. ერთი 82 კაპიკიანი ვიტამინი 210 მანეთი გამხდარა. თანაც კუპონები არ მიიღეს და მანეთები გაგვიხდა საშოვარი. ახლა ვზივართ და ვფიქრობთ, როგორ ვიცხოვროთ?

8 აპრილი.

სოჭის მოლაპარაკება გრძელდება. იქ ელოდებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციების ჩასვლასაც მთიანი ყარაბაღის საკითხზე მოსალაპარაკებლად. რუსეთ-საქართველოს დელეგაციები მთელი დატვირთვით მუშაობენ. ღმერთმა ინებოს, რომ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდეს...

დღევანდელი დღით მთავარ მოვლენად მაინც რჩება სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე 9 აპრილთან დაკავშირებით.

ხვალ 9 აპრილია, იმ 9 აპრილს მთელი საქართველო გაერთიანებული იყო. მერე გაითიშა ქართველობა. სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტს შესთავაზა დადგენილების პროექტი, რომ 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს ყველაფერი ერთად იყრის თავს, ასე რომ, ხვალ გამოჩნდება, ვის რა ზრახვა აქვს გულში, რომელი პარტია რას აპირებს და რას 9 აპრილი გამოცხადდეს ხსოვნისა და ურთიერთთანხმობის დღედ. მოიმოქმედებს, როგორ გამოეხმაურება ამას ზვიად გამსახურდია და ზვიადისტები. პარლამენტმა მოიწონა მეთაურის მიერ შეთავაზებული წინადადებანი. დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. გავიგოთ ვინაა მტერი და მოყვარე, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს ყოველ ნაბიჯს ვერაგი მტერი, ეშმაკი და სატანა უთვალთვალებს.

9 აპრილი.

არადუს ფრონტზე მკვდრებისა და ცოცხლების გაცვლა მოხდა. ლაბრის ბრძოლებში დაღუპული შვიდი ცხედარი გადმოასვენეს. ცხედრები ნახევრად გახრწნილნი იყვნენ. წუხელ მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა ყოველი კალიბრის იარაღიდან სროლები. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. არადუს დამცველებს სტიმული მისცა ორნახევარი თვის ჯამაგირების დარიგებამ. იქნება, ახლა მაინც დაინტერესდეს ლტოლვილობით გაზულუქებული ახალგაზრდები და პირი იბრუნონ თავისი სოფლის დასაცავად.

დღევანდელ დღეს ინტერესით მოელოდა ქართველი ხალხი. ასე თუ ისე ჩატარდა 9 აპრილის დღე და სწორი გამოდგა გუშინდელი პარლამენტის დადგენილება 9 აპრილის უქმე დღედ და ეროვნული გამთლიანების დღედ აღნიშვნის შესახებ. სოჭის მოლაპარაკება მთლად შედეგიანად ვერ დამთავრდა. ეს ასე იყო ალბათ გათვლილი. აფხაზეთიდან ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხზე. ვერ შეთანხმდნენ. რუსეთს სურს ლაბორატორია შეინარჩუნოს ეშერაში, როგორც სტრატეგიული ობიექტი. ასევე ბომბორას აეროპორტი ხელშეუხებელი რჩება, საქართველოს მთავრობისათვის არაფერი უკითხავთ, განჯიდან ისე შემოიყვანეს სადესანტო ბატალიონი.

რუსეთი ვერა და ვერ ელევა აფხაზურ კოზირს. გამოსავალი? ისევ საერთაშორისო წნეხი თუ რამეს მოუხერხებს, თორემ თეთრი დათვი არაფერს დათმობს. მართალია იმპერია დაიშალა, მაგრამ სისტემა არ დაშლილა. რუსეთში მიმდინარეობს ურთულესი ბრძოლა ნეოკომუნისტებსა და რეფორმისტებს შორის. საით წავა რუსეთი? შეიძლება გავაკეთოთ ოთხი ვარიანტის ვათვლა. 1. გაიმარჯვებენ უკიდურესი რეაქციული ძალები, დამყარდება კომუნისტურ-ნაციონალისტური ტოტალიტარული რეჟიმი. 2. მოხდება სამხედრო გადატრიალება და ხელისუფლებას ხელში აიღებს სამხედრო ბიუროკრატიული დიქტატურა. 3. გაიმარჯვებს დემოკრატიული ძალები, ჩატარდება რეფორმები და მივიღებთ ახალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასულ დემოკრატიულ რუსეთს. 4. გარდამავალი უპირატესობით გაიმარჯვებს ხან რეფორმისტი დემოკრატები და ხან რეაქციული პარლამენტი. სავარაუდოა, რომ ეს მეოთხე ვარიანტი ყველაზე უფრო ტარდება ცხოვრებაში. ასეთ ვითარებაში პრეზიდენტ ელცინს უჭირს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს

აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის საკითხი. ყველაფერი დამოუკიდებელი იქნება 25 აპრილის რეფერენდუმზე. თუ ელცინმა რეფერენდუმზე გაიმარჯვა, სავარაუდოა, იგი ხელს მოაწერს საქართველოსთან ხელშეკრულებას თუ არადა, მაშინ საქართველომ უნდა ეძებოს საერთაშორისო კავშირებით ამ საკითხის გადაწყვეტა.

10 აპრილი.

გუშინ არადუში კიდევ ერთი ადამიანი დაჭრეს. აფხაზმა სნაიპერმა „იმარჯვა" და საქონლის მწყემსად გასული ცაცა კოპალიანი კინალამ გამოასალმა სიცოცხლეს. კიდევ კარგი, რომ იგი მსუბუქად დაიჭრა.

ისევ ჰირვეულობს ლოთი ქობალია. არ ვიცი, არძინბა და არ ვიცი იგი, რომელი უსწრებს შეთანხმებების დარღვევაში. აგერ, მერამდენედ დაარღვია მან შეთანხმება და კიდევ აჯანყებს სამეგრელოს. გადაკეტილია მაგისტრალები, მოითხოვენ გელბახიანისა და დომუხოვსკის განთავისუფლებას. აფხაზეთში ვერ შემოდის ტყვია-წამალი და პროდუქტი. ნაღვლიანი განცხადება გააკეთა თამაზ ნადარეიშვილმა. მან თქვა, რომ 250 ათასიანი აფხაზეთის ქართველობა ამას არ აპატიებს იმათ, ვინც აქციებს აწყობს ზუგდიდში. ამაზე მეტი მტრობა შეიძლება? ზუგდიდში არძინბას წისქვილზე ასხამენ წყალს.

11 აპრილი.

არადუ-ცაგერას ფრონტზე პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. სალამო ხანს გააქტიურდა არტილერია. არ წყდება ინციდენტი მერკულაში. იქ წუხელ სამი მებრძოლი დაიჭრა.

ჩვენამდე აღწევს ცნობები იმის შესახებ, რომ ქობალიას თავისი რაზმი უნდა ჩამოეყვანა ოჩამჩირეში, მაგრამ იგი არ ჩანს. იმასაც ამბობენ, რომ ქობალიას კატოვანმა მისცა ორი ათასი აკაციათვის შეიარაღება და ტანსაცმელი. ყველა შიშობს, ვაითუ ქობალიამ. ჩვენი იარაღი ჩვენსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. ჯერ კიდევ არ ვიცით, გაიხსნა თუ არა მაგისტრალი. აფხაზეთში მცხოვრები ქართველობა ძალიან განაწყენებულია იმ არაფრისმაქნისი აქციებით, რომელსაც ზუგდიდში ატარებენ. თურმე, განსაკუთრებით ქალები აქტიურობენ. ჩემი პირადი დაკვირვებით, იმ

შავკალგოტკიანება ქალებმა იმსხვერპლეს გამსახურდია თბილისში და ძალიან გაუტეხეს სახელი.

ხვალ იწყება საქართველმწიფო მეთაურის ოფიციალური ვიზიტი, უკრაინაში. უკრაინისაგან ბევრს მოელის საქართველო, მათ ძველთაგანვე აკავშირებს ტრადიციული მეგობრობა და ახლაც ადვილი შესაძლებელია, რაც რუსეთთან ურთიერთობის შეკვეცით დაგვაკლდება, შეგვიევსებს უკრაინა.

12 აპრილი.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაური უკრაინაშია. უკვე მზადაა ხელმოსაწერად ოცზე მეტი ხელშეკრულება. ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, ეს დიდი დემარშია საქართველოს მხრიდან. ასეთი დემარშები იყო აქამდე თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებში. ეს კარჯია, რამდენადაც რუსეთმა ძალიან აიშვა თავი და ლამის ჩაყლაპვა მოუნდომა საქართველოს. საქართველოს მეთაური რუსეთს ადვილად უმტკიცებს, რომ საქართველო მარტო არ არის და ის პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ ახორციელებს, თვით რუსეთს ჩააგდებს უხერხულ მდგომარეობაში და ბუმერანგივით დაუბრუნდება მას.

უკრაინა ტერიტორიით უდიდესი სახელმწიფოა ევროპის გულში, უდიდესია მისი ეკონომიკური, ინტელექტუალური თუ სხვა პოტენციალი. მარტო მისი ბირთვული პოტენციალი ტოლია ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის ერთად აღებული ბირთვული პოტენციალისა. ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ უკრაინა არის მონოლითური სახელმწიფო, მას არ ემუქრება სეპარატისტული ეთნოკონფლიქტები და სხვა სოციალური რყევები. უკრაინა უდიდეს როლს შეასრულებს ევროპის, და არა მარტო ევროპის, მშვიდობისა და სტაბილურობის საქმეში. უკრაინა და საქართველო მეზობლები და ძველი მეგობრები არიან. მათ შეუძლია ითამაშოს ნაღდი (და არა რუსული) შუამავლის როლი აფხაზეთის კონფლიქტში, თუნდაც გაეროს ეგიდით. მისი შეიარაღებული ძალები უღალატოდ შეასრულებენ თავის მისიას აფხაზეთში. შეიძლება ამაზე იქნეს ვარიგება შევარდნაძესა და კრავჩუკს შორის.

რა დასამალია, რომ მოლაპარაკების წინ კიევში ექსპრეზიდენტის ეგიდით გამოჩნდა ზოგიერთი ვაიქართველი და „ურჩიეს"

კრავჩუკს არ შეხვედროდა შევარდნაძეს. „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო“, ამაზეა ნათქვამი. რასაკვირველია, კრავჩუკი გამსახურდიას არ მოუსმენს, ბაგრამ უბედურება ისაა, მას ჯერ კიდევ უსმენენ ზუგდიდში და აგრე, მეხუთე დღეა გადაკეტილია მაგისტრალები, მაშინ როდესაც სოხუმს არ აქვს პური, სურსათი და ტყვია-წამალი. რა ემართება კიტოვანს მაინც, რომ აქდენსანს ვეღარ ამოიცნო, რა აქვს გულში ქობალიას?!

დამაიმედებელია ბატონ ქლინტონის ზეგავლენა ელცინზე აფხაზეთის კონფლიქტის გამო. თანდათან იკვრება მსოფლიო საზოგადოების ცალსახა აზრი რუსეთის გარშემო იმის შესახებ, რომ აქართველო ყველამ უნდა ცნობს თავის საზღვრებშიდა აფხაზური თუ ოსური კონფლიქტები მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეა და თვით საქართველომ უნდა გადაწყვიტოს. მალე რუსეთში რეფერენდუმიც ჩატარდება და თუ მოწესრიგდა სამართლებრივი ხელშეკრულება ალბათ ამ კონფლიქტსაც ბოლო მოეღება. უბედურება ისაა, აფხაზმა სეპარატისტებმა ვერა და ვერ შეიგნეს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვით აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობათა მოწესრიგებას.

18 აპრილი.

ოჩამჩირეში ახალი კომენდანტი დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ყიფიანი. იგი ამ რამდენიმე ხნის წინათ არადუში მოვიდა თავისი ორმოცდაათკაციანი რაზმით საკმაოდ კარგი შეიარაღებით და არადუს სკოლაში დაბანაკდა. მის წინამორბედისაგან განსხვავებით მოსახლეობისაგან მას არაფერი მოუთხოვია. არადუს მოსახლეობამ შვება იგრძნო, რადგან მოვიდა ნამდვილი ჯარის ნაწილი. ორგანიზებული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ადვილობრივი ძალებით ძალიან ჭირდა სამი მხრიდან მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიება. დღეს ყიფიანი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ოჩამჩირეში. იგი ფრიად მომზადებული, სერიოზული და მომთხოვნი კაცია. აი, ასეთი კომენდანტი სჭირდება სწორედ ოჩამჩირეს და კარგი იქნებოდა აქამდეც ყოფილიყო ასე, თუმცა ახლაც არაა გვიანი. მართალია, არადუელებმა თითქოსდა იმედი დაჰკარგეს, მაგრამ ყიფიანმა დაგვამშვიდა, თუ არადუში რაიმე მოხდება დაუყოვნებლივ აქ გავჩნდებითო. ჩვენც გვჯერა მისი. ოჩამჩირეში შემოღებულია საკომენდატო საათი, ესეც ძალზე კარგია,

თორემ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იგრძნობა სამხედრო მდგომარეობის გათავისება.

ზუგდიდში მაგისტრალების გადაკეტვამ დიდად დააზარალა მთელი აფხაზეთი, მათ შორის ოჩამჩირეც. არ შემოდის პური, პროდუქტი, ტყვია-წამალი. ჯერ არაა ცნობილი, როგორ დამთავრდება მოლაპარაკება ამ მიმართებით. აფხაზეთში მცხოვრებს ქართველთა გაგულისებას კი საზღვარი არა აქვს.

ყიფიანისა და მისი რაზმის გამგზავრება იყნოსა ჩვენს ირგვლივ გარშემორტყმულმა მოწინააღმდეგემ და აგერ ახლაც კი გამუდმებით გვიშენენ ტყვიებს, მაგრამ მათ საკადრის პასუხს აძლევენ ამჯერად ადგილობრივი, უკვე ბრძოლებგამოვლილი მეომრები.

14 აპრილი.

რვა თვე შესრულდა აფხაზეთში ომის დაწყებიდან. ყოველი თვის თავზე იმას ვიმეორებ, ვის ეგონა, თუ ამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს კონფლიქტი. ახლა ჩვენი იმედები დაკავშირებულია უკრაინასთან ხელშეკრულების დადებასთან. უკრაინამ სურვილი გამოთქვა, იკისროს შუამავლობის როლი ამ კონფლიქტში. ჩვენ გვწამს, რომ მას ნამდვილად შეუძლია იკისროს ეს მოვალეობა, თორემ რუსეთმა თავი შეირცხვინა და მომრიგებლის როლის ნაცვლად, აქეთ დაგვიწყო ომი. გარედან დახმარებას თითქმის ყველა გვპირდება, მაგრამ მავანსა და მავანს ვერა და ვერ შეუგნია, რომ დროა ბოლო მოეღოს შინააშლილობას და ეძიოს ურთიერთშეთანხმებების გზები. ასე მოხდა დღესაც, ისიც თბილისში. 14 აპრილი ქართული ენის სახელმწიფო ენად კონსტიტუციაში დამკვიდრების დღეა.

დღეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა, რომლებსაც ლიდერობდნენ ხოშტარია და სხვები, მიტინგი მოაწყვეს ფილარმონიასთან და დაიძრნენ რუსთაველზე, პოლიცია იძულებული გახდა, მსოფლიო სტანდარტების დონეზე ხელკეტები „აემუშავებინა“ და მიტინგი დაეშალა. ბოლოს მობრძანდა ირაკლი წერეთელი და სცადა მიტინგის გაგრძელება, მაგრამ მის მიერ მოწყობილი მიტინგიც დაშალეს.

როგორ ჩანს, ექსპრეზიდენტმა აპრილის თვეში ბევრი ასეთი

გამოსვლა დაგეგმა. საკვირველია, როცა თბილისში ბრძანდებოდა, მაშინ (არაფერი თუ ვერაფერი) გაუკეთებია და გროზნოდან აპარებს წყლის ამღვრევას? აურიოს და ვის? ახლა მაინც ხომ ახალი პარლამენტია და მთავრობა ლეგიტიმურია, ექსპრეზიდენტმა ისიც კი იკადრა, რომ უკრაინის პრეზიდენტს კრავჩუკს წერილი გაუგზავნა შევარდნაძესთან მოლაპარაკება არ გამართოო. თუ როგორი მოლაპარაკება გამართა კრავჩუკმა და რა პატივით მიიღო შევარდნაძე ეს საკმაოდ კარგადაა ცნობილი.

რვა თვის „იუბილე“ აფხაზებმა იმით აღნიშნეს, რომ მაგრად დაბომბეს სოხუმი. დაანგრიეს რამდენიმე სახლი, არის მსხვერპლიც. როგორც კი მტერი გააქტიურდება სოხუმთან, მაშინვე ეს რეაქცია გადაედება ოჩამჩირესაც. ამიტომაა, რომ აქაც ძალზე გააქტიურდნენ ისინი, რუმცა პოზიციები ჯერჯერობით არ შეცვლილა.

15 აპრილი.

დღეს დიდი ხუთშაბათია. ორი ათასი წლის წინათ დიდებული მაცხოვარი თავისი ჯვრით შებრძანდა იერუსალიმში, როგორც მშვიდობის ცასა და მიწას შინა სასუფეველის დამმყარებელი. მან იცის, რაც მოელის და ამის თაობაზე აფრთხილებს თავის თორმეტ მოწაფეს, რომელთა შორის ერთი იუდა ისკარიოტელია — დამსმენი და გამცემი ქრისტესი. იგი ოცდაათი ვერცხლის ფასად ჯალათებს მიანიშნებს ქრისტეს გარეგნობაზე. ქრისტეს დაიჭერენ იუდას წყალობით და „ხვალ“ ჯვარზე გააკრავენ.

ეს ყველაფერი ცნობილი ამბავია, საკვირველია მხოლოდ ის, რომ აგერ ორი ათასი წლის შემდეგ კვლავ მთელი ძალით ამოქმედდა იუდა, სატანამ დაიბუდა დედამიწაზე სახელმწიფოებში, ხალხებში, ოჯახებში, თითოეული ადამიანის სულში. ყველაზე მეტად ასე მგონია, სატანა-იუდა საქართველოში და ქართველთა შორის მოქმედებს. აბა, დააკვირდით, რა უზნეობა და განხეთქილებაა, კაცი კაცს აღარ ინდობს, მკვლელობა, გაუპატიურება, მეძავეობა, ბილწსიტყვაობა, შური, ბუნებით მომადლებული ნიჭიერების თვით ადამიანის საწინააღმდეგოდ გამოყენება, გაუტანლობა... ზუსტად ასეთი მდგომარეობა იყო იმ დროს, როცა ამ ქვეყნიერებას ქრისტე მოევლინა მესიად. ახლა მოგვევლინება

ვინმე ასეთი? იქნებ იგი ჩვენს შორისაა და არ ვაფასებთ მას, არ გიცით მისი ღვაწლი და ძალისხმევა. ესეც სატანის ბრალია, ჩვენს სულში რომ ჩაბუდებულა. ძლივს გვეღირსა ერთი პარლამენტის არჩევა. და თვით ჩვენვე გავრეკეთ, ძლივს გვეღირსა მეორე, უფრო სრულყოფილი პარლამენტის არჩევა და ზოგიერთი ე. წ. პარტიის ლიდერს კვლავ ქუჩისაკენ გაურბის თვალი. ვერა და ვერ შელევიან მიტინგომანიას, ვერა და ვერ დამწიფდა მათთვის ის პოლიტიკური ვაშლი, რომელზედაც სამართლიანად მიუთითა ქ-ნმა ირინე სარიშვილმა, ანდა, რას ჰგავს ზოგიერთი პარლამენტარის ქცევა, ვიღაცამ პრემიერს უტიფრად დემაგოგი უწოდა. პრემიერიც საქვეყნოდ დაეწაფრა „დემაგოგს" გაჩვენებ, შე უზრდელოო?... ჰო, დაიმსახურა და უთხრა, ვიღაცამ პარლამენტის თავჯდომარეს რაღაცის თქმა არ აცალა მაშინ, როცა თვითონ იგი ყველას უსმენს და არავის ხელს არ უშლის.

ჰოდა, რაც ხდება სათავეში, იგი გადაედება ხალხს, ოჯახებს, ბავშვებსაც კი.

ერთ სავალალო ამბავს მოგითხრობთ: სადღაც სამეგრელოს რაიონში სკოლაში გაკვეთილი ტარდებოდა, 14 აპრილი იყო — ქართული ენის სახელმწიფო ენად კონსტიტუციაში დამკვიდრების დღე. მასწავლებლებს უნდოდათ ამ დღის მნიშვნელობაზე ელაპარაკათ და დაიწყეს კიდეც ლაპარაკი, მაგრამ მოხდა სასწაული — ბავშვებმა სტვენა ასტეხეს და მასწავლებლებს არ მისცეს საშუალება ეს ღონისძიება ჩაეტარებინათ. ვითომ რაო, რის წინააღმდეგ გამოვიდნენ ბავშვები? დედაენის წინააღმდეგ? არა, ეს ასე არ იქნებოდა, ეს დაუჯერებელია, სარწმუნოა მხოლოდ ის, რომ ვიღაცამ ბავშვებს ჩააგონა გაელაშქრათ 14 აპრილის წინააღმდეგ, რადგან ამას მხარს უჭერდა ახლანდელი ხელისუფლება. აი, სად არის სატანა მიმალული. ნამეტანმა გადემოკრატებამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ ეს „ვიღაცეები" ასე თავაშვებულნი არიან და არადა არ დაადგა საშველი ხალხის გულების გამთლიანებას.

მეშინია, რომ ეს განხეთქილებები და მოდუნებები თავს იჩენენ ფრონტებსა და ფრონტისპირა ადგილებშიც. მთელი ძალით ამოქმედდნენ ათასი ჯურის პროვოკატორები, დივერსანტები, მარადიორები, არადუშიც მოხდა რაღაც კლანების დაჯგუფება; ჯერ იყო და შემოტანილი ხელფასები ვერ გაიყვეს — ყველას

მოუნდა ჯამაგირი, აკეთებდა თუ არა რაიმეს. ყველა კმაყოფილი როგორ დარჩებოდა. დაიწყო მითქმა-მოქმები, კვლავ „შეიკრნენ“ „ძველი ბიჭები“, რომლებმაც თავის დროზე სამუშაო დაჰკარგეს და აიყოლიეს ე. წ. „ძმაბიჭები“. ჰოდა, შეუტიეს მეურნეობის დირექტორს, შენ არაფერს აკეთებო, თვითონ მათაც, როცა არადუს შავი დღე ადგა, ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, რითაც არადუს სკოლას და მეურნეობას მილიონობით ზარალი მიადგა. შეაკოწიწეს რაღაც „სოფლის ხსნის კომიტეტი“, სადაც ისეთები გაერთიანდნენ, რომ ხალხს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნის. ეს ყველაფერი მოხდა არსებული შტაბის შეუტყობინებლად, მათი გვერდის ავლით. ყველაზე საშიში ისაა, რომ ამ რაღაც „ხსნის კომიტეტს“ განზრახული აქვს სოფელში მცხოვრებ აფხაზთა შევიწროება. ამას კი არ დაუშვებენ ის ადამიანები, რომლებიც თავიდანვე იცავდნენ აფხაზთა ინტერესებს სრულიად დასაბუთებულად და შეიძლება ამას მოჰყვეს თვით ქართველთა შორის დიდი კონფლიქტი.

17 აპრილი.

არადუში დამხმარე ძალები შემოიყვანეს ისე, როგორც ყველგან, აქაც მიღებულია საჭირო ზომები გააქტიურებული მტრის სავარაუდო პროვოკაციების ასალაგმავად. ცნობილი გახდა, რომ გრაჩოვ-საქართველოს მოლაპარაკება მორიგი ფარსი გამოდგა სეპარატისტებისათვის დროის მოსაგებად და ახალი ფართო-მასშტაბიანი, ყოვლისმომცველი შემოტევის განსახორციელებლად. თითქოსდა, ჩასაფრებულნი იყვნენ, მიტინგობანაც კვლავ გააჩაღეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა... ცხონებული კონსტანტინე გამსახურდია წერდა, რომ საქართველოს თუ დაღუპავს — მიტინგობია, მეტი არაფერიო. კარგი იქნებოდ მამის ნაბრძანები პირველ რიგში შვილს გაეგო, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ მოხდა. უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო საჭირო ღონისძიებებს ატარებს სოხუმში დამატებითი თავდაცვის გასაძლიერებლად, მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მარტო გუშინდელი დაბომბვების შედეგად სოხუმში 17 ადამიანი დაიღუპა, დაიჭრა მრავალი, დაინგრა ბევრი სახლი და ამით ხაზი გადაესვა

იმ ოქმს, რომლის დაცვაც თავგამოდებით უხდებოდა ბატონ პრემიერს პარლამენტის სხდომაზე. რა ჭკვიანი ქალი გამოდგა ირინე სარიშვილი, როცა ეჩვობდა, „რა იმალება ამ ოქმის უკანო?“!

იმის კვალობაზე, თუ როგორი ვითარება იქმნება საერთოდ აფხაზეთში, არადუც თანდათან გადადის სამხედრო პლატფორმაზე, ადრე მოგითხრობდით, რომ გაჩნდა სურვილი გაერთიანებულიყო არადუსა და მერკულის მებრძოლები ერთ ბატალიონად და ეს ასეც მოხდა. ამ ბატალიონში არადუს ორი ასეული და მერკულის ერთი ასეულია გაერთიანებული ლაპარაკი მაქვს ადგილობრივ მოსახლეობაზე).

ამგვარად, შტაბმა, რომელიც აქამდე ცალკე არსებობდა, სოფელში თავისი ფუნქციები ამოწურა და გაუქმდა, რამდენადაც ბატალიონის და ასეულებს თავიანთი შტაბი გაუჩნდათ. სოფლის საბჭო გაუქმდა, აირჩიეს (შეაკოწიწეს) გამგეობა 7 კაცის შემადგენლობით. დარჩა მეურნეობაც თავისი შტაბით. მათ დაევალათ სოფლის საჭირბოროტო (სამხედროს გარდა) საკითხების მოგვარება. ყველაფერი ეს გაკეთებული იქნა გუშინ, მას შემდეგ, რაც განზე მდგომმა პროვოკატორებმა ნამდვილი ხალხის (რომლებიც მართლაც იბრძოდნენ და აქამდე მოიყვანეს უვნებლად არადუ) გვერდის ავლით მოაწყვეს რაღაც თავშეყრა და „აირჩიეს“ ე. წ „სოფლის ხსნის კომიტეტი“ ხუთი კაცის შემადგენლობით. ეს იყო „სახელმწიფო გადატრიალების“ ცდა (მინიატურაში) არადუში, რაღაც „პუტჩი“. შესაძლებელია, ჭკუაზე მყოფ ადამიანს ამისთვის რაიმე ყურადღება არ მიექცია, რომ არ შექმნილიყო რეალური საფრთხე თვით არადუელთა ურთიერთდაპირისპირებისა, საბედნიეროდ, ბადრის მცდელობით „პუტჩი“ ჩაიშალა, ხოლო „პუტჩისტები“ ჩრდილში მიიმალნენ.

18 აპრილი.

კვირა. აღდგომა. ორი ათასი წლის წინათ ამ დღეს მკვდრეთით აღსდგა ჯვარცმული ქრისტე, უფალი ჩვენი მაცხოვარი. იგი ზეციურად ამაღლდა და ცოდვილ ადამიანებს დაუტოვა ათი მცნება არსებობისა, ცხოვრებისა, გადარჩენისა. ამ ორიათასი წლის განმავლობაში კაცობრიობას ბევრი ჭარტეხილები ატყდებოდა თავს და ეს ყოველთვის ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა

ადამიანები ივიწყებდნენ ათ მცნებას, როცა ბიბლიის გაშიფვრას ცდილობენ მეცნიერები (განსაკუთრებით უფოლოგები) აპოკალიფსიას, ამ ხნის მანძილზე წარსული მოვლენების ანალიზით, ვარაუდობენ, რომ სამყაროს (ვარსკვლავეთის) უსასრულო ოჯახის რუკაზე პლანეტა დედამიწა მდებარეობს გარეკიდეზე და ისიც „ავაჭრო" გზაჯვარედინზე, ამდენად იგი შედის ვარსკვლავიერა ცივილიზაციების ინტერესების სფეროში. არ იფიქროთ, რომ ე. წ. მფრინავი თეფშები ზღაპარი ან ილუზია იყოს. ისინი ნამდვილად არსებობენ და მათი მეშვეობით შესაძლებელია დედამიწას მისი წარმოშობის დროიდანვე აკვირდებიან. ძველი აღთქმიდან ქრისტეს შობამდე ცივილიზაცია დედამიწაზე არასწორი გზით განვითარდა (განუწყვეტელი ომები, ათასნაირი გახრწნილება, კაციჭამიობა, სიძულვილი და ათასი რამ). იქნებ, მესია (ქრისტე) სამყარომ დედამიწას კიდევ ერთი გამოცდისათვის მოუვლინა და მისცა ვადა ორი ათასი წელი. ეს საკმაო დროა საზოგადოების განვითარებისათვის, თუ საზოგადოება დედამიწაზე სასურველი გზით განვითარდებოდა (იგულისხმება მსოფლიო ცივილიზაციების სურვილი), მაშინ ისინი მხოლოდ დაეხმარებოდნენ ასეთი გზით ცივილიზაციის განვითარებას. მაგრამ მოხდა ისე, რომ საზოგადოებრივი განვითარება დედამიწაზე კვლავ არასწორი გზით წავიდა და ახლა ვითარება ისეთივე იქნება, როგორიც იყო პილატესა და ჰეროდეს მეფობის დროს. ქრისტე აწამეს, ჯვარს აცვეს, მაგრამ მან ზეციური სულის განგებით თავი შესწირა იმისათვის, რათა ეხსნა კაცობრიობა. დატოვა რა სულიერი საზრდო ადამიანებისათვის, მან თავისი სხეული სადღაც გადააგდო და თვითონ ზეცაში ამაღლდა სულიერად. აი ეს სული და მარადიული გონებაა რომ ამოძრავებს კაცობრიობას, ადამიანებს. აუბედურობა ყველამ როდი ისმინა ქრისტეს მცნებები და ამიტომ სახეზეა ის, რაც ამჟამად ხდება დედამიწაზე. იარაღის შთები, მასობრივი გაწყვეტის საშუალებები, შიდსის ვირუსი, ადამიანთა სულის გახლეჩა, ერთმანეთთან გაუგონარი კონფლიქტები. ყველაფერი ეს უკვე იმ მეორედ მოსვლის დასაწყისია, რაც ბიბლიურ აპოკალიფსშია ნაწინასწარმეტყველები.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ისეთი სრულყოფილი იდეოლოგიური მოძღვრება, როგორიც ქრისტიანობაა და ქრისტეს მცნებებშია ჩამოყალიბებული. რა გადაარჩენს კაცობრი-

ობას?.. მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის გათავისება. შესაძლებელია შემეკამათონ, მაშინ სხვა რელიგიებმა რა დააშავაო. მაინც ხომ წარმოიშვება ბრძოლა თვით რელიგიებს შორისო? დიახ, გაჩნია სხვა რელიგიების სიწმინდესაც. თუ თვით რელიგიებშიაც თავი იჩინა სხვადასხვა ჯურის ფრაქციულობამ, ისეთმა, როგორიცაა ისლამური ფუნდამენტალიზმი, მაშინ იგი შეუთავსებელი იქნება წმინდა მცნებასთან — კაცის მოკვლასა თუ არ მოკვლას შორის, რაც გადამწყვეტი მცნებაა მცნებათა შორის. ამდენად ლაპარაკია მხოლოდ სიწმინდეზე, წმინდა რელიგიაზე და არა ათასგვარ სექტებზე. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ კაცობრიობა არასწორი გზით განვითარდა. იმის გამო, თუ როგორ დაისჯება დედამიწა და მისი ცივილიზაცია, ამაზე ალბათ მფრინავი თეფშების „პატრონები“ უკეთესად იფიქრებენ. ადამიანს კი ამის არც დასჯისა და არც განსჯის უნარი არ გააჩნია.

დღევანდელ დღეს ვერაფერი დიდი აღმავლობით ხვდება გაწამებული ადამიანები, ხოლო ფრონტისპირას მაცხოვრებლები კი სულ მართლაც რომ დატანჯული არიან, აფხაზებმა არადუში შემოთვალეს, შავ აღდგომას გაგითენებთო, რატომ, კაცო, რას გვერჩითო, შეუთვალეს ქართველებმა, მოდით, ერთად დავსხდეთ, პური ვჭამოთო, ქრისტეს ლოცვა მივაგოთო; წადით, თქვენი დედაც და თქვენი ქრისტეცო. — შემოუთვალეს. ამან, კი განარისხა ქართველები და ერთი გულმოსული ნაღმი გატყორცნეს იქით. საიდანაც გინება გამოგზავნეს. თუმცა ნაღმი რომ არ აფეთქებულიყო, დამცველი არ მოხსნეს, აღდგომა დღეს ვინმე უდანაშაულო კაცი არ მოკლასო. სამაგიეროდ, მათმა სნაიპერმა ერთ არადუელ ახალგაზრდას, გია ლომთაძეს თვალი ამოუგდო და მწყობრიდან გამოიყვანა. სხვებმა სასაფლაოზე მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად მისულ ადამიანებს დაუშინეს ტყვია. მეც კინაღამ მიმხვერპლეს. რას მერჩოდნენ, ჩემთვის, შუაცეხლშემოფიცხებული ყალიონს ვაბოლებდი და ისევ მათ ბედზე ვფიქრობდი...

დღეს დღეობით ბოროტება იმარჯვებს სიკეთეზე. რა იქნება მომავალში? ვნახოთ, კაცი იმედით ცხოვრობს. შენ კი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, გისურვებ მრავალი მშვიდობიანი აღდგომის დღესასწაულს დასწრებოდე. ქრისტე აღსდგა! „ვეშმარიტად!..“ მეტყვი, ალბათ.

19 აპრილი.

წუხელ, ღამით ოჩამჩირის რაიონულ ქვესადგურში ხანძარი გაჩნდა, რამაც ელექტროენერგიის მოწოდება შეწყვიტა, როგორც მთელს რაიონში, ისე სოხუმის მიმართულებით. ხანძრის გაჩენისთვის მიზეზად ასახელებენ გასროლილ მოტრასირე ტყვიას, თუმცა, სინამდვილეში რამ გამოიწვია ავარია ჯერ კიდევ არავინ იცის, ძალთა ავარიის გამოსწორებას მუშაობის ძველი სტილით არა ნაკლებ ორი კვირა დასჭირდებოდა.

ახალი კომენდანტის მალხაზ ყიფიანის ენერგიული ხელი უცბად დაეტყო საქმეს. უკვე ნაშუადღევს ქვესადგური აღდგენილი იქნა და ელექტროენერგიაც მივიღეთ. ყიფიანის სასახელოდ ხმა რამეც უნდა ითქვას, მან საკმაოდ სწრაფად დაამყარა წესრიგი ოჩამჩირეში. ჯერ კიდევ არადუში ყოფნისას გაიოქვა სახელი დისციპლინით, მისი ბიჭები ნამდვილი ზნეობის მეოცნებე არიან და კომენდატის საათსაც ერთგულად ემსახურებიან.

20—24 აპრილი.

აქ დროებით იძულებით შევწყვიტე ყოველდღიური ჩანაწერის გაკეთება, რა ვიცოდი, თუ ბნელი აღდგომა გაბითენდებოდა, ის რაც ცოტაოდენი სიამოვნება განვიცადე ამ დღით, ასე ჩამწარდებოდა, აღდგომა დღეს ბადრი რამდენიმე ადგილას იყო შიპატიჟებული. არადუ პურ-მარილით ნაქებია და არადუელებმაც იფიქრეს, მოდი აქ ნამყოფ ყიფიანის ბიჭებს აღდგომას კარგად გავუთენებთო. შეწვეს გოჭი, მოამზადეს პურ-მარილი და ოჩამჩირეს გასწიეს. მართალია, თავად ბატონი კომენდანტი არ ბრძანდებოდა ადგილზე, მაგრამ ბიჭებმა კარგად ისიამოვნეს, და, რასაკვირველია, ღვინოც გვარიანად შესვეს. საღამო ჟამს სამიოდე ამხანაგთან ერთად ჩვენს სახლშიაც წაამატეს ღვინო და მოსახსენებელიც მოიხსენიეს.

დაღამდა. მერკულელმა ბიჭებმა სახლში წასვლა ინებეს და ბადრისაც აღარ მოეშვნენ, თან გაიყოლიეს, ბადრიმ დაიბარა, ხვალ დილით დავბრუნდებიო. ჩვენც დავეთანხმეთ, აბა რას გავხდებოდით. ბადრიმ რევოლვერი გამომართვა (ყოველ შემთხვევისათვისო) და მის მერკულელ ამხანაგს გადასცა, რომლის არც სახელი ვიცი და არც გვარი.

18 აპრილის ღამე რაღაც ქვეცნობიერ შფოთში გავატარეთ ე და ჩემმა მეუღლემ. ნურვინ იფიქრებს წინათგრძნობა არ არისო, ან სიზმარი არ სიზმრობსო. ბედისწერა ნამდვილად არსებობს. ვეძებ და ვაკეთებ რა განვლილი ცხოვრების ანალიზს, თანდათან ვრწმუნდები, რომ ნამდვილია ყველა იმ მცნებათა შესრულების აუცილებლობა, რომელიც მაცხოვარმა დაგვიტოვა. მე კი, რაღა დაგიმალოთ და ხშირად მიხდება ამ მცნებათა დარღვევა. თუნდაც ის, რომ უქმე დღეებში ბევრი რამ გამიკეთებია. არც ეს აღდგომის დღე იყო გამონაკლისი. ოჯახში საქმეს რა გამოლევს და იქნებ ის, რამაც აღდგომის დღე ჩამამწარა, ამის ბრალიც იყოს. თუ ეს ასეა, გულწრფელად ვინანიებ ცოდვებს უფლის წინაშე.

19 აპრილს, აღდგომის მეორე დღე ისე ქვეცნობიერად უსიამოდ, ჯავრსა და წუხილში გავატარეთ. ბადრი არ ჩანდა. მეუღლეს ვამშვიდებდი, სად წავა, ამხანაგებთან იქნება, აღდგომის მეორე დღეა-მეთქი, თვითონ კი ვითომ არ ვიმჩნევდი ნაღველს.

დაღამდა. „მაღალი ვახშმობის“ დროს ჭიშკართან გვარდიელთა სატვირთო მანქანა გაჩერდა. დაიძახეს. ბნელოდა და ვერვინ შევიცანი, ბიჭები იყვნენ (მებრძოლები). მერკულიდან ვართო. ბადრი აქ სახლობსო? რაღაც არ მომეწონა მათი შეკითხვა. კი, რაჟ ცუდი ამბავი ხომ არ არის-მეთქი? აჯაო, ბადრიმ ძმობთვალა მერხეულში მივდივარო (მერხეულში ბადრის და მანანაა გათხოვილი), ერთი ორი-სამი დღე დავრჩები და არ იჯავროთო, რამდენიმეჯერ გამიმეორა, ხომ გაიგეო... მათი ნათქვამის ტონი არ მომეწონა, ძაგრამ რას ვიზამდი, ისინი წავიდნენ. ჩვენ კი დავრჩით შინაგახჯავრით შეშფოთებულნი ეს იყო 19 აპრილს, 20 აპრილს საღამოხანს ქუჩიდან ჩვენამდე ამბავმა შემოაღწია: იმ სახლს, სადაც ბიჭები და მათთან ერთად ბადრიც იმყოფებოდა, საიდანღაც შემოპარულმა აფხაზებმა გრანატმტყორცნიდან ნაღმი ესროლეს და მთელი სახლი დარტყმის ტალღაში მოხვდა. ბიჭები აივანზე გამოცვივდნენ და ბრძოლაში ჩაებნენ. საუბედუროდ ბადრის დაუსხლტა ფეხი და მეორე სართულიდან სიბნელეში ძირს გადაეშვა. აქ სახლები მაღალია, სართულნახევარს მაინც ეტოლება ერთი სართული. ოგი ძირს უგრძნობლად დავარდა. ეს მოხდა აღდგომის ღამეს, 18 აპრილს.

როცა ყველაფერი დამთავრდა, ბიჭებმა ბადრი აიყვანეს და საწოლზე დააწვინეს, როცა გრძნობაზე მოვიდა, სთხოვა ჩემთან

მოსულიყვნენ და გადმოეცათ ის, რაც ზევით მოგიყევით. თვითონ ვიფიქრა, რომ აქვე გამოვკეთდები და მშობლებს გულს არ ვატკენო, მაგრამ, საუბედუროდ ასე არ მოხდა.

19 აპრილს როგორც კი გავიგე, ეს ამბავი, თავქუდმოგლეჯილმა რა ჩავიცვი, არც მახსოვს, ისე გავეშურე, ოჩამჩირეში ბონდოს მანქანით ჩემთან ერთად ბორია (ყოფილი კომენდანტი) მოდიოდა. მას ჩემამდე ენახა ბადრი და მითხრა, ლაპარაკობს, მაგრამ განძრევა არ შეუძლიაო.

ოჩამჩირის ლაზარეთი. ბადრი საკაცეზე წევს. რომ დამინახა, მოჩვენებითად დამამშვიდა, არაფერიაო. რენტგენის სურათს გავხედე. ფორმა 27 უკვე შევსებული იყო და დიაგნოზიც დასმული. დიაგნოზი შემაშფოთებელი იყო: ხერხემლის მეხუთე მალის მოტეხილობა, მარცხენა თეძოს ძვლის გადატეხა, მარცხენა მკლავის იდაყვის დაქეჭილობა, მაჯის ღრძობა და კიდევ სხვა ოთული მოვლენები, ეს არის, ბიჭო, არაფერი-მეთქი? კინალამ გრძნობა დავკარგე.

ქუთაისში უნდა გავფრენილიყავით, ასე იყო მიმართვაში, ათი წუთია შემდეგ კიტოვანის ბრძანებით ღალიძგის ხიდთან სანიტარული ვერტმფრენი დაჯდა, ბადრი საკაცით სასწრაფო მანქანაში მოათავსეს, მეც მანქანას უკან მივყევი და ხუთ წუთში ვერტმფრენთან ვიყავით. იქ აუარება ხალხი ირეოდა. დაზარალებულ მხოლოდ ორნი იყვნენ — ერთი ოჩამჩირელი დაჭრილი და მეორეც ბადრი, დანარჩენები — სამხედროები. ბადრი ვერტმფრენში შესვეს თავის საკაციანად, მეც ახალგაზრდული ნაძალადევი ნახტომით მის გვერდით შევხტი და ლუკიც დაიხურა.

ვერტმფრენში ტევა არ იყო. მებრძოლებმა ჩემს დანახვაზე სათითაოდ შემომთავაზეს ადგილი და დიდი პატივით დაშვეს ბადრის თავთან. ვერტმფრენი აფრინდა და სულ რაღაც ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე მიწას გაკრული გზას გაუდგა.

საშიში ადგილები ჰქონდა გასაფრენი. მტერი წითელ ჯვარსაც არაფრად აგდებდა. საბედნიეროდ, ფრონტის ხაზები მშვიდად გადავიფრინეთ, სამხედროთა ერთი ნაწილი კოპიტნარში ჩავიდა, რაღაც ზესტაფონშიაც ჩამოაგდეს. ზესტაფონიდან ქუთაისამდე არც ისე დიდი მანძილია და ვფიქრობდი, მალე ჩავფრინდებოდით. წარმოდგენილი მქონდა, რომ ვერტმფრენი შემობრუნდა და ქუთაისისკენ გაეშურა.

ღამეა. ვერტმფრენი მიფრენს და მიფრენს. ძირს კარგად გამოჩნდა თოვლიანი მთები. ასეთივეა ირგვლივ. ფრენა საათნახევარს გაგრძელდა და როდის იყო აეროდრომზე დაეშვა. ჩვენ იქვე დაგვხვდა ორი სასწრაფო მანქანა. ერთში ბადრი მოათავსეს და მეორეში ის დაჭრილი. რაღაც ნახევარ საათში დიდ საავადმყოფოში ამოვყავით თავი, მისაღებში ისტორია გააფორმეს და ბადრი საავადმყოფოს მერვე სართულზე ლიფტით აიყვანეს პალატაში ერთი დაჭრილი დაგვხვდა, თავს დედა და ძმა ადგა. პოლიციასთან შეტაკებაში მძიმედ დაჭრილა. საერთოდ, ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა პოლიციასთან სამხედროებს შორის შეტაკებანი. პოლიცია ძალზე უკმაყოფილოა სამხედროთა დანაშაულებრივი მოქმედებით. ახლა ამის მოთხრობას აღარ შევუდგებით, თუმცა ეს მოვლენა მეტად დამაფიქრებელია, ქუთაისში ჩემი ძმის შვილი ცხოვრობს, რობერტი. იგი ახალგაზრდა წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორია. ბადრის ვკითხე, ტელეფონის ნომერი ხომ არ იცი-მეთქი. უარის ნიშნად თავი გაიქნია, ტაქსით წავალ და რობერტის მოვიყვან-მეთქი. ბადრის გაუკვირდა (მას ჩემზე უკეთესი ახსოვნება შემორჩენია), იქ დილამდე ვერ ჩახვალო, ეს როგორ-მეთქი? შენ თავი ქუთაისში ხომ არ გგონიაო ბა, სად ვართ-მეთქი? სადა და თბილისში ვართო. ვაი შენ ჩემო თავო, მე თავი ქუთაისში მეგონა! (ეს ალბათ იმიტომ რომ მიმართვა ქუთაისზე გვქონდა) ახლა კი მივხვდი, თუ რატომ გაგრძელდა ამდენ ხანს ფრენა.

იმ ღამით ტკივილის გამაყუჩებელი წამლები გაუკეთეს და დილამდე სძინავდა გაუნძრევლად.

მეორე დღეს, 21 აპრილს კვალიფიციურმა ექიმებმა გასინჯეს ბადრი და საბედნიეროდ ის დიაგნოზი, რაც ოჩამჩირეში დაუსვეს არ აღმოჩნდა მართალი. მოტეხილი არაფერი აღმოჩნდა, მხოლოდ მძიმე ტრავმული დაქექილობა ჰქონდა, განსაკუთრებით ბარძაყის სახსარში. დანარჩენი შინაგანი ორგანოების, ან თავისა და ზურგის ტვინის დაზიანება არ აღმოაჩნდა. მეტყველება და აზროვნება ნორმალური ჰქონდა, რაიმე პათოლოგიური დარღვევა არ შეინიშნებოდა. ასე რომ, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

24 აპრილამდე თავზე ვადექი. აქვე მკურნალობდნენ არადუელი მებრძოლები, ძმები მურმან და დურმიშხან ცერცვაძეები. მურ-

მანს ცოლ-შვილი თავს ადგა. იგი, როგორც ადრე გაუწყებდით, ნალმზე აფეთქდა და მარჯვენა ფეხის ქუსლი დაკარგა, დურმიშხანი კი ძმებში ყველაზე უმცროსია. მას ტანკმა გაღაუარა მარცხენა ხელზე და ძვლები ნამსხვრევებად უქცია. მესამე ძმა, ხუმრობით „გენერალს“ რომ ვეძახდი, მურთაზი ისევ მხნეობაა და არადუს ფრონტზე იბრძვის, ძალიან კი უფრთხილდება ავტომატს მას შემდეგ, რაც დაკარგა და ბადრიმ მოუტანა, ერთი ჭირი მარგებელიაო, ახლა როცა სძინავს, ავტომატი გადაკიდებული აქვს, სამაგიეროდ არტილერიას და უცხო ბიჭებს ჩამოცლოდა და თავისიანებს დაუბრუნდა არადუში.

ბადრიმ რაკი ნაცნობი ბიჭები დაიგულა, ნე ამიხირდა, წადი და სახლს მიხედეთო! დატოვება არ მინდოდა, ჯერ კიდევ უჭირს მოძრაობა, მაგრამ მანამ არ მოისვენა, სანამ არ „გამომგდო“ და მეც რკინიგზის სადგურში ბილეთის ასაღებად წავედი.

სალაროებთან დიდი რიგი დგას. პირველად მორიგეს ვკითხე, სოხუმი თუ გადის-მეთქი? გადისო! — მომიგდო ერთადერთი სიტყვა. ბილეთი სად ავიღო-მეთქი? იქითო, წავედი იქით. ყველას ვებოდიშები, რათა შეკითხვაზე პასუხი მივიღო. სოხუმის ბილეთს თუ ჰყიდით-მეთქი, თან ხელში წითელ ბილეთს ვაფრიალებ — შრომის ინვალიდობის დამადასტურებელს. მივაღწევ რა მოლარემდე, ისიც ერთადერთ სიტყვას გადმომიგდებს — „იქითო“! ბეც იქით მივეშურები და თითქმის ერთი საათი მოვანდომე, სანამ სულ ბოლო სალარომდე მივიდოდი, იქაც ერთი სიტყვა მომიგდეს, მხოლოდ „იქითას“ ნაცვლად, აქეთო! ახლა აქეთ მოვდივარ გულზე გახეთქილი. მეოთხე სალარომდე რომ ჩამოვაღწიე, ჩემს წინ მდგომ მანდილოსანს ცხვირი ორბის ნისკარტს რომ უგავდა და სახე ჩამოუტიროდა, ვთხოვე — უკაცრავად, მაგრამ მოლარეს ხელმეორედ უნდა ვკითხო რაღაც-მეთქი. პასუხიც არ მაღირსა, უხეშად მიიჩოჩა იქით, თითქოს პარალიზებული ჰქონდა ხელები. ახლა მოლარეს პროტესტი განვუცხადე, რატომ არ იძლევი ბილეთს-მეთქი, თან მეორე ჯგუფის ინვალიდობის დამადასტურებელ წიგნაკს ვაჩვენებ. ეს არის შეკითხვაო? — შემომიტია სომეხმა — იმ ქალმა, დიდი ვაივაგლახით რომ ჩამიყენა წინ, თითქოს ნიშანი მისცესო, მოლარემაც აღარ დაახანა და შემომიტია, ეს წიგნაკი შრომისაა და არ იძლევა შეღავათის უფლებასო. თუმცა ბიგნით არ ჩაუხედავს თუ რა შეღავათს იძლეოდა საბუთი. ამაზე მე ვავ-

ბრაზდი და შევუტიე — განა შრომა სანატრელი არ გახდა ამჟამად-მეთქი? განა შრომაში გმირობა ომში გმირობაზე ნაკლებია-მეთქი! ესეც არ იყოს, მე ფრონტზე მიმეჩქარება და რატომ უნდა დამაყოვნოთ-მეთქი. მოლარემ ცხვირი აიბზუა, ჩემს გვერდით მდგომმა ქალმა მოხვეულ ცხვირს ზედა ლაფში ამოსდო. დავფიქრდი, ნუთუ ასე სასაცილოა ფრონტისა და ომის ხსენება? მოლარეც სომეხი გამოდგა ის შეჩვენებული, ახლა ჩემში იმ სომხებისადმი გვეცნობიერად შემორჩენილმა ზიზღმა გაიელვა, გუდაუთაში მარშალი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი რომ შექმნეს და სოხუმზე შეტევაში თავი „ისახელეს“, არც ლაბრელი სომხები ჩამორჩნენ მათ და ყოველმხრივ დაეხმარნენ აფხაზებს ტამიშის ტრასაზე სალხის გაწყვეტაში. ეს ყველაფერი (თუმცა არ მინდოდა მეთქვა), ამოვულაგე მათ და თან დავსძახე, სად არის თბილისელი სომხების პოზიცია, ასეთ რამეს რომ სჩადიან თქვენი ძმები აფხაზეთში, არ გესირცხვებათ-მეთქი. ასეც უნდა იყოსო, თქვა ცხვირმოხვეულმა. კაცი რომ ყოფილიყო, ალბათ ტყვიას დავაბლიდი, მაგრამ თავის შეკავება ვამჯობინე. მოლარემ ბილეთი გამოწერა, მე კუპე შევუკვეთე, ქვედა ადგილი. მომცა ბილეთი და თან ბევრიც მლანძღა, კარგი, შენ რაც გინდა ისა სთქვი, მე გამიშვი, მეჩქარება-მეთქი. ადგილის ნომერიც ვკითხე. რომ დაჯდები, მაშინ გაიგებო. ბილეთი ჯიბეში შევინახე და ბაზარს მივაშურე, ბადრისთვის რაღაცეები უნდა მეყიდა.

ბაზარში ნამდვილი სიუხვეა, რა გინდა, რომ არ იშოვებოდეს, მაგრამ ყველაფერს „ცეცხლი უკიდია“, აქ ვნახე კოჩარელი ვაჟკაცები. გამიკვირდა, რას აკეთებთ-მეთქი? აისხით იარაღი და უკან გამომყევით, კოჩარა დავიბრუნოთ-მეთქი! არაო, კოჩარაში წამსვლელი არ ვართ, სანამ არ აიღებენო, ვინ აგიღებთ, რატომ ჩაუგდეთ ხელში მტერს ასეთი მდიდარი სოფელი-მეთქი, ყველას ჯობი რომ აგეღოთ ხელში, ისიც კმაროდა. მერე დაადასტურეს ადრე ჩემგან გაგონილი, რომ კოჩარა აიღო სულ 60-მდე „ბოევიკმა“. სკოლაში დამდგარმა გვარდიის თუ მხედრიონის ნაწილმა, რომელთაც სამი ტანკიც კი ჰყავდათ, ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო. ტანკები შემოაბრუნეს და ოჩამჩირეში მოქუსლეს. საკითხავია და დასადგენია, ვისი ბრძანება იყო ეს? იცის კი მკითხველმა, თუ რა ფასად დაუჯდა ეს ღალატი აფხაზეთს და მთლიანად საქართველოს? რაკი ამაზე საკმაოდ (თუმცა ბუნდოვნად) ითქვა,

ჩვენ აღარ შევუდგებით მის გარჩევას, დაე, ეს თვითონ კოჩარლებმა გაარკვიონ.

როდის იყო, საღამო ჟამს მატარებელი ჩამოდგა, ბილეთი მოვიძიე, სულ ბოლო ვაგონში აღმოვჩნდი. უკიდურესად შეჩვენებული „პლაცკარტი“ ხალხითაა გაჭედილი. ყარს უველაფერი. იმ მოლარის მოსანახავად დრო აღარ მყოფნის, გავრბივარ წინ. ვეძებ რბილ ან ნახევრად რბილ ვაგონებს. იქ უველა ადგილი დაკავებულია, მათ შორის ბილეთი ნახევარსაც არ აქვს. ვეხვეწები ხან ერთ გამცილებელს, ხან მეორეს, როგორმე მომათავსონ, უველა უარს მეუბნება, არადა უკვე გასვლას ათი წუთი აკლია. ბოლოს ჩემი ვაგონისაკენ ვიბრუნე პირი, ძლივს გავიკვლიე გზა ხალხისა და ბარგის ტევაში, ვხედავ, ჩემს ადგილას (გვერდითი ნარა) ოთხიოდე უბილეთო მგზავრი მოკალათებულა, მაგრამ ვინღა დაეძებს, თავისუფალი რომ იყოს. იძულებული ვხდები, ერთ-მათგანი ასე ფართოდ რომ გაწოლილა ჩემს ადგილზე, გადმოვაბრძანო და დიდის ვაივაგლახით ვიკავებ ადგილს. ჩემს ფეხებთან ბენზინით სავსე ჰურჭლები აწყვია, იქვე მთვრალები პაპიროსს აბოლებენ, ერთი მათგანი მომიახლოვდა და ჩახლეჩილი ხმით მომეალერსა, ბუდიონს გაუმარჯოსო, თან ჰუჭყიანი ხელი გამიწოდა. მე ხუმრობის თავი არ მაქვს და გამომწვევად ვეუბნები: მე ბუდიონი კი არა, ქართველი ვარ-მეთქი, ულვაშები რომ გაქვს ბუდიონისო, კინაღამ გადავირიე, ბუდიონის ულვაში რად მინდა, მე ჩემი ულვაში მაქვს-მეთქი, გვერდით მჯდომი მამაკაცი ცეცხლის ფასად ნაყიდ ანეგდოტების წიგნს რომ კითხულობს, ისტერიკულად ახარხარდა, ეს აქ ამ წიგნში ჩასაწერიაო, ასე იყო თუ იარა უველანი დავმეგობრდით, მაგრამ ამნაირი მგზავრობა მისცემოდეს იმ უნამუსო სომეხ დედაკაცს, რომელმაც მოხუც კაცს ასეთი ადგილი გამომიწერა. რის ვაივაგლახით მიბობღავს ჩვენი მატარებელი. ზუგდიდში შეგვამოწმეს, იარაღიანი თუ ვინმე ხართ, ამოიღეთო, იარაღი აფხაზეთიდან რომ წამოიღოს კაცმა, ნამდვილად არ ეპატიება და თუ იქით ფრონტზე მიდის, მაშინ არ უნდა დაუშალო, თუ საქურდლად და საყაჩაღოდ არ უნდა მისი მოხმარება. გავიგეთ, რომ ლოთი ჭობალია ოჩამჩირისკენ დაძრულა. ზუგდიდშიც წესრიგი დაუმყარებია, ახლა ლოთს რეიტინგი ნამდვილად მაღალია ხალხში, თუმცა ბოლომდე არ ენდობიან.

და აჰა, როგორც იყო სახლს მოვაღწიე. ტანისამოსი არც გამომიცვლია, ისე ვეტაკე ბარსა და თოხს, თან ყველა გავაფრთხილე თუ გინდათ, შიმშილით არ დაიხოცოთ, ერთი გოჯი მიწა არ დატოვოთ დაუმუშავებელი-მეთქი...

25-26 აპრილი.

თუ გინდა გაიგოთ, რა არის ომი, გუმისთაზე, ლაბრაში, ბელახუბაში, არადუში უნდა ჩახვიდე. როგორ დაისუსხები ტყვიების წვიმაში რამდენ უძილო ღამეს გაატარებ ტანგაუხდელი, იარაღმომარჯვებული (მამაცთათვის) ან გაქცევისათვის მომზადებული (მხდალთათვის). ასეცაა და ისეც, ყველა როდი უძლებს მოვლენათა მსვლელობას, ზოგს თავი გადადებული აქვს საქართველოსათვის, ზოგსაც ნერვები ღალატობს და გარბის. მტერსაც ის უნდა, რომ გარბოდე, რაც შეიძლება სწრაფად გაიქცე და შენი ქონება თუ რამ გაგაჩნია, ხელთ შეატოვო, მასაც ეს უნდა და მეტი არაფერი.

გუშინ ოჩამჩირეში შემზარავი ამბავი მოხდა, ერთ-ერთ საგუშაგოს ჯერჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს. არ იფიქროთ, მტერი იყო, არა, ისინი მტერზე უარესნი იყვნენ — ჩვენები, ქართველები. ერთი გუშაგი მოკლეს, ორიც დაჭრეს, იარაღი (სამი ავტომატი) გაიტაცეს და მიიმალნენ. აი, ასე ხდება ყოველთვის, როცა ხალხში შერიგების სურვილი გაჩნდება. ასე მოხდა ახლაც და ეს მაშინ, როცა მიუხედავად ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წინააღმეგობისა, ლოთი ქობალიამ თავისი შეიარაღებული რაზმებით ოჩამჩირეში მოწინააღმდეგის პირისპირ პოზიციები დაიკავა. ხალხი კეთილად იხსენიებს მას. თუმცა ეჭვებს და ჭორებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და ზოგ-ზოგები სხვანაირად ფიქრობენ, შიშობენ, ლოთიმ არ გვიღალატოსო. ვერ ვიტყვი, რომ ლოთი თავს გამოიდებს ჩვენი ახალი მთავრობის ქება-დიდებით, მაგრამ საერთო მტრის წინააღმდეგ, ვფიქრობ, მხარში ამოუდგება აფხაზეთში მაცხოვრებელ ქართველობას. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, აგერ ბურთი და აგერ მოედანი!

საუბედუროდ, ვერ ხერხდება აფხაზებთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგება. თუმცა აფხაზი ინტელიგენცია გვარიანი

ჩაება აფხაზეთის ხსნის მოძრაობაში, მაგრამ „გვარიანი“ არ ქმარა. ხელი უნდა შევუწყოთ ამ მოძრაობის ფართოდ გაშლას. არადაშიაც დაიწყო ეს მოძრაობა შალოდიას თაოსნობით. თუმცა არის ხელის შემშლელი გამოხტომებიც. ბადრი ამ საქმის წინამძღოლი იყო და იგი ახლა თბილისში მკურნალობს.

ბუნებრივია ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო რუსეთში მიმდინარე რეფერენდუმის შედეგებზე. წინასწარი მონაცემებით, რეფერენდუმში იმარჯვებს ელცინი.

27-28-29 აპრილი.

თითქმის სამი დღის ამბების დაწერა ერთად მიხდება, ერთიცაა, მომბეზრდა ყოველდღიურად ერთი და იგივეს წერა. სროლები, კაცთა კვლა და ურთიერთ მოძულეობის მოძალება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ათეული შეთანხმებები, იმდენჯერვე თუ მეტად არა, მათი დარღვევა, ხან გაეროს იმედზე ყოფნა. თავდათან ვრწმუნდები, რომ გაეროც ვერაფერი დიდი რამეს გამკეთებელია სეპარატისტული ექსტრემიზმის მოგვარების საქმეში. იგი ნამდვილად არ აღმოჩნდა მზად საამისოდ. ამაზე გაფრთხილება ადრე მიიღო შევარდნაძისაგან გაერომ, მაგრამ როგორც ჩანს, აკადემიური გამოძიების იქით ვეღარ წავიდა გაერო, ე. ფაქტების დამდგენი კომისიებიო (რამდენჯერ?), მერე ისევ განხილვაო და, როგორც იტყვიან, „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო“. კარგია, რომ რუსეთის რეფერენდუმში ელცინმა გაიმარჯვა, ჩეჩენმა ხაზბულატოვმა და მისმა ყრილობამ გვარიანი დარტყმა იგემა, მაგრამ დამარცხებულად იგი სულაც არ გრძნობს თავს, რადგან რეალობას არ ითვალისწინებს და რეფერენდუმის შედეგებსაც არაფრად აგდებს. ელცინი ვითომ დემოკრატია? არა მგონია, იგი დემოკრატი იყოს რუსეთის ფარგლებს გარეთ. „ველიკოროსული შოვინიზმი“ რუსულ გენშია დაპროგრამებული და, მიუხედავად იმისა, რომ ამ გველეშაპს კუდი იაპონიასთან, ხოლო თავი შუა ევროპაზე აქვს მიბჯენილი, მაინც უნდა რალაც ვიწრო გასასვლელები თუ შემოსასვლელები მიიტაცოს, სადაც მოესურვება. ასეა აქაც, უკრაინისაგან შევიწროვებული რუსეთი შავ ზღვას ეხუტება და რაკი მას მხოლოდ

ტუაფსე და ფეოდოსიაღა შემორჩა, ახლა უნდა აფხაზეთის კონფლიქტით ისარგებლოს და ასკილომეტრიანი გემრიელი ნაჭერი მიითვისოს გუმისთიდან ლესელიძემდე.

გასული წლის დეკემბრიდან დაწყებული, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, სწორედ ელცინის მისამართით გაგზავნილ მიმართვებში თუ ნოტებში დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთიდან (კონფლიქტის ზონიდან) რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, მაგრამ ამაოდ, რუსეთი ამას ყურს არ უგდებს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბრძოლებში აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე და სრული დესტაბილიზაცია შეაქვს საერთო მდგომარეობაში. ასეთი დემოკრატი გახლავთ ელცინი. გუშინ ერთხელ კიდევ გაუგზავნა მას საქათველოს პარლამენტმა თავისი დადგენილება, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იქნება გაყვანილი კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარები, საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ჩათვლის, რომ იმ ზოლში, რომელსაც კონტროლს უწევს აფხაზთა მხარე, ე. ი. გუმისთის იქით, ჩაითვლება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად. ამის შესახებ დღეს ნოტა გადაეცა რუსეთის საელჩოს, ეცნობა გაეროს და მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ვნახოთ, რას იზამს ბატონი ელცინი, იქნებ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დაწოლამ იმოქმედოს მასზე, თორემ ჩვენი ხათრით მაინცადამაინც ოფლი არ გამოუვა კბილებში.

ქართველმა მხარემ ბოლოს და ბოლოს გაბედა და სოხუმის დანგრევის საპასუხოდ გუდაუთას ჩაუმტვრია ცხვირ-პირი, მხოლოდ ახალ ათონში. ვნახოთ, თუ როგორ უშველის არძინბას ნაღრძობი ტვინის გასწორებას ეს აქცია, თორემ თუ კიდევ განახლდა სოხუმის დაბომბვები, ეს გამოუსწორებელი ფანატიკოსი საბოლოოდ გაისწირავს თავის ბუნაგსაც გუდაუთაში და თავის საცოდავ მოუყუებულ ხალხსაც.

სახელმწიფოს მეთაურის სასჯელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ბრძანებით, როგორც უმაღლესი მთავარსარდლისა, შეიქმნა აფხაზეთის თავდაცვის საბჭო (სჯობს გვიანო, როგორც იტყვიან). თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული იქნა თამაზ ნადარეიშვილი და მასვე მიენიჭა გენერალ მაიორის წოდება. ბატონი შევარდნაძე გუშინ სოხუმს ეწვია და დაესწრო პირველ სხდომას, სადაც შეიქმნა თავდაცვის საბჭო. ღირსშესანიშნავია ის ფაქტი,

რომ აფხაზეთის თავდაცვის საბჭოში შევიდა ბატონი ლორიკ მარშანია მისივე თანხმობით, რომელიც ითვლება აგრეთვე აფხაზეთის ხსნის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ადრეც ვთქვი, რომ დიდ იმედებს ვამყარებ თამაზ ნადარეიშვილზე, რომელიც როგორც იტყვიან, ყველაზე უკეთესად ჩახედული ადამიანია აფხაზეთის ამბებში. და თუ მას დღემდე რაღაც შეცდომები ჰქონდა, ახლა შეუძლია უკეთესად გაუწყოს, როგორც კოორდინაცია, ისე მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი. გუდაუთელი ვაჟბატონები ერთხელ კიდევ იქნა გაფრთხილებული, თუმცა ვშიშობ, ესეც არ გამოდგეს უნომრო „ჩინური გაფრთხილება“, დღესვე (შეაყარე კედელს ცერცვი) აფხაზებმა სოხუმს კვლავ დაუშინეს ჭურვები მძიმე ქვემეხებიდან. ოჩამჩირეში კი პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა.

არადუს ფრონტზე ურთიერთშეტაკებისას დაიჭრა ერთი არადუელი მებრძოლი, დათო ბენდელიანი. ჩაის ბუჩქებში მიმალულმა „ბოევიკებმა“ ნაღმები დაუშინეს საკარმიდამოებში სამუშაოდ გამოსულ ქალებსა და მოხუცებს.

30 აპრილი.

ჩვენი ტანკისტები (სოფელს ორი ტანკი ჰყავს საკუთარი ეკიპაჟებით) გულუბრყვილობას იჩენენ, ტანკებს წარამარა დააშლიგინებენ სოფლის გზებზე და მერკულისა და მაზანკის გორებზე ჩასაფრებულ მტერს საშუალებას აძლევენ გაიგონ ტანკების გადაადგილება. კიდევ უარესი — ერთ-ერთ მათგანს ამოიყვანებენ, სასაფლაოს გვერდით დააყენებენ და საათობით დგას იქ, ან ისვრიან იქიდან მერკულის გორის მიმართულებით. ამ უმიზნო სროლაში მხოლოდ, ჭურვები იხარჯება ფუჭად და სოფელი ზარალობს.

დღეს ნაშუადღევს მთელი ორი საათი იდგა ერთ-ერთი ტანკი სასაფლაოს გვერდით. მერკულის გორიდან აქ ნემსიც კი მოჩანს. ჰო და, მტერმა ისე ამოიღო მიზანში, რომ ტანკს მაღლიდან დასცა ე. წ. „ტურსის“ ჭურვი, ნაკუწებად აქცია ეკიპაჟთან „მოამხანაგებული“ მეზობელი ზაზა კოპალიანი, იგი 18 წლისა არ იყო ჯერაც. რა იქნება, ამ დაუდევარმა ბიჭებმა ხის ტოტებით მაინც შენიღბონ ტანკი. ცუდად მუშაობენ ბატალიონისა და ასეულების მე-

თაურები. დაღუპულთა თითქმის 95 პროცენტი დაუდევრობის ან ბრძოლის წესების უცოდინარობის შედეგია. არა და დღე არ გავა, თითო-ოროლა ახალგაზრდა არ გამოაკლდეს სოფელს. გუშინ ასეთივე ჰურვის აფეთქებით დაიჭრა ორი გვარდიელი და ერთიც ადგილობრივი მებრძოლი.

საგანგაშო ცნობები მოდის ოჩამჩირის სხვა ფრონტებიდანაც. ყიფიანის სასაზღვროდ უნდა ითქვას რომ ოჩამჩირიდან დამხმარე ძალა ათ წუთში მოვიდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ადგილობრივებიც და მოსულიც უმისამართოდ და უშედეგოდ ისვრიან და მხოლოდ ტყვია-წამლის უმიზნოდ ხარჯვა გამოდის.

საგანგაშოა სოხუმიდანაც მოსული ცნობები. დღეს სოხუმია საფრთხეში სამგზავრო მატარებელი დაბომბეს. მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურისაგან საკმაოდ სოლიდური გაფრთხილებისა, მტერი არაფრად აგდებს და ყურსაც არ უგდებს მას და კვლავ განაგრძობს აქტიურობას, რაშია საქმე? სანამდე უნდა მივცეთ „ჩინური გაფრთხილებები?“.

1 მაისი.

ოდესღაც ეს დღე მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაულად ითვლებოდა. ამ საზეიმო დღის ჩასატარებლად დიდი გულმოდგინებით ემზადებოდნენ საქართველოშიც. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითქმის. ყველა კომუნისტური დღესასწაული რელიგიურით შეიცვალა. ახლა მხოლოდ სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები თუ იხსენებენ სინანულით, რა ხდებოდა მაშინ, პირველ მაისს და ცოტა არ იყოს, მისტირიან კიდევაც, „რა კარგ დროში შეხვორობდითო“... რუსეთში მაინც არ იშლიან კომუნისტობას და პირველი მაისის დღეც აღნიშნეს, თუმცა გვარიანი შეხლა-შემოხლა კი მოხდა მოსკოვში პოზიციასა და ოპოზიციას შორის.

რუსეთს ისე უმძიმს გემრიელი ლუკმის — აფხაზეთის შელევა, რომ ყოველი საშუალებით ჩაერთო ომში ქართველების წინააღმდეგ.

დღეს აფხაზურმა მხარემ მთელი ძალით დაიწყო სოხუმის საარტილერიო დაბომბვა. როცა აღარ შოისვენეს, მტრის პოზიციებისაკენ გაფრინდა ქართული თვითმფრინავი „სუ-25“, იმავ-

დროულად გუდაუთის აეროდრომიდან აფრინდა რუსეთის „სუ-27“. გამანადგურებელი ბრძოლა ამ ორ თვითმფრინავს შორის ეშერის მიდამოებში გაიმართა, „სუ-27“-მა ჩამოაგდო „სუ-25“. პილოტმა მოასწრო გადმოხტომა, იგი შეიპყრეს და გუდაუთაში წაიყვანეს. როგორ, ახლაც იტყვის რუსეთი, კონფლიქტში არ ვერევითო?

გამუდმებული სროლები და პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს ოჩამჩირის ფრონტებზე.

ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი ვერ გამოიყვანეს გივი ბენიძე და მასთან ერთად მყოფნი, რომელნიც ორი თვის უკან ტამიშში აიყვანეს აფხაზებმა. არ ვიცი ვინ, მაგრამ არადუში და ცაგერაში გივის ნათესავებმა უკიდურეს ზომას მიმართეს თურმე, დაიჭირეს არადუში მცხოვრები აფხაზი ვალოდია კაკალია. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბადრი თბილისში მკურნალობს და აფხაზეთში არ იმყოფება, თორემ იგი არადუში მცხოვრებ აფხაზებს ძალიან უფრთხილდებოდა და მათ დაჩაგვრას არავის ანებებდა. როგორც ჩანს, ახლა ვიღაცამ დრო იშოვა. ვალოდია ცაგერაში გაიყვანეს და აპირებენ გაცვალონ გივი ბენიძეზე. ცუდი რამ გაიკეთეს, ეს ხაზს გადაუსვამს არადუში ქართველ-აფხაზთა ურთიერთობას და კიდევ უფრო გააღრმავებს კონფლიქტს. შეიძლება ამან გამოიწვიოს კონფლიქტი თვით ქართველებს შორისაც კი, რამდენადაც კაკალიას ნათესაური კავშირი აქვს არადუელ ქართველებთან. ფაქტია, რომ არადუს გამგებლობა თავს ვერ ადგამს ან მეტად საჩოთირო საქმეებს...

მიუხედავად ტყვიების ზუზუნისა ყველა, ვისაც მუშაობა შეუძლია, დღეს ყანების გასაწმენდად და საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად წავიდა. თუმცა მუდამ იმაზე როგორ უნდა ფიქრობდეს კაცი, რომელიც ბარავს, ან თოხნის, თუ საიდან ნასროლი ტყვია როდის იმსხვერპლებს.

2-3 მაისი.

ძალიან მაწუხებს კაკალიების ბედი, რომლებიც არადუდა ცაგერაში წაიყვანეს ბენიძეზე გადასაცვლელად. ვშიშობ, რომ რომელიმე გამწარებულმა ქართველმა შური არ იძიოს და სიცოცხლეს არ გამოასალმოს უდანაშაულო ადამიანები.

ძალიან მომეწონა გივი ბენიძის ძმის ვახტანგის საქციელი, როგორც გადმომცეს, ვახტანგი თურმე გადაირია, ეს ამბავი რომ გაიგო, რას ერჩოდნენ კაკალიებს, იმათ რა დააშავესო. ცამდე მართალია ვახტანგი, ახლა რომ ვინმე ჩემთან მოვიდეს და მძევლად წამიყვანოს ვიღაცის დანაშაულზე, რომელსაც არც კი ვიცნობ, სადაური სამართალი იქნება ეს? ასე რომ, დღემდე კარგად შემონახულ აფხაზებთან (ლაპარაკია ჩვენი სოფლის აფხაზებზე) გაგვიფუჭდა პურისჭამა, ბადრი რომ თბილისში არ იწვეს, დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდებოდა.

დღეს ერთი ჩემი მეზობელი დამემგზავრა, ახლა გენო უნდა დავიჭიროთო, გენო ვინაა-მეთქი? გენო ინაფშბაო, ჰოო, ახლა მივხვდი, ის გენოა, მე რომ კამათი მომივიდა ჩემს სახლში, მამამისი ვანიჩჭა, ქართველმა რაჟდენ აბვლედიანმა დაღუპული შვილის მაგივრად შვილად აიყვანა და დანარჩენ სამ შვილს ძმად გაუხადა. ამის მეტი ნათესაობა შეიძლება? თანაც გენოს იმ გვარის ცოლი ჰყავს, ქართველი, ვინც ეს მითხრა გენო უნდა დავიჭიროთო. მე ცოტა ფიქრის შემდეგ ვუთხარი, რა დააშავა გენომ-მეთქი? აბა აფხაზები არაა, ქართველებს რომ აწამებენო? გენო რა შუაშია, ესენი ჩვენი მეზობლები არიან და ჩვენ უნდა შევინახოთ-მეთქი! ერთი მათიო, ყველა აფხაზის დედაც ასე ვქენიო!.. იმ გინებაში ჩემი სიდედრიც მოხვდა და სხვა ნათესავებიც მასთან კამათი არ ღირდა და სახლისკენ ვიბრუნე პირი. ის კი განაგრძობდა აქეთ-იქით სიარულს და თავისთვის ლაპარაკობდა (თუ ამაა ლაპარაკი ჰქვია), ვიღაცა ხელს აფარებს აფხაზებსო. ძნელია ასეთ ადამიანებთან საუბარი. ახლა მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყებისაკენ. ბოლოს და ბოლოს საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს.

ოჩამჩირის ფრონტებზე გუშინ და დღეს შედარებით სიწყნარეა. სამწუხაროა, რომ მოწინააღმდეგემ ძლიერ დაბომბა სოხუმი გრადის ჭურვებით, არის მსხვერპლი და ნგრევა, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, გუდაუთის მიმართ ადექვატური ღონისძიებები ჯერჯერობით არ ვრცელდება. ისევ ზოზინი?

4 მაისი.

არადუდან გაგზავნილი პროტესტების შედეგად ცაგერადან გაათავისუფლეს აფხაზი მძევლები კაკალიები. ძალიან გამიხარდა, რომ ისინი უვნებლად დაუბრუნდნენ ოჯახებს, არა და ამის გამო მოსალოდნელი იყო თვით ქართველებს შორის მომხდარიყო შეტაკება, მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა!

ძალიან საწყენი საქმე მოხდა, ქობალიამ ოჩამჩირეში პოზიციები მიატოვა და ზუგდიდში დაბრუნდა.

კამათმა, რომელიც ღამის დებატებში გადაიზარდა, პარლამენტის მთელი დღევანდელი სხდომა წაიღო, თურმე, ნუ იტყვით და შინაგან საქმეთა მინისტრს ზოგ-ზოგების აზრით უფლება არ ჰქონია, თავისი პოლიციის ნაწილები გადაადგილოს თავის ქვეყანაში. მას სამეგრელოს დარბევის მცდელობაც კი დააბრალეს ზოგიერთმა ვაიდეპუტატმა. ჩემს გაოცებას იწვევს თუნდაც ის, რომ კანონმდებლობისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ვაჟა ადამია თავგამოდებით ლანძღავდა პოლიციას, რომელმაც ტრასებზე წესრიგის დამყარება მოინდომა. ამაზე საკადრისი პასუხი გასცეს მას, ყველაფერს ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლამ, რომელმაც ცივი წყალი გადაასხა ზოგიერთ შუბლგახურებულ ოპონენტს.

დღეს მახარეს, რომ ჩემი ქალიშვილი ნანა, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა, ლტოლვილობაში გათხოვდა ლეჩხუმელ ახალგაზრდიანზე. მე სასიძოს არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან აქეს და ოდნავ დავშოშმინდი, თორემ ხმალამოღებული ვაპირებდი გუდაუთის გავლით მოსკოვს ჩასვლას და ვინ იცის ხმალს რა დღე დაადგებოდა, თუმცა იმ ხმლით განზრახული მქონდა ჯერ არძინბასთან შემეარა და მისი უტვინო თავი შუაზე გამეჩეხა, მაგრამ მეუღლემ არ გამიშვა და მოსკოვს წასვლა გადავიფიქრე.

6-7 მაისი.

სამშაბათის საპარლამენტო სხდომაზე ქალბატონმა ირინე სარიშვილმა თავისი ფრაქციის სახელით კატეგორიულად მოითხოვა თავდაცვის მინისტრის პიროვნების გარკვევა. და ის, რაც შემდეგ მოხდა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ირინეს პრინციპულმა მოთხოვნებმა.

საქმე იმაში გახლავთ აგრეთვე, რომ ომის დაწყებიდან თითქმის ცხრა თვე გავიდა და ქართველები სამხედრო წარუმატებლობას განიცდიან. მოხდა ბევრი ჩავარდნები, ღალატი და სხვა მოვლენები, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაინგრა დიდი ფასეულობანი. სახელმწიფოს მეთაურმა დიდი განსჯის შემდეგ ნამდვილი ჩვეული პოლიტიკური ალღო გამოიჩინა, და მრავალ კანდიდატურათა შორის არჩევანი შეაჩერა ახალგაზრდა და მეტად პოპულარულ 26 წლის გენერალზე, გიორგი ყარყარაშვილზე. პარლამენტმა მის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

პარლამენტმა თავმჯდომარის წინადადებით თავიანთი ღვაწლისათვის მადლობა გამოუცხადა თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანს. სხვათაშორის ბ-ნმა ჯაბა იოსელიანმა აქტიური ნაბიჯები გადადგა თავდაცვის მინისტრის პოსტზე გია ყარყარაშვილის დანიშვნისათვის.

დღეს გიორგობა დღეა.

გიორგობის დღესასწაული სოხუმლებს ჩამწარდათ. დღეს 12 საათზე მოწინააღმდეგემ „გრადის“ რაკეტები დაუშინა სოხუმს, ხოლო 14 საათზე ორმა თვითმფრინავმა „სუ-27“-მა პარაშუტზე გამობმული ნახევარტონიანი ბომბები ჩამოყარეს ქალაქის ცენტრში. დაინგრა მთელი ქუჩა, დაიღუპა ორი და დაიჭრა მრავალი. აფხაზეთის თავდაცვის საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელთაგან ჭნიშვნელოვანია რუზერვისტთა მობილიზაციის შესახებ და მოუწოდა იმათ, ვინც თავს არიდებს ბრძოლას, დაბრუნდნენ, აფხაზეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქალაქეობის საკითხი განიხილება პერსონალურად.

რაც შეეხება არადუს ფრონტს, ჩვენთვის ტყვიების ზუზუნი და წივილი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

8-13 მაისი

თბილისიდან ამბავი მომივიდა, ბადრი რესპუბლიკური საავადმყოფოდან სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანესო. მითხრეს უკეთ არისო, მაგრამ ძნელია შშობელი რაიმეში დაარწმუნო, თუ თავისი თვალით არ ხედავს შვილის მდგომარეობას. მეც ავდექი და 8 მაისს დილითვე გავემგზავრე, (თუ ამას მგზავრობა ჰქვია). ფეხით დავადექი გზას ოჩამჩირემდე. კანტორებთან შევჩერდი, იქნებ რამემ გამოღაროს, რომ გაეყვე-მეთქი. ამ დროს იმ საგუშაგოს საპირისპი-

როდ, რომელიც მდინარე მოქვის ნაპირას მდებარეობს, მერკულის გორიდან თოფის ხმა გავარდა—კარაბინის. რამდენიმე წუთის შემდეგ კი იქიდან ავტომატის ჯერი დაუშინეს. ატყდა სპასუხო სროლაც. ჩემს უკან ხეებს მოფარებული ტანკი იდგა. იმ ტანკისაკენ მორბოდა ორი მებრძოლი. ანაზდად ვკითხე, რა ამბავია, ბიჭებო-მეთქი, კაცი მოკლეს, იმერიკო აკობიძეო. ელდა მეცა ეს კაცი ერთხელ იმავე გორიდან დაჭრა სნაიპერმა და გადარჩა. ქუთაისში მკურნალობდა ორი თვე. ახალი ჩამოსული იყო საწყალი კაცი. ამ დილით იგი ისევ სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა იმავე ადგილიდან. მოდი და თქვი, არ არისო ბედისწერა?!

რაკი არადუს ამბებზე ჩამოვაგდე საუბარი, ბარემ მოგითხრობთ, თუ რა მოხდა ჩემს აქ არყოფნის დროს. კიდევ ერთი ახალგაზრდა დაჭრეს ღამით, ზურიკო გასვიანი, მხოლოდ ამჯერად თავისიანებმა, ქართველებმა. ზოგ-ზოგებს ფეხებზე ჰკიდიათ ომი და გაჭირვება, ოღონდაც ხელი მოითბონ და ამისათვის ყველაფერს აკეთებენ. შემოაქვთ ფალსიფიცირებული ღვინო და არაყი და მამასისხლად ჰყიდიან სოფელში. გვარდიელები თვრებიან და უთავბოლოდ ისვრიან. მსხვერპლიც სახეზეა. თუ გინდა გახრწნა არმია, ასე უნდა გამოათრო ჯარისკაცები. ამაზე მეტი მტრობა ვის გაუგონია?!

როგორც ადრე მოგითხრეთ, იმისათვის, რომ გამოეყვანათ მკვდარი ან ცოცხალი გივი ბენიძე და ფრიდონ არჯევანიძე, მათმა ნათესავებმა აფხაზი ლადო კაკალია (და კიდევ ვიღაც) დაიჭირეს და აფხაზებს ულტიმატუმი შეუთვალეს, ან, მოგვეცით ის ხალხი, ანდა კაკალიებს დაუხოცავთო. გაჭრა ამ ფანდმა, აქაურ კაკალიებს იქაური ნათესავები ჰყავთ და ისინიც იძულებული შეიქნენ ორი მიცვალებულის გვამი გადმოეცათ პატრონებისათვის. ადრე თავდასხმისას მერკულაში ქართველებმა სამი აფხაზი დახოცეს. ისინი დაბანეს, გააპატიოსნეს, ახალ საცვლებში გამოაწყვეს და ისე ჩააბარეს პატრონებს უპირობოდ. მათ კი რა უქნიათ? გივი ბენიძე და ფრიდონ არჯევანიძე (მოგაგონებთ რომ ისინი ტამიშში აიყვანეს ტყვედ, მესამე რუსი იყო მათთან, მაგრამ მას არ შეხებიან) ორი თვის უკან დაუხოციათ. დაუხოციათ და როგორ? გივი ბენიძეს თურმე ქოჩორში ხელი დაავლეს, ერთმაც ხელები გაუკავა, მოდგნენ და ჯერ ყურები ჩამოთალეს, მთვრალი მაყურებლები ხარხარებდნენ, ვიღაცას თუ რაღაცას ამსგავსებდნენ, შემდეგ ცხვირი მოჭრეს, მერე ასო, მაგრამ ხედავენ, რომ არ კვდება (იგი ღონიერი კაცი იყო), მაშინ ბასრი დანით თავს გადაუწევენ და ყელს გამოჭრი-

ან. ამას შემდეგ იმავე დანით მუცელს უფატრავენ, გივი ძირს ვარდება, ტკივილის შეგრძნება მაინც შერჩენია და რაც ძალი და ღონე აქვს მარჯვენა ხელს ყელზე იტაცებს. სიკვდილმა ხელი ყელს ისე მიაკრა, რომ აგერ ორი თვის შემდეგაც კი, როცა იგი ნახევრად გახრწნილი პატრონს ჩააბარეს, ხელი ისევ ყელზე ჰქონდა მიბჯენილი. მას ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, ობლად, ახლა ჯერი ფრიდონზე მიდგა. ეს თვრამეტი წლის ბიჭია. გაჭირვებაში გაზრდილი, არაფერი კარგი რომ არ ენახა ამ ქვეყანაზე. მისთვის სხვანაირი სასჯელი მოიფიქრეს — კისერში ეკლიანი მავთული ჩააბეს, ცხენს გამოაბეს და მანამ ათრიეს სანამ სული არ ამოძვრა. მხოლოდ ერთი შეღავათი გაუკეთეს: ყურები, ცხვირი და სხვა რამეც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოაჭრეს. ამათ ჰქვიათ თანამედროვე კაციჭამიები. მსოფლიო მასშტაბით განგაშია ასატეხი ადამიანის უფლებების დასაცავად, თორემ ეს სადისტი ადამიანები უფრო უარესსაც ჩაიდენენ.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ განუწყვეტლივ იბომბება სოხუმი რაკეტებითა და ჭურვებით, დღითიდღე მატულობს მსხვერპლი და ნგრევა. დიდ იმედებს უკავშირებთ ელჩინისა და შევარდნაძის ხვალინდელ შეხვედრაზე მოსკოვში, თუმცა, როგორც კი გამოჩნდება რაღაც იშვიათი ნაპერწკალი, მაშინვე ამოქმედდება უხილავი სატანა, რომელიც თავისი მაგიური ძაფებით ხან სად ახდენს პროვოკაციას და ხან სად, ოლონდაც კი ჩაშალოს მოლაპარაკება და ხელი შეუშალოს კონფლიქტის მშვიდობიანად დამთავრებას. ჯერ იყო და ბოლნისში სვანები და ადგილობრივი ქართველები დაერივნენ ერთმანეთს და თუ არა გატანჯული სახელმწიფოს მეთაურის ძალისხმევა, ვინ იცის, ეს დაპირისპირება რაში გადაიზრდებოდა.

იგივე განმეორდა დმანისში, გარდაბანში. როგორც იყო იქ სიმშვიდე ჩამოვარდა, რომ ქუთაისში სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, რომელიც ქუთაისის გარეუბანში მდებარეობს და ჯერჯერობით რუსის ჯარს უკავია, შეიჭრა მხედრიონის 25 კაციანი რაზმი ჯავშანტრანსპორტიორით. რა მიზნებით, ჯერჯერობით გაურკვეველია. ორ საათზე მეტ ხანს ეს რაზმი ამ ტერიტორიის შიგნით იმყოფებოდა. რუს გენერალს შეეძლო თავიდან აეშორებინა ინციდენტი, რომ დაკავშირებოდა ქალაქის მერს, მაგრამ მან სატელეფონო ლაპარაკიც კი არ ისურვა მერთან და ბრძანება გასცა ცეცხლი გაეხსნათ. დაიღუპა 5 ქართველი ახალგაზრდა, ათამდე დაიჭრა. მეორე

დღეს ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე სამ რუს მიჩმახნს უცნობი მანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს, დაჭრა სამივენი, დაიჭრა აგრეთვე გამვლელი მამაკაცი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა და ერთი ქალი. ეს არის წინასწარგამიზნული პროვოკაცია, მიმართული მოლაპარაკების ჩასაშლელად. მოლაპარაკება კი ხვალ 14 მაისს უნდა შედგეს, რომელსაც მძიმე ფონი შეექმნა.

ახლა ორიოდე სიტყვით ჩემი გატანჯული მგზავრობის შესახებ თბილისში და უკან.

ოჩამჩირიდან სოხუმ-თბილისის მატარებელი დღის 3 საათზე გავიდა, სანამ საგულდაგულოდ გაგვჩხრიკავდნენ, ინგირში მოგვიწია კაი ხანს ყურყუტი, შემდეგ კი დაღლილ-დაქანცული ძილად მივეგდე. მეგონა, კარგად მოვისვენებდი, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი! თეთრეული რომ მოვთხოვე, ვაგონის გამცილებელი ქალი კინალამ სიცილით გაიგუდა. ვერ გავიგე, ხე დამცინოდა, თუ სიცილის ხასიათზე იყო. მერე, როცა დაიოკა ჟინი და მშიარულებით ცრემლმორეული თვალები ამოიმშრალა, მითხრა, ასეთი ფუფუნება ჩვენთან დიდი ხანია აღარ არისო. მერე ჭუჭყიანი ბალიში მომიგდო, ზედ გაზეთი გადავაფარე, თავი მივდე და ბედს უსიტყვოდ შევურიგდი.

მეორე დღეს, ათი საათისათვის თბილისში ვიყავი. ბაზარში სურსათი ვიყიდე, კითხვა-კითხვით ჰოსპიტალს მივაგენი და ბადრიც მოვნახე. გამიხარდა, რომ ბადრი გამოკეთებული დამხვდა. საბედნიეროდ ნეიროქირურგიული დაზიანება არ აღმოჩენოდა და ქირურგიულში გადაუყვანიათ. ფრონტზე ოჯახის მიტოვება ძნელია და გადავწყვიტე (მისი რჩევით) უკან გამოვბრუნებულიყავი იმავე ღამით.

გზაზე ოჩამჩირეში ნაბრძოლი ახალგაზრდა ექიმი და ერთი სოხუმელი ოფიცერი (ქვარდიელი) დამეშგზავრა, რომელსაც თან პატარა და ახლდა. ისინი გალში ჩამოვიდნენ. გზაზე ბევრი ვიბაასეთ. ინგირამდე მშვიდად და სწრაფად ვიმგზავრეთ. აქ კი ისევ უდიერად მოგვეპყრნენ ე. წ. ზუგდიდელი გვარდიელები.

თბილისში გამგზავრების დღეს ერთი ამბავიც გადამხდა თავს. სოხუმ-თბილისის მატარებლის მიმოსვლის განრიგი დაზუსტებული არ არის. არადუდან ოჩამჩირეში ჩასვლაც ძალიან ჭირს და ამდენად გადავწყვიტე დილიდანვე დავდგომოდი გზას ოჩამჩირისაკენ. ტვირთი მაინცდამაინც დიდი არ მქონდა. წიგნის ხელნაწერები

(საკმაო მოცულობისა), კიდევ ჩემი წიგნების თითო ეგზემპლარი, ავტოკალამი, ერთი ბოთლი წყალი, პურის ნატეხი... აი ის ავლადიდება, რომელიც ჩემს ზურგჩანთაში ელაგა. გზად არადუდან მომავალი სამხედრო მანქანა წამომეწია. ლამაზად ჩაცმულმა და კოხტად გაპარსულმა იარაღმომარჯვებულმა ახალგაზრდებმა მანქანა შეაჩერეს და ოჩამჩირეში მიმავალი დამიმგზავრეს. ბადრი მოიკითხეს, როგორ არისო, გაეგოთ რომ ბადრი თბილისში მკურნალობდა. საიდან იცნობთ-მეთქი ბადრის? გამიკვირდა. ვიცნობთო, შენც კარგად გიცნობთ, შენ ხომ მწერალი ხარო. კიდევ უფრო გამაკვირვა მათმა ზრდილობიანმა საუბარმა. მართლაც რომ პირველად შევხვდი ჯარისკაცებს ნამდვილად ჯარისკაცურ ფორმაში. დიდად მესიამოვნა, თანაც ცნობისმოყვარეობამ წამსძლია და მათ ვინაობა გამოვკითხე. „ჩვენ ყიფიანის ბიჭები ვართ!" — მოკლედ მიპასუხა ერთმა მათგანმა.

ახლა მომაგონდა ყველაფერი. მთელი ომის განმავლობაში არადუში ბევრი მეომარი მოსულა და წასულა, მაგრამ არადუს მაცხოვრებელთა მეხსიერებაში ყველაზე გამორჩეულად შემორჩა ყიფიანის სახელი. პოდპოლკოვნიკი მალხაზ ყიფიანი თავის ნაწილით არადუში იმ დროს დაბანაკდა, როცა არადუს დაცვა მხოლოდ არადუელებზე იყო მინდობილი. სოფელმა დიდი შვება იგრძნო. მალე დაირხა ხმა, რომ სოფელში მოვიდა მეომართა ნაწილი, ნამდვილი წესრიგით და განსაკუთრებული დავალებითო. არადუელებმა დიდი მონდომებით შოჰკიდეს ხელი შრომას, რაკი საიმედო დამცველი დაიგულეს.

თუ ოდესმე აფხაზეთის ომი ობიექტურად აისახება, ამ ისტორიაში გამორჩეულ პირთა რიგებში უთუოდ შევა ბატონი მალხაზ ყიფიანის სახელი, რომელმაც ასე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ჯერ არადუს და შემდეგ კი მთელი ოჩამჩირის მასშტაბით, თავისი დისციპლინით, მეომრული შემართებით და მომთხოვნელობით, როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე სხვებისადმი. მალე ყიფიანი ოჩამჩირის გარნიზონის კომენდატად გადაიყვანეს. მართალია, არადუელებს ძალიან არ გახარებიათ ყიფიანის წასვლა, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ყიფიანი ოჩამჩირიდანაც არ დაივიწყებდა არადუს და გაჭირვების ჟამს მარტო არ მიატოვებდა. პოდპოლკოვნიკ ყიფიანს სიტყვა არ გაუტეხავს. არადუ მისი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა.

სწორედ მისმა ბიჭებმა მიმიყვანეს ოჩამჩირეში, მათ მადლობა მოვახსენე. და დავემშვიდობე.

მატარებლის გასვლამდე სამი საათი იყო დარჩენილი. ქალაქის ბაღში ჩამოვჯექი და საწერ-კალამი მოვიმარჯვე, ჩანაწერების გაკეთება დავიწყე. გვერდით უცნობმა წვერმოშვებულმა, პირდაუბანელმა და გულგაღეღილმა ორმა ახალგაზრდამ ჩამიარა, საღეჭელას ღეჭავდნენ და წამდაუწუმ იპურჭყებოდნენ. აგერ ჩამოვჯდეთო, თქვა ერთმა მათგანმა და ძელსკამზე გვერდით მომისხდნენ, თან არ შეუწყვეტიათ არც პურჭყება და არც გინება. აგინებდნენ ყველაფერს, იმ კვიპაროსსაც კი, რომელიც ჩვენს გვერდით ეულად ამაართულიყო. მერე ჩემს ჩანთას დაუწყეს კირკიტი, თან ერთმა მათგანმა ბეჭების რხევით წინადადება მომცა: „ბიძია-ბაბუა ფული გეჭირდება და გვასესხე, მერე დაგიბრუნებთო“. მე ყურადღება არ მივაქციე, წერას ვაგრძელებდი; მერე უფრო ხმამაღლა მითხრეს იგივე. არც ახლა „გამიგონია“ რაიმე. მერე კი წამოხტნენ და დამიყვირეს. არავითარი რეაქცია ჩემგან. ერთი ამის დედაცაო!.. — შეიგინა ერთმა. — წამო, რა, ტო, ერთი კაიფი დავირტყათო, — უთხრა მეორეს და გამეცალნენ.

ცნობილია, რომ არქიმედი ზღვის პირას სილაზე ნახაზებს აკეთებდა და მნიშვნელოვან კანონს აღმოაჩენდა ხოლმე. ამ დროს მტრის ჯარისკაცები შემოიჭრნენ ნაპირზე. ერთმა მათგანმა სილაზე ნახაზები გადაუშალა დიდ მეცნიერს. არქიმედი შეეცადა მისთვის ეთქვა, რომ მას (ჯარისკაცს) არ წაეშალა ნახაზები. ხეპრე ჯარისკაცმა პასუხად არქიმედს გულში შუბი აძგერა და იქვე განგმირა. რა გამონაკლისია რომ ასეთი „კაიფები“ დანის გასაყარად ადვილად არ გაიმეტებენ უდანაშაულო ადამიანს...

ყიფიანის სახელზე განცხადება დავწერე და კომენდატურას მივაშურე — განცხადებაში ვთხოვდი, რომ ამ წიგნის დამთავრებამდე ჩემთვის მოეცა რომელიმე „მოძულებული“ პისტოლეტი და მისი ტარების ნებართვა. სამწუხაროდ, ბატონი კომენტანტი ადგილზე არ იყო. დამხვდა ფრიად განათლებული და მოწესრიგებული ერთი ახალგაზრდა კაცი. საგულისხმოა ისიც, რომ მან მწერლის დაწერილ განცხადებაში ზოგიერთი სტილისტური შეცდომებიც კი აღმოაჩინა და გაასწორა. განცხადება დავუტოვე კომენდანტზე გადასაცემად და ვთხოვე, დახმარება გაეწია. გადავწყვიტე, თბილისიდან დაბრუნების შემდეგ მოვინახულო ყიფიანი და გავიგო, თუ მენდო-

ბა ფრონტზე მყოფ მწერალს ამ მცირე იარაღს. არ ვიცი, ის რას იფიქრებს ჩემზე, მაგრამ მე ჩემის მხრივ ამ მომენტს ვაფიქსირებ წიგნში.

14 მაისი.

მოუთმენლად ელოდა ამ დღეს არა მარტო მთელი საქართველო, რუსეთიც, მთელი მსოფლიოც; კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირება მსოფლიო მშვიდობის ერთ-ერთი გარანტიაა და პირიქით, ამ კონფლიქტების გაღრმავება გამოიწვევს რუსეთის სამხრეთის (და არა მარტო სამხრეთის) რღვევას, არეულობას კავკასიაში, რომელიც თავის მხრივ გადაედება ანატოლიას და მთელ ახლო აღმოსავლეთს. ექსტრემისტული სეპარატიზმი ისეთე, როგორც ფაშიზმი, თუ ძირშივე არ აღმოიფხვრა მსოფლიოს უბედურებას დაატეხს თავს.

ჰოდა, მიუხედავად წინასწარგანზრახული მრავალი პროვოკაციისა, შეხვედრა მაინც შედგა მოსკოვში. შეხვედრა იყო მრავალმხრივი: საგარეო, ეკონომიკური, სამხედრო.

შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთში 20 მაისიდან უნდა შეწყდეს ცეცხლი. კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი იქნას მძიმე ტექნიკა, შეწყდეს სამხედრო თვითმფრინავების ფრენა და ა. შ. ეს შეთანხმება ძალიან წააგავს სამი სექტემბრის ცნობილ შეთანხმებას, რომელიც ქაღალდზე დარჩა და რომლის შედეგად საქართველომ დაკარგა გაგრა, განთიადი, ლესელიძე და ხელ-ფეხი გაუხსნა არძინბას საზღვრისაკენ, ბუნებრივია, დაიბადა იმის შიში, რომ ახლანდელი ხელშეკრულების დადებით ხომ არ დაიკარგება სოხუმი? ამას დრო გვიჩვენებს. ეს დრო კი ძალზე მცირეა (ხუთი-ექვსი დღე). ხომ შეიძლება, ამ დროში მტერმა ყველაფერი იღონოს სოხუმის ასაღებად, თუ წინასწარ ზომებს არ მიიღებენ თავდაცვის ახალი მინისტრი და აფხაზეთის თავდაცვის საბჭო. ელცინმა თავის პირად წარმომადგენლად აფხაზეთში დანიშნა პასტუხოვი. შევარდნაძე კი ხვალამდე მოიფიქრებს, ვის დანიშნავს პასტუხოვის კოლეგად.

თუ ყველაფერი მშვიდობიანად მოწესრიგდა, მაშინ ბორის ელცინი ივნისის შუა რიცხვებში ეწვევა თბილისს, ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად.

გუშინ ომის დაწყებიდან ათი თვე შესრულდა. ათი თვის თავზე მოსკოვში ელცინ-შევარდნაძის შეხვედრისას ხელმოწერილი იქნა კომუნიკე, რომლის თანახმადაც 20 მაისს ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო. თითქმის ერთი კვირა გავიდა, დღიური არ მიწერია, მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეები აღსავსე იყო მოვლენებით.

პარლამენტის სხდომას ბატონმა შევარდნაძემ მოახსენა ინფორმაცია იმისა, თუ როგორ წარიმართა მოლაპარაკება მოსკოვში. ზევრმა მოიწონა თვით მოლაპარაკების იდეა, ზოგმა, რასაკვირველია, ეჭვის ქვეშ დააყენა საერთოდ მოლაპარაკების მიზანშეწონილობა; გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ამ მოლაპარაკებას „კაპიტულანტურიც“ კი უწოდეს.

ზოგ-ზოგები რეალობაში ვერ ერკვევიან და დიდ პოლიტიკაზე კი აცხადებენ პრეტენზიებს. მათგან გასაკვირი რა უნდა იყოს, როცა საკითხი იდგა შეერთებოდნენ 1948 წელს მიღებულ გაეროს დეკლარაციას გენოციდის აკრძალვის თაობაზე, კენჭისყრისას რვა დეპუტატი წინააღმდეგი წავიდა. გამოხატავენ კი ასეთი დეპუტატები ამომრჩეველთა სურვილს?! დადგება დრო, პარლამენტიც დაიწმინდება და დაკვალიანდება; ამას დრო უნდა და ეს დრო კი მოსაგები უნდა იყოს ჩვენთვის. ხალხშიაც ათასი მითქმა-მოთქმა დადიოდა ამ ერთი კვირის განმავლობაში. სინამდვილე ერთია, რომ ორივე მხარეს მობეზრდა ომი. ზოგი ეჭვს გამოთქვამს, ვაი თუ ამ ხელმოწერით ისარგებლოს არძინბამ და მისმა გუნდმა და გაგრის ტრაგედია სოხუმზე გადაიტანოსო. თანაც განსაკუთრებით სჯასტიკის ბომბავენ სოხუმს. თითქმის დაანგრიეს მთელი ქალაქი, ძალზე აქტიურობენ ოჩამჩირის ფრონტებზე. არ ზოგავენ არავის. ცაგერაში ახალგაზრდა გოგო-ბიჭებმა თავი შეიყარეს, სასაფლაოზე უნდა წასულიყვნენ გარდაცვლილის მოსაგონებლად. ზედ მაგიდაზე ჩაუგდეს ლაბრიდან გამოსროლილი სიმი ბომბი. დაიღუპა შვიდი, დაიჭრა თოთხმეტი ახალგაზრდა. გაძლიერდა ზიზღი ერთმანეთისადმი, თავი იჩინა შურისგების სინდრომმა.

არის სხვა მოვლენებიც, რომლებიც მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. მათ შორის პირველი ადგილი ლოთობასა და ნარკომანიას უკავია. გამდიდრების მოყვარული ვაჭრუკანებიც არ აყოვნებენ — ჩამოაქვთ და ჩამოაქვთ (საიდან?) არაყი, (რისი?!) და მამასისხლად ჰყიდიან აქვე, ფრონტზე. გვარდიელები, ჯარისკაცები ხარბად ეტა-

ნებიან სპირტიან სასმელებს და ხშირად პოზიციებს გალეშილები იკავებენ, ანდა შეურაცხყოფას აყენებენ მოსახლეობას. ერთ-ერთი მათგანი, ხანში შესულ ქალს, ეთერ მამარდაშვილს გადაეყარა. ახალგაზრდამ (ვინაობას არ ვასახელებ) ავტომატი მიუღირა, ხელები ააწევინა და ასე ჰყავდა გაჩერებული თითქმის ერთი საათი. იმ ახალგაზრდას დედა ან ბებია არ ჰყავს? როდის იყო „ტყვე“ გაანთავისუფლა. ქალმა საჩივარი შეიტანა მეთაურთან. ახალგაზრდას რა ბედი ეწია არ ვიცით, მერე ის ჩვენთან არ გამოჩენილა, ერთი რამ ახლავე უნდა გაითვალისწინონ ჯარის დაკომპლექტებისას — აღმზრდელობითი მუშაობა.

ერთი ღამე სოფელს თითქმის არ დაუძინია, შინაურების გამო. შუაღამემდე ისმოდა ქუჩაში გალეშილი მებრძოლების ერთმანეთში არეული სიმღერა, გინება და თოფის სროლა. როცა დილით, ქუჩაში გამოვედი, ჩემს ჭიშკართან ჯიდან წყლის ამოსაქაჩი მოწყობილობები ამოეღოთ, რეზინის მილები დაეჭრათ და ჭაში ჩაეყარათ, ხოლო საქაჩები (მოტორები) კი წაეღოთ. ასე რომ, მარადიორები ჩემს ახლოსაც აფათურებენ ხელს. კიდევ კარგი, რომ ბადრი შინ არაა, თორემ ვიღაცას თავს შეაკლავდა, ახალგაზრდები წარამარა ბრაზდებიან, შენიშვნებს არ კადრულობენ, ხანში შესულ ხალხს ერიდება მათი, იარაღი აქვთ მომარჯვებული, თავს იჩენს „ვიეტნამის სინდრომი“. ეს კიდევ უარესია ომზე... .

გათენდა ნანატრი 20 მაისი, ბრძანება ორთავე მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაცემულია. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი წყნარი და მშვიდობიანი, თუმცა ნაკლებ იმედიანი დღე. ვნახოთ, როგორი იქნება გაგრძელება ამ ნანატრი დღისა. ღმერთმა ქნას, რომ ომი დამთავრდეს და ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქოს.

21-22 მაისი

გულის ფანცქალით ვადევნებთ თვალყურს, ხომ არ ირღვევა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუ სადმე თოფი ან ქვემეხი დაიქუხებს, გულს ეკალივით ესობა. ვაი, თუ ნანატრი მშვიდობა ვერა და ვერ იქნეს მიღწეული. საუბედუროდ, ოჩამჩირის ფრონტებზე ჯერ კიდევ ისმის სროლების ხმა, გუმისთაზე კი შედარებით სიწყნარეა, 22 მაისს სოხუმის ქუჩებში ხალხმრავლობაც კი შეიმჩნეოდა. 21 მაისს, საღამოს ათი საათიდან დილის ექვს საათამდე

სოფელ ტამიშსა და ლაბრასთან აფხაზებმა შეტევა წამოიწყეს ტრასის მიმართულებით. ჯერ იყო და შესაშური მიბაძვით დაიწყეს ტურებივით კივილი და კატებივით კნავილი, მერე კი, მთელი ღამე თავს იტეხდნენ, რათა გაერღვიათ ქართველთა პოზიციები. ქართველებს არ უნდოდათ შეწყვეტილი ცეცხლის განახლება, მაგრამ იძულებულნი გახდნენ შეტევა მოეგერიებინათ. მტერმა უკან დაიხია, ზარალიც გვარიანი ნახა, თუ რამდენი „ტურა“ და „კატა“ იქნა დახოცილი, მათ დათვლა თვით მათი ამხანაგებისათვის მიგვინდვია.

22 მაისს შეტევაზე გადმოვიდნენ ისევ. ლაბრისა და ოხურეშის ბრძოლების შედეგად პოზიციები არ შეცვლილა. რაც შეეხება არადუს და მერკულის ფრონტებს, აქ არაჩვეულებრივი სიწყნარეა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ქვემეხის სროლის ხმა გაისმის ცაგერას მიმართულებით, ვერ დავადგინე რომელი მხარე ისვრის.

დღეს არადუს სასაფლაოზე დაკრძალეს ცაგერაში დაღუპული არადუელი ახალგაზრდა მანაგაძე, იგი მაშინ მოკლეს, როცა ცაგერას სასაფლაოზე შეკრებილი ახალგაზრდები ამოხოცეს ნაღმსატყორცნით.

სოხუმში ჩამოვიდა და დღეს გუდაუთაში გაემგზავრა გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი. გუდაუთაში იმყოფება პრეზიდენტ ელცინის პირადი წარმომადგენელი ბორის პასტუხოვიც. საკითხავია, გახდებიან კი ისინი რამეს მანიაკ არძინბას აჩემებასთან, თითქოს მოლაპარაკება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ქართული ჯარები დატოვებენ აფხაზეთსო. ე. ი. ქართველებმა საქართველო უნდა დატოვონ, რათა ვაიბატონ არძინბას სურვილი დააკმაყოფილონ. თუ როგორ მოათვინიერებენ ისინი არძინბას, აპას ახლო დღეები გვიჩვენებს, მაგრამ ერთი რამ კი ახლავე ცხადია, ქართველებს მართებს მაქსიმალური სიბრძნე და გაორკეცებული სიფრთხილე, რათა აღარ განმეორდეს გაგრის ტრაგედია, ხოლო ომის დამთავრებას კი უნდა მოჰყვეს გასული წლის აგვისტოს დასაწყისის სტატუსის აღდგენა ლესელიძის სახლვარზე.

მიუხედავად ტყვიის წვიმებისა, არადუ მაინც იბრძვის მომავლისათვის. რა არის ეს მომავალი? ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ყვჭლა ოჯახმა თავისი თავი ირჩინოს და ე. წ. ჰუმანიტარული დახმარების იმედზე არ იყოს, ხელი არ გაიწვდინონ ხან დასავლეთისაკენ და ხან აღმოსავლეთ თუ ჩრდილოეთ სამხრეთისაკენ. ქართველებს ჩვევად გვაქვს, დავკორტნოთ იგი, ვინც ჩვენს შორის გამორჩეული იქნება. მიმაჩნია, რომ პიროვნების კულტი მოგონილია, ხოლო პიროვნების მნიშვნელობა ისტორიაში აუცილებელია და იგი მხოლოდ ზეციური განგებითაა მოვლენილი.

ვწერ სასტუმრო „კოლხეთის“ ერთ-ერთ გაღატაკებულ ნომერში. რადიო გადმოსცემს ბატონ რეზო ლაღიძის სიმღერებს და მრავალთა გამოსვლებს მის (რეზოს) სადიდებლად, განა ეს კულტი არაა? კულტი პიროვნებისა პირველ რიგში უნდა არსებობდეს სახელმწიფოში და ოჯახში. სახელმწიფოში პიროვნების კულტს აღიარების ღირსად მიმაჩნია ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ვაი, რომ ქართველი ერი დაავადებულია და ვერ გებულობს იმას, თუ ვინ ჰყავს საქართველოს.

როცა იქნება ომი დამთავრდება, მაგრამ ვაი, რომ საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) შემდგომში სხვა ომები ემუქრება, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ დასაწყისშია. ესაა, პირველ რიგში, ალკოჰოლიზმისა და ნარკომახიის წინააღმდეგ ბრძოლები, მით უმეტეს, რომ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ხიდი შეიძლება სწორედ საქართველო გახდეს და „თეთრი სიკვდილი“ უხვად მოედება ისედაც ჭირმოდებულ კავკასიას. თუ ადამიანი გონს მოეგო, ნარკომანიას და ალკოჰოლიზმს მთელმა მსოფლიომ ერთდროულად უნდა შეუტიოს. ვფიქრობ, ამ საქმეში (და არა მარტო ამ საქმეში) მართალი იყვნენ კომუნისტები. ისინი განა ყველაფერში ტყუოდნენ? ისეთ კაციც კი, როგორიც შევარდნაძეა (რომელმაც გამოწვლილვით იცის, თუ რომელ სახელმწიფოში რა ხდება) გაკვირვებული დარჩა ჩინეთში არსებული ეკონომიკური რეფორმებით. ჩინეთს, რომელსაც კაცობრიობის თითქმის მეოთხედა მოსახლეობა ჰყავს მსოფლიოში, ეკონომიკური მაჩვენებლის ყველაზე დიდი ტემპი აქვს. მოდით და გადააბრალეთ კომუნისტებს

ყველაფერი სიგლახე. განა ჩინეთი კომუნისტური არაა, მაგრამ მან თავიდან მოიცილა მაო ძე დუნის დოგმები, განავითარა დენის კონცეფცია და არნახულ წარმატებებს მიაღწია. ასე რომ, ჩინეთი დიდი ხანია გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, მაგრამ არა კაპიტალისტური, არამედ სოციალისტური გზით.

ბატონი შევარდნაძე 3—4 ივნისს ჩინეთს ესტუმრა ოფიციალური ვიზიტით. ხარ-ზეიმით და საარტილერიო ზალპებით მიიღეს იგი ჩინეთის ხელმძღვანელებმა. ეს იყო დიდი სახელმწიფოს სიმპათია და მორალური მხარდაჭერა პატარა სახელმწიფოსადმი. ამას კი, რასაკვირველია, საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, რუსეთის მესვეურთ არ მოეწონებოდათ შევარდნაძის წარმატებული ვიზიტი ჩინეთში, მაგრამ რას იზამ, ჩვენ ბევრი რამ არ მოგვწონს რუსეთისა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვცდილობთ მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის. განსაკუთრებით არ მოსწონს შევარდნაძე და მისი საქართველო რუსეთის გენერალიტეტს, რომელიც აშკარად გვეომება და უხეშად ერევა აფხაზეთის კონფლიქტში. იქნებ რამე იღონოს ისევ დემოკრატიულმა რუსეთმა, რომლის დემოკრატიის შენარჩუნებაში შევარდნაძეს გარკვეული წვლილი მიუძღვის, თორემ არის კიდევ მეორე, რეაქციული რუსეთი, რომელიც მზადაა საქართველო გადააქციოს ერთ-ერთ განაპირა აულად (იაზოვის სიტყვებია). ჩინეთში 20-ზე მეტი ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი. ცოტაოდენი კრედიტიც მივიღეთ, რაც საშუალებას მოგვცემს შევიძინოთ მცირე გაბარიტიანი ჩინური ტრაქტორები.

გზად ჩინეთისაკენ შეთაური ალმა-ატას ესტუმრა, ყაზახეთთან დაიდო ყოვლისმომცველი მრავალი ხელშეკრულება. შევარდნაძემ დაარწმუნა ყაზახეთის პრეზიდენტი, რომ ყაზახეთის ევროპასთან და აფრიკასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა საქართველოზე გავლითაა. ამგვარად, შეიქმნება მარშრუტი „აბრეშუმის გზისა“: (ჩინეთი, ინდოეთი და აზიის სხვა ქვეყნები), ყაზახეთი (და შუა აზიის სხვა ქვეყნები), აზერბაიჯანი, საქართველო (ფოთი — შავი ზღვა). და სადაც გინდა გასცურე დასავლეთისაკენ, ანდა იარე საავტომობილო და რკინიგზის ტრანზიტით.

ნაზარბაევმა ძმური ხელი გამოგვიწოდა: „აი, ძმაო, პური დათესილია, შემოდგომაზე ჩამოდით, აიღეთ და რამდენიც გინდათ, წაიღეთო, ზოგს იაფად მოგცემთ, ზოგსაც გაჩუქებთო“. ამაზე მეტი დახმარება, შეიძლება? იქნებ ისე გავაკეთოთ, რომ ყოველწლიურად ყაზახეთში ვთესოთ ხორბალი? რა გასაკვირია? ყაზახეთის ყამირების გატეხვაზე პირველი შევარდნაძე ჩავიდა თავისი ახალგაზრდებით, მაშინ იგი საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი იყო.

პარადოქსი და დასანანი ისაა, რომ მაშინ, როცა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს ჩინეთში დიდი აღლუმებით ღებულობდნენ, საქართველოს პარლამენტში ზოგიერთი დეპუტატი შევარდნაძის გადადგომას მოითხოვდა. რას იზამ, ასე მოგვდგამს გენებში. თუ ვინმე კარგი გამოჩნდება, უნდა ვკორტნოთ და ვკორტნოთ. ასე იყო ძველადაც.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა 14 მაისის შეთანხმების შესრულებაზე. შეწყდა თუ არა ცეცხლი, სოხუმში გამოჩნდნენ ლტოლვილები: სოხუმის ქუჩები აივსო ბავშვების ჟრიამულით, გამოცოცხლდა ქალაქი, ვაი, რომ როგორც სხვა დროსაც, ხანმოკლე გამოდგა ვარაუდი. აფხაზებმა (თუ რუსულმა) მხარემ ახლაც დაარღვია შეთანხმება და განაახლა სოხუმის დაბომბვა. არის მრავალი მსხვერპლი. მომყავს მოკლე მონაცემები: მაშინ როცა ქართული მხარე მხარს უჭერდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, მეორე მხარემ ამ ხნის განმავლობაში მარტო სოხუმში 40-ჯერ და მეტად დაარღვია შეთანხმება, ყველა დარღვევა ფიქსირებულია სახელმწიფოს მეთაურის აპარატში. გუმისთის გასწვრივ აგებული იქნა ოცზე მეტი ძოტი, ბომბორის აეროდრომზე დნესტრისპირეთიდან ჩამოიყვანეს ათასზე მეტი „ბოევიკი“, რომლებმაც დნესტრისპირეთის რესპუბლიკის დროშა აღმართეს და აშკარა ომი გამოუცხადეს საქართველოს. ასეთი რამ არ გაუკეთებიათ ჩრდილო კავკასიელ კონფედერანტებსაც კი. ტყუარჩელში გადაიტანეს „გრადის“ ტიპის დანადგარები, არ შენელებულა პოზიციური შეტევები ოჩამჩირის ფრონტებზე, განსაკუთრებით ლაბრა-ტამიში-კონდღის ფრონტებზე და ცაგერა-არადუ-მერკულა-ბესლახუბა-ოხურეის ხაზზე, არის მრავალი მსხვერპლი და ნგრევა მოსახლეობაში.

ამ დღეებში მეტად საპასუხისმგებლო მომენტი დადგა. გუშინ თბილისს ეწვია ანდრეი კოზირევი, რუსეთის თავდაცვის მინისტ-

რის მოადგილე გრომოვი, რუსეთის უშიშროების შეფი ბარანიკოვი, პასტუხოვი და სხვა მაღალი რანგის ოფიციალური პირები. დაიწყო მოლაპარაკება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისა და რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების სხვა საკითხებზე. თუ როგორ და რით დამთავრდება ეს მოლაპარაკება, ამაზე შემდეგში მოგითხრობთ, თუმცა, ძალიან კი მეეჭვება ორი რამ: რუსეთის გულწრფელობა ამ მოლაპარაკებაში და არძინბას ხროვის მოთვინიერება. ვნახოთ, რა როლს შეასრულებს ამ საქმეში მეტისმეტად აკადემიური მოქმედების მქონე გაერო. მე ისევ მგონია, რომ აღვირახსნილ ძალას ისევ ძალით თუ მოათვინიერებ, ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის.

ისევ გავემგზავრე თბილისში ბადრის სანახავად. ჰოსპიტალში მის საწოლზე მოხუცი ინვალიდი დაწბუდა — მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ცალფეხა, მუხის მორივით იდო. აქ რომ იწვა, ის ავადმყოფი სადაა-მეთქი? ჩემს შეკითხვაზე პასუხიც კი ვერ მომცა, რაღაც ამოიბლუკუნა — „აგერ იმ სანგარშია ნემეციო!“ — თითი გაიშვირა ფანჯრისაკენ, მივხედი, ომისდროინდელ წარმოდგენებში იყო, ქვეცნობიერად რომ შემორჩენოდა მის აზროვნებას. მკურნალ ექიმს მივაშურე, ბადრი გავწერეთო, მითხრა, ძალიან კარგად არისო. გუშინ გამოეწერათ, მე კი ტყუილად მომიხდა მგზავრობა ოჩამჩირიდან თბილისამდე. იმ დღეს უკან ვეღარ დავბრუნდი და სასტუმრო „კოლხეთის“ „ლუქსი“ ავიღე, თუ იმას ოთახი ჰქვია, სადაც სხვა „სიკეთესთან“ ერთად თვალი არ მომიხუჭავს ვირთხების ბრაგუნში. აი იქ დავწერე ის სტრიქონებიც, რაზედაც თავში მოგითხრობდით.

ახლა ბადრი სახლშია, ძალზე დასუსტებულია, მაგრამ დედიკო ტატიანა ყველაფერს აკეთებს მის გამოსაბრუნებლად.

დღეს ათი თვე შესრულდა აფხაზეთში ომის დაწყებიდან. მსხვერპლი: ათას ასზე მეტი დაღუპული (მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით), ოთხი ათასზე მეტი დაჭრილი ქართველი, ასეთია შედეგები. ჩვენ არ ვიცით რამდენია დაღუპული და დაჭრილი მეორე მხარეს, ამას ემატება დანგრეული ქალაქები და სოფლები, ათასნაირად შელახული და დაშლილი ოჯახები. მატერიალური ზარალი აფხაზეთში ოთხმოც მილიარდზე მეტ მანეთს შეადგენს, მაგრამ არის მეორენაირი ზარალი, რომელიც ვერ შეფასდება ვერანაირი მილიარდებით. ესაა სულიერი გადაგვარება ადამიანებისა, ღვარძ-

ლისა და შურის გაღვივება არა მარტო ქართველებსა და აფხაზებს შორის, რაც დღითი დღე მატულობს და ადამიანებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყობს. ვაი სირცხვილო, რომ თვით ქართველებს შორისაც რომაა ასეთი გადაგვარების მაგალითები. აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდებით, თუმცა მაგალითები რამდენიც გნებავთ, იმდენია.

ამა წლის 15—16 მარტის სოხუმზე შეტევის დროს, დიდი იყო ზარალი მოწინააღმდეგის მხრიდან, თუმცა ჩვენც ბევრი ვაჟკაცი მივაბარეთ მიწას. სოხუმზე წარუმატებელი შეტევის დამთავრების შემდეგ საჭირო გახდა მოწინააღმდეგის მკვდრების მოგროვება ბრძოლის ველიდან, რადგან თვითონ აფხაზურმა მხარემ არა და არ გაიტანა თავისიანების გვამები. სოხუმის გარნიზონმა გადაწყვიტა, მათი მოგროვება და საერთო საძმო საფლავში დამარხვა, დამარხვამდე კი, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, მათი საბუთების მოგროვება და ვინაობის დადგენა, საუბედუროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, მათ გვარებში ბევრი ქართველიც აღმოჩნდა. ქრისტიანული წესის მიმდევარმა ქართველებმა გადაწყვიტეს მათი ნათესაობა მიმოეძიათ, იქნებ მათ ეკისრათ ჩვენზე მტრად წამოსული ამ ვაი-ქართველების გაპატიოსნება და მიწას მიბარებაა და აი, დანიშნულების ადგილზე გამოცხადდა სოხუმელი მეომარი ერიკ გრიგოლია, რომელმაც განაცხადა, რომ დაღუპულ მტრებს შორის ჩემი გვარის კაცი არის და მინდა მიწას მივაბარო, იქნებ მერე ვინმე პატრონი აღმოუჩნდეს იმ ტვინარეულ საცოდავს, არ მინდა ჩემი გვარის კაცი დაუმარხავი დავტოვოო. მერე კი მოჰყვა თავისი გვარის მიგრაციის ისტორიას. სამტრედიიდან წამოსულან მაჰაჯირობის დროს. ერთი ნაწილი სამეგრელოში დამკვიდრებულა, მეორე კი აფხაზეთში. ახლაც თურმე მთელი სოფელია გრიგოლიებისა გუდაუთაში. ერთმანეთში მისვლა-მოსვლა გვქონდა, კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით, ახლა კი ჩემს მოსაკლავად წამოსულა ეს უბედური, ვინ იცის, იქნებ ჩემმა ნასროლმა ტყვიამ მოკლაო.

სხვა შემთხვევაც. ქართველმა (რომლის გვარსაც აქ არ ვასახელებ) დაღუპულ მოწინააღმდეგეთა შორის საკუთარი ბიძა შეიცნო, მაგრამ მის მოვლაზე უარი განაცხადა, იგი ჩემგან დამარხვის ღირსი არ არისო. ძნელია, განსაჯო, რამ აიძულა ეს ადამიანები ასეთ გზას დასდგომოდნენ. მათი ძალად გამორეკვის ვარიანტი გამორიცხულია.

ამ რამდენიმე წლის უკან სოხუმში, ერთ-ერთ შეკრებაზე ერთმა აფხაზმა მწერალმა განაცხადა: აფხაზმა სეპარატისტებმა ყველაფერი იღონეს საქართველოსა და ქართველთა წინააღმდეგ სულიერად ამხედრებისათვის. რაც სეპარატისტებს დაემართებათ, მათზე ახია, მაგრამ, ვაი რომ აფხაზი ხალხი დაიღუპებაო. ახლა იმ მწერლის სიტყვები; ჯერ ყველაფერი გაკეთდა ომის მომზადებისათვის, მერე კი ომის დაწყებიდან ათი თვის თავზე დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა ნამდვილად გასწირეს თავისი ხალხი დაღუპვისათვის. გუდაუთის დაჯგუფება გამწარებით ცდილობს როგორმე ჩაშალოს 14 მაისს მოსკოვში რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამისათვის ყოველგვარ პროვოკაციაზე მიდიან. როცა კოზირევს გუდაუთაში შეპირდნენ, რომ დაიცავდნენ ცეცხლის შეწყვეტის პირობებს, კოზირევი სოხუმს ჩამოფრინდა თუ არა, სეპარატისტებმა გუდაუთიდან მას ბომბები ფეხებში მიაყოლეს. ისინი არ ცხადდებიან შეკრებაზე მოლაპარაკებისათვის აფხაზეთის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის თაობაზე.

წუხელ, როცა ჩვენმა ჯარებმა ბრძანება მიიღეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, აფხაზურმა მხარემ ისარგებლა ამით და მთელი ღამის განმავლობაში ბომბავდა სოხუმს, სოხუმს ბომბავდა აგრეთვე გემი, რომელიც ნაშუალამევს გამოჩნდა სოხუმის აკვატორიაში. ერთდროულად გააქტიურდნენ ოჩამჩირის ფრონტებზეც. ფიცხელი შეტევები წამოიწყეს ფოქვეშ-მერკულისა და ტამიშის ფრონტებზე. თუმცა, უშედეგოდ.

არადუ ამჟამად საკმაოდ ძლიერია. ბადრიც დაბრუნდა რამდენიმე დღეა და დიდად გაიხარა, ვისაც მისი იმედი ჰქონდა და აქვს, მათ შორისაა არიან არადუში მაცხოვრებელი აფხაზები, იციან, რომ მათ არაფერი გაუჭირდებათ, თუ ბადრი არადუშია.

14-21 ივნისი.

ამ ერთ კვირაში ბევრი დასამახსოვრებელი მოვლენა შეიმჩნეოდა საქართველოს ცხოვრებაში, თუმცა მათგან შეიძლება გამორჩეულად დავაფიქსიროთ აჟიოტაჟი იმ ძალების მიერ წამოყენებული მოთხოვნისა, რომლებმაც მოითხოვეს სახელმწიფოს მეთაურის გადადგომა. შუა კვირაში, კერძოდ, პარასკევს გაიმართა პარლამენტის სხდომა, რომელზეც ედპ და რესპუბლიკელებმა წა-

მოაყენეს თავიანთი პარტიების პლატფორმა-განცხადება. ედპ მოითხოვა საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბება და ამის გაკეთება სახელმწიფოს მეთაურს დააკისრა. რესპუბლიკელებმა მისი გადადგომაც მოითხოვეს და ისიც, რომ მან შეითავსოს პრემიერ მინისტრის პოსტი, აგრეთვე — პარლამენტში ორპალატიანი სისტემის შექმნა. მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ემოციებს ასოლილი ჭიდილი.

მრავალისმეტყველი იყო თამაზ ხადაოე:შვილის გამოსვლა, რომელმაც თავის ლაკონურ სიტყვაში მკაფიოდ განმარტა, თუ რა დარდიმანდულად იქცევა ზოგიერთი პარტიისა, თუ ფრაქციის წარმომადგენელი, როცა ვერც კი გრძნობს, რომ საქართველო ომის ქარცეცხლის მდგომარეობაშია და ამ დროს ისინი რაღაც გადადგომებს მოითხოვენ, თანაც იმ ადამიანისა, რომელიც ყოველ გაჭირვების ჟამს მხარში უდგას სოხუმს და სოხუმელებს; დანარჩენებმა არც კი იციან, თუ რა ხდება აფხაზეთში; „ჩამოვდივარ თბილისში და ვხვდები სულ სხვა სამყაროში (თამაზის სიტყვებია); აქ ადამიანები ვერც კი გრძნობენ რა ხდება, ომია თუ არა, ათასობით უსაქმური ატუზულია სადგურებში, მეტროს შესასვლელთან, აქ ბევრს ნახავთ სოხუმიდანაც და საერთოდ აფხაზეთიდან წამოსულ თავშეფარებულ ჯანღონით სავსე ადამიანებს, რომლებიც ომს ემალებიან საკუთარ სახლში, მან მოუწოდა მათ დაბრუნდნენ სოხუმში და ოჩამჩირეში და დადგნენ იქ, სადაც ეს საჭიროა ამჟამად. გვაკლია იარაღი, ტყვია-წამალი, მაშინ როცა მარტო თბილისში ნახევარ მილიონამდე ავტომატი მოიძიებაო. არ იგრძნობა მკაცრი კონტროლი აფხაზეთიდან დაბრუნებული მებრძოლების მიმართ, რომ იარაღი არ წამოიღონ თან. გაგრის ბატალიონი შეიძლება სამიათას კაცამდე გაიზარდოს, იარაღი რომ გვქონდეს. „გაგრა გაგრელებმა უნდა აიღონ!“—სამართლიანად განაცხადა ბატონმა თამაზმა და შემდეგ გულისწყრომით შენიშნა: მიტინგებს მართავთ? კი, ბატონო, გამართეთ მიტინგები, თუნდაც ასი ათას კაციანი, მხოლოდ ამ მიტინგზე იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ დავამთავროთ ომი და იმავე მიტინგზე ასი ათას კაცში ვეღარ გამოჩნდება თუნდაც ხუთი ათასი კაცი, რომლებიც იარაღს აისხამენ და ბრძოლის ველს მიაშურებენო? შემდეგ მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა საწარმოებს ომის პირობებს დაქვემდებარება, თუნდაც, ფაბრიკებმა ტანსაცმელი რომ შეკერონ მებრძოლებისათვის, რომლებიც ახლა ბო-

ტასებითა და ფეხშიშველნიც კი დგანან ფრონტის ხაზზე, და ქარხნებმა ტყვია-წამალი გამოუშვან და ა. შ. მან დეპუტატები მიწვია სოხუმში, რომ თავიანთი თვალით ნახონ, თუ რა ხდება იქ, ბოლოს კი დასძინა, რომ თუ რუსეთთან ხელშეკრულება არ დაიდო, ომი ალბათ არ დამთავრდებაო.

კიტოვანმა გაგულისებული კაცის პოზიციიდან გააკრიტიკა სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტები ყაზახეთსა და ჩინეთში. სიცილი პოზიზიაზე დგას ჯაბა იოსელიანი. თუმცა ისიც გაგულისებულია თავისი მხედრიონის გამო, მაგრამ მაინც სამართლიანად მოუწოდებს დეპუტატებს და ხალხს „გამოიჩხრიკონ ყურები“ და გონზე მოვიდნენ, სანამ გვიან არ არის...

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა შევარდნაძემ. მან თავის გამოსვლაში ცივი წყალი გადაასხა შუბლგახურებულ ოპონენტებს, რომლებიც მის გადადგომას მოითხოვდნენ და მოითხოვა დამატებითი უფლებების მიცემა შემდეგი ძირითადი საკითხების მოგვარებისათვის: 1. ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს ნამდვილი ქართული ჯარი, რაც თავის მხრივ განამტკიცებს სახელმწიფოს. 2. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდეს სახელმწიფოში კორუფციის წინააღმდეგ. 3. გამკაცრდეს კანონების შესრულება და დამყარდეს სახელმწიფოში ელემენტარული წესრიგი. 4. სანამ პრივატიზაცია არ მომხდარა, განმტკიცდეს სახელმწიფო სექტორი და ამის კვალობაზე სამინისტროთა ფუნქციები. იყო სხვა მოთხოვნებიც, ისეთი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. ბოლოს მოითხოვა, დღესვე დასვან მისდამი ნდობის საკითხი, რამდენადაც, თუ მას არ ექნება აბსოლუტური ნდობა, ისე ვერ წავა ვიზიტებზე ვერც ბელგიაში და ვერც გერმანიაში.

140 დეპუტატიდან 139-მა მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მეთაურის ნდობის საკითხი არ უნდა დასვას. წინააღმდეგი იყო ერთი დეპუტატი, წერეთელი. იგი უბოდიშოდ მივიდა მიკროფონთან და ცინიკური წინადადება წამოაყენა: კენჭის ყრა საჭირო არ არის და უმჯობესია, შევარდნაძე კენჭის უყრელად გადადგესო. შევარდნაძემ პასუხის გაცემის ღირსად არ ჩათვალა მისი გამოსვლა.

ხვალ, 22 ივნისს შევარდნაძე ბელგიაში მიემგზავრება, იგი დაჯილდოებულია ემანუილ კანტის სახელობის პრემიით (ასი ათასი გერმანული მარკა), რომელიც მიანიჭეს მისი საბჭოთა კავშირის საგარეო მინისტრად მოღვაწეობის დროს ევროპისა და მსოფლიოს მშვიდობისათვის, გაწეული მუშაობისათვის. ამ ჯილდოს იგი ჰამ-

ბურგში მიიღებს, მანამდე კი ბელგიაში (ბრიუსელი) ნატოს შტაბ-ბინაში შეხვდება ნატოს ჯარების სარდალს შალიკაშვილს, გერმანიაში — კანცლერს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, თავისუფალ მეწარმეებს და სხვებს. გერმანიასთან ხელმოწერილი იქნება ათამდე ხელშეკრულება. ასე ნელ-ნელა გაჰყავს მას საქართველო მსოფლიოს ასპარეზზე. ალბათ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთიც იძულებული გახდება, დადოს სამართლებრივი ხელშეკრულება საქართველოსთან, თუ ამ რუსეთში არ გაიმარჯვებს რეაქციულმა ძალებმა, რომელზედაც იმედს ამყარებენ აფხაზი სეპარატისტები.

გუშინ ლონდონში მოაწყვეს 30 ათასიანი მიტინგი (არიან კი ამდენი გუდაუთაში?) და რუსეთისაგან მოითხოვეს, არ დადოს საქართველოსთან ხელშეკრულება. აქ უჩიჩინებენ რუსი გენერლები, რომელთაც გუდაუთაში რუსი ჯარი აბარიათ და აშკარად მხარს უჭერენ მათ. მოსკოვში არძინბას პირადმა წარგზავნილებმა ჩაშალეს მოლაპარაკება. ასე რომ, იქერება წრე. მზადდება სოხუმზე ახალი შეტევა.

20-23 ივნისი.

გუშინ ბატონი შევარდნაძე გერმანიაში გაემგზავრა. ამჟამინდელი ვიზიტი 23 ივნისამდე გაგრძელდება და შაბათს პირდაპირ კიევში ჩამოფრინდება უკრაინის პრეზიდენტთან ბატონ კრავჩუკთან ერთად შესახვედრად. გაემგზავრა გულგატეხილი და დანაღვლიანებული. მან ეს ნაღველი არ დამალა და საჯაროდ განაცხადა: ასეთ პირობებში სახელმწიფოს მეთაურმა მართლაც არ უნდა დატოვოს ქვეყანა, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი და საარსებო წყარო არ გვაქვსო, დიდ დახმარებას მოველი გერმანიიდან, ევროგაერთიანებიდან და სხვა ადგილებიდან და თუ ეს ვიზიტი არ შედგა, ჩვენ შიმშილით ამოვწყდებითო. სინანულით თქვა: ერთი სამი დღე რომ მამუშავა ისე, რომ შინაურ საქმეებზე არ ვფიქრობდე, შედეგებიც უკეთესი იქნებოდაო.

დესტრუქციული ძალები მთელი მონდომებით მუშაობენ. სენაკში რკინიგზა იმიტომ გადაკეტეს, შავი პური ცხვება და თეთრი არაო, ხალხო, დიდი ომის დროს შავი პური კი არა, ხის ნახერხიც კი არ იშოვებოდა საჭმელად. ამას რას ვხედავთ, როგორ დარდიმანდულად გრძნობს ხალხი თავს. გალს რომ გაშორდები, ხალხი

ისე გრძნობს თავს, თითქოსდა ომი არც იყოს, არადა, ქვეყანა ომის ქარტეხილშია ჩახვეული.

„მოსკოვში მოლაპარაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის უშედეგოდ დამთავრდა. საბოლოდ იქნა დადასტურებული, რომ აფხაზებს არ სურთ ომის შეწყვეტა, ისინი განუწყვეტლივ ბომბავენ სოხუმს, ოჩამჩირის ფრონტებს, კვლავ ემუქრებიან რუსი გენერლები. ვერა და ვერ მოვიშორეთ ისინი კონფლიქტის ზონიდან. დაზვერვის მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ ისინი ემზადებიან გადამწყვეტი შეტევისათვის.

დღეს ფიცხელი საარტილერიო დუელი გაჩაღდა, როგორც სოხუმში, ისე ტყვარჩელ-ოჩამჩირის ფრონტებზე. სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა, თუმცა ხალხსაც და მებრძოლებსაც მოსწყინდათ ერთ ადგილას ტკეპნა, ბოლოს და ბოლოს, როგორც ამას ამტკიცებს ბატონი ნადარეიშვილი, არძინბას დაჯგუფებასთან ყოველგვარი მოლაპარაკება მართლაც რომ უშედეგოა.

მაშ, სადაა გამოსავალი? გამორიცხული არაა შევარდნაძის აზრით) კონფლიქტის ზონაში შემოვიყვანოთ გერმანიის, უკრაინის თუ სხვათა (გარდა რუსეთისა) ჯარები გაეროს ეგიდით. მაგრამ ეს როდის მოხდება? გაეროს იუგოსლავიაში ვერ დაადგა თავი ეთნოკონფლიქტების მოგვარებას. ბატონი შევარდნაძე გამუდმებით ცდილობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, მაგრამ ეს არ აწყობთ არძინბას ხროვას, მათ უნდათ აფხაზეთი რუსეთმა წაიღოს. მეორე გადაწყვეტა მხოლოდ ძალისმიერია, მაგრამ რუსს ჯარი გვიშლის ხელს. საქართველო დილემის წინაშე დადგა. ერთმანეთს უპირისპირდება შინაარეულობა, სამეგრელოს განდგომა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, (სხვაგანაც ბევრი აქვს ამ ცოდვილ მიწას ჭიანაწლავები (ბრმა ნაწლავი), რომლებიც როდის მოითხოვენ ოპერაციას, კაცი-შვილმა არ იცის. რამდენ ხანს უნდა იწვეს საოპერაციო მაგიდაზე ეს ცოდვილი საქართველო? კარგი დასტაქარებია საჭირო, დავით აღმაშენებლისნაირი დასტაქარები, რომლებიც უმკაცრეს წესრიგს დაამყარებდნენ პირველ რიგში შიგნით და შემდეგ მისდგებოდნენ სხვა საქმეებს.

თავდაცვის ახალი მინისტრი ბატონი ყარყარაშვილი სოხუმში ბრძანდება, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრიც აქაა; ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

გნახოთ, როგორ განვითარდება ეს უაღრესად დაძაბული მოვლენები, დგება ყოფნა-არყოფნის დრო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ნატოს შტაბბინას ეწვია. ნატოს გენერალური მდივანი თითქოს შეპირდა შევარდნაძეს შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს საქართველოს ამ ძნელბედობის ჟამს. შევარდნაძემ თავის მხრივ ნატოსაგან მოითხოვა არსებული სეპარატისტული ეთნოკონფლიქტების ჩაქრობის საქმეში აქტიური მონაწილეობა. სანამ გვიან არ არის, რადგან (მისი თქმით) ეს კონფლიქტები დიდ საშიშროებას უქმნიან საერთოდ მსოფლიოს მშვიდობას.

დღეს შევარდნაძე გერმანიაში ჩავიდა, სადაც მას დაძაბული სამუშაო ვიზიტი აქვს, შევარდნაძის არყოფნა საქართველოში სასწრაფოდ დაეტყო მთელი მოვლენების მიმდინარეობას. საქართველოს პარლამენტის სხდომაზე განგაში გამოიწვია სოხუმის დღევანდელმა ბარბაროსულმა დაბომბვამ. კამათი ისე გამწვავდა, რომ დღის მეორე ნახევარში სხდომის ტრანსლიაცია შეწყვიტეს და დახურულ კამათში, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, მიიღეს სასწრაფო მიმართვა რუსეთის პრეზიდენტის ელცინის, გაეროს გენერალური მდივნის გალისა და სხვა ინსტანციებისადმი, რომ რუსეთი არ ასოულებს თავის დანაპირებს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ნიშანდობლივი იყო თამაზ ნადარეიშვილის გამოსვლა სოხუმიდან, სადაც მან თქვა, რომ დღეს განსაკუთრებული სისასტიკით დაიბომბა სოხუმი, დაინგრა მრავალი შენობა, გაჩნდა ხანძრები, ეწვის ქალაქი, ჯერჯერობით დაიღუპა 12 ადამიანი, მძიმედ დაჭრილია—25, დაჭრილია—38; ეს ციფრები მხოლოდ მიახლოებითია. თამაზ ნადარეიშვილმა გულისწყრომით აღნიშნა, რომ მან, როგორც აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ, გასცა ბრძანება ყოველგვარი საშუალებით იმოქმედონ ტყვარჩელისა და გუდაუთის წინააღმდეგ, მაგრამ რატომღაც ეს ბრძანება არ სრულდებაო. მან კატეგორიულად მოითხოვა თავდაცვის მინისტრისაგან (გიორგი ყარყარაშვილი) რომელიც ახლა სოხუმშია, შესრულდეს ეს ბრძანება.

ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის მექანიკურ ქარხანაში ვიღაც ჯოხი ახალაიამ კამაზის ტიპის მანქანაზე დაამონტაჟა თორმეტლულიანი „გრადის“ ტიპის დანადგარები (ჯერჯერობით სამი), ხოლო რეაქტიული ჭურვები ლოთი ქობალიამ ხელთ იგდო მისი აფხაზეთისაკენ ტრანსპორტირების დროს. რაც შეეხება მათ სროლაში

გაწვრთნას და საბრძოლოდ მომზადებას, ამას რუსი ინსტრუქტორები ასრულებენ ანაკლიაში. ქობალიამ ვიწრო წრეში განაცხადა, რომ გუდაუთას 23 ივნისს უნდა დაებომბა სოხუმი, საიდანაც სამთავრობო ჯარები იძულებული იქნებოდნენ იქიდან გამოსულიყვნენ, თვითონ კი 23 ივნისს ოთხი „ბეტეერითა“ და ორი „გრადით“ ჩაკეტა სოფელ ცაიშზე გამავალი მაგისტრალი და განიზრახა აელო სენაკი, ხობი, აბაშა, ფოთი. ლოთი ქობალია საყვედურობდა, რომ გუდაუთამ დანაპირები 23 ივნისს არ შეასრულა (ხედავთ? შეთანხმებული ყოფილან ერთმანეთთან), მაგრამ ეს 24 ივნისს მოხდებაო. ამ დროს მართლაც დაიბომბა სოხუმი, თუმცა სამთავრობო ჯარები ჯერ იქიდან ჯერ არ გამოსულან.

ამასობაში სენაკს ეწვია ავთანდილ მარგიანი. რომელმაც სამეგრელოს რევიზიის პურით მომარაგების საქმე იკისრა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაჩიშვილმა ქობალიას ავანტიურის გასანეიტრალებელი ღონისძიებანი განახორციელა.

ტყუილად არ წერდა დღეს სინანულით გერმანული გაზეთი „და ველტი“: შევარდნაძეს დღეს თავის სამშობლოში ომი ოთხ ფრონტზე უხდებაო—შინა აშლილობის წინააღმდეგ თავის ქვეყანაში, სამაჩაბლოში, სადაც ოსები რუსეთისაკენ ძიაჩოჩებენ ქართულ მიწას, სამეგრელოს გართულებულ რეგიონში და აფხაზეთში.

.. ბუნებრივია, საერთო დაძაბულობა ელვის სისწრაფით გადაეცემა ადამიანთა გუნება-განწყობას. ოჩამჩირის ფრონტებზე დღეს ავისმომასწავებელი სიწყნარეა. უბედურება იმაშიცაა, რომ მებრძოლები ველარ მარაგდებიან საკვებით და მათი განწყობილებაც ფუჭდება.

დღეს ბადრის სტუმრად ეწვია კინდღის ლაზარეთში მომუშავე ბიჭები — ორი ექიმი და ერთიც ინჟინერ-მშენებელი: მე-10 სატანკო ბატალიონის სამედიცინო სამსახურის უფროსი ლევან მაჭავარიანი, (მცხ. ქ. თბილისში, გამსახურდიას ქუჩა, მე-II კორპუსი, ბინა 17), წარმოსადეგი, მეტად კულტურული და თავაზიანი ახალგაზრდა, პირველი საარმიო კორპუსის სამედიცინო ლაზარეთის ექიმი ანესთეზიოლოგი, უფროსი ლეიტენანტი ირაკლი დვალიძე (მცხ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 5, ბინა 14) და ინჟინერ-მშენებელი, ამ ლაზარეთის მომარაგების უფროსი ზაზა კიკნაძე, (მცხ. ქ. თბილისში, დოლიძის ქუჩა კორპუსი 26, ბინა 49), მათი ადგილსამყოფელი ამჟამად ახალ კინდღშია.

ბიჭებმა უკმაყოფილება გამოთქვეს გამუდმებული თავდაცვისა და შეტევის განუხორციელებლობის გამო, ითქვა, რომ ასეთ პირობებში მსხვერპლი და ფსიქოლოგიური მომჭანცველობის ფაქტორი დიდია და მთელი საქართველო არაა შეკრული ერთ მუშტად მტრის წინააღმდეგ.

25-26 ივნისი.

მოწინააღმდეგე მხარე გუშინ თავს უყრიდა დიდ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას სოფელ მოქვში, რომელიც არადუს ჩრდილოაღმოსავლეთით მდებარეობს. თუ მათი ჩანაფიქრი განხორციელდებოდა, ისინი შტურმით აიღებდნენ არადუს და გავიდოდნენ ტრასაზე. საზღვაო პორტში და იქიდან ორი მხრიდან შეუტევდნენ ოჩამჩირეს. ქართულმა მხარემ დროზე შენიშნა მტრის ძალების თავმოყრა და არტილერიის მოულოდნელი დარტყმით გაფანტა ისინი, თუმცა გამორიცხული არაა, მათ ხელი აიღონ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე, რამდენადაც ამჟამად არადუში დამხმარე ძალები არ არიან და ალბათ საკუთარი მხრებით მოუწევთ არადუს დაცვა, რა დასამალია და.აქაც (ისე როგორც ყველგან) შეინიშნება ერთგვარი მოდუნებულობა და უიმედობა. ამ დროს კი ყოველი სიტყვა თუ მოქმედება, რომელიც ზემოდან მოდის, ან უარესად იმედის გამაცრუებლად მოქმედებს ხალხზე. ამას გრძნობს ყველა. ვინც ფაქტის შემსწრეა. მთავარი მაინც ისაა, რომ ადამიანებმა ჯერ კიდევ ვერ გაითავისეს, რომ საქართველოში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. აგერ, უკვე ათი თვეა ერთი და იგივე ადამიანები იბრძვიან და იხოცებიან მტრის წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომშიც კი ფრონტზე ნაწილები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ 2-3 თვეში მაინც, რათა დაესვენათ, შევსება მიეღოთ და ისევ ფრონტს დაბრუნებოდნენ.

ჩვენთან კი ბევრი უსაქმური ახალგაზრდა რეზინის ღეჭვით იქცევს თავს მეტროს სადგურებში და მიჩერებულია გამვლელებს, რა წაჰგლიჯოს ხელიდან, თუ სახელმწიფოში სამხედრო მდგომარეობა არ გამოცხადდა და წესრიგი უმკაცრესი არ გახდა, ქვეყანას არა ეშველება. აფხაზეთში არძინბა გაიქაჩა და თავისი ხალხი

უფსკრულში გადაჩეხა. სამეგრელოში (რაზედაც ხშირად მოგითხრობთ) ლოთი ქობალიამ აიშვა თავი, შარშან ამ დროს თბილისში უსისხლოდ აიღო ტელევიზია გამსახურდიას ძმაკაცმა ვალტერ შურღაიამ, რომელიც სადღაც გაქრა მას შემდეგ, იქით — აჭარაც დამოუკიდებელ პოლიტიკას ანხორციელებს... ერთი სიტყვით, საომარი მდგომარეობის დამთავრებამდე შეზღუდული უნდა იყოს ყოველგვარი დემოკრატია.

როგორც იქნა, ფუსფუსისა და ქოთქოთის მოყვარულმა პარლამენტარებმა დღეს გაბედეს სოხუმს ჩამოსვლა, თუმცა მათ აფხაზებმა რაკეტა ესროლეს და რაღაც ბედით გადარჩა თვითმფრინავი კატასტროფას! კარგია, რომ საკუთარი თვალით ნახავენ, თუ რა ხდება სოხუმში, როგორ მტერთან გვაქვს საქმე. აჩანდარაში თავისი სახლის აივანზე გამოდის ქალი და სარეცხს აფენს, გუმისთის გაღმიდან მას ესვრის სნაიპერი და ქალს კლავს. ასე ხდება ყველგან, ასეთ მტერთან გვაქვს საქმე.

ჰოდა, დღეს სოხუმს ეწვივნენ პარლამენტარები სპიკერის მეთაურობით, საღამოსთვის კი თბილისის აეროპორტში ელოდებიან ბატონ შევარდნაძის ჩამოფრენას. ასე რომ, გადაღლილ გადაქანცული კაცი შინ ბრუნდება. წარმოიდგინეთ თქვენი თავი რა ხასიათზე იქნებით, როცა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოგზაურობის შემდეგ ბრუნდებით ოჯახში, სადაც გელოდებიან გაბუტული ცოლი, გავერანებული შვილები, ქაოსი და უწესრიგობა. გაუძლებს კი ეს კაცი ამ ურთულეს ისტორიულ მონაკვეთს. და ქვეყანას გამოიყვანს ურთულესი კრიზისიდან და შესძლებს ორი საუკუნის შემდეგ კვლავ მოუპოვოს საქართველოს თავისი რეალური დამოუკიდებლობა, ვფიქრობ, შესძლებს, თუ ჯანმრთელობამ არ უღალატა. „დიდება მოთმინებასა“ მისსა.

კიდევ ერთ ფაქტზე მოგითხრობთ, რასაც ჩვენი აზრით დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ არადუ და ცაგერა გამორჩეულად ინახავენ ყველა იმ აფხაზის ღირსებას და სიცოცხლეს, ვინც არადუში და ცაგერაში ცხოვრობს, მაგრამ პროვოკაციები ყველაგან იჩენს ხოლმე თავს. ასე მოხდა გუშინ ღამესაც, ვიღაც პროვოკატორი ღამით შევიდა აფხაზ ბჟანიას სახლში, ატეხა სროლა და ოჯახის გაძარცვა მოინდომა. შეშინებულმა იასონ ბჟანიამ, თავისი ოჯახის წევრები, შუაღამით, მოყვა-

რესთან გახიზნა. (მისი მოყვარე ქართველია, ბორის ჯიდოშვილი). ეს რომ გაიგო ბადრიმ, დილით, ისე რომ საჭმელიც არ უჭამია, გაიქცა დამნაშავის საძებრად და ჯერაც არაა მოსული.

27-28 ივნისი.

ამრეზსა და დამრევს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, ბოროტება მუდამ დასაბამიდანვე თავს ესხმოდა და ესხმის სიკეთეს. სიკეთე მხოლოდ თავს იცავს. მათ შორის გაჩაღებულია მუდმივი დუელი, რომელსაც ალბათ დასასრული არ უწერია. მოგითხრობდით, რომ ვიღაც უტევინოს აზრად მოუვიდა, შეელახა არადუში აქამდე სათუთად შემონახული აფხაზებთან ურთიერთობა. ვაი რომ, ასეთი ყაჩაღი ვიგინდარები საკუთარ ცხვირს იქით ვერ იხედებიან. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული ბადრის და მის ამხანაგებს და ასეთ გამოხტომებს ცხელ კვალზე ალაგმავენ ხოლმე, ასე მოხდა ამჯერადაც, ის, ვინც იასონ ბჟანიას ძილი დაუფრთხო, მალე იპოვეს და საკადრისიც მიუზღეს.

არადუზე შეტევის მცდელობის ჩაშლის შემდეგ სროლა მაინც არ წყდება, განსაკუთრებით ღამით, სოხუმსა და ოჩამჩირის ფრონტებზე აშკარად გადავიდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებაზე.

როგორც ცნობილი გახდა, ნამდვილად მზადდებოდა გრანდიოზული მასშტაბის დაბომბვა. დაბომბვის შემდეგ უნდა მომხდარიყო შეტევა ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან, მაგრამ ეს არ მოხდა - რატომღაც და თუ როგორ გაიშიფრება ეს „რატომღაც“, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, ტყუილა არ აუტეხიათ განგაში პარლამენტის სხდომაზე ბატონებს გერმანე ფაცაციასა და გენო კალანდიას სოხუმზე მოსალოდნელი შეტევის გამო. ამის შემდეგ იყო, რომ ცოტაოდენი მაინც „გამოიჩხრიკეს“ ყურები (ბატონ ჯაბას სიტყვებია) პარლამენტარებმა და გონს მოეგენ, თუმცა ბევრი მაინც დარჩა „ურწმუნო თომად“.

ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ბატონ შევარდნაძის ვიზიტი გერმანიაში. გერმანია დიდ დახმარებას შეჰპირდა საქართველოს, როგორც ჰუმანიტარული, ისე კრედიტების სახით. თქვენ ოღონდ წარმოადგინეთ პროექტები და ჩვენ დავაფინანსებთო, გვპირდებიან გერმანელები, თქვენ ოღონდ ჩამოდით შემოდგომაზე, მოიწ-

იეთ პური და წაიღეთო — გვპირდება ყაზახეთი, ნუ გეშინიათ ყოველნაირად შეგიწყობთ ხელსო — გვაიმედებს ჩინეთი, გაზი და ნავთობი ჩვენს ანგარიშზე იყოსო, — გვპირდება ირანი და აზერბაიჯანი, გარდა ამისა, ხელი გამოგვიწოდა ამერიკამ, თურქეთმა, ბელგიამ, იქმნება სხვადასხვა ფონდები შევარდნაძის სახელზე და სწორედ შევარდნაძის ფაქტორმა (თუ ფაქტმა) გაიყვანა საქართველო მთელს მსოფლიოში როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ ყველა მიკროსკოპული თვალით გვიყურებს — ყველა დანაპირებს შევასრულებთ, თუ საქართველოში შინაური სტაბილურობა დამთავრდებაო. არადა, რა გულსაკლავი რამეები ხდება, უსაშველოდ მომრავლდა უსაქმურები, გახშირდა ათასნაირი დანაშაულობანი. გათიშულობა ღრღნის ქართველ საზოგადოებას.

გულსაკლავი ამბები ხდება მოსავლის აღებასთან დაკავშირებით. საწვავის უქონლობის გამო იღუპება ხორბალი, ქერი, კარტოფილი, მოკრეფილი ჩაიც კი ვერ შედის გადასამუშავებლად, ფაბრიკებიც სანახევროდ გაჩერებულია, მაფია მძლავრობს (მას აწყობს დესტაბილიზაცია). სასტიკი სიმკაცრეა საჭირო, ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, თორემ არაფერი გამოვა, ომის დამთავრებამდე მაინც გამოაცხადეთ სამხედრო მდგომარეობა.

ბატონი შევარდნაძე 27 ივნისს სოხუმს გაფრინდა. ადგილზე გაეცნო შექმნილ ვითარებას.

ბევრი ჩქარობს და უკიჟინებს, რას უყურებთ, გადადით შეტევაზე და ომი მოამთავრეთო, ეს შეიძლებოდა ადრე, მაშინვე, ახლა კი ეს ძნელი საქმეა, მოწინააღმდეგე საკმაოდ ძლიერია, მაგრამ თუ რუსეთთან არ დაიდო ხელშეკრულება, ამ ომის არც მოგება იქნება და არც დამთავრება, თანაც თუ შეტევაზე გადადიხარ, მოწინააღმდეგეზე მეტი უნდა გყავდეს ცოცხალი ძალა, ძლიერი შეიარაღება, ძლიერი ზურგი, ეკონომიკა და უძლიერესი დისციპლინა, გვაქვს კი ეს? ანდა როგორ გვექნება, თუ სამეგრელო ცალკე გაიქაჩა დ სხვებიც მიჰყვა. აბა ყველამ ერთად იბრუნოს პირი ფრონტისაკენ, თუ მაშინ გაბედავს მტერი რამეს. თუმცა თავდაცვის სამინისტრო გვყავს, მაგრამ რატომ არ უნდა იყოს თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო. როგორ დაიცვას სახელმწიფო თავდაცვის სამინისტრომ მის გარეშე?

ამ ერთ კვირაში მოვლენები ძალზე დრამატულად ვითარდება. დასაწყისშივე საპარლამენტო კრიზისმა თითქმის ზღვარს მიაღწია. პარლამენტში, უკაცრავად პასუხია, შემთხვევით მოხვედრილი დეპუტატი იმას ცდილობს, როგორ აურიოს პარლამენტის მუშაობას და აქედან გამომდინარე შედეგებიდან, რასაც თან დაერთო ეკონომიური სიღუხჭირე, ხალხში ზოგ-ზოგებმა წონასწორობაც კი დაჰკარგა და საქმის კეთების მაგიერ, ახლანდელი მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის ლანძღვა-გინებას შეუდგა. აქეთ ფანატიკოსი სეპარატისტი არძინბა მეტისმეტად გათავხედდა და დღედაღამ ანგრევს და ანგრევს სოხუმს. რით ანგრევს? მოუსმინეთ მის ინტერვიუს ჟურნალისტ კარაულოვთან.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: ვინ გაძლევთ იარაღს?

ა რ ძ ი ნ ბ ა: — ჩვენ ომისათვის მომზადებული არ ვიყავით, როცა საქართველომ მოახდინა აფხაზეთის სახელმწიფოს (!!) ოკუპაცია, მათ ჯარებთან ბრძოლაში, ჩვენ ქართველებს წავართვით იარაღი და მივმართეთ მათ წინააღმდეგ.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: თვითმფრინავებიც წაართვით ქართველებს?

ა რ ძ ი ნ ბ ა: თვითმფრინავები შევიძინეთ.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: სად? ვისგან?

ა რ ძ ი ნ ბ ა: (მცირე დუმილი) სადაც შევძელით მისი შეძენა.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: კი მაგრამ, საიდან აქვს აფხაზეთს ამდენი ფული?

ა რ ძ ი ნ ბ ა: ჩვენ გვაქვს ჩაი, თამბაქო, ციტრუსი, სხვა რამეც, რისი გაცვლაც შეგვიძლია ჩვენთვის საჭირო საგნებზე.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: გრაჩოვმა განაცხადა, ქართველები გადაღებავენ ხოლმე მათ თვითმფრინავებს, გაუკეთებენ რუსეთის გამოსაცნობ ნიშნებს და ბომბავენ სოხუმსო.

ა რ ძ ი ნ ბ ა: (მცირე დუმილი) ჩვენ დავკითხეთ ეშერასთან ჩამოგდებული მფრინავი, რომელმაც დაადასტურა ეს.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: თქვენ პოლიტიკოსი ხართ? თუ პოლიტიკოსი ხართ, ხომ უნდა ფიქრობდეთ კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებაზე.

ა რ ძ ი ნ ბ ა: მე ვარ ისტორიკოსი (სხვათაშორის ბატონი გივი ბოლოთაშვილი ამტკიცებს, რომ არძინბა არც ისტორიკოსია, ის

ე. წ. „მანდარინის ისტორიკოსია“) და ვიცი აფხაზეთის თორმეტსაუკუნოვანი ისტორია.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: და რა პირობას მოითხოვს ქართველებისაგან?

ა რ ძ ი ნ ბ ა: პირველყოვლისა, მათი ჯარის, საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას აფხაზეთის სახელმწიფოს ტერიტორიიდან.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: ვთქვათ, გაიყვანეს ჯარი და მიუჯექით მაგიდას. რას შესთავაზებთ ქართველებს?

ა რ ძ ი ნ ბ ა: შემდეგ ვნახოთ, ამას დრო გვიჩვენებს: ჩვენი მიზანია, აფხაზეთი შევუერთოთ რუსეთს.

კ ა რ ა უ ლ ო ვ ი: მაგრამ თუ რუსეთი ამას არ გააკეთებს, რამდენადაც აფხაზეთი შედის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში?

ა რ ძ ი ნ ბ ა: მაშინ ჩვენ აფხაზეთში შევქმნით დამოუკიდებელ ბუფერულ სახელმწიფოს, როგორც კურორტულ სახელმწიფოს მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

კორესპონდენტის დასმულ არ ერც ერთ კითხვაზე არძინბას სწორი პასუხი არ გაუცია. მისი ერთადერთი მიზანია ჩამოაშოროს აფხაზეთი საქართველოს.

2 ივლისს დილის სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურმა აცნობა პარლამენტს, რომ გამთენიისას დიდმა სადესანტო გემმა, რომელმაც აფხაზეთში ამას წინათ ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანა, ამჯერად სევასტოპოლიდან (თუ საიდან ჯერ კარგად არაა გარკვეული) მრავალრიცხოვანი (600-მდე კაცი) დესანტი წამოიყვანა და ტამიში-კინდღის მონაკვეთში გადმოსხა. სადესანტო გემი ნაპირამდე მოაცილა სანაპირო დაცვის გემებმა (რა თქმა უნდა რუსეთისა). დესანტი კბილებამდეა შეიარაღებული. გადმოტვირთეს ორი თუ სამი უახლესი ტანკი და რამდენიმე ქვემეხი. მათ ერთიანად ამოქოლიტეს ტამიშის სანაპიროსთან მაცხოვრებელი ქართველები — 150-მდე კაცი, ბევრი მათგანი (ქალები და ბავშვები) ხეებზე ჩამოჰკიდეს; ძალიან აქტიურობდნენ (როგორც ყოველთვის) ქართველთა მოძულე ტამიშელი ზამთარიები, რომლებმაც ქართველობა გადამთიელებს მიურეკეს. დესანტმა გადაჭრა რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალები ცაგერა-ტამიში-კინდღის მონაკვეთზე. მაიმუნთა საცდელ სადგურში დაბანაკებული ოცი კოჩარელიდან (ე. წ. გვარდიელები) მხოლოდ ერთმა მოასწრო გამოქ-

ცევა, დანარჩენები ამოწყვიტეს. მტრის სტრატეგიული ჩანაფიქრი (როგორც შემდეგ გაირკვა) ასეთი იყო. ოჩამჩირისა და სოხუმის დამაკავშირებელი ძაფების გაწყვეტა, ოჩამჩირის აღება და სოხუმისათვის მაშველ ძალების გათიშვა. იმავდროულად ფართომასშტაბიანი შეტევის დაწყება სოხუმზე და მისი შტურმით აღება.

ამ ამბავმა მართლაც რომ შეაშფოთა პარლამენტი და მოხდა სენსაცია 144 დეპუტატიდან 142-მა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბატონ შევარდნაძისათვის საგანგებო დამატებითი უფლების მინიჭების შესახებ.

პარლამენტის სხდომაზე მოხდა მეორე არანაკლები სენსაცია — ბატონმა კიტოვანმა ტრიბუნიდან განაცხადა(მომყავს მისი სიტყვები) „მე მოვედი იმისათვის, რომ მივდივარ ოჩამჩირეში, როგორც რიგითი ჯარისკაცი, იქ ახლა ძალიან უჭირს ფრონტს, გადაკეტილია რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალები“. თქვა და წამსვე დასტოვა დარბაზი. იგივე განაცხადა მაშველთა მეთაურმა ჯაბა იოსელიანმა.

შევარდნაძე იმ დღესვე გაფრინდა სოხუმს. მას სოხუმში უკვე ელოდნენ თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი, დაზვერვის მეთაური ირაკლი ბათიაშვილი და სხვა სამხედრო პირები.

მტერმა თითქმის მიწასთან გაასწორა სოხუმი. დესანტის წარმატების იმედით დაიწყო სოხუმზე შემოტევა. ერთ ადგილას მოახერხეს კიდეც მდინარის გადმოლახვა და ჩვენს პოზიციებზე შემოჭრა. ეს ავანტიურა მალე ჩაიშალა. ბევრი მათგანი გაანადგურეს, სხვებმა გაქცევით უშველეს თავს. ახლა მტერმა თავგამოდებით შეუტია შრომა-კამანის მონაკვეთს. ჯერ იყო და სოფელი შრომა გაასწორეს მიწასთან, შემდეგ მოახერხეს სოფელ ახალშენის აღება, რომელიც შრომას დაჰყურებს ზემოდან. სოფელ ახალშენის აღებაში დაფიქსირებული იქნა ცხრა სამხედრო ვერტმფრენის მონაწილეობა, რომლებიც ბომბორიდან მოფრინდნენ.

დღეს-ხვალ ისევ მოსალოდნელია სოხუმზე მძლავრი შემოტევა. დაზვერვის მონაცემებით მტერს მთავარი ძალები ჯერ კიდევ არ ჩაუბამს ბრძოლაში.

ახლა ოჩამჩირეში გადმოვინაცვლოთ. თბილისის შინაგანი ჯარებისა და ადგილობრივი ძალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დესანტს გზები მოუჭრეს, არ მისცეს საშუალება აფხაზურ ძალებთან შეერთებისა და ალყაში მოაქციეს. ბევრი დაიხოცა და

დაიჭრა, მაგრამ ცალკეული რაზმები მაინც ვანაგრძობენ წინააღმდეგობას, მედესანტეთა შორის ბევრი ქალიცაა, ხოლო მათი თითქმის ნახევარი რუსებია.

წუხელ ღამის სამ საათზე მტრის თვითმფრინავმა დაბომბა რკინიგზის ხიდი ცაგერასთენ და სხვა ობიექტები. საბედნიეროდ ზარალი ცოტაა.

დაიწყო ქართველი ერის ჯამთლიანების პროცესი, ამაში დიდი და ვაჟკაცური წვლილი შეიტანა ზუგდიდის მოსახლეობამ და სამეგრელოს შეიარაღებულმა ძალებმა. ლოთი-ჯაბა-კიტოვანი ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს და დადეს ფიცი, ერთად იყარონ ჯავრი გათავხედებულ მტერზე.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს დღეებში და როგორ შეასრულებს ფიცს ლოთი ქობალია.

ხვალ გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაა აფხაზეთის საკითხზე, მაგრამ მეტისმეტად მოუქნელი გაეროსაგან ბევრი ვერაფერი იმედია მოსალოდნელი.

6-8 ივლისი.

ტამიშის მიდამოებში დესანტის გადმოსხმის შემდეგ, ხალხის გამთლიანების საქმეში აფხაზეთში საომრად დაიძრა მთელი საქართველო და პირველ რიგში სამეგრელო. ლოთი ქობალია, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი შეთანხმებულად მუშაობენ ოჩამჩირის ფრონტებზე. სოხუმსა და ოჩამჩირეში ჩადიან დეპუტატები: ირინე სარიშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, ნოდარ ნათაძე და სხვები, ჯანსულ ჩარკვიანმა სოხუმში გენო კალანდიას სახლში ყოფნისას, ლექსი დაწერა — რისთვისაც გენომ ჯანსულს ხუმრობით თავისი „წილი“ ჰონორარი მოსთხოვა) „...გატეხილი საქართველო, აფხაზეთში მთლიანდება“.

აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. დღეს პარლამენტში ამ ბრძანებების მიღებას 154 დეპუტატიდან ყველამ დაუჭირა მხარი, მოითხოვეს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება საქართველოს მთელს ტერიტორიაზეც.

პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე ირაკლი წერეთელმა განაცხადა, რომ მან მიტინგი გადადო (რისი მიტინგი, ღმერთმა უწ-

ყის), და აფხაზეთს მიემგზავრება. ყველასათვის მოულოდნელად ნოდარ ნათაძემ, პარლამენტის ვადამდელი არჩევნები მოითხოვა, დაახლოებით სამი თვის შემდეგ, რა მოტივით, ჯერჯერობით არ ვიცით. ასე რომ, ომის გამწვავებამ აფხაზეთში ქართველი ერის გამთლიანება გამოიწვია. გვწამს, რომ მხოლოდ ამას შეუძლია ვადაარჩინოს საქართველო.

მართალია, დესანტის დიდი ნაწილი გაანადგურეს, მაგრამ ღანარჩენებმა მოახერხეს მდინარე ტამიშის აყოლებით გადაეკვეთათ ოჩამჩირე-სოხუმის სარკინიგზო და საავტომობილო ტრასები... ავაზელებმა დატოვეს ლაბრა და მტერს ხელში შეატოვეს ტექნიკა და საწვავი. კოჩარა-ლაბრის გზით ტყვარჩელიდან და სხვა სოფლებიდან დაიძრა პარტიზანული რაზმები და დესანტს შეუერთდა. ასევე მოხდა ჯგერდე-კუტოლის გზიდან. შეიქმნა ფაქტიურად მეორე ფრონტი, თანაც მეტად საშიში და მძიმედ დასაძლევი.

6 ივლისს, ღამით, შეეცადნენ ახალი დესანტის გადმოსხმას ზღვიდან. ქართულმა არტილერიამ არ მისცა მათ ამის საშუალება. ჩაძირეს ორი კარჩაპი, დესანტთა გემი ღია ზღვაში მიიმალა. ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა გვერდით ოჩამჩირის სამხედრო პორტია, ხოლო ზღვაზე სასაზღვრო კატარღები დარაჯობენ. საღამო ჟამს მერკულის მხრიდან ქარიშხალივით გადმოიფრინა „სუ-25"-მა. ცაგერას თავზე პიკირება მოახდინა და რამდენიმე სახლი ნაცარტუტად აქცია. არიან დაჭრილები და დახოცილები. განუწყვეტლივ იბომბება სოხუმი, მიდის დიდი ძალების კონცენტრაცია შრომა-ახალშენის მიმართულებით. მტერი ემზადება გადამწყვეტი შტურმისათვის. დამიზნებით უშენენ სახელმწიფოს მეთაურის ადგილსამყოფელს, ცდილობენ დააშინონ იგი, რათა დატოვოს სოხუმი, გამორიცხული არაა ტერორიც. ყოველივე ამის პასუხად ბატონმა შევარდნაძემ განაცხადა: „ჩემი დაშინება გამორიცხულია, ხოლო სოხუმში დავრჩები მანამდე, სანამ ეს საჭირო იქნება. თუ ადგილი ექნება ტერორს, ეს კიდევ უფრო გააშიშვლებს მტრის სახეს და ყველაფერი მის საზიანოდ შებრუნდებაო". ამასობაში გამოვიდა ბრძანებულება მთელს საქართველოში ქალაქებისა და რაიონების გამგეებლებისადმი საგანგებო უფლებების მინიჭების შესახებ. შეიქმნა ერთიანი რესპუბლიკური შტაბი, რომელსაც დაექვემდებარა ყველა რეგიონის შტაბები. რესპუბლიკური შტაბის უფროსად დაინიშნა ფრიად განათლებული და

დისციპლინიანი კაცი ბატონი კერვალიშვილი, ვიცეპრემიერი. ქვეყანა საომარ რელსებზე გადადის და თანდათან ხალხიც ეჩვევა საომარ ყაიდაზე მუშაობას. არ დაადგა საშველი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას — აქტიურად ჩაერიონ კონფლიქტის მოკვარების საქმეში. ხვალ რეზოლუცია უნდა მიიღონ. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს გაერო.

დღეს სოხუმს ეწვივნენ საზღვარგარეთის დიპლომატიური მისიები. ელჩები ამერიკიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან და სხვები. იქნებ ყველაფრის ადგილზე ნახვამ უფრო დაარწმუნოს საზღვარგარეთი იმაში, რომ ადგილი აქვს არა უბრალო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აშკარად გამოცხადებულ ომს. ამიტომ იყო, რომ ხალხში გვარიანი აჟიოტაჟი გამოიწვია პრემიერ სიგუას განცხადებამ: თუ რუსეთი საქართველოს მიმართ არ შეცვლის თავის პოლიტიკას, მაშინ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდება გამოიწვიოს თავისი ელჩი მოსკოვიდან (ეს კი უკვე ომის გამოცხადებას ნიშნავს?!), ბატონმა სიგუამ მოიყვანა ციფრები — ჩამოთვალი იმისა, რომ რუსეთმა გუდაუთა უზრუნველჰყო ორი წლის მარაგით, აი, ვინ დგას არძინბას უკან რითაც იგი გაყოყოჩებულია (გაუდის და მიტომ).

არადუ ჯერჯერობით ფეხზე დგას, იბრძვის და შრომობს, არ დარჩენილა ოჯახი, რომ სამყოფი მიწის ნაკვეთი არ დაემუშავებინოს. ჭირნახულს კარგი პირი უჩანს,

გუშინ ტოკიოში დიდი შვიდეული შეიკრიბა. იქნებ, იქაც მოიგონონ, რომ აფხაზეთის ომი საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს მშვიდობას და გონს მოეგონ. ვიქონიოთ იმედი? პირველ რიგში ჩვენ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს.

9 ივლისი.

შედარებით წყნარი ღამე დილის 2 საათიდან მძლავრმა საარტილერიო ზალპებმა დაარღვია. საარტილერიო დაშენა მიმართული იყო ცაგერა-ტამიში-კინდღის მონაკვეთზე, რომელიც დაკავებული ჰქონდათ ზღვით გადმოსხმულ დესანტსა და მათთან მიერთებულ აფხაზებს.

მძაფრი შეტევის შედეგად მოწინააღმდეგეს წაართვეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფელი ტამიში და მისი მიმდებარე ად-

გილები. მოწინაღმდეგის რაზმები შეფარებულნი არიან სანაპიროსა და ტამიშის საავტომობილო მაგისტრალს შორის, ტურბაზის მიდამოებში. აქ ზღვიდან ახალი დესანტის გადმოსხმის საშიშროება იქმნება. მტერი ინარჩუნებს სტრატეგიულ ამაღლებულ ადგილებს, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდებიან ტყვარჩელს და მთელს სააფხაზოს ოჩამჩირის რაიონში, ესენია: ლაბრა, ცხენისწყალი, კოჩარა, კუტოლი-ჯგერდა. აქედან მოსალოდნელია, მოწინააღმდეგემ მიიღოს დიდი შევსება და გამორიცხული არაა, კვლავ შეეცადოს უკან დაბრუნებას. ყოველ შემთხვევაში ბატონი ჯაბა ოპტიმისტურადაა განწყობილი.

ბევრი დახოცილი დესანტია მაიმუნების სადგურთან, ტყეში, ცაგერას ახლოს, მათ გატანაზე და დამარხვაზე არ ფიქრობენ აფხაზები. აგერ ერთი კვირაა, რაც გვამები უპატრონოდ ყრია. ასე ჰყავს მიტოვებული თავისი მოკლული მებრძოლები გუდაუთას სხვა ფრონტებზეც.

დღეს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა შრომა-ცუგუროვკის მიმართულებით, მტერი თავგამოდებით ცდილობს ხელში შრომის ჩაგდებას.

დღევანდელ ბრძოლებში ტამიშთან ააფეთქეს მოწინააღმდეგის ორი ტანკი, დახოცეს და დაჭრეს მრავალი ათეული მოწინააღმდეგე. ჩვენი მხრიდან მოკლულია სამი და დაჭრილია რამდენიმე.

აფხაზები არ ისვენებენ არც არადუს ფრონტზეც. დღეს აქ დამხმარე ძალები შემოვიდნენ და პოზიციები დაიკავეს.

დღეს უმთავრეს მოვლენებიდან შეიძლება გამოვყოთ ბატონი შევარდნაძის წერილი დიდი შვიდეულისადმი, სადაც მათ ყურადღებას მიაპყრობს აფხაზეთის კონფლიქტის გადაზრდას საერთო კავკასიურ კონფლიქტში, რომელიც მეტად საშიში, ფეთქებადი გეოპოლიტიკური რეგიონია. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს შვიდეული ამ წერილზე.

საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა ირაკლი ქადაგიშვილმა, ქადაგიშვილი დუდაევს ესტუმრა გროზნოში. საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა. დუდაევი კატეგორიულად წინააღმდეგი წავიდა თუნდაც ერთი ჩეჩენის გაგზავნაზე ქართველების წინააღმდეგ და ასევე სასტიკი უარი უთხრა სოსლანბეკოვსა და შანიბოვს. ეს ცუდი ნიშანი არ უნდა იყოს.

10-17 ივლისი.

ეს დღეები მოვლენებით აღსილი დღეებია. გარღვეული იქნა ცაგერა-ტამიშის გზის მონაკვეთი და ქართველთა ვაჟკაცობამ და შეთანხმებულმა მოქმედებამ სძლია მტერს.

ცნობილი გახდა, რომ დესანტი 650 კაცისაგან შედგებოდა — საუცხოოდ გაწვრთნილი, სხვადასხვა ქვეყნებში ნაომარი და ნაცადი, კბილებამდე შეიარაღებული მეკობრეების ხროვა. მათთან შეერთებული აფხაზები ქალებსა და ბავშვებს უყოყმანოდ ჭრიან თავებს და სარებზე აცვამენ, სხეულს კი ხეებზე ჰკიდებენ.

შემაშფოთებელი ამბები მოხდა სოხუმის ფრონტებზე. მტერმა აიღო სოფლები ახალშენი, კამანი, შრომის დიდი ნაწილი და სოხუმს ზედ თავზე დაადგა. მეტად საშიში სიტუაცია შეიქმნა.

14 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აფხაზურ მხარეს ულტიმატუმი წაუყენა, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზური მხარე ჯიუტად ბომბავს სოხუმს, მოიწევს წინ და არ ეთანხმება ცეცხლის შეწყვეტას. მოწინააღმდეგე თუ 24 საათის განმავლობაში არ შეწყვეტს სოხუმის დაბომბვას, თუ შრომა-ახალშენი-კამანიდან არ გაიყვანს თავის ნაწილებს, მაშინ ქართული შეიარაღებული ძალები განახორციელებენ ფართო ხასიათის შეტევას გუმისთის მთელ ფრონტზე გუდაუთის მიმართულებით.

აწრიალდა მესამე მხარეც. გუდაუთაში სასწრაფოდ ჩაფრინდა ელცინის პირადი წარმომადგენელი პასტუხოვი. სოჭში თავი მოიყარა ყველა დაინტერესებულმა მხარემ (გარდა ქართველებისა) და დაიწყეს ბჭობა. ზოგმა დაშოშმინება სცადა, ზოგმაც მუქარას მუქარით უპასუხა. პასტუხოვმა პირდაპირ განუცხადა არძინბას, რომ თუ იგი ხელს არ მოაწერს ცეცხლის შეწყვეტას, რუსული მხარე თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას, როცა ქართველები შეტევას განახორციელებენო. აფხაზთა სარდალმა (მათ აფხაზი სარდალი არა ჰყავთ) სოსლანოვმა ნიშნის მოგებით განაცხადა: „მეტი საქმე არა მაქვს, ჩვენგან აღებული ახალშენი, კამანი და შრომა მათ დავუბრუნოთო“. პასტუხოვი გუდაუთიდან თბილისს ჩაფრინდა და შევარდნაძეს შეხვდა. რა მოილაპარაკეს არავინ იცის. ის კი ვიცი, რომ ულტიმატუმის დრო გავიდა და არავითარი შეტევა არ განხორციელებულა.

16 ივლისს ნატოს პოლიტიკურმა კომიტეტმაც განიხილა აფხაზე-

თის საკითხი. გადაწყვეტილება ჯერ არ ყოფილა, დიდი შვიდეულიც აფუსფუსდა. ბატონი შევარდნაძე (ჯაბას სიტყვებს თუ ვიხმართ) „ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს", არადა, მოწინააღმდეგე რაღაც მოლაპარაკებით მუდამ სარგებლობს და ახალ-ახალ ძალებს იკრებს, მიუხედავად იმისა, რომ ელცინის ბრძანებით ფსოუს საზღვარი დაიკეტა. თუმცა შანიბოვი იმუქრება, რომ ვერავითარი კორდონი ვერ შეუშლის ხელს კონფედერაციის ჯარებს დაეხმაროს ჩვენ ძმებს აფხაზებსო.

თერთმეტი თვე გავიდა ომის დაწყებიდან. ურთიერთ ზიზღმა და დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. სოხუმი მიწასთანაა გასწორებული. აფხაზურმა ფაშიზმმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მშვიდობიან მოსახლეობას მოსძულდა თავი ამდენი დავიდარაბისაგან. აივსო მოთმინების ფიალა. ზვავი აგორებას ელოდება. და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევიტყვეთ, რომ გუშინ, 16 ივლისს გამთენიისას ქართველმა მხარევ შრომა-კამანის მიმართულებით წამოიწყო შეტევა — ნელა, მაგრამ მაინც მიიწევენ წინ. მტერი უკან იხევს.

არადუ-ცაგერას ფრონტიც მზადაა ყოველგვარი ბრძანების შესასრულებლად, გარდა უკან დახევისა.

18-19 ივლისი.

გუშინ სახელმწიფოს მეთაური ბატონი შევარდნაძე კვლავ ეწვია სოხუმს. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი სერიოზულად გახდა ავად. როგორც იტყობინებიან, მან დიდი ემოციური დატვირთვების დროს, თურმე ფეხზე გადაიტანა ინფარქტი, რომელსაც ამჯერად დაერთო გართულება და იგი სამკურნალოდ თბილისის კლინიკაში მოათავსეს. გუშინ მის მაგივრად სახელმწიფოს მეთაურმა დანიშნა პარლამენტის დეპუტატი ყიული შარტავა, შარტავა ცნობილი პიროვნებაა, გამოწრთობილი მუშაკი, კარგი ორგანიზატორი. რამდენადაც გახდა ცნობილი, მის დანიშვნაზე პრეტენზია არ გამოუცხადებია რომელიმე პარტიას თუ მიმდინარეობას. აფხაზეთს მოევლინა ახალი მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა გუდაუთას სასაცილოდაც კი არ ჰყოფნის სოხუმის აფხაზეთის მინისტრთა საბჭო. დღეს პირველად გავიგე, რომ თურმე გუდაუთას ჰყოლია აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო

საქმეთა მინისტრი, რომელიც „საქმიან“ მიმოწერებს აწარმოებს მსოფლიოს ქვეყნებთან, თუმცა ის არავის უცნია, გარდა დნესტრისპირეთის ე. წ. გაგაუზთა რესპუბლიკის გარდა.

ბატონმა შევარდნაძემ დღეს გუდაუთის მხარეს პასტუხოვის პირით აცნობა ქართველთა ბოლო წინადადება, რომ აფხაზეთში შეიქმნას დემილიტარიზებული ზონა და განხორციელდეს ეს პროცესი ეტაპობრივად და თუ ეს წინადადებაც არ იქნება მიღებული, მაშინ აფხაზურ მხარეს მართლაც არ სდომებია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება. პასტუხოვი გუდაუთას გაფრინდა, შევარდნაძე თბილისში დაბრუნდა. დღეს პასტუხოვი სოხუმში ჩამოფრინდა და ეწვია თავდაცვის მინისტრს გია ყარყარაშვილს, რომელსაც არაორაზროვნად განუცხადა, ჩამოვიტანე გუდაუთის მხარის წინადადებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და თუ ამ პროექტებს ხელს არ მოაწერთ, სოხუმი დაეცემაო. „მედიატორეც“ ასეთი უნდა?! ბატონ პასტუხოვს თავდაცვის მინისტრმა დამშვიდებით უპასუხა, სოხუმი დაცემას არ აპირებს, შეიძლება კი მან დაცემაზე კი არა, სხვა რამეზე იფიქროსო, ხოლო რუსეთს თუ სოხუმის დაცემა აინტერესებს, ეს მხოლოდ მის საზიანოდ მოხდებაო, არა და თუ რუსეთს არ სურს ბევრი უსიამოვნება იგემოს, მაშინ მან აქტიურად უნდა იმოქმედოს კონფლიქტის შესაწყვეტადო... აი, თურმე რა ჰქონია გულში ბატონ პასტუხოვს. ეს ხომ აშკარა მუქარაა რუსეთისა (და არა აფხაზებისა) საქართველოს მიმართ, ისიც საინტერესოა, რა შემოგვთავაზა გუდაუთამ, იქნება კი მისი ე. წ. პროექტები მისაღებია ქართველთა მხარისათვის?

მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობს შრომა-ახალშენის მიმართულებით. დეტალებს არ ასახელებენ. ოჩამჩირის ფრონტებზე შედარებით სიწყნარეა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩაის ბუჩქებში ჩასაფრებული აფხაზები მოულოდნელად უშენენ ტყვიას მშვიდობიან მოსახლეობას, იგრძნობა არაჩვეულებრივი დაძაბულობა, რაღაცის მოლოდინი.

20 ივლისი.

დღეს პარლამენტის რიგითი, მორიგი ღია სხდომა ჩატარდა. თავმჯდომარე არ ესწრებოდა. ჩვეულებრივ კინკლაობა გაჩაღდა დღის წესრიგის დამტკიცებაზე. თქმა არ უნდა, ჩხუბისა და შარისთავები

რაღაც მიზეზს ყოველთვის იშოვიან, რათა რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეაფერხონ პარლამენტის გამართული მუშაობა.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ბატონ ჯაბა იოსელიანის გამოსვლამ, რომელმაც არაორაზროვნად გახსნა ფრჩხილები და განაცხადა, რომ რუსეთი (სწორედ რუსეთი) აპირებს სოხუმის აღებას. პასტუხოვი პირდაპირ აცხადებს, რომ გუდაუთაში თავმოყრილია კბილებამდე შეიარაღებული ათი-თორმეტი ათასი კაცი. მათი შეკავება სოხუმს არ შეუძლია, ამიტომ საჭიროა, დათანხმდეთ გუდაუთის პირობებსო, რასაკვირველია, პასტუხოვი დამოუკიდებლად ამას ვერ იტყოდა. ეს რუსეთის მთავრობის აზრია, პასტუხოვს მხოლოდ „წამოსცდა" ის, რასაც ფიქრობს რუსეთი. ბატონმა ჯაბამ თქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სოხუმი დაეცემა, იწყებს პარტიზანულ ომს თავისი მხედრიონით, იქნება ეს სოხუმში თუ მოსკოვში და ხსნის მეორე ავღანეთს. ნიშანდობლივია, რომ ავღანეთი უკვე გაიხსნა ტაჯიკეთში, იხსნება სხვა რესპუბლიკებში და იწყება რაღაც ახალი მოვლენა, ბატონმა ჯაბამ მოუწოდა პარლამენტარებს, პარტიებსა და ფრაქციებს სიფრთხილისაკენ, მთელი ძალების მობილიზაციისაკენ მოსალოდნელი ფართო აგრესიის მოსაგერიებლად, ჯაბას ამ წინადადებას ბევრმა პათეტიკურად დაუჭირა მხარი, ზოგმაც — საუკეთური გაიოთქვა, იმის გამო რომ ეს განცხადება ხალხში გამოიწვევს პანიკას, (და ეს მართლაც ასე მოხდა) და ასეთი განცხადების გაკეთება უადგილოა, რამდენადაც, თუ ის ვასაკეთებელია, უნდა გააკეთოს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურმაო.

დღევანდელ გაურკვეველ ვითარებაში მართლაც პანიკამ მოიცვა ადამიანები, რა თქმა უნდა, ისინი, ვინც პანიკისადმი არიან მიდრეკილნი.

ახლა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერის გამთლიანებას, უკვე დაიწყო ეს პროცესი, რასაც ვერ დაეთანხმა ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი (და სავსებით სამართლიანადაც) რომლის მანქანები, რომლებსაც სოხუმიდან ხელშეკრულებით ტვირთი გადაჰქონდა ქუთაისში, ზუგდიდში დაატოვებინეს. შაშიაშვილმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ ზუგდიდში იქმნება ბატალიონები არა მხოლოდ სამეგრელოდან, არამედ საქართველოს ყველა რაიონიდან (?) რა არის ეს? იკითხა მან. პარალელური ჯარი? ვფიქრობ

მზადდება დიდი შიდა ომი, ღმერთმა ინებოს, რომ ვცდებოდეო, დასძინა ბოლოს და მოითხოვა კომისიის გამოყოფა ყველაფრის შესასწავლად. გვაცლის კი მტერი ამდენი კომისიების მუშაობას?

21-28 ივლისი.

გიორგი ყარყარაშვილმა ულტიმატუმი წაუყენა აფხაზებს — ვადა 24 საათი. გავიდა ცხრაჯერ ოცდაოთხი საათი, მაგრამ შეტევა კვლავინდებურად არ ჩანს. თითქოსდა იგი დაიწყო შრომა-ახალშენის მიმართულებით, მაგრამ ძუნწი ცნობებით ვგებულობთ, რომ შრომაშიც და (ახალშენში კი მხოლოდ) სიტუაციას აფხაზური მხარე ცდილობს. სოხუმში მოჩვენებითი სიწყნარეა, არძინბა გამოდის ტელევიზიით და იმუქრება, თუ ჩვენს პროექტებს არ მოაწერთ ხელს, სოხუმს ძალით ავიღებთო. რუსეთი საქართველოს აშოშმინებს, საზღვარი ჩავკეტეო. სინამდვილეში კი სოჭიდან გუდაუთისაკენ მძიმე თვითმფრინავებით და გემებით ნაკადად მიედინება შეიარაღება და ცოცხალი ძალა. ამ ერთ ნაგლეჯ მიწაზე თავი მოიყარა ათასობით ბოგანომ და ყაჩაღმა, დივერსანტმა და კაციჭამიამ პლანეტის ყოველი კუთხიდან.

ვუშინ და დღეს პარლამენტის სესიაზე, დუელი გაჩაღდა ბიუჯეტის გარშემო. მთელი ფრაქციები და დამოუკიდებელთა უმრავლესობა გადაჭრით მოითხოვს გაკოტრებული მინისტრთა კაბინეტის გადადგომას, თვით სტრუქტურისა და პოლიტიკის მკვეთრად შეცვლას. მართლაც და ასეთ ვითარებაში თუნდაც ზნეობრივად რატომ არ უნდა ნებისყოფა პრემიერ სიგუას, მართლაც რომ გადადგეს?

ბატონი შევარდნაძე ყოველ ღონეს ხმარობს რუსეთთან ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის, მაგრამ რუსულ იმპერიასთან ბრძოლაში შევარდნაძისეული დიპლომატიაც კი უძლურია. რუსეთი აქტიურად იყენებს საქართველოში არსებულ ქრონიკულ არასტაბილურობას და აფხაზურ თუ ოსურ (თუ სხვანაირ) სეპარატიზმს წიხლისკვრით უბიძგებს: „მიდით, აკეთეთ თქვენი საქმეო!“.

აგერ ორი დღეა ოჩამჩირეს და მის შემოგარენს, თავს დასტრიალებს რუსული „მიგი“. ვისია იგი? ვითომ აფხაზების? ვინ მართავს მას და რა მისიით? გუშინწინ, იმ დროს, როცა სოხუმის

აეროპორტში დაჯდომას აპირებდა თბილისიდან გამოფრენილი სამგზავრო „ტუ-154“, ზღვიდან ოცი კილომეტრის დაშორებით, გემიდან მას ესროლეს თბური დაზიანების რაკეტა. თვითმფრინავის ერთი ძრავა დაზიანდა, მფრინავებმა მოახერხეს თვითმფრინავი დაესვათ აეროდრომზე, ვინ გაისროლა? ზღვაზე განა რუსული კატარღები არ დარაჯობენ? თუ რუსეთი მეგობარია ჩვენი, რატომ აძლევს ნებას გადამთიელებს დაუსჯელად იპარპაშონ ზღვაზე და ცაში?

ერთი აღტკინების შემდეგ ხალხი ისევ უიმედობამ მოიცვა, ადგილობრივ ფრონტებზე სიტუაცია თანდათან მწვავდება, საფიქრებელია, რომ დესანტის „ნარჩენები“ გაიბნა ფრონტებზე და ინსტრუქტაჟს უწევენ, თუ როგორ გააძლიერონ პარტიზანული ომი. ამის შედეგია, რომ არადუში და სხვაგან დღედაღამ განუწყვეტლივ უშენენ რომელიც ვნებავთ იარაღიდან და უსუსურად გამოიყურება ამ დროს მაცნესა თუ რადიოს გადაცემები, თითქოსდა მდგომარეობის სტაბილურობის შესახებ.

გუშინ საქართველოს პარლამენტის დახურული სხდომა ჩატარდა, სადაც განიხილეს აფხაზებისა და რუსების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი. ცხარე კამათს შემდეგ სახელმწიფოს მეთაურს მიენდო ამ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა. ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას ნაწილმა დეპუტატებისა (ნათაძე, ჩხეიძე, ასათიანი და სხვები („კაპიტულანტური“ უწოდა. უფრო შორსმჭვრეტელმა დეპუტატებმა, მართალია, არ მოიწონეს ხელშეკრულება, მაგრამ მასზე ხელისმოწერა მაინც აუცილებლად მიიჩნიეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ხელშეკრულების პროექტი ულტიმატუმის ხასიათისაა — ან დაეთანხმე და მოაწერე ხელი, ანდა სოხუმს შტურმით ავიღებთო. ხელშეკრულება ითვალისწინებს შუამავლის როლში რუსეთის ჯარის მონაწილეობას, რასაკვირველია, ეს ქართველთათვის მიუღებელია, რადგან საქართველოს წინააღმდეგ თვით რუსეთი აწარმოებს ომს, მაგრამ რა ჯანია, განა საქართველოს დანგრეული ეკონომიკა გაუძლებს ომის გაგრძელებას? ესეც არ იყოს, დაიღალა ხალხი, მზადდება კიდევ უარესი სისხლისღვრა და კაცმა არ იცის, რა შედეგი მოჰყვება ამას, არადა ძალით მოვიგებთ კი ომს? ქვეყანა დილემის წინაშე დადგა, ან მიიღოს მისთვის არასასურველი ულტიმატუმის ხასიათის ხელშეკრულება, ანდა გაგრძელდეს უაზრო სისხლისღვრა, რაც რა დაბოლოებამდე მიგვიყვანს, არა-

ვინ იცის, გუდაუთის მხარეს უხვად დაუგროვდა საომარი ტექნიკა და ცოცხალი ძალა, რომელმაც ლამის წალეკოს ყველაფერი. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში სახელმწიფოს მეთაურმა თავის თავზე აიღო სრული პასუხისმგებლობა, მოაწეროს ხელი ცეცხლის შეწყვეტის მეორემხარისეულ პროექტს. შემდეგ რა მოხდება? გარანტიად საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი რჩება. ცოტა არ იყოს, საჩოთირო აშბავი კია. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი იქნას ყველა ძალა, როგორც ქართველთა ისე აფხაზთა მხრიდან, გაკონტროლდა ეს საზღვარი და მოეწყოს საკონტროლო პუნქტები. ეს ყველაზე მეტ ეჭვს ბადებს, რადგან სექტემბრის შეთანხმებას მოჰყვა გაგრისა და განთიადლესელიძის დაკარგვა, ხელშეკრულებაც ფარატინა ქაღალდად დარჩა. მეორე საჩოთირო ამბავიც: არძინბა თავისი გუნდით, როგორც კანონიერი ხელისუფლება უნდა დაბრუნდეს სოხუმს და შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას. წინ კიდევ ბევრი საჭირბოროტო საკითხებია — ლტოლვილების დაბრუნება, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა და სახელმწიფოებრივი მოწყობა და სხვა მრავალი. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, დაღვრილი სისხლი, ათასობით დანგრეული სახლ-კარი, გაუბედურებული და ნაწამები ადამიანები, ფასეულობათა განადგურება და, რაც მთავარია, ადამიანთა სულიერი გატიალება. ხელშეკრულებას კი ხელი მაინც უნდა მოეწეროს, ეს აუცილებელია, თორემ, სანამ თვით რუსეთში არ დაეწყობა მდგომარეობა, აფხაზეთში მშვიდობა არ დამყარდება. ნათქვამია, ყოველგვარ კარგ ომს ცუდი მშვიდობა სჯობიაო და ჩვენც ამ გზას დავადგეთ.

აფხაზებმა თუ რუსებმა იყნოსეს მათი ულტიმატუმის წარმატება და დღეს თვითმფრინავებით კვლავ დაბომბეს სოხუმი, ბრძოლა გამწვავდა შრომა-ახალშენის მიმართულებით; დილიდან კვლავ შეუტიეს ტამიშს, რომელიც ძლივს იქნა მოგერიებული; მთელი ღამით უშენდნენ ცეცხლს არადუს, მაგრამ არადუ ჯერჯერობით ფეხზე დგას.

28 ივლისი—6 აგვისტო.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს. საიმისო ბრძანებები გასცა ორივე მხარის უმაღლესმა მთავარსარდლებმა. მიუხედავად იმისა, რომ ორთავე მხარეს ბლომად არიან

ცეცხლის შეწყვეტის მოწინააღმდეგენი, მათი უმეტესობა სამხედროებია და ფეხის ხმას აყოლილი პარტიები, რომლებიც მოითხოვენ ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. თურმე, ისინი ამ შეთანხმებას დამცირებად მიიჩნევენ და კაპიტულაციურს უწოდებენ. არსებობს კი ქვეყნის შიგნით კაპიტულაცია? ეს კაპიტულაცია კი არა, კომპრომისია. ლოგიკურად კი საზოგადოების მთელი თანაცხოვრება კომპრომისებზეა აგებული. ჩვეულებრივად კონფლიქტი ბუნებრივი მოვლენაა. ყოველგვარი კონფლიქტი წარმოიშობა სიმბოლოების (მოვლენების) სხვადასხვაგვარი აღქმა-გაგებით და ბუნებრივია, ყოველი კონფლიქტის მოგვარება დაფუძნებული უნდა იყოს კომპრომისზე. კარგად ესმის ეს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს და მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ამ შეთანხმების შესახებ. რას იზამ, ზოგს მოსწონს ეს, ზოგს—არა, მაგრამ ასეც უნდა იყოს ჩვენს ჭრელ საზოგადოებრივ ყოფაში. თუ რამდენად ჭრელია აზრთა სხვადასხვაობა, აქ მომაქვს გუშინდელ გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნებული რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები:

1. ენდობით თუ არა სახელმწიფოს მეთაურს?
   პასუხები ასეთია:
   დიახ—52,3%
   არა — 20,0%
   მიჭირს პასუხი — 27,7%.

2. ენდობით თუ არა საქართველოს პარლამენტს?
   პასუხები ასეთია:
   დიახ — 9,7%.
   არა — 65,7%.
   მიჭირს პასუხი — 24,6%.

პარლამენტს რომ რაღაც 9,7%-მა გამოუცხადა ნდობა ისიც იმის შეღეგი მგონია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი სახელმწიფოს მეთაურია, თორემ პარლამენტისადმი, ალბათ სრული უნდობლობა იქნებოდა დაფიქსირებული. ჰოდა იმ ამორფულ პარლამენტში ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა კანონშემოქმედებისა, რამაც ხალხის თვალში ძალზე შეირცხვინა სახელი.

ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებათა გაცემის შემდეგ, ბუნებრივია, ორთავე მხარიდან ერთეულ შემთხვევაში ადგილი აქვს „გაფიცხე-

ბულ“ ადამიანთა მიერ გასროლებს ყოველი სახის იარაღიდან, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე ქმედით შეტევებს ადგილი არ ჰქონია. შეიქმნა ერთობლივი სამმხრივი ქართულ-აფხაზურ-რუსული კომისია. ახლა ყველა მხარე დაინტერესებულია, რომ როგორმე საბოლოოდ გადაიჭრას კონფლიქტი მშვიდობიანი გზით, კონფლიქტის გაგრძელება არც რუსეთს აწყობს, რადგან ამ შემთხვევაში ჩრდილო კავკასიაში ხუთი ყარაჩაი მაინც წარმოიშობა. მდგომარეობა უაღრესად გამწვავდა ტაჯიკეთში, იქმნება იმის საშიშროება, რომ რუსეთი სეპარატისტული ომების ალში გაეხვევა. ალბათ, ამის გამო უფროა დაინტერესებული რუსეთი, შეწყდეს კონფლიქტი აფხაზეთში. ომის გაგრძელება საქართველოს ეკონომიკას საბოლოო დანგრევით ემუქრება, აფხაზებს კი — საბოლოო ამოწყვეტით. ამდენად, ყველა მხარე დაინტერესდა კონფლიქტის შეწყვეტით, მაგრამ არის საშიშროება იმ ძალებისაგან, რომელთაც არ აწყობთ ომის დამთავრება. რომ კვლავ გაჩაღდეს სისხლისმღვრელი (ყოვლისმომცველი) ბრძოლები. არის კი პერსპექტივა სამხედრო გამარჯვებისა? აბა მოვუსმინოთ რუსეთის უშიშროების მდივანს ევგენი შაპოშნიკოვს: „თუ ქართველები მოიპოვებენ სამხედრო უპირატესობას, მაშინ აფხაზეთში ჩავლენ (ბლომად) მოხალისეები ჩრდილო კავკასიიდან, ეს კი რუსეთია და ფაქტიურად ომი გაჩაღდება რუსეთსა და საქართველოს შორის. თუ აფხაზები მოიპოვებენ სამხედრო წარმატებას, მაშინ ქართველები ატეხენ განგაშს გაეროსა და სხვა ქვეყნებში, როგორც საერთაშორისო სამართალსუბიექტი და საქართველოში ჩამოვლენ ჯარები, მხოლოდ არა რუსული და ეს გამოიწვევს უფრო ფართო მასშტაბის კონფლიქტს, ამდენად, მე ვერ ვხედავ ამ კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრას“. ასე რომ, ბატონი შევარდნაძე ნამდვილად სწორ გზას დაადგა, თუმცა აქ ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორები წარმოიშვა. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ გაერო კვლავ ზოზინობს და აყოვნებს მეთვალყურეთა და სამშვიდობო ძალების გამოგზავნას, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე თითქმის ყოველდღიურად გზავნის თხოვნას რათა დააჩქარონ ეს პროცესი. ვნახოთ რას იზამს ბატონი გაერო. კაცმა რომ თქვას, პლანეტას უფრო მოქნილი მოქმედების გაერო სჭირდება, ვიდრე ახლაა, თორემ ასეთი ზოზინით, შეიძლება თვით პლანეტის გადარჩენაც კი ვერ მოხერხდეს.

სამარცხვინო ხელისშემშლელი ფაქტორი წარმოიშვა სამეგრელოს რეგიონში. ჩვენს მიერ ხორცშესხმული, ლამის გმირად მონათლული ჭობალია ამხედრდა, თავისი ბატალიონები სენაკში შეიყვანა, გადაჭრა კავშირგაბმულობა თბილისთან, ულტიმატუმი წაუყენა აეროდრომის დაცვას, დალუქა სადაზვერვო სამსახურის სენაკის განყოფილება, წევოიღო კომენდატის საათი და დანიშნა კომენდატი, ახლა თვალი ფოთზე უჭირავს.

ქუთაისშიც გვარიანად აურიეს ზვიადისტებმა და თბილისსაც გადასწვდნენ, მიზეზი? არ უნდათ აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტა, მოითხოვენ ხელისუფლების გადადგომას და გამსახურდიას დაბრუნებას, აი რა დროს ეცნენ ყელში საქართველოს შინაური ყვარყვარეები.

სახელმწიფოს მეთაურს დიდი უფლებები მისცა პარლამენტმა და ხალხმა. ხალხი მოითხოვს ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს წესრიგის დამყარებას, მთავრობა მართლაც რომ უსუსური გამოდგა, ქვეყანაში ქაოსი გამეფდა.

სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივით დღეს, 5 აგვისტოს დანიშნულია პარლამენტის საგანგებო სხდომა, სადაც განიხილება ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო საკითხები, გამორიცხული არაა ხელისუფლების შეცვლაც.

პარლამენტის სხდომაზე ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო ანგარიშების განხილვას გვერდი აუარეს და ბევრმა პარტიამ და ფრაქციამ მოითხოვეს მთლიანად მინისტრთა კაბინეტის გადადგომა, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ედპ, ეროვნული დემოკრატები, ლიბერალები, მწვანეები, სახალხო ფრონტი, დამოუკიდებლები (ვინღა დარჩა?!) ზოგმა სახელმწიფოს მეთაურის გადადგომაც მოითხოვა. 5 აგვისტოს სხდომაზე ბიუჯეტი არ იქნა მიღებული და ბუნებრივია, მთავრობის გადადგომა-არგადადგომის საკითხს შეალიეს მთელი ძალღონე.

6 აგვისტოს 16 საათზე სხდომა გაგრძელდა და ყველას მოულოდნელად თენგიზ სიგუამ მთელი თავისი კაბინეტის გადადგომა გამოაცხადა.

ვინც ბევრს ყვიროდა მთავრობის გადადგომის შესახებ, ახლა პილატეს ცრემლები დაღვარა, ეს საქმეს ვერ უშველის და სახელმწიფოს მეთაურიც მივაყოლოთ, ანდა სულ გავაუქმოთ სახელმწიფოს მეთაურის პოსტიო. შევარდნაძემ სიტყვა აიღო და თვითონ

დააყენა თავისი ღობის საკითხი. ახლა წინადადებების ნიაღვარი წამოვიდა, არ უნდა დადგეს ეს საკითხიო (საკვირველია, ამ კაცს ვერც ელევიან და არც ასვენებენ). მწვანეების დაჟინებული მოთხოვნით კენჭი უყარეს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე დროებით თვითონ შეითავსოს პრემიერის პოსტი. 127—მომხრე, 10—წინააღმდეგი, 2-ჰა თავი შეიკავა, ასეთია შედეგი.

გუშინ გაეროს უშიშროების საბჭომ ხელი მოაწერა რეზოლუციას საქართველოში 88 მეთვალყურის გამოგზავნაზე. ღღეს მეთვალყურეთა პირველი ჯგუფის ჩამოსვლას მოელიან. ყოველი საათი გადამწყვეტია, რათა კონფლიქტის ზონაში რომ არ განაღლდეს შეწყვეტილი ცეცხლი. მოწინააღმდეგე სარგებლობს სხვათა ზოზინით და საფორტიფიკაციო ნაგებობებს აგებს, წისქვილკომბინატთან ცოცხალ ძალას უყრის თავს, შრომა-ახალშენის მიმართულებით ერთ-ერთი სიმაღლის აღებაც კი სცადა. ისმის კანტი-კუნტი სროლები ოჩამჩირის ფრონტებზე, ბესლახუბაში, არადუში, ცაგერაში. უკონტროლობას და დაუდევრობას შეუძლია სიტუაცია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს. სამეგრელოშიაც დრო იხელთეს ექსპრეზიდენტის ძალებმა და გვარიანად აურიეს. ახლა, როცა სახელმწიფოს მეთაურმა სადაეები აიღო ხელში, ხალხი ელოდება მისგან წესრიგის აღდგენას ქვეყანაში.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, იქნებ თავი მოგაბეზრეთ ერთი და იგივე მომენტის, მოვლენის თუ ამბის ხშირი გამეორებით, გაწყმუნებთ, ყოველივე ეს გამოწვეულია თვით იმ მოვენტების, მოვლენებისა, თუ ამბების გამეორებებით, რომელთაც ასე უხვად ჰქონდა ადგილი აფხაზეთში ომის მთელ პერიოდში, მისი დაწყებიდან, ვიდრე დამთავრებამდე.

ამჯერად უფალმა ინებოს, ომი დამთავრებულად ჩავთვალოთ, აღარ შევუდგებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ ვინ წააგო ან, ვინ მოიგო ომი, თუმცა, ადამიანებში როგორც ყოველთვის, სხვადასხვა აზრი თუ არ ჩამოყალიბდა, მაშინ რისი „ქართველები" ვიქნებით?! ამ საქმეში მაინც გვიკავია მსოფლიოში პირველი ადგილი. ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებას ზოგმა „კაპიტულაცია" დაარქვია, ზოგმა „გამყიდველობა", ზოგმა რა და ზოგმა რა... ისტორიისათვის ამას მაინცდამაინც არა აქვს დიდი მნიშვნელობა.ერთი რამ მაინც გაირკვა და გამოიკვეთა—ვინ, ვინ არის და ვის, რა ზრახვები აქვს...

ამგვარად ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება ხელმოწერილია. სახელმწიფოს მეთაურმა თვითონ აიღო თავისთავზე პასუხისმგებლობა ამ შეთანხმებისათვის, თუ როგორ და რა გზით მოახერხებს ბატონი მეთაური ერთის მხრივ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და მეორეს მხრივ, გაგრისა და გუდაუთის ზონაში, შრომასა და კოჩარაში, აგრეთვე სხვა ადგილებში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას და ამით აფხაზთა მიერ განზრახულ ეთნიკური წმენდების თავიდან აცილებას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჩავთვალოთ რომ ომი დამთავრდა აფხაზეთში... თუმცა გული რაღაცას ავისმომასწავებელს გრძნობს. არადუ-ცაგერამ ამ ომში შეინარჩუნა ორი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და მისი შემდგომი სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. ეს ფაქტორებია: პირველი — მტრის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა და თავისთავადობის შენარჩუნება და მეორე — არანაკლები) ქართულ-აფხაზური ტრადიციული ურთიერთობის შენარჩუნება...

აქ ჩვენ ვწყვეტთ დღიურების წერას, რამეთუ ზარბაზნების გრუხუნი აფხაზეთში დამთავრებულად მიგვაჩნია...

დიახ, ვწყვეტთ საშინელ ამბავთა თხრობას, რომელნიც ომმა მოიტანა, დანარჩენ ამბავთა და საშინელებათა გარკვევა გამოძიებას მივანდოთ.

ამის შემდეგ თუ როგორ განვითარდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობა განზრახული მაქვს მეორე წიგნში აღვწერო.

საუბედუროდ წერის შეწყვეტა ნაადრევად მომიხდა. ერთ თვეზე მეტი გავიდა, რაც დღიურების წერა დავამთავრე, წიგნი დავხურე და იმის იმედით, რომ ომი ნამდვილად დამთავრდა, დასასვენებლად გავემგზავრე...

მოხდა მოულოდნელი რამ, თუმცა საქართველოს ისტორიისათვის მაინცდამაინც ეს ამბავი მოულოდნელად ვერ ჩაითვლება, ბატონი ლევან სანიკიძე თავის წიგნში „309 ქართული სირცხვილი“ მიმოიხილავს ქართველთა მიერ ერთმანეთის ძიძგნას ფარნაოზ მეფიდან დაწყებული ვიდრე ჟორდანიამდე. ამის შემდეგ ბატონ ლევანს აღარ გაუგრძელებია სირცხვილთა ჩამოთვლა, ვიდრე დღემდე, როგორც ჩანს, მან შეგნებულად აარიდა თავი ამის გაკეთებას, რად-

გან ჟორდანიადან დღემდე შესაძლებელია მეორე 309 სირცხვილი დაემატებოდა და ეს მეტისმეტი გამოვიდოდა. არა მგონია, პლანეტაზე მეგულებოდეს სხვა ხალხი, გარდა ქართველებისა, ასე გულმოდგინედ რომ ანადგურებდნენ ერთმანეთს. დიახ, ამის დაწერას მოერიდა ლევან სანიკიძე უთუოდ. ჩვენ ჩვენის მხრივ ვერ ავუვლით გვერდს იმის შეხსენებას, რომ ის, რაც მოხდა ამ დღეებში, უთუოდ აღემატება სირცხვილთა შორის ყველა სირცხვილს.

აფხაზეთში მიღწეული იქნა მორიგება ცეცხლის შეწყვეტაზე 1993 წლის 27 ივლისს, ხალხმა შვებით ამოისუნთქა, თუმცა მავანსა და მავანს, რომელთაც არ განუცდიათ ომის საშინელება, არ მოეწონათ ცეცხლის შეწყვეტა აფხაზეთში. მთელი პასუხისმგებლობა ცეცხლის შეწყვეტაზე თავის თავზე აიღო სახელმწიფოს მეთაურმა იმ იმედით, რომ ჯერ ერთი, ბოლოს და ბოლოს რუსეთმა იკისრა მედიატორის როლი და მოგვევლინა „ცრუგარანტად" შეთანხმების დაცვისა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. მეორეც, გაერომ მიიღო გადაწყვეტილება ჯერ მეთვალყურეების, შემდეგ კი სამშვიდობო ჯარების გამოგზავნის შესახებ.

და აი, არ გასულა ორი კვირაც კი აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტიდან, რომ მთელი ძალით ამუშავდა „კოალიცია" გროზნო-გუდაუთა, ზუგდიდი—თბილისური პარლამენტი (ფრაქციები).

ზუგდიდში ყოფილი პრემიერის ბესარიონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით ბინა დაიდო ექსპრეზიდენტის მორჩილმა უზენაესმა საბჭომ. 2 სექტემბერს ჩატარდა სესია, რომელსაც დაესწრო 62 დეპუტატი, ქვორუმის შემადგენლობაზე გაცილებით მეტი. სესიამ თხოვნით მიმართა პრეზიდენტ გამსახურდიას დაბრუნდეს საქართველოში და განაგრძოს თავისი მოვალეობის შესრულება.

როგორც ცნობილია, აქ უკვე დამკვიდრდა და თავის მოვალეობას ასრულებს დევნილი მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის მეთაურობით.

ქვემოთ ვაქვეყნებ რეგიონიდან მიღებულ რამდენიმე ინფორმაციას.

უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქართველოში ფუნქციონირების აღდგენის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შეუდგეს ფუნქციირებას საქართველოს ტერიტორიაზე.

2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დევნილობიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას, დაბრუნდეს დევნილობიდან საქართველოში და განაგრძოს თავისი უფლება-მოსილების შესრულება.

2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე

მოხსენებითი ბარათი

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრს
ბატონ ბ. გუგუშვილს

მოგახსენებთ, რომ 1992-1992 წლებში ჩვენი ოპერატიული მომსახურების რაიონების (ზუგდიდი, ხობი, წალენჯიხა) ტერიტორიაზე მომხდარი სხვადასხვა დივერსიული აქტების—აფეთქებები, ხანძრები, ასევე სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტებიდან სხვადასხვა სახის ტვირთების დატაცების ფაქტების გარშემო, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ზუგდიდის რეგიონული განყოფილების მიერ ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა, ამდენად, აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ორგანიზატორთა და კონკრეტულ შემსრულებელთა შესახებ რაიმე ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის ბრძანება, ჩაკეტილიყო საავტომობილო გზები ფოთი-თბილისი და ზუგდიდი-თბილისი მიმართულებით, განყოფილებას არ გააჩნია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამდაგვარი ინფორმაცია ჩვენს მიერ არცერთ ინსტანციაში არ გადაცემულა.

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების უფროსი თ. გაბუნია

1.09.93 წ.

ზუგდიდში მიღებულმა დადგენილებამ შესრულებაც არ დაყოვნა და დაიწყო მისი ეტაპობრივი განხორციელება. თუ არსებობს ხელისუფლება და მას სახელმწიფოს მართვის პრეტენზია აქვს, ბუნებრივია, მას უნდა ჰყავდეს რეგულარული ჯარი, პოლიცია, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მთელი თავისი ატრიბუტებით. ფაქტიურ ხელისუფლებას, უნდა თუ არ უნდა ეს, ექსპრეზიდენტის მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენს ქობალიას სამხედრო ფორმირებები. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას დავარქმევთ ამ ხალხს უკანონო ფორმირებებს, ყაჩაღ-ბანდიტებს თუ კიდევ რაღაცას. ერთი რამ ფაქტია, რომ ასეთი საჯარისო შენაერთი (რომლის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით შეიარაღებაში ლომის წილი უდევს ყოფილ თავდაცვის მინისტრს კიტოვანს) სამდვილად არსებობს და მათ რიგებში გაერთიანებულნი არიან ბატალიონები არა მარტო საქეგრელოდან, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან, მათ შორის აფხაზეთიდანაც.

გამსახურდიას მმართველობის დროს ლოთი ქობალიას თავდაცვის სამინისტროში (რომელსაც კიტოვანი თავკაცობდა) კადრების სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა.

ქობალია დაუყოვნებლივ გადავიდა მოქმედებაზე. ჯერ სენაკი დაიკავა (თოფის გაუსროლელად) შემდეგ ხობი და აბაშა, ალყაში მოაქცია მარტვილი, ფოთი; ცხენისწყალი მეორე გუმისთად გადაიქცა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გუმისთასთან აფხაზები ებრძოდნენ ქართველებს, ცხენისწყალთან კი გაღმითა და გამოღმით თვითონ ქართველები განლაგდნენ ერთმანეთის დასახოცად, კიდევ მეტი, ქობალიას ნაწილებმა გადმოლახეს რიონი, აიღეს სოფელი ჯაპანა და დაემუქრნენ ჩოხატაურს, გადაკეტეს ბათუმის რკინიგზის მაგისტრალი, ხოლო ხონისა და მარტვილის საზღვართან უკვე მოხდა პირველი „საბრძოლო“ ნათლობა. ამის შემდეგ კი გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა სამტრედიის მისადგომებთან ცხენისწყლის სიდთან.

ქობალიას შენაერთების გეგმა ასეთი იყო: აიღონ ვანი, ჩოხატაური, ზესტაფონი, ააფეთქონ წიფის გვირაბი, ალყაში მოაქციონ ქუთაისი და იქ ჩამოაბრძანონ პრეზიდენტი, ამით დაამთავრონ მოქმედების პირველი ეტაპი — გათიშონ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, აიღონ ფოთი და შემდეგ კი შემოიერთონ აჭარა.

ეს ყველაფერი მოხდა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.

შეთქმულებამ კულმინაციას 14 სექტემბერს მიაღწია, როცა ე. შევარდნაძე აიძულეს პარლამენტის სხდომაზე თავისი გადადგომა გამოეცხადებინა, რადგან მან საგანგებო წესების შემოღება და დროებით პარლამენტის მუშაობის შეჩერება მოითხოვა. შევარდნაძემ პარლამენტის სხდომა დატოვა.

რუსეთის დიდმა სადესანტო გემმა (ქართული მიამიტობას წყალობით) სამი რეისი გააკეთა სოხუმსა და ფოთს შორის და ჩვენი საბრძოლო პოზიციებიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის უკანასკნელი ერთეული გადაიტანა. თუ სადმე ლაფში ჩარჩა ოჩოფეხა ქვემეხები, იმათაც საკეტები მოხსნეს (ქართველებმა) და შესანახად მიაბარეს დიდად პატივცემულ და მთელ მსოფლიოს წინაშე აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის ნაფიც გარანტს, „ძია ივანეს“ (რუსეთს). „ძია ივანეს“ კი გუდაუთისკენ მიმართული ცალი თვალი დახუჭული ჰქონდა, სამაგიეროდ მეორე თვალს, რომელიც ქართველთა მხარისაკენ ჰქონდა გადმოკარკლული, არც კი ახამხამებდა, ისე ჰქონდა გაღებული მთელი ამ ხნის განმავლობაში. ის კი არა, იმ გადმოკარკლულ თვალზე „ტელესკოპი“ მოირგო და თუ პოზიციაზე ქართველი ჯარისკაცი გამოჩნდებოდა, უმალ განგაშს ასტეხდა ოსტანკინოს კოშკის კენწეროზე შემჯდარი. ასე რომ, ქართული პოზიციები სრულიად შიშველი დარჩა. „ძია ივანეს“ იმ დახუჭული თვალის მიღმა კი სრულიად სხვა რამ ხდებოდა: მძიმე ტექნიკისა და არტილერიის არცერთი ერთეული არსადაც არ გაუტანიათ: ისე, თვალის ასახვევად, ზოგი სად შემალეს და ზოგი—სად. რასაკვირველია „თივის ზვინში ნემსებს“ როგორ დაინახავდა პატივცემული „ივანე“ არც გაეროს მოუკლავს ბევრად თავი, მაინცდამაინც დაეჩქარებინა თავისი მეთვალყურეებისა და სამშვიდობო ძალების გამოგზავნა აფხაზეთში.

იმით გახარებულმა ათასობით ლტოლვილმა, რომ ომი აფხაზეთში დამთავრებულად ჩათვალეს, დაბრუნება იწყო უკან. ბავშვებისა და ხალხის ჟრიამული მოედო სოხუმს, ოჩამჩირეს, მათ მიმდებარე დასახლებულ პუნქტებს, პირველ სექტემბერს სწავლა დაიწყო სოხუმის უმაღლეს სასწავლებლებში. გამოცოცხლდა ქალაქები, დაიწყო აღმშენებლობითი მოძრაობა.

ამასობაში „ძია ივანეს“ დახუჭული თვალის შემწეობით, რომელსაც ხანდახან თუ გაახელდა და იმ წამსვე დახუჭავდა, გუდა-

უთელი მელია თავის საქმეს აკეთებდა. ჯერ იყო და დაიწყო შემორჩენილ ქართველთა დეპორტაცია და ფაქტიურად ეთნიკურად გაწმინდა თავის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორია. შემდეგ კი, ისარგებლა რა ქართველთა ურთიერთ ძიძგნით აბაშასა და სამტრედიას შორის, „ძია ივანეს“ დახუჭული (მაგრამ ვერაგი) თვალით და გაეროს უსაშველო მთქნარება-ზოზინით ახალი სისხლიანი ტრაგედია დაატრიალა აფხაზეთში...

1993 წლის 16 სექტემბერს დილის 5 საათსა და 30 წუთზე, როცა, როგორც იყო „დამთავრებულ“ ომში გაწამებულ უიარაღო ხალხს მშვიდად სძინავდა, აფხაზებმა (და მათთან მყოფმა ათასი ჯურის მანიაკმა) არტილერიისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით გამანადგურებელი შეტევა განახორციელეს ოჩამჩირის მიმართულებით რამდენიმე ფრონტზე; ტყვარჩელის მხრიდან ბესლახუბაზე, ჭლოუს მხრიდან (მერკულასა და არადუზე, კოჩარისა და კუტოლის მხრიდან ტამიში—ცაგერას, არადუს მონაკვეთზე, ათარის მხრიდან კინდღი-ახალდაბის მონაკვეთზე. ჯერ ააფეთქეს ტამიშის ხიდი, დაიკავეს მაიმუხთსაშენი, შეუტიეს და აიღეს ცაგერა, იმავდროულად ჭლოუს მხრიდან აიღეს არადუ, მოსახლეობას დაუშინეს მძიმე არტილერია და ცეცხლს მისცეს სახლები, აიყვანეს მძევლები.

ქალები და ბავშვები გაიგდეს წინ და დაიძრნენ მოქვის ხიდის გავლით ოჩამჩირისაკენ, ანალოგიურ დღეში ჩააგდეს მერკულა. მტერი ოჩამჩირის მისადგომებთან გავიდა აღმოსავლეთიდან. იგივე გაკეთდა ბესლახუბის მხრიდან. ქალაქი რკალში მოაქციეს. დასავლეთის მხრივ აიღეს ახალდაბა—აძუბჟა და ჩაკეტეს კოდორის ხიდი. ამგვარად ყოველგვარი მისასვლელი გზა მოეჭრა სოხუმს და ალყაში მოექცა. ოჩამჩირეში შეტევისთანავე გუმისთაზე გამოჩნდა თვალდახუჭულ „ივანეს“ მიერ გადამალული მძიმე ტექნიკა (თუმცა გულახდილად უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ ბატონ „ივანეს“ ცალი თვალი ჰქონდა დახუჭული, საუბედუროდ ქართველებს ორივე თვალით ეძინათ მთელი ამ ხნის მანძილზე. დაიწყო სოხუმისა და ოჩამჩირის ბარბაროსული დაბომბვა. იმავდროულად მტერმა შეიოუტია სოხუმს ჩრდილოეთის მიმართულებით და მოკლე დროში ძალზე მოუახლოვდა ქალაქს ჭანბასა და ძიძარიას ქუჩების დასაწყისში.

შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად განგაში ასტეხა და დაუყოვნებლივ სოხუმს ეწვია. მან ქართველ ხალხს მოუწოდა,

ვისაც ბრძოლა შეუძლია და ბარაღი აქვს, გაეშურონ აფხაზეთს ხოხუმის გადასარჩენად, ქუდზე კაცს მოუხმო.

გაეროს ეგრეთწოდებულმა მეთვალყურეებმა, მათ შორის რუსებმაც, როგორც იყო დააფიქსირეს აფხაზთა მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეში დარღვევა. ამის შემდეგ, „ძია ივანემ“ წყალობა მოიღო და ქართველებს გადასცა მათი ოჩოფეხა ქვემეხების საკეტები, სამაგიეროდ, შინ გაიწვია მეთვალყურენი და უარი თქვა თავისი ნაწილების გამოყენებაზე მშვიდობის აღსადგენად. ამდენად ბრძოლის მთელი სიმძიმე რუსეთმა ქართველებს შეატოვა შიშველ ხელებში კბილებამდე შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ. ისე, როგორც ასპინძის ომში ტოტლებენმა მიატოვა ერეკლე მეფე თავისი მცირეოდენი მეომრებით თურქთა აურაცხელი ლაშქრის წინააღმდეგ. მაშინ ერეკლე მეფე არ დაბნეულა, მხი მცირე ლაშქრით სასტიკად დაამარცხა თურქები და ასპინძის ომი ბრწყინვალედ მოიგო.

და მოხდა სენსაცია—ლოთი ჭობალიამ თავისი შენაერთები დაძრა აფხაზეთისაკენ. იქნებ უფალმა ინებოს, საქართველოს აღუვლინოს ლოცვა და დაუმკვიდროს გამარჯვების მომტანი ორი ფაქტორი: სრულიად ქართველთა გამთლიანება და აფხაზეთში გამარჯვება; დავველოდოთ მოვლენებს. მართალი გითხრათ, ძალიან ვეჭვობთ, რომ ჭობალია თავისი პატრონის გავლენით ღალატისაკენ რომ არ გადაიხრება და შეიძლება მან აფხაზეთი მთლიანად დაგვაკარგვინოს... ისევ რამდენიმე დღიური...

21 სექტემბერი.

აღარ მეგონა, თუ კალამს ისევ ავიღებდი ხელში ამ ომის თემაზე დღიურების საწერად. განსხვავება წინა დღიურებსა და აწინდელ დღიურებს შორის, ბუნებრივია, ერთობ დიდი იქნება და ამას ნუ მიწყენ, ბატონო მკითხველო, თუმცა, ბევრი იმედი არც იმისა მაქვს, საერთოდ ეყოლება თუ არა მკითხველი ამ ნაწერებს. ისე აირია ქვეყანა, ვინ იცის, მათ რა ბედი ეწევათ; იქნებ ვინმე ვიგინდარამ, თუნდაც „ხოშისათვის“, ტყვია დამახალოს შუბლში და ეს ნატანჯი ფურცლები ფერფლად აქციოს, წყალს გაატანოს ანდა სანაგვეში გადაუძახოს.

თუ თერთმეტი თვის განმავლობაში ჩემს საყვარელ არადუში დავეხეტებოდი და დღედაღამ სანგარსა თუ აივანზე მდგარი თვალ-

ხილულ ამბებს ვაფიქსირებდი, ამჯერად ამ სტრიქონებს ბორჯომის ერთ-ერთ სანატორიუმში ვწერ უმთავრესად, არა უშუალოდ ნახულზე, არამედ უმეტესად საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით და ზოგჯერ ჩემი გარემოცვის მითქმა-მოთქმის მიხედვით. ჩემი გარემოცვა კი გაუბედურებული ლტოლვილები არიან, უმეტესად ცხინვალიდან, არიან გაგრიდანაც, ოჩამჩირიდანაც, სოხუმიდან, კოჩარიდანაცაა ერთი ოჯახი. უმეტესობა მათგანი ქალები, ბავშვები და მოხუცებია, თუმცა ჯენტლებიც გვირევია. ზოგი (საუბედუროდ უმცირესობა) საღად მსჯელობს, უმეტესობა ლაზღანდარობს—ზოგი ვის ადანაშაულებს და ზოგი ვის; ყველაზე დიდი ყურადღება გადატანილია იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს ჰამეგრელო. საქართველოს ხსნა ახლა, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ქართველთა გაერთიანებაშია. სიხარულით ცას ვეწიე დღეს, რომ პირველ საარმიო კორპუსის ნაწილებთან ერთად მტერს გააფთრებით შეუტია ქობალიას რაზმებმა ოჩამჩირის რაიონში და დაიკავა ტამიში, ვითომ? ახლა ემზადება კინდღზე და ახალდაბაზე შესატევად, რათა გახსნას კოდორის ხიდზე გასასვლელი და მიეშველოს სოხუმის დამცველებს. სოხუმი კი გმირულად იცავს თავს პირველი მხედართმთავრის ბატონი გიორგის მეთაურობით.

მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა აფხაზეთისაკენაა მიქცეული. ყველა ქვეყანა გმობს აფხაზთა მიერ შეთანხმების უხეშ დარღვევას. რუსეთის მთავრობაც კი შეშფოთებულია აფხაზეთის მოვლენებით და მსოფლიო აზრის დაწოლის გამო, რაღაც სანქციებიც კი შემოიღო გუდაუთის მიმართ (თუ მათ დაეჯერებათ).

ყველაზე დიდი სენსაცია მაინც ის იყო, რაც დღეს რუსეთში მოხდა.

პრეზიდენტმა ელცინმა უკანასკნელი გაბედული ნაბიჯი გადადგა—გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად დღეიდან დათხოვნილია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭო და დანიშნულია მისი ვადამდელი არჩევნები 1993 წლის 11-12 დეკემბერს. უფლებამოსილება უწყდებათ დეპუტატებს. პრეზიდენტმა ხალხს მიმართა რადიოთი და ტელევიზიით და დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა.

პრეზიდენტის ბრძანებულებამ დაუყოვნებლივი რეაქცია გამოიწვია უმაღლეს საბჭოში, პოლიტიკაში გაქნილმა ხაზბულატოვ-

მა არ დააყოვნა, პრეზიდენტის ბრძანებულება ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადა. სასწრაფოდ შეკრიბა უმაღლესი საბჭო და პრეზიდენტად დანიშნა ვიცეპრეზიდენტი რუცკოი, ხოლო თანამდებობიდან გაათავისუფლა პავლე გრაჩოვი და მის მაგივრად დანიშნა კაჩალოვი.

თავის მხრივ პრეზიდენტმა ელცინმა კატეგორიულად მოითხოვა. რომ ყველა ის, ვინც ხელს შეუშლის მისი ბრძანებულების შესრულებას, ჩაითვლება სისხლის სამართლის დამნაშავედ, აქედან გამომდინარე შედეგებით. რუსეთში ვითარება უაღრესად დაიძაბა. ალბათ, ახლა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას სახელმწიფო სტრუქტურებმა: არმიამ, პოლიციამ, სადაზვერვო სამსახურმა.

მსოფლიო საზოგადოება ჯერჯერობით ელცინის რეფორმების მომხრეა. თუ ელცინი გაიმარჯვებს, ეს შეიძლება საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგეს და თუ პირიქით მოხდება, მაშინ რუსეთში სამოქალაქო ომი და რღვევა გარდუვალი გახდება...

ოი, ჩემო ვრაცალტანჯულო საქართველო! დაგიდგა ჟამი არნახული შავბედობისა, უფალო, გადაარჩინე ჩემი გატანჯული ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან!

ცნობა მოვიდა აფხაზების მიერ ახალი ვანდალური აქტების ჩადენისა აჩადარასა და ახალდაბაში. აიღეს რა ახალდაბა, სოფლის მთელი ქალები, ბავშვები და მოხუცები, სულ 650-მდე ადამიანი შეჰყარეს სოფლის სტადიონზე. ბევრ მათგანს ავტომანქანების საბურავები წამოაცვეს კისერზე და ისე ჰყავთ მძევლებად აყვანილი. ქართველთა შეტევის შემთხვევაში მათი დახოცვით იმუქრებიან. არადა, საავტომობილო ტრასა, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა გახსნან ჩვენმა ნაწილებმა ახალდაბის ცენტრში გაივლის, იქვე ჭრთიოდე კილომეტრის დაშორებითაა კოდორის ხიდი. ვნახოთ, რა მოხდება...

აფხაზური კატარღიდან ნასროლი თბური დამიზნების რაკეტით დღეს სოხუმში ჩამოაგდეს სოჭიდან სოხუმში მომავალი თვითმფრინავი „ტუ 134“ რომლის ბორტზე იმყოფებოდა 25-მდე ადამიანი. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა, დაიღუპა ყველა.

ამ დილით „მაიაკი“ გადმოსცემდა, რომ ქართველებმა ჩამოაგდეს სოხუმის თავზე შემოფრენილი ორი თვითმფრინავი „მიგ-29“

და „სუ-25“, რომლებიც ქალაქს ბომბავდნენ. ქართული წყაროები არაფერს იუწყებიან ამის შესახებ. აფხაზებს ავიაცია არ ჰყავთ.

ხვალ დილით საქართველოს ქალები დაიძრებიან თბილისიდან აფხაზეთისაკენ. მსოფლიო პრაქტიკაში ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა. ვნახოთ, როგორ გაუმასპინძლდებიან აფხაზები ქართველ ქალებს, თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, როგორ გაუმასპინძლდნენ ისინი გაგრაში ერთ ორსულ ქალს, რომელიც სტადიონზე გაჭრეს, მუცლიდან ბავშვი გამოიყვანეს (ბიჭი) და დახერიტეს. ამით მათ ქართულ გენს ესროლეს, მაგრამ რა იციან ამ უბედურებმა, ქართულ გენს გადაშენება რომ არ უწერია?!

ვწერ, ვწერ და არ მშორდება აქვიატებული აზრები ჩემი არადუს შესახებ. არ ვიცი, რა ბედი ეწია არადუს, სად არიან ბადრი, ტატიანა, ხათუნა, ნუთუ ჩვენი სახლ-კარი გადაწვეს ვანდალებმა? ჩვენ ხომ ბევრი რამ გავაკეთეთ იქ მცხოვრები აფსაზებს გადასარჩენად? დააფასებდნენ კი ისინი ამაგს? არა მგონია, ასეთი რამ მათ არ იციან, იქნებ იმ წმინდა წიგნმა „ბიბლიამ“, რომელიც ჩემს სამუშაო მაგიდაზე დავტოვე შინ, გადაარჩინოს ჩემი არადუ და ჩემი სახლ-კარი. ძილი გამიტყდა, ვნატრობ, ისევ ფრონტზე წასვლას, მაგრამ ავადმყოფობა მიშლის ხელს. მაინც უნდა წავიდე როგორმე...

22 სექტემბერი.

ორი დღეა, რაც საგანგებო წესების მოქმედება დაიწყო საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ქვეყანა ნელა, მაგრამ მაინც გადადის სამხედრო რელსებზე,

აგერ, დღის 12 საათია და შეშფოთებული ვუსმენ უცნობი მეხის მიერ ნაჩუქარ სახელდახელოდ აწყობილ რადიომიმღებს და შეშფოთებული ვარ იმით, რომ კავშირი დილიდანვე გაწყვეტილია სოხუმთან. ოჩამჩირეში ამ წუთას დაუკავშირდნენ გამგებელს ხუტა გუგუჩიას. საბედნიეროდ, კარგი ამბავი გადმოგვცა, ჩვენი ნაწილები უკვე კინდღს მიუახლოვდნენო, მართალი არ გამოდგა ხიდების აფეთქება მდინარე ტავიშზე. ახლა შეტევის მთავარი მონაკვეთი წინაა: კინდღი—ახალდაბა—აძუბჟა—კოდორი, ამის შემდეგ სოხუმს მიუვა დამხმარე ძალები; მთავარია, მანამდე არ დაეცეს სოხუმი.

ამ დილით ქალები ფეხით დაიძრნენ თბილისის რესპუბლიკის მოედნიდან რკინიგზის ვაგზლამდე. იქიდან კი სამი შემადგენლობით აფხაზეთისაკენ მიემართებიან, გზადაგზა მათ შეუერთდებიან მოხალისე მანდილოსნები.

საღამო ხანია, როგორც იყო გავიგეთ, რომ გააფთრებული ბრძოლების დროს ტამიშის მიდამოებში გაწყდა საერთაშორისო კავშირის ხაზი, რამაც გამოიწვია კავშირის გაწყვეტა სოხუმსა და თბილისს შორის. დღეს მტერს გადაწყვეტილი ჰქონია გენერალური შეტევა სოხუმზე, ამავე დროს, მას უნდა დაეკავებინა სოხუმის აეროპორტი, მაგრამ ეს არ მოხდა. ქართველმა მეომრებმა აეროპორტიც დაიცვეს და სოხუმიც, კიდევ მეტი, ცალკეულ უბნებზე წინაც კი წაიწიეს რამდენიმე ასეული მეტრით.

ოჩამჩირე-სოხუმის ტრასაზე მიმდინარე ბრძოლებს ერთობლივად ანხორციელებს პირველი საარმიო კორპუსი და პოლკოვნიკი ჭობალია. ისინი ამჟამად იბრძვიან კინდღის მიდამოებში ერთ-ერთი მაღლობის დასაკავებლად, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს კინდღიდან, ვიდრე კოდორამდე. ეს მაღლობი მდებარეობს ტამიშის გაგრძელებაზე ძველი კინდღის შესასვლელში, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ახალღაბაც და სოხუმიც.

23 სექტემბერი.

სოხუმთან პირდაპირი კავშირი კვლავ გაწყვეტილია. დამყარებულია რადიოკავშირი. გადმოსცემენ, რომ მოწინააღმდეგემ სოფელ შრომის მიმართულებით უკან დაიხია. გუმისთაზე მიმდინარეობს პოზიციური ბრძოლები. ძალიან უჭირს გულრიფშის რაიონს, კერძოდ აეროპორტს, გუშინ ზღვიდან გასროლილი რაკეტით კიდევ ერთი ჩვენი სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-154“ ჩამოაგდეს, რომელიც თბილისიდან მოფრინდა, მგზავრების უმეტესობა დახოცილია.

სოხუმს ჰაერიცით ესაჭიროება დახმარება ოჩამჩირის მხრიდან, მტერი გააფთრებული წინააღმდეგობას უწევს ჩვენი ჯარების წინსვლას.

საღამოს 10 საათისათვის გადმოსცეს „ელვა“, რომ ჩვენი ჯარები მიადგნენ კოდორის ხიდს და აწარმოებენ მის გაწმენდას. ამ დილით გუგუჩია გვაუწყებდა, რომ წუხელ მთელი ღამე მძიმე ბრძოლები

მიმდინარეობდა კინდღის მიდამოებში. ბოლოს და ბოლოს, დღეს უნდა გადაწყდეს ძირითადად რისი გამკეთებელნი არიან ჩვენი ჯარები.

ახლა რუსეთში ორი პრეზიდენტია—ელცინი და რუცკოი, ორი თავდაცვის მინისტრი—გრაჩოვი და კაჩალოვი, ორი შინაგან საქმეთა მინისტრი და ა. შ. გრაჩოვი აცხადებს, რომ იგი და მისი ჯარები დაიცავენ ნეიტრალიტეტს, მაგრამ თუ შეატყობს, რომ რაიმე წინააღმდეგობებს ექნება ადგილი, „არმია პირისაგან მიწისა აღგვის ყველაფერს“ (მისი სიტყვებით).

მრავალი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა საქართველოს პარლამენტის სპიკერის, ვახტანგ გოგუაძის წერილი პარლამენტის წევრებისადმი, რომ საქართველოსათვის აუცილებელია გახდეს ე. წ. „ესენგეს“ წევრი. ბატონმა გოგუაძემ ხატზე დაიფიცა, რომ ეს მხოლოდ მისი პირადი მოსაზრებაა და ამის შესახებ არაფერი იცის სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემო. საქართველოს „ესენგეში“ შესვლის იდეა, რასაკვირველია, დადებითად შეაფასა რუსეთის ხელისუფლებამ, სამაგიეროდ გაცოფდნენ „ესენგეში“ შესვლის მოწინააღმდეგენი საქართველოში.

გოგუაძეს მაინც მიაჩნია, რომ საქართველოს თუნდაც ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზაა თანამეგობრობაში შესვლა... ვინ იცის, იქნებ ეს უკეთესი გამოსავალი იყოს საქართველოს ფეხზე დადგომისათვის. ახლა ხომ ამ გაერთიანებაშია გაწევრიანებული ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა და განა საქართველოზე ნაკლებად მოიპოვეს მათ მსოფლიო აღიარება?

ამ დღეებში აფხაზმა „ბოევიკებმა“ სოხუმის ზოგიერთ საცხოვრებელ კვარტალებშიაც შემოაღწიეს. გუშინ თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილის მეთაურობით მოეწყო მათგან ქალაქის გაწმენდა, რაც წუხელიც გრძელდებოდა. მტერი ჯიუტად ცდილობს ქალაქის შტურმით აღებას და თანდათან ავიწროებს რკალს, იმავდროულად განუწყვეტელი იერიში მიაქვს აეროპორტზე, გუშინ დაჯდომისას უკნიდან ნასროლი თბური რაკეტით შუაზე გახლიჩეს სამგზავრო „ტუ-154“, რომელსაც მედიკამენტები და პროდუქტი მოჰქონდათ თბილისიდან. მფრინავმა მაინც მოახერხა ნახევრად დამწვარი თვითმფრინავის საფრენ ბილიკზე დასმა, თუმცა 45-მდე მგზავრი დაიღუპა.

აეროპორტის დასაცავად გაგზავნეს სამხედრო „სუ-25“, რომე-

ლიც იქვე ჩამოაგდეს ზღვიდან თბური დამიზნების რაკეტით. „თვითმფრინავს გამოცდილი მფრინავი მართავდა, მისი ჩამოგდების საშუალებები აფხაზებს არ გააჩნდათ, სავარაუდოა, რომ თვითმფრინავი ჩამოაგდეს ბომბორიდან გადაცემული იარაღით. ამ თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანება არ გაუცია არც ელცინს და არც გრაჩოვს, მაგრამ ასეთი ბრძანება შეიძლება გაეცა ყოველ ადგილობრივ გენერალს, ვისაც ამ იარაღისათვის ხელი მიუწვდებოდა“,—განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიკვაიძემ მთელ მსოფლიოს ამცნო, თუ რას სჩადიან აფხაზი სეპარატისტები, მაგრამ მსოფლიო (ჯერჯერობით) მხოლოდ თანაგრძნობის თავის ქნევით კმაყოფილდება და არავითარ პრაქტიკულ ღონისძიებებს არ ახორციელებს. ამერიკის პრეზიდენტი ქლინტონი, დაჟინებით მოითხოვს ელცინისაგან, მიიღოს აქტიური ღონისძიებები აფხაზი სეპარატისტების მიმართ. იტყობინებიან, რომ ვიქტორ ჩერნომირდინის განკარგულებით მეხუთე დღეა აფხაზებს არ მიეწოდებათ ელექტროენერგია და ტყვია-წამალი (თუმცა, იქ ადრე შეზიდული ტყვია-წამლის მთელი არსენალი აქვთ აფხაზებს, თანაც უახლესი საბრძოლო ტექნიკაც.

შედარებით წარმატებით უტევს ოჩამჩირის მხრიდან პირველი საარმიო კორპუსი და ლოთი ქობალია. ამ დილით გადმოსცეს ცნობა, რომ მათ აიღეს ახალდაბა, აძუბჟა, შემოუტიეს სოფელ ვარჩიდან და ფაქტიურად ალყაში ჰყავთ მოქცეული მოწინააღმდეგე კოდორის ხიდთან... ესეც ერთი უდიდესი ყალბი ინფორმაცია თუ დეზინფორმაცია!

დღის 11 საათზე შემაშფოთებელი ცნობა გადმოსცეს, რომ ამ დილით მოწინააღმდეგემ გააფთრებით შემოუტია სოხუმს. სოხუმი იბომბება ყოველი მხრიდან, მტერმა შემოაღწია ცალკეულ კვარტალებში და საფრთხე შეუქმნა ქალაქს. ჩანაფიქრი ასეთია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, აიღონ სოხუმი, ვიდრე ოჩამჩირის მხრიდან გარღვეული იქნება გზა და შეუერთდებიან სოხუმის დამცველებს. ასე რომ სოხუმის ბედს საათები წყვეტს, ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მალე მოახერხებს ოჩამჩირის დაჯგუფება სოხუმში შესვლას.

დღის სამი საათია. ვერა და ვერ დაძლიეს ოჩამჩირიდან შემტევმა ნაწილებმა აძუბჟა-კოდორის მონაკვეთი.

შიმშილისაგან დაუძლურებული შვიდი ათასამდე მანდილოსანი

წყევლითა და მღვარით მიიწევს ფრონტისაკენ. ვაითუ ამ უბედურებს ჰგონიათ, შეაჩერებენ კაცუჰაიებს?! რა გარანტიაა, რომ იმათაც უყოყმანოდ არ დაუშინონ ცეცხლი? აკი რა ჩაიდინეს ახალდაბაში 18 სექტემბერს: აიღეს რა სოფელი, სამოცამდე ბავშვი და ქალი დახვრიტეს, დანარჩენი 650 სტადიონზე შეჰყარეს და ჯერაც არ ვიცით, თუ რა ბედი ეწვიათ მათ.

შემტევი ნაწილების ზოზინით კარგად სარგებლობს ბრძოლაში გაწაფული მტერი და ბრძოლები სოხუმის ქუჩებში გადაექცს,...

ფეხს ითრევენ სახსრების შეგროვებაში ქართველი ბიზნესმენებიც, 160-ზე მეტი კომერციული ბანკიდან, რაღაც ცოტაოდენი, სახსრები მხოლოდ ექვსმა გაიღო (ჯერჯერობით), ოჰ, როგორ ეზარებათ ამ გაზულუქებულ, დოლარებს დახარბებულ ბიჭებს თუნდაც ერთი დოლარის ჯიბიდან ამოღება იარაღის შესაძენად. მარტო თბილისში 15 ათასზე მეტი კერძო ავტომატი დევს სახლებში (საქართველოში კი ნახევარ მილიონამდე), მაშინ, როცა ფრონტზე ბიჭებს იარაღი არ აქვთ. ჯერ კიდევ შორსაა ქართველი კაცი იმის გაცნობიერებისაგან, თუ რა ხდება საქართველოში...

საღამოს ექვსი საათია. თუ საინფორმაციო წყაროებს დაეუჯერებთ, სოხუმი არნახული გმირობით იცავს თავს. ქალაქის გმირი დამცველები შეუჩერებლად წმენდენ ქალაქის ქუჩებს იქ შემოჭრილი ბანდებისაგან. ცალკეულ უბნებზე შეტევაზე გადადიან და უკან ახევინებენ მათ. ქალაქი ჯერჯერობით ფეხზე დგას. დამაიმედებელი ცნობა მოვიდა ოჩამჩირიდანაც. იუწყებიან, რომ ლოთი ქობალიას ტანკებმა ახალდაბის მისადგომებთან გაარღვია აფხაზთა თავდაცვა და მნიშვნელოვნად წაიწია წინ კოდორისაკენ, ესეც მორიგი ტყუილი. ყოვლ პოლკოვნიკო ლოთი, სოხუმში „გენერლად“ შეხვალ უთუოდ. ამასთან გადმოსცეს, რომ პარალელურად კოდორზე რკინიგზის ხიდი ქართველებმა დაიკავეს. არიქა, ბიჭებო, დროზე ჩიეშველეთ გიორგის თუ გინდათ საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწეროს თქვენი სახელები!..

დღესვე ოჩამჩირეს ჩავიდა მანდილოსანთა არმია, რომელიც ცდილობდა გზა გაეგრძელებინა სოხუმისაკენ, მაგრამ ოჩამჩირის ადმინისტრაციის მეთაურმა ხუტა გუგუჩიამ კატეგორიულად მოსთხოვა მათ უკან დაბრუნება, რამდენადაც ტრასა ჯერ განთავისუფლებული არ არის და საეჭვოა მათი უსაფრთხოება, ჯერ არ ვიცით, რა მოიფიქრა „ქალთა ლაშქარმა...“

მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია კვლავ რუსეთის ამბები. დღეს თეთრი სახლის ე. წ. დამცველებს ულტიმატუმი წაუყენეს, რომ ერთი საათის განმავლობაში ჩააბარონ იარაღი მოსკოვის შინაგან საქმეთა ორგანოებს, ვნახოთ, როგორ შესრულდება ულტიმატუმი.

...მოუთმენლად ველოდები ამბავს ჩემი არადუდან და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლოდა ვარ, დაუყოვნებლივ უნდა გავემგზავრო, სადა ხარ, ჩემო ბადრი და ოჯახის სხვა წევრებო? რა გასაჭირში ჩაგაგდოთ ვერაგმა მტერმა! თქვენთან მაინც ვყოფილიყავი იმ წუთებში. ოჰ, როგორ ვჯავრობ ჩემს მიერ ათეული წლობით აშენებულ და აყვავებულ ოჯახს. ცოცხალი მაინც თუ ხართ, სხვა რამეს კიდევ ეშველება!..

25 სექტემბერი.

გუშინ ედუარდ შევარდნაძემ რადიოთი მიმართა სოხუმის დამცველებს და მთელს საქართველოს. მიმართვაში მან ანალიზი გაუკეთა შექმნილ მდგომარეობას და მოუწოდა, არ შეუშინდნენ ჰიანჭველასავით შემოსეულ მტერს, აქტიურად ჩაებან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში და მოსპონ, სადაც კი შეამჩნევენ. ჩვენთან არის მთელი საქართველო; ქართლი, კახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, რა თქმა უნდა, სამეგრელოც. სოხუმისაკენ დაიძრა სვანეთი. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მალე გაირღვევა მტრის წინააღმდეგობა კოდორის ხიდთან, რომელსაც უკვე ჩვენი ჯარები მიადგნენო.

ამ წუთებისათვის არაა ცნობილი, გადალახეს თუ არა კოდორის დაბრკოლება ქობალიასა და ჭუმბურიძის ნაწილებმა. არძინბა კვლავ მოითხოვს შევარდნაძესთან შეხვედრას, მაგრამ აწი მას ვინღა ენდობა?

იუწყებიან, რომ სენაკის აეროპორტში დაეშვა ვერტმფრენი, რომელმაც ჩამოიყვანა ზვიად გამსახურდია თავისი ამალით. აქ მან მიტინგი მოაწყო და ხალხს მოუწოდა აფხაზეთში საბრძოლველად წასასვლელად. ალბათ მორიგი სიცრუეა. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ასე იყოს. თუ სამეგრელო მთელი 180 გრადუსით შემობრუნდება ერის გამთლიანებისაკენ, მაშინ გამარჯვება მართლაც გარდაუვალია...

რა ხდება არადუში? ამაზე ფიქრით წუხელ მთელი ღამე არ მი-

ძინია. ცოტაოდენი ბარგი შევკარი და მზად ვარ გასამგზავრებლად. აქ დგომას ჩემს მიერ მოწყობილ საგუშაგოზე მირჩევნია მტრის პირისპირ ყოფნა. ბევრი ახალგაზრდა კი ამ დროს გოგოებთან ლაზღანდარობაში ატარებს დროს. ვაი იმისთანა ქალიშვილსაც, რომელიც ბრძოლაზე თავარიდებულ წვერულვაშაჩეჩილ ახალგაზრდას ხელკავგაყრილი დაჰყვება და არც ერთი მათგანი იმაზე არ ფიქრობს, თუ რა ხდება აფხაზეთში, რას აკეთებენ იქ მათი ტოლები. ღირს კი ასეთ „რაინდთან“ სეირნობა? რატომ არ ფიქრობენ ამაზე ჩკუას აცდენილი ქალიშვილები? იქ, ფრონტზე ფორმაში გამოწყობილი, წელზე რევოლვერ და მხარზე ავტომატგადაკიდებული ქალიშვილებიც ვნახე, აი რანნი არიან დღევანდელობის ნამდვილი გმირები, მაია წყნეთელები. წუხანდელი ღამე იმანაც დამიფრთხო, რომ ასეთმა ვაი ახალგაზრდებმა ტელევიზორით „მაცნეს“ კი არ მოგვასმენინეს და რაღაც გულისამრევ ვიდეოფილმზე გადართეს. გულმა აღარ მომითმინა და შევუტიე ერთ მათგანს, რომელიც ძალიან თავხედობდა. მთავარ ექიმს ვეტყვი შენი საქციელის შესახებ-თქო. ცხვირი უშნოდ აბზიკა, დაიჭყანა და დაჟანგული კბილებიდან გამოსცრა: ფეხებზე ხახვი არ დამაჭრასო“. ამას მისი ამალა—შარვლიანი გოგოების ხითხითი მოჰყვა. ჩაყოლას ჩათრევა ვამჯობინე და გავეცალე. ბოლმით კი გული მისკდება: ვაი დედასა, ამ ვიგინდარებისათვის რა ბიჭები იღუპებიან?

სოხუმის დამცველებს მარტოდმარტო უხდებათ სოხუმის დაცვა ფუტკარივით შემოსეულ ბანდებთან, მიმდინარეობს ფუნიკულიორის წმენდა. მტერი გამოჩნდა ახალ რაიონში, მაიმუნსაშენთან. მდგომარეობა მართლაც რომ კრიტიკულია. გიორგი დამხმარე ჯარის შემოსვლის იმედზეა. ვერა და ვერ მოხერხდა ალყის გარღვევა კოდორის მისადგომებთან. ეს ნამდვილად არ ეპატიებათ აქედან ზავივით მიწოლილ ქართველობას. სარდლობის გეგმებში მთლად ყველაფერი ვერ უნდა იყოს რიგზე, ვერა და ვერ დაიძლია მტრის წინააღმდეგობა.

ამ წუთას ოსტანკინო გადმოსცემდა გულის გამხეთქ ცნობას, რომ თითქოს ოჩამჩირის მხრიდან შემტევ ჯარებს აფხაზებმა მაგარი დარტყმა აგემეს და არ მისცეს წინ წაწევის საშუალებაო. თუ ეს მართალია, სადაა გულრიფშის რაიონი, სადაა ოდესღაც ნაქები სვანები? სამამულო ომის დროს 1942 წელს ქართული ნაწილები მერ-

ხეულის გავლით მარუხზე ადიოდნენ და იქ შემოკრილ გერმანელებს შავ დღეს აყენებდნენ. ახლა რა მოხდა, რომ იმავე გზით ველარ ჩამოვიდა რაღაც ძალა, რომ ვარჩედან მოეხმაროს შებტეე ძალებს და მიეშველოს სოხუმს. არა, ეს ნამდვილად არ ეკატიება ჩვენს მხედართმთავრებს.

ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ყოფილი პრეზიდენტი. თუ ვაჟკაცია გვერდზე გადადოს ყოველგვარი წყენა და გაეშუროს სოხუმისაკენ, მაშინ მას მართლაც მხარში ამოუდგება ყველა ქართველი. თუმცა, იბადება ეჭვი, რომ ისევ არ გაჩხდეს რაღაც ძალა და საბოლოოდ არ ჭამოს სირცხვილი ათასგზის სირცხვილნაჭამმა საქართველომ. მაშინ კი მართლაც რომ „ესენგეში“ შესვლისა და რუსის ჩექმის მეტი ვეღარაფერი უშველის ჩვენს გადაგვარებულ საზოგადოებას.

26 სექტემბერი.

საინფორმაციო საშუალებები ამ დილით მხოლოდ გუშინდელ მონაცემებს იმეორებს, ზოგს — შელამაზებულად, ზოგსაც—ერთმანეთში არეულს. გამოხმაურებათა და დეპეშათა კორიანტელია მსოფლიოს ყოველი კუთხიდან. ბატონი კრავჩუკიც დეპეშას დეპეშაზე აგზავნის ამერიკაში — საქართველოს დაეხმარეთო, შე დალოცვილო, ბატონო კრავჩუკ, ეს ურიგო როდია, მაგრამ რა მოხდება, ერთი სამხედრო გემი მაინც რომ აჩუქოთ სოხუმს ამ ძნელბედობის ჟამს? განა საქართველოსთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება არა გაქვს დადებული?! აფხაზეთის სამხედრო კატერი სოხუმში მიმავალ თვითმფრინავებს თბური დამიზნების რაკეტებს უშენს, ამ კატერმა უკვე იმსხვერპლა სამი სამგზავრო და ერთი სამხედრო თვითმფრინავი.

საქართველოს სარდლობამ ცნობილ მფრინავს ავიაციის პოლკოვნიკს ცერცვაძეს დაავალა, მოეძებნა მეკობრე კატარღა და გაენადგურებინა. ცერცვაძე დავალების შესასრულებლად გაფრინდა „სუ-25“ თვითმფრინავით. სოხუმთან მოახლოვებისას იგი ჩამოაგდეს თბური რაკეტით, რომელიც აფხაზებს არ აქვთ, მაშ, ვინ ჩამოაგდო გამოცდილი მფრინავი? ცხადია, „ბომბორამ“. დაიღუპა მფრინავი, დიდი ზიანი მიადგა საქართველოს სამხედრო საავიაციო კადრებს...

გუშინ დღის ორ საათზე სოხუმში ფრონტის ცალკეულ უბნებზე კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. თავი იჩინა პანიკამ. შევარდნაძეს მოუხდა წინა ხაზზე გასულიყო და პირადი მაგალითით მდგომარეობა შედარებით გამოესწორებინა, მაგრამ მეთაურის თავგანწირვა არის კი საკმარისი სოხუმის დასაცავად? ვერ და ვერ გაარღვიეს აბალდბა-აძუბჟის თავდაცვა და ვერ გადავიდნენ კოდორის ხიდზე. არა და ყოველ წუთსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამჟამად ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ზუგდიდში ჩამობრძანდა. გუშინ შევარდნაძეს ჰკითხეს, გამოეთქვა აზრი პრეზიდენტის ჩამოსვლის გამო, მან უპასუხა: „ახლა ჩვენ უფრო დიდი საქმით ვართ დაკავებული, საქართველო უნდა გადავარჩინოთ სოხუმში და ყველამ აქ მყოფმა ამაზე უნდა იფიქროს, ვიმეორებ ახლა ყველა აფხაზეთისაკენ უნდა შემობრუნდეს, სადაც საქართველოს ერთიანობის ბედი წყდებაო“.

გუშინ ძალაში შევიდა კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25 სექტემბერი საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც ისტორიული დღე. საქართველოს მოქალაქე ავტომატურად ხდება ყველა პირი, რომელსაც აქვს საქართველოში ცხოვრების (და ცხოვრობს ამჟამადაც) არანაკლებ 5 წლის სტაჟი და არ განუცხადებია მოქალაქეობის არქონობის სურვილი.

27 სექტემბერი-1 ოქტომბერი.

გიორგი რადიოთი მიმართავს სოხუმის დამცველებს: მხოლოდ გამაგრდით და მალე შემოგვიერთდება ოჩამჩირის ჯარების დაჯგუფება, რომელიც აგერ ათი დღეა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს ახალდაბისა და აძუბჟის მიდამოებში და კოდორის ხიდთანო.

უსაშველოდ უჭირს სოხუმს, სოხუმი ოჩამჩირისაგან ელის შველას. ამ დროს კი ოჩამჩირის ჯარების დაჯგუფების ე. წ. გენერალიტეტი შუბლზე კოკარდიან ქუდჩამოფხატული გენერლები ცინიკურად ხითხითებენ შევარდნაძის გულუბრყვილო მოწოდებაზე. ეს ხითხითი კარგად იშიფრება გუდაუთის დაჯგუფების შტაბში და გამოცდილი მოწინააღმდეგე მეთოდურად აქცევს სოხუმს ფოლადის მარწუხებში, ხან—აქ, ხან—იქ მოულოდნელად გამოჩნდებიან მტრის მცირერიცხოვანი რაზმები. ჩაიგდებენ რა ხელში ამა თუ იმ ქუჩაზე

რომელიმე სახლს, მძევლად აიყვანენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და ბრძოლის წინ იყენებენ ფარად. ასე არ გააკეთეს ახალდაბაში? ის კი არა, ქალებსა და მოხუცებს კისერზე ავტომობილების საბურავები გადააცვეს და ცეცხლს მისცეს. ვიღაც სატანამ სოხუმის ფუნიკულიორზე უახლესი ტანკი ააგრუხუნა და იქიდან პირდაპირი დამიზნებით სოხუმის ცენტრი ცეცხლის ალში გაახვია. გადაჭანცულმა, დემობილიზებულმა ე. წ. ქართული ჯარის ნაწილებმა პანიკით მერხეულისაკენ დაიხიეს, ვერაფერს გახდა ნაქები „მხედრიონიც“.

აფხაზური დროშით მთავრობის სახლისაკენ მიიწევს ბანდა, სადაც მხოლოდ ოც კაცში ერთი აფხაზია, დანარჩენი რუსები, ჩეჩნები, ადიღელები, კაზაკები და სხვა ჯურის კაცისმკვლელები არიან.

სოხუმი ოჩამჩირეს უხმობს.

ტყუილად ელოდა შევარდნაძე ოჩამჩირელ გენერლებს სოხუმში და ამასობაში სოხუმს სული ხდებოდა. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში მთელი შემადგენლობა შეყრილიყო, გარედან „გრადის“ ჭურვები სკდებოდნენ შენობის კედლებზე, ჭერიდან ბათქაში ცვიოდა. დაღონებული მინისტრთა საბჭოს წევრების დუმილი შარტავამ დაარღვია, „მაშ, ასე, თქვა მან, რამდენიმე ცალი ბოთლი ბორჯომის წყალი შემომრჩა, ვინც კარგ ანეკდოტს მოყვება ერთიც ჯილდოდ მას ექნებაო“. ამასობაში მინისტრთა საბჭოს შენობის დერეფნებში უკვე მიმდინარეობდა ხელჩართული ბრძოლა. შარტავამ შევარდნაძეს დამხმარე ძალა სთხოვა თავის დასაღწევად. შევარდნაძემ მოახერხა სამოცი მებრძოლის გაგზავნა (ავღანელებისა), მაგრამ მათი ცდა, უვნებლად გამოეყვანათ ისინი შენობიდან, უშედეგო აღმოჩნდა. შევარდნაძემ დეპეშა აფრინა ელცინთან, სთხოვა დახმარება. პასუხი არ მოსულა, მაშინ შევარდნაძემ რუსების ჯარის ხარდლობას სთხოვა გაეგზავნათ მინისტრთა საბჭოს შენობაში, თუნდაც ხუთი ოფიცერი. მათი იქ გამოჩენა საკმარისი იქნებოდა ადამიანთა გადარჩენისათვის, რუსებმა პასუხიც არ გასცეს შევარდნაძეს, ამასობაში მინისტრთა საბჭოს შენობასთან კავშირიც გაწყდა. ამის შემდეგ ამ მომენტისათვის ჩვენმა რადისტმა მოახერხა რადიოგადალაპარაკების დაჭერა და გაშიფვრა გუდაუთასა და ჭლოუს შორის (შეგახსენებთ რომ აღმოსავლეთის ფრონტის შტაბი, რომელსაც პოლკოვნიკი ქიშმარია ხელმძღვანელობს, განლაგებულია სოფელ ჭლოუში). გუდაუთა აცნობებს ჭლოუს: „სოვმინი აყვანი-

ლია ტყვედ და გაგზავნილია გუდაუთაში. „ჰაღარას“ აყვანა ვერ მოხერხდა ჯერჯერობით (ჰაღარაში იგულისხმება შევარდნაძე). თქვენი აზრით როგორ მოვექცეთ მათ?“ ჭლოუს შტაბი პასუხობს: „დასანანია, რომ „ჰაღარა“ ვერ აიყვანეთ, სოვმინის თაობაზე მხოლოდ ერთი აზრია: ყველას მოსპობა ადგილზე“. შარტავას და მის ამალას განაჩენი მყისვე გამოუტანეს. ორიოდე დღის შემდეგ მოხერხდა მისი ცხედრის ჩამოსვენება თბილისში.

ასე დამთავრდა ამ კარგი კაცის მოღვაწეობა აფხაზეთში, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარისა. ასეთი რამ ომების ისტორიაში არ ხდება. საინტერესოა, რას იტყვის ბატონი არძინბა, თუ იგი საერთაშორისო სასამართლოს სკამზე დაჯდება, ამ მოქმედების გამო? თუ არძინბას შეიპყრობდნენ, არა მგონია, რომ ვინმე ასე მოექცეოდა მას.

რაც შეეხება „ჰაღარას“, იგი და მისი გარემოცვა დიდი რისკის ფასად თბილისს დაბრუნდა და განაცხადა, რომ სოხუმის ჩაბარებით რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის ნაწილის ოკუპაცია (ძალიან კი უჭირდა ამდენ ხანს ამ სიტყვის ხმარება) და რომ საქმე გვქონდა, აშკარა ღალატთან.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, „მშვიდობით დაბრუნებისთვის“ გიორგი შევარდნაძეს ათონის მონასტრის წმინდა ჯვარი გაუძღვა. და დამოძღვრა, რომ, როცა ათონს აიღებ, იმ ეკლესიაში მიიტანე ეს ჯვარიო.

ბუნებრივია, მოწინააღმდეგე სოხუმთან არ შეჩერებულა, დეზორგანიზებული, ერთიანი ხელმძღვანელობის უქონელი, პანიკით მოცული ქართული ე. წ. ჯარი უწესრიგოდ გაიფანტა და მოწინააღმდეგემ თოფის გაუსროლელად ერთიმეორის მიყოლებით აიღო გულრიფში, შეუერთდა კოდორის ნაწილებს და აქ გამომწყვდეულმა მოსახლეობა მერხეულისაკენ გაიქცა, იქიდან კი სვანეთის გზებით ბილიკებს გაუყვა 60 ათასი ბავშვი, ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. იქაც გამოჩნდა სატანის ხელი, უაჩაღი და ოხერი, რომელთაც უმოწყალოდ დაუწყეს ძარცვა თოვლიან ბილიკებზე შემდგარ ლტოლვილებს.

აქეთ მოწინააღმდეგემ მარშით განაგრძო სვლა და თითქმის ერთი დღეღამის განმავლობაში აიღო ოჩამჩირე, გალი და თავისი დროშა გაშალა ენგურის მარჯვენა ნაპირზე. ვაგლახ, მტერო! გამარჯვებაც ამას ჰქვია. კი გაქვს მართლაც სატრაბახო და საზეიმო, მაგ-

რამ არა მგონია, მთლად შაჭრად შეგერგოს იმდენი დანაშაული, რაც შენ ამ ბრძოლის დროს ჩაიდინე.

ასე დამთავრდა აფხაზეთის ეპოპეა, ასე ხანმოკლე გამოდგა ყოველგვარი ქართული ტრაბახი. წავიდა უსაშველო ნგრევა, თუ რამ დასანგრევი იყო, უკვე დაანგრიეს. 309 ქართულ სირცხვილს 3000 სირცხვილისოდენა კიდევ ერთი სირცხვილი მიემატა...

ამ სტრიქონებს ფოთში ვწერ. ფოთში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. როცა სოხუმი ჩაბარდა, მაშინ ბორჯომში ვიყავი და ვიფიქრე, სასწრაფოდ დავბრუნებულიყავი ოჩამჩირეში, არადუში. დარწმუნებული ვიყავი, რომ კელასურს აქეთ მაინც არ გამოუშვებდნენ მტერს. გულრიფშში მთელ საქართველოს შეეძლო ზვავივით მოეყარა თავი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ეს ასე არ მოხდა!

ჯერ იყო და დიდი ვაივაგლახით ხაშურამდე ჩამოვაღწიე. აქ კი გვიან სალამოს ფოთში მიმავალ მატარებელზე ავედი. გავიგე, რომ ფოთისაკენ მიდიოდა და ის კი აღარ მიკითხავს, შეიძლებოდა თუ არა მატარებელზე ასვლა. მატარებელი სანიტარული აღმოჩნდა. ვაგონში არავინ არ ჩანდა. იგი თიფქმის არ შეჩერებულა, ისე დაიძრა ადგილიდან. ცარიელი საწოლები, სისხლისა და წამლის მომგუდავი სუნი. ერთ საწოლზე ჩამოვჯექი და ფანჯრისაკენ უაზროდ დავიწყე ყურება.

შავებში ჩაცმული, მონღოლური სახის მქონე შუა ხნის მამაკაცი წამომადგა თავს, გაბრაზებისაგან თვალებს უცნაურად ახამხამებდა. ცივი გამყინავი ხმით ჩამძახა: შენ აქ რა გინდაო, მე ვუთხარი ოჩამჩირეში მივდივარ ფრონტზე, სამტრედიაში ჩავალ და მანამდე მატარებელს არ დავამძიმებ-მეთქი.

ჯერ ახტა-დახტა, არ შეიძლებაო, ამით მხოლოდ მკვდრები და მძიმე დაჭრილები გადმოგვყავსო. კი, ბატონო, მე სამტრედიაში ჩამოვალ-მეთქი, გავუმეორე. რაღაცეებს შევპირდი და ისიც დაწყნარდა და ბუზღუნით მომშორდა. ორიოდე წუთის შემდეგ, ერთმა მედდამ და ახალგაზრდა ექიმმა (თუ სანიტარმა) გამოიარა. იმათაც გაიკვირვეს, შენ ვინა ხარ, აქ რა გინდაო? ვუთხარი, სამხედრო კორესპოდენტი ვარ, ფრონტზე მივდივარ-მეთქი და ჩემი წიგნი ვაჩვენე. ერთი ამხედ-დამხედეს, მერე კი მითხრეს „ჩვენ ვიტყვით, რომ არაფერი არ ვიცითო“. — და გზა განაგრძეს. ორიოდე წუთის შემდეგ ორი სამხედრო წამომადგა თავს. ერთი ახმახი უფროსი ლეიტენანტის სამხრეებით, მეორე უფრო ჩია ტანისა (დონ კიხოტი და

სანჩო მომაგონდა), ისინი უფრო კულტურულად მომექცნენ და დამშორდნენ, მერე ძილს მივეცი თავი...

რომელიღაც სადგურში თენდებოდა, რომ თავს დამაცხრა ის გამცილებელი, მონღოლს რომ ჰგავდა: „აბა, ადე, ჩქარა ჩადიო!

„სამტრედიაა?“ — ვეკითხები, სამტრედიაა, თუ შორაპანი ჩემთვის სულერთია, ჩქარა ჩადიო. ფანჯრიდან ზესტაფონის სადგური მოჩანდა, ნუთუ მთელი ღამე ხაშურიდან ზესტაფონამდე მისვლას მოვანდომეთ-მეთქი, — გავიფიქრე. — რა იყო, რატომ მაგდებ-მეთქი? — შევკადრე. ჩემმა უფროსმა გაიარა და დედა შემაგინა შენი გულისათვისო! — გადარეული იყო კაცი. დავამშვიდე, რა არ ვუთხარი, მაგრამ არაფერი არ ეშველა. კიბეზე ზანტად ჩამოვეედი. ჩემს ბედზე იქ მოიყარეს თავი მატარებლის უფროსობამ. ისევ ვიღაც სამხედრომ მიშველა; როცა ყველაფერი ავუხსენი, მითხრა აბრძანდი, თუ გინდა ფოთში წამოდიო. მე მადლობა გადავუხადე და სამტრედიის ნაცვლად მართლაც ფოთში წასვლა გადავწყვიტე. ვიფიქრე, იქ სიძესა და ქალიშვილს მოვინახულებ და შემდეგ ოჩამჩირეში გავემგზავრები-მეთქი.

მატარებელი სამტრედიას გაშორდა და ზოზინით გადაკვეთა ცხენისწყალი. აქ ჩემი ყურადღება მიიქცია ხიდის ორივე მხარეზე ერთმანეთზე დამიზნებულმა სამხედრო მძიმე ტექნიკის ლულებმა. აკაკის სიტყვები მომაგონდა: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!“ ეს ტანკები სოხუმში რომ ყოფილიყო, რომელიღაც პოზიციას გაამაგრებდა... ამის შემდეგ ყოველ ბაქანზე დაყოვნება, სანიტარული მატარებლის უთავბოლოდ გაჩერებები და ჩხრეკები, მაშინ, როცა ფოთში მძიმე დაჭრილები სულს ღაფავდნენ?..

გვიან საღამოს ფოთში ჩავრიხინდით.

ათასგზის შემოწმებების შემდეგ. ეს ალბათ ლოთისა და ზვიადის დამსახურებაა. ასე მაღალ დონეზე რომაა „კონტროლი“ მოწყობილი ამ რეგიონში. მეორე დილით სენაკში ჩამოვედი და ოჩამჩირისკენ წამსვლელ მატარებელს დაველოდე. ჩემი გაკვირვება სენაკში თვით ოჩამჩირელი ნაცნობების სიუხვემ გამოიწვია. უმეტესობა თავისი ბარგი-ბარხანით გამოქცეულიყო. იმ მომენტისათვის არაფერი ვიცოდი მომხდარის თაობაზე. ამბავი შემაძრწუნებელი იყო, ოჩამჩირე ჯერ ზღვიდან დაბომბეს „გრადებით“, მერე კი აიღესო.

ათიოდე წუთში მატარებელი ჩამოდგა და ოჩამჩირისაკენ წა-

სასვლელად ავედი. იმავე წუთში ოჩამჩირიდან მომავალი შემხვედრი მატარებელი ჩამოდგა ხალხით გაჭედილი. ვიღაცამ ფანჯრიდან გადმომძახა: სად მიდიხარ, დალიძგის ხიდი ჩაკეტესო. მატარებელში შევვარდი, არადუელები იყვნენ. მოპენტალურად მივაძახე, არადუ აიღეს-მეთქი? ვიღაცას მწარედ გაეცინა, არადუ კი არა, მთელი აფხაზეთი აიღესო, საცოდავი არადუ, როგორ თავგამოდებით იცავდა თავს და დარაჯად უდგა ოჩამჩირეს. ოთხიოდე დღის უკან ბორჯომში წერილი მივიღე მეზობლისაგან (თამარისაგან). იგი მწერდა: (მომყავს უცვლელად), გამარჯობა ბიძინა, ჩვენ არა გვიშავს. ისე, მაგრად შემოუტიეს ჩვენს სოფელს, მაგრამ ვერ გაარღვიეს. ექვსი ბიჭი კი მოგვიკლეს, მაგრამ სოფელი ფეხზე დგას და არ შეშინდება, ბადრი კარგადაა, ჯავრი არ გექნეს, ტატიანა ჯავროშდა, მაგრამ შენ წერილს მივუტან და გადაიტანს ჯავრს. ხათუნა ქუთაისში მიდის 27-ში, თამარა, ბაზარში ვარ".

მატარებელში პირველს დადაშის შევეჩეხე. მისი შვილი ცეზარი მოეკლათ, შვილიშვილი ბესიკი კი კინდღში ყოფილა წასული დედულს და იქ აეყვანათ ტყვედ. დადაშის ცოლი ეთერი ბლაოდა, ცეზარის აღარ დავეძებ, ბესიკს რა ეშველებაო. ბევრი ირბინა ბადრიმო, მაგრამ ვერაფერი გაიგოო...

მთელი მატარებელი შემოვირბინე და ჩვენები მაინც ვერ ვნახე. ბოლოდ ნინა დავინახე ოჩამჩირიდან, ჩემი ცოლისდა. მანაც ვერაფერი მითხრა სანუგეშო. იგი ოჩამჩირისკენ მიმავალ მატარებელზე გადმოჯდა და (შევცდი, რომ წამოვედიო) სახლში მიბრუნდა. პირი ისევ ფოთისკენ ვიბრუნე. არაფერი არ ვიცი, რა დღეშია არადუ, სად არიან ჩემი ოჯახის წევრები. რა ბედი ეწია ბადრის. მესამე დღეა, რაც ჯუმბერი (ჩემი სიძე) წყალტუბოში წავიდა ამბის გასაგებად. ჯერ არ ჩანს....

2 ოქტომბერი.

ფოთში ვარ. დილის ხუთ საათზე შავნაბადის მხრიდან არტილერიის ბათქების ხმა გაისმა, ტყვიამფრქვევიც აკაკანდა. აქ აფხაზები არ იქნებიან. ისევ სროლა, ისევ ქართველები. ნამუსგარეცხილი ქართველები ებრძვიან ერთმანეთს. სამოქალაქო ომი ძალაში შედის. საქართველომ დაშლა დაიწყო?! აი, ფიქრები, რომელიც არ მასვენებს, ბედმა ისე მარგუნა, რომ სადაც არ წავალ, არ მშორდება ზარბაზნების ქუხილი. ექსპრეზიდენტმა ფოთს შეუტია.

თენდება. ქუჩაში გამოვედი, ხალხს ვეკითხები, რა მოხდა-მეთქი? ყველა მეუბნება ქობალიამ შემოგვიტიაო. უმეტესობა ამას უდარდელად აღიქვამს. აბა, დააკვირდით, ფრონტზე არც ერთი მოკლული მებრძოლი ფოთიდან, ან ჩვენი რაიონებიდან არ ყოფილა. ვინც აფხაზეთში იბრძოდა, იყო მხოლოდ ადგილობრივი ხალხი და საქართველოს დანარჩენი რაიონებიდანო. კარგია, რომ ასეთი კაციც გამოჩნდა. მანვე მითხრა, რომ ახლა შემოშლიგინდნენ პორტში, რაც ეონებაა, ზუგდიდში გადაზიდავენ და გაიქცევიან, ვითომ არაფერი არ დაგვიშავებიაო.

ჩემი შეშფოთება გამოიწვია ადგილობრივი (?) გვარდიელების მოქმედებამ, ერთი გენახათ, როგორ გამორბოდნენ ისინი, სახლების სადარბაზოებში შერბოდნენ, გვარდიელის ფორმას ყრიდნენ და სამოქალაქოს იცვამდნენ, თანაც იარაღს მოათრევდნენ. „შე დალოცვილო, — ვფიქრობდი, თუ ასე გალაჩრდი და გადედლდი, იარაღი მაინც დატოვე, (ვინმეს დაუტოვე) და ისე წამოდი. ასეთი ჯარი დაიცავს ქვეყანას?

ძალიან ძნელად მიხდება წერა. სიცხე მაქვს, თავი მისკდება და ენა მიშრება. მოკლედ კი მაინც მინდა გადმოგცეთ დღის მოვლენები. შეიქმნა საგანგებო მოქმედების კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ჯაბა იოსელიანი. იქნებ ამ ბებერმა ლომმა მონახოს გამოსავალი ამ რთულ დროში. შეიქმნა თბილისის სახალხო ლაშქარი, რომლის სარდლად დაინიშნა გოგა ხაინდრავა. ერთი სიტყვით, მთელი საქართველო აღშფოთებულია იმით, რაც დღეს ფოთში მოხდა და რა არეულობა შეიტანა ისედაც არეულ საქართველოს ცხოვრებაში გამსახურდიას ელემენტმა. ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ ქუთაისიდან გაგზავნილი ავტობუსები, რომელთაც ათასობით ლტოლვილები უნდა გადმოეყვანათ ხაიშში, დააყაჩაღეს ქობალიას რაზმებმა და ზუგდიდში ჩამოიყვანეს.

კვლავ არ ჩანს ჯუმბერი. არ ვიცი სად არიან ჩვენები, თვალზე ძილი არ მეკარება.

ოცი წელი გავიდა ღვინო არ დამილევია, ახლა კი ისევ გაჩნდა ჩემს მაგიდაზე ღვინიანი ბოთლი. თუმცა ვერავითარი ღვინო ვერ გადამატანინებს იმ ტანჯვას, რაც ოჯახის დაკარგვამ მომაყენა.

ჯუმბერი მეოთხე დღეა არ ჩანს. ერთი ორიოდე დღე კიდევ დაველოდები და შემდეგ უნდა ვცადო წყალტუბოში ან ქუთაისში გასვლა, იქნებ რაიმე გავიგო დაკარგული ოჯახის წევრების

შესახებ (დილის ხუთ საათზე ისევ გაისროლეს. ასეთ გასროლებზე მე ყურადღებას არ ვამახვილებდი, რადგან ათასჯერ უარესზედაც ვარ შეჩვეული, თერთმეტი თვე სანგარს არ მოვშორებივარ არადუში)..

დილაადრიან რკინიგზის ვაგზალში დავდივარ, ქუჩებში დავეხეტები. უმთავრესად გატანჯული ლტოლვილები დახეტიალებენ უსახლკარონი, გაფითრებულნი. მოულოდნელად ლუკა ხსნილმა ჯავშანტრანსპორტიორმა ჩამიშლიგინა გვერდით, „თავმომწონე“ მძღოლმა სავალი ბილიკი მოგლიჯა სანაპიროზე. მანქანაზე ყინჩად წამოსკუპებულიყვნენ ავტომატშემართული ახალგაზრდები, (ხნიერებიც ერიენენ) ზოგი გვარდიელის ფორმაში, ზოგიც შავ-ჭრელ რალაცაში გამოწყობილი. თავზე ზოგ მათგანს შავი ლენტი ჰქონდა წაკრული. ერთ სპორტულ ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდას, რომელმაც გვერდით ისე ჩამიარა, არც მოჰსალმებია, ვკითხე: „ვინ არიან ესენი?“ „ზვიადისტებიო“ ხმამაღლა მითხრა ისე, როგ არც შეუხედავს ჩემთვის. ახლა ხნიერს ვეკითხები „ვინ არიანმეთქი?“ „ერთი მათი დედაო!“ — შეიგინა და თავის სახლში შევიდა. მესამემ კი თქვა, „ესენი მანამ იხეტიალებენ აქ, სანამ, რაც კარგია არ ამოიღებენ, შემდეგ კი წაეთრევიანო.

სადგურში მითხრეს, გზა დაკეტილიაო. მელია (ქალაქის მერი) გუშინ დაიჭერესო, ყველა ადგილობრივმა გვარდიელმა ფორმას ნიფხავიც მიაყოლა, ყველაფერი გაიხადეს და ჩაბარდნენო.

აქ ვწყვეტ დღიურების წერას. აფხაზეთის შემდეგ დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და მივიჩნიეთ, რომ ამ მოვლენების გადმოცემას ერთი წიგნი არ ეყოფა. თუ ღმერთმა ხელი შეგვიწყო, მკითხველს ვპირდებით კიდევ ორი წიგნი დავწერო, ერთი საკუთრივ სამეგრელოს ამბებზე და მეორეც იმაზე, თუ რა მოხდება სამეგრელოს ბანდებისაგან გაწმენდის შემდეგ აფხაზეთში...

აქ მხოლოდ დასკვნის სახით გვინდა გაუწყოთ, რომ შემდგომი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. აფხაზეთიდან ჯერ ე. წ. ჯარი გამოიქცა (თუმცა უფრო „გაბედულებმა“ კოდორის ხეობას შეაფარეს თავი და ახლაც განაგრძობენ ბრძოლას), მათ დროზე უნდათ მიშველება. ფიქრობს კი ვინმე ამაზე? მშვიდობიანი მოსახლეობა დაუცველი დარჩა. ჯარის თითქმის მთელი შემად-

გენლობა უნგურზე გადავიდა. აქ კი ქობალიას ბანდებმა (გამსახურდიას თაოსნობით) ნაომარ ჯარისკაცებს ყველაფერი წაართვეს: იარაღი, საკვები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი (თუ ვინმე წინააღმდეგობას გასწევდა, მას ადგილზე ხვრეტდნენ).

ზვიადისტებმა, რომლებმაც საქართველოს აფხაზეთი დააკარგვინეს, ევაკუირებულ ქართულ მოსახლეობას ზუგდიდით გასასვლელი გზა ჩაუკეტეს. ასი ათასამდე დევნილი დაიძრა საქართველოსაკენ (ქუთაისისაკენ) სვანეთის გადავლით, ჰუბერის უღელტეხილით. ძნელია იმის აღწერა, რაც ამ გზაზე ხდებოდა. იხოცებოდნენ ბავშვები, ქალები, მოხუცები, მოდიოდნენ თოვლსა და ყინვაში და ეცემოდნენ შიმშილისა და წამებისაგან და ათასი ჯურის ბანდიტისაგან. მათი ცოდვა, თუ ვის კისერზე იქნება, ამას ალბათ ძიება დაადგენს და საერთაშორისო ტრიბუნალი განსჯის...

ჩვენ სულ სხვა რამეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: ფარდა ჩამოეხადა და თავისი სახე გამოაჩინა უკიდურესი ნაციონალისტური სახის ფაშიზმმა, რომლის ალიანსი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო არძინბა-გამსახურდიას სახით, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ხაზბულატოვ-რუცკოი-ბაბურინები და კავკასიის კონფედერაცია. ამ ალიანსით მოხერხებულად ჩაშალეს ყველა შეთანხმება აფხაზეთის საკითხზე. აფხაზეთიდან აყარეს 260 ათასი ქართველობა, მოაწყვეს არნახული გენოციდი, ქართველთა ეთნიკური წმენდა. ქართველთა მიტოვებულ სახლებში დაიწყო უცხოელ დაქირავებულთა შესახლება. ექსპრეზიდენტის შეიარაღებულმა ძალებმა ფოთის დაკავების შემდეგ, ზედიზედ აიღეს ხონი, ლანჩხუთი, სამტრედია, გადაკეტეს საზღვაო ნავსადგურები და რკინიგზისა და საავტომობილო გზების მაგისტრალები და დაიძრნენ წყალტუბოსა და ქუთაისისაკენ. გათავხედებულმა გამსახურდიამ მთლიანად გამოაჩინა თავისი არაადამიანური სახე. ხალხმა თვალნათლივ დაინახა თუ რა გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა მან თავისივე ხალხის წინაშე. გამსახურდია ხაფანგში აღმოჩნდა და დადგა მოქმედების დროც. სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა „ესენგეში“ შესვლაზე. მას ახლა პარლამენტმაც (123 კაცი) დაუჭირა მხარი. შეიქმნა საგანგებო სიტუაციათა მართვის დროებითი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ჯაბა იოსელიანი. რუსეთმა, საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ერთობ-

ლივად დაიცავენ ნავსადგურებსა და საჭირო მაგისტრალებს. ლერიდან და ფოთიდან თბილისის გავლით სოჭუმსა და აზერბაიჯანამდე. დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა ზვიადიზმისა და მისი ბანდების წინააღმდეგ. შეტევა შედეგიანი გამოდგა, ქობალიას ვერ უშველა არძინბასაგან გამოგზავნილმა დაქირავებულებმა. იგი გარეკილი იქნა ხონიდან, მარტვილიდან, სამტრედიდან, ლანჩხუთიდან, ფოთიდან, აბაშიდან, სენაკიდან, ხობიდან; სამთავრობო ჯარები ზუგდიდს მიუახლოვდნენ. მთავრობის მეთაურმა და ჯაბამ მოუწოდეს ქობალიას შეიარაღებულ ძალებს, დაყაროს იარაღი და გადმოვიდნენ სამთავრობო ძალების მხარეზე. ამ შემთხვევაში მათ არ ელით პასუხისმგებლობა. მშვიდობიან მოსახლეობას მრავალგზის მოუწოდეს თვითონ გაკოჭონ გამსახურდია და მისი ამფსონები და გადმოსცენ მთავრობას. ექსპრეზიდენტი დანებებას არ აპირებს. დამარცხების შემთხვევაში მან მოუწოდა პარტიზანული ბრძოლებისაკენ, ამისათვის ისინი ტყეებში მალავენ მთელ ნაძარცვ ქონებას. ეს კიდევ არაფერი, საქმე ისაა, რომ ზუგდიდში შეუწყვეტელ ნაკადად ჩამოდიან აფხაზი „ბოევიკები", დაქირავებულები, ჩამოდის ახალი ტექნიკა, არძინბა და გამსახურდია კვლავ ოცნებობენ აფხაზ-სამეგრელოს სახელმწიოს შექმნაზე; მათი ერთადერთი უთანხმოება ისაა, რომ ვერ გაიყვეს გალის რაიონი. არძინბას საზღვარი ენგურზე უნდა, ხოლო გამსახურდიას — მდინარე ღალიძგაზე. ახლა მათი მიზანია დაამარცხონ სამთავრობო ძალები და ისევ დაიძრან წინ (გალის საქმეზე შემდეგ მორიგდებიან). ამასობაში რუსულმა ნაწილებმა თავიანთი დაცვის ქვეშ აიღო (ჯერჯერობით) სამთავრობო ჯარების მიერ აღებული მაგისტრალების დაცვა (ფეხს ითრევენ სომხები და აზერბაიჯანელები), ახლა მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. თუ გამსახურდიამ განაგრძო ჯიუტობა, ზუგდიდში დიდი ტრაგედია დატრიალდება. მთავრობის მიზანი კი არის ჯერ ზუგდიდში მშვიდობის დამყარება, სამოქალაქო ომის დამთავრება და შემდეგ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა.

...27 ოქტომბერს დაეცა სოხუმი. გულრიფშისა და სოხუმის, აგრეთვე მათი მიმდებარე სოფლების ასიათასამდე სიკვდილს გადარჩენილმა ქართველმა ხელბარგს დაავლო ხელი და ჩვენს პანიკამიცემულ სამხედრო ნაწილებთან ერთად ჰუბერისაკენ გაუყვა გზას. (თუ რა ხდებოდა ამ გზაზე ცნობილია ნაწილობრივ). კო-

დორის ხიდი ოჩამჩირის მხრიდან ჩაკეტილი ჰქონდა აფხაზებსა და ქობალიას რაზმებს. „მოათავეს“ რა თავიანთი საქმე, ამ რაზმებმა ბათისწინეთიდან ჩამოწოლილი აფხაზებთან და კონფედერატებთან ერთად ოჩამჩირისაკენ დაიძრნენ. მომავალ საავტომობილო და სარკინიგზო ტრასებზე გაემართნენ ზუგდიდისაკენ. სარდლობიდან აღარავინ გამოჩნდა თავკაცი, რომ მშვიდობიან მოსახლეობას ევაკუაციაში მოხმარებოდა. ბრძანება მაინც გაეცათ (სოხუმის დაცემის შემდეგ), რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები და მიშველებოდნენ ტრანსპორტით. ხომ შეეძლოთ გამოეყოთ პატარა შეიარაღებული ნაწილი მაინც, რომელიც გადამღობი ცეცხლით მტერს შეაჩერებდა და მოსახლეობას საშუალებას მისცემდა გახიზნულიყო. არადა ამ მოვენტისათვის ოჩამჩირეში ხუთი ათასამდე კარგად შეიარაღებული ქართველი დასეირნობდა უსაქმოდ...

და მოხდა ისე, რომ ამ ნაწილებმა პირველებმა მოქუსლეს „სამშობლოსაკენ“. მშვიდობიანი მოსახლეობა კი სრულიად დაუცველი დატოვეს. საკითხავია, ვინ სარდლობდა ოჩამჩირის ფრონტს?

ცაგერა ტრასაზე განლაგებული სოფელია და იქაურმა თავკაცებმა მოახერხეს ხალხის დროულად გახიზვნა. ამას ისინაც უწყვეტა, რომ არადუდან გადამღობი ცეცხლი გაუხსნეს მაზანკიდან და მოქვიდან ჩამოსასვლელ გზებს და აფხაზებს არ მისცეს საშუალება გზა მოეჭრათ ცაგერასათვის ტუნგოსა და მოქვის ხიდის სამკუთხედში. სამაგიეროდ, ვერ გაითვალისწინეს მოქვის ხიდის გადაკეტვის საშიშროება და თვითონ ჩაიგდეს თავი ხიფათში. ვისაც ბრძოლა შეეძლო, მტერს აკავებდა, დანარჩენები კი იხიზნებოდნენ. ერთმა უბედურებამაც იჩინა თავი — თითქმის ყველა ჭიშკართან პურ-მარილი გაშალეს და დიდი და პატარა, მეომარი თუ ლაჩარი, ყველა გალეშილი და გადამთვრალი იყო. გალეშვასა და გაუთავებელ. საღეგრძელოებში ფუჭად დაიკარგა ძვირფასი დრო, ყველა თავის კარ-მიდამოს ემშვიდობებოდა და ვეღარ შორდებოდა. არანაკლებ საზიანოა გადამთვრალი, ორიენტაცია დაკარგული ხალხი. მხოლოდ სამი კაცი დარბოდა შავი „ვოლგით“ — ბადრი, ემზარი და შაქრო, აჩქარებდნენ ადამიანებს, მაგრამ ნებსით თუ უნებლიედ ისინიც ჩერდებოდნენ ადგილ-ადგილ და მიძალებულ „ას გრამს“ გადახუხავდნენ ხოლმე...

პანიკურად უკან დახეულმა ქართველმა ნაწილებმა საბრძოლო ტექნიკის ნაწილი მტერს შეატოვა ხელში, ნაწილი კი ზუგდიდში ჩაბოარტვეს, აიყარა გალის მოსახლეობაც და ლტოლვილობას შისცა თავი. გალელელთა უმრავლესობა ფიქრობდა: ჩვენ აფხაზეზი არ შეგვეხებიანო (ცნობილია თუ როგორ შეეხნენ მათ და როგორი დამსჯელი ოპერაციები მოუწყვეს). გალის რაიონში ასე ათასზე მეტი მოსახლეა. ასი ათასიდან ერთი მეათედი მებრძოლია, რომ მოხმარებოდა ოჩამჩირეს და ორთავენი კი სოხუმს, აფხაზეთი არ დაეცემოდა...

ახლა ისევ არადუს დავუბრუნდეთ.

28 სექტემბერი დაღამდა. ბადრი სახლში შემოვიდა. ეშხარიმ მანქანით გზა გააგრძელა. მალე ჩამოგვილიო, დაუბარა. ბადრიმ სახლის ყველა ოთახი შემოიარა, ყველგან შუქი აანთო.ხან დივანზე წამოწვა და ჭერს მიაშტერდა, ხან წამოხტებოდა და ხვა ოთახში გადიოდა. ბოლოს ჩემს სამუშაო ოთახში შევიდა, ჩემი წიგნები, ხელნაწერები, პირადი ნივთები დაათვალიერა გულდასმით, საოჯახო ალბომიდან რამდენიმე სურათი ამოიღო და გულის ჯიბეში ჩაიდო. ქამარში გაჩრილი პისტოლეტი გაისწორა, კარი გაიხურა და ძირს ჩავიდა. მაცივრიდან კონიაკი გამოიღო და დაისხა, ცოტა ხანს დუმდა. კონიაკი მოსვა, ჭიქა დადგა და წინა ეზოში გაბოვიდა. ახლა აქედან დაუწყო თვალიერება მამისა და თავის ხელით აშენებულ დიდებულ სახლს, რომელიც გამოტენილი იყო ხუთი ქალიშვილის გასამზითვებელი ნივთებით და სხვა ათასი რამით. „რა ვუყოთ ყველაფერ ამას?! — ალბათ ფიქრობდა ბადრი.

როცა 27 ივლისს მესამე ხელშეკრულება დაიდო და თითქოს ომი დამთავრდა აფხაზეთში, ყველამ შვებით ამოისუნთქა. მეც გადაეწყვიტე ცოტა ხნით დასასვენებლად წავსულიყავი.

მაშინ ჩემსა და ბადრის შორის მოკლე საუბარი გაიმართა:

— ბადრი, როგორც ჩანს, ომი დამთავრდა. მე ხვალ მივდივარ, რათა დღიურები მოვიყვანო წესრიგში და გამოსაცემად მოვამზადო.

— მე რას მიბარებ? — მითხრა ბადრიმ.

— რა უნდა დაგიბარო, რაც უნდა გააკეთო თავად იცი, მოუარე ამ სახლ-კარს და დაიცავი.

ცოტათი ჩაფიქრდა, მერე მითხრა:

— ბევრს ნუ დააგვიანებ, შენ რომ ჩამოხვალ, მერე მე წავალ და ახალ სიძეს ვინახულებ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი.

მეორე დილით, გამგზავრებისას, მის საწოლ ოთახში შევიარე, ბადრის სძინავდა.

მინდოდა კიდევ რაღაც მეთქვა, მაგრამ ისე ღრმად სძინავდა, დამენანა გაღვიძება, შუბლზე ვაკოცე და კარი გამოვიხურე...

მის შემდეგ იგი აღარ მინახავს....

წარმოვიდგენია:

ბადრიმ ისევ მიმოავლო დაბნეული კაცის თვალი ყველაფერს და გაიფიქრა: „რა ეშველება ამდენ რამეს?! — ერთმა ავმა ფიქრმაც წამოუარა თავში, — მოდი მე თვითონ მივცემ ცეცხლს ყველაფერსო“ მალე გადაიფიქრა, შეენანა დასაწვავად მამის მიერ აშენებული სასახლე.

ჩვენ ერთად ვაშენებდით ამ სახლს, ბადრი პატარა იყო, მაგრამ მაინც მეხმარებოდა. ერთად ვრგავდით და ვუვლიდით კარ-მიდამოს... „რას იტყვის მამაჩემი, ეს რომ ჩავიდინო?“ — დააყოვნა ბოლოს. მერე ჰიშკრისაკენ გაემართა. ჩვენი განუყრელი შავჰრელი ძაღლი „დათვია“ უკან აედევნა. ჩექმაში ჩატანებულ შარვალზე პირი უსტაცა და უკან მოჭაჭა: „არ წახვიდეო!“ — უთხრა მუნჯურად, წკმუტუნით. ბადრიმ ჯიბიდან პურის ნაჭერი ამოიღო, გადაუგდო; ძაღლმა პურს პირი არ დააკარა. მერე კანფეტი გადაუგდო. არც ის ინდომა, ისევ შარვალზე ჩაეჭიდა და უკან დაჭაჭა. ბადრიმ ძაღლი დატუქსა, მაგრამ, ოი, საკვირველებავ; ძაღლმა უკან არ დაიხია, პატრონს თვალებში შეაჩერდა და სამჯერ შეჰყმუილა შემზარავად. ბადრის არ მოეწონა ძაღლის ასეთი მოქმედება.

ამ დროს, ჰიშკართან ემზარის მანქანა გაჩერდა. ბადრიმ ჰიშკარი გამოიხურა, იმის შემდეგ იმ ჰიშკარს მისი ხელი აღარ შეხებია...

შინ დარჩა მხოლოდ ძაღლი „დათვია“ თვალცრემლიანი და მოტირალი...

იმავე დღეს, შეღამდა თუ არა, ხიდამდე ჩამოაღწია მოწინააღმდეგე მხარემ. კოდორის მხრიდან, მაზანკიდან თვით მღინარე მოქვის ჩაყოლებით დაძრულმა რაზმებმა ერთდროულად მოიყარეს თავი და ხიდი ალყაში მოაქციეს, ხოლო არადუდან გამოსასვ-

ლელი გზა გადაჭრილ იქნა, სოფელი არადუ „ტომარაში“ ჩაჰკიდეს, რომლის ყელი მოქვის ხიდი შეიქმნა.

მოწინააღმდეგემ ისარგებლა რა ღამის სიბნელით, რესტორნის მიმდებარე ტერიტორიასა და კვიპაროსების ხეივნის ტევრში ჩასაფრდნენ და გამვლელებს დაელოდნენ.

ხიდზე უნდა გაევლო არადუდან წამოსულ დარჩენილ მოსახლეობას. ასე მოექცა ალყაში არადუ. მისი გზა გადაჭრილი იქნა ხიდთან. ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ვერ გაითვალისწინა არადუს მოსახლეობამ, რომელიც ბოლო წუთებამდე იცავდა სოფლის ღირსებას...

შეღამდა თუ არა, ადამიანები (ისინი კი მრავალნი იყვნენ, გულდანდობილად დაიძრნენ ოჩამჩირისაკენ. მათ მოქვის ხიდი უნდა გაევლოთ. სხვა გზა არ იყო. სანამ ხიდს მიუახლოვდებოდნენ ხალხის ნაკადს შავი ფერის „ვოლგამ“ გადაუსწრო, რომელშიც ისხდნენ ბადრი, ემზარი და შაქრო. „ხიდთან დაგელოდებითო!“ — გადმოსძახეს მგზავრებს და თვითონ გზა განაგრძეს.

მანქანამ ახალი ტბისაკენ გაუხვია, რესტორანთან ახლოს შემობრუნდა და ახალ ხიდზე იქ შეჩერდა, სადაც ერთ დროს ქართველთა საგუშაგო იდგა. ხალხის შემოერთებას დაელოდა.

ჩასაფრებული მოწინააღმდეგე „ღამის ხედვის“ მოწყობილობით გულდამშვიდებით ადევნებდა თვალს ყველაფერს და ხალხის მოგროვებას ელოდებოდა. რამდენიმე წუთში ხალხიც მოგროვდა. ვის ხელბარგი მოჰქონდა, ვის ზურგჩანთები მოეკიდა, ვის კიდევ პირუტყვი გამოერეკა და თოკით მოექაჩებოდა ფეხათრეულ ძროხებს. ისმოდა ქალების ხმამაღალი წყევლა და კაცების გინება. ზოგიც ჰკუიდან გადასულიყო და ისტერიულად შეუყვირებდა ხოლმე ვიღაცას...

ამ დროს ცაზე მანათობელი რაკეტა აიჭრა, მერე პატარა პარაშუტით ხიდის თავზე დაეკიდა და მთელი არემარე განათდა.

რესტორნის მხრიდან ხიდზე მდგარი მანქანისაკენ უყმბარმტყორცნის ჯურვი გაისროლეს. ჯურვი მანქანის საბარგულს მოხდა, საბარგული კი ტყვია-წამლით იყო გავსებული, მანქანა თვალის დახამხამებაში აფეთქდა... შიგნით სამნი ისხდნენ, ის სამი უბედური ახალგაზრდა რომლებიც ხალხის მოგროვებას ელოდებოდნენ ხიდთან...

იმავდროულად ყოველი მხრიდან ავტომატური იარაღიდან წა-მოვიდა ტყვიის სეტყვა. ტყვია დაუშინეს მშვიდობიან მოსახლეობას, სრულიად უიარაღო ხალხს, ისროდნენ „ქალაშნიკოვები“, „ტურსები“, „უმბარმტყორცნები“ „დშკ-ბი“, ტანკები.

ატყდა გნიასი, ყვირილი, წივილ-კივილი, ხროტინი, სიკვდილი ცელავდა ყველაფერს ამ ცოდვილ მიწაზე. ვისაც შეეძლო ხიდის ორივე მხარეს გაშლილ სიმინდის ყანებს მისცა თავი. ახლა ტყვიის წვიმა ყანებს დააცხრა და ერთად ეფინებოდა ძირს მწიფეტა-როიანი სიმინდები და ადამიანები.

მერე ყველაფერი მიწყნარდა.

მეორე დღეს, 29 სექტემბერს მოქვის ხიდთან მოწინააღმდეგე აღარ ჩანდა, სამაგიეროდ მთელი არემარე გვამებით იყო მოფენილი. ცხედრები ეყარა ხიდზე, გზატკეცილზე, სიმინდების ყანებში, ზოგი მთელი, ზოგი შუაზე გაწყვეტილი, ზოგიც უფრო დანაწევრებული.

ავი სიჩუმე იდგა ირგვლივ. მხოლოდ ხიდქვეშ გამავალი მდინარე მოქვი დუდუნებდა რაღაცას თავისთვის და ზღვისაკენ მიიჩქაროდა. რათა ეთქვა ამბავი იმისა. თუ რა მოხდა მოქვის ხიდთან.

მე შევეცადე, დამედგინა დაღუპულთა რაოდენობა და გვარსახელები, რომელთა სიას თან ვურთავ:

აკობიძე იმერი
აკობიძე სევარიონი
არჯევანიძე გიგლა
არჯევანიძე ფრიდონი
ასლანიკაშვილი ვალერი
ასლანიკაშვილი ლერი
ახვლედიანი ემზარი
ახვლედიანი ვერა
ახვლედიანი ჟორა
ახვლედიანი რატი
ახვლედიანი შალვა
ბანძელაძე ნინა
ბანძელაძე რაულენი
ბენდელიანი ანზორი
ბენდელიანი არჩილი
ბენდელიანი ბორისი
ბენდელიანი ემზარი
ბენდელიანი ვალერი
ბენდელიანი ლერი
ბენიძე ამირანი
ბენიძე ბონდო
ბენიძე გივი
ბენიძე დავითი
ბენიძე იგორი
ბენიძე ნინა
ბენიძე ნუგზარი
ბენიძე ოთარი
ბენიძე შაქრო
ბენიძე ჯანიკო
გაზრდელიანი მიზდონი

გიორბელიძე ნოდარი
გიორბელიძე გენადი
გიორბელიძე რაულენი
გოლეთიანი ბადრი
დავითულიანი გრიგოლი
თუთისანი დემური
თუთისანი შალვა
კინწურაშვილი მარო
კოპალიანი ავთანდილი
კოპალიანი ბიკენტი
კოპალიანი ვახტანგი
კოპალიანი ზაზა
კოპალიანი თენგო
კოპალიანი ოთარი
კოპალიანი სოსო
კოპალიანი შოთა
კოპალიანი ცეზარი
კოპალიანი ჭიჭიკო
კოპალიანი ჯიბილო
ლეთოდიანი ვალიკო
მამარდაშვილი ასკალო
მამარდაშვილი რომანოზი
მანაგაძე ასკალო
მანაგაძე გივი
მანაგაძე კაკო
მანაგაძე ჭირზა
ნემსიწვერიძე ენვერი
ოთხოზორია რობერტი
ომანაძე ბადრი
ომანაძე რომანი
საღინაძე ნუცა
უგულავა დიანოზი
ფუტკარაძე გოგუცა
ფუტკარაძე ემზარი
ქომეთიანი ვარლამი
ყურაშვილი ბელოზრი
ყურაშვილი იური
ყურაშვილი ფრენილო
ყურაშვილი შალვა
ჩაკვეტაძე ელვარდი
ჩაკვეტაძე რუბენი
ჩხეიძე საშა
ცერცვაძე დურმიშხანი
ცერცვაძე მურთაზი
ცვარიანი გოჩა
ჯიღოშვილი ზურაბი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ავტორი გოდიშს იხდის იმ პირისუფლების წინაშე, თუ ვინმე შემთხვევით გამორჩა ამ სიაში.

გოლოთქმა

გავიდა ხანი. დღეები, კვირეები, თვეები. მოქვის ჩიდთან გახეივნებული კვიპაროსების კენწეროებსა და რესტორნის ეზოში მდგომ საუკუნოვან იფნის ხეებზე, ვინ იცის, საიდან მოფრენილი ყვავ-ყორნები შეყუჟულან. მათი ჩხავილი ყურთასმენას იღებს. ისინი წარამარა იღრეცენ კისერს და ხან ერთი თვალით და ხან მეორეთი ჩააჩერდებიან ამ ცოდვადატრიალებულ მიწას, სადაც დაუმარხავი, უსაფლავო ადამიანთა ცხედრებია მიმოფანტული,

ზოგი მთელი და თითქოს მოსასვენებლად მიწოლილი, თითქოს სძინავსო, ზოგიც შუაზე გაწყვეტილი — ნახევარი, წელს ზევით ან წელს ქვევით, ზოგისა მარტო ხელი ან ფეხი გდია, მეტი არაფერი; ზოგის კი მხოლოდ ძვლებია გამოხრული ნადირთაგან.

საოცარი სუნი ტრიალებს ჰაერში. სუნი ადამიანის გვამის ხრწნისა, სუნი შემზარავი კაცთა მოდგმისათვის, თუმცა სუნი სამხიარულო და სასიამოვნო ნადირთა ჯილაგისათვის. ამ სუნმა მთისწინეთსა და მთასაც მიაღწია და იქ შებუდებულ ტურა-მგელს აღუძრა მადა. მთების კალთებიდან დაძრული ნადირი არ-ხეინად ძიძგნის მიტოვებულ ცხედრებს.

კაცისშვილი არ ჩანს, რომ მათ შეუყვიროს, დაუცახცახანოს, შესაშინებლად მაინც ესროლოს თოფი ან ჯოხი. ტურა-მგელიც უკან აღარ ბრუნდება, მაგრად გაჩლეშებიან და ღამის სათავედ იქვე ახლოს მიწვებიან ბუჩქებში.

მხოლოდ სოფელში მიტოვებული ძაღლები არ ეპუებიან ნადირთსიმრავლეს. ისინი მიტოვებულ ცხედრებს შორის დაძუნძულებენ და ყნოსავენ — ეგებ ჩვენი პატრონი შევიცნოთო. მშიერ მუცელს იმით ამოიყორავენ, სადმე მიხრწნილი პირუტყვის ლეშს თუ წააწყდებიან, მერე ერთად შეჯგუფდებიან, აღმოსავლეთისაკენ პირს იბრუნებენ და მოჰყვებიან საზარელ ყმუილსა და წკავწკავს.

მხოლოდ ერთი ზორბა ნაგაზი ჩაცუცქულა უკანა თათებზე იმათთან, კაცის ხორცით გამძლარ, მხართეძოზე წამოწოლილ ნადირთან. მის თავზე აშლილი რუხი ფერის ბალანი ჩერქეზულ ფაფახს მოგაგონებთ. გრძელი წითელი ენა ბასრ ეშვებს შორის გადმოუგდია და ხან მგლებისაკენ იბრუნებს ხოლმე პირს და ხანაც აყმუვლებული ძაღლებისაკენ. ხანდახან ავისმომასწავებლად ახტება და თავქუდმოგლეჯილი შევარდება ხოლმე ძაღლების ხროვაში. ამას განსაკუთრებით მაშინ აკეთებს, როცა ძაღლები ყმუილს და ტირილს ასტეხენ. მერე მოდგება და ხან ერთს წაავლებს ბასრ კბილებს და ხან — სხვას. უფრო პატარებს თათების ალიყურით „უმასპინძლდება", განსაკუთრებით იმ დაბალ „მურიას", რომელმაც მას პირველმა მიაგო პატივი და შეიხიზნა

აფხაზეთის ფრონტიდან გამოქცეული. მერე, უკან გამობრუნდება, მონიშნულ ადგილას ჩაცუცქდება. სირცხვილნაჭამი, მიბეგვილი ძაღლები კი ერთმანეთს დაერევიან. არის მათი გაუთავებელი ბრძოლა და ღრენა-კენწლაობა. როცა მაგრად მოითელებიან, ისევ შეჯგუფდებიან და აღმოსავლეთისაკენ პირშებრუნებულნი ისევ მოჰყვებიან ტირილსა და ყმუილს...

ეს ის ნაგაზი გახლავთ არადუს რომ ესტუმრა აფხაზური სოფლებიდან. გახსოვთ, როგორი პატივისცემით მიიღეს იგი არადუში არამარტო ძაღლებმა? მას ჩემმა მეზობელმა ქიშვარდიმ „ბელია“ შეარქვა და მთელი ათი თვე აჭმევდა და ასმევდა.

წუთიერად მიწყნარებულ ნადირ-ძაღლთა შორის მოულოდნელად გრიგალივით შემოიჭრა კიდევ ერთი ტანმორჩილი ძაღლი, ნამეტნავად შეშფოთებული იყო იგი. მგელივით აცქვეტილ ყურებს რადარის ბადესავით ატრიალებდა ირგვლივ, სულს ძლივს ითქვამდა სირბილისაგან დაღლილი. ალმასივით მკვესავ თვალებიდან უმოწყალოდ იცრემლებოდა. ენით ილოკავდა დაცრემლილ სახეს და ცრემლებს მიწაზე დაღვრის საშუალებას არ აძლევდა.

ძაღლი მეტად გაავებული ჩანდა. იგი ჯერ მუცელგოდორა, ეხართეძოზე წამოწოლილ მგლებს მიუახლოვდა, რამდენჯერმე ავად შეუღრინა მათ. მგლები არცკი განძრეულან. მხოლოდ დაჭყეტილი თვალები მიაპყრეს „მასპინძელს“ და კბილები დაკრიჭეს. ასე დაკრეჭილი კბილებით და წაწვეტილი ყურებით გაუნძრევლად ადევნებდნენ თვალყურს, თუ რა ხდებოდა ახალი ძაღლის გამოჩენის შემდეგ...

ძაღლმა ერთი ამოიხვნეშა, ამოიხვნეშა კი არა, ამოიღრიალა და ამ ყელისმიერ ამოხმაურებას უდიდესი ბოლმა ამოაყოლა. მერე აბაზდად მოტრიალდა, მგელთა და ძაღლებს შორის ჩაცუცქულ ნაგაზს მიუახლოვდა, თვალი თვალში გაუყარა, ნაგაზმა თითქოს დაირცხვინაო, წინა ფეხებიც მოკეცა,მიწას დაეკრა და ფაფახმოცმული თავი წინა ფეხებში ჩარგო. მოსული ძაღლი კიდევ აკვირდებოდა ცოტა ხანს, ირგვლივ შემოუარა, როცა თავთან გაუპირისპირდა, ანაზდად კუდი ნამგალივით მოხარა, მარჯვენა

უკანა ფეხი ასწია და ზედ კეფაზე გადააშარდა. ნაგაზს ხმა არ ამოუღია, თითქოს ესიამოვნა კიდეც ამ სიცხეში თავზე გადაფსმა. მოსულმა ძაღლმა კუდი კიდევ უფრო დაინამგალა, მუქარის გამომხატველი რაღაც უცნაური ბგერები გადმოსცა, მერე რწყილივით ახტა, ნაგაზს ზურგზე მოექცა და უკანა კანჭებით გაქექა და გამოქექა. მერე კვლავ ისკუპეს და მიბეგვილ-მობეგვილ ძაღლებთან გაჩნდა, სათითაოდ ყველა დაყნოსა, ლაში ლაშზე მიადო და ერთმანეთს რაღაცის გამომხატველი წკმუტუნით პირი გამოულოკეა, ნაგაზმა თითქოს ახლა გაიღვიძა, ისევ გაისწორა წინა თათები და გადაფსმული თავი მაღლა ასწია. ის ძაღლი კი სხვა ძაღლებს მალე ჩამოშორდა და გაშმაგებით შეუდგა დაღუპულ ადამიანთა დაყნოსვას. არც ერთი მიცვალებული არ დაუტოვებია „შეუმოწმებელი“. ჯერ ერთს დაყნოსავდა და მეორესთან გადადიოდა. ასე შემოირბინა მთელი მოქვის ხიდის მიმდებარე არემარე და ბოლოს ერთ მიცვალებულთან შეჩერდა.

ახალი ხიდის მოსახვევს გადაღმა ნალმსატყორცნის ჭურვისაგან ამოთხრილ ნახევარ ორმოში ვაჟკაცი იწვა. იგი ორმოში ვერ ჩატეულიყო და სანახევროდ ზევით იყო ამოწეული, მკერდზე ხელებდაკრეფილი, თითქოს ხძინავსო. მას ხშირი ყნოსვით მიუახლოვდა ძაღლი.

ძაღლმა ნახტომი გააკეთა, მკვდარს ირგვლივ შემოუარა. ახლო ცრემლები იღვრებოდნენ მისი თვალებიდან და მკვდრის ტანსაცმელს ასველებდნენ. რესტორნის ეზოს ბებერი იფნის კენწეროდან ნახევრად გახრწნილი გვამებისაკენ შემაზრზენი ჩხავილით ყორნების გუნდი გადმოფრინდა. ძაღლი ისე მარდად დაედევნა მათ, რომ მათ ძირს დაფრენა არ აცალა. ყორნები იფნის კენწეროს გასცდნენ და გზის პირას კვიპაროსების ხშირ ტოტებში შეიმალნენ. ძაღლი კი თავის ადგილს დაუბრუნდა. მიცვალებულ ვაჟკაცს სახეზე დინგი დაადო, თითქოს ეამბორაო, მერე ალმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი და მორთო უმოწყალო ყმუილი. მის ყმუილს სხვა ძაღლებიც შეუერთდნენ, ყმუილით ვიღაცას მოუხმობდნენ, თუ ვის, მხოლოდ იმ ძაღლებმა იციან.

ბევრი იტირა იმ მარტოხელა ძაღლმა. გული რომ ოჯერ გვერდით მიუწვა მიცვალებულს და ცრემლიანი თვალები მილულა.

ეს ძაღლი ჩემი ჭკვიანი „დათვია“ იყო, ხოლო ის ვაჟკაცი კი, რომელსაც გვერდით მიუწვა — მისი ერთგული პატრონი...

P. S.

„ადეჭით, სასამართლო მოდისო“

სვეტლანა ჩერვონნაია.

სასამართლოს ნუღარ დაელოდებით, ჯართველებმა თვითონ გამოუტანეს თავიანთ თავს განაჩენი!“

ავტორი.

რედაქტორი ზურაბ კუხიანიძე
მხატვარი. ოთარ ქანდარია
ტექნიკური რედაქტორი გოჩა ჩიტიძე
კორექტორები: იზოლდა ქუთათელაძე
მზევინარ ყურაშვილი
კონტრ-კორექტორი ქსენია მარგველაშვილი
გამომშვები გულნარა ბერაძე

გადაეცა წარმოებას 6.06.94
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.07.94
საბეჭდი ქაღალდი № 2 60×84 1/16
გარნიტური ჩვეულებრივი
ბეჭდვა მაღალი
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28,25
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 26,27
ტირაჟი 10000
შეკვეთის № 1020

ფასი სახელშეკრულებო

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

გამომცემლობა „საქართველო"
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისი, გრიშაშვილის 6

ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს შვილს ბადრის
და მასთან ერთად საქართველოს ერთია-
ნობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ბიჭებს

ბადრი გოლეთიანი